


98

# האנימל

10

1976



100 — ჯანსიუზვილი — 100

# სესე

233

გამოცემის მეცხრამეტი წელი

10

მოგოგბერი

1976

თბილისი

საქ. კვ ცკ-ის გამოცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კ. მარტოვიძის სახ. ც. კვ. ცკ. ი. ა. გ.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ქმოვის სიმღერა

- 3. კოსტა მარდითი, რვაჯ ახავეი, ხაჯუშარ ალ-გორთი, გიორგი ზესთაუთი, ალექსანდრე ფუხა-თი, ლეონიდ ხარაბათი, ილია პლიევი, სერგო მინდიაშვილი — ლექსები. თარგმნეს გივი გეგეჭ-კორმა, ავთანდილ გურგენიძემ, ეშვარ კვიციანიშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანიშა, გივი ძნელაძემ.
- 9. მელიტონ გაბუღთი — ძილკუსი. მოთხრობა. თარგმნა ეთერ თვარაძემ

## პროზა, პოეზია

- 13. ნუგზარ შატაიძე — მოთხრობები
- 21. ავთანდილ აღვიშვილი — მოთხრობები
- 27. გურამ ქაპანაძე — მოთხრობები
- 40. ავთანდილ ბაღდავაძე — ზიგზაბი. მოთხრობა
- 60. ლევან მაღაჯონია — პიტიია. მოთხრობა
- 70. გურამ ხარაბიძე — ამბავი ჩემი წინაპრისა... მოთხ-რობა. დასაწყისი
- 86. ირაკლი გოგოლაური — ლექსები
- 86. გურამ გიორგოზიანი — ლექსები
- 89. მურთაზ ჩახავა — ლექსები
- 90. სილონია გულინაშვილი — წიგნკვილი. ლექსი

## ახალი თარგმანები

- 91. შილიამ უმჰსიკირი — ავაო ბარჯა სიყვარულისა. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ეშვარ კვიციანი-შვილმა

## ნარკვევი

- 103. გვანჯი მანია — ყარაყუმის მბრძანებელი
- 100 — ჯავახიშვილი — 100
- 108. არჩილ ბარამიძე — ივანე ჯავახიშვილი და ძვი-ლი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური სა-პიტიხები
- 120. რამაჯ პატარიაძე — ივანე ჯავახიშვილი და ქარ-თული დამწერლობა
- 135. იოსებ მებრელიძე — მოგონებები ივანე ჯავახი-შვილზე

## წერილები

- 141. ანრი გოგვირაძე — დიდი მემკვიდრეობა
- 145. იაროშირ იეფლიჩკა — გიორგი ლეონიძე. ჩეხუ-რიდან თარგმნა ალექო კაკულაძემ

## ლიტერატურის მატთანა

- 153. იაკოვ ბალახაშვილი — ცხოვრება ალექსანდრე მავკავაძისა. გაგრძელება

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

## სარედაქციო კოლეგია:

- ჭაბუა ამირეჯიბი,
- ვალერიან ბაჭრაძე,
- გურამ გვირგვინი,
- გივი გეგეჭკორი,
- რისმაგ გორდუნიანი,
- გიორგი გუბლია,
- ნოდარ დუმბაძე,
- 19) ირაკლი ელიოვიშვილი,
- ელეონორ მენაბდე,
- ოთარ კახიკორია
- (მასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ წერეთელი,
- ტარიელ ზანტური,
- რეზო ზვირიძე.

# ქეობის სიმეორე

ჩვენს ჟურნალს მოძმე ოსი მწერლების ნაწარმოებთა გამოქვეყნებით არაერთხელ გაუხარებია ქართველი მკითხველი.

რედაქციას მომავალშიც მრავალი ასეთი შეხვედრა აქვს ნაწარმოებში.

„ცისკრის“ ეს ნომერი ამ ძმური ურთიერთობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

პოსტა მარლითი

## ჩემს ახალგაზრდობას ღაპიქება

სად გაქრა ახალგაზრდობა,  
სად არის მისი გზაკვალი!  
გათავდა?

შეწყდა ბილიკი?  
ჩადგა ოცნების აკვანი?

იქნება კლდეზე გაქვავდა,  
იქ რომ მაღალი ხეგია,  
ან იქნებ ქვაზე წაიქცა,  
წელი ვერ აუთრეგია?

თუ ფარას მიერეკება  
და გზა დაებნა წანწალით,  
თუ გათომილი ჩიტივით  
ბუჩქზე კანკალებს საწყალი?

თუ სალამური გათალა,  
რომ დააკენესოს ანაზდად,  
იქნება ცელი აილო  
და ცელით მისდევს ყანასა?

გაი თუ, გადაიწყვიტა  
იმედი, ცაო მაღალო!  
იქნება ღრუბლად გადაიქცა,  
რომ მიწა ააღადანოს!

იქნება ჰკოცნის მთვარიან  
ღამეში სულზე უტკბესი,

იქნებ სიზმარი გაუფრთხა  
და დარდით გული უკენის?

იქნებ ომშია, მუხანათს  
შაშხანით გადაეღობა  
და მზრუნველობით მასარას  
აფარებს დაჭრილ მეგობარს!

იქნება შრომობს, უშრომლად  
არა ყოფილა არასდროს,  
იქნებ კალამი აილო,  
რომ ფიქრი ქალაღს გაანდოს!

იქნებ სივრცეში გასტყორცნა  
ჩვენმა დიადმა დღეებმა,  
ან იქნებ ადამიანი  
რომ იხსნას, სიკვდილს შეება!

იქნებ შორს არი, ყველაფერს  
ქარივით თავზე ეგლება,  
გაი, რომ ახალგაზრდობას  
გული ვერ დაედენება!

ეჰ, იქნებ ახალგაზრდობა  
კვლავ დატრიალდეს მორეგად,  
თუმცა რას ვამბობ, იმისი  
ვინა თქვა განმეორება!

თარგმნა გივი გეგეჭკორა

ა ნ ლ პ რ კ ი

„როცა მოვკვდე, იქ დამმარხეთ“...  
ბ. შავჩინაძე

როცა მოვკვდები, ვამბობ ახლავე,  
დოღს ნუ გამართავთ ძველებურ წესით,  
აიმ გორაზე დამასაფლავეთ,  
სად ამაყ მუხას გაუდგამს ფესვი-  
არ მაშინებდეს სეტყვა და თქემი,  
როგორც ზორბალი, დამფალით დაბლა,  
მინდა თავსხმაში, წვიმიან ღღემი,  
ელვის ისარი აპობდეს საფლავს-  
შემიკრან კუბო მუხის ტოტისა,  
ამოარღვევენ მიწას ყლორტები,  
ჯიმიან ნერგზე თქვან, ამოდისო,  
მუხა სამზეოს ნურც მოშორდება.

დილით არწივთა მოვისმენ ყივილს,  
ვიგრძნობ — იმ მუხის ტოტებზე სხედან,  
მეც გამაღვიძებს მცხუნვარე სხივი,  
არ ვემგანები უსულო ცხედარს.  
მუხის რკოები, როგორც ტყვიები,  
მოჯარდებიან დამცველად, ფარად;  
ფოთლები, ქარში შენაცები  
იჩურჩულებენ ჩემზედაც მარად-  
როცა მოვკვდები, თხოვნა მაქვს ერთი,  
ესაა ჩემი სურვილი, ნდომა, —  
დამმარხეთ მოკლულ ბიჭების გვერდით-  
ვინც შეიწირა სასტიკმა ომმა.

თარგმნა ევზარ კვიციანიშვილმა

ხაჯუმარ ალგორთი

ბალახები და ხეები

მიწის უწყინარ ელჩებს ვარქმევ  
ხეებს, ბალახებს,  
ბალახებს, ხეებს, —  
კეთილდღეობას რომ იცავენ  
დიდი მიწისას,  
მიწით ცოცხლობენ  
და აგრძელებენ სიცოცხლეს მიწის.

მიწის სიღრმიდან გამოიტანენ  
მწვანე ყვავილებს,  
ცისფერს და წითელს.

გამოტანილი ყვავილებით  
მიწასა გვანან.

მიწის ენაა იმათი ენა,  
თბილი და ჯერაც არგავონილი.  
ოსურ ენას გავს მათი ენა,

ჩემს მშობლიურ ენას გავს იგი.  
ხეები და ბალახები  
ჩემს ენას გვანან.

ხომ ხშირად გახლავთ განსხვავება  
ძმათა შორისაც,  
კოსმიურადაც შეიძლება  
გაზომვა მისი.

მაგრამ ისინი, —  
მიწის ენა და ოსის ენა,  
როგორც თვალი თვალს —  
ისე გვანან ერთურთს ისინი.

ბალახები და ლურჯი ხეები,  
ლურჯი ხეები და დედამიწა, —  
აი, სიმბოლო მეგობრობის  
და სიყვარულის.

შთამომავალნი ხეების და ბალახებისა,  
მილიონობით შთამომავალნი,  
მოდგმიდან მოდგმით  
მოსდებიან მშობლიურ მიწას.

ქარაფებზე და უფსკრულებზე,  
კლდის ქანჩახებზე,  
ღრმად გაუდგამი ფესვები და  
ჩასჭიდებიან...  
და გვასწავლიან, რომ ძვირია  
ფასი სიცოცხლის.

მკერდგადედილნი ძლიერ ქარებს  
ელობებიან,

აჩერებენ და პირში ახლიან:  
— შეჩერდით წუთით!  
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,  
სადა გყავთ ძენი,  
სად ტირიან, რომელ მხარეში.  
რა გელით ბოლოს,  
ნუ თუ ასე მუქთა წანწალი?

ხოლო ხეები — ბალახებით  
ილტვიან ცისკენ...  
— რა არის იგი, რაიც მოსჩანს  
ზეცად ლურჯ-მწვანედ?  
ო, ღმერთო ერთო,  
იქნებ იქაც ჩვენი ძმებია!

## ბალადა მოხუცზე

იგი ცხოვრობდა,  
მხრებზე აწვა თავისი წლები,  
წლები მქუხარე, მდიდრული და  
აზვირთებული:

ცხრაასთოთხმეტი — იმპერიის,  
ცხრაასჩვიდმეტი —  
ოქტომბრის და  
ცხრაასოცი — ჩემი ოსეთის.

თოთხმეტში შვილი შეეძინა  
ჩვიდმეტს შვილები,  
ცხრაასოცში კი შეეძინა  
ბედნიერება...

ერთხელ, გამოჩნდა  
ჩვენი სოფლის ფოსტალიონი,  
სულ მხოლოდ ერთხელ,  
რაღაც სტჟვა და  
წაიყვანა უფროსი ბიჭი.

ყველას თავისი შაბათი აქვს  
და ორშაბათი,  
მოხუცისათვის სუყველა დღე  
გადიქვა ერთ დღედ.

უსახელო და შეზღუდული  
გახდა ყველა დღე.  
მრგვალი და გლუვი,  
როგორც საცერი.

დღის სიმრგვალეში,  
როგორც სარკეში  
იხედებოდა მოხუცი და  
ხედავდა პირმშოს,  
მხოლოდ და მხოლოდ  
პირმშოს ხედავდა.

სუყველაფერი ერთხელ ხდება  
რადგან ამ ქვეყნად,  
ერთხელ, ხმაურით დაენარცხა  
მიწაზე სარკე...  
მორჩა, გათავდა  
ნაკუწნაკუწ იქცა ყოველი,  
და მოხუცს დარჩა  
ცარიელი სიმრგვალე სივრცის,  
სიცარიელე  
მოწყენილი ჰორიზონტების.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

ალანური ბალადა

მოხატქუნებს ყუბანი ლოდებს...  
 ჩხავის ყორანი, —  
 ალბათ ხევში რაღაც დალანდა...  
 მდინარე, —  
 ვეფხვი, —  
 ღრღნის და ფხაჭნის კლდეებს და  
 კბოდეს, —  
 მდინარისპირას დგას სარდალი  
 მამაც ალანთა!

სუფევს სიჩუმე,  
 დამარცხების ჩამოდგა წამი.  
 დადუმებულა ბუკ-ნადარა, არ ისმის ჩქამი.  
 წელმოწყვეტილი  
 მზე  
 ლასლასით  
 გადადის  
 მთაზე,

კენწეროებზე მოსდებია  
 აღმური ნაძვებს.

ჯაჭვის პერანგი ბზინავს, როგორც ზვიგენის  
 ზურგი,  
 უკვირთ სიწყნარე მუზარადებს,  
 ხმლებსა და შუბებს.  
 დღე დღევანდელი ალანთათვის დღე იყო  
 ურგი, —

სევდიან ნისლით აკსებია  
 ხეობას უბე.

ომის ღვთაება  
 პომპეუსის მხარზე დადგა, —  
 ვასთირჯიმი<sup>1</sup> უწყის:  
 არსაქომმა<sup>2</sup> წაავო ბრძოლა!  
 სისხლს ორთქლი ასდის,  
 გეგონება ვულკანი ხრჩოლავს,

1. ვასთირჯი — ომის ღმერთი.  
 2. სარდლის სახელი

ძველი წყაროების მიხედვით, როცა პომპეუსი  
 კავკასიაში შემოიჭრა (65 წ. ჩვ. წ. ა.) მის წინა-  
 აღმდეგ ალანებიც იბრძოდნენ.

და მლამე ნისლი  
 უგემურად მიიწევს მალლა.

დგას არსაქომი,  
 სად ყუბანი გურგურით ჩარბის,  
 (წივილ-კივილით გადიპქროლა  
 წეროთა გუნდმა).  
 ხვალვე,  
 ბრძოლაში, —  
 ვაჟკაცური რიხით და ფანდით  
 ალანთა სისხლი  
 არსაქომმა აიღოს უნდა!

დაირტყა მჯიღი —  
 ჩაინგრია კინალამ მკერდი,  
 და როს მომხვდურებს უგინებდა  
 ცოცხალს და მკვდარსაც, —  
 მტრის ბანაკიდან  
 მეომარი ეახლა ერთი  
 და... საიდუმლო პომპეუსის —  
 ყოველი გასცა.

„— აბა, ვაჟკაცად მოლაღატე —  
 სად თქმულა,  
 ვინ თქვა, —  
 მტერი მოყვარედ არ იქცევა,  
 ბოროტი, ავი!“  
 აწივლა ხმალი არსაქომმა  
 ხრჭიალით კბილთა, —  
 და გოგრასავით წააცალა რომაელს თავი.

ასე ვისწავლეთ  
 ჩვენ გარჩევა  
 მოყვრისგან მტერის...  
 მას შემდეგ გრგვინავს ყუბანი და...  
 გმირებზე მღერის!..



ოსეთი ჩემს გულშია

მხოლოდ შენთვის უნდა ვენთო,  
სხვაგან ვერსად იბარბაცებს ჩემი ლანდი,  
ვიცოცხლო და მტლად დაგედო,  
რადგან ჩემში სამუდამოდ დაბინავდი.

სიყვარული სამშობლოსი —  
არის ყველა სიყვარულზე უნადღესი  
და სიცოცხლის ძარღვი მგოსნის  
ფეთქავს მხოლოდ მისი ფესვით.

ეს სიცოცხლე, ჩემთვის ერთხელ ნაჩუქარი,  
არის შენი საჩუქარი,  
ჩვენ ერთი ვართ და ეგ შენი საწუხარი  
არის ჩვენი საწუხარი.

ხეობებში ჰყვავის მხარე,  
სადაც ვიშივი და ავიდგი სადაც ფეხი,  
ოსეთია უშიშარი მეომარი,  
ოსეთია გამრჯე გლეხი.

მიყვარს, ჩიტი როცა მღერის და ნიაღვარს  
წვიმის შემდეგ ხეობა რომ დაახევებს,  
ისიც მიყვარს, როცა ენახავ  
ნიაღვი რომ აშრიალებს მწვანე ტყეებს.

ანთებული განთიადის წმინდა სხვივით  
შენი თეთრი მყინვარები მალალია  
და პირველი სიყვარულის კოცონივით  
შენს ველებზე ყვავილების დაღანია!

თარგმნა ზივი ბაგვაძორმა.

ლეთონილ ხარებათი

შენ, ოქტომბერი!

შენ, ოქტომბერო,  
ძალის მომცემი  
და უკვდავების დიდი წყარო ხარ.  
შენ ასხივოსნებ ჩემს ლექსს ოცნებით  
გახსენებ,  
ნათელ შუქად წამოხვალ, —

რომ დაივიწყოს ხესის მთამ დარდი  
და მის ქათქათა მწვერვალებიდან  
ისმოდეს ხმები ოსურ ფანდირის —  
თავისებური ბრწყინვალეობითა.

გადამიფრინეს თავზე ჩიტებმა,  
(რა უცნაური გულის კრთომაა!)  
უკანასკნელად ჩამომჭიკჭიკეს:  
„ — შემოდგომაა,  
შემოდგომაა!“

ედება ფოთოლს სიკვდილის ფერი,  
(თვალწინ სიცოცხლის ნაზი კედომაა!)

გაფითრებული ჩურჩულებს ღერო:  
„ — შემოდგომაა,  
შემოდგომაა!“

და გულიც ჩემი — მოუსვენარი,  
საყვარლის გულთან ახლა რომაა,  
შემფოთებული ჩურჩულებს ჩუმად:  
„ — შემოდგომაა,  
შემოდგომაა!“

## დავით ჯიორჯს

გეყოთ ტანჯულზე ტირილი,  
ცრემლები თვალებს დაგვიწვავს:  
ხელები დავიკაპიწოთ  
და მივაბართ ამ მიწას.

ნუ გეშინიათ,  
ვაჟკაცის  
სიცოცხლე არ გათავდება,

მარცვალი კარგი იყოს და  
სულ თქროდ დათავთავდება.

ამოვა, ამონათებს,  
როდი დაკარგავს თავის ფასს  
და სელ-პირს შვილი ბუნების  
დილის ცვარ ნამით დაიბანს.

თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

## ილია კლივიძი

---

### კეთილი სიტყვა

ძველად ნათქვამ  
სიტყვის ქუხილს  
ვისმენ როგორც სროლას:  
— „გაუმარჯოს ბრძოლას,  
ოღონდ —  
პატიოსან ბრძოლას!“

დღესაც ვიტყვი:  
— გაუმარჯოს

სინათლისკენ სრბოლას, —  
სამართლიანობისათვის  
პატიოსან ბრძოლას!

მიწის შუქი ცად აცურდა,  
დღე ანთია ბროლად!  
გაუმარჯოს ვაჟკაცურ და  
პატიოსან ბრძოლას!

თარგმნა გივი ძნელაძემ

## სარგო მინდიაშვილი

---

### აპრილის თვეები

ყველაზე მეტად აპრილის თვეში,  
ატმის ყვავილთა თოვლსა და თქეშში,  
ქალნი და ვაჟნი ვგავართ იკაროსთ  
და აფროდიტეს კალთა გვიფარავს.

ყველაზე მეტად, როს თეთრად გვათოვს,  
ჩვენ სიყვარულის სიმღერა გვათრობს;  
და გვაგონდება აპრილი,  
როცა  
აგვისრულდება დედათა ლოცვა.



# კ ი ლ კ უ ს ი

## გოთსრობა

პატარა ჩვენი სოფელი. სულ რაღაც ოთხას-ხუთასი კომლი თუ სახლობს აქ, ამიტომ ყველა ერთმანეთს იცნობს, ერთმანეთის კარგიც იციან და ავიც. უკუღმართი, ბოროტი კაცი ხალხს ვერსად დამალდება, იმწამსვე სააშკარაოზე გამოიყვანენ. ჩვენთან ისე როდია, როგორც დიდ ქალაქებში. იქ გინდ კაცი გიძებნია, გინდ თივაში ჩაკარგული ნემსი... ერთმანეთის ამბავი მხოლოდ ნათესავებმა და უახლოესმა მეზობლებმა თუ იციან. მეზობლებმაო, ვამბობ, მაგრამ განსხვავება აქაც არის, შესაძლოა, ორი ოჯახი მთელი სიცოცხლე გვერდიგვერდ ცხოვრობდეს, ერთმანეთისა კი არაფერი იცოდეს, ის კი არა, ზოგჯერ არც ესალმებიან ერთიმეორებს.

პატარა დაბას და დიდ ქალაქსაც თავ-თავისი ღირსებები აქვთ, ღმერთმა ორივეს სიკეთე მისცეს, მაგრამ ამჟამად ეს არ გახლავთ ჩემი თბრობის საგანი, სულ სხვა საკითხზე მინდა გესაუბროთ. უბრალოდ, ერთმა პატარა შემთხვევამ დღეს სულით-ხორცამდე შემძრა და მანატრებინა, ნეტავი, დიდი ქალაქში მაცხოვრა-მეიჟი.

ბავშვობიდანვე მგრძნობიარე გული დამყვა, თანაც ცოტა ფიცხიც გახლავართ და თუ ვინმემ მაწყენინა, ადვილად ვერ დავივიწყებ. საკმარისია, ჩემს შეურაცხმყოფელს დიდი ხნის მერეც სადმე გადავყარო, რომ გუნება მომეშხამოს. მერე მთელი დღე უხასიათოდ ვარ, ადგილს ვეღარ ვპოულობ, ვერც სამუშაოს ვუძებ გულს. რაღაც გაურკვეველი სევდა მიპყრობს და მაღიზიანებს. ძალიანაც რომ ვეცადო, უგუნებობას ვერ დავფარავ და მინდა თუ არა, უკმეხად უნდა მოვექციე ვინმეს. აი, დღესაც ერთ-ერთი ჩემი თანასოფელელის საქციელმა მეტად აღმაშფოთა და შეურაცხყო. ჩემდა საუბედუროდ, ეს ისეთი კაცია, არ იქნება, ყოველ დღე სადმე არ შევადფეთო...

ხანჩელას დიდი ხანია ვიცნობ, მას ყველა ძაღლებს დამჭერს ეძახის, — უბატრონო ძაღლებს იჭერსო, ამბობდნენ, კი არ იჭერს, იქ-

ვე კლავსო, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დღემდე მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. ამიტომ მის მიმართ საკმაოდ გულგრილად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ახლა... არა, რაღა მინცდამინც ჩემს თვალწინ უნდა მომხდარიყო ყველაფერი... სამუშაო რომ დამთავრდა, ჩემს ხუთი წლის გოგონას საბავშვო ბაღში გავუარე და შინ წამოვიყვანე. ნელ-ნელა, ბაას-ბაასით მოვდიოდით. ის იყო, სახლს მივატანეთ, რომ ვიწრო შუკიდან სროლის ხმა და ძაღლის გაბმული ყმული-წყავწყავი შემოგვესმა. ძალაუნებურად ორივენი იქითკენ შევბრუნდით, სწორედ ამ დროს ხანჩელა დაჭრილ ძაღლს მიუახლოვდა, თოფის კონდახი მძლავრად ხეთქა თავში და სამუდამოდ დაადუნა. მერე უკანა თათში წაავლო ხელი და მანქანის ძარაში მოისროლა. ჩვენს თვალწინ წამიერად გაკრთა პატარა ჭრელი ძაღლის ლეში.

ჩემს გოგონას შიშისა და გოცეებისგან თვალები გაუფართოვდა. უმწეოდ მომჩერებოდა, ატირებდას ცოტალა უკლდა.

— მამიკო, რატომ მოკლა იმ ძიამ ძაღლი, რა დაუშავა? რისთვის ხოცავენ ძაღლებს?

არ ვიცოდი, რა მეთქვა და ტუყილი მოვიპველიე.

— ასეა, ჩემო გოგონა, ცუდი ძაღლები უნდა დახოცონ, სოფელს მოაშორონ.

— კი მაგრამ, ზაგარა კარგი ძაღლი იყო, ხშირად მეთამაშებოდა, მეფერებოდა.

დახე, ბავშვს სახელიც სცოდნია, ერთადაც უთამაშნიათ. რა უნდა მეთქვა პასუხად? ისევ დუმილი ვამჯობინე. გოგონა ხელში ავიყვანე, დავუკვავე, ხანჩელასკენ აღარც გამიხედავს, სწრაფად გავსწიე შინისკენ.

ჩვენს ეზოში მეზობელი დამხვდა, ქირურგი ტაურბეგი, ძელსკამზე ჩამოჭდარი მელადა, თან თავის განუყრელ ჩიბუხს აბოლებდა. ბავშვი ჩამოვსვი, ვუთხარი შინ შესულიყო, მე კი ექიმს მივესალმე და მის გვერდით მოვკალათდი. ტაურბეგი მხიარული კაცია, მასთან საუბარი ყოველთვის სიამოვნებას მგვრის. ახ-

ლაც ვიფიქრე, ცოტა გულს გადავყოლებ-მეთქი, არ მინდოდა შინაურებს ასე გაღვნიანებული ვენახე. ტაურბეგმა იმწამსვე შემატყო, ხასიათზე რომ არ ვიყავი და უგუნებობის მიზეზი მითხა. როცა მოვუყევი, რაც მოხდა, თავი უპაყოფილოდ გაქანია, წარბი შეუარა და თქვა:

— ვერ არის კარგი ამბავი. სირცხვილია. ძაღლს ჩვენს წინაშე რა ბრალი მიუძღვის. ოდესღაც ადამიანს მოუშინაურებია და ახლა დამოუკიდებლად ცხოვრება აღარ შეუძლია, ამიტომ უნდა შევიკედლოთ, მოვუაროთ. ამბობენ, ტყავის გულსითვის ხოცავენო.

— მესმის, მაგრამ განა აუცილებელია, ბავშვების თვალწინ დახოცონ?!

— გეთანხმები. ზომიერება ყველგან საჭიროა.

ამგვარად მივყევ-მოვყევით და ბოლოს ტაურბეგმა ერთი საინტერესო ამბავი მომიტხრო:

— ათი-თორმეტი წლის ბიჭი ვიქნებოდი — დაიწყო მან. — დედის ნათესავებმა მეზობელ სოფელში სტუმრად წამიყვანეს. მასპინძლისას ძუ ძაღლი და სამი პატარა ლეკვი დამიხვდა. ვერ ავიწერ, როგორ შემიყვარდა დანახვისთანავე ის პაწაწინა, უმწეო არსებები, გულში ვნატრობდი, ერთ-ერთი ჩემთვის დაეთმოთ, თქმით კი ვერაფერს ვამბობდი და საშინლად ვიტანჯებოდი. მეგონა, რომ მეთხოვა, უარს მეტყუოდნენ, ლეკვს არ მომცემდნენ, ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, ერთ-ერთი მომეპარა და ავისრულე კიდეც სურვილი. ერთხელ, როცა მასპინძლები შინიდან გაიკრიფნენ, ლეკვს ტომარაში ვუკარი თავი და დედაჩემს დიდი განძივით მივაყენე კარზე. ლეკვს კილკუსი დავარქვი. იგი მალე წამოიწარდა და შესანიშნავი ძაღლი დადგა. ჰოდა, დღეს თუ ცოცხალი ვარ და მზეს კიდე ვუშვებ, ეს სულ კილკუსის წყალობითაა, დაიხ, დაიხ, სიმართლეს მოგახსენებ.

საქმე შემდეგში იყო, სტუდენტობისას ქალაქად ვცხოვრობდი. ერთხელ, ზამთარში, სწორედ თებერვლის დამდეგს, დასვენების წინა დღით, გადაუღებელი საქმის გამო, გადავწყვიტე, სოფელში დედასთან ავსულიყავი.

დღისით კარგა გვარიანად თოვდა, მერე ქარბუქიც ამოვარდა, გზები და ბილიკები თოვლმა დაფარა, როგორც ზღაბებში იტყვიან ხოლმე, მთა და ბარი გაასწორა. კაცი შინიდან ცხვირს ვერ გაჰყოფდა. მთელი თვე იყო ჩემიანები არ მენახა, თანაც საქმელ-სასმელი და ფულიც შემომეღია. წაუსვლელია არ იქნებოდა, ასეთ ამინდში კი გარეთ ძაღლიც არ გაიდებოდა, ბოლოს, როცა ამინდს საშველი არ დაადგა, გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი და გამგზავრება შემდეგი კვირისთვის გადამეღო. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, საღამოს ქარბუ-

ქი ჩადგა, ამით ვისარგებლე და დაუყოვნებლივ გზას დავადექი. ვფიქრობდი, ჩემისთანა ბიჭისთვის რა დიდი ბედენაა რაღაც თორმეტობედ კილომეტრის გავლა-მეთქი. მაშინ სოფლად ჩერ კიდეც ცუდი პირობები იყო. ავტობუსები არ დადიოდა, არც გზები გვიფარგოდა, ავდარში ხარ-ურმითაც კი ქირდა ხოლმე მგზავრობა, ამიტომ მუდამ ცას შევუტრებდით.

გაცდი თუ არა ქალაქს, ერთ ნაკვალევს წავადექი. ეტყობოდა, ჩემამდე ვიღაც მგზავრს გაევლო. მაგრამ ნაფხურები თოვლს ძლივ-ძლივობით აჩნდა.. თუ რა ძნელია ახალ ნათოვარზე სიარული, განსაკუთრებით გაუკვალავში, იცის მხოლოდ იმან, ვისაც ეს გამოუცდია, გაჭირვებით მივიდიოდი, უგზოზე მივაბიჯებდი, მეგონა, წინ მივიწე-მეთქი, ფეხს კი ძლივს ვინაცვლებდი. ძველი ნაკვალევი ხან სულ ევარებოდა თვალს, ხან აგერ-აგერ გამოჩნდებოდა. ტრიალ მინდორზე ქარი ისევ ზუზუნებდა, ზოგჯერ თოვლს ახვეტავდა და ფიჭუების კორიანტელს სახეში მასვრიდა. ძაღლზე დავიქანცე, თან წყურვილი მომეძალა. დროდადრო თოვლს ვუღაბავდი და ყელს ვიკრილებდი. მაინც ვცდილობდი, მხნედ მეველო. გზის გასწვრივ, მინდორში, ხეები მოჩანდა. კარგად ვიცოდი, სად რომელი ხე იდგა და მათი მიხედვით ვვარაუდობდი მანძილს. აგერ, პანტა მსხალიც გამოჩნდა. იგი გზის კიდიდან ასე, სამოციოდ ნაბიჯზე იყო ამოზიდული. ამ აღვიღს რომ მივატანდით, ჩვენი თანასოფლელები იტყუოდნენ ხოლმე, ახლა სწორედ შუა გზაზე ვართო. ახლაც ამ ხეს მივჩერებოდი, მაგრამ რატომღაც მეჩვენა, ძალიან ახლოს ჩავუარე გვერდი-მეთქი. თუ ასე იყო, გზას რამდენადმე უნდა ავცდენოდი, მაგრამ იქ კვალი გარკვევით აჩნდა თოვლს და ძალაუნებურად თავისკენ მივიდავდა.

ამსობაში ქარბუქი ისევ ამოვარდა. თავს ძალა დავატანე და ფეხი ავაჩქარე, ღმერთმა ნუ ქნას, დიდანდელივით ითოვოს, მაშინ ცხვირწინაც ვედარაფერს დავინახავდი, ანაზღად კვალი გაქრა... უკვე გვარიანად მოსაღამოვდა თუ ქარბუქის გამო მეჩვენა ასე, არ ვიცი, მაგრამ უეცრად საზარელი ფიქრი დამეფულა, ხომ შეიძლებოდა ამ ტრიალ მინდორში, დალილ-დაქანცულს, მგლის ხროვა დამსხმოდა თავს? მაშინ მშვიდობით, იქვე დამფლეთდნენ. ერთს არც მე შევუშინებდობდი, დანით გამოვჭრიდი ყელს, ამის გაფიქრებაზე ხელი უნებლიეთ ჩიბისკენ გავაქანე და აღესილი დანის პირი მოვსინჯე. თუმცა იქნებ დანა არც დამჭირებოდა, გაგონილი მქონდა, მგელი ხროვის გარეშე ადამიანს თავს არ ესხმისო და ამით ცოტათი გულს ვიმშვიდებდი.

ქარბუქი სულ უფრო და უფრო ძლიერდ-

ბოლა. ჩემს წინ მთელი სივრცე თოვლმა ამოქოლა. საღდაც, მთების გადაღმა ქარმა შემოქარული ღრუბლები გაფხრჩინა და წაშით გამოჩნდა მთვარის ცივად მოლივლივტი დისკო.

საათი არ მქონდა. საწყალ სტუდენტს იმ დროში საათს ვინ აღარსებდა? დროს მთვარის მიხედვით ვიგებდი. გუშინ ამ დროს, მთვარე ქედს რომ გადმოსცდა, საღამოს შვიდი საათი იყო. დღეს უფრო მოგვიანებით ამოვიდოდა ღამის მნათობი ცაზე, მაშასადამე, ჩემი ვარაუდით, ახლა ზუსტად შვიდი საათი უნდა ყოფილიყო.

მივდიოდი, მივაბიჯებდი, მაგრამ საით ვერ ვსაზრობდი. ქარი სტენით უვლიდა დავლურს და ნამქერს ცხვირ-პირში მაყრიდა, თვალები და ცხვირის ნესტოები თოვლის ფიფქებით მქონდა ამოვსებული. ირგვლივ მხოლოდ ფანტელები როკავდნენ გაშმაგებით. არა, უმეჭველად ამებნევა გზა. ვერც ბუჩქნარი დავლანდე საღმე და ვეღარც ხეები, შუქი არსით ციმციმებს, ჩემს გარშემო მხოლოდ საშინელი ქაოსია. მარტოდმარტო ვარ შთენილი ცასა და დედამწიფას შორის. მინდა ვიყვირო, მშველელს მოვუხმო, მაგრამ რა საქირია, ვის მივაწვდენ ხმას?

ბავშვობაში გავიწილი მქონდა, ასეთ ქარბუქში არ უნდა დაჯდე. მუხლი არ უნდა ჩახარო, თორემ იმწამსვე ნამქერში ჩაიჩუქებები, ოღნავ შეთბები თუ არა, ჩაგვიინება და მერე მშვიდობითო. არა, სჯობია, ვიძოძრავო, ვიარო. დროდადრო ქარი ისევ ფხრეწს ღრუბლებს და საღდანდაც მთვარე იჭყიტება, მაგრამ წამსვე მოიბურავს ხოლმე სქელ პირბადეს და ისევ მიიმალება. მაინც მისი წყალობით, მგონი, სწორ გზას ვადგავარ. ზოგჯერ წელამდე ნამქერში ვეფლობი, მუხლები მეკეცება, დაოსებული ვიხედები უკან, ჩემი ნაფხურები თოვლს აღარსად ატყვია. გულს ბავაბუგა გაუდის, ტვინი ავადმყოფურად სწრაფად მუშაობს, შიში თანდათანობით მოშეძალა: რატომ წამოვედი? საით მივდივარ? ჩვენი სოფელი აქეთ არ უნდა იყოს. ხე მაინც ჩანდეს საღმე! მთელი სხეული დასვენებას იბხოვს, მაგრამ დაჯდომა ვერ გამიბედა, მგლების სროვაზეც აღარ ვფიქრობ. ნამქერი სულს მიხუთავს. ლოყებს ვისრეს, მაგრამ სისველის გარდა, ვერაფერს ვგრძნობ. სხეულის სითბოს ალბათ თავისი გააქვს, თოვლის ფიფქები სახეზე მადნება. მოდი, დავჯდები და ცოტას წავთვლემ, სულ ცოტას. თავს ავარიდებ ამ ქარბუქს, თოვლს, ცდუნება იმდენად ძლიერი იყო, თავს ვეღარ ვძლიე და თოვლში ჩავკეტი. ფიფქებში ჩაძირულს საუცხოლო გრძნობა დამეუფლა. ფიქრმა მხოლოდ უფრო მეტი შემიხვდა და შინისკენ გამაქანა, მომეჩვენა, თბილ საწოლში ვიწევი, ღუმელი მხიარულად გუზგუზებდა, ხმელ შეშას ტკაცატკუცი გაუდიოდა,

ღუმლის კარიდან ტკრციალით ცვიოდა ნაპერწკლები, ზოგი ლოყაზეც დამეცა და კანი ამიწვა, იმწამსვე ჩავაქრე ხელით, რომ ცეცხლი არ მომდებოდა. ქვაბში კერძი იხარშებოდა. საქმლის სუნი საამურად მილიტინებდა ნესტოებში. რა ტკბილია მშობლიური კერა, რა თბილი და ფაფუკია ჩემი საწოლი. მთელი სხეულით ზედ გავიშოტე. „არა გზოა? შექამე რამე“, — მიუბნება დედა. მინდა ვუპასუხო, დამაცადე, ცოტას დავისვენებ-მეთქი, მაგრამ ენას ვერ ვაბრუნებ, სიტყვები საღდაც მკერდში ჩამრჩა უთქმელი. სითბომ სხეული მთლად მომიღუნა და აღარაფერი მესმის.

ცოტა ხნის შემდეგ მომეჩვენა, ჩვენი სახლის სახურაზე რაღაც თუ ვიღაც დადის-მეთქი. ამაწ გამაღიზიანა. მინდოდა თვალი გამეხილა, მენახა, რა ხდებოდა, მაგრამ ქუთუთოები ტყვიასავით დამმძიმებოდა და ერთმანეთს შეწებებოდა. „ნუ დეღავ, შვილო, ნუ დეღავ, დაიძინე“, — კვლავ ჩამესმა დედის ტკბილი, აღერსიანი ხმა და ლოყაზე მისი თბილი ხელიც ვიგრძენი, ხელმა ნელ-ნელა გადაინაცვლა შუბლისკენ. რა უნდა იყოს ადამიანისთვის დედის აღერსე უფრო ტკბილი.

არა, ეს სინამდვილეს არ ჰგავს. კომარაა, საზარელი კომარა!

სითბომ ერთიანად მომიღუნა სხეული. ქვაბში წყალი თუხთუხებს, და ოხშივარი ახდის. მიტომ თუ დაცხა ასე საშინლად. ეზოდან, ღრიჭოდ დარჩენილ კარში კილკუსის წკმუტუნის მესმის. აჰა, შეჰყეფა კიდეც. ალბათ ეზოში თუ გავიდა ვინმე. „დედი, გახედე ძაღლს, რაღაც აწუხებს“ დედის ხმა უკვე აღარ ჩამესმის, კილკუსი კი მეტად და მეტად წკმუტუნებს, ახლა უკვე წკავწკავებს, თითქოს რაღაცამ შეაშინაო. როგორ მამტკრევს ტანში, რატომ ვერ გავნძრეულვარ, რამ შემბორკა ასე? ვერც თვალი გამიხელია, კარი უნდა გავუღო ძაღლს, ენახო, რამ შეაშინა.

უეცრად კარი ყურთამდე გაიღო, კილკუსი ოთახში შემოიჭრა, კუდს აქიცინებს, სახეს მილოკავს, მელერსება,, მომშორდი-მეთქი. მინდა ვიყვირო, მაგრამ სიტყვა ვერ დამიძრავს. ძაღლი ახლა ხმამაღლა აყეფდა. შევიშველენ, თვალი გავახილე, ოჰ, ღმერთოო, სადა ვარ? თოვლში ვაშოტილი ვაგლივარ. ჩამძინებია, თავს მშვიერი მეგლე მადგას და სადაცაა ყელს გამომადრავს. აჰა, დრუნჩი სახესთან მოაქვს. შიშისაგან გონს მოვეგე. სხეული ცვილივით გამხდომოდა, თვალები მეგლიტებოდა, რა ტკბილ სიზმრებში ვიყავი... ახლა კი... თოვლით დაფარულ პირქუშ ველზე ვვლივარ, თურმე ნამქერისთვის შემოფარებია თავი.

მელიტონ ბაბულითი  
კილკუსი

მაგრამ ჩუქ უფრო ხომ არ მატყუებს? ჩემს გვერდით ძალღი ჰყევს. წამოვიწიე. ქარის სტვენა-გრაიალში ძაღლის შეწუხებული ყმული და ყეფა ჩამესმა. „კილკუსი, ჩემი კილკუსი. თუ ესეც სიზმარი არ არის, კილკუსი აქა, ჩემს გვერდით. აქა და ჰყევს, თითქოს მშველელს უხმობსო. ამ-ამ-ამ საწყალობლად ჰყევს კილკუსი: ამ-ამ-ამ... ჭკვიანი ძაღლი უკვე ლოყებს მილოკავს ახლა კი მართლა გამოვფხიზლდი, უკანასკნელი ძაღ-ლონე მოვიკრიბე და, როგორც იქნა, წამოვდექი. კილკუსი ზედ შემატოტა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მეღაქუცებოდა, კუდს იქნევდა, შემომოციცინებდა, აზრი იმდენად დამიბრუნდა, რომ მახსოვს, გავფიქრე, ახლა უკვე საშიში აღარაფერია, მგონი გადავრჩი-მეთქი, რომ შემძლებოდა, მოვხვედოდი ჩემს კილკუსს.

ქარიშხალი კვლავ მძვინვარებდა. ტორტმანით მივაბიჯებდი თოვლში, წინ კილკუსი მიმიძღვოდა. ზოგჯერ გაქცევას ლამობდა, მაგრამ ღრმა თოვლში ვერ ახერხებდა. ხან კარგა მანძილით დამშორდებოდა, ხან ისევ ჩემკენ მობრბოდა, თან სიხარულით წკმუტუნებდა. როგორც იქნა, მივუახლოვდით ფერდობს, სოფელში აქა-იქ სინათლე გამოკრთა, ძალა გამოიორკედა. დაღმართში ხაჩატურის ისე აღარ მიჭირდა. ამასობაში თითქოს ქარმაც იყუჩა.

გაჭირვებით მივატანეთ სახლს. დედამ რომ დამინახა, გაოცებისგან ხელიხელს შემოკრა, შინ შემიძღვა და სველი ტანსაცმლის გახდა დამიწყო. აღარაფრის თავი არ მქონდა, ვერც კი ვგრძნობდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ,

ოთახის სიბზომ დამარტანა. ღამით მახლდებოდა, მერე მთელი ორი კვირა ლოგინი ვლესე.

სიცოცხლე კილკუსის წყალობით შევინარჩუნე. ჩემმა ერთგულმა ძაღლმა გადამარჩინა, მეც სამაგიეროს ვუხდიდი, მისთვის არასოდეს მიწყენინებია. არ მახსოვს, სადმე წავსულიყავი, რომ გზაში არ მომგებებოდა, შინიდან წასულსაც კარგა დიდ მანძილზე გამაცილებდა ხოლმე. ჩემთვის დღემდე გაუგებარი დარჩა ძაღლის ამგვარი ინტუიცია, ანუ როგორც რუსები ამბობენ — ტელეპათია, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, არც ერთი ძაღლი არ დაბერებულა ისეთ პატივში, ჩემი კილკუსი რომ დაბერდა.

ტაურბეგის ნაამბობმა ძალზე ამაფორიაქა. კიდევ ერთხელ დამიდგა თვალწინ ძაღლების მკვლეელი ხანჩალა და გუნება უფრო წამიხდა.

ტაურბეგს დავემშვიდობე და შინ შევედი. ჩემი გოგონა კვლავინდებურად მხიარული აღარ მეჩვენა. ჩანდა, რაღაც აწუხებდა. ეს საქციელზედაც შევატყე და საუბარშიაც. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოქანდა და ნაღვლიანად მკითხა:

— მაშეკო, მაინც რატომ მოკლა იმ ძიამ ზაგირა?

დიდი გაჭირვებით შევძელი ლაპარაკი სხვა ლარზე გადამეტანა, რომ ბავშვისთვის წელანდელი უსიამოვნო შემთხვევა როგორმე დამევიწყებინა.

თარგმანა ეთერ თხზარბაქძემ.





მოსტროვაბი

მესამედაც რომ ჩამოიარა ნიკას ბიჭმა შარაზე და ღობის აქეთ, ეზოში თვალი მოატარა, მაშინ კი ველარ მოითმინა თედომ, კარგა შეთქვირებულ გოგოს, ყელგამოწეული რომ ეხვეწებოდა — არ გინდა, მამი, შენი ჭირიმეო! — ყურა არ ათხოვა და აივანზე გამოვიდა. ხელე-ბით მძიმედ დაებჯინა რკინის მოაჯირს, ნიკას ბიჭს ამღვრეული თვალებით გა-დაჰხედა და დაუძახა:

— ბიჭო, აბა ერთი აქეთ მოდექი!...

ნიკას ბიჭი შეცბა, გაჩერდა და ცოტა ხანს ეგრე იდგა, ზურგშექცევით. თედო დაბოლომილი შეჰყურებდა იმის გალულ კისერს, აწოწილ ტანსა და გამხდარ ბე-ჭებს. გასკდომაზე ჰქონდა გული. მერე, როგორც იქნა, მობრუნდა ბიჭი, გაიდი-მა და ნელა წამოვიდა ორღობეში.

თედო კიბეზე დაეშვა, ფეხებში გაბ-ლანდულ ძაღლს ღონივრად ამოუქნია წიხლი, პირგამეხებული ეზოს მოლიავე-ბულ ჭიშკარში ჩადგა და მარგილები-

ვით დიდრონი მკლავები გულზე დაიკრება.

კოპებშეკრული კაცის დანახვაზე ნიკას ბიჭს პირზე შეაცივდა ღიმილი, სახეზე ალმურმა აპკრა, გზის გადაღმა გაჩერდა და, ვითომც არაფერიო, იქიდან დაუქნია თავი:

— გამარჯობა, თედო ძია!

თედომ ხმა არ გასცა, დაბღვერილად შესცქეროდა. „რო გამოპრანჭულა კიდეც?! — ბოღმინად გაივლო გულში და ბიჭი კარგად შეათვალიერა — შარვალს დახე, შარვალს! იი, ე მაგას ქალს მივცემ, კაცო?! ამას ხომ უუ?“ — კბილები ააკრაჭუნა თედომ და ფერნაცვალ ბიჭს თვალები დაუბრაილა.

— აღარ მოეშვები ჩემი სახლის წინ წაწალს?

— რას გიშავებ, თედო ძია?!

— ბიჯო! — მუქარით დაიღრინა თედომ, — არ გეყურება, ამ გზაზე ავლილი აღარა გნახო-მეთქი!

— კარგი, მაშინ ერთ რამეს გეტყვი და...

— მე შენთან სალაპარაკოდ არა მცალია! ვითხარი და ვაკათავე, ჩემი სახლის წინ თუ კიდეც დამინახინარ. ისე გცემ, სახლში ველარ გიცნონ.

— რად მემუქრები, ადამიანო?!

— წადი, მოშორდი აქედან!

— თედო ძია...

— წადი-მეთქი!

— სანამ არ მომისმენ, არ წავალ!

— წადი, შვილო, რა სამგლე გოჭი-ვით ასეულხარ?!

— მათქმევინე, კაცო!

თედოს უარესად აემღვრა თვალები, გავეშვებული კამეჩივით დაიძრა ბიჭისკენ, მაგრამ ისიც მაგრად დაუხვდა — ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

— აი, რო აგიყვან და, რომ დაგაწყევტამ დედამიწაზე, არაა... — კბილებში გამოსტრა თედომ, — შენი ცოდვით ქვა დაიწვის!...

ბიჭი გაფაციცდა, ფერმაც გადაპკრა სახეზე. მაგრამ თედოს გასაკვირად გაქცევა არც უფიქრია, თვალებში მიაცქერდა და უცნაურად გაუღიმა.

სულ გადაირია თედო.

— რო იცინის კიდეცა, კაცო, ვერ უყურებ ამ შობელძალს, ამას?!

— შენა, თედო ძია, ხო არაფერი გეშლება?!

მთომინების ფიალა აევსო თედოს, მთელი ტანით გადაიხარა და ბიჭს ისეთი ძალით მოუქნია ხელი, იმას კი არა, რომ მოხვედროდა, ციხის კედელს შეანგრევდა, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ არ მოხვდა — ბიჭმა ოსტატურად ჩაყვინთა და წინ წაბარბაცებულს ხელიც კი შეაშველა...

ამან ხომ სულ გააგიჟა თედო, მკლავი დაუჭირა, მოგვერდი უყო და აბა, ვიღამ არ იცის, როგორა ჭიდაობდა თედო საბძლიშვილი! დრო იყო, იმისი მჯობნი ამ არემარეზე კი არა, მტკვარგალმაც არავის ეგულეობდა. ისეთი მოგვერდი იცოდა, ვერავინ უძლებდა, მაგრამ ახლა რა როგორ მოხდა, ღმერთმა უწყის, ისე კი გამოვიდა, რომ თედო პირქვე ეგდო მიწაზე, ზემოდან ნიკას ბიჭი გადასჯლოდა, ხელებში იმის გადაგრეხილი მკლავი ჩაებღუჯა და რალაცას ეხვეწებოდა.

ეზოში წივილ-კივილით გამორბოდა თედოს გოგო. აივანზე ელდანაცემი დედაკაცი გადმომდგარიყო, ხოლო გაალმასებული ძალი თავაწყვეტილი უვლიდა გარშემო ძირს გაგორებულ კაცებს და იქაურობას ყევით იკლებდა.

თვალებზე სიმწრის ცრემლი მოსდგომოდა თედოს, გაყუჩებულიყო, მის ცხვირწინ, მტვერში, სწრაფად მიხუსხუსებდა პატარა, ჟანგისფერი ჭიანჭველა, პირით მზესუმიზირას ჩენჩო დაებღუჯა და სადღაც მიჰქონდა. უაზროდ დასცქეროდა თედო იმის წვალეობას, რალაც უცნაურ სისუსტესა და სიბეჩავეს ისე დაერია ხელი, წარმოდგომას არც კი ცდილობდა, იწვა და ბედს შეგუებულ კაცის გულგრილობით უსმენდა უეცრად ატეხილ ხმაურს — ერთ, მთლიან გუგუნად რომ შენივთულიყო.

მერე ნელ-ნელა მოეგო გონს, წამოიწია, ბიჭმაც მაშინვე უშვა ხელი და



განზე გახტა. წამოჯდა თედო მიწაზე, ხელის გულეები ღონივრად გაუსვა ერთმანეთს, მუხლისთავებიც ჩაიბერტყა და აივანზე გადმომდგარ ქალს აღმაცერად განხედა.

— ვაიმე, მამი, რა გიყო ამ მხეცმა, ხო არაფერი გატყინაა!.. — წიოკით მოვარდა თედოს გოგო, თავჩაღუნულ ბიჭს პაწია მუშტები დაუშინა, მერე მკერდზე მიადო თავი და დაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები. იმანაც, იმ მაიმახმაც, მკლავი გადასდო მხარზე, ჩაეხუტნენ ერთმანეთს.

თედომ უყურა, უყურა და უთხრა:

— თქვენა, შვილოსა, საქმე გათავებული გქონიათ და... — მერე წამოდგა, საჯდომზეც ჩამოსვა ხელი. ჩამოიბერტყა, წელათრეული ეზოში შევიდა, ერთიც გაჰხედა გზაზე გაჩერებულ, ჩახუტებულ გოგო-ბიჭს.

— სულ დაკარგეთ სირცხვილ-ნამუსი?! როდემდე უნდა იდგეთ ეგრე, აღარ შემოეთრევით სახლში? — დაუყვირა გაბრაზებულმა.

მერე ქალს აჰხედა და მუშტი დაუქნია.

— აი... შენა მყევხარ საყვები, შენა!

— ქაა?!

— ბოსტანში მივდივარ და სანამ გადმოვალ, სუფრა გამლილი დამხვდეს თორემ, ხომ იცი?

საჩხებიდან ვედრო გამოიტანა, გზაზე გავიდა და უკან ადევნებულ ძაღლს დაუწრუბუნა. ნელა აიარა აღმართი. ეუცუნაურა, რაღაც სხვანაირი სიღინჯე შეჰპარვოდა ნაბიჯში. ჭრილით შეაღო ბოსტნის კარი, მიმოიხედა, ლობიოს წაქცეული სარი წამოაყენა, პიტნის ბარდებთან ჩაცუტქდა, ზედ გაგლასუნებულ ძაღლს კისერზე გადასდო ხელი და ისიც, პატრონის ალერსით გახარებულად, ზემოთ გავარდა, სირბილით შემოიარა ბოსტანი, ბებერ, დაკოჟრებულ ვაშლებქვეშ მიმაღული ქათმები ააკრიახა, ენაგადმოგდებული, ქაქანით მოვარდა უკან და როცა თედოს გარინდებულ სახეს წააწყდა, დაინახა მისი უცნაურად მოსევდიანებული თვალები, ჭანჭურის კენწეროებს მიღმა მიშტერებული ნაღვლიანი მზერა — სულ დაკარგა ხალისი. კუდამოძუებული გადავადა ბილიკზე, ბალახში ჩაწვა, წინგამვერილ თათებზე ჩამოდო დრუნჩი და დაღონებულმა იქიდან დაუწყო თვალთვალი.

## ს ა თ რ ნ ე უ ი

ისევ გაავდრდა. ხმელი ფოთლებით ამოვსებულ წუხანდელ გუბეებში წვიმის წვეთები აფაჩუნდნენ. მოსველდა შემწრალი მიწა. გზის გასწვრივ ჩარჩებულ ბებერ ქლიავებს გაფშეკილი ტოტები დაუძიმდათ. მაღალი სახლის კიბის ქვეშ დაბმული წითელი ხბო ნაღვლიანად გასცქერის წვიმას. ბუმბულაშლილი, აბუხული ქათმები საჩიხს შეჰხიზნიან. ჰაერში ბოლისა და პამიდვრის სუნი ტრიალებს.

კიბეზე გოგია ჩამოდის. კირზის დიდრონი ჩექმები აცვიო, მხრებზე დაბამბული ქურთუჯი მოუხუზრავს. მოქუფრული სახით უყურებს წვიმას. ცა ჩა-

მოდაბლებულა — სულთამხუთავივით დასწოლია სოფელს, ჩაშავებულ სერებსა და ჩამუქებულ ტყეს. ქვემოდან ადიდებული მდინარის ბუხუნი ისმის. დაფიქრებული უსმენს გოგია მდინარის ხმაურს, მერე სათონეში შედის. იქ ბნელა და ნახდის მომკაო სუნი ტრიალებს. ზედადგარზე საარყე ქვაბია გამართული. გეჯაში წყალი გამთბარა — ორთქლი ასდის. სპილენძის მილს ყელში მატყლის ფთილა აქვს ჩაფენილი, იქიდან პირმოშტერებულ, ადამისუამინდელ

ნუგზარ შატაიძე  
მოთხრობები

კოკურაში ჩაწანწკარებს არაყი. სათონის ხის კედლები გამურულა. ჩანავლულან რცხილის დიდრონი მუგუზლები.

ცეცხლის შორიახლო ჩაყუნცული დედაბერი სიმინდის ტაროსა ფხენის. ნაფხვენს კალთაში იგროვებს, ნაქუჩს ცალკე აწყობს. გოგია ნაღვლიანად დაცქერის დედაბერს, მერე გეჯასთან მიდის და მღვრიე, თბილ წყალში ხელს ურევს.

გარედან წვიმის ფაჩუნი ისმის. სათონეში ბოლი ტრიალებს და ნელა, უხალისოდ მიიზღაზნება გარეთ. გოგია ქვაბთან ჩაცუცქდება და სველ ხელს ცეცხლს უშვერს. ხელის ზურგზე წყლიდან ამოყოლილი ალუბლის ჟანგისფერი ფოთოლი მიჰკვრია.

— გატება, გოგი, ცეცხლი. — ეუბნება დედაბერი. გოგია გარეთ იცქირება. მესერგადაღმა, აჭონჭოხებულ გზაზე, ნახირი მიდის.

კამეჩებს ზედ აწვიმთ და გაქონილ, პრიალა გვერდებზე წურწურით ჩამოსდით წყალი.

ვილაც ტოტყი კაცი ტალახის ზელვით შემოდის ეზოში. განიერი საწვიმარი ლაბადა მოუხურავს და გოგია ძლივსღ სცნობს მეზობელს.

— აქეთ მოდის, აქეთ! — ეძახის და სათონეს მოათვალიერებს.

— ვინ არი, შვილო? —

— ვინ იქნება, დომბურია...

— გულმა გაუგო? გეთაყვათ?

კაცი ტალახიანი ჩექმების ფხაკაფხუკით მოდის და ეშმაკურად ეღიმება.

— არაყს ხო არა ხდი, გოგი?

— მამ!

— აკი არ უყვარხარ სიდედრსაო?!

გოგიასაც ეღიმება და ხელის ზურგიდან წკიპურტით იცილებს სველ ფოთოლს.

— გამარჯობა, დიდედო! — ხმამაღლა ეუბნება დომბური.

— რა გაყვირებს, განა დაყრუვდი! — სწყინს დედაბერს.

— ბიჭოს?!

გოგია პატარა სკამს უდგამს მოსულსა და სახლისკენ იყურება.

— დედაკაცო!

საჩინში შეხიზნული მამალი ინდაური ფრთხება, ხმამაღლა კიკვივებს. აივანზე ქალი გამოდის და დიდი, წითელი ხელებით მოაჯირს ეყრდნობა.

— ჩამოგვიტანე რამე!

— განა მაგითვინ მოვედი, შე კაი კაცო?! — ინაზება დომბური.

— დაჯე, დაჯე!

დომბური ჯდება და მუგუზლებს ეფიცება.

— აბა უყურე, როგორ გატება ცეცხლი. — დედაბერი თავს აკანტურებს. გარეთ წვიმს.

გოგია ნათალ ჭიქას არაყს უშვერს. არაყი წკანწკარებს და ჭიქაში დიდრონ ბუშტებს აჩენს.

— დილის მაღლი შეგვეწიოს!

— იცოცხლე.

ისევ წკანწკარებს არაყი. ჭიქა კვლავ ივსება.

— გაგვიმარჯოს! — ამბობს დომბური, — მრავალ შემოდგომას დაგვასწროს. — მერე სვამს და იჭყანება. — ცხელია, კაცო, გადანელება უნდა წყალსა.

სათონეში გოგიას ცოლი შემოდის, ორი პური და ჯამით მწიფე პამიდვრის წნილი შემოაქვს.

— თქვენები როგორ არიან, ბიჭო? — ეკითხება დომბურს და ჯამს თონეზე შემოდგამს.

— რა უჭირთ, ჭამის მაღა კარგი აქვთ და...

გოგია ჭიქას ავსებს და დედაბერს აწვდის.

— დაილოცე, დიდედო!

დედაბერს უკბილო პირთან მიაქვს ჭიქა და ილოცება.

— გოგი! — მესერგადაღმა ყვირის ვილაც.

— ნეტა ვინ არის? — ჩიფჩიფებს დედაბერი.

— სწორეა.

— ეგ რაღამ გადმოიყვანა, ამ ძან-  
ძახში, ქაა?!

— თაფლი იყოს, თორემ, ბუზი ბაღ-  
დადიდან მოვა. — იცინის დომბური.

— აქეთ, მოდი, აქეთ! — ეძახის  
გოგია.

ეზოში მაღალი მეველის კეტივით აყ-  
ლარწული კაცი შემოდის.

— ქვაბი გიდვას, გოგი?

— მოდი, აი დომბურიც აქ არი.

— აბა უმაგისოდ ხომ არაფერი იქ-  
ნება?! — იკრიჭება აყლარწული და ისე  
გამართული მოდის ზედგამოჭრილი  
„სწორეა“.

ისევ ივსება ჭიქა და ახლა სწორე  
იჭყანება.

— ცხელია, კაცო, რატო არ გადაანე-  
ლებთ?

— დაჯე, წნილი მიაყოლე!

— ამ ჭიქით ორი სახარება შეგვე-  
წიოს. — თამალობას ხელში იგდებს  
დომბური. დიდი, ნოლა ცხვირი შესწით-  
ლებია და ჭიქაში ალმაცერად იცქი-  
რება.

— შეგვეწიოს...

ქალს ახლა კობტად დაჭრილი ყველი  
და ნიგოზი შემოაქვს.

— საითა ხარ, კაცო, გოგი! — ისმის  
გარედან.

— ეგვეც თრითინა! — იცინის გოგია.

— მოდი, მოდი, ხელს უჭნევს სწორე.  
სათონეში შუატანის, გამხდარი კაცი  
შემოძვრება, თვლებს ისე აცეცებს,  
მართალი თრითინა გეგონება.

— ბარაქა თქვენ საქმეს! — იძახის  
და სავსე ჭიქასაც აჩეჩებენ. — მოიცათ  
ხალხო, საქმეზე ვარ მოსული...

— ჯერ ეგ დალიე!

— დილის მაღლი შეგვეწიოს...

— იცოცხლე.

— წყლის გამოცვლასა თხოულობს,  
გოგი, ცხელია.

— აი პამიდგრის წნილი!

— მოდით, ბიჭებო, აი ამ ჭიქითა,  
არა... სამი სახარება შეგვეწიოს!

— ეგ რა კარგადა თქვი, ეე? — უკ-  
ვირს სწორეს და ჭიქას ეპოტინება.

— პური, დედაკაცო, პური! — იძა-  
ხის გოგია.

დედაბერი ჩუმად ათვალეურებს კა-  
ცებს, კალთაში სიმინდს იფხვნის, ნაქუ-  
ჩებს ცალკე ახორავებს.

გოგიას ცოლს პური, მარილი და  
რთვილდანაკრავი, შემრეშილი პამიდო-  
რი შემოაქვს.

— ამ ჭიქითა, გოგი, შენ ოჯახს გა-  
უმარჯოს!

— ჭიქები აღარა გვაქვს, დედაკაცო?

— უი, მომიკვდეს თავი!

— ჰოო და იმას გეუბნებოდით, საქ-  
მეზე მოვედი-მეთქი... — დაიწყო თრი-  
თინამ.

— ოჯახს გაუმარჯოს, ბარაქა ნუ მო-  
გაკლოთ!

— გაგიმარჯოს.

— ეს ჩვენი თავმჯდომარე იძახის...

— ჭიქა გამომართვი, კაცო, რა დროს  
თავმჯდომარეა?!

— გაგიმარჯოს, დიდდო!

— რაო?

— გაგიმარჯოს-მეთქი!

— გაიხარე, შვილო, იცოცხლე...

სათონეში ქალი შემოდის, ჭიქები  
შემოაქვს.

— ვირაბრამას ბიჭია, გოგი, კვნი-  
წი, — სალესავი მათხოვეთო.

— დაუძახე.

— რა ვიცი, ჩქარობს, სადა აქვს  
შენახული, ჰკითხეო.

— შემოდი მანდ არ გამომიყვანო-  
თქო!

ახლა სათითაო ჭიქას იდგამენ და დო-  
მბური ხმას იბოხებს:

— მშობლები რომ არა გეყოლოდა,  
ხომ არც ჩვენ ვისხდებოდით ეხლა აქა  
და ეგრე ტყბილად არ ვიჭუჭუჭებდით,  
არა?

— მაშ, კაცო!

— ჰოოდა, ჩვენ მშობლებს გაუმარ-  
ჯოს!

— აი გაგიმარჯოს!

ნუზარ შახაიძე  
მოთხრობები

— ცოცხლებს ცოცხლად, წასულელების სსოვნა-მოგონება ყოფილიყს.

— გაანათლოთ...

— იცოცხლეთ, შვილო, იცოცხლეთ...

— გამარჯობათ, ხალხო, ქეიფობთ?

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

— რავი სალესავი დამჭირდა და ეს შენი დედაკაცი აღარ მომეშვა, გოგი, გეძახიანო.

— დაჯე კაცო, დაჯე!

— მცალიან დასაჯდომად?

— ნეტა რა ცალები გვიდაა?!

— ჭიქა შეუშვით, ჭიქა!

— გაგიმარჯოთ ხალხო, გაცოცხლოთ, დაგაბეროთ, დაგხოცოთ!

— ვერ უყურებთ ამ კვნიწსა?!

— ცხელია კაცო, გადავანელოთ!

— აი, სწორეც მაგას იძახის.

— მიაყოლე რამე, შე ოჯახქორო!

— წნილი აღარა გვაქ, დედაკაცო?

— ჭაა?! წნილის მეტი რა არი, თქვენ ჭამა შეიძელით!

კვნიწი პურს გასტეხს და პამიდორს ეძგერება. პატარაა — მარილის კვნიწით გალუული.

— ყველამ დალია? — კითხულობს დომბური.

— ემაგ კვნიწს დაალევიანე, ჯარიმა! — ეუბნება თრითინა.

— ჯარიმა რა, განა ის არი?!

— ჩვენ რო ექვს-ექვსი დავლიეთ?!

— რა ვიცი, კი არაფერი გეტყობათ და?!

ჯარიმას ძალით ასმევენ. მერე დომბური იძახის:

— ხალხო, მოდით, ჩვენ წითელ ღობეს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

— წითელ ღობესა!

— მაშ!

გარეთ ისევე წვიმს. შორიდან ყრულ ისმის ადიდებული მდინარის გუგუნნი. აქ კი, სათონეში წყნარად მოწანწყარებს არაყი და მისი სუსტი, მავრამ ჯიუტი ხმა გულგრილი სიმშვიდით ავსებს გამკვარტლულ სადგომს.

— ნეტა მართალია, რასაც თავმჯდო-

მარე იძახის?! — დაფიქრებული ამბობს თრითინა.

— შევამსოთ ჭიქები?

— შეამსეთ...

— ეს ჩვენი მდინარე უნდა დააგუბონო.

— მერე?

— რა ვიცი, უნდა დააგუბონ და ემარემარეზე მალე დიდი წყალსაცავი იქნებაო.

— მოდით, ამ ჭიქით ჩვენ კუთხე-ქვეყანას გაუმარჯოს!

— აი იცოცხლეთ!

— რავი თავმჯდომარე იძახის, მართალი იქნება. — ასკვნის სწორე.

— ჩვენ კუთხესაო, არა, დომბური?

— მაშ!

— გაუმარჯოს.

— ჩვენ ღამაზ საქართველოს გაუმარჯოს! — ყვირის კვნიწი.

— მოიცა, მოიცა! — იძახის გოგია, — როგორ თუ წყალსაცავიო?! მერე ჩვენა? სოფელი?!

— კი აღარ მათქმევიანეთ და... — ეუბნება თრითინა

— აუწი, აუწი, კვნიწო!

— მოიცათ, ხალხნო!

— უნდა აიყაროთო...

— როგორ, აიყაროთო?!

— აეგრე.

— აიღე, კაცო, დალიე!

— აკი დავლიე?!

— რაკი თავმჯდომარე იძახის, მართალი იქნება. — ასლოკინებს სწორე.

— აღარ უშლიან, ადამიანო?

— ქალაქთან რო დიდი მინდორია, იქ უნდა დაგასახლოთო!

— შენა, ძმაო, სამშობლოს სადღეგრძელოს რატომ არ მიირთმევ?

— ეს არემარე ზღვის ფსკერად იქცევაო გაგიგიათ?!

— რა ვიცი, რა ვიცი...

— მოდი, აბა, თითოც დავლიოთ და ორი იქნება...

— დავლიოთ!

— შეამსეთ ჭიქები. ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოთ, იმათ ძვლებს ვენაცვალე!

— გაგიმარჯოს!

— იცოცხლე!

დედაბერს პირი ღია დარჩენია, თვალებიდან ლაპალუბით სცვივა ცრემლი და როცა სლუკუნიც აუვარდება, მაშინლა მიჰხედავენ.

— რა იყო, დიდედო?!

— რა ნახე, დედაკაცო?

— ჩემი მიხას საფლავიც წყალში მოექცევა, შვილო?!

— დახე?!

— გაახსენდა, რას იზამ... — ფრუტუნებს სწორე.

— გაგიმარჯოს!

გარეთ ისევ წვიმს. სათონის კედლის ღრიჭოდან გამომავალი ყამრალი ბოლი მძიმედ ეფინება აჭონჭონკსულ ეზოს, გზასა და ნაფუზარს. ქვემოთ კი მუქარით იყფება აზავთებული, ყალყზე შემდგარი და გაალმასებული მდინარე.

## ო ა ი

ნათქვამია, ვისაც ომი საკუთარი თვალთ არ უნახავს, იმ საშინელებას ცხადლივ ვერასოდეს წარმოიდგენსო, მაგრამ როგორც კი ომზე ჩამოვარდება ლაპარაკი თვალწინ მაშინვე ერთი სურათი დამიდგება:

ხელისგულისხელა, დაგვილ-დამასამასებულ ეზოში, დაბლა სახლის ზღურბლთან, ჩიტის კვერცხივით გალეული თვალეზამოდამებული დედაკაცი მოკუნტულა და ჩუმად ტირის. ჭილოფზე გაშლილ ალაოს ქათმები მიჰსევიან, ცალი თვალთ გამოსცქერიან პატრონს და გაღვიებულ ხორბალს ხარბად, სულმოუთქმელად კენკავენ. იმას აღარც ქათმები ახსოვს და არც გასაშრობად გაფენილი მარცვალი. — ზაფხულია, ქვეყანა მწვანედ გადახასხასებულა, პატარა ოთახში კი ჭლექით დახრული თვრამეტი წლის გოგო წევს და კვდება...

უჩუმრად იცრემლება დედაკაცი, ხანდახან წასცდება სლუკუნი, მიიხედავს, მოხურულ კარს შიშით მიაცქერდება, გამხდარ, გაშავრკინავებულ მარჯვენას ნაოჭებსახმულ ტუჩებზე აიფარებს და იმდურება მალულად.

საჩხიდან ქამარში წალდგარჩილი გლეხკაცი გამოდის, ცოლს რომ დაინახავს, ჩერდება და ჩუმად, სევდაჩამდგარი თვალეზით დასცქერის. დედაკაცი ვერც იმას ამჩნევს, ზის და ჭაღარა თავი ურაცრაცებს. კაცი ახველებს, გაწუწუკებულ ქათმებს აუქმევს და ქა-

ლის ამოდამებულ თვალეზს რომ წააწყდება, ჩათუთქული, მძიმედ, ნაღვლიანად იქნევს თავს და ჭიშკარში უჩუმრად გადის.

ცოტა ხნის მერე გზაზე ტუტუნით ჩაივლიან ქალები, სველი, ცივი წყლით გაპილთუმებული კოჭურები მიაქვთ და ეზოს რომ გასცდებიან, კარგახანს ისევ აქეთ ეღრიცებათ კისრები. ვიშვიმებენ...

მზე საშუადღეოზე წამოსულა, ჩახუთულა პაერი. ნიაგი არ იძვრის და სოფელიც გასუსულა, გარინდებულა — ძალი რა არი, ძალიც კი არსად იყფება, მძიმე, უქმური სიჩუმე დასწოლია მიდამოს.

მესერგადადმა, გზაზე შავკაბიანი დედაბერი მობრაცუნებს. ცალი თვალთ იცქირება ეზოში. ქალს რომ დაინახავს, მესერს მოადგება და ეძახის:

— ბაბუცი!

დედაკაცი ტუჩებმოკუმული შეპყურებს მეზობელს, ნელა წამოდგება და მესერთან მიდის.

— რა ქენით, ნათლიდედ, არაფერი ისმის ი ბიჭისა?

— აბაბაბა... — ხელეებს ატატანებს დედაბერი. — თქვენისა?

— ოთხი თვე იქნება წერილი აღარ მიგვიღია...

— ღმერთოო, ჩემი კაბით დასხი იმ

ამაღლებული ჰიტლერის ცოლ-შვილი!  
— ზეცას შეჰღაღადებს დედაბერი და  
წასასვლელად როცა შებრუნდება, მა-  
შინდა კითხულობს:

— გოგო როგორღა გყავ, შე უბე-  
ღური?

— რაღაა იმისი ყოფნა, ნათლი-  
ღედ, — გული ამოუჯდება, დედაკაცს—  
თვალებადღაა ნაქცევია...

— შვილო, შვილოო! — მუხლებს  
ითქვიფავს დედაბერი და უილაჯოდ  
მილასლასებს შარახე.

ქალი საფენთან ბრუნდება, გაღვჯე-  
ვებულ ხორბალს უაზროდ დასცქერის  
და ჩურჩულებს: „რაღა ეგა, შე დალო-  
ცვილო, მე მომკალი, მე ჩასაქვავებელი,  
მე...“

სიცხის აღმური ასდის გარემოს.  
ქათმები ბარდებს შეჰხიზვნიან. გახუ-  
რებული მიწის მძაფრი სუნი ტრიალებს  
ჰაერში.

მალღა სახლიდან, კიბეზე ხელში  
ბალდატატებული ქალი ჩამოდის, დამ-  
წუხრებული სახით დასცქერის მოკუ-  
ხულ დედამთილს. ბავშვი ჭყლოპინებს,  
შეჰფოფინებს ბეზიას. დედაკაცი თვალ-  
ზე მომდგარ ცრემლს გულში იბრუნებს,  
თავშლის ყურით იმშრალებს თვალებს  
და უცებ სუსტი, ძლივსგასაგონი ხმა  
მისწვდება იმის სმენას; — დედი, დე-  
დი!...

მკვირცხლად ბრუნდება ქალი, უცნა-  
ურად ეცვლება სახე, უმშვიდდება, აუჩ-  
ქარებლად შედის ოთახში.

— რა იყო, შვილო?

რკინისთავებიან საწოლზე, თეთრ,  
ქათქათა ლოგინში ძლივსღა მოჩანს  
გამხდარი ლოყებმეფაკლული ქალწუ-  
ლი. საბანზე ფერმიხდილი, დაყვითლე-  
ბული ხელები უწყვია, ბალიშზე კი  
დიდ-დიდ ტალღებადა ყრია იმისი შა-  
ვი, ყორნის ფრთასავით შავი თმა. თვა-  
ლებმორღვეული შესცქერის დედას და  
ნაღვლიანად ეუბნება:

— ფანჯრიდან მაინც დამანახვეთ,  
თქვე უღმერთობო!..

— დედა დაგიმიწდეს, შვილოო! —  
ყელში მოწოლილ ქვითინს ძლივს იკა-  
ვებს დედაკაცი და გარეთ გადის.

— მოიყვანე, ქალო, ბალდი, ფანჯრი-  
დან დამანახეთო!...

რძალს ფანჯარასთან მიჰყავს ნახევ-  
რად შიშველი, ბობრი ბიჭი, მალღა  
სწევს და პირზე ღიმილმეციებული, შე-  
მკრთალი და შეცბუნებული ოთახში  
ახედებს.

ავადმყოფი ოღნავ წამოიწევს ლოგი-  
ნიდან, გაცისკროვნებული თვალებით  
შესცქერის პატარას — „დაგენაყოს მა-  
მიდაშენიო“, ჩურჩულებს და ღონემიხ-  
დილი ისევ ბალიშზე მიესვენება.

ცოტა ხნის შემდეგ, თვალბედახუტუ-  
ლი და მისავათებული, ჩუმად იძახის:

— ღმერთო, მაგის კოცნით გამაძღე  
და მერე თუ გინდა, მომკალი!...

თვალბანთებული, აცახცახებული  
დედაკაცი ძუ ვეფხვივით მიეჭრება  
რძალს, ბავშვს ხელიდან გამოგლეჯს  
და ოთახში შევარდება. საცოდავი ქა-  
ლი ისევე დარჩება ხელბეგაშვერილი.  
შეძრწუნებული იცქირება ფანჯარაში  
და ხედავს, როგორ მიაწიალებს დედა-  
კაცი ბაღსა და მისი აღტიკნებული  
ხმაც ესმის: „ფეხებზე, შვილო, ფეხებ-  
ზე აკოცე, არა დაუშავდება რა!“ თვა-  
ლებგაფართოებული შეჰყურებს ავად-  
მყოფის ნეტარებითა და შიშით ატკე-  
ცილ სახეს და ჩუმად ქვითინებს.

გარეთ კი უცნაურად შეცვლილა ბუ-  
ნება. სამხრეთიდან წამოსული დევერხა-  
ნა ღრუბლები გადმოჰფაფვრიან სო-  
ფელს, ზეცა ჩამოუბნელებიათ, ჩამო-  
ხუთულა ჰაერი და ეტყობა, დაიჭექებს  
საცაა, იელვებს, გაავდრდება და იქაუ-  
რობას მაცოცხლებელი ნექტარივით  
მოევილინება გრილი, შხაპუნა წვიმა.



## დაკარგული მოზეკარი

მოთხრობები

მზე, გუშინდელი დღისა არ იყოს, დღესაც ისე გადავიდა დასავლეთის მიღმა. სივრილე დაეუფლა ხვატში ჩაძირულ ვარდისუბანს. არც გეოგრაფიული, არც დეკორაციული თვალსაზრისით სავარდისუბნო არაფერი აქვს ამ სოფელს. იქნება, წარსულში ახარებდნენ ვარდებს, ან, იქნება, მაღლიანი ოქროპირის ოინებია? ასეც ხომ ხდება: ბუნებადაწილულ პირმშოს კოხტას არქმევენ, იქნება რამე ეშველოსო.

არც ასეა!

ვარდისუბნელებმა სახელი გაითქვეს ქვევრების, თონეებისა და სხვა თიხის ჭურჭლის კეთებით, ამოყვანით. აქაური ქვევრები მთელ საქართველოშია განთქმული: მაჭარს დადინჯებით ადუღებს, თუ პატიოსნის ხელით იწურება მტევანი ოო, მაშინ კი აცქრიალდება. კაცის ყურთასმენის დასაამებლად აძლერდება. აქაური თონე პურის ცხობისას თავისებურ სურნელს ურევს. აბა, მაშინ უნდა გენახათ, როცა დოლისპური იტკრიცებოდა!...

ბევრია ამ სოფელში მექვევრე—თითქმის ნახევარი სოფელი. —სარფიანი საქმეა, მაგრამ ფინგანი გვიღირღიტებს, საბჭოს მდივანმა და უბნის რწმუნებულმა ჩვენზე კარგად იციან ჩვენი ქვევრების გასაყიდი ფასიო,— თქვა არყის სახდელზე გაშლილი პურ-მარლის დროს ბერეკამ. შეწუხდა კაცი ციმფია ფინაგენტებისაგან, ქვევრების გამოწვას დაეხსნა... ძნელი კი იყო. მისი გული ერთი რამით მშვიდდებოდა, ნორმაზე მეტი ვენახი გაეშენებინა. ზედმ-

ეტს ვერ აჭრიდნენ, განა იმიტომ, რომ ბერიკას ვინმე სწყალობდა, ვინმესი ეშინოდა?! არა, მიუვალ ადგილზე იყო წამოპოლორტიკებული, ქვადორდიანზე ჭირდა თოხითა და გუთნით მუშაობა.

ქვევრების მოლაღატე ღვინოს მიეძალა. ათასში ერთხელ თუ გავიდოდა კოლმეურნეობის საქმეზე: „ისიც ეყოფათ, ბრიგადირ სანდროას ზვარში ჩემი ცოლი აღმა-დაღმა რო დააღაჯებს!“

ბერიკას მზეპირმობანილი, შავთვალეზა, ფხმსხვილა ცოლი ჰყავს. 15 წელია, რაც ცოლ-ქმრად შეყრილან, ბავშვი კი არ გასჭაჭანებიათ. ენამოქლესილებისგან ჯერ ყურები არ დაცობილა: ბერიკას მარინეს მუცელი მოსწყდაო, გაცივდაო, მძიმე, ასწიაო და სხვა და სხვა. რაკილა ბერიკას სულის გამგრძელეზელი არ შეეძინა, სხვა ჭკუის ცხენზე გადაჯდა, იქნება ქვევრების კეთებასაც იმიტომ აუცრუა გული და ციმფია აგენტებს აბრალებს.

— შვილი აიყვანე!..

— ჩემი ცოლი მარინე რომ მომყავდა, ბავშვზე არ მიფიქრია, არ გაუჩნდა ჩემს დედაკაცს და... — პასუხობდა ბერიკა.

ბერიკა ყოველ საღამო მთვრალი მიდიოდა შინ. შინაურ-გარეულ საქმეებს მარინე აგვარებდა. ხანდახან ძროხაც უნდა მოეგლო ტყიდან. ერთი მიუკარება, ფხუკიანი ძროხა ჰყავდათ, ნახირში არ იკარებდნენ; ზოგს ცური გააგლიჯა. ზოგს ფერდში ჩაასო რქები. ისე, კარგა ბლომად იწველიდა, იმიტომ აჩერებდნენ, თორემ ყასაბ საქულას დანა არ ასცდებოდა. თავისი შლეგიანი ხასიათის

გამო ჰრელა შეარქვეს. ერთ მშვენიერ დღეს ყველას ვასაოცრად იმაკა. „ეს თუ ბუღას მიეკერძებოდა, ამას კი ვერ დამაჯერებდნენ!“ იმუშვნებოდა სოფლის მენახირე, გაიჭაჭა და მაინც არ მიიღო ნახირში.

ჰრელა მარტო აღარ დადიოდა სოფლის თავში, თან დაჰპუნტულებდა სამოზვრე, ბრიალად მონათლული.

მარინეს შეუყვარდა სამოზვრე, ჰკოცნიდა შავ, ბრიალა თვალებში. მოზვერი გრძობდა სიყვარულს, მარინეს დანახვავზე იბუტებოდა, ჰირვეულობდა, ალერსი არ გამოჩნისო.

ბინდმა დაჯაბნა მზის ნათელი. მარინე ვიშვიშებდა: სად არის ჩემი მოზვრიანი ძროხაო, ათასნაირი უბედურება დაატეხა ჰრელას და ბრიალას, ფიქრშეობილი ჯანიანად ზელავდა საპურე ცოლს.

კართან ჰრელამ დაიბღავლა. მარინემ კარი გახსნა, ჰრელა ეხოში შევიდა. ჰრელა მარინეს თვალებში მიაჩერდა.

— შე უბედურო, ბრიალა დაკარგე? — მარინემ ცომიანი ხელები წყაროზე ჩამოიბანა, ნაქსოვი მოსასხამი მოიგდო, გზას აჰყვა, საიდანაც ბრიალა უნდა მოსულიყო.

„ბერიკას ვეტყვი. არა, არა, სანამ იმ ტიკად ნაქცევს გონზე მოვიყვან, დაგვიანდება“.

მარინე აჰყვა სოფლის საძოვრებისაკენ მიხლართულ გზას.

ჯერ კიდევ ჰაჭანებდა ხალხი: ჰიგო მოჰქონდათ, ნათიბი აეზურგათ, ღრუტუნა ბურვაკებს მოერეკებოდნენ შლეგინი სოფლის ბიჭბუჭები. მარინე ყველა შემხვედრს ეკითხებოდა:

— ჩვენი ბრიალა, ჩვენი სამოზვრე არ გინახავთ?

— ნწუ.—წრუწუნებდნენ სიტყვაძუნწი მამაკაცები. ბიჭბუჭები პასუხსაც არ იმეტებდნენ, ქალები კი ქოთქოთებდნენ:

— უი, ქა, რომელი მოზვერი?

— თქვენი ბრიალა?

— სად წავა?!

— მოვა, მაშ, არ მოვა?!

ტყის პირას მარინეს ერთი მეღორე შეეფეთა. ენაბლუ იყო, ამ დოვლათთან ერთად, ჰკუის ნაკლებობაც სჭირდა.

— ლავრენტი, ჩემი მოზვერი ხომ არ გინახია? — მარინე გაეხმიანა მეღორეს.

მეღორე ელდანაკრავივით წამოხტა: გაუცინა, თვალები რამდენჯერმე მოისრისა, დაკოყრილი თითებით ბინდი მოიცილა. მთელი სახე აუღვარდა მარინეს დანახვავზე.

— ლავრენტი, რა მოგივიდა? — შეცბა მარინე.

— ააარაფერი, ნაა-ნა-ნატვრისთვალი. აი, ლამაზი ქალი ვინატრე და მმოხვედი!

— შე უბედურო, სხვა ვერაფერი ინატრე? აბა, შენს ნატვრისთვალს ჩასძახე, ჩემი მოზვერი მაპოვნინოს. — მარინეს მკიდროდ შემოტყუებული მოსასხამი ამოგლუვებულ თეძოებზე გადმოჰვენოდა, მკერდი ჩქარი სუნთქვისაგან უტოყავდა, ამის მაყურებელ მეღორეს ვნება აუბრიალდა, მარინესაკენ მიიწია. მარინემ შეუტია:

— შე უბედურო, შინაურებს ველარა სცნობ?!

მეღორე ყურთან არ უშვებდა მარინეს შეძახილს. ანაზღად კერატები დაარივნენ, ერთი ლავრენტის დაეტაკა და ნატვრისთვალიანად კარგა მანძილზე მოისროლა.

„სისხლი მოერიო!“ მარინე გასცდა ნაჩხუბარ ღორებში მობულრავე მწყემსს.

ტყე მკვდარი კაცივით შადვებოდა.

— ბრიალა, ბრიალა, ბრიალა!

„ბრიალა!“ — უბრუნებდა ტყე.

მთვარემ დიდ მინდორზე მოუღწრო მარინეს. ყვითლად განათდა. შუა მინდორში ბრიალა მადიანად სძოვდა ბალახს, სიამოვნებით ფშვინავდა, ხარბობდა: დიდი მინდვრისათვის მწვანე სამოსის გადაძრობას ლამობდა.

— ბრიალა, ბრიალა! — გაიხარა მარინემ.



სამოზვრე ატროყდა, თოკის მორგებას ყელზე უარობდა. მარინემ ტყუებ-ტყუებით თოკი მოარგო კისერზე, ბოლო ნაწილი მკლავზე აიხვია.

ბრიალა დროდადრო დასწვდებოდა სურნელოვან ბალახს, ყინიანობდა მანამდე, სანამ პირს არ გამოიტენიდა. მარინე საბმელით ეჯაჯგურებოდა, წკეპლას ურტყამდა, ვიდრემდე ბრიალა ჩლიქებით ნემოს არ ააფათუნებდა.

ტყე თხელდებოდა. სოფელში ანთებული ელექტრონი ხის ტოტებში აქა-იქ კრთოდა.

— აბა, ჩქარა, მივედით. სად გავიწილა შეუღამისას ტყეში ხეტიალი, მეორედ აღარ გაბედო!

ბრიალა აინუნშიც არ აგდებდა მარინეს დიდაქტიკას, ფერდაზე მისწვდა სურნელოვან კორდს, მარინე დაეჯაჯგურა, ვერ დასძლია. ჯაჯგურსა და ალიაქოთში მარინეს უცხო ჩქამი მოესმა, შეკრთა.

— შენ იყავი? — მიაჩერდა ბრიალს.

მარინე გაირინდა, შიშმა აიტანა: „რა უნდა იყოს? ეტყობა, მომელანდა“. პირი სოფლისაკენ იბრუნა. ანაზღად ათახახებული მელორე აეჩრდილა, თვლები ფოსოდან ამოსძრომოდა, მარინეს საკინძეს კვესავდა...

„მოვეფერები, დაუყვავებ ამ გიჟსა და გადარეულს, იქნება მოცილდეს!“ მარინემ საწივლელად დაღებულ პირი მომუწა:

— რაო, ლავრენტი, ნატვრისთვალმა ჩემთან გამოგაგზავნა?

— ხოო!

— შენ რა გითხარი, ეგ რა ნატვრისთვალი გქონია! აბა, ერთი ისეთი რამ ინატრე, რომ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდეს!

ლავრენტი მოიღუწა: ჭკუადაზაფრულმა იგუმანა ქილიკი, თავი გააქნია... მარინესაკენ მიიწია.

— არა, ლავრენტი! რად გინდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა... ინატრე, რაც შენ გინდა! — მარინეს ფაფუკი თითები მდორედ შეცურდა ლავრენ-

ტის წითურ თმებში: — ლავრენტი, ბრიალა გამომადგდებინე!

ლავრენტიმ მარინეს ფუნთულა მკლავებიდან აახვია თოკი, ქამანდივით ესროლა ბრიალას, ისე რომ ფუნთულა მკლავები ხელიდან არ გაუშვია...

მარინე ნანიადვრალ მდელოსავით მითელილ-მითელილი, თაფლისფერ მთვარეს თვალებით ესიტყვებოდა: ქმართან და სხვებთან საყოფიერ-საქებარი, წმინდა ქალობის კარის ანჯამები და ურდული დამსხვრეოდა, ეძებდა გიჟის ემოციისაგან გასაბან ნუგეშს, რომელსაც საკუთარი თავის გარდა, ვერავინ უპარნახებდა.

ლავრენტი ნატვრისთვალს ელამუნებოდა, გულში იკრავდა, ჰკოცნიდა, აპრიალებდა...

„შენ ყველას გიჟი ეგონე?“ — მარინემ ლავრენტის სულს წიხლი შეაწია. ლავრენტიმ სულში ტკივილი შეიგრძინო, იმედისმოძვემ ნატვრისთვალს დახედა, სახე გაებადრა, აცმუკადა.

„იქნება გიყვარდი? წრფელი სიყვარულისათვის ყველაფერს ვიპატიებ, გააპატიებ“. ლავრენტის ყურში ჩასჭყიოდა მარინეს იღუმალეზა.

ლავრენტის ანაკვერჩხლებული თვლები არ სცილდებოდა ნატვრისთვალს. მერე წამოდგა, ისე გოაცებით დააცქერდა ბრჭყვიალა შუშას, თითქოს მარინეს ძალით ჩაედოს ხელში.

ნატვრისთვლიანი ხელი მოიქნია, მუხას მიაფშვნა, შუშა დაქუტმაცდა. ღრმად ამოიხუნტა, დაიბრუნა ის, რითაც ბუნების ძალამ დედამიწაზე შემოაბორიალა.

— გაგიყდა!... როდის იყო ჭკვიანი?! შეიშალა!

მუხის ჩრდილი მიაცილებდა მარინეს სოფლისაკენ, ხალხისაკენ, ბერიკასაკენ.

ავთანდილ ადვიშვილი  
მოთხრობები

## მ ბ ე ვ ა ნ ი

— აი, შენ კი გაიხარე, რა მტევნებია! — დუღუნებდა ვაზებს შორის ნელი ნაბიჯით მოსიარულე მამაკაცი, წვრილი, მალაკისერა ვასო, ყველა ვაზთან სარით ჩაესობოდა, გამხმარ ფოთოლს შეატლიდა, დაფშენიდა, მიწას ფეხსაცმლის წვერით ამოჩიქნიდა, დაფშენილ ფოთოლს შიგ ჩააბნევდა, მიწას მიაყრიდა. „ესეცა შენა, მიწავ, გასუქდი, შენა, სატკივარო კი, მიწაში ჩადი. თუ სატკივარი არა ხარ, რად გაახმე მწვანე ფოთოლი ასე უდროოდ?!“

კისერა ვასო ვაზის მწკრივებიდან გამოვიდა, უშველებელი პანტის ძირში ჩამოეყუდა. მთელი ზაფხული და შემოდგომა მწიფს პანტა. სოფელში ვინც უკაცრავ საქმეს ჩაიდენს, მაშინვე დაუწერელ, საბრალებო დასკვნას მიუყენებენ: როგორც კისერა ვასოს პანტას, ისე ასხიაო! ვისაც კისერა ვასოს აწოწილი, ტოტებგაბარჯლული, ნაყოფდახუნძლული პანტა უნახავს, აუცილებლად სიცილი წასკდება. საბრალებო დასკვნას ხშირად ხმარობდნენ კოლმეურნეობის გამგეობის კრებაზე, სასოფლო საბჭოში, საავადმყოფოში, სკოლის დირექტორის კაბინეტში, სხვა სოფლებშიც კი!

კისერა ვასო ლატანივით იზნიქებოდა. ფეხზე დგომით მოღლილი, პანტის ძირას წამოწვა. სიზმარი ნაირნაირი იცოდა. ამ ბოლო დროს თავს უჩიოდა: სიზმარში ველარ დავფრინავ... აღრე ავფრინდებოდი, ქვეყნიერებას ვნახავდი... ლამაზ ქალებს... მარა ჩემი ფრთები იმათ მიწაზე არ ეშვებოდა. როცა მოვიწყენდი, ჩემს ვენახში დავეშვებოდიო! თავისი პილოტაჟის დაკარგვაზე ოჯახშიც დაიჩივლა.

— რეაქტიული ძრავი ჩაიყოლე, — გააბითურა კისერა ვასოს პოეტური სიზმრები მისმა ბიჭმა, რომელსაც სოფელში მინიკისერას ეძახდნენ.

პანტის ძირში ფშვინავდა კისერა ვასო. აი, ახლაც ლამობს აფრენას, მაგრამ ვერა და ვერ აიწვია ჰაერში. ბოლოს მოი-

საზრა, პანტის კენწეროდან ნამგალასავით გადმოვფრინდებო... უცებ მჭახედ გაისმა სიზმარში ხმა:

— ვასო, კისერა ვასო!

კისერა ვასომ გაიღვიძა. მის თვალბეში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, გერმანანთ კაკო იძირებოდა... მოსწონდა კეთილი, პატიოსანი საბჭოს თავმჯდომარე, თორემ სიზმრის წართმევისათვის დედის სულს ამოუტორილებდა. ჰოდა, ჰო! იქნება რა სიზმრის ნახვას აპირებდა. კისერა ვასომ თვალები მოიფშენიდა, წამოდგა. გერმანანთ კაკოს გარდა, პანტის ძირში საბჭოს მდივანი და მელოტი ფოტოპარატეანი ახალგაზრდა კაცი შემოესტუმრნენ.

— გამარჯობა, ვასო! — ხელი გაუწოდა გერმანანთ კაკომ.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა კისერა ვასომ, მერე ყველას ხელი ჩამოართვა, — შენც აქა ხარ, მარუს!? — ღიმილით მიაგება შეუმჩნეველად მოსულ ცოლს.

— შენს ვენახში წელს რამდენ ტონა ყურძენს მოკრეფ? — შეეკითხა საბჭოს თავმჯდომარე.

— აბა, რა ვიცი!

— მაინც?!

— მაინც!? ხოო, ხუთ ტონას.

— ოთხ ტონას ჩააბარებ!

— ვინ თქვა ეგ? — სიტყვა გააწყვეტინა კისერა ვასომ.

— ვინა და, შენმა ცოლმა. — უპასუხა მელოტმა კაცმა.

— დედაკაცო, მართლა თქვი?

— ჰო, რა, იმედი არა გაქვს?! — გაოცდა კისერა ვასოს მეუღლე.

კისერა ვასომ თავი ჩაქინდრა, პასუხისათვის ენა ვერ უბრუნდებოდა. გერმანანთ კაკო, საბჭოს მდივანი და მელოტი კაცი კისერა ვასოს ენის წვერთან პირდაღებულები, თვალებგაფართოებულები ჩასაფრდნენ. კისერა ვასომ ფეხსაცმლის წვერით ღრმა ორმო ამოთხარა, თავს მალდა არ სწევდა, დროდღრო ყბის კუნთები ებერებო-

და, მერე ცოლს მიაჩურდა, დიდხანს ბურღა თვალებით, ბოლოს, როგორც იყო, თავისი მაყორული ხმით ამოთქვა:

— გერმანანთ ბიჭო, მომეცი კალამი! სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ მელოტმა კაცმა ფოტოაპარატით სროლა აუტეხა კისერა ვასოს.

მილოცვები დამთავრდა. საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და თავმლოპრილი კაცი ზვარს ტოვებდნენ. კისერა ვასო პანტის ძირას ფიქრშებოჭილი იდგა, ანაზღად კრაზანანაკებნივით იყვირა:

— მარუს, შენ სადღა მიჰყვები?!

— არ გავაცილო? — გამოეკითხა ცოლი.

— გააცილო... თვითონ ვერ მიდიან?!

— ბოლო სიტყვები თავისთვის ჩაიდულუნა.

მარიამი დაემშვიდობა სტუმრებს. მთვრალი კაცივით მოზარბაცუ ზვარის კარი რგოლით დააშოშმინა ბოძზე, მერე ქმარს მიეახლა.

— მაშ, ერთი, საბეგვი არა ხარ? — კისერა ვასომ ცოლს შეუტია.

— რატომ, კაცო!? — გაწიწმატდა მარიამი.

— მამა-პაპის საფლავის ხენას უდრის ქალის ცემა, თორემ ისე, მაგარი საბეგვი ხარ!

მარიამი გამტკნარებული იდგა, თვალეზში შეჰყურებდა გამეხებულ ვასოს. შავი, ცქრილა თვალეზი აუწყლიანდა. აფუებული, მოვარდისფრო ტუჩები გაუფითრდა. კისერა ვასომ რამდენჯერმე გადაყლაპა ბოლმის ნერწყვი, ყელზე ბაგირივით დაეჭიმა ძარღვები.

— განა მე წინააღმდეგი ვიქნებოდი, მაგრამ ჯერ მე უნდა მცოდნოდა, იქნება, მეც გეგმა მაქვს... ჰოო, სულ დამავიწყდა, ჩემზე მეტი შენ გეთქმის, პარტიული მყავხარ. მეც შემეძლო პარტიაში შესვლა, მაგრამ მძიმე ტვირთი ვერ ვიადვილე... ამ ჩვენ სოფელში ყველა რომ პარტიაში შედისხართ თბილი ადგილების იმედით... იმ ჩვენი ყოფილი ბრი-

გადირისა არ იყოს: „მე პარტიულობა იმიტომ მინდოდა, რომა ბრიგადირი ვყოფილიყავიო!“ — მწარედ ჩაიღიმა კისერა ვასომ.

მარიამს კრიჭა შეჰკვროდა, სიტყვებს კბილებში ჰყელეტავდა. მისი ცქერა კისერა ვასოს უფრო და უფრო აშლეგებდა:

— მე, იქნება, ასი პროცენტით ვაბარებ ამ ჩემს ყურძენს, შენ ვინ გეკითხება!.. არა, გეკითხება, როგორ არ გეკითხება, მაგრამ ჯერ მე უნდა მცოდნოდა, ჩვენ უნდა მოგვეთათბირა... ჰოო, ჰოო, აბა, მაშ, როგორ გინდა,...

მარიამს ფერი მოუვიდა, სადღაც მიკარგული წითელი სისხლი მის ბაგეზე კვლავ აბრიალდა, თვალეზში უხმო ცრემლი ამოუშრა, იქვე ახლოს, ქმრის გვერდით, კუნძზე ჩამოჯდა.

ღუმელი გამეფდა. დროდადრო პანტიდან ცვიოდა ნაყოფი. სიჩუმე კრთოდა. კისერა ვასო მიწას დაჰყურებდა.

ჭიანჭველა მზუსტუმზირას მარცვალს მიათრევდა, ვზად ორი ჭიანჭველა შემოეყარა, ერთი დაეტაკა მზესუმზირიან ჭიანჭველას, სარჩოს წართმევა დაუპირა, ვერაფერს გახდა, მეორეც წამოეხმარა, მაშინ კი დაჯაბნეს. კისერა ვასოს სიცილი აუტყდა, ნეკა თითით აგრესორ ჭიანჭველებს მზესუმზირას მარცვალი გაადგებინა, სამად გაყო... დაზაფრული ჭიანჭველები მიწაში ჩაძვრნენ.

საწოლში პირაღმა იწვა კისერა ვასო, ძილი არ ეკარებოდა მის ხარის თვალეზს. გვერდზე გადაბრუნდა, იქნება ფიქრი დაკარგო, ძილი მომეკაროსო, მაგრამ ფიქრი სხეული არ არის, ხელი შეახო, მოიცილო, დაკარგო. „ფიქრი, კისერა ვასოს აზრით, — აღამიანის ნახევარს იტევსო...“

ისევ პირაღმა დაწვა, საწოლის ზამბარები ჟღარუნით აჰყენენ მისი მხარის ცვლას. საბანი აბურძენილი მკერდი-

ავთანდილ აღეიზვილი  
მოთხრობები

დან გადაიგდო, მუშტივით მომუჭული თვალები გაახილა:

— მარუს, მარუს!

— რა იყო, ადამიანო?! — მარიამი გულხეთქებით წამოჯდა საწოლზე, ძეწნასავით გამლილი თმა მკლავებზე ჩამოეფანტა.

— მარუს, ის ვალდებულება რო ავიღეთ!..

— მერე?

— შესრულება უნდა, შესრულება... მე რა, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე: ორი ათას ტონას მივიღებო, რაიკომის მდივანს კლუბში რომ ეყოფო ჩემოდა, რატომაც არ იტყვის! თუ ვერ შეასრულა, წიწინს დაიწყებს: მთავარი აგრონომიო, ბრიგადირიო, ესაო. ისაო, თავი ვერ გაართვესო... რა, ჯერ არ უთქვია?! რაიკომის მდივანიც დაუჯერებს, მეტი რა გზა აქვს. მე კი, ვის დავაბრალო? შენა?

— ეხლა მაგის დროა? დაიძინე!

— ეჰ, ჩემო გერმანანთ ბიჭო, არც შენ იქნები ნაკლებ დღეში, მაგრამ ხვალე მოვალ, გეტყვი, მაგდენს ვერ ჩავაბარებ, გინდ გეწყინოს... არა, მრუშე ქალი ვარ?! — საწოლიდან წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, მერე თავლიდან თეთრლაქებიანი, ჩამრგვალეებული ცხენი გამოიყვანა, ურემში შეაბა, ურემის სატერფულზე ფრთხილად შედგა მარჯვენა ფეხი, ჭალებს მკვიდრად ჩაებლაუჭა. აიწია — კოფოზე მოექცა. ცხენმა ურე-

მი მდორედ გადააგორა, სადავეებმა შარაზე დააყენა. ძაღლები ბუხუნებდნენ. ჭრიჭინებს დრო ეხელათათ, სადამო მიჰყავდათ.

კისერა ვასო მუხლზე ხელებდაყრდნობილი გასცქეროდა მიმკვდარებულ შარას, „საინტერესო აღმოჩენაა გზა, ის რო არ იყოს, წუთისოფელი წინ ვერ გააბიჯებდა“.

ცხენი ფრუტუნ-ფრუტუნით მიაგორებდა ურემს. ზვრის ჭიშკართან შეჩერდა ცხენი. კისერა ვასო კოფოდან ჩამოვიდა, ფართო კარი გახსნა, ცხენი გამოუშვა, მერე ზარბაზნის ვაზნისგან გაკეთებული ჭრაქი ანთო, ხელში ჩირაღდანივით დაიჭირა და ვაზები გაანათა. მტევნები ჯიშინი, რქემოჭარბებული ქალის მკერდივით დაწეულიყვნენ. ფოთლები გადასწია, მტევანი გააშიშვლა, პეშვი მსუბუქად ამოსდო ქვეშიდან და მკერდიდან დინჯად ამოუშვა სიხარული:

— ტა-ტა-ტა!...


ნამყინვარ ვაზთან დიდხანს გაჩერდა. უნაყოფოდ დარჩენილს მრავალყვამირის სამამულე ამოუყარა.

— აღსდექ მრუდე! — დააყოლა თავისთვის.

მთვარეს ტახტი დაედგა ვენახზე. ცვიოდნენ და ცვიოდნენ ვარსკვლავები, მაგრამ ცას ნათელი მაინც არ აკლდებოდა.

ისმოდა მამაკაცის ფშვინვა, ცხენის ფრუტუნი და ჭრიჭინების გაუთავებელი აკომპანემენტი...





# წმინდა ვიტუს სეკა

მოთხრობები

მთაში წვიმდა. აქ კი ცა მსუბუქი, წაში იყო. ოღნავ უბერავდა ქარი და ხის კენწეროები წა-  
ნტად ირხეოდნენ. ექიმი, ყმაწვილი კაცი, ამ  
სოფელში პირველად იგრძნობს უცხოობი მომა-  
ვლის სიდიადესა და საიდუმლოებას. აღმოსავ-  
ლეთით, მთაში კი წვიმდა და წვიმდა.

ზემოდან დაჰყურებდა სოფელს. ასე, დილის  
ცხრა საათი იქნებოდა. ქოფაკი ალაგეზე იჯდა და  
სასადილოში მოპარულ ძვალს ვერ შორდებო-  
და.

ცალ ხელში პორტფელი ეჭირა, მეორეში  
ტყემლის წკებლა. წკებლას დროდადრო წვივზე  
ირტყამდა. დაუთოვებული შარვალი, გაკრია-  
ლებული ფეხსაცმელი და ქინჩიტი პერანგი

ეცვა. გვერდზე გადავარცხნილი შავი თმა უბ-  
ზინავდა, ულაპლაპებდა.

ექიმი თავისი პროფესიის გამო, იძულებუ-  
ლია კეთილი იყოს. ის კი ბუნებითაც კარგი  
გულის ყმაწვილი გახლდათ.

ახლა ბავშვზე ფიქრობდა, პირველ ავადმ-  
ყოფზე, რომლის დამოუკიდებელი გასინჯვა  
მოუხდებოდა სულ მალე. ერთი კვირის ჩამო-  
სული იყო სოფელში, ხოლო დღეს პირველ  
გამოძახებაზე მიდიოდა.

ის შეშინებული იდგა, რადგან სნეულება  
ისეთი მარტივი როდია, როგორც ამ ქოფაკის  
ან იმ მძღოლების მიზნები და სურვილები,  
ხოლო ავადმყოფის, ისიც პატარა ბიჭის პირვე-

ლი დამოუკიდებელი გასინჯვის წინ, თუ კი ექიმობა სინამდვილეში შენი მოწოდებაა, თრთი, სისხლი გეყინება ძარღვებში.

ქუთარუშა... ვერლოფის დაავადება... ტოქსიკოზი... მენინგიტი... ქოლერა... ბოტკინის დაავადება... დიფთერია... აღიდებულ მდინარეში დაცურებული მორბივით მიჰქროდნენ დაავადებულ დასახელებანი ახალგაზრდა ექიმის გონებაში. სუნაგზე კი რამდენიმე წუთით შეჩერდა მისი აზრი. დიფთერიულ კრუპს, დაავადების მესამე სტადიას, ასფიქსიურ სტადიას მახრჩობელას ამსგავსებდა. ამ დროს, როდესაც ბავშვი ვეღარ სუნთქავს, იგულებდა, საგანგაშო სირენების, ზარების რეკვა უნდა ატყდეს. დაგვიანება სახედისწეროა ხშირად. „დაგვიანება“ ყველაზე უსიამოვნო სიტყვაა მედიცინაში. ცხოვრებაში შეიძლება დაგავიანდეს სახლის აშენება, მეგობრობის გრძნობაში დარწმუნება, პროტექციის გამოძებნა მოთხრობის დასაბეჭდად, შეიძლება მატარებელზეც დაგავიანდეს, მეორე დღეს გაემგზავრები. ყველაფერს ეშვებოდა. მაგრამ ავადმყოფის საწოლთან დაყოვნებაში, შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე გამოუსწორებელი დაღი დასავსე სხეებსაც და შენც. გართულებული დიფთერიული კრუპის დროს მხოლოდ ხორხის გაკვეთა თუ გადაარჩენს ბავშვს.

ექიმმა ნაბიჯს უმატა. ორლობეში ლესთექში ჩაეფლო, ყურადღება არ მიუქცევია. არც ასპუტაკების გაღობა იზიდავდა. საღ გაჰქრნენ სტუდენტური უღარდელი, მსუბუქი, გულუბრყვილო ღღებები?

— ავადმყოფი მეზობელ სახლშია, შენი ჭირი, — უთხრა დედაბერმა.

ალაგზე გადააბიჯა ექიმმა. ეზოში ეკლესიის სიწყნარე სუფევდა, სასიამოვნო, საეჭვო, დამატარებელი.

შუა ოთახში მასიური მაგილა იდგა. კედლებზე საგვარეულო პორტრეტები ჩამოეკიდათ. ბუხრის თავზე გაპრიალებული ღამბა ჩანდა. ავადმყოფი, კვიტირო ბიჭი, ბამბუკის საწოლზე იწვა. თავთან სკამი ედგა. სკამზე ჭიქა რძე, ჭადის ნატეხი და მაცვლით სავსე პატარა კალათა ჩანდა.

— უფროსები საღ არიან? — დაბალი ხმითა და ღიმილით ჰკითხა ექიმმა.

ბავშვმა თავი წამოყო, მაგრამ არაფერი უპასუხა. მაშინ ექიმი მაგიდასთან მივიდა და ზედ პორტფელი დაღო. თავისუფალი სკამი მოძებნა, საწოლთან მიიტანა, ცხვირსახოცი გადაუსვა და ჩამოჯდა.

— ბიონერი ხარ?

სიჩუმე, ისევ ეკლესიის მყუდროება.

„რატომ ვიწყებთ ბავშვთან საერთო ენის გამოძებნას, ხიდის გაღებას სულიერული შეკითხვებით?“

— დედოკო ბოსელშია? — ისევ იკითხა და ავადმყოფს გადახედა. ბავშვი ხმას არ იღებდა.

მაშინ პორტფელი მიიწია და გახსნა. ხუნაგის დაგვიანებულ შემთხვევაში სისწრაფა საჭირო. ხელით მოსინჯა ბასრი დანის პირი. „გველი და თახი — მედიცინის სიბრძნის სიმბოლო, შხამი და სიკეთე, სიკვდილი და სათნოება, — გაუელვა თავში — საყლაპავი, ფარისებრი ჭირკვალი ან რომელიმე მსხვილი სისხლძარღვი რომ დავაზიანო?“ გამოუცდელი ხელისაგან ყველაფერი მოხალღნელია.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა. ვიღაც მოდიოდა. ექიმმა წარბი შეიკრა და სახეზე სიმტიციე აღიბეჭდა. კართან ფეხის ხმა შეწყდა. ეზოდან ჰკითხის კაკანი ისმოდა. კედლიდან ღორის კულივით უღვაშაგრებილი მამაკაცი უღიმოდა. მაშინ ექიმმა თავი მიაბრუნა და შავი, გრძელწვერა, რქებჩამოყრილი ბებერი თხა დაინახა. იგი გაშტერებული შესცქეროდა ავღან უცნობს.

— რაო, ლეყვერო, — ჰკითხა ექიმმა, — *Ignoti nylla curatio morbi*, არა?

მაგრამ ფიქრები არ შორდებოდა. გლეხი არ აპატიებს ბავშვისათვის ჭრილობის მიყენებას. სოფლელი კაცი, შრომაში გამოპრძმედილი, ბეჭითი, ავდილად მოსატყუებელია და ბუნებით მემამოხე არ განლავს, მაგრამ მაინც მერყეობა, ცვალებადობა, ჭინჭული და ჭირვეულობა ახსიათებს. ის უცხოა მაფთვის, არაფერი დაუმსახურებია ამ ხალხის წინაშე. დაემუქრებთან, უჩივდებენ... ლენჭუთაა საქმე...

უცებ თბილისის საღგური დაინახა. ერთი კვირის წინ იმედებით აღსავსე ტოვებდა დედაქალაქს.

— ნახვამდის, ძვირფასო!

ქეთიონ აცილებდა, ჩვიდმეტი წლის ქეთინო. თუ კი მართლა არსებობენ ანგელოზები ქვეყანაზე, ერთ-ერთი ახლა აქ იდგა, საღგურზე, გრძელ, შემოწუთხულ კაბაში გამოწყობილი. ხატი, სალოცავი, ეროტიული სურნელება. თითქოს ანგელოზივით შიშველი იდგა, სურვილის აღმძვრელი, ბიჭების, ყველა ასაკის მამაკაცის თვალების დამპყრობი და მიმზიდველი. მისი სხეულის ნორჩ ნაკეთებში თვითონ სიცოცხლე, მისი, ცვალებადობა, სისწრაფე ჩაბუდებულიყო. თუ კი ყავის სმა გიყვარს, თუ ზოგჯერ სიგარეტს აბოლებ, თუ კი ღრმა აზრის ძიებას ტყავის იზვიათი ქამარი და უშველვებელი ბალთა გირჩევნია, მერე რა? მერე რა, რომ მისი სიცოცხლე გამოიხატება ყოველდღიურ ძიებაში — თეატრის ბილეთის, ფრანგული შინიონის, თეძოების უფრო მოხდენილად რჩევის სწავლაში, გივიკოს, ნუგზარიკოს, მალნაზიკოს, გურამიკოს ძებნაში... რა მოხდა მერე?

— სშირად მომწერე.

— რამდენიმე წამიც და გავშორდებით... გაიხედე, მწვანე შუქურა აინთო.

— დაგელოდები, მთელი ცხოვრება დაგელო-  
დები, ვიდრე არ დაბრუნდები.

ქეთინოს ცრემლები მოერია. მატარებელი  
დაიძრა. სიყვარულის მეგობარი — მანძილი, და-  
შორება. ქალიშვილმა პირველად იგრძნო ამ  
ღიადი გრძნობის მწარე საიდუმლოება და მარ-  
ტობა. და ისე მოაწვა ნაღველი, ისე შეიკუმ-  
შა გული, რომ დარდის გასაქარვებლად იმ სა-  
ღამოს მეგობარ ვაჟთან ერთად კაფე „ივერი-  
აში“ ამოყო თავი. სოლო ექიმმა მატარებელში  
კიდევ ერთხელ დააწვავი სახელოვანი მკურ-  
ნალი გამხდარიყო. იმ სოფლიდან გაითქვამს სა-  
ხელს, იქ ელოდება მალაითი და უღურბი. იქ  
უნდა დაწყებულიყო ახალი, გამოუცნობი, უსა-  
ზღვრო სამყარო, წარმტაცი, მომხიბლავი. „იმ  
მხარეში ამოვტივტივდები, როგორც...“

ისევ სინამდვილეს დაუბრუნდა.

— რა ხმა ჩავიწყდა, რა გტკივა?

საათი წიწვიკებდა. ბებერ თხას კართან ჩას-  
ძინებოდა. ექიმი გასასინჯად მოემზადა.

ათი-თორმეტი წლის ბიჭი იქნებოდა. საბანი  
გადახადა და დახედა. კანქვეშა შეშუპებები  
არ უჩანდა. თითებიცა მოუსინჯა კისრის არე.  
გულზე დაადო ფონენდოსკობი. ზღაპრული მე-  
ქანიში, ჯადოსნური ტუმბო რითმულად, ღი-  
მილით მუშაობდა. მერე წამოსვა.

— აა, თქვი, — ჩახედა, ისევ დააწვინა და  
ხელი დაჰკირა მუცელზე, — დამუწე პირი, ბი-  
ჭო.

ბავშვმა ცალი მხარი შეავლო და კისერი შე-  
ათამაშა. მერე ისევ დაწყნარდა.

— აქ გტკივა? — მაგრად დაჰკირა ხელი, —  
ბიჭო, ამოიღე ხმა, კილაკოზობის ხასიათზე აღ-  
არა ვარ.

პირველად შეხედა თვალებში. მაყვლისფერი  
თვალები ჰქონდა, სწორედ იმ მაყვლისფერი,  
კალათაში რომ ეწყო.

ექიმმა თავი დახარა. დახრჩობის ხიფათი და-  
სტრიალებს? მკურნალობის პროცედურა ომია,  
ოღონდ ზარბაზნებისა და ყუმბარების სროლის  
გარეშე. ერთ მხარეზე შენ ხარ, მეორეზე —  
ათასხანანი სნეულება, რომელსაც არც ნამუ-  
სი, არც ვაჟკაცობა, არც კუდი არა აქვს, ხელი  
რომ წაავლო. ავადმყოფი ჩვენს შორის დგას,  
ხან ერთს ემხრობა, ხან კი მეორეს. ეს ბიჭი  
ჩემი მოწინააღმდეგეა, რადგან მის თვალებში  
ვერავითარ სურვილს ვერ ვხედავ ამ საშინელი,  
რკინისხელიანი მტრის დამარცხებაში რომ და-  
მეხმაროს.

— ბიჭო, ამიბი მხარი, ჩემს მცირერიცხოვან  
რაგში ჩადექი...

ექიმმა ბებერ თხას გახედა. „ნუთუ მეც ასე-  
თი გავხდები ოდესმე?.. შეიძლება ვეღარ და-  
პარაკობს საბრალო?“ სახეზე მოისვა ხელი და  
ისევ დახედა. თითქოს ნორმალურად სუნთქავ-  
და, თითქოს იღიმებოდა კიდევ... უცებ ცხვირ-

ზე სილურჯე შეამჩნია, ან მაყვლისაგან აქვს,  
გაუთლვა თავში, ან... იგულებდა.

ზეზე წამოდგა, ფრთხილად გადააბიჯა მძი-  
ნარე თხას, ფეხაკრეფით ჩავიდა ეზოში. მერე  
კი ლიწინილიწინით გავარდა.

გზაზე კვავალა მიდიოდა. ქრელი კაბა ჩა-  
ეცვა, წამწამები შეედება, თმა ახალ მოღაზე  
დაეწყო. არც ერთი ნაოჭი, არც ერთი ღარი,  
არც თვალთა დაღლილობა. მაგრამ ავგისტოში  
წამოსული შხაპუნა წვიმა, ერთი წამით ლურ-  
ჯად აბიზინებული ბალახი განა მოგატყუებს,  
განა გაზაფხულის სისარულს განგაცდევინებს  
ისევ? ქვრივი და ექიმი პირველად სოფლის  
საბჭოში შეხვდნენ ერთმანეთს. ექიმმა გაუღიმა.  
კვავალა გაწითლდა. სოფელურ ქაღს ერთი  
ნიორი ურჩევინა ერთ ვარდს. მაგრამ კვა-  
კვალა ხშირად კრეფდა უვავილებს და გულით  
ეაღერებოდა. სხვა მხრივ ამ სოფლის შვილი  
ყო, მისი ნაყოფი, ფეხვი, მიწა. კვირაში ერთ-  
ხელ ტანს იხანდა დღეღე, წიწვილებს საყენეს  
უყრიდა, ადრე დგებოდა, ადრე იძინებდა, გა-  
ზაფხულზე ოხრასუშსა და ქინძს თესავდა ბო-  
სტანში. ქალი ყოველთვის ხიბლავს ვილაცას.  
მაგრამ არის დედაკაცი, რომელიც ერთდრო-  
ულად რამდენიმე მამაკაცს აჯაღლებს. კვა-  
კვალა ბრიგადირის, მეცხრეკლასელი ლობერ-  
ტისა და ცალფეხა ფოსტის გამგის აუსრულე-  
ბელი შინი იყო. გაიღვიძე, მზეთუნახავო, შემო-  
მანათე ერთხელ მაინც შენი თვალები, აი, რას  
ფიქრობდნენ ეს მამაკაცები, განსაკუთრებით  
მეცხრეკლასელი ლობერტი.

— სად იყავი? — გაუღიმა ქვრივმა ექიმს.

ხელკალათა მიწაზე დადგა.

— ავადმყოფთან.

— ექიმო, გული მტკივა, ექიმო, რა მეშველ-  
და?

ექიმმა მხრები აიჩჩინა, რაღაც წაიბურტყუნა  
და მოკურცხლა. თმა აბურტყვნოდა, პერანგი  
ამოვარდნოდა, შარვლის ტოტები და ფეხსაც-  
მელი ტალახით დახვროდა.

— ფიშ, რას ჰგავს, — თქვა კვავალამ, —  
ნეტავ ვიცოდე, სახატო ხარვიით რას იკვანწე-  
ბა.

კვავალამ გზა განაგრძო და გაიფიქრა,  
რომ ბრიგადირი უფრო მოხდენილი და ვაჟკა-  
ცური იყო.

— ბატონო თავმჯდომარე... — კოლმეურ-  
ნეობის თავმჯდომარეს მიმართა ექიმმა. მანამდე  
სახლში მიირბინა მასთან. კანტორაშიც იყო.  
კანტორიდან სოფლის საბჭოში გაგზავნეს. ახოს  
იღებენ, იქ ნახავ აუცილებლად, ასწავლა ერ-  
თმა ბერიკაცმა.

თავმჯდომარე კვავე ჩამომჯდარიყო და უყ-  
ლო რვეულში რაღაცას ინიშნავდა.

გურამ კაპანაძე  
მოთხრობები

— ბატონო თავმჯდომარე... — სული ვერ მოეტქვა ექიმს.

თავმჯდომარე კარგი ადამიანი იყო. მას თავიდანვე მოეწონა ექიმი, შეიძლება თავის ვაჟსაც აგონებდა. ექიმის დანახვა რაღაცნაირ სიხარულს, თავისუფლებას, სიმშვიდეს ანიჭებდა.

მოწინავე ბრიგადირი ოლიფანტე კი აღიზიანებდა. ოლიფანტე ხმას ავრცელებდა, სადამოობით ბუხრის წინ წიგნებს ვკითხულობო. ამ წარმოსადგე მამაკაცს, ჩაფსკვნილს, ჭირკს, უტიფარს ჰყავდა მუდულე, ორი ბავშვი, ძროხა, გოჭები, ინდაურები, „მოსკვიჩი“. მოხდენილად გამოდიოდა კრებებზე. საჭაროდ ის ყველაზე მეტს ლაპარაკობდა გეგმის შესრულებაზე, პატიოსნებაზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებაზე. როდესაც სიტყვას ამბობდა, ყველა რწმუნდებოდა, რომ მანქანას უმანქანობა სჯობდა, სამ ძროხას — ერთი ძროხა, ათამანეთიან ხელფასს — ასმანეთიანი ხელფასი. მანქანა კი არა — ყოველდღე ხვანა და თესვა. საკუთარი ძროხები კი არა — თავდადება და შემარტება, ათას მანეთზე ფიქრი კი არა — სიმინდის, ლობიოს, ყურძნის მოყვანის პროცენტები და ციფრები. თავად ახალ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, ფინურ საწოლში ეძინა. ორივე შვილი უმაღლესში ჰყავდა მოწყობილი, ზამთრობით სოჭში ისვენებდა. მერე რა?...

— ამხანაგო თავმჯდომარე, — ეუბნებოდა ექიმი, — მანქანა მჭირდება, ავადმყოფი უნდა წავიყვანო რაიონის ცენტრში, სასწრაფო შექმნევა.

— ყური მიგდევ, ემანვილო, დღეს ჩემ „პობედას“ სასწრაფო დახმარების მანქანად აქცევ, ხვალ კი — მე სანიტრად წამიყვან.

მანქანა ათხოვა. მანქანა შარაგზაზე მიჰქროდა მთასა და მდინარეს შორის.

ბავშვი ცნობისმოყვარეობით იყურებოდა აქეთ-იქით. სიხარულს საოცარი მანჭვითა და ხელების გრეხით გამოხატავდა. დაუღაჟა ლოყები და მსხვილი ბარძაყები ჰქონდა.

— ცხვირი მოიწმინდე, ბიჭო, — უთხრა ექიმმა.

გაბრაზებული უყურებდა ბიჭს და ისევ იპყრობდა ეჭვი. წამით კინოკარებივით გაუელვა იმ დამარცხებებმა, რომლებიც ცხოვრებაში იწვინა. ისინი კი არც ისე მცირე იყო ამ ოცდასამი წლის განმავლობაში. მისი შევარდენი მიფრინავდა მისგან. „თუ პროფესორის ან დიდი კაცის შვილი ან სიძე არა ხარ, სოფელია შენი ბოლო“. ვერ მოიგონა ვერც ერთი სახელიანი მამის შვილი, სოფელში რომ წასულიყო სამუშაოდ. ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა.

მძლოლი ცალი ხელით მართავდა საჭეს, წარამარა იფურთხებოდა და საათში ასი კილო-

მეტრის სიჩქარით მიაქროლებდა „პობედას“.

მძლოლმა სივარტი გააბოლა და თქვა:

— ამის ცვაწვაწა ლოყებს რაცხა ავადმყოფობის არაფერი ეტყობა.

— ხო, უორა, მეც მეშინია, მართალი რომ არ გამოვდგე.

თითქოს ამ აზრის დასადასტურებლად იყვირა ბიჭმა:

— ტიტუ, კოკორინა დაუჭერიათ!

სუფთა, წკრილა ხმა ჰქონდა. თვლები გაბრწყინებოდა, სიხარულისგან ილიმებოდა, ველარ იკავებდა თავს.

— პირველად ზის მანქანაში, — უთხრა ექიმს უორამ. ექიმმა კი ბიჭი გააფრთხილა:

— დაეტიე ადგილზე!

ბავშვმა გულუბრყვილოდ გამოხედა და წამწამები დაახამხამა, თითები უცნაურად აათამაშა, შეხტა, სახე დამანჭა.

ექიმი თვალს არ აშორებდა. უცნაურად უთრობდა ნაკვეთი ბიჭს და იგი თანდათან რწმუნდებოდა თავისი აზრის სისწორეში. ხუნაგი აქ არაფერ შუაშია, ფიქრობდა იგი, კინაღამ კერიაზე დავასხი წყალი.

— უორა, მოაბრუნე მანქანა!

როდესაც სოფელში დაბრუნდნენ, ექიმმა ახოზე, მომუშავე გლეხებს ჰკითხა:

— ვისია ბავშვი?

სოფლელები შემოეხვივნენ. თავმჯდომარე და კვაკვალაც მიუახლოვდნენ, მხოლოდ ბრიგადირი იდგა განწე.

— რამდენი ხანია, რაც ასე იმანჭება თქვენი ბავშვი? — ჰკითხა ექიმმა დედას.

გაშტერებული ქალი ჭერ ხმას არ იღებდა, მერე როცა მუჭლუგუნი ჰკრეს, წაილულულა:

— დაბადებიდანვე ასეთი იყო.

— სახსრები ხომ არ აწუნებდა?

— ტკიოდა, შვილო... მახსოვს, სუთი წლის წინ ბარბალობას დაეწყო...

— ერთი წუთით ყური მიგდეთ, — თქვა ექიმმა, — შემდეგ იყვირა:

— დავსვი! დავსვი!

— რა დასვა? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— დავსვი, დიაგნოზი დავსვი!... წმინდა ვიტეს ცეცვა!

სასიამოვნოდ უფართოვლებდა გული. „პაროქსიზმული ტაქიკარდია“, — ფიქრობდა იგი, — კეთილი...

შევარდენი ისევ შეასკუპდა მხარზე, ისევ მოფრინდა მტაცებელი, ძლიერი ფრინველი.

მაშინ ექიმმა ხელები გაშალა და ჩამოუარა. მანქანაში თმა დავეარცხნა, შარვალი და ფეხსაცმელები გაუსუფთავებინა.

ბრიგადირი პაპროსს პაპროსზე აბოლებდა თავმჯდომარე ილიმებოდა.

— ექიმო, ახალ ოთახში როდის გადახვალ? — იკითხა მან.



კვაკვალა გაბრწყინებული თვალებით უყუ-  
რებდა და ყველაფერი ავიწყდებოდა ქვეყანა-  
ზე. აი, რას ფიქრობდა: სოფელში დღეს კინო-  
სურათს უჩვენებენ. მთელი ხალხი იქ გაიქცევა,  
მე კი ეკალაზე დავაბათიებ ექიმს.

— თქვენ ბავშვს ქორეა აქვს, — ეუბნებოდა  
ექიმი დედას, — სხვანაირად წმინდა ვიტეს ცე-  
კვას უწოდებენ, საშიში არაფერია, რახან გა-  
მოვიცანი, ვფუტურნალზე კიდევ.

— კი მაგრამ... — რაღაც უნდოდა ეთქვა  
ბავშვის დედას, ანეტას.

„დაფნის გვირგვინი დამახურეთ... ქეთინო,  
სად ხარ? სად ხარ სითამამევ, ნებისყოფავ,  
ყველაფერო ძლიერო და მიმზიდველო“.

შეჭაუვებულ ხალხს ცალფეხა ფოსტის გამ-  
გე მიუახლოვდა.

— გადაბრუნებული ხომ არ არის? — იკითხა  
მან, — ჩლუჩი, ბებია.

ექიმი დიდხანს ცეკვავდა. მას არ სწამდა  
წმინდანების. ისინი სხვებმაც დაიფიქრეს. წმინ-  
და ვიტეს შუა საუკუნეებში სცემდნენ პატივს.  
მაგრამ დროებით ისევ გამოუჩნდა ერთი თაყ-  
ვანისმცემელი. თავისი სტუნაობა ექიმმა წმინ-  
და ვიტეს უძღვნა. „ჩემო ძვირფასო წმინდა-  
ნო!... გაჭირვებისას თქვენ აღმოჩნდით ყველა-  
ზე ახლოს ჩემთან, თქვენ გამომიწოდეთ ხე-  
ლი!“

ექიმი ცეკვავდა. დაავადების და მომავლის  
საიდუმლოება აქ იყო, ამ ახლზე, ამ სოფლებებს  
შორის. ჰიპოკრატეც იმიტომ იყო დიდი ექიმი,  
სოფლიდან სოფელში რომ დადიოდა, უბრალო  
ადამიანების დასახმარებლად.

როგორ მოსწონდა ეს სოფელი და სოფლე-  
ლებიც. სიტყვით ხომ არ მიმართოს, ხომ არ  
გაახაროს, ხომ არ უთხრას, რომ სიცოცხლევ  
ზოგჯერ წმინდა ვიტეს ცეკვას ემსგავსება, იმ-  
პულსურს, მთრთოლვარეს, შემთხვევითი მოქ-  
რაობების, მოვლენების აბრაკადაბრას. წყვილი-  
აღსა და ნათელში, კვამლსა და ნისლში, სიზ-  
მარსა და მაიას საბურველში, სიკეთესა და ბო-

როტებას შორის მიმავალი. ამ როკვაში ყველა-  
ნი ვართ ჩართულნი: მიწაზე, მიწის ქვეშ და  
ზეცაშიც, ის გვაახლოებს ყველას, ვინც ვცო-  
ცხლობთ და ვინც არსებობდა ჩვენამდის. ის  
ქოფაკი, ის მძლოლები, ქეთინოს მეგობრები,  
პროფესორების და დიდი კაცის შვილები, სი-  
ძეები, თავმჯდომარე, ბრიგადირი, კვაკვალა,  
კვიტირო ბიჭი, უორა, ის გამოჩერჩეტებული  
თხა, დემონები და ღმერთები ერთ ფერხულში  
ვართ ჩაბმულნი...

ამ დროს ხალხს ერთი საშუალო ტანის ჩა-  
სუქებული დედაკაცი გამოეყო.

— ექიმო, ჩემს ბავშვს რაღა ჭირს, შენი ჭი-  
რიმე? — ჰკითხა მან აქოშინებულ და მოღიმა-  
რე ექიმს.

— ვნახავ და მოგახსენებ...

— შეუძლოთ იყო დილით.

— მერე რატომ არ შემატყობინეთ? ასე  
როგორ შეიძლება?!

მე გამოგიძახეთ...

— არა, ქალბატონო, მე მხოლოდ ერთ ბავ-  
შეთან მიმიწვიეს, — მან ანეტასკენ გაიხედა.

— უკაცრავად, თქვენ ცდებით.

— აქ რაღაც გაუგებრობაა... — დარცხვენით  
თქვა ანეტამ.

— თქვენ ნუ აღელდებით, — ტუბილი ხმით  
უთხრა ექიმმა.

— ...ექიმი მე არ გამომიძახებია.

— როგორ?.. — გაუჭვრტა ექიმს.

— ეს ბიჭი კი საძაგელია, ლოგინში გდება  
უყვარს შუადღემდე... უ, დაგეფსო თვალბი...  
შენ გადააკვირეკვილა უფაღმა.

უთაქა და უთაქა კვიტირო თავში.

— ექიმო, ექიმი მე გამოვიძახებ...  
ფოსტის გამგე თავმჯდომარეს ეუბნებოდა:

— კი, უმაწვილია, მაგრამ ჭერ კიდევ ბაღა-  
ნაა. ცხოვრება ცეკვა ჰგონია... აცა პაწია კიდევ,  
ბიძია, და...

ცხელმა ქარმა დაუბერა. გაჯახულის წასა-  
ყვანად მოსულიყო. ივნისი დგებოდა, ჩოხადამ-  
პალა მოდიოდა.

## ჩემპიონი და მწვრთნელი

დღეს ყველაფერი მთავრდებოდა. წინაღ-  
მით წვიმამ გადაიღო, ღრუბლები გაიფანტა და  
დილით მზე გამოჩნდა. ნიადაგი თითქმის გა-  
შრა, ქარი არ ქროდა და ისევ საჩოგბურთო  
ამინდი დადგა.

მთელი კვირა წვიმდა. დღის განმავლობაში  
რამოდენიმეჯერ წყვეტდნენ ასპარეზობას.  
წვიმის გადაყრის მოლოდინში ჩოგბურთელე-  
ბი გულხელდაკრეფილები ისხდნენ. შემდეგ  
შეჯიბრების ორგანიზატორები ბენზინს ას-

ხამდნენ მოედნის დასველებულ ნაწილს, უკი-  
დებდნენ ცეცხლს და ამშრალბდნენ. მერე  
ისევ წვიმა, წყალი და ნესტი. მაგრამ დღეს,  
შეჯიბრების უქანასკნელ დღეს, მზე კვლავ გა-  
მოჩნდა.

თენგიზი მაღაზიის ვიტრინის წინ შედგა,  
სპორტული ჩანთა ტროტუარზე დადო და უქან

ბურამ კაპანაძე  
მომხრობებო

მიხედა. ცვი, ქვიანური და განურჩევლო გამოხედვა ჰქონდა. გაზეთის კიოსთან მალა-ლი, ფერმკრთალი ჭაბუკი ცისფერკაბიან გოგონას ელაპარაკებოდა. გოგონა თავჩაქინდრული იდგა. შავ რდიკულს აქეთ-იქით აქანავებდა. მწვრთნელი კი საცა იყო გამოვიდოდა სასტუმროდან. მწვრთნელი ვესტიბულში შეაჩერა სომეხმა მსაჯმა, თბილისში დაბადებულმა, გაზრდილმა და შემდეგ ერევანში გადასულმა საცხოვრებლად, ყოფილმა ჩოგბურთელმა, ყრმობის მეგობარმა.

სასტუმროს წინ მოედანია. მოედანს რამდენიმე ვიწრო ქუჩა ერწყმის. ქუჩების ვასწვრივ გაოთურ სტილიშ აგებული სახლები დგანან. ჩრდილოეთით ყურეა, ნაპირის ვასწვრივ მოთეთრო წვირილი ქვიშა. ესტონეთში ბევრი მისდევს ნაოსნობას, მაგრამ ჩოგბურთიც ერთ-ერთი პოპულარული სპორტია.

მოხუცი არ ჩანდა. სასტუმროში ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. სასადილოდან, რომელიც იქვე, სასტუმროს გვერდით იყო, დიტო გამოვიდა. იგი თენგიზის თანატოლი იყო. ნამდვილი ჩოგბურთელი მისგან ვერ დადგა. სუთილედ წლის წინ კი მასზე ყველაზე მეტ იმედს ამყარებდნენ საქართველოში. ერთხელ დიტომ ნახევარი საათში ათი ქიქა ლუდი დალია და სამოცდაათი ხინკალი შეჭამა. როდესაც დიდ ჩოგბურთზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მწვრთნელი იტყოდა, ჩემპიონმა დიტოსავით ჭამა უნდა იცოდესო.

სასტუმროს წინ ვერცხლისფერი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან უკრაინელი ჩოგბურთელები გადამოვიდნენ. მათ შორის ლერა კუზმენკოც იყო, ქვეყნის ჩემპიონი. თვალის დახამამებაში დიტო ადგილიდან მოწყდა, ვალერისთან მიიბრინა და ჩოგბურთელთა შორის ყველაზე ლამაზ გოგონას ხელი გაუწოდა. ხოლო როცა ლერა წავიდა, კიდევ დიდხანს ადევნებდა თვალს, შემდეგ თენგიზი დაინახა.

— რატომ გვივიდავენ ასე ჩემპიონები და ლამაზი ქალები?.. შენ არ გავვიანდება?

თენგიზმა თავი გააქინა:

— შეხვედრა ნახევარი საათით გადადეს.

მეორე მხარეს, ეკლესიის წინ ბაფთებიანი გოგონა მტრედებს საკენკს უყრიდა.

— მომე, მე წამოვიღებ მაგ ჩანთას, — უთხრა დიტომ. — ხელი რომ არ დაგეღალოს.

— მჩატა.

— რა მოხდება, მასიამოვნე, ჩემპიონის პორტფელი დამაჭერინე.

როდესაც თენგიზმა ჩანთა გაუწოდა, დიტომ გაიცინა.

— რა ფერისაა ბუს კვერცხები, ბიჭო?..

— დიდხანს ხარხარებდა.

„თმისა და უსამართლობის ფერისა... ოცი წლის ასაკში თმის ცვენა, თერამეტი წლის ასაკში იმედების გაცრუება. გრძელი მოკაუ-

ჭებული ცხვირი, უმეტყველო თვალები და ირგვლივ კი ამდენი ციციანთელები — ვალერი, ველვე, რუსიკო... უთხრას რასაც ფიქრობს?“

რადგან მოხუცი იგვიანებდა, თენგიზმა წახვლა გადაწყვიტა და ისინი მეორე მხარეს გადავიდნენ. ყავახანასთან კიდევ ერთხელ მიიხედია უკან.

— მშვენიერი დღეა, — თქვა დიტომ, — შენ როგორ გრძნობ თავს?

— ჩვეულებრივად.

— ფინალში თამაში ყოველი ჩვენგანის ოცნება იყო. საქართველოდან ეს პატივი შენ გერგო პირველად. მაგრამ ვანოც ძლიერი იყო. მის დროს ყველა განთქმული ჩოგბურთელი თამაშობდა. ნეკრებეტცი, ნოვიკოვი, ბელიცგეიმანი, კობზუტი.

— ოზეროვი, ანდრეევი.

— ამიტომაც ვერ გაიხარა. ვახსოვს, როგორ აწოდებდა ბურთს? ვანო ჩვენი ჩოგბურთის კაუხანდევი იყო.

— ვიქტორის შემდეგ.

თენგიზმა იცოდა, რომ დიტოს გაეხარებოდა მისი დამარცხება. თბილისში ორი დიდი სტადიონია, ჩოგბურთის და ჩოგბურთელების ორი პარტიანა, კაპულეტები და მონტაგები. „სად, სად, გულის რომელ კუნჭულში იბადება ეს შური, ეს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა?“

— ხიობი სუსტია, — თქვა დიტომ. — დღეს შენ გაიმარჯვებ. მართალია, ჩვენს ოთახში ყველა ირწმუნება, რომ იგი გახდება ჩემპიონი, მაგრამ მე არ ვიზიარებ მათ აზრს და თუნდაც სანაძღვოს დავდებ.

— ეს რა ტაძარია, დიტო?

— ვერ გეტყვი.

— ამ ქალაქში ათამდე სალოცავი ყოფილა.

— მე რე რა?

— ერთ-ერთში მსკოვანი ღვთის მსახური რისორჯიმენტოს ამზადებს.

— ეს რაღაა?

ისევ მოპირდაპირე მხარეზე გადავიდნენ. ეკლესია უკან დარჩა.

— საოცარი თვისების ხსნარია.

— რისთვის ხმარობენ? — განურჩეველი ხმით იკითხა დიტომ.

— ერთი ქიქა რისორჯიმენტო სულიერი ძალების განახლების და თმის წამალია. თუ წამომიღებ ჩანთას...

დიტომ გაიცინა.

ხოლო სტადიონი იქვე იყო, ფერდობის ძირში. უცებ გამოჩნდა მრავალფეროვანი დროშებით საზეიმოდ მორთული. ირგვლივ კი უზარმაზარი ცაცხვის ხეები იდგნენ.

სტადიონზე გვერდითი შესასვლელიდან ამოყვეს თავი. საწვრთნელ მოედანთან რკინის

ბადეს ველზე მიჭრდნობოდა. შავი კაბა ეცვა, მის თერ სხეულს ასე რომ უხდებოდა.

— დღეს თქვენ დაგიკერთ მხარს, — უთხრა მან თენგიზს.

სიარულის დროს თქმობის რჩევა იცოდა, ხავსე მკერდი და ორი ამეთვისტო მქონდა. თვალების ნაცვლად, რომელთაც წემოდან მძიმე ქუთუთოები ფარავდა.

— შეძახილებით ვაგამხნეებ, — თქვა მან, — ჩემს ღვიჭილასაც გიბოძებ.

— ერთი სიტყვით, ბედს გწევს, — თქვა დიტომ.

— მაშინ მე წაეგებ, — უპასუხა თენგიზმა ველზე.

— მომიტევე, რატომ?

— როცა თქვენ მხარს არ მიჭერდით, როცა ჩემს დამარცხებაში ეჭვი არ გეპარებოდათ, მე ვიკებდი.

— ეგ ველურის ცრუ რწმენაა...

— მაინც დამშვიდებით მინდა ვიყო.

ველზემ ოდნავ უკან გადასწია თავი და გლუვი, თეთრი კისერი გამოუჩნდა. „ერთ დიდ ჩოგბურთელზე — ასი უნიჭო ჩოგბურთელი მოდის, — გაფიქრა თენგიზმა, — ერთ ველზეზე — ათასი ჩვეულებრივი ქალი... ზღვის ჭაფიდან გაჩენილი, ჩოგბურთელ ქალთა ქარავნის ფეშანგი“.

თენგიზმა საათზე დახედა. შემდეგ ისევ გაუხსწორა მხერა ქალიშვილს. ველზემ კი უთხრა:

— გუშინ საღამოს თქვენი მწვრთნელი გავიცანი. საოცარი კაცია.

— კარგი კოცნა იცის? გამოტყდი, ველზე, — გადაიხარხარა დიტომ. უაზრო სახზე წითელმა ფერმა გადაჰკრა.

„წარბიც არ შეუტოკებია. ღირსეულად ეჭირა თავი. მისი წინაპრები თავადები იქნებოდნენ“, — გაფიქრა თენგიზმა.

დიტო წავიდა. მოედანს შემოუარა და მსაჯთა ოთახისკენ გასწია.

„დიდსულმოვანი უნდა იყო ან სულ არ უნდა ამჩნევდე ზოგიერთს. ოღონდ ეს ძალზე ძნელია, ერთიც და მეორეც ალბათ ჩემიონობაზე ძნელია“, — გაახსენდა მწვრთნელის ნათქვამი თენგიზს.

ველზე კი ისევ იღიმებოდა.

— მეც წავიდა, — თქვა თენგიზმა. — საცაა დაშნებს ვადავაჯვარდინებთ და თუ სასიკვდილოდ დამჭრეს, შენს ღვიჭილსაც იქ ჩავიტან. — ხედილთ აჩვენა მიწაზე.

— შენისთანები გამარჯვებისთვის იბადებიან, ასე რომ...

შეგობრების დაწეების მოლოდინში მავუტრებლები ფასებზე, სპორტზე, პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე, სტელოვნებაზე, ქალებზე, მოგზაურობაზე, ქლაქში მომხდარ წვრილმან სენსაციებზე, მოსალოდნელ ამინდზე საუბრობ-

დნენ. ამ მსუბუქ ზერდელ აზრებს, მოგონებებს დრო შეუმჩინებლად გაჰყავდა. ამ შემთხვევით შეხვედრებს დახვეწება, ყოველდღიურიობის დროებითი დავიწყება მოჰქონდა. მაგიურ, ზღაპრულ თამაშსაც ზერდელდ აღიქვამდნენ, როგორც დღეებსა და სიხმრებს, როგორც პატარ-პატარა წარმატებასა და მარცხს.

თენგიზის გამოჩენა უცებ შეამჩნიეს. მათ მოსწონდათ ქართული ჩოგბურთელი, მაღალი, მავგერემანი, ბრძოლაში დაუნდობელი.

თენგიზი გასახდელში შევიდა.

— როგორ ითამაშა ვიქტორმა? — ჰკითხა ვივი მარლანას.

— წააგო.

თბილისელი ჩოგბურთელი, თენგიზის თანაკლუბელი, ვიქტორ ურავესკი მეტუთე ადგილისათვის ეთამაშებოდა მოსკოველ პანკოვს.

— რა ანგარიშით?

— 6:2, 6:3, 6:1. უქეიფოდ ვიყავიო.

— გუშინ რომ არაფერი ეტყობოდა?

— გინახავს დამარცხებული ჩოგბურთელი, თავს ავადმყოფად რომ არ ასაღებდეს?.. სხვა რა თქვას?

— ხომ არ დღეა წუხელ?

— ეგაც არ არის გამორიცხული.

თენგიზმა ჩანთა სკამზე დადო და სარკმელთან მივიდა. მესამე მოედანზე თომას ხიოპი თამაშობდა. მისი მეტოქე, ესტონელების საყვარელი ჩოგბურთელი, უკანასკნელი ბრძოლისათვის ეშვადებოდა. თენგიზს სასიამოვნოდ შეეკუმშა გული, იგი სათამაშოდ იყო განწყობილი. ხოლო თომასი დარსეულ მეტოქედ მიჩნდა და საღამოზე, როგორც არ უნდა დამთავრდეს შეხვედრა, საბანკეტო დარბაზში ბევრჯერ გაუღიმებენ და გამოელაპარაკებიან ერთმანეთს, ველზე კი ვალერიზე უკეთესია. ველზე უფრო მიმზიდველია და მას ორი ამეთვისტო აქვს თვალების ნაცვლად. ამ ორ გოგონაზე ყოველდღე აზრს იცვლიდა. დღეს ველზე იყო გამარჯვებული.

— უფრო მაღლა ამიგდე ბურთი, — უყვიროდა თომასი პარტნიორს და უკან-უკან იხევდა ფრთხილად, ესტონელი პატარა ბიჭები შორიან-ლო იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ თავიანთ კერპს. შემდეგ მწვრთნელი შემოვიდა ოთახში და ჩახლერილი ხმით თქვა:

— მოემზადე, დროა.

მწვრთნელს ჩამოსვლის მეორე დღეს აუწყია სიცხემ. ხშირად ცივდებოდა.

თენგიზმა ჩანთა გახსნა, მან გაფიქრა, რომ გადაეჩვია მოხუცს. სასტუმროს პატარა ოთახში მოხუცი და ახლგაზრდა, მწვრთნელი და მოწაფე დიდხანს ვერ გაძლებენ ერთად. ველ-

შურამ კაპანაძემ მოიხრობებინა

ვესთან იმავე ოთახში კი დიდი სიამოვნებით გაატარებდა სიცოცხლის ნაწილს... ველვე, ჩოგბურთი, მოგზაურობა. რა ცოტა ჭირდება ადამიანს... ერთ ადგილზე, ერთ ქალაქში უკვე უჭირდა დიდხანს დარჩენა. განშორება და ისევ დაბრუნება. მოხეტიალე მუსიკოსი, მოხეტიალე რაინდი. მის გვარში, მის წინაპართა შორის ვიღაცა იყო ამ ორიდან ერთ-ერთი. შეიძლება მაწაწალებიც ერივნენ. იმიტომაც გახდა თვითონ „მოხეტიალე“ ჩოგბურთელი. გაცილებდა, თვითმფრინავი, ჩაფრენა, დასვედრები, შემდეგ თამაში, ბრძოლა, დაღლა, ისევ სახლისკენ მზერა. თორმეტი წლის ასაკიდან დაწყებული მთელი საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქები მოიარა. მაგრამ ეს ყველაფერი მანაც დასაწყისი იყო. წინ ბურბონების სახანდე, მონაპარსის, წმინდა პეტრეს ტაძარი, პიაცა დელ პოპოლო, ტაუერი, ჰენრიხ მეშვიდეს სამლოცველო, მანჰეტენი, ბუდა, რაჯარანის ტაძარი, ამედუესის ტბა, ჰიმედიშის ციხისმაგრი, დიდებული რიო და სხვა ათასი სანახაობა ელოდებოდა. მისი მარჯვენა მოატარებს მთელ დედამიწას და ეს ყველაფერი ოცი-ოცდახუთი წლის ასაკში მოხდება. ფეშენებელური სასტუმროები, კომფორტაბელური თვითმფრინავები, დასვენების საზოგადოება, ცნობილი ადამიანები. თუ არა იგი, მაშინ ვინ არის რჩეული — პედო, სიმონია, ფეფო, ძუკუ, თუ სიღობისტრო? რომელია?... ერთვსაც თან წაიყვანს. თუ უმჯობესია თვეში ვროსხელ, როდესაც შორეული მხრიდან ჩამოფრინდება, აეროპორტში დახვდეს, მოდიმარი, განახლებული, ოღონდ საიდუმლოებით მოცული?... წასვლა და მარად დაბრუნება...

გასახდელში ჩოგბურთელები შემოვიდნენ. ურავესკიმ ჩოგანი ფანჯრის რაფაზე დადო.

— ბორის, — დაუძახა მუწუკებიან ჩოგბურთელს, — ახანთი გადმომიგდე, — შემდეგ სავარძელში ჩაჯდა და სახეზე პირსახოცი მოისვა.

— მოედნები რბილია, თენგიზ.

— ძნელია თამაში? — თენგიზმა პერის მარკის თეთრი მაისური გადაიცვა, სარკესთან მივიდა, თმა გაისწორა.

დამარცხებულს არ უყურებენ თვალეში. მაგრამ ურავესკის შეეძლო არ ეგრძნობინებინა, რომ წაგებული იყო. ოღონდ დარტყმები მანაც დარტყმება და თენგიზმა იცოდა, რომ ბოლოსდაბოლოს ისინი ყველას აქცევენ. ვიქტორს კი ასე ცოტა უკლია.

— არა, ეგ არ მინდოდა მეტეჯა, — ვიქტორმა სიგარეტი გააბოლა, — თამაში სასიამოვნოა, აღარც წვიმს, კარიც ჩაღვა.

— მაშინაც, რომ აგებ? — ჰკითხა ვიღაცამ.

— მაშინ განსაკუთრებით.

— რატომ?

— როგორ გითხრა... გამარჯვება ზოგჯერ ძალზე ძნელდება. ყოველ შემთხვევაში, მე ძვირად

მიჭდება ბოლო დროს. წაჭებაში კი არაფერს „ვიხილ“. ხოლო ჩოგბურთი მაშინაც მიყვარს, როცა ვმარცხდები.

აგურისფერი კორტი ფინალური შეხვედრისათვის მზად იყო. საზებო თავიდან შეეღებოთ თერთად. დაპიშული შავი ბადე სიმეტრიულად ჰყოფდა მოედანს, სადაც თენგიზი და თომასი ერთდროულად გავიდნენ. უფროსმა მსაჯმა ბურთები თენგიზს გადაუგდო. იმ ოთხი ჩოგნიდან, რომელიც თან ჰქონდა, ერთ-ერთი ამოიჩინა. მსაჯებმაც თავ-თავიანი ადგილები დაიკავეს. დიდი ჩოგბურთი იწყებოდა.

თომას ხიოპმა მარცხენა ფეხი თეთრ სახს მოუახლოვა, ორჯერ დაარტყა მიწაზე ბურთი და მეტოქისკენ გაიხედა. თენგიზი ოდნავ მოიხარა მხრებში. პირველი ბურთი თომასმა კვადრატს ააცდინა. მაშინ უკან დაბრუნდა, ისევ მოემზადა და მეორე ბურთს დაარტყა. თენგიზმა მარცხნიდან მოიგერია. ხიოპმა უპასუხა და წინ წავიდა. ბადესთან მოხდენილად გადახტა, ავა-სასავით. დამაჯერებელი, ნასწავლი, გამოჩინილი ნახტომით გაივლიდა.

დიდხანს არ ცხრებოდა ტაში. პატარა გოგონამ ბურთები გაუგორა თომასს. ხიოპმა მიაწოდა და მაშინვე ბადისკენ დაიძრა. თენგიზმა ოდნავ დაიგვიანა. თომასი ისევ გადახტა ბადესთან. ბურთმა უკანა სახსთან აყარა სილა.

„ტყვიაც ასეთ კვალს ტოვებს ალბათ ლოდზე, აგურზე“, — გაუფლავა გონებაში თენგიზს.

— 30:0, — გამოაცხადა მსაჯმა.

მაყურებელი შეიმობდა. მათმა თომასმა ლამაზად დაიწყო მატჩი.

ისევ ძლიერად მიაწოდა თომასმა. მაგრამ მარჯნიდან დარტყმულ თენგიზის ბურთს ვეღარ მიწვდა.

— 30:15.

მწვრთნელმა სიგარეტი გააბოლა. ბოლო რიგში იჭდა, ერთენელი მეგობრის გვერდით, აქედან მოედანი ხელისგულივით ჩანდა. თუ სამი პარტია ორ საათზე მეტს გაგრძელდებოდა, რვა სიგარეტი, რომელიც შემორჩა, არ ეყოფოდა. მარჯნივ მიაბრუნა თავი, იქით, სადაც თბილისელები ეგულდებოდა.

მწვრთნელი სამოც წელს მიღწეული ქალარა მამაკაცი იყო. ჯიუტი, დამოუკიდებელი ხასიათი და წაწვეტილებული სახის ნაკვთები ჰქონდა. შორიდან უფროსი ხნიერად გამოიყურებოდა. მისი ცოცხალი თვალები, პატარა, საოცრად შავი თვალები ისევ ელავდნენ. მაგრამ რადგან თვალები ათიოდ მეტრიდან უკვე კარგად აღარ ჩანან, შორიდან მწვრთნელი საუკუნეების სიღრმიდან გამოხულ ადამიანს ჰგავდა.

იგი ჩვეულებრივი მწვრთნელი იყო. ეს იცოდა. მაგრამ მტკვრის ნაპირთან, თბილისში, საუცხოო ჩოგბურთის სტადიონი გააშენა, ჩოგბურთის ჩირაღდანი აანთო. ორმოცდაათი წელი ამ თამაშის გარდა, წიგნების შექმნით იყო გა-

ტაცებული. საინტერესო აღმავანებს, რომლებიც ასე ცოტაა სინამდვილეში, წიგნებში ხვდებით, შემდეგ თავის მოწაფეებშიც მოგონილი გმირების თვისებების, სიკეთის, სიმდიერის, დაუმორჩილებლობის, გამარჯვების, რწმენას ჩანერგვას ცდილობდა... ერთი კაცის სიცოცხლისათვის ბევრია თუ ესეც არაფერია? რატომ შეწირა მადლიონი წამები ჩოგბურთს? დიდი ჩოგბურთიც ხომ მოჩვენებაა, როგორც მფრინავი თევზები და ტყის ფერები, როგორც სიჭაბუკის დღეები, როგორც მიწაში ჩასული ახლობლების თვალები, თითები და ბგერათი იოგები...

სადემონსტრაციო დაფაზე 4:4 გამოჩნდა. თენგიზი და თომასი მსაჯის კოშკურის გვერდით მდგომ მავიდასთან მივიდნენ. თენგიზმა პირსახოცით სახე შეიმშრალა. სიოპმა კი წყალი მოსვა. ფოტოკორესპონდენტმა ესტონურად რაღაც უთხრა თომასს და სურათი გადაუღო. მწვრთნელმა სიგარეტს მოუკიდა. ისინი, — თენგიზი და თომასი, პირველი კლასის ჩოგბურთელები არიან. ოდნურ თომას სიოპმა, როგორც მოთამაშემ, მწვერვალს მიაღწია. ამოსწორა თავისი შესაძლებლობანი და მეტად აღარ გაიზარდება...

თომას სიოპმა ძლიერად დაარტყა ბურთი. თენგიზს მოგერიება გაუჭირდა. მერე სულ იოლი ბურთი ბადეს მოახვედრა. შემდეგი ბურთი კიდევ უფრო ცუდად გაითამაშა. თენგიზს აუცილებლად ჰაეროდან უნდა ეთამაშა. ის კი ბურთის მიწაზე დაშვებას დაელოდა და მხოლოდ შემდეგ დაარტყა სუსტად.

მწვრთნელი მისვლა, თენგიზს ძალზე უნდოდა ამ ქულის მოგება და ხელსაყრელ მომენტშიც მოცდა ამგონინა. ის ელოდებოდა, თუ როდის წააგებდა თვითონ სიოპი. ხშირად სხვისი წაგება ჩვენს გამარჯვებას უდრის. მწვრთნელი ვერ გაამტყუნებდა თენგიზს. ჩოგბურთელებმა იციან, რომ დროებითი სულმოკლეობა სამარცხვინო არ არის.

— შენი ბიჭი აგებს, — უთხრა ნიკოლოზმა. — მას წინლაკობა აკლია. ჩოგბურთელს მოქადარკის თავი უნდა ჰქონდეს და ბერკლის ახრები. ჩოგბურთელი სოლიფსისტი უნდა იყოს.

მწვრთნელმა ხმა არ გასცა.

თენგიზმა მარცხნიდან დაარტყა. თომასი უკან გადაიხარა და მოედნის დიაგონალის მიმართულებით დააბრუნა ბურთი. თენგიზი ადგილიდან მოწყდა, დაარტყა და წინ გადასტია. სიოპმა სწრაფად უპასუხა. კიდევ დაარტყა თენგიზმა, კიდევ ერთხელ და თომასმა ძლივს მოიგერია.

— თომასი წინ უნდა გაჭრილიყო, — თქვა ნიკოლოზმა. — ცუდად ითამაშა.

უცებ მწვრთნელმა ინანა ნიკოლოზის გვერდით რომ იჯდა. ეს კაცი აღარ მოახვედრებდა.

თენგიზმა ბურთს გააყოლა თვალი. თომასმა ძალუმაღ მოიქნა ჩოგი და წინ წამოვიდა, სწრა-

ფად მოიწვია. თენგიზმა თავზე გადაუგდო ბურთი და თომასმა მოკლე-მოკლე ნაბიჯებით დაიხია, მარცხნიდან შემოუარა ბურთს და მაღლა აავლო. თენგიზმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ბადის მიმართულებით, ერთი წამით გაირინდა და შემდეგ დაარტყა.

უცნაურად მოიქცა მწვრთნელი. უწინ არ იცოდა თამაშის დაწყებამდე მოსვლა. „მოხუცდა, — გაიფიქრა თენგიზმა, — და წილი უნდა გამარჯვებაში. შეეშინდა, მოგების შემთხვევაში არ დავაფიქრდეთ“. თომასმა „მოჭრილი“ ბურთი მიაწვია, შემდეგ მოპირდაპირე კუთხეში დაარტყა.

— საქართველოში უყვართ ჩოგბურთი? — იკითხა ნიკოლოზმა.

— მინცდამინც არა, ჩვენთან ფეხბურთით არიან გატაცებულნი.

— არ ესმით, — თქვა ნიკოლოზმა, — ჩოგბურთი ჰაინა, ფეხბურთი კი... ვინ ვთქვა, ლუდვიგ ბერნე, მეტი არაფერი.

თენგიზი უეცრივ წამოვიდა წინ, მწვრთნელი ჯერ ვერ მიხვდა, რა უნდოდა მას. სიოპი ბადესთან იდგა. იგი ხედვდა, როგორ მოიწვია მეტოქე. მაგრამ აჩქარდა, სუსტად დაარტყა. ორი ნაბიჯის გადადგმა კიდევ მოასწრო თენგიზმა. შემდეგ ჰაერში დაუხვედრა ბურთს ჩოგი.

მწვრთნელი ნიკოლოზს მიუბრუნდა:

— მომისმინე, კიდევ მოაწონს ჩვენებური „20“ ნომერი?

— მე ყველაფერი მომწონს ქართული. განსაკუთრებით კი თქვენი პოპულარული მთა.

— აი, თუ თენგიზი გამარჯვებს, ჩვენ ამ საღამოსვე იმ სასმელით ავსებულ ჭიქებს მივუჭახუნებთ.

— თანახმა ვარ. მაგრამ, ერთი რამის მეშინია.

— რის?

— მე ვერ წარმომიდგენია ის სასმელი თქვენი პოპულარული მთის გარეშე.

მესამე პარტიის შემდეგ ისვენებდნენ, ბოლო ბურთები თომასმა სუსტად გაითამაშა და უკმაყოფილო იყო. ჩვეულებრივ, თომას სიოპი იშვიათად გამოდიოდა წონასწორობიდან. ახლა ბარძაყზე ირტყამდა ჩოგს და თავს აქიცინებდა. 2:1 წაიყვანა ქართულმა ჩოგბურთელმა.

კიბეზე ასვლისას თენგიზს ვიღაცამ ხელი დაჭრა მხარზე. რამდენიმე საფეხური კიდევ აირბინა და მიხვდა. ვეღვე იყო. თენგიზი დაელოდა და ისინი ერთად ავიდნენ მაღლა.

— ვის ხელებს მაგონებს თქვენი ხელები, ეს ცისფერი მყესები? — საწვრთნელ მოედანთან მდგომ ნაძვის ხესთან შეჩერდნენ, მაყურებლის ცნობისმოყვარე თვლებს მიეფარნენ, — ამ სა-

გურამ კაპანაძე  
მოთხრობები

ოცარ თითებს, ამ ცვილიდან ჩამოქნილ ხანთ-  
ლებს რა ამოძრავებს, რა ფარული ძალა ამოქ-  
მედებს?

თენგიზი ოდნავ შეებო ველვებს ხელს.

— იესო მაცხოვარო, — იცინოდა ველვე,  
— რატომ გინდათ თავი წინდაცემულ ბიჭად  
მომაჩვენოთ?

— მე ბიჭი არა ვარ. ამაში მალე დარწმუნ-  
დები.

— შეიძლება არც ცდებოდე. მართლაც ისე  
ღრმად ხუნთაქვ და ისეთი ორთქლი აგდის სხე-  
ულიდან, რომ გეწელს უფრო ჰგავხარ... მოვ-  
წონს?

— თუ გაემაჩვენე, ყურს მოგართმევ, რო-  
გორც ესპანეთში იციან. მე შენ გიძღვნი ამ  
ბრძოლას.

ველვემ მხრები აიჩეჩა.

— შენი კუთხე უფრო მიწიდავს, საცა უცებ  
ეკიდება ხოლმე ცეცხლი სხეულს, სადაც  
პალმები და მტაცებელი ცხოველები დარბიან.  
ისე მოიქცე, როგორც თქვენს მხარეში იციან.

— მაშინ თამაშის შემდეგ ბახუსად გადავიქ-  
ცევი, შენ კი არიადნა გახდი.

— რამ შეგაყვარა ეს დამბობილი ღმერთები?  
შეიძლება დიტოა ამის მიზეზი?

გასახლელში მაისური გამოიცვალა თენგიზმა  
და ხავარძელში ჩაჭდა. მან გაიფიქრა, რომ ახ-  
ლა, როდესაც უფრო ახლო არის მიწანთან, გა-  
მარჯვება არ უნდა გაუშვას ხელიდან. ჰორაციუ-  
სის „მწვეარი“ — Carpe diem ამოქმედდა...  
ყოველი ჩოგბურთელი ჩემპიონობაზე ოცნე-  
ბობს. ოღონდ ისინი ცდებიან, ან მოტყუებულ-  
ნი არიან. სიამოვნებას ღამაში, შემტევი თამაში  
ანიჭებს ადამიანს და არა ჩემპიონის სახელის  
მოხვეჭა. ვისი თეორიაა ეს? ნაწილობრივ ვე-  
თანსებები. მაგრამ თვით მე პირველობისთვის  
ვიბრძობდებ, ჩემს ნებისყოფას მოვასვენე მეტო-  
ქეს: უსტიმულოდ სპორტი ვერ გაძლებდა.  
ცხოვრებაშიც ზომ იგივე მეორდება, იქ ხან  
ჩუმი, ხან აშკარა ბრძოლა პირველობისათვის.  
მაგრამ ამახს გაფაციცებით მაღავენ, სინამდვი-  
ლეში ბრძოლა დაუნდობელი, მძაფრია. ოღონდ  
ცხოვრებაში ხშირად უღირსი ხდება „ჩემპიონ-  
ნი“. ცხოვრებაში ძალიან ბევრია დამოკიდებუ-  
ლი შემთხვევითობაზე და სხვებზე...“

გასახლელში ვიქტორი შემოვიდა. „მოასწრო  
და გადაჰკრა?“ ვიქტორმა გაუღიმა „ესე იგი,  
გადაუტყუარა“.

— ხად? ასე უცებ?

— მეტყობა?

მესამე წელი იყო, რაც სასმელს ეტანებოდა  
ვიქტორ ურავესკი. ერთ დროს კი ბრწყინვა-  
ლე მოთამაშედ ითვლებოდა. მისი ნებისყოფა  
და ბრძოლისუნარიანობა სასმელმა შთანთქა.  
ღვინის ჭინკები არ ეშვებოდნენ. მაგრამ თენ-  
გიზს მაინც მოსწონდა ურავესკი. ვიქტორი  
ერთხელ მაინც იყო დიდი ადამიანი. ყოველ

შემთხვევაში, დიტოს უფლება არა აქვს, მას-  
ზე რაიმე თქვას.

— თბილისში როდის მიფრინავ? — ჰკითხა  
თენგიზმა.

— დილით.

— ერთად გვიმგზავრია... ათი წუთიც ამო-  
იწურა.

მეოთხე პარტიაში თომასმა „აიწყვიტა“. თე-  
ნგიზი კი განურჩევლობამ შეიპყრო. თითქოს  
მობეჭრდა თამაში, თითქოს მოსაწყენი გახ-  
და ბურთის მოგერიება. ისევ დეკარგა ბილი-  
კი, მწვრვალისკენ მიმავალი გზა. გველესაპს  
კი — „ნურაფერი გაღელვებს“ — ვალვიძობ-  
და. მარჯვნიდან მარცხნივ სტუწნაობდა ბურთი  
და მან გაიფიქრა, რომ უფრო ხშირად ადა-  
მიანი ერთი და იგივე გზას გადის და ერთი  
და იგივე მათი დასასრულიცო, შემდეგ ვიქ-  
ტორზე დაიწყო ფიქრი და ისევ მრავალჯერ  
გაიფიქრა, რომ იგი მოსწონდა როგორც დამა-  
რცხებელი ადამიანი, მეტე თბილისი გახსენ-  
და, რუსთაველის გამზირი, ვუთა პირველი  
სკოლა. „ჩემი ღამაში ქართული სიტყვები:  
ოდრიკელა, ანწლი, ბზა, მარიამ-საკმელა, დრა-  
ზი, თავისუფლება, ძიგვე... ქართული სიტყ-  
ვები, ჩვენი სულის მშობიერი, ჩვენი ჩამოურთ-  
მეველი ქონება, მამულები, სასახლეები... თბი-  
ლისი, კეცხოველის ქუჩა, მყუდრო, მტვრია-  
ნი“... პერსექვარაციები აღარ შორდებოდა.

მწვრთნელი დროდადრო ყრულ ახველებდა.  
ჩოგბურთმა, ამ რთულმა სპორტმა, რომელსაც  
თავისი ცხოვრება დაუკავშირა, ბევრი საინტე-  
რესო ადამიანი გააცნო. მათ შორის ექიმი გი-  
ორგი სიღაშელიც, დახვეწილი გემოვნების  
ადამიანი, ფრანგული ენის მცოდნე, ჩოგბურ-  
თის ტრფიალი, მწვეველი. „რატომ ეწვევით, სი-  
გარეთი ხომ მავნებელია?“, ჰკითხა ერთხელ  
მას მწვრთნელმა. „სიამოვნებაც მოაქვს“. უპა-  
სუსა ექიმმა, „ექიმები უფრო ხშირად თამაშ-  
ქოს უარყოფით თვისებებზე ღაპარაკობენ, ხო-  
ლო არავის შეუწავლია მეცნიერულად, თუ  
რა სარგებლობა მოაქვს. განტვირთვა აუცლად-  
ბელია ადამიანისათვის. სიგარეთი კი ზოგჯერ  
მართლაც გვემხარება თავდავიწყებაში“. ასე  
იმართლებდა თავს მწვრთნელიც, თუმცა სვდე-  
ბოდა, რომ ამდენ სიგარეტს უკვე აღარ შეე-  
ძლო სიამოვნების განცდა აღძრა.

ისევ შეცდომა დაუშვა თენგიზმა მარცხნიდან  
დარტყმის დროს და მწვრთნელს ძველი ფაქ-  
რები აეკვიტა. ვერ გაართვა თავი მის აღზ-  
რდას. ჩემპიონის აღმზრდელი თვითონ ჩემ-  
პიონი უნდა იყოს მწვრთნელთა შორის, აქ არი-  
სტოტელეს და ალექსანდრე მაკედონელის ამ-  
ბავია. „ბავშვობისას გამოირჩეოდა თენგიზი?  
ჩვეულებრივი მოწაფე იყო... შეიძლება ვერ  
ამჩნევდი?... დასაშვებია. მე მხოლოდ ორი  
საათით ვხვდებოდი დღეში... შემდეგ რა მოხდა?  
შემდეგ მარცხნიდან დარტყმის დროს მკლა-

ვის არაწესიერი მოძრაობის გამოწვევად გაქმნულა, დროც არ გვეყოფნოდა, ჩვენ არ გვაქვს დრო დღევანდელ მსაჯულთა ვაკეთოთ და ისიც, რომელიც ბავშვობაში უნდა შეგვესწავლებინათ. კიდევაც რომ გამოვინახოთ იგი, მაინც ვერ შევძლებდით, ამისათვის განსაკუთრებული გულუბრყვილობა საჭირო... ყველაფერს ართულებ. აქ ჩემბონზეა ლაპარაკი.“

თენგიზმა ჩოგი გაასწორა, დაარტყა და უკან დაიწია. შემდეგ ისევ საშუალო ძალით დაარტყა და ბურთს გააყოლა თვალი. თომასმა უპასუხა და მარცხენა ხელით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. ბურთმა საათის ქანქარასავით დაიწყო აქეთ-იქით „სეირნობა“...“

„ყველაფერი უნდა შეგქმდეს, შეუძლებელი არ არსებობს. მხოლოდ არ უნდა გეშინოდეს ბრძოლის და უნდა იყო მამაკაცი. თენგიზ, მამაკაცი უნდა იყო... თუშეცა რა შუაშია აქ მამაკაცობა“...“

თომასმა მარჯვნიდან დაარტყა და ერთი წამით შეყოვნდა, შემდეგ წინ წავიდა და ბურთი ბადესთან ჩააგდო.

„ბერძენი ინტრიგანი ალკიბიადე, ზღვის მეკობარე“.

თომასმა ოთხჯერ ზედიზედ ერთი და იმავე კუთხეში გადაუგდო ბურთი, შემდეგ მობრუნდა ბურთი დაარტყა. თენგიზი სწრაფად მოწვეა ადგილიდან. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გადახტა.

— დავიანდა! — დაიძახა მსაჯმა.

თავისუფალი ხელი მიწას შეაშველა, მანც წაიფორხილა. როცა წამოდგა, დასერილი თითები ცხვირსახოცით გაიწმინდა. გაიფიქრა, რომ ნებისყოფის ნატამალიც არ გააჩნდა, რომ მისი წარსული წარმატებანი მოჩვენებითი იყო.

თენგიზმა გვერდითი ხაზის პარალელურად, დაარტყა, თომასმა იმავე მიმართულებით უპასუხა. ისევ მარცხენა კუთხეში გაგზავნა თენგიზმა ბურთი. მეტოქემ კიდევ ერთხელ უპასუხა მარცხნივ და მერე „ჩაჭრა“. თენგიზი არ გაქცეულა.

„როცა იმარჯვებ, ყოველთვის ნებისყოფიანი და შუადღიერი ხარ. მაშინაც გულად ხარ, როცა სხვაზე ლაპარაკობ... გაიფიქრე! სად ღაპარკა ჩემი მამალი. რატომ არ ყვიხს, რატომ არ მიღვიძებს?... სძინავს, მასაც სძინავს“.

იქვე, შორიანლო, მესამე რიგში ვალერის მოჭრა თვალი. ვალერიმ გაუღიმა, ხელი დაუქნია. ამხნევებდა. „ყველაზე ღამაში გოგონა ჩოგბურთელთა შორის ჩემს მხარეზე... ველურ სადღაა?“.

მაგიდიდან ბოთლი აიღო და წყალი მოსვა. თომასმა ჩოგი გამოცვლია: „დანლოპის“ ჩოგით თამაშობდა, პროფესიონალ ჩოგბურთელებს შორის ყველაზე მიღებული „იარაღით“. ბოთ-

ლი მაგიდის ქვეშ დადგა თენგიზმა და ტურნეში მოიწმინდა. სიოპმა თავის მხარეს მიაშურა.

პირველი მიწოდება გვერდითა მსაჯმა არ ჩაუთვალა თომასს. მეორე ბურთი კი სუსტად მიაწოდა. თენგიზმა ძლიერად დაარტყა, სწრაფად, „დამავალ“ ბურთზე. ეს მის საუკეთესო დაარტყმად ითვლებოდა. თომასმა მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს. შემდეგ კი ფეხი გაუკავდა თენგიზს.

ხუთი წუთის შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა.

— მარჯვენა ფეხს გაუფრთხილდი, — ურჩია ექიმმა.

თენგიზმა ყხსიდად დაუქნია თავი. მის ძლიერად დაარტყმულ ბურთს, თომასმა „მოჭრილი“ ბურთით უპასუხა. თენგიზმა დაარტყა და თომასმა ისევ „მოჭრა“.

— 0:15, — გამოაცხადა მსაჯმა.

პატარა ბიჭმა, ცხვირ-პირი გოჭს რომ მიუგავდა, ბურთი გადაუგდო თენგიზს. თენგიზმა მარჯვენა კვადრატში მიაწოდა. თომასმა „მოჭრა“. თენგიზი წინ წავიდა და დაარტყა. სიოპი ძლიერ მიწვეა ბურთს, მანც მთავრად თენგიზმა უკან დააშვა, სიოპი რაღაც დაარტყმა დააბარა, ისევ ტყვედ იგრძნო მარჯვენა ფეხში.

— 0:30.

თენგიზმა გაიფიქრა, რომ ეს დასასრული იყო. იცოდა, რომ სიკვდილი, დამარცხება სხვადასხვაანაირია — ბუნებრივი, უცვლელი, ძალდატანებითი, შეცდევითი და ბოლოს, სულელური... თავის დამშვიდება შეეცადა. მაგრამ იმ თეორიისა, რომ გამარჯვება ზოგჯერ თვითონ დამარცხებაშიც არის, არ წამდა. ეს ბრწყინვალე, მუდამყამი დამარცხებულის ან მოხუცის მოგონებია. იგი წინააღმდეგი იყო სინამდვილესთან ასეთი შეგუებისა. ჩოგბურთელმა იცის, რომ დამარცხება დამარცხებულ არ არის. დამარცხება მხოლოდ მტკივნეულია და სისულელეა წაგებაში გამარჯვება ეძიო...“

თენგიზი აღარ უფრთხილდებოდა ფეხს, რადგან მატჩის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდა. თომასი კი თავდაცვაზე გადავიდა, „გრძელი“ ბურთებით პასუხობდა და ცდილობდა დიდხანს „დაეჭირა“ ბურთი თამაშში. მაგრამ თომასი მანც შეეცადა, როდესაც თავისი გამარჯვება მთლიანად თენგიზის ფეხს მიანდო.

დამარცხების აწრთან შეგუებამ შებოქილობისგან გაათავისუფლა თენგიზი და გამარჯვებაც მოუტანა. ბოლო ბურთი თომასმა შორს გადააგდო, საზვარეთ. ბურთი დიდხანს ეშვებოდა ძირს. მაყურებელი გულთბილად შეხვედრა ახალი ჩემპიონის „დაბადებას“.

შეჭიბრების საწინაო დაბურვის შემდეგ თე-

შეგრბმ კბპპპპპპ

მომსრობმპ

ნგიზმა ტანისამოხი გადაიცვა და მწვრთნელის გვერდით დაჯდა.

— რა უბრალოდ ხდება ყველაფერი, — თქვა თენგიზმა, — აი, მე უკვე საუკეთესო ჩოგბურთელი ვარ ამხელა ქვეყანაში.

— შემდეგ ყველაფერი უბრალოდ ჩანს. „მამინ“ კი ძნელი იყო გამარჯვების მოპოვება.

— „მამინ“ ძალიან ცოტა ხანს გრძელდება და მალე გვაიწყდება. „შემდეგ“ კი სამუდამოდ დგება.

მწვრთნელი ატყობდა, რომ თენგიზი უკმაყოფილო იყო. „რადაც დაუაღი იერი აქვს“.

— რა მოხდა? — ჰკითხა მან ჩემპიონს.

— როდესაც თომასმა 4:4 გხადა, მე უარსწალი დავყარე. შემდეგ არაფერი მომიგია, თვითონ წააგო.

— გამარჯვება სწორად გუქამი საქმეა, — თქვა მწვრთნელმა, — თანაც შორიდან შენ არ გავდი წელში გატეხილ კაცს.

— შორიდან, — გაეღიმა თენგიზს, — შორიდან დაეით აღმაშენებელს ვგავართ.

„უცნაურობა მარტო ცხოვრებაში როდი ხდება, ჩოგბურთშიც მოსალოდნელია უჩვეულო გამოვლინება. ესე იგი, ჩოგბურთაღრთულია, საინტერესო და საკვირველი. მასაც თავისი პატარა საზრუნავი, სისხარული და ნადველი აქვს. როგორც ყოველი ეპოქა, ჩოგბურთიც თავისა ფსიქიკით, მორალითა და შეხედულებით ცხოვრობს“...

საღამოს ჩოგბურთელები რესტორანში ისხდნენ. ნახევრად განათებულ დარბაზში, სადაც ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო საესტრადო ორკესტრი უკრავდა, მხოლოდ შეჯიბრების მონაწილეებს უშვებდნენ. მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, თბილისელი, ესტონელი, ლატვიელი, აზერბაიჯანელი ჩოგბურთელები, გამარჯვებული და დამარცხებული, ჩრდილოელი და სამხრეთელი. ჭერა და შავგვრემანი აშშ შეხვედრით ამთავრებდნენ დიდ შეჯიბრებას.

ველვე ესტონელ ჩოგბურთელების მაგიდასთან იჯდა. თაყვანისმცემლები არ შორდებოდნენ. იმიტომ ხომ არ იზიდავდა ასე ძლიერად, საყოველთაო ყურადღებას რომ იქცევდა. იმიტომ ხომ არ მიიღტვოდა მისკენ, რომ ეს ქალიშვილი სხვა პირობითობას ემორჩილებოდა, სხვა, მართალია მცირედ განსხვავებული, მაგრამ მაინც სხვა წესით „თამაშობდა“ ამ ცხოვრებაში?

იგი ურარესკის მიუბრუნდა.

— შეიძლება შენი დახმარება დამჭირდეს, ვიქტორ.

— გაწყენინეს?

— მომაჯადოვეს.

— რით შემიძლია გემსახურო?

ჭერ კიდევ ფხიზელი იყო, ჭერ მხოლოდ ოდნავ უცმიმებდნენ თვალები.

— თუ დამჭირდა, შენი თვითმფრინავის ბილეთი უნდა დამითმო.

— კეთილი, — მიუგო ჩოგბურთელმა.

ასე იცოდა ვიქტორმა, ღმილით, შედმეტო კითხვის გარეშე ყოველგვარი თხოვნის შესრულება, თუ კი მის ძალ-ღონეს მაინცდამაინც არ აღემატებოდა.

— მაშ, ვიქტორ, სიმბოლოებსა და ნიშნებს, სურვილებსა და სწრაფვას გაუბარჯის... ოცი წლის ასაკშიც არ უნდა გვაიწყებოდეს, რომ ერთხელ ვცხოვრობთ.

თენგიზი საპირფარეოში გავიდა, სარკეში ჩაიხედა, თმა გაისწორა და დარბაზში დაბრუნდა. ისევ ის თვალები ჰქონდა, უხეში, გამჭოლი, გლადიატორის თვალები.

დარბაზში როსტოველმა ჩოგბურთელებმა შეჩერეს.

— კიდევ ერთხელ მოგვილოცავს ბრწყინვალე გამარჯვება.

თენგიზმა გაუღიმა. ამ საღამოს, შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ, ყველას გულწრფელად სიამოვნებდა მასთან ანლოს ყოფნა, გამოლაპარაკება, ხელის ჩამორთმევა.

— შემოდგომაზე ხომ ჩამოხვალთ თბილისში?

— თუ გუნდში მოვხვდით.

დარბაზის სიღრმიდან, ველვე ხელს უქნევდა. თენგიზმა უპასუხა.

— მაშ, თბილისში შეხვედრამდე, ბიჭებო.

შემდეგ მაგაღებს გვერდი აუარა და ველვეს მიუახლოვდა.

— ერთი წუთით ჩამოგქეი, — უთხრა ველვემ. — მერე ვიცეკვოთ.

ისევ შავი კაბა ეცვა. გულზე კი თეთრი ვარდი ეხნა. ბუტაფორული ვარდი. „ამ სხეულზე ეს ყალბი ვარდიც კი სურნელებს აფრქვევს“...

— თქვენც მოთამაშე ბრძანდებით? — ჰკითხა ველვეს გვერდით მჯდომმა გამხდარმა ჭაბუკმა.

ეს ის ჭაბუკი იყო, შუაღლეზე სასტუმროს წინ ცისფერკაბიან გოგონას რომ ელაპარაკებოდა. ლამაზი გოგონების მოყვარული.

— მეც, — მიუგო თენგიზმა.

— მე კი ჩოგბურთი მეჯარება.

ველვემ ესტონურად უთხრა რაღაც მას. ჭაბუკმა გაუღიმა და წამით თავი ჩაქინდრა. მისი თვალებიდან ძალღური ერთგულება და ძალდატანებითი ამპარტავნობა გამოკრთოდა. უსაშველოდ, უნუგეშოდ შეეყარებულის როლს თამაშობდა. შეიძლება, სინამდვილეშიც ასე იყო.

— მთვრალია, ყურადღებას ნუ მიაქცევ... ჩემს პირდაპირ დაქეი.

— მხოლოდ ესტონეთში იციან ჩოგბურთის ასე ლამაზად გაცილება, — თენგიზი დაჯდა.

— მოგწონს დღევანდელი საღამო?



— სიგარეტს ხომ არ გააბოლებთ? — დამტვრეული რუსულით იკითხა გამხდარმა ჭაბუკმა, თუ ჩვენ არ ვეწევიან, ფორმას ვუფრთხილდებით?.. ღმერთო ჩემო, ველვე, რა ავაწაკის თვალები აქვს შენს ჩემბიონს..

— დიტოს მეგობარი ხომ არ არის? — ჰკითხა თენგიზმა ქალიშვილს.

ველვეს გაცინა.  
— გაიხედე, — თქვა მან, — ახსენე და ისიც გამოჩნდა. ახლა კი, როგორც იტყვიან, ბაყაყური მოგუსვავთ.

დიტო რაღაცას ანიშნებდა და მათკენ მიდიოდა.

ორივენი წამოდგნენ და საცეკვაო მოედანზე გავიდნენ.

— რამდენი წლის ხარ სინამდვილეში? —  
— ჰკითხა ველვემ.

— ოცის.

— მე ოცდამეორის ვსდები ოქტომბერში... ყრმობის ნიავმა ჩაიჭროლა, თენგიზ.

— წლოვანება ჩვენზეა დამოკიდებული... როცა ორმოცი შემისრულდება, ისევ მეოცე წელიწადს დავუბრუნდები. მე ოცის დავიბადე და ოცი წლის გარდავიცვლები.

დიღხანს ცეკვავდნენ, საცეკვაო რიტმმა, ცოტათი ალკოჰოლმა, ცოტათი განწყობამ თავისი გაიტანა — ჩოგბურთელები ჩოგბურთელები აღარ იყვნენ. ხოლო თენგიზი ასე ახლო პირველად იყო ველვესთან. ოდნავ ესხმოდა თავბრუ. „სიყვარულში ყველაფერი გაუგებარია,

— ვაიფიქრა მან. — ველვე არასოდეს იქნება ჩემი, საერთოდ, არავისი არ განდება. ჩემი ნებისყოფა აქ უძლურია“.

მანც უთხრა:

— სვალ თბილისში გავფრინდებით, შენთვისაც ვიშოვე ბილეთი.

— მართლა?

— არღაღეგები დაიწყო. საბა კვირის განმავლობაში ჩოგს აღარ დავიჭერ ხელში. თბილისში რამდენიმე დღე დავრჩებით. თბილისიდან გაგრამი წაგყვან, გურიის მთებიც ხომ არ გაჩვენო?.. თანახმა ხარ?

ველვემ ახედა და თენგიზი მისვდა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მას გაედიმა, როცა ბრძოლა წაგებული მგონია, გამარჯვების დროშა სწორედ მაშინ აფრიალდება. ეს მეორედ შემართება დღეს...

მაგიდას მიუსხდნენ ისევ მაშინვე ველვეს ნაცნობმა თენგიზს მიმართა: — შოილაპარაკეთ? — არიოლი და რეშკა მანც აგვეგლო... სიგარეტს ხომ არ ინებებდით, პიონერო?

სასტუმროს წინ ველვემ ჰკითხა:

— ჩასაცმელი რა წამოვიღო?

მეორე დღეს თბილისისკენ გაფრინდნენ. ზევით, ღრუბლების თავზე, დედამიწიდან რვა ათასი კილომეტრის დაშორებათ თენგიზს მოსუცი მოაგონდა:

— მწვრთნელისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალნი?.. იყო გუშინ ბანკეტზე? ხომ არ ჩაწვანეტავ?



# ზ ი ბ ზ ა ბ ი

მოთხრობა

მანქანიდან გადმოვიდა, კარი მიაჭახუნა და კანტორის კიბე ბრახაბრუხით აირბინა.

სოფლის თავკაცი ბიუროზე ფლავის საქმელად რომ არ გამოუქანხნათ, აბა რაღა საიღუმლო იყო, მაგრამ ასე ათუნთუნებულნი თუ დაბრუნდებოდა, არავის ეგონა. დერეფანში გამოფენილი კანცელარიის მუშაკები ოთახებში კისრისტენით შეცვივდნენ, გადაშლილ დავთრებში ცხვირი ჩარგეს და საანგარიშოების ჩხაკაჩხუკი ატეხეს.

ფეხზე წამომდგარმა, ფარგახავით სიფრიფანა მდივანმა თავმჯდომარეს დიმილი შეაგება, ხელი კეფაზე წაადო და ჩაღისფერი თმა აიბულულა:

— მსურველები შემოვლუშვა, დიმიტრი წყალობიჩი? — შეეკითხა.

...ეს ქალიშვილი კოლმეურნეობის ლიბიტით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრა. სამი წელი ქალაქში დაჰყო — სპეციალობას გავიდრემა ვებო და ხილბოსტნეულის მალაზიაში მილარდ იმუშავა. მერე მოიგონეს, მოიკითხეს და კოლმეურნეობაში მიაბარძანეს. იქედან მოკიდებული დროებით, ხანამ საქმრო გამოჩნდებოდეს და გათხოვდებოდეს, წყალობიჩის მდივნად მუშაობს და ხადისახლისოდ ემზადება. ფავაციცებით კითხულობს ლიტერატურას ნემსის ყუნწში ძაფის გაყრის ხელოვნებაზე, ოჯახურ პირობებში მანიკიურ-პედიკიურის გაკეთებაზე. მუცლის მოშლის მანიპულაციაზე და კიდევ ვინ მოთვლას, რამდენ რამეზე — დიპლომისანი დიასახლისი, ბოლო-ბოლო ხომ უნდა განსხვავდებოდეს უბრალო, უინსტიტუტო დედაკაცისაგან?..

— გინდა შემოვლუშვი და გინდა გაუშვი? — მიახალა თავმჯდომარემ, კახინეტის კარს ფეხი ჰკრა, ვეება დარბაზი გადაკვეთა, პრიალა პორტფელი მაგიდაზე დაახეთქა და სავარძელში დაწვავდა...

...წყალობიჩი მითაუმიდან ამ კოლმეურნეობას შეთაურობს... ლილივით ეკერა კაი ხელმძღვანელების, კაი ორგანიზატორისა და კაი კაცის სახელი. რაიონში მუდამ პირველ სამეულში გადიოდა, გეგმებს გადაქარბებით ასრულებდა, პრეზიდენტში იჯდა და... ჯიღლოებითა და სიგულ-გუჯერებით კარადა აქვს გამოძეგილი.

ყველა მადლიერი ჰყავდა: მტერი, მოყვარე, მომაგრებული, რევიზორი და, ასე ვასინჯეთ, აქვეელი ქალაქელებიც, — მშობლიურ მიწის გულზე ბარის დაკვრა და თოსის დაცემა დიხსაც დიდ ცოდვად და ბრალად რომ მიაჩნდათ.

განუწვევტელი გაწამაწიში მყოფ კაცს ბოლო ხანებში უცნაური ციკლობანა აეკვიტა: ამდენ დახვდომასა და გაცილებასი არაქათი ეღეოდა — როგორც კი გოჭებს, ინდაურებსა და ქათმებს თვალიში ცხიმი აუციმციმდებოდათ, ხოლო მაჭარი ბუჭბუჭს მორჩებოდა, ამ დროიდან დაწყებული ვიდრე ზაფხულის პაპანაქება არ აბრიალდებოდა, ყოველ ცისმარე დღეს თამადად იჯდა. ხმა ჩაეხლიჩებოდა, თავ-პირი დაეჯორჯებოდა, წნევა აუწევდა და გულის მწვევე უქმარისობა გულავდა — ამოდენა სახნავ-სათესში, ზვრებსა და ბადებში ჰაერს ვერ პოულობდა...

ჰაერს ვერ პოულობსო?! ფეხზე დადგებოდა მტერი, მოყვარე, მომაგრებული, რევიზორი, აქვეელი ქალაქელები და... საგწური მზად ჰქონდა.

სანატორიუმში თავის მოსაფხანად არ მოაცლიდნენ: ეს დიტაკო, ეს ბორცვზე ბობღვაო, ეს „ბეგომ მარშო“, ეს შიგნეულის რეცხვაო და, შინ რომ დაბრუნდებოდა, ცხვირის ნესტოებში ლანდი ვასდიოდა.

ცხვირის ნესტოებში ლანდი ვასდისო?! ახლა ამაზე ატყდებოდა ერთი ვაიუშველეზელი — არიქა, ვუშველოთო, — სუფრას მიუხსნდებოდნენ მტერი, მოყვარე, მომაგრებული, რევიზორი, აქვეელი ქალაქელები და... ციკლი მეორდებოდა.

— შემოვიდე? — კარი მოადგილემ შემოაღო.

...პოლიცო, თავის დროზე, ჭერ კიდევ აყუდებული ახლავარდა, აინუნშიაც არ ჩააგდეს, — თავმჯდომარის მოადგილედ არაო! კი ბატონო, ვინ მამაძალი, მაგრამ ფერმის გამგედ ან მეკუპნავედ რომ დაენიშნათ, რა ედგათ წინ? მე შენ გეტყვი, ფხა აკლდა, ბაქები და კიკინები, თუ აგურით ნახენი ჭინსები არ ჰქონდა ამოსხებილი? იტკიცო, აბა არ იტკიცა? თქვენმა ყველაყისამ, სამჯერ ზედისედ იმიტომ ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტში, რომ ახლა თოსს სიმწრის ოფლი ვადინო და ნებებზე ბებერები

ვანებვირო?! თუმცა რა ჩემი ღირსი ხართ, მე თქვენი ესა და ისაო, კანტორისაკენ გადავიწა და... კოლმეურნეობას შურგი შეაქცია.

დამკავებული ვაზაფხული და ზაფხული ჩრდილსჩასტებულმა კონინდარზე კოტრიალში, ფიქრსა და ბჭობაში გაატარა, ყველა გზა და შარა აწონდაწონა, ვაზომა, განსჭვრიტა და ბოლოს, ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლა არჩია — სარფიანაო! კაცმა რომ თქვას, საამისოდ საბაბიც ჰქონდა: ერთხელ, ზეპირ ვიქტორინაში, „მე და ღამის“ ავტორი ამოიცნო და პოეზიაში წილი დაიდო. მეორეჯერ რაიონულ გაზეთში სხარტულა მოათავსა: „თვეში თუ თავიდან ყარს, ვირი ფეხებიდან იჭედებოა“ და კუზიან ბერძენს ბრანწი უყო.

ერთი სიტყვით, მწერლობა გადაწყვიტა, მუხლზე მუშტი დაირტყა და ზეზე წამოდგა...

ეს იყო და ეს, — სახლკარი მშობლებს მიუტოვა და პეგასი თბილისისაკენ გააქროლა...

ბინად რუსთაველის პრისბექი დაიდო; მომხვევა აღმა-ღამა ხეტიალს, გლეხკაცის ცხოვრებაზე სიუჟეტების შეკოწიწებას რამდენიმე წელი მიაჩრთვა ზვარაკად და ერთი მოთხრობა გამოაცხო...

თხზულებაში ანდაზებისა და ანექდოტების კორიანტელი დააყენა, დიალექტიკაშით იყოზღლიორა, მიაშიტ მკითხველს თვალში ნაცარი შეაყარა.

მოთხრობა რომელიდაც უურნალმა ზაზარზე გაუტანა.

რასან მწერლობა მუხლზე დაიწერა, განგაში ატეხა, უურნალი აფრიალა, ქვეყანა შეყარა, ოროთახიანი ორდერი დაითრია, ცისფერთვალემა ცქრიალა საცოლედ ამოიყვავა და კარის ზღურბლზე მამაპაპურად თეფში დაამსხვრია.

მალე კალენდრის ერთი გვერდი თავფურცლად დაედო ტყუში ბაღლის ბიოგრაფიას და ჩვენი მოდგმა ორი მამრით გამდიდრდა...

ოჯახური იდილია უდღეური აღმოჩნდა: პირველმა სიყვარულმა და სისხარულმა კბილი მომკვეთა, სასმელ-საჭმელიცა და ტან-ფეხიც უშაზე მიდგა, ცოლშვილზე გული აიყარა, ჭალაბს თავი დანება და „დაქარგული შვილი“ კვლავ სოფელს დაუბრუნდა.

სახლ-კარი გამოკეტილი დაუხვდა, ყველაფერში ვალმოხდილ მშობლებს ცხოვრების წრედი შეეკრათ და მარჩენალ მიწას მიბარებოდნენ.

იარებოდა მწერლადყოფილი... იარებოდა...

ბოლოს, ცარიელი ტომარა რომ ფეხზე ვერ დგება, თავის თავზე გამოცადა და მეორეჯერ დაქორწინდა სავსე ჭიქასავით შენახულ ქვირზე და ამ სიკეთესთან ერთად რომელიდაც „ტუის“ ქვისლი გახდა; ხოლო ჩვენში, ერთ ღროს, კი იცი შენ, მკითხველო, ასეთი „თანამდებობა“ ბანზე არ ეგდო...

დრო გამოხდა. მწერლადყოფილმა ცოლს ერთი გუმანი გაანდო... ცოლმა თავისი დააკო „შეაგდო ნამუსზე“, ამ უკანასკნელმა კი ქმარს „შეუთო ცეცხლი“.

მალე გაიშალა ოჯახური „პატარა ვანში“. სადღეგრძელოებმა იარა, იარა და პოლიკოსთან რომ ჩაიჩოქა, თამალა — ქვისლმა აქო და აღიდა იგი, ბოლოს რისით შესძახა: — მწერალ კაცს მიწის ძახილმა კალამზე ხელი ააღებინა და თავის სოფელ-ყურბი დაუბრუნდა...

— რაც მართალია, მართალია, — არც გვაწვიმს და არც გვათოვს, არც გვშია და არც გვწყურია, მაგრამ მცოდნე და ჯანდონით სავსე მოწიფულ კაცს სახლში რა გააძლიებინებს? რაიმე სამსახურს ხომ არ გამოუძენდით. სიძვე ბატონო! — ღიმილით გაეძრინა ცოლისდა.

სიძვე ბატონმა ჩაახველა, და ქვისლს მიუბრუნდა:

— კი, ჭერჭერობით კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ ავარჩევთ. ახლა კაკრაზ წყალობიჩის, — გვყავს რაიონში ასეთი სასახლო კაცი, — თქვენი მემიჯნე მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა — მოადგილეს წყალი შეუდგა და ვაკანტური ადგილი ჩნდება.

— ბოღის კი ვისდი, დემნა დანიელოვიჩი, მაგრამ ცოცხალ ადგილზე ვერ წავალ, ნეუღობნოა! — თქვა პოლიკომ და სკამზე შეწრიალდა.

— შენს ვაჟაცოხში ექვი არ მეპარება, ჩემო, მაგრამ... ეს რა ცოცხალი ადგილია! ამ რამდენიმე წლის უკან ერთი მატრაკვეცა ქალიშვილი, სახზორის ზოოტექნიკობა, ვინმე ნათელა, წყალობიჩმა დაწინაურა და გვერდით. მოადგილედ მოიხვა. ესეც ცოტაო, დაუსწრებლად უმადლესი დამთავრებინა. მოადგილემ წელი წამოიდგა. მარაქაში გაერა და წყალობიჩს პატივისცემა იმით გადაუხადა, რომ კრიქაში ჩაუდგა, რადაც წვრილმანზე ერთი აურზაური აუტეხა: ეს ასეა და როგორ შეიძლება ან სად ვაგონია, ისე იყოსო...

— უმადური! — ტუჩები აიხვია ცოლმა.

— ხამკა! — სახე დაემანჭა ცოლისდას.

— მოდი და ამის შემდეგ კაცს კი გაუქმეთ! — თქვა ზონის კორესპონდენტმა და თამადას თვალებითა და ხალოკი თითის გატოკებით გარეთ გახვლის უფლება სთხოვა.

— უკვე აადულა? — მიუგო სუფრის უკროსმა და თავისი პასუხით კმაყოფილმა გაიცონა, გადაუხირდა და გოროზად გადახვდა გაუენიზებულ მანდილოსნებს.

ქალეგმა ახლა აღმოაჩინეს საკუთარი მუხლისთავები და ღიმილი დაატოფრეს ზედ.

ავთანდილ ბაღდავაძე  
წიგნბაბი

ზონის კორესპონდენტი აიწურა, გაწითლდა და გარეთ გავარდა.

პოლიკო გასუსული იჯდა: ჯერ კიდევ ახალბედა მოყვარე თავს იკავებდა კომენტარებისაგან და კარგადაც იქცეოდა, — რაც იგი ახლა აქვს და აღიღეს, რა ძალა ადგა, ეს შთაბეჭდილება შეერყია ხალხისთვის...

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ეს კორესპონდენტი იმით გამოირჩეოდა უბრალო მოკვლავთან, რომ სუთი ვეებერთელა რაიონის შემცველ ზონაში არსებულ უვგლა სიმებაან საკრავზე უკრავდა, სიმღერით კი მხოლოდ და მხოლოდ შვიდმთიან ვიტარაზე ამღერებდა.

— ხოლო ჩვენ, — განაგრძო დემნა დანიელოვიჩმა, — რა ბაიუშები გვნახა, რომ მის ფეხის ხმას ავეყოლოდით. და დამსახურებული თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ლაფსუსებისათვის გავგეფუჭებინა, — კადრებს მოვლა და გაფრთხილება უნდა. ასე რომ, აზრი შევიშუშავეთ: წყალობის, ყოველ შემთხვევაში, მიუთითებთ, მის ერთ-ერთ ბრიგადირს პენსიაზე გავაცილებთ, მოადგილეს კი დავაწინაურებთ — სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ დავნიშნავთ.

— რახან ასეა, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ!..

— შენ მხოლოდ ამყოლს აპყვევი და დამყოლს დაპყვევი, დანარჩენი წყალობიჩმა იცის.

— კეთილი და პატოსანი.

ჭეილებმა ხელი ხელს მისცეს და სავსე ფუფურები ვახტანგურად დასცაღეს. დები ერთმანეთს ჩახვივნენ.

ზონის კორესპონდენტმა კარი შემოაღო, თამადას დიდი მისაკი მიართვა და დივანიდან ვიტარა აიღო...



— ხომ მშვიდობაა? — ჰკითხა პოლიკომ თავმჯდომარეს და მარცხენა ხელით მაგიდაზე უკუღმა დაგდებული პორტფელი წაღმა გადააბრუნა.

— მშვიდობა არა ის არ გინდა?! წყალობის მისკენ არც კი მიუხედავს. მაგიდის უკრა ვამოაღო, ხელის ფათურით ხარატულ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი გამოაჩინა და ჩააცქერდა...

...ამ ორი-ორნახევარი თვის წინ ეს ფოტოსურათი აქ, სამუშაო კაბინეტის კედელზე ეკიდა და სხვანაირად აქაურობას ვერც ვერავინ წარმოიდგენდა.

ფერად ფოტოზე, რომელმაც თავის დროზე ბერი შურნალ-გაზეთი და ტელეეკრანიც კი მოიარა, წყალობის მკერდზე ქორავი კრავი აეტატებინა და რაფელის მადონა დელ გრანდუკას ცნობილ პოზაში იდგა, ხოლო დემნა დანიელოვიჩის თვალები მიეღულა და ჰორიზონტამდე გაშლილ ფარას გასცქეროდა...

...ჭარიდან დემობილიზაციით დაბრუნებულ დემიტრის დემნა დანიელოვიჩი უკვე რაიონის პრიმა-კაბინეტში დახვდა. დამხედურმა საბუთები რომ გადაიკითხა, ფეხზე წამოიჭრა და სიხარულით წამოიძახა: — ჩვენ ხომ თანადივიზიელები ვყოფილვართო. მართლაცდა, ოციცრებს ერთ დივიზიაში უმსახურნიათ; დემნა დანიელოვიჩი ჩინთაც და თანამდებობითაც სუთი საფეხურით მაღლა მდგარა წყალობიჩზე. ფრონტული გაზეთებისა და რადიოგადაცემების საშუალებით ერთმანეთზე კანტიკუნტად კი სმენიათ, მაგრამ, მოგესხენებათ, ფრონტზე ადამიანები ძალზე დასაქმებულები არიან და თაბირების და შეხვედრებისათვის არა სცხვლათ.

მათა თანადივიზიელობამ ხალხში მრავალგვარი ლეგენდა და მიტქმა-მოტქმა დაბადა, მაგრამ უმთავრესი მაინც ეს გახლდათ: დემიტრი დემნა დანიელოვიჩის ადიუტანტი ყოფილა და ამდენჯერ და ამდენჯერ სიკვდილს გადაურჩენია. ბოლოს მამაცი, დაჭრილი კომანდირი უშინარ ადიუტანტს ზურგზე მოკიდებული ხალხით უთრგვია, ცეცხლის საზიდან მთელი კოლომეტრით გაურიდებია და, სავსელ ლაზარეთში რომ მიუყვანია, მომაკვდავისათვის თავისი სისხლი გადუსხამსო. ჰყვებოდნენ და აბოლოებდნენ: დღესაც დემნა დანიელოვიჩის დემიტრის სისხლი უჩქესო ძარღვებში.

ლეგენდამ მათ უურამდეც მიაღწია. პირველ ხანებში უბრალოდ ეღიმიებოდათ, მაგრამ მერე და მერე, რაც დრო გადიოდა და ხალხი დაბეჯითებით იმეორებდა ერთსა და იმავეს, თავადაც იწამეს, სიმართლედ მიიჩნიეს... და როდესაც ერთმა უურნალისტმა დემიტრის მონათობრობით ამ ამბავზე გაზეთისათვის ნარკვევა დაწერა, ხოლო გამოკვეყნებამდე, ყოველ შემთხვევაში, დემნა დანიელოვიჩის წააკითხა, ამ უკანასკნელმა აქა-იქ შესწორება შეიტანა და საინტერესო დეტალებიც „გაახსენა“.

...წყალობიჩმა სურათს ქაღალდები დააფარა. უკრა მისურა, ამოიგმინა და თავი ასწია...

— მაინც რა მოხდა, მაგ ქაღალმა თავისი კედლე არ მოიშალა? — შეეხიტყვა პოლიკო.

— რა მოხდა და დარდუბადა. დამცოფა იმ კაცმა, ჯერ სათვალეც არ უკეთია და რა არ მითხრა, რა არ მაკადრა: ჩაშლილი გაქვს მეურნეობაო... გეგმის შესრულება ფიქტიურია, დასამალ-დასაფარავი არაფერი არა გვაქვს, ხალხისა და სახელმწიფოსათვის, წლების განმავლობაში, კოლსალური, გესმის? — კოლოსალური ზარალი მიგიყენებიათო...

ფეხზე რომ წამოვიჭირი, დაჭექით, დაჭექითო — მითხრა, ამ საქმეს ასლა ვსწავლობთ და მალე ყველაფერს საამკაროზე გამოვიტანთო.

— ღმერთმა ასეთი იმედი ნუ მოგიშალოსოთქო!

— ამჯერად კი უფრო კონკრეტულ საკითხზე გამოვიძახეთო: ჯართის შეგროვების კვირეული გქონიათ და.. შტანგები, ღისკოები და ორფუთიანი საწონები ჩაგებარებიათ... მიწის რაციონალურად გამოყენების საკითხი დასმულა და, სტადიონი და პარკი გადაგინავთო ახლა კიდევ — ფიზიკური განათვალი... საქმე არაფერი აქვსო და ასანიშნატორად გაგიმწესებიათ. — წყალხადენის აუზში წყალი დააქლოროსო...

— მაშ არა და ალა-ალაღ მჭადრიყო და სარცხენის ამხანაგი ეფხანა-თქო?

— ადგა და ჩვენმა პარტორგმა მთლად ცეცხლზე ნავთი დასხსა..

ამეებისათვის უკანასკნელი გაფრთხილება ამკიდეს და პირობით დამტოვეს აი ამ ჯორკოზე, — ხელი სავარძლის ხაიდაყვეს დაარტყა — ფიზკულტურული მუშაობაც თუ არ გამოგისწორებია, თავმჯდომარე უოჟილხარ და არ იქნებიო...

— ახლა რა უნდა გქნათ, წყალბოხი?

— რა და, ფიზკულტურული ძალები უნდა შემოვიკრიბო, სპორტული ინვენტარი უნდა შევიძინო და ზოგიერთებს, — ცერი რაინონის ცენტრისაკენ გაიშვირა, — ცხვირში უნდა ამოვარტყა! — თქვა, ადგა და ბოლთას ცემას მოჰყვა.

თავმჯდომარე დააბოტებდა, მოადგილე სკამის ლინზე იჯდა და თვალებით დასდევდა.

პარკეტის იატაკი ჭრიჭინებდა. წყალბოხი პიჯაკის ბორტზე აბაზიანით მრგვალად დაღვენილი ლაქას ფრჩხილით იფხვკდა და მაჯით „ოუთოებდა“.

„ამ კაცის მორთულობა პირდაპირ ბარომეტრია მისი ოჯახური განწყობილებისა: თუ ცოლსა და ქალიშვილს უკანასკნელი მოდის ავეჯი და ტან-ფეხი არ უყიდა, ანდა ერთი ბეწო სხვა რამ სურვილი არ შეუტრულა, ვიგინდარასავით მოუვლელი მოდის სამსახურში. რა ეშმაკი აკლიათ ახლა იმ ოჯახურებს?“ — გუნებაში ბეჭობდა მოადგილე და პირი მაგრად მოეკუმა, — ტარტაროში არ შემეჩინდეს და ხმა-მალა არაფერი წამომაროშინოსო.

„ყველაფერი ის, რაც მდივანმა პირში მომანალა, ამ თხლემ რომ ციოდეს, გასათოკი გახდებოდა: სამარქაფო სახნავ-სათესიო, სამარქაფო ზვარვენასიო, სამარქაფო ბაღ-ბოსტანო, ცხოველდამზადებაში ნერბების მაგივრად ჩაბარებული ჭედლიდებიო და აურაცხელი, აურიცხავი პური და ღვინოო, ხილი და ხორციო, ფული და ქონებაო“, — ფიქრობდა „ჯორკოს“ პატრონი და გეზად გადახედვდა პოლიკოს.

„დიდი ცოდვა აღევს ამ კაცს კისერზე... რაიმე მოიპოვებ, სანამ მართლა ყველაფერი არ გამოუმწურებიათ, თორემ მერე, შეილოსა, გვიანა იქნება თითვე კბენაი“, — მამაშვი-

ლურად არიგებდა თავის თავს მოადგილე და ქეროს იფხანდა.

„ამან იკითხოს, ამ ღვთის გლახამ, მე კიდევ რა მიჭირს — დროზე მოვასწარი ღისერტაციის დაცვა და, თუ ღმერთი გაწყრა და საქმეს არაფერი შემოევლო, რომელიმე კვლევით ინსტიტუტში მიანც გადამიყვანენ“, — იხტიბარს არ იტენდა თავმჯდომარე.

— აქეთ რა მდგომარეობაა? — იკითხა ლემიტრიმ, ჭიბიდან სათვალე ამოიღო, დააორთქლა და ცხვირსახოცი გაუსვ-გამოუსვა.

— მთლად კარგად არც აქაა საქმე...

— რა უბედურება დაატრიალეთ? — იყვირა და სათვალე ისევ ჭიბეში ჩააბრუნა.

ეს მოუწოდავი ყვირილი თავის გასამხნევებლად. სჭირდებოდა კანდიდატს: აი, ხომ ხედავ, გული არ გაიტენსო, კვლავ შენს აღვილზე ზინარ და ხმაში ფოვლადი არ გაგზნარვიაო... თორემ უარსი, რაც ღღეს იქ — ბიუროზე უთხრეს, აქ რა უნდა მომხდარიყო?..

— წუხელს კალო გავიქურდეს...

— შეხედე შენ, როგორ?

— ერთი ბარდანა მუხესუმშირა მოეპარა ვეშაპა ნაპოს...

— შეხედე შენ, რითი წაეღო?

— ილღაში ამოეჩარა და სკუპ-სკუპით მიშქონდა თავქვე...

— შეხედე შენ, მერე?

— მერე აქტივი ფეხზე ღვაყენე, ღვაღვევინეთ, ღვაკავეთ და, ბიჭოს! — წინააღმდეგობა არ გაგვიწია?!

— შეხედე შენ, მერე?

— მერე, თითო-ორილა წავის-წამოვისევა, — აგერ, მე მარჯენა ხელი სახსრიდან ამომიგლო და პირთან ლუკმა ვერ მიმიტანია...

— შეხედე შენ, მერე?

— მერე, ბარდანა დაგდო, ხელეები უკანალზე შემოიწყო და გვითხრა: — ჯანაბას, მე წამოვალ, ეს ცოდვილიანი მუხესუმშირა კი გინდა წამოიღეთ და გინდა თავზე დაიკოტონეთო.

— შეხედე შენ.

— მერე, ოთხმა კაცმა ვტაცეთ ხელი, ბარდანა აღვილიდან ვერ დავტარით და სახედარი მოვაყვანეთ...

— ნაპო სადაა?

— კალოზე გვყავს დაკავებული, ოქმი შედგენილია, თქვენს დასტური გვინდა და მილიციასში გავგზავნეთ.

— გაგიჟეთო, კაციო?

— რა შემატყვეთ ასეთი, წყალბოხი? — წყენა გადაყლაპა პალიკომ.

— ბარდანა არ აწონეთ?

— მაშა! ბრუტო ასრომიცდათეკვისეტი, ტა-

ავთბანდილ ბალღაბაძე  
ნიბზაბი

რა-სამი, ნეტო — ასორმოცდაცამეტე კილო, ოქშშიაც ასე ჩავწერთ.

— მანქანა!

მოადგილემ მოძურწა, თავმჯდომარემ განუყრელი პორტფელი ამოიღლია და გაჰყვა.

ვსტიბიულში ახალგაზრდა, სალუქ ქალს შეეფეთა.

— ოო, ქალბატონ ნათელას ვახლავარ! — მიესალმა და, ჩვეულებრიბამებრ, ხელი მაღლიდან ჩამოაწოდა.

„— გარეგნულად არ იმჩნევ, ჩემო წყალობიჩ, მაგრამ მე და შენ ხომ ვხედავთ — ის აღარა ხარ, რაც იყავ“ — გუნებაში გაეპასუხა ქალი, სანდომიან სახეზე ღიმილმა ვადაურბინა და სალამი ჩამოართვა.

შებრუნდა.

კაბინეტში შეუძღვა.

ლაბრძანა.

დაჯდა.

მასპინძელმა წყრთები მაგიდაზე გარდიგარდ-მო დაალაგა და თვალი თვალში გაუყარა სტუმარს.

— როგორაა საქმე, წყალობიჩ?

— თქვენი დრო დადგა, — უპასუხა, ცერები აათამაშა და გაქაღარავებული წარბის რკალები შეუბღვრე აიწიდა.

— ნახევარ საუტუნეზე შეტია, რაც ჩვენი დრო დგას, წყალობიჩ. ეს დრო თქვენი დროც იყო და კიდევაც ბევრი რამ გაგიკეთებიათ მისთვის. მარტო ის რად ღირს, რომ ომის პირველ დღეებშივე კოლმეურნეობის მესვეურობა თითქმის ძალით გადააბარეთ უკვე დამბუნებულ, კულში თონღამობმულ ნებისდროინდელ ნათამჯდომარებს. მტერს თავის ბუნა-გამდე ჩასდიეთ, მკერდამშვენებელი დაუბრუნდით სოფელს და ფარაჩისა და ჩექმების გასდაცვერ მოასწარით, ისევ ძველ თანამდებობაზე წამოგაყენეს. თქვენი ხელმძღვანელობის დროს კოლმეურნეობა მოღონებდა, მილიონები გახდა, ხალხმა და სოფელმა თვალში გამოიხედა, წელში გაიმართა. და აი, მოხდა მოულოდნელი: უველა ეს მიღწევა, მონაპოვარი და სიკეთე მხოლოდ თქვენს პირად ღირსებებს მიაწერეთ, გამოიცვალეთ, გაუყოფდით, რაღაცნაირი არისტოკრატიული მანერები და პრეტენზიები გაგიჩნდათ... და აქედან ხომ ერთი ხელის დადება იქამდე, რასაც თქვენ „თქვენი დრო“ დაარქვით... არა, არავითარი „თქვენი დრო“ არ ყოფილა, ეს მხოლოდ წაფორსიღება იყო დიდ გზაზე, ჯანსაღ სხეულზე ფითრის გამოყრა.

...ომი ახალი ჩათავებული იყო, რომ ოჯახმა ცნობა მიიღო: — უგზო-უკვლოდ დაიკარგაო...

სოსანე ხსლო, გვერანჭული კარ-მიდამო, ობობებით დაქსელილი თონე, ერთი კვერცხ-

მღები დედალი, ორი ტიტლიკანა ბავშვი და დასწეულბეული დედა დარჩნენ...

ოქროსფრად გაქაღარავებული შემოდგომა მიიწურა, გათოშილმა ხეებმა ფოთლები დაიბერტყეს, ფეხები ნეშოთი დაითბუნეს და ზეზეუ-ლად მიიძინეს.

უბედური დედა კი რა ხანია ღამეს თეთრად ათენებდა, — როცა გულში გენია გიზგიზებს, თვალზე რულს რა უნდა?!

ბევრი რჩევა-ჩაგონებების, ცრემლის ფრქვევისა და „გია შენს დედას, შეილოს“ გოდების შემდეგ, უფროს ბავშვს, რაჟიკოს, საგულად ის ერთადერთი დედალი დაუქალა წუხნელ და სახვალოდ სამგზავროდ გაამზადა...

...გაჭვავტლულმა საკმელმა ალიონს კარი გაუღო და ბნელმა ტახტსა და ჯორკოების ქვეშ შეაფარა თავი. ნაჯახით გამოჩორკინოლ ფიცარ-ნაგზე შედი-რვა წლის ზიჭს თქვის კონკეებისა და გაცრეცილი თავშლის სახურავი გადაეძრო, ძილში წასულიყო და წეროს კანკებივით გრძელი ფეხები ღარზე გაეჭიმა.

სინათლემ თვალეებში მიაპყიტა, შეიშმუშნა, გვერდიდან გვერდზე იტრიალა და ბოლოს მაინც პირაღმა დაწვა.

ნეკნებით ამოწნული ფერდები მაღიმაღ უცემდა.

მერე აწრიალდა, წამწამებზე ცრემლი დაუგორდა და მყვიანა ხმით წამოაბოლა: „არ მინდა მე იქ, არა, მე აქ მინდა, მე ნათოსთან მინდა!...“

დედა წამოვარდა, ბავშვს დაკონკილი თავშალი წამოახურა, გვერდით მიუწევა, კონკეებანად გულში ჩაიკრა და აქვითინდა.

— კარგი, შეილო, ნუ წახვალ, ნუ წახვალ, — ქვითინებდა დედა და ცრემლად იღვრებოდა.

კარგად რომ მოღლიდა, ბიჭი აღგა, დედას მოეხვია და არ უკოცნია, ისე თვალმორიდებით უთხრა:

— მე წავალ...

დედამისი ცოცხალ-მკვდარი წამოდგა, რაც ენალა ჩააცვა, დაახურა, ცივად მოხარშული ქათამი და მქადის ნატეხი ჩაუღო ჩანთაში და მხარზე წამოკოდა.

რაჟიკოს დამ, ნათელამ, თვალი მოჰკრა ქათამს და ერთი ამბავი დაათია, — ჩვენი კაცანა როგორ დაკალით, ამერიდან კვერცხს ვინ მოგვცემსო...

გადმოცვენილი მეზობლები დაესივნენ, დაანამუსეს, დაასათრეს, შენ უკვერცხოდ რა გიშავს, შინ რჩები, რაჟიკო კი უპატრონო ბავშვთა სახლში მიიღოს.

ახლა სულ აფორიაქდა გოგონა და ძმას მივარდა.

რაჟიკო უძრავად იდგა, ღოყები გამობეროდა და დაწამული თვლებით, სადღაც შორს, ცხრა მთას იქით იცქირებოდა.

— სად მიდიხარ, რაჟი? — შეეკითხა ნათელა.

პასუხი რომ ვერ მიიღო, მკლავში ჩააფრინდა, შეაწვრირა და კვლავ შეეკითხა:

სად მიდიხარ, რაში?

— რა ვიცი...

— სულ მიდიხარ? სულ? მეტი აღარ მოხვალ?

— რა ვიცი, ნათო, მე რა ვიცი, — მიუგო ძმამ, ჩანთიდან მრგვლად მოხარშული „კაკანა“ ამოიღო და გადააწოდა.

ნათელას ქათამზე თვალები დაუცვივდა, მაგრამ მანც არ გამოართვა.

— შენ არ გინდა?

— მე რად მინდა, მე ვაჟკაცი ვარ! — უპასუხა, ქათამს კანჭი მიატეხა და გატკვირა.

— შენ ვაჟკაცი ხარ, რაში? შენ? ვინ ვითხრა?

— ჰო, მე ვაჟკაცი ვარ, ნათო, დედიკო გუშინ მელაპარაკა, შენ ვაჟკაცი ხარ, შენს საბატრონოდ დავრჩით ორი ქალი, მე და ნათო, შენ ყველაფერი უნდა აიტანო, — თქვა, დედალი ხელში შეაჩჩია, ცხვირი სახელოთი მოიხცა, მჭადიანი ჩანთა მხარზე გადაიდო და ჭიშკარს მიაშურა.

ცივი. სიხინა ქარი ქროდა.

ნაჩლიქარებში ჩამდგარ გუბურებს ყინულის თხელი აპკი ტყვიის ფურცელივით გადაკვროდა.

გზაზე ფარაჯიანი თავმჯდომარე, დიმიტრი გამოჩნდა.

ცხენი გააჩერა.

ჩამოქვეითდა.

ამბავი გაიკითხა.

საქმის ვითარება რომ გააცნეს თავი ჩაქინდრა, ფრჩხილი მოიკვიტა.

მერე ცხენზე შექდა, ბიჭი აიყვანა, წინ დასხვა და უკან გაბრუნდა...

...მალე, ჭიშკარს მახილა მიადგა, კოფოზე, მემაზიდის გვერდით, რაჟიკო იჯდა.

მემაზიდემ, სახეკიაფებულმა დედამ, რაჟიკომ და ნათელამ ფქვილი, ყველი, კარტოფილი; ერთი ბარკალი შაშხი, ლობიო, ზეთი, ხახვი და შეშა ჩამოცალეს...

ეზოში დათბა, პირში ნერწყვი ჩადგა, ენა განელდდა.

თვალგაბრწყინებულმა რაჟიკომ ნათელა დამარტოხნა და უთხრა:

— ხომ ვარ ვაჟკაცი, ნათო?

— კი რაჟი, კი, ვაჟკაცი ხარ, მა რა? — მიუგო ნათომ და ზეთიანი ხელი ენით გაილოკა.

ხოლო მსემოკიდებულმა მემაზიდემ დედა გვერდით გაისმო, წვერი მოიფხანა და ჩურჩულით უამბო:

— ოჯახის წლის სარჩო და შეშა შუაზე გაპყო და გამოგიგზავნა, თან დამაბარა: უთხარი, ეს ოქრო ბავშვები არხად არ გაუშვას, ისედაც

ვაუკაცრიელებულია სოფელი, მხარში ამოვუდგებით და დაიზრდებიანო...

და... დაიზარდნენ: რაჟიკო მშენებელი ტექნიკოსი გახდა. ნათელამ ზოოტექნიკოსის დიპლომი მიიღო, ბაბთა მოიხსნა, მეღვინეანი ხელეობი გადაიხანა, განცხადება დაწერა და კოლმეურნეობის კანტორას მიაშურა.

დიმიტრიმ (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო „წყალობრი“) გოგონას ახედ-დახედა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— აბა, კიჭები ყველა ამოსული გაქვს?

— კი, პატრეცემულო, — მიამიტად მიუგო ნათელამ და აღმურმა დაწვები აუწვა.

— ოო, მაშინ საქმე კარგად უოფილა, ახლაც მიბრძანეთ: სად გაგაწვესო?

— სადაც საჭიროდ დანიხავთ.

— ჰო, შენ ჭკუისკოლოფი ყოფილხარ და, რახან ასეა, სახბორეში წადი ზოოტექნიკოსად!

თავმჯდომარემ განცხადებას დიაგნოზურად დააღო რეზოლუცია და ნათელა პირდაპირ ფერმის გამგესთან გაგზავნა...

...ეს იყო თორმეტი წლის წინათ.

თავმჯდომარეს ხალგაზრდა არც მაშინ ეთკმოდა, მაგრამ ტანადობა არ აკლდა და კაცური ხიბლი. იმ ადგილას, სადაც ახლა სრა-სასახლე წამოუჭიმავეს, კაკლის ხეს ამოფარებული პატარა ოდა ედგა, — გზიდან კარგად არც კი მოჩანდა... არც საკუთარი ღიმუშინი გააჩნდა, არც აგარაკი — შავი ზღვის პირას და არც ხუთოთახიანი ბინა — თბილისში...

ხალხში ტრაილებდა, მათი ვარაშითა და სისხრულით ცხოვრობდა და მზრუნველ, გულისხმიერ ხელმძღვანელთან შეხვედრა და გაბასება ყველას ეწადა...

...ერთხელ, სისხამ დილით, წინაღობით მოხრეშილი გზის დასათვალთერებლად თავმჯდომარეს ქუჩაში გაუვლია და დობეზე მომდგარ დროულ კოლმეურნეს გადაყრა, ჩვენებური „დილაშვიდობისა — ღმერთმა აგაშენოსა“ და „რას შვრები“ — როგორა ხარს“ რომ მორჩენილან, გლენს მორიდებით შეუთავაზებია:

— დიმიტრი, სიცივე ძვალსა და რბილში ატანს, განჯინაში ჯაჭვით დაბმული ჭაჭა მაქვს, მაგრამ დასაყოლებელზე უკაცრავად განლავარ: ორი დღეა სახლოთა თავის შინ წავიდა და, ზომ მოგეხსენება, მარტოხელა კაცის ამბავი...

— მერე რა იყო, შე კაცო, დასაყოლებელზე რას წუხდები, — ერთხ დავლევ და მეორეს დავაყოლებ!

ფრთებშესხმულ მასპინძელს — პურ-მარინზე ფეხი არ დამიდგესო — არაყი, თლაშო, ერთი თავი ნიორი და პურის ყუა გამოურბენი-

ბმთანდელი ბალდაპაძე

ზინბანბი

ნება, ხოლო სასურველ სტუმარს სიტყვა არ გაუტეხავს...

— ემე, ჩემო ნათელა, — უპასუხა თავჩაქინდრულმა წყალობიჩმა, — ცხოვრების გზა ხან აღმა მიდის და ხან დაღმა, ჩვენ კიდეც, სანამ პირში სული გვიდგას, მგზავრები ვართ, ამ ზიგზაგან გზას აყოლილნი... თუმცა, თავი დავანებოთ ფილოსოფიურ დეკლავს... ახლა ეს მიიხსარი, რაზე ვარჯილხარ, კიდეც ხომ არაფერი დაგრა საჩივარი და სათქმელი?

— არა, დიმიტრი წყალობიჩ, საჩივარი და სათქმელი რაც იყო, უკვე ვიჩივლე და ვთქვი. ამჟერად საბავშვო ბაღის თაობაზე შეგაწუხეთ, — შენობა უნდა შევაკეთოთ, ბავშვები დაგვიყინებან ზამთარში.

— სამშენებლო მასალა არა გვაქვს, რა ვუყო, რა ვქნა?

— საწყობმა ხომ მიიღო ახლახან შიფერი და ფიცარი?

— მიიღო, მაგრამ მისხალ-მისხალ გავანაწილე ფერმების სარემონტოდ. ისიც არ ვიცო, მეუყოფა თუ არა. სადაცაა, ფერმების რესპუბლიკური დათვლიერება ჩატარდება და... ხომ იცი... არ მაპატიებს ახალი ხელმძღვანელობა!..

— კი ბატონო, მაგრამ ბავშვები რომ დაგვიავადენენ, არაფერს გვტყვიან?

— კარგი, კარგი, შენ ხომ ცხრა ადვოკატიც ვერ მოგიჭირის სიტყვას, — ხვალ გავგზავნი მშენებლების ბრიგადას...

...წყალობიჩმა მანქანის წინა კარს ხელი ჰკრა და უკან, მოადგილის გვერდით დაჯდა.

შეტყუებულმა შოფერმა პოლიკოს ვადაზე და და მანქანა აამუშავა:

„სულ წყალწაბეხულად ყოფილა საქმე“ — გაიფიქრა მოადგილემ, ყურები ჩამოყარა და კუთხეში მიიყუჭა...

...ახმახ, აწოწილ, აღლიბოტია კაცს დაეწივნენ. ძველმოდურ პალატოზე დილები აქა-იქ შერჩენოდა, სამხარეების „ლიპები“ ამოკუზოდა. გარედან მიკერებულ, ნიჩბისოდენა ჯიბეზე ოდესღაც შავი ძაფი თავზე შემორჩენილ ქაღარასავით გამოთეთრებოდა, ფოსტალიონის ჩანთა გადაეკიდა, თუშური ქუდი დაეკოსა. ვარაუდით მიდიოდა და ღიღინი დაემგზავრებინა, — თუ მეთი არა, სამი თლაშო ჟიპიტაურის უკან მაინც იქნებოდა და მაინც.

წყალობიჩმა შოფერს მხარზე ხელი დაარტყა, მანქანა გაჩერებინა და ფოსტალიონი მიიპატიჟა.

„ახლა ფიციკური შრომა და ფეხით სიარული აკლია ამას? დღეიდან თვალბგამობერილი სურჩინით გზაშია გამდგარი და კარიდან კარზე ბერკასავით დაბრიალებს. არც ცხამები და ნახშირწყლები უხუთქავენ სტომაქს, მაგრამ რა არის ამის სიცოცხლე? ფერი ამას

არ ადევს და ხორცი ნმწარ გაჩინია!“ — გაიფიქრა წყალობიჩმა და მანქანა მოიფრთხილა.

— მაღლობ, მიტრო, მაღლობ, ფეხით ვიჩანჩალებ, შეჩვეული ვარ... და ისედაც, ამ გამობენტერებულ კაცთან, ბავშვობაში შენი კბილა რომ იყო, რა საინტერესოა დამგზავრება?

— გეუოფა, ფორე, ქილიკობა, გეუოფა. შემიოდი ახლა და დალაგდი ე მანდ, შოფრის გვერდით.

— რახან არ იშლი, — თქვა ფოსტალიონმა, მანქანაში ნივრისა და არყის სუნი შეიტანა და დაჯდა.

— ფორე, რა დედამ გშობა ამხელა კაცი? — შეეკითხა წყალობიჩი და პოლიკოს თვალი ჩაუჭრა.

ფოსტალიონმა პაპიროსს მოუკიდა, იქაურობა აახრჩოლა და ხელი ჩაიჭინა.

— კაი ახლა, მოხსენი მაგ გუდას თავი, დარდიან გუულს გადავაყოლებთ, — შეეხვეწა მოადგილემ.

— თქვენ რომ აღამიანს შეუჩნდებით...

— თუ გინდა, შენი ლაოჯახების ამბავი მოგვიყვი.

— კი, ცოლი ტარანივით ქვირითიანი გამომაღა — ბიჭი და ბიჭი, ბიჭი და ბიჭი. აბა, ზოგიერთებივით კვიპაროსის კორომი კი არ ამიჩხისა. — ჩაიქილიკა ფორემ.

...კვიპაროსის კორომის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა: წყალობიჩს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, ბიჭი ძალიან უნდოდა. სულ ეს ჰქონდა სადარბეგელი და სანანებელი... დარდი და სინანული ნამეტურ მაშინ აეკვიტებოდა, როცა ბახუსს ქულს მოუხდიდა და მასთან მუსაიფს გაბამდა... იმჟერადაც ასე მოხდა: მტერს, მოყვარეს, მომარებულს, რევიზორსა და აქვევულ ქალაქელებს რესტორანში მოეყარათ თავი, სახანკეტო ზალა ჩაერაზათ და სანატორიუმისა ახლადდარბეგულ წყალობიჩს „მკურნალობდნენ“.

ხორავის მქისე სუნი, ნუნუას ნესტი და პაპიროსის უომრალი ბოლი ტრიალებდა.

სუფრის წესითა და ადათით ჭერი შვილების სადღეგრძელოზე მიდგა:

— მეგობარო, თქვენ რამდენი გყავთ? — შეეკითხა თამადა უცნობ თანამესუფერეს.

— ოთხი, ბატონო, — წელი წამოიწია და მიუფო სტუმარმა.

— აქედან თქვენი რამდენია და სხვისი რამდენი? — ჩაღმილებით მოუნაცვლა კითხვა სუფრის უფროსმა.

— რაო, რაო?! — ღვინისაგან აყირმიზებულ ოთხი შეილის შეურაცხყოფილი მამა ჭერს ხატად დარჩა, მერე ფეხზე აიჭრა, ცარიელი ბოთლი განზე გადადგა და სავსე მოიმარჯვა.

— სხვისი რამდენია და თქვენი რამდენი მეთქი, მგონი გასაგებად ვთქვი.



სტუმარმა ბოთლი მოიღირა, მაგრამ ხელი სტაცეს და გააკავეს.

წყალობილიც ასე იყო დარწმუნებული: ბოთლის სროლას არ დაანებებდნენ თორემ ვინ იცის, ასეთი ტონით არც ელაპარაკა...

სტუმარს კიდურებში ჩააფრინდნენ, ხოლო ენას რომ თავისი არ ექნა და ავი სიტყვა არ წამოეყარანტა, პირზე ხელი დააფარეს.

— რას იტყები, შე კაცო, როგორ ვერ გაიგე: ვოგო გათხოვდება და სხვისია, ბიჭი შინ დარჩება და — შენი. მე აგერ ერთი მყავს და ისიც სხვისია, — წყალობიჩმა სიტუაციის განსამუხტავად სწორედ ეს მომენტში შეარჩია, მეტ ეფექტს მოახდენსო, წამოგდა და ოთხი შვილის მამისაკენ გაემართა. ზალაში სიცილ-ხარხარი და ტამისცემა ატყდა.

დაძარგული ახალბედა თანამესუფრე გაიბადრა, თამაში გადაეხვია და გადაკოცნა.

— ასე გეტყვა ადამიანო, სამი სხვისია და ერთი, ნაბოლარა, ჩემი, — ხავილითა და ხითხითთ ამბობდა და ქალღალდის ხელსახოცით ტურებს იწმენდა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ძმაო, მეოთხე მაინც რომ გააჩენია ბიჭი, მე აგერ...

— მაშ, კაცო, მაშ, საშველი რომ არ დაგვაღდა, დედაკაცმა მკითხავს მიაშურა:

— ეზოში მავნოლია ხომ არ გიდგათ? — უკითხავს მკითხავს.

— არა, ქალბატონო, — უპასუხნია ჩემს ხახლობას.

— ასეც ვიცოდი. ძეწნა?

— არა, ქალბატონო...

— ასეც ვიცოდი, ხომ ხედავ ყველაფერი ვიცი?

— ვხედავ, ქალბატონო, როგორ ვერ ვხედავ, ბიჭი ვერ გავაჩინე, თორემ სხვა კი არაფერი ზადი მაქვს! — უპასუხნია განაწყენებულს.

— წიწვოვანი?

— კი, ქალბატონო, ბარე თხუთმეტი ძირი ნაძვი გვიდგას, — კაცმა კენწეროში რომ ახედოს, თავზე ქული არ დაამაგრდება.

— აი ხომ ხედავ, ტოჩკაში მოვხვდი... ეზოში თუ უნაყოფო ხე გიდგას, ქმარი კი არა და ეშმაკი რომ დაიწვინო ღოგინში, ბიჭი როგორ გეყოლება? — უთქვამს, გასამჩველო ფართხუნაკბის ჭიბვეში ჩაუტურებია და შემდეგი შემოიუშვიეთო, მიუთნიშნებია...

რალა სათქმელია, რომ ნაძვარი ავიჩხეთ და ის იყო, ე, დრო მოვიდა და ბიჭი ძლივს ჩავატოიეთ აკვანში...

თხრობა დაამთავრა ბედნიერმა მამამ და თავის ადგილზე დაჯდა.

...ვისთვის არ მოუტაცნია თვალი წყალობილის ეზოში სრა-სასახლეს აცილებულ ხახსხასა, კოპწია სარო-კვიპაროსებს...

საბანკეტო ზალა ჭერ სამარესავით ვაიტრუნა, მერე თითქოს მეწყერი მოზვავდაო, ხალხმა

იხუვლა, ზეზე წამოიჭრა, კარებს ეცა და გარეთ გავარდა.

გზადაგზა ხერხს, ნაჯახსა და წალდს იღლიავებდნენ და ჭერ ხმაური და მერე ბლდვირი კვიპაროსის კორომს შეესია.

ყველა ცდილობდა, მაგრამ განსაკუთრებული თავგამოდებით ოთხი შვილის მამა იქნედა ნაჯახს...

მოსაღამოვდა, ჩახაჩუხი და ხუილი მიილია.

ქანცგამოცლილი კორიანტილი, გოფილი წყალობიჩი და გასავათებული ხალხი მიწაზე გაშოტილ საროებზე ჩამოსხდნენ.

ამასობაში ეზოში მაგიდა გამოარბენინეს და სუფრა გაშალეს. ვიღაცამ მომავალ ვაიშვილს კონსტანტინე დაარქვა და წაიგდა „კონსტანტინეს“, „კოტეს“, „კოტკოს“ სადღეგრძელოები. ერთ უწრდელს „კოწიაც“ კი წამოცდა, მაგრამ შეუბღვირეს და ენა პირში ჩააგდებინეს...

...დიასახლისი შინ არ ბრძანებულა, მეორე თუ მესამე დღეს მოსულა, თავის ეზო-კარი ვერ მოუხარია და კინადამ ჭკუაზე შეშლილა.

— კაცო, ასე რამ გამოგასულელა, რა ხელმოსაპრელმა ხელმა დააფინა ეს შვილივით ნალოღიავები კვიპაროსები?.. მერე კიდევ, შე არ გადახარჩენო, რალა დროს ჩენი ბიჭია, მოღვრებული ქალიშვილის პატრონი ვართ, სადაცაა მე პაპის ცოლი გავხვდები და შენ — ბებიას ქმარი! — შავი დღე დაუურია წყალობიჩისათვის აზოფრებულ დედაკაცს...

— ჰო, იმას მოგახსენებლით, — განაგრძო ფორემ — დედაკაცი ტარანასავით ჭვირთიანი გამოდგა-მეთქი, ათჯერ მოლოგინდა ზედიზედ, ამოჩემებულ დროს, — დაიღი გულდრძო ხაზეინი მყავდა — ცოლ-შვილის გასახარად და ოჯახის მისახელად, წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ცხვრის ვაღმორცვისას, სამი დღით მიშვებდა შინ, — და რაც მთავარია, არა და არ იცვალა მუცელი — ბიჭი და ბიჭი... ამ ათიდან ბარე ოთხმა, კი იცი შენ, მიტრო, ჭიტლერს ვაი დედა აძახებინა, ხოლო მომყოლებიც გულხელდაკრეფილი არ იხსდნენ შინ... თუმცა სათქმელს წინ გავუსწარი... ჰოდა, ჩემი ათი დამშეული ბიჭი რომ აქეთ დაიწყებდა კნავილს — კალტი და კოტორი მინდაო, იქეთ, ტყეში, ტურები ატხლდნენ კვიცილს — იმ ამოსაწყვეტებს თვისტომი ეგონათ... მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბაღლები წამოიჩინდნენ, წამოიზარდნენ და მთელი სამი დღე, მამა მოვიდაო — თუ ზეზე ვიდეკი, ფხვებში მებლანდებოდნენ, თუ ვიწეკი, ღლიპეზივით ნახადში შემომიძვრებოდნენ და... ჩემს მესარცდელსთან ვინ მაკარებდა. ცხვირჩამოზვავებული დედაკაცი აჯამივით დაბორილვებდა, ბავშვებს უმიზეზოდ უტყაბუნებდა, ჯამ-ჭურჭილი ხელიდან უტვივოდა და ყველას და ყვე-

აბმანდლილ ბაღდაზბაძე  
ზინზაბი

ლაფერს წყველა-კრულვას უგზავნიდა.

ჰოდა, დიაცმა რასან არ დაიშალა, მეტი რა ჩარა იყო, მეც ავდექი და ხერხს მივმართე: მერმის შინ შევლის დრომ რომ მოაღწია, ხაზეინს ვეახელი და ვეაჭე — სამი დღით, სანამ დაგბრუნდებოდე, ოქროს თუმნიანი მათხოვე-მეთქი. ამომხედა, თვალთ ააპარპარა, ჯიბიდან ნება-ნება ტყვისასვით მიძივ ქისა ამოათრია, ფული ამოიღო, ხელში ატრიალა, ბოლოს ვაბე-და და გადმომიგდო. ჭიშკარი რომ შევადე, ბი-ჭები დამხვივნენ, — აბა, მე რა მომიტანე და აბა მე — რაო. გავიკარი ჯიბეზე ხელი, დავა-ძვინე ყვითელი ეშმაკი და ყველაზე უფროსს ვეპროღე: ა. წადით დუქანში და რაც გინდათ, სულო და გული, იყიდეთ, თუ დახლიდარს სუ-რდა არ ჰქონდეს, მეზობლებში გაიბრინეთ და ვინც მანც დაშლის-მეთქი... ახმაურდნენ, აჯა-რდნენ ბავშვები და შვილ-ხვილით მისაკდნენ დუქანსა და კუთხე-მეზობლებს. სამი დღის შე-მდეგ უკან დამიბრუნეს გაუტეხავი თუმნიანი — ვის ჰქონდა სოფელში ამოდენა ფული? და წავედი ცხვარში, — ცოლის ხვევნა-ადერსი და დოცვა-კურთხევა მიმაცილებდა ხაზეინთან პირნათელ კაცს...

აი, ასეთი ტყუილი მცემის, — არც სულს ავენებს, არც სორცს, არც მტერსა და არც მოყ-ვარებს... თორემ შენ რომ ტყუილი იკადრე, მი-ტრო, და ჩემს ცოდვაში ჩაღვი ფეხი — ახ-ლაც მეცხვარე ვიქნებოდი და ამ სადიაცო საქ-მეს არ ავიკილებდი, ჰო, შენ რომ იკადრე. მხ-სეთი ტყუილი, ნამდვილად დანაშაულია ხალ-ხისა და ქვეყნის წინაშე.

— ჩემთან რა გინდა დავიდარაბიჩ, ვაზეთ-ში გაგხატე, ტელეფონი გამოგჭიმე, რადი-ოში აგახმაურე, — მეცხვარეობის მოწინავე ბრიგადირა-მეთქი, შენ კი მაღლობის მაგიერ კანტორაში მომივარდი, კომპალი მაგიდაზე და-მიგდე: „ა, შენი ჯოხი და ე, შენი ცხვარიო“, როყოდ მომახლდე და პასუხსაც აღარ დაელო-დე, თავქუდმოგლეკილი გაიქეცი.

— როგორ იყო ეს ყველაფერი, გახსოვს? — შემობრუნდა და თვალები თავმჯდომარეს შეა-ნათა.

— არ გახსოვს და... მე გაგახსენებ: თავმჯდომარე უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

...საქმეს კარგი პირი არ უჩანდა, გული ბოლმით გვევსებოდა, გემუღარებოლით — ფა-რაში ორასი სული თორმეტწლიანი, ბებრუცუ-ნა, უკბილო ნერბი გვეყავს, თავის ცხოვრება მოძოვეს, ყოჩის გუნებაზე არ არიან, ხალხი თუ ზოგი მაინც დაგრილდა, სუსტ ნაშიერს დაბა-დებს, რძე არ ექნება და მატყლი, ბატკანი და-ნოსცება, თვალაც გალუბდება, ამდენი ფურა-ეო და კაცი სრომა წყალში ჩაგვეყრება და თუ ნერბი სიკვდილს ვადაურჩა, უტილში უნდა ჩავაბაროთო ჩადის ფასად აწირ შემოდგო-მაზე შესორცებულ ცხვარს დამაუბლებში ვუკ-

რათ თავი, კოლმეურნეობას<sup>1</sup> გულადი შემოსა-ვალი ექნება და სახელმწიფოს — სორციოქო!

შენ სიტყვა ბანზე აგვიგდე, ახალი ყაიდის დანერბვა შემოვიდეთ და მიბრძანე; ყოჩი თხუ-თმეტი დღით ადრე შეუშვი დედა ცხვარშიო. რალაც არ დამიჭდა ტყუაში, მაგრამ ვიციქრე — ნაწვიმარზე წამოსულ სოკოსავით მომრავლდნენ ეს ბეიულები და ზოოტექნიკოსები და ეგებ რაიმე ახალი ქვე გამოიგონეს-მეთქი.

მაგრამ, დალაზროს ეშმაკმა... არადა, საკ-ვირლად მივირის, ასე რამ გამომაყუყეჩა ამ ხნის კაცი, ხომ კარგად ვიცოდი, რომ ბარე ათი წლის შრომა — გარჯა და უსოზო თანხა მო-ანდომეს შლიბაიანმა მეცხვარეებმა აღამისდრო-ინდელი თუშური ცხვრის გადაჭვარებასა და გადაგვარებას... ანლა, მაღლობა დმერთს, მაღლა ერთი ჭკვიანი, ხისო-ჭაღელი კაცი დაუნიშნავთ, მისი გვარი და ჯილაგი სულ მეცხვარეები ყო-ფილან და მსხაც, მამაცხოვნებულს, ყადრი და-ყოლია საყოლისა, — ჩვენი დუმიანი ცხვრის გადმოჭვარება და გადმოგვარება მოუთხოვია... თუმცა, ამ საქმეს აღზათ კარვა ბლომა წლები დასჭირდება, — მოშენება ხომ ვაცილებით ძნე-ლია, ვიდრე ვადაშენება?!

ცხვარი რომ ხუთ თვეს დაიარება მუცელ-ზე, სუთი წლის ბავშვამც კი იცის ჩვენში.

თხუთმეტი დღით ადრე დაიწყო დოღი ჩემს ფარში და, ე მაშინ იყო, რომ მომადექი ათა-ხი ჯურა კორცხონდენტებით: ამ ბრიგადას შარშანდელ ამ დროსთან შედარებით ხუთასი სული ბატკნით მეტი ჰყავსო, და ატყდა ერთი აღიაქოთი: ვაზეთი, რადიო, ტელეფონია...

ზაკვა ზამთარმა კული მოიქნია, ნადრეც ნა-მატს მუსრი ვაავლო, ჭანდავი ცხვარიც მიჰყვა ზედ, უარა გაჩანაგდა და ხალხის ყბაში ჩაგვარ-დო... ბევრი იყვირე, ვიდავილარაბე (დავილა-რაბინიც<sup>2</sup> მაშინ შემარქეთი): მომატყუეს, სა-შინელი შეცდომა ჩამადენინეს, ყველას გააგე-ბინეთ ეს, რომ სხვებმა მაინც ტყუა ისწავლონ-მეთქი, მაგრამ შენი მაშინდელი მოადილის — ნათელას გარდა ახლოს არავინ გამოიკარა... შენ ბატკნის ადრე გამოყვანაზე კანდიდატობის ვაკ-ვრა მოასწარი და მეცნეიერი ვახლი, მე კი ქვე-ყანაში გამოსაყოლო თავი მომიჭრა... მაშინ იყო, კომპალი რომ მოგიადე...

მერე რაც მოხდა, ყველამ იცის: გაპარტახე-ბული ფარა თქვენ გაჭირვების ტალ-კვისის, სტიქიონის ხარჯზე ჩამოწერეთ და ხელი დაიბა-ნეთ; ჩემი ქომაგი და მოსარჩლე ნათელა, — ჭკვიანი, გამჭრიახი და საქმიანი ქალიაო, კან-ტორიდან გზის ვადაღმა, საბჭოში გადაისრო-ლიეთ, მე პენსიაზე გამაწეიმეთ და საქმე ამით მოაშუშეთ...

დამთავრა ფორე ფოსტალიონმა, შოფერს მანქანა გააჩერებინა და ტალახში ვადააბოტა...

ნუ ჩადიხარო, არავის უთქვამს... — ჰაი დედასა, შენც ძაღლის ყბა გამოიბი,

რალა! — ჩაილაპარაკა წყალობიჩმა, პირში სერ-  
ვარეტი გაიჩარა, ჰიბებები მოიქექა, ასანთი ვერ  
მოიძია და მოადგილეს ხელი გაუშვირა...

— გამარჯობა, ნაპოლეონ! — ხმამაღლა მიე-  
სალმა წყალობიჩი.

ვეშაპა ამირიზა, გვერდი შეაქცია თავმჯდომე-  
რეს, განზე გაიხედა, ჰიბიდან მუჭით მწესუმწი-  
რა ამოიღო და ორი მარცვალი ერთბაშად გა-  
აყნატუნა.

თვალსაწიერზე გაშლილი ქალო დამრეც, ტრიალ მინდორზე მავთულის ბადით შემოფერ-  
გლოთ.

სვეტებზე დაბრკენილი ფარდულ-საშრობე-  
ბი ხიმეტრიის ხაზზე იყო განლაგებული.

თავმანდილწაკრული და სპექტანსაცემელში  
განოწყობილი ქალები გადასადგილებელ ელუ-  
ვატორებს დასტრიალებდნენ, ნიჩბებით ხორ-  
ბაღს, ქერს, ქვაგსა და მწესუმწირას ანაივებდ-  
ნენ, ხტანდარტისა და ფრაქციის კვლობაზე  
ახარისხებდნენ.

კალოს გამგე, უკანასკნელი შოდის იმპორ-  
ტული ტან-ფეხი რომ ეცვა და თითები ბექ-  
დებით რომ მოქექდა (თავის დროზე იგი, პედა-  
გოგიკურ მიცნაირებათა კანდიდატი, რომელი-  
ღაც ინსტიტუტის რომელიღაც განყოფილების  
გამგე, წყალობიჩმა თბილისიდან გადმოაყვანა)  
განცალკევებულიყო, იდაყვით „ვიღვის“ კა-  
პოტს დაჟრდნობდა, ხელისგულზე თავი მიეს-  
ვენა და გარინდებული იდგა. გაფხორილი, წი-  
თელთიკამპობროწიანდებული ინდაურები, თვა-  
ლებიდან რომ ცხბიმი ეღვენებოდათ, კივი-  
ვით დახეოდნენ ტუფლიდან ჩამოვარდნილ კა-  
ითნის ბუნეკს, კორტნიდნენ და ექაჩებოდნენ...  
მაგრამ აშაო იყო ბენტერა მელიოტების ცლა და  
წადილი — კალოს გამგე-მიცნეირი ბურანიდან  
ვერა და ვერ გამოეყვანათ.

— რა გავაშავა ასე, შე ძველო? — სოფლის  
თავკაცი ნაპოს გაუშინაურდა და ამით შეეცადა  
რამდენადმე მაინც გაეუანტა უხეში შეხვედ-  
რით ჩამომდგარი უხერხულობა.

— გავშავებოდი, მა რა მომივიდოდა, —  
თორმეტი თვე, ექვსი კვირა და სამი დღე შავ  
პურს მაქმევედნენ, — განა ვირის აბანოში  
ტორტით გიტენიან სტომაქს? — სახის ნაკვთის  
გაუტოკებლად ჩაილაპარაკა ნაპომ და მწესუმ-  
წირას კვლავ პირში ჩაახედა...

...წყალობიჩს გაახსენდა: ვეშაპამ რამდენიმე  
თვე ტრაქტორისტად იმუშავა, მერე თავი და-  
ანება და იოლი ცხოვრებით იცხოვრა, — მწე-  
სუმწირით სპეკულაციას მიჰყო ხელი — თავისი  
გამოჩორკნილი ფიზიონომიით, თოფრებითა და  
სხვადასხვა ზომა-წონის ჭიქებით შემოვლილი  
შქონდა ჩვენი ქვეყნის ყველა ბაზარი, კინოსა  
და თეატრის ვესტობიულები, სავტომობილო  
და რკინიგზის სადგურები, ბაღები და პარკები...  
როგორ არ დაარცხინეს, სად არ გამოუძახეს,

რანაირი ხელწერილი არ დააღებინეს, მაგრამ  
— შეაყარე ცერცვი კედელს — სახარებლო  
საქმიანობაში ვერა და ვერ ჩააბნეს... ქვეყნისა  
და სასოგადოების წინაშე არავითარ მოვალეო-  
ბას არ გრძნობდა — სულ რომ ყველაფერი  
აღველიყო პირისაგან მიწისა, თითს არ გაან-  
ძრევდა. თავად კი, იცოცხლეთ, ბევრს მოით-  
ხოვდა: აქედან ეს მერგება და ამაში ეს წილი  
მიდევსო... ის კი არადა, ჭყუარა რომ ერთმეო-  
რეზე მივრით მიწყობილ ათ ურნას გადაერო-  
და, უნდოდა თუ არა, სათითოდ ყველაში ჩა-  
აპურებებოდა -- აქაოდა, ურნა ხომ სასოგადო-  
ებრივია, ენე იგი მეტ მეკუთვინს და ჩემი უფ-  
ლება რატომ არ გამოვიყენო... და აი, შარ-  
შანწინ, ალოობაზე, ნაპო თავისი დაუინებოთი  
თხოვნით კომბაინერად ვამწესეს. მისი ენთუ-  
ზიზაში არც იყო გასაკვირი: კოლმეურნიობის  
გამეგობამ კომბაინერებს შორის სოცსეკბირი  
გაჩადა და პირველ ჯილდოდ გამარჯვებულს  
მსუბუქი ავტომანქანა აღუთქვა („დავკდები  
მსუბუქ მამინაზე, გამოვტენი სემიჩით და ხან  
ალოას გავაქროლებ და ხან ბალოას, ხან აღმა  
და ხან დამა“ — ფერად ფიქრებს უღმეო-  
და ვეშაპა).

ხელზე ღულა ამოისვირინვა, მეწვლაურის მაი-  
სური ჩაიცვა, პირში გრძელი ჩიბუხი გაიჩარა,  
კომბაინზე დაქლა, შტვიანი, ოდრონოდრო გზა  
უკან მოიტოვა და „მინდვრის სომადლი“ ში-  
რაქის ოქროსფერ ოკეანეში შეაცურა. პურე-  
ულის აღებას, თხუთმეტიოდე დღეს, როგორც  
იქნა გაუქლო, მაგრამ როცა კომბაინს დაინები  
დაუცვალეს და მწესუმწირას მიადგნენ, ბუდი  
და ხვატი ყელში ამოუვიდა და ხელი ჩაიქნია:  
შემირცხვენია ასეთი მაგვლანობაც, ასეთი  
მსუბუქი მამინაც და ასე ოჯლის წურწურიით  
მოლოვებული პურიც არსობისაო — თქვა, სა-  
ლექი მანქანა გვერდზე მიაყენა, მისი ბუნკერი-  
დან მწესუმწირა „მოამსო“ და ქარსაცავში გა-  
დაშალა.

„ეეე, ნეტავ, იმ ნეტარ დღეს, წყალობიჩ,  
როცა დილით, მთელი დამე ნაპარიარალი, სა-  
კოლმეურნეო ქონების დატყებისათვის ნაპოს  
მილიციაში რომ აგზავნიდი დამშვიდებული  
სინდისით, ხოლო შენი თავი კი თავანკარა,  
წმინდა, წადმართი კაცი გეგონა“ — გულში  
გაიფიქრა თავმჯდომარემ და ამოიგმინა.

ნაპოლეონმა მოსაუბრის ეს წუსილი თანაგრ-  
ძნოდ მიიჩნია და წყალობიჩისაკენ მიბრუნდა.

— ჩაუვარდა ხელში ამ დურაკებს, არა? —  
თავმჯდომარემ მხარზე ხელი დაადო, — ასეა  
ჩემო ძმაო, რა იციან კაცის ფასი? აგერ მე  
ჩვენს სოფელს შევალიე მთელი ჩემი სიცოცხ-  
ლე. და ვინ მიფახებს მერე? ის კი არადა, ფეხი  
რომ დამიცდეს, გაქონილ ნიჩაზე დამაყუყუ-

ამთხდელი გაღდაბამი  
ზიზაზი

ბენ ბაყაყვით და წყვარამში მომისვრიან. იმის მაგივრად, რომ ფიზკულტურულ და კულტმა-სობრივ მუშაობაში ჩაებაან, მილიციით გემუქ-რებიან, არა, რა გაქვს სამილიციო? შენისთა-ნა ტალანტი დღისით-მისით სანთლითაა საძე-ბარი, — ამიერიდან კოლმეურნეობის ფიზორ-განიზატორად გირჩევ, მოვაწყოთ სპორტული მოედანი და სტადიონი, შევიძინოთ შტანგები, ორძელი, ღერძი, საწონები, რგოლები, ტაიპი, ხარისხა, სხვანი და სხვანი, მოვიზიდოთ ახალ-გაზრდობა, ჩამოვაყალიბოთ წრეები და ერთ-ორ თვეში ისეთი სანახაობა გავმართოთ, რომ საჩინონი გავხდეთ მთელს რესპუბლიკაში.

— ხელფასი? — ჭიჭურ შეეკითხა ფიზორგა-ნიზატორი.

— შენ ოღონდ მდივნის უბიდან ამომიყვანე; ფიზმასობრივი მუშაობა გამიჩადე, თუ გინდ მარტო ძალოსნობაში მივიღოთ პირველი ადგი-ლი და, ხელფასი კი არადა, რა გინდა ჩემგან, ყველაფერზე ყაბულსა ვარ, მოიღის?

— მოიღის, როდის შევუდგეთ?

— დღესვე, ახლავე!

— აქტი? — კაპიკიანით მრგვალი და ვიწ-რო თვალები მოქუტა ვეშაბამ.

— პოლიაკო, აქტი.. .

მოადგომე კალოს ჭისურვიდან აქტი გამოარ-ბებინა და წყალობის ვადასცა, ამ უკანასკნელ-მა ნაპოს გადააწოდა. ნაპომ მუქში დარჩენილ მესესუმზირას ჭიბეში უკრა თავი, აქტი გამო-ართვა, დაანაკუნა, ქარს გაატანა, ხელები დაი-ფერთხა და პოლიაკოს მოწკაპრული თვალებით გადახედა.

თავმჯდომარემ აქეთ-იქით მიმოიხედა, — „აბა, ჭეო!“ დაადლო, მანქანაში ჩაჯდა, ახალგა-მომცხვარი ფიზორგანიზატორი გვერდით მოის-ვა და შუბლი დატკმუნხა: „ამ დამთხვეულ ვეშა-პას არ ველაქუცებოდე ახლა და, რა უნდა ღმერთს, ვირის საბაღნეს ავიკიდებდი“.

ნაპოლონმა, უპირველეს ყოვლისა, სმა დაი-ბოხა და თავის ძველ განაღებულ ადგილ-სამყოფელს, ბირჟას მიაკითხა. ამ უსაქმურთა თავშესაყარზე ზორბა-ზორბა მუტრუკები და-არჩია და ძალოსნობის წრეში წაასხა. შემდეგ, ავანსად გამოწერილი ხელფასი და რწმუნების ქაღალდები ჭიბეში ჩაიტიციანა და რაიონის ფიზკომიტეტს ეახლა.

მიიღეს.

სალამი ბუმერანგით დაუბრუნეს.

მოუსმინეს და თათბირი ჰქნეს.

თათბირზე ვაჟების გარდა ქალიშვილებიც ბევრნი იყვნენ, ზოგი როგორი, ზოგი როგორი, ნაპოს კი მარტო ზაირა ჩაუვარდა გულში — მიწყვიტ მოწყენილი, მაგრამ მომხიბლველი და მიმზიდველი, შავგვრემანი, შავთვალწარბა, ტან-ჯავარიანი ქალიშვილი.

„იმ საღამოს ნაპომ ტანზექმე მოიხია, „გაცნო-ბისა იესირა“, ზაირას ავან-ჩავანი გაიკითხა, ტრფობის აღში გაცხვია და დამწვრის სიმღერა წამოიწყო:

„ქარგი იყო, არ გამეცან თავიდან,  
შუა წყალში გადამაგდე ნავიდან...“.



„...მის მშობლებს“ ზაირას გარდა შვილი არ ყოლიათ და წელზე ფეხს იდგამდნენ, ერთსა-თვის უმაღლესი განათლება რომ მიეცათ.

სკოლაში ფარსავად არ უსწავლია, მაგრამ არც ჯოხით გასადენი მოწაფე ყოფილა. უმაღ-ლესში სწავლაზე არც უფიქრა, ბაღ-ბოსტან-ში ტრიალი და კურდღლების მომრავლება ოც-ნებად ჰქონია..

დღე და ღამე უნატრია: სკოლას დავამთავ-რებ და სოფლის საქმიანობაში ჩავებმებო, მაგრამ მშობლებს ჭეა აუგლიათ და თავი შეუშ-ვერიათ — უღიბლომო ქალიშვილი ჩვენს გვარ-სა და მოდგმას როგორ ეკადრებო... და მართ-ლაც; მათ, გურამ ბაგრატიონის დროინდელ გვარებში, რაც მატანეს მახსოვრობას შემოუ-ნახავს, — მამები და დედები, პაპები და ბები-ები, პაპისა და ბებიის ძველები, დანი მათნი და ძმანი მათნი სულ სწავლულები ყოფი-ლან და ახლა, ამ ცივილიზაციის საუკუნეში, როცა წიკო-მაკო და ციბია-ტიბია ხალხიც კი ინსტიტუტდამთავრებულა, რა მესის დაცემაა, რომ ასეთი წინაპრების ნაშვირი გაუნათლებელი დარჩეს.

ჰოდა, მშობლებს ზაირა მანქანაში ჩაუსვამთ და თბილისისაკენ გაუქანებიათ.

პირველსავე გამოცდაზე ჩაფლავებულა... თურმე მიმღებ კომისიას თანხაირად უტრიალე-ბია კითხვები, ეგებ რაიმე გვიასუსხოსო, მაგ-რამ ამოდ — ზაირას მაშინ გასხენებია, რომ ბოცვრებისათვის კომბოსტო არ დაუყრია, თავ-ში ხელი წაუშენია და გუნებაგაფუჭებულს ენა ჩავარდნია.

მამას წნევა ავარდნია, — ტონომეტრში ვერ გამართულა.

დედას გული წასვლია.

დაბნეულ ხალხს რაც ხელში თხევადი მოპყო-ლია, ყველაფერი მიუსხურებია გულშეღონებუ-ლისათვის: ვის გაზიანი წყალი, ვის ლიმონათი... მოწიშშიმე ტანსაცმელი დალაქიანებია, საკინ-ძე და გულქანდი დაწყვეტია და ობოლი მარგა-ლიტები იატაკზე დაბლაპით დაფანტვია. პარი-ზულ ნელსაცხებელში რუდუნებით გამოყვანი-ლი პირისახე სითხეს დაუღარავს და ჩვარვიით დაუქმუქნავს..

ამასობაში სსსწრაფო დანმარება მოზოზინე-ბულა, დედისათვის კარდიოგრაფა გადაუღიოთ, მამა იქვე წამოუწყენიათ და რბილ ადგილზე მაგნეზის ნემსი გაუკეთებიათ..

საღამოს მანქანას გევი სოფლისაკენ აუღია. „მის მშობლებს“ ერთი კვირა თავი გარეთ არ გამოუყვიათ — უმსჯელიათ, უკამათინათ, ზოგი აქეთური უთქვამთ, ზოგი — იქითური და, ბოლოს, ბრძნული აზრი გამოუტანიათ: ქალიშვილი სტაუსისთვის სადმე მოეწყუთ, ავტორიტეტული რეპეტიტორი აეჩინათ და მემრისს, ანდა იქით მემრისს მაინც, მეცნიერების ტაძარში შეეყვანათ.

და აი, ზაირა რაიონის ფიზკომიტეტის მეთოდისტად მოუწყვიათ. მართალია აქ ასეთი შტატი არ ჰქონიათ და, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი საჭირო ყოფილა, მაგრამ „მისი მშობლების“ პრესტიჟსა და გავლენას ქვა გაუხეთქია და საწადელი აუხრებლებიათ, სლოგანგორმებით რომელიდაც მეურნეობაში დამლაგებლად გაუფორმებიათ. თან, რა თქმა უნდა, ავტორიტეტული რეპეტიტორი გამოუნახავთ და ოცნებასთან ხიდი გაუღვიათ.

ზაირაზე ბევრ კარგ ყმაწვილს ჰქონია თვალი დაღმული, ბევრსაც ხელი უთხოვია, ქალიშვილიც არ დარჩენილა ცივად, მაგრამ აბა, „მისი მშობლები“ ვის რას გაატანდნენ?!

...თუჯის რიკულებიანი, გაღავანივით მაღალი ღობე — ზედ ქურციკი ვერ გადაახტებოდა და შიგ ღობემძვრალა ვერ გაძვრებოდა — ვეება ეზოს ფეშტამალავით აფარებოდა. ღობეში, ურთიერთდაშორებით, ორი ცისფრად შედებილი ალაყაფის კარი იდგა. ერთი ჭიშკრის კუტიკარს შეაღებდით თუ არა, ასფალტის ბილიკზე აღმოჩნდებოდით. ბილიკის ორივე გვერდით მარადმწვანე ბუჩქები გამწვკრივებულიყო. ორმოცდაათიოდე ნაბიჯს გადადგამდით და წინ წითელი აგურით ნაშენი, ორსართულიანი სასახლე აგეყუდებოდით. კურსების გრანიტის საფეხურები მუხის მუცელგამობერილ კარებთან მიგაცილებდათ. სასახლეს მოზაიკისაქაიანი აივანი შემოსარტყლოდა, რომლის მოაჯირის ბოძებზე ლუმინესცენციური ლამპები, გამხარულიყვნენ. განიერ სარკმლებს შიგნიდან დარბები, სოლო გარედან გისოსები ეკეთა. თუ ხვეულ, ვერტიკალურ კიბეს აჰყებოდით, რკინა-ბეტონის ბანივით ბრტყელ სასურავზე აღმოჩნდებოდით. ამ ცხენის გასაჭენებელ მოედანზე, სამხრეთით, წყლით გალიცლიცებული საცურაო აუზი იყო, ჩრდილოეთით — ვარდისფერი მარმარილოს მაგიდა და ლაბრადორის ქვისაგან გამოკვეთილი ძელსკამები იდგა.

მეორე ჭიშკრის მიღმა გამართულ გარაჟში აბანოზივით ბზინავდა შავი „ვოლგა“.

სახლის საჩრტლებელში, კომპისა და უნაბის ხეებით შემოჯარული, წაბლის ჭარგვალა მარანი კოპწიაობდა.

ყოველივე ამის პატრონი, შუახანს შეპოტინებული ბერბიკა, — სალთი, მარტოხელა კაცი,

რომელსაც სოფელ-ქვეყანა რეპეტიტორად უფრო იცნობდა, ვიდრე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, საღამოს ლამპიონებს ააჩანჩახებდა, ქუჩაში გადავიდოდა, ბოლთას ცემდა, ეზო-კარს უმწერდა და ხელებს იფშენებდა. მერე ყურყუბით მუხლი მოეკვეთებოდა, ეზოში შევიდოდა, ქალებს ჩააქრობდა და ჩაბნელებულ სასახლეში ჩაიკარგებოდა.

ეს ყველაფერი, კარგი დაგმართოს, კარგია, მაგრამ ვაი, რომ ამ სასახლეში, ამ მარანში და ამ ბანზე ჭიქა ღვინო არასდროს დაღეულა, კაცს კაცი არ უღდეგრძელებია და ჩვენი ბერმუხა „მრავალუმიერი“ არ დაუგუგუნებიათ!

პენგვინივით მოკლევნეებიანი კაცი — დაჯდებოდა და ყველაზე მაღალი იყო, ადგებოდა და — ყველაზე დაბალი, — აქაოდა, უბრალოდ ამჟოლ-დამჟოლი და წარამარა აღმამანი არავის ვეგონო, ფულს აღრიხდელ კურსით თვლიდა და ძველებურად „საკურორტოს“ ეწეოდა — საწოვარასავით პირში გაიჩრიდა და მანამდე უპლაკუნებდა, სანამ მუნდშტუკს მთლად არ გაზუნწლავდა. სისველე წინ-წინ მიიწეოდა. თამბაქოში გაუონავდა და, როცა ცეცხლი შიშის დიწყებდა, მწარე ნერწყვისა და გალუმულ პაპიროსს ერთად გადმოაპურქებდა და ახლა ახალს ააბოლებდა.

სამსახურში მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდა თუ მხედველობაში არ მივიდებთ იმას, რომ დამსახურებული მასწავლებლის წოდებისათვის იბრძოდა და ყველა ინსტანციაში, სხვისი სტუმროწერით, საკუთარ თავზე წერილებს აგზავნიდა: — დიხაც დამსახურა დამსახურებაო...

ადრე, დიპლომი რომ მოუხნელთებია, მის მახლობლებს ერთი უშველებელი ქეიფი გადაუხდიათ. მერედა რაო, ეს რა გასაკვირიაო, იკითხავს ვინმე... და მართლაც, აქ რა უნდა ყოფილიყო გასაოცარი, რომ... ეს ქეიფი ნაძლევიში არ მოეგო: სტუდენტობის მოწმობა ჩაუღვია თუ არა ჯიბეში, დაუტრახანხანია. უმაღლესს ისე დაგამთავრებ, წიგნში არ ჩავიხდევო... წაგებულეებს სხვა რა დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ჯიხვის რქით მიელოცნათ მისთვის სიტყვის კაცობა, ინსტიტუტის ბრწყინვალედ დამთავრება და ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსვლა...

და — მერეც: წიგნსა და უურნალს, როგორც ეშმაკი საკმეველს, სათოფეზე არ გაეკარებოდა: ამით დროს როგორ გავფლანგავ და თავს როგორ დავიმძიმებო.

სხვის პურ-მარილზე დაჯდებოდა, ქამარს მოაფოფლებდა, ჩანგალს მარცხენა ხელში მოიმარჯვებდა, დანას — მარჯვენაში და, ეს ძუნწი და ქვაწვია კაცი, დიდებულად მოილხენდა: ჭერ ყველით გალაღებულ ხაქაპურს ბნელ ხიზი-

ავთანდილ პალდავამი

ზიგზაზი

ლალას დააგოწავდა, მერე თორ ხორცს მი-  
ადგებოდა და ღვინს გააცლიდა, შემდეგ —  
წესია და კანონი! — ღვინით ატბორდებოდა  
და მას, ვინც საჭმელს მამა-პაპურად შეეჭყეო-  
და თვალს დაასობდა, ცინიკურად ჩაიცივებდა  
და თავს ქანქარასავით გააქან-გამოაქანავებდა.

დიბლომის მაძიებელთა წამეცადინებაში დიდი  
ჯაფა და გარჯა არ ეხარჯებოდა — კვირაში  
სამჯერ გაიხვირდა სელს ცარციო, სამჯერ ალი-  
ლუიასავით წაიბუტბუტებდა ჟანგოკიდებულ  
ფორმულებს და სამჯერ მოჰყვებოდა ტრივი-  
ალურ ამბავს: ბითავორამ, უბაღლო მოკრივემ.  
მოგვმა და მეცნიერმა, ღმერთებს ხარები და-  
უკლა, ჩემი თეორემის ამოხსნაში დამენმარე-  
თო... ამასობაში მწუხრი მიიწურებოდა, ბინდი  
სამზეოს შავად მოასველებდა, რემეტიტორი  
ქულს დაიხურავდა, ხოლო შინისაკენ გაბაწრუ-  
ლი შატაბუტა აბიტურიენტები, ზოგჯერ თებს ამ  
„მომზადება-გადამზადებაში“ თმაში ნაცრის-  
ფერი ხავსი რომ შეპარკოდა, სისხარულს ვერ  
ფარავდნენ: გოგრის ვაკუუმს ბანალურ ამით  
რომ ივსებდნენ, დიდილიაობით სახანს რომ  
არავინ სდიდათ — სამუშაოზე წასვლის დრო-  
თა, ოქროს ხანის წლებს უწყალოდ რომ ანია-  
ვებდნენ და ქარს ატანდნენ...

— მე ზოგიერთებით კი არა, ჩემი ოფლი-  
თა და შრომით ვცხოვრობ, — იტყოდა და სე-  
ზონზე თორმეტ-თხუთმეტ ათას მანეთს მიითვ-  
ლიდა.

— ას ოცი, ას ორმოცდაათი ათასი მანეთი,  
როგორი ბიჭია, ა? — გუნებაში ვიღაცას ყვე-  
ლის ვაჭარივით გაეკრიკებოდა და ბატისებური  
ბაჯბაჯით შემნახველ საღაროსაკენ გასწევდა.

...და საფიცრად, სალოცავ ხატად და სათაყვა-  
ნოდ ასპროცენტბიანი ობლიგაციები და შემსა-  
ღაროს წიგნაკები გეხება.

იყო თუ არა საჭირო, ყოველთვის სხვისი  
ღარიგება უყვარდა, — არ ვიცი, ყური არ მო-  
უკრავს თუ, გაუგონია და აზრი ვერ გაუგია  
ჩვენი ანდავისა: „უვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰ-  
ქონდაო“...

მიუხედავად იმისა, რომ ყვეაილხანობაში კვი-  
ნისზე სამი გვირგვინი ჰქონია — ახლა კეფაზე  
და ყურისძირებში რამდენიმე ღერი თმა რუდი-  
მენტავით შემორჩენოდა — თავის სიცოცხლე-  
ში ქალისათვის ვაკეთებულ ხელკავს მისთვის  
გვერდი არ აუწევავს და საწოლის სივიწროვის  
სიამოვნება არ განუცდია...

...მისი თანატოლი მამები და პაპები თავშე-  
საქცევად ანეთ ამბავს ჰყვებოდნენ:

ყმაწვილობისას ერთ ქალიშვილს მასზე თვა-  
ლი დარჩენია. ეს ბიჭს მხედველობიდან არ გა-  
მოპარვია და — სოფლის განაბირას, გაჩეხილ  
ახოში, შეგვხედეთო, — უთქვამს.

ქალიშვილი სისხარულით ჰაერში აფრენილა.

— შენ ჯერ ბატარა ხარ, ნუ აცეტლები, აბა  
შენ იცი, როგორ მოუვლი შენს უმანკოებას

და შენს მშობლებს არ შეარცხვენ, — შორი-  
ახლო მდგარა და დაურიგებია მიჯნური.

ქალიშვილს ყურები და მხრები ჩამოუყრია  
და ფეხათრევით წასულა.

დრო გამომხდარა და, ქალიშვილი მისდაუ-  
ნებლიედ სხვაზე გაუთხოვებიათ. ქმრიანი ქალი  
რემეტიტორს რამდენჯერმე გადაყრია. დიაცს  
გულში ადრინდელი ცეცხლი არ ჩანავლებია და  
სულ წყლიანი თვლებით უცქერია პირველი  
სიყვარულისათვის.

მეოჯახე ქალისათვის პეშანი დაუნეშნავს.

— ახლა იცოდე, ქმრიანი ქალი ხარ, ოჯახის  
დედაბოძი და სინდისი, სხვანაირი რამ გულში  
არ გავიღო, აბა შენ იცი, როგორ გაუფრთხილ-  
დები შენს კაბის კალთას, — შორიახლო მდგა-  
რა და დაურიგებია...

ქალს ყურები და მხრები ჩამოუყრია და ფე-  
ხათრევით წასულა.

წლები მიქცეულან, დედაკაცი დაქვრივებუ-  
ლა და თავის გაუხუნარი სიყვარულს ცვლავ არ-  
რადილივით ადევნებია.

ბერბიჭას ბეგრის უტოქმანია და ბოლოს ქვრივი  
აღთქმულ ადგილს მიუხმია.

მგლოვიარეს სისხარულის ცრემლები დაუღვ-  
რია...

— შენ ქვრივი ქალი ხარ, ახლა გმართებს  
ყველაზე დიდი თავდაჭერა, ქვენა გრძნობებს  
არ აჰყვე და ქმრის საფლავი და შენი ფლასი  
არ გაწითლო, — შორი-ახლო მდგარა და და-  
ურიგებია იმედგადაწურული ქვრივი...

...ნაპოს მეორე დღეს გვიან გაეღვიძა, ერო  
ხანს ლოგინში იწრიალა იშუშუნებოდა და შუშ-  
ლებოდა. მერე გუშინდელი ამბები თავში მია-  
ლაგ-მოალაგა, ფეხზე წამოღგა, ონკანი მოუშვა  
და ცივი შხაბი მიიღო, — ნაბახუსევი სახე და  
ტორსი წყალში ჩაყუდებულ შანთივით აშიშინ-  
და — ტანზე გადაიცვა და კანტორას მიაშურა.  
„რომ ხარ მეხვიით?“

თავმჯდომარე კაბინეტში დაუხვდა, მიეჭრა,  
ორივე ხელში ჩაიბღუჯა მისი მარჯვენა და სამ-  
ჯერ ჩამოწიდა.

— წყალობიჩ, მომილოცე, გუშინ დიდი საქ-  
მე ვაკეთე. ხალხი გავიცანი, დავიღუსტე, და-  
ვიძმაცადე, — შენ ოღონდ მოისურვე და რაც  
გინდა, სულო და გულო, წაიღეო.

— ყოჩაღ, ნაპოლეონ, ყოჩაღ. ერთ შენს  
სპორტსმენს 85 კილოგრამი აუტაცნია, მითხ-  
რეს.

— 90 კილო, წყალობიჩ, მაგრამ ჯერ სადაა,  
თვის ბოლომდე 95-ზე ავალთ.

— აბა, შენ იცი და შენმა ვაჟაკობამ, ხომ  
გახსოვს, ერთ თვეში რაიონული ოლიმპიადია.

— მაშ, მაშ, ყველას ვაჩვენებთ სეირს... ახ-  
ლა კი პატარა სათხოვარი მაქვს შენთან: ერ-  
თი „ლევო“ საქმე ჩავიფიქრე და ხელი უნდა  
მომიმართო.

— რას ამბობ, შე ოჯახქორო, — სავარძლი-  
დან წამოხტა თავმჯდომარე, — ახლა „ლევზე“  
ვინ ღაპარაკობს, ან ვაზეთს არ კითხულობ,  
ან რადიოს არ უსმენ, ან ტელევიზორი არ  
გიღვას სახლში?!

— არა, წყალობიჩ, დანშვილდი, რა ცვი-  
ლის ფერი დაგებო, ეს ის „ლევია“ არაა, შენ  
რომ გგონია — ცოლი უნდა მოვიყვანო, —  
ჩაიციხა და მხარზე ხელი დაადო.

თავმჯდომარეს ჭერ ეხამუშა ვეშაპას ხელი,  
მერე ბელ შეურიგდა, მხარი გაუჩერა, დაცვა-  
რული შეზღო ცხვირსახოცით შეიმშრალა და  
შეეცითხა:

— მე რაში გამოგადგები?

— ქალი უნდა მოვიტაცო — საპატარძლო  
ფრენით მოიყვება, — რა მაჭვს დასაწუნი?! —  
მაგრამ სახიდდერო და სახიმამრო ღრთომუშ-  
ლი, ბნელი ხალხია და ცოტას ორჭოფობენ.  
შენი დანშარება ის იქნება, რომ ქორწილი უნ-  
და გადამიხადო, კომკავშირული ქორწილი!

— კომკავშირული ქორწილი? მერედა, შენ  
რომელი კომკავშირელი ბრძანდები? — შე-  
ეცითხა თვალგადმოკარკლული თავმჯდომარე და  
დაჯდა.

— ეე, ჩემო წყალობიჩ, შენი არ მიკვირს..

— არაა, აღამიანო, ის ღრო, არა!

— წყალობიჩ, გუფს ნუ გაიტებს, კიდეც და-  
ბრუნდება ის ღრო, ხომ იცი, ღროს ტრიალი  
უყვარს! — უთხრა ნაპომ და სალოკი თითო  
შაერში წრე შემოხაზა.

— ეს, ნაპო, ნაპო, იმ ღროს ვერაფერი და-  
ბრუნებს და არც უნდა დაბრუნდეს, არაფერი  
კარგი მას არ მოუტანია ჩვენთვის, — ჩაილა-  
პარაკა წყალობიჩმა და მაგიდაზე თითები ააკა-  
კუნა.

— კარგი, ბატონო, მე თუ არა ვარ, ჩემი სა-  
ცოლლა კომკავშირელი და, ეგეც რომ არ იყოს,  
ჩვენს პირობა ხომ არ დაგვიწყდა? — ნაპომ  
საუბარს ნირი შეუცვალა.

თავმჯდომარე ერთი ბუნა გარინდული იქდა,  
მერე ხელი ჩაიქნია, წამოდგა, პორტფელს წაე-  
პოტინა და უთხრა:

— კარგი, კარგი, მე მხოლოდ იმ ქალის  
მოტაცებაში არ გამთხვარო და ქორწილი ჩემ-  
ზე იყოს, ჯანნაბს...

ვეშაპამ მხედრული ხალამი აუღო წყალობიჩს  
და კაბინეტიდან გარეთ გამოიჭვიშა.

პირველ დამეს სასიძო ერთ ჭიშკარს მიაღ-  
და.

- ეი, ვერან! — შესძახა.
- ვინა ხარ? — მოისმა სახლიდან ყრუ ხმა.
- აბა, ერთი გამოანათე!
- ჭერ მთვარე ჩამოიდე!
- მშადაა, — ხელი ავაფარე.

კარი გაიღო და სინათლეს კარგა ჩაფსკენილი  
ჩველი გამოყვა.

— ვა, ნაპოს გაუმარჯოს, რაო, მილიცამ  
არ მოვაყუჩა?

— არა, გაუ, ზურაბს! ჭერ კონდიციამდე არ  
ხარ დაუვანილიო.

— შენ შემოდი, კაცო, რა ქუჩიდან მელაპა-  
რაკები?

— არა, მეჩქარება, საქმეზე გამოვიარე. ახალ  
ამბავს გაიგებდი, კოლმეურნეობის ფიზორგა-  
ნიზატორად დამინიშნეს.

— ბიჭოს, მომილოცნია, ალბათ შენს ღიბს  
ეშველება რამე.

— კი, კი, ჯამგირი კაი დამინიშნეს და რა-  
ღაც საკბილოც იქნება ალბათ. ახლა აღარ მე-  
კითხები, რაზე გავრჯილვარ?

— გეკითხები და ყურს გივდებ.

— მაშინა ისე გაჭვს?

— მა სად წავიდილა?

— სუნთქავს?

— ისე რა, ცოტა ბლევრა დაუშინადა, მაგ-  
რამ მაინც არა უშავს.

— ჰოდა, ამ დღეებში რაიონში უნდა წამო-  
ყვე, ხომ იცი, მაგ მაშინაში მეც მიდევს წილი.

— ე, შენ საიდან?

— როგორ თუ საიდან? მე რომ კარვად  
მემუშავა, შენზე მეტი ხორბალი გამეღეწა და  
ის წყუელი მწესუმწირა არ მომეგხო, მაშინ  
წყალობიჩი ხომ მე მომცემდა მაგ მაშინას..

— ჰოოო...

— მთააშ!

— რაიონში რაღა გინდა?

— მე და შენ უნდა წავიდეთ და ცოლი უნ-  
და მომეყვანილო, — ეჭიბი იქნებო.

— მარტო მე და შენ?

— ჰო, უნდა მოვიტაცო და ბევრი რია-რია  
რა საჭიროა?

— აბა, შენა ხარ აი, ახლა ეგლა მაკლია ქა-  
ლლების მოტაცება დავიწყო! — თქვა და პირი  
იბრუნა.

— დაცა, დაცა, სულ ნუ წახდი კაცი —  
ქალთან მოლაპარაკებული ვარ, ცოტას მშობ-  
ლები ბუზღუნებენ და მოტაცება გვინდა გავი-  
თამაშოთ. ხოდა, ხელი გამიმართე, ოდესმე შენც  
ხომ უნდა დაქორწინდე, წინ გაისედე!

— კარგი გოგოა?

— გიტარასავით.

— რა შქვია?

— ზაირა.

— უაბული, ყაბული, რახან ასეა, გაქირზე  
ხომ არ გაგიდგები...

„მოსკვიჩი“ რაიონის ფიზკომიტეტის კანტო-  
რას მიაღდა, მანქანიდან საგანგებოდ გამოპრან-  
ქული ნაპო გადმოვიდა.  
ზურაბი, თანხმად წინასწარ მოლაპარაკებ-  
ამთხანდილ ბაღდაშაქმ  
ზინზაბი

სა, მანქანის ქვეშ შემტრა და ხმის ჩამხმობი მოხსნა — მოტაცებულს, თვალის ასახვევად მაინც, ხომ უნდა ეკივლა და... თადარიგი დაიჭირეს.

სასიძომ ტალანი ყინჩად გაიარა და მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოარიგა ღიმილი, „გაუ“ და „ხომ ხარ მეხვიით?“

მერე სპორტული ინვენტარი გამოიტანა, საბარგულში და უკანა სალონში შეყარა, ზურაბი საჭესთან დასვა, თვალი ჩაუკრა და ისევ ტალანში შებრუნდა.

ამჯერად ფენაკრეფით მიდიოდა. იმ ოთახს რომ მიაღვა, სადაც ზაირა ეგულებოდა, დაფეთებული სახე მიიღო, კარები შეგლიჯა და წამოიძახა:

— არიქა, ჭიქა წყალი, ჩემს შოფერს გული წაუვიდა!

ქალიშვილმა გრაფინს წამოავლო ხელი, ვეშაპს გადააწოლა და უკან დაედევნა.

გავიგრებული ზაირა წინა, ღია სალონში შევარდა. საქეზე დამხობილ ზურაბს ეცა და... ნაპომ გარედან კარი მიუკეტა. თავად უკან შეგორდა, ინვენტარი მიაჩოჩა, დაჯდა და მანქანა ადგილს მოსწყდა.

გრუხუნ-გრუხუნით მიქროდა „მოსკვიჩი“ და შავი სმოკის კულს მიათრევდა.

— მგონი მართლა მომიტაცეს ამ დამთხვეულებმა, ვი დედაჩემის გულსა და მამაჩემის წნევას! — გაუღღა ზაირას.

გზის ორივე მხარეს, კოპწია კალაპოტში, წყალი მიჩუხჩუხებდა. მდინარეებზე, მანძილჩაგდებით, ეზოს, ჭიშკრებთან, მორკალული ბეტონის ბოგირები გადაეუნაგირათ.

მზე აღმა მიგორავდა, დედამიწაზე სვატი დედლებოდა, ჩრდილი ბატარავდებოდა და ერთი ციდა ხლებოდა.

ზაირამ შოფერს გადასედა: დაბერილ, დამრგვალეზულ ნესტობთან, აქით და იქით, ტირესავით მაწაწკინებდა შავი უღვამეები გასწოლოდა, თმა ბოქსურად შეეკრიბა, თვალის ფოსოებში ორი ანდამატი უღვივოდა, ტუჩკილოებში ღიმილი ჩასაფრებოდა, მაღალი შუბლი ტრამალივით გადაშლოდა. საჭე ხელში მოეგდო, წაღმა-უკუღმა ატრიალებდა და შიშველ მკლავებზე კუნთები რცხილის დვლერჭივით ეგრისებოდა. მერე ნაპოზე გადაიტანა მწერა: ალაგ თეთრად, ალად ყვითლად დახარვეჭებულ სახეზე ოვლი წურწურით ჩამოსდიოდა. ცალ ხელში გრაფინი შერჩენოდა, მანქანა წარამარა ახტუნებდა, წყალი მუხლისთავებზე ეღვრებოდა. კისერი მიედრიცა, მხესუმშირას აქნატუნებდა და კილს ფურხით ღია სარკმელიდან გარეთ ყრიდა.

— რა გაცინებს, შე სასიკვდილდე, იკივლე, მანქანა გაჩერებინე, კარი გახდე, გადახტი და ცა და ქვეყანა შეყარე! — ჩასძახა იღუმალმა ხმამ ზაირას.

— კი, აბა შენი თავის გახეთქამ, არც ვიკი-

ღებ და არც გადახტომით მრბიტეს კინჩს, იმ დეგენერატ რეპეტიტორთან ყაალს ყველაფერი მირჩევნა“, — უბასუხა ორეულს, ზურაბისაკენ გაქცა თვალი და საიმედოდ მოკალათდა.

გაბუტულეობით ხმას არ იღებდნენ.

— ეს რა ბიყუმებს გადავეყარე. აბა, ერთი ჩემკენ მოხედეთ: ვინა ხართ? რა გქვიათ? საით მიმაქროლებთ? — შეუტია ზაირამ.

რაიონის ცენტრს გამოერიდნენ, მანქანამ სიჩქარეს უკლო. შოფერმა საპატარძლოს გადასვლა და გაუღიმა.

— მე ზურაბი მქვია, მაგას — ნაპო.

— ნაპოლეონი! — უჩნიდან შეუსწორა ვეშაპამ.

— დიდი ბედნაა, შემდეგ?

— შემდეგ, თქვენ მისი მოტაცებული და საცოლე ხართ.

მერე თავისთვის გაიფიქრა:

„— ისე მეკითხება, თითქმის არაფერი იცოდებს, ვიცო, შევლოხა, რა მამა აბრამის ბატაკნიც ბრძანდები!

— თქვენ?

— მე ეჩიბად მოგდევთ.

— გააჩერე მანქანა! — წამოიფოფრა საცოლე და ხელი საქისაკენ წაიღო.

ნაპომ გომბეშოს ფეხივით სველი ტორი ჩასჭიდა სათუთ მაჯას, ქალიშვილი ადგილზე დასვა და ზურაბს გაღახედა:

— გაუტე!

ზაირამ ვეშაპას ხელი ცივად მოიშორა და, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, კვლავ სავარძელზე მოეშვა.

„მოსკვიჩი“ ტოკვა-ტოკვით მიბოგინობდა.

საპატარძლოს გულამოჭირიდი, მოკლესახელოებანი, გაზაფხულივით მოჩითული კაბა ეცვა: ვარდ-ყვავილებს გაშლილ ბუტკოებზე ფუტკარი დასეოდა, მხრებამრეხილი დასკუბებოდნენ, ნესტავდნენ და ბუთილბუთილით — ღმერთი რჭული! — ნექტარს აგროვებდნენ.

...მანქანა სვდის გაყოლებით, ფრიალო კლდეზე აწიღულ აღმართს აჭყვა. აქ გზა აღრე ღარტაფში გადიოდა, წვიმამი და თოვლში მოძრაობა ფერსდებოდა და რამდენიმე უზარმაზარი სოფელი, თუ საქაპანო ტრანსპორტს არ მივიღებთ მხედელეობაში, რაიონის ცენტრს თვეობით მოწყდებოდა სოფლზე. ომი რომ სახადივით მოხსნა გლენკაცობამ და ძალ-ღონე მოიკრიბა, რკინის სოფლებით, ხელის ბურღლებით, ამონალით, ძალაყინითა და წერაქვით შეეცხია სტრესსა და ციცაბოებს ინჟინრების მიერ ვატმანის ქალაქდზე გამოხატული ბლაგვკუთსა სამკუთხედი გამოანგრია, კალთა შეაქრა და ხუთი-ექვსი მეტრი სიფართოს თარო გამოკვეთა.

ახლა თაროდან ქვევით რომ ჩაგებულა. სრამს თვალს ვერ ჩააწვდენდით.

ამ თარო-გზის გადასაბრუნებელში ქანობი ნამეტნავად დიდი იყო, აქ გადასვლა ბარგის



ვირსაც კი უჭირდა და, აბა, რა გასაკვირია, თუ ჩვენი მგზავრების მოძველებული მანქანა პირველი სიჩქარით, ქშენითა და ქშუილით ძლივს მიბობდავდა...

...უსცხად მანქანა შედგა, ბოლო გვერდზე მოქინა და ხევისაკენ გადაყირავდა.

ვეშაპამ თვალეზი დაჰქიტა და ვერხვით აკანკალდა.

შოფერი ხელის მუხრუქს ჩაფრინდა.

მანქანის ერთ უკანა ბორბალს მორგვის ქანკიკები დასწყვეტოდა, ღერძიდან გამომძვრალიყო და თავქვე, თარო-თარო მიგორავდა. ინერცია განავითარა, სიჩქარეს უმატა, გზაზე ამოყუნტულ ქვას დაეტაკა, მიმართულეზა შეიცვალა და ხევში ხტუნვა-ხტუნვით ჩაგორდა. ერთი გზობა ასე იგორა, მერე წონსწორობა დაპკარგა, დაეცა, დასრილდა და თვალს მიეფარა.

— საგორავი! — იყვირა ზურაბმა.

ნაპო მანქანიდან გადავიდა, ქეები მოაძუნძულა და თვლებს შეუწყო.

— ზაპასი არ გაქვს? — შეეკითხა ცოცხალმკვდარი ვეპაშა ზურაბს.

— საიდან?

— მა რა ჩემი ფხვები გაქვს?

— არა მაქვს და ახლა?

— ჯანდაბას შენი თავი, რა ვქნათ ახლა ჩვენ?

— უნდა ამოვიტანოთ, იბღლად მარავი ქანები და ქანტიკები თან მაქვს, აი მანდ, უკან, საბარგულში ჰყრია.

— თუ მეტი გზა არაა წავიდეთ, რადას ვუტკლით?

— მე ვერ ჩამოვალ, მანქანას ვერ მივატოვებ და თან... — თვალი ჩაუტრა და ზაირაზე მიანინშა.

— ეს რა ხათაბლას გადამკიდა ამ ჩემანლაში! — კბილები გააკრაქუნა ნაპომ, შებრუნდა და თავქვე დაუყუცა.

— ცუდ ღროს გიმუხთლათ თქვენმა ფაქიზომ, — ჩაილაპარაკა ზაირამ და დამცინავად გადახედა ზურაბს.

— რას იზამ, ერთ ღროს თქვენსავით ლამაზი და გაფურჩქნილი იყო, ახლა უკვე თავის ღრო მოჭამა.

— არშიყოხას თავი დაანებეთ, ეჯიბო, სიძე-ბატონი გაგიგებთ და ყურს აგიწევს... ისე კი, ხელი უნდა გამოიღოთ და პრიზი კვლავ უნდა მოიპოვოთ.

— საიდან მიცნობთ? — შეცბა ზურაბი.

— გიცნობთ, გიცნობთ, რამდენჯერმე მინახავს თქვენს ფოტო გაზეთებში, სულ ერთნაირ პოლაში: თავი გამოგიყვიათ კომბაინიდან და ხან იცინით და ხან იღიმებით, უკან საბარგო მანქანა მოდევით და ძარას სორბლის ნაკლით ავსებთ.

— ჰმ, სულ ერთი და იგივე ფოტორეპორტიორი იყო — ათჯერ ვუთხარი, კაცო, რა გა-

მაცილებს, სული კბილით მიჭირავს-მეთქი. ყუარიც არ გააბარტყუნა — ჩემი აპარატის ობიექტივი სხვანაირ სიტუაციას ვერ ეგუებოა... ახლა ხომ ხედავთ, რა მახეში გამაბა იმ ღმერთბაღლმა.

— რა იყო?

— რა იყო და, იმ სულელური სიცილის გამოხიზობით გამომიცანით კიდეც და, თქვენ რომ მოლაპარაკებულნი არ იყოთ, ისლა დამრჩენია — პირდაპირ მილიციაში გამოვცხადდე, ხელი ავუწიო და ჩავბარდე: ასე და ასე, უფროსო, მავანი ქალის მოტაცებაში წილი მიდევს-მეთქი.

— ვინ თქვენ, რა მოლაპარაკება?

— თქვენი და ნაპოს მოლაპარაკება...

— ?!

— საპატარძლოსთან მოთათბირებული ვარ, ეს მოტაცება უბრალოდ მისი მშობლების თვალის ასახვევად არის გამიზნულიო.

— მაგ ჩანჩურას ჩაგოდრებული ფიგურა თუ არა, საცაღფეხო ბილიკვლავც რომ შემხვედროლა, მაინც ვერ ვიცნობდი და მხარს ავუქცევდი... ეგეც რომ არა, ნუთუ ფიქრობთ, ბედს შევეუბრადი და ნაპოს ცოლობას ვაპირებ?

— რა ვიცო... — თქვა უმაწვილმა და თავი ჩაქინდრა.

— დაბღური ყოფილხართ... — ჩაილაპარაკა ზაირამ და გვერდზე მიიხედა.

მერე, კარგა ხანი რომ გავიდა და პაუზას სიჩუმე ყელში ამოუვიდა, თავი ასწიეს, ერთმანეთს შეხედეს თვალეზიში...

— ზური...

— არაფერი მთხოვო, შენი ჭირიმე, მაინც ვერ გავიშვებ...

— ვინ გეხვეწება?

ზურაბმა პირი დაადო, რაღაც უნდა ეპასუხნა, მაგრამ ამ ღროს ქოშინი მოისმა — ვეშაპა საბურავს მოაგორებდა, დაოფლილ სახეზე მტვერი დაფენოდა, პიჯაკისა და შარვლის წინამოზე საბურავის ოკრობოკრო ანაბეჭდი აჩნდა...

დამხვედურებმა სიცილი ძლივს შეიკავეს...

...მანქანა თავდაღმართში ფაციფუცით გარბოდა.

— გაუტბე ვერან, გაუტბე, — ვაგვიანებთ უკვე, თან კიდეც ზაირას რა ხანია პირში ლუქმა არ ჩახვლია, სოლო იქ, რომ იცოდეთ რა გულუხვი საქორწილო სუფრა გველოდება — აჩქარებდა ვეშაპა შოფერს და მწვეუმზირის კილით ავსებდა იქაურობას.

როგორც იქნა, ზურაბის სახლამდე მიადწიეს, ახლა ორი-სამი კილომეტრილა რჩებოდა ნაპოს ეზომდე, სადაც ღია ცის ქვეშ, ბუმბერაში კაკ-

ავთანდილ ბაღლაშვიძე

ზიზგაბდი

ლის ხის ჩრდილში, მართლაც მდიდრული სუფრა გაეშალათ...

...ეზოში ქვეყნის ხალხს მოეყარა თავი. წყალობიან მატერიალური წახალისების ფონდიდან აქტივისტებზე კარგა ბლომა პრემია გაეწერა და ამ ფულით თავსაყრელად შეეძინათ სასმელი და სურსათ-სანოვაგე. თანაც მედლიდ-მე-ზურნების მთელი ჯგერო მოეღალათ და პატიოსნად გარიგებოდნენ: თქვენ ოდნედი თითების ტყაპატყუბს, სორხის ხრიალსა და ლოყების ბერვას ნუ დაგვამადლით და თითო კაცზე ათათი შრომადღე ალალი და უსაყვედურო იყო-სო.

ვის არ ნახავდით აქ: წყალობიანი ბოლთას ცემდა და თვალური გზისკენ ჰქონდა მიპყრობილი. მოადგილე მერამდენეჭერ უტრიალებდა სუფრას — არაფერი აკლდეს და ნაპოლეონ ბატონი არ გაგვინაწყენდესო, გამგე — გაგებულნი კაციაო და — სამზარეულოსა და დვინის საქმეს განაგებდა. სიფრფვანა მდივანი სამდადეოდ გაემწესებინათ...

სუფრის თავში, აქეთ და იქით, ორი მაგიდა იდგა. ერთზე — შავად ბზინავდნენ ვაზივით დაგრეხილი ყანწები და სარქვენად ემზადებოდნენ, მეორეზე — საჩუქრად მისართმევი, ლეჩაქჩამოფარებული ფერადი ტელევიზორი მოეთავსებინათ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად იყო, ნეფედლოფალიდა აკლდათ!..

— გააჩერე, ვერან, საპონი და სასოცი გამო-მიტანე, წყაროზე გადავალ და ხელ-პირს დავიბან, ასე გათხვრილი ხომ არ უნდა მიმიყვანო იმ ხალხთან? — თქვა ნაპომ და წელი წამოწია.

მანქანა ვაჩერდა.

ეზოში ახლანას შესულმა შავოსანმა დედაკაცმა მხრიდან თოხი ჩამოიღო, საბძელს მიაყუდა და გარსემომხვეულ ქათმებსა და ინლაურებს აუჭმია.

— დედაშენია? — ჩუმად შეეკითხა ზაირა ზურაბს.

— დიას!

— ვის გლოვობს?

— აგერ, თხუთმეტი წელია მამა გარდა-მეცვალა, რამდენი არ ვთხოვე და ვემუდარე, მაგრამ შავები არა და არ გაიხანა.

ნაპო და ზურაბი მანქანიდან ჩამოვიდნენ.

— ხომ მშველობით დაბრუნდი, შვილო? — ჭიშკარს მოადგა და შეეკითხა დედა ზურაბს.

— კი დედი, კი, ფიჭრი ნუ გაქვს, ერთი ნაპოს მიმიხედე მხოლოდ!

ქალმა ახლა დაინახა ნაპო და შეჰკვივლა:

— ამას რას სედავს ჩემი თვალები, მზეს ისე-დაც არ აბნელებდი და ახლა ხომ მთელ ქვეყანას დააფრთხობ!

— აბა, აბა, ძალო, ბევრს ნუ ბლანდავ. საპონი და პირსასოცი გამომირბენინე.

დედაკაცი სახლში შევიდა...

ვეშაპამ გზა გადაჭრა, გორზე გადავიდა და წყაროსაკენ აიღო გეზი.

ზურაბმა მანქანას შემოუარა, კარი გამოაღო და ზაირა ჩამოიყვანა.

დედას თვალები გაუფართოვდა, ალაგას გადმოეგო, გულში ჩაიკრა ზაირა და ეზოში შეუძღვა.

— ეს რა ნაინატრი, ვაჩნძიანთ ნატოსავით შახიანი ქალი მომგვარე, შვილო, შენ დაურჩი დედაშენს.

— გაჩუმდი, დედი, ხალხი არ შეყარო, ეს შენი სარძლო კი არადა, ვეშაპას მოტაცებუ-ლია, — უთხრა ზურაბმა დედას, გაწითლა და ზაირას გადახედა.

— რა ვეშაპა, რის ვეშაპა?! — აწრიალდა დედაკაცი.

— არა, ქალბატონო, მე ვეშაპას გამყოლი არა ვარ... — ჩილიაპარაკა ზაირამ.

— ჰო, შვილო, ჰო, მე რას მომატყუებთ. თქვენ ისეთი თვალებით უცქერით ერთმანეთს.. მე და მამაშენი, — ზურაბს მიუბრუნდა, — სულ თვალებით ვსაუბრობდით, ერთი ხანი ლაპარაკსაც კი გადავიჩვიეთ...

— ხომ გინდა, შვილო, ჩემი რძლობა? — კვლავ ზაირას მიმართა.

ზაირამ მხრები აიწურა.

თვალდ დახარა.

ამაღლდა.

დედამ დეშაშრული ხელებით ტაში შემოკრა. ორთავეს მოგვცა; ჯერ რძალი გადაკოცა, მე-რე შვილი და... შავები შემოიხია.

ზურაბს უბიძგა და დაუტატანა:

— აბა, ჩქარა, რას დაბდურობ, მანქანაში ჩაისვი და საბჭოსაკენ გააქანე!

...მანქანამ მოკურცხლა!..

დედაკაცმა სახლში შეირბინა, შემოხეული ფლახი გაიხია, კომოდოდან თხუთმეტი წლის წინანდელი კაბა ამოიღო, გაფერთხა, გადაიკვა და გარეთ გამოვარდა:

— მეზობლებო, სახლიკაცებო, გადმოდიეთ. ჩემმა ობლობაში გამოწრდილმა ბიჭმა ნატვრა ამისრულა, სახელდახელო ქორწილი უნდა გადავუხადო, მომემხარეთ, მომეშველეთ, ღვთის-მოცემული ყველაფერი მომეძებნება...

მეზობლები მოცივდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და უძლავ საქმეზე გარბოდნენ...

ვიდაცებმა „ვოლგა“ მოკვილვეს და ნაპო იკითხეს.

— ნაპო, აი იქით, წყაროზე გადავიდა სიფათის მოსაბანადო, — უპასუხეს.

მანქანა ნაჩვენებ მხარეს გაჰყვა, კარგა მანძილი მოიტოვა, წყაროს მიადგა და დამუხრუჭდა. მტვერი გაიშალა და ფაფარივით წამოეფარათ.

უკანა სალონიდან, უკანაით, ძლივს გამო-  
ეტია რეპეტიტორი. წელში გაიმართა, სული  
მოიბრუნა, „საკურორტოს“ კოლოფი გახსნა,  
პაპიროსის ჰილფს ყვითელი „ანტინიკოტინი“  
ჩაჩურთა, ხანთებელას ცერი ჩამოკრა, — რო-  
მელიდაც ინგლისური ჰიმნი დაიდგარა, — და  
ბოლოს რგოლები ვირის ტლინკებოვით აურევინა.  
წინა კარებიდან „მისი მშობლები“ ჩამობრ-  
ძანდნენ.

დღეამ კაბა შეისწორა, მოზრდილი ხელჩანთი-  
დან დაკეცილი, ფერადი ქოლგა ამოიღო და გა-  
შალა. მერე ხელის ფათურით ჭიჭლა მოიძია,  
საცობი ააცალა. ნებზე გადმოიპირქვევა და ხან-  
გრძლივი მოქმედების ნიტროგლიცერინის აბი  
ჩაუღება.

მამამ ჰერ კიდევ ვიშერი, მაგრამ ძალუმად  
გამეჩნებრებული თმა ვადავიარცხნა, დანადვლის-  
ფერებუული კეფა მოისრისა და კისერი ციბრუ-  
ტივით ატრიალა.

ნაპოს იდაყვზე და მუხლისთავეებზე გამორც-  
ხილი კოსტიუმი მოლზე გაეფინა და პირს  
იხანდა.

ვეშაპას ფერმა გადაჰკრა, გული აუფანქცალ-  
და, მაგრამ ჰერ კიდევ იმედს არ კარგავდა:  
ეგებ წყურვილის მოსაკლავად შეჩერდნენ და  
ჩემი მღვერები არ გამოდგნენ.

— ნაპო შენ ხარ? — შეეკითხა დედა.

— დიას, ნაპოლეონი გახლავართ.

— ერთი ამ ბონაპარტეს დამიხედეთ! — თქვა  
მამამ და ნაპოსაკენ გაიწია.

— ხომ მომეცი პირობა, არაფერში არ ჩა-  
ვერევიო, შენი ჰიბერტონია ამის ამტანია? —  
უთხრა ცოლმა ქმარს, უკან დაახევინა და ნაპოს  
მიმართა, — ზაირა სადაა?

— ვინ ზაირა? — აღიანძა დამხვდურით.

— თავს ნუ იკატუნებ, შენ პირდაუბანელო  
ხაფრთხობელავ, ჩქარა მიხასუნე: სად ვადამა-  
ლე ჩემი ქალიშვილი?! — მიაყვირა ქალმა და  
ქოლგა მოუღერა.

— ვადასამალი რა მჭირდა, ვანა მართლა  
მოვიტაცე, ნებით მოისურვა... ამოდენა ვაზე  
ერთხელაც არ დაუვილია.

— რა თქვი? შენ ვახდი საკვილელოდ, თუ მა-  
ინცდამაინც ვისმეზე გაყოლა უნდოდა, დამ-  
თხვეულს არ გამოგვეგნებოდა, კაცის სისილა  
გაწუღა ქვეყანაზე?

...გინება, ძაგება და ლანძღვა-თრევა დღეხანს  
გაგრძელდა.

ამხელა ვეშაპა თანდათან დაპატარავდა და  
სასიდედროს შემოკრეგებს ძლივს იგერიებდა.

მამა შორიახლოს იდგა, დამჭიდული ხელებით  
ლოინჯი შემოეყარა და ცოლს ამშვილებდა:

— წყნარად, წყნარად, ხომ იცო რა უკომპო-  
ზისოა სტენოკარდია?

— რა პერსპექტიული ამიტურიენტი მოგვტა-  
ცა ამ არამხადამ, წელს ნაღდში მოეწყობოდა! —

იხანდა რეპეტიტორი და მუშუტით ოფლს იწ-  
მენდა.

— ჩქარა ზაირასთან მიგვეყვანე, შენ ვირო,  
შენა — კაპასობდა ქალი და სტენოკარდიას  
დალალ აბებს მიართმევდა.

ნაპომ მხოლოდ შარვალში გაუყარა ფეხი, არც  
პირის დაბანა აცალეს, არც ზედა ტანსაცმელის  
ჩაცმა და... წინ გაიგდეს.

ზურაბის ეწოში ხაღხი ჯარასავით ტრია-  
ლებდა.

„მოსკვიჩი“ არსად ჩანდა.

ნაპოს რაღაც ცუდად ენიშნა, გაშრა.

— ზურაბი რა იქნა? ზაირა სადაა? — საერ-  
ო მისამართით იკითხა.

პასუხის გაცემა არავინ მოიწადინა, წინ და  
უკან დადიოდნენ, დარბოდნენ და დაფაცუ-  
რობდნენ.

ვეშაპამ ზედა ტანსაცმელი ღობეზე მიაგდო,  
ერთი ბიჭი გამოიჭირა და მსრებში ჩასჭილა  
ტორები.

— ზურაბი და ზაირა სადაა-მეთქი?! ბიჭი და-  
იშანჯა, ჯამ-ჭურჭელი ხელიდან გაუცვივდა, ქვე-  
მოდან ახელა და უთხრა:

— საბჭოში წავიდნენ ხელის მოსაწერად.

გაფთრებულმა და დორბლმორეულმა ვეშა-  
პამ ბიქს ხელი ჰკრა და მიწაზე დაანარცხა.

— მე მათ ვაჩვენებ სერის, წყალბოჩი ციმა-  
ბირს აქეთ დაატოვებინებს ორთავებს.

— რაო, რა მოხდაო?! — სულ შეიშალნენ  
მღვერები.

— რაო და, თქვენს კახას სხვასთან მოუწე-  
რია ხელი.

ატყდა ერთი აღიაქოთი და მაცა-მაცა.

აქეთ ნაპო იწვედა, იქით — „მისი მშობლები“  
და რეპეტიტორი, მაგრამ, აბა, სოფელს ვინ  
შეეკიდება, — დაესივნენ, დააკავეს და და-  
აოკეს...



P. S. ლიტერატურას რომ შეეყენებული ჩახმახი-  
ვით მრისხანე წესი და კანონი ჰქონდეს, წინამ-  
დებარე მოთხრობა სწორედ აქედან, პოსტსკრი-  
პტუმიდან უნდა დამეწყოს...

...ამას წინათ ერთმა დიდმა კოლმეურნეობამ,  
ალოზბას რომ მორჩა და სოცუმეჯობის შედე-  
გები შეაჯამა, გამარჯვებულ კომპანიერს, ზურაბ  
სულაბერძენს უკვე მერევერ, პირველი პრიზი  
— ავტომანქანა „უიგული“ მიაკუთვნა...

სახელდასწლოდ მივიღინების საბუთები გა-  
მიმზადეს, ფოტოაპარატი ამკიდეს, ავტობუსში  
ჩამსვეს და ხელი დამიქნეს...

რაიკომის მდივანი, ჰერ კიდევ ახალგაზრდა,  
საშუალო სიმაღლის, პირხმელი, კუნთებდაყრი-

---

ამთანადილ პალდავაპემ  
ზინგზაბი



ლი, შუბლის შეყოლებით მელიტშეპარებული  
კაცი, შუა კაბინეტში შემოსვდა.

მას შორიახლოს ადრეც ვიცნობდი, დედა-  
ქალაქის ერთ-ერთ რაიკომში განყოფილების  
გამგელ მუშაობდა.

რწმუნება გადავეცი, მივლინების მიზანი გა-  
ვაცანი.

— მრავალდარგოვანი, მყარ ბაზაზე დაყრ-  
დნობილი, ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექ-  
ტებული კოლმეურნეობა... ზურაბი კი ჭკუა-  
დამჭდარი, საქმიანი, მუყაითი ჭველია... კალო  
გავეღწეო, მაგან უნდა დავიტარებო: პრიცი  
მოიპოვა და ვაჟიშვილიც შეეძინა, — მითხრა,  
ილაყვევ ხელი მომიკიდა, მაგიდასთან მიმიყვანა  
და სკამზე დამსვა.

მალა, საჩინო ადგილზე, ლენინის დიდი  
პორტრეტი ეკიდა. კედლის გასწვრივ გრესილი  
სკამები ჩამოელაგათ. მაგიდის მარცხენა მხარეს,  
სასკოლო ჩათასავით პატარა, ყვითელი დერჰან-  
ტინის პორტრეტი იდო, შუაში — გადასაფურ-  
ცლი კალენდარი და რამდენიმე წიგნი, მარცხ-  
ნივ-ტელეფონები და წყლიანი გრაფინი. თეთრი  
ფარდებით ჩამოფარებული სარკმლის რაფებზე  
ქოთნის მცენარეები ხასხასებდნენ.

მე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური  
კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავა-  
ლი წითელი დროშით რაიონის დაჯილდოება  
მივულოცე...

— არა, შედეგები არა გვაქვს ცული: მარც-  
ვლეულის, სორცის, ყველისა და მატყლის  
ხუთწლიანი გეგმა საკმაო გადაჭარბებით შევას-  
რულეთ. ყურძნის დამზადების საქმე კი, საჭოჭ-  
მანა... მოვლა-პატრონობას არ ვაკლებთ, მოს-  
ხმითაც, იცოცხლეთ, კარგად ისხამს, ვაჟს ვერ  
დავემღურებთ, მაგრამ... მე, აგერ მერამდენე  
წელია, ამ რაიონში ვმუშაობ და, დაუსეტყვა-  
ვად ერთხელაც არ გადავრჩენილვართ... მართა-  
ლია, სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიება ტარ-  
დება, — და კარგა ბლომა სახელმწიფო სახს-  
რებიც იხარჯება, — მაგრამ უფრო რადიკალუ-  
რი ზომებია საჭირო, სხვა გეზი უნდა ავიღოთ  
და სხვა გზას უნდა გავჰყვით...

ბევრი აქეთურ-იქეთური არ გავციბია, თავ-  
საყრელი დრო არც ერთს არ გვაქონდა... თანაც  
კიდევ, — ტანმორჩილი, ტექნიკური შიდანი  
ქალი შემოვიდა, კარები მიხურა, მიეყუდა და  
მოახსენა: — შოფერი მოვიდა და გელოდებათო.  
წამოვდექი.

წამოვდექი.  
წამოვდექი.

— გადაუდებელ საქმეზე მივიღივარო, — მო-  
მიბოლოშა, კარგი მგზავრობა მისურვა, ზღურ-  
ბლამდე მიმაცილა და მეგზური დამამგზავრა.

...იმ საღამოს ვილამ გამომიშვა, — ძეობა  
გვაქვს და დავგვსწართო, ნუ გავგაწბილებთო.  
დღე მიიწურა... ვარდ-ყვავილებით მოხატულ

ეროში მწუხრი და დამაშვრალი ხალხი ერთად  
შემოვიდნენ.

დარბაზი სტუმრებით აივსო.

გაშლილ სუფრასთან მივვიწყეთ. თავპატა-  
ვი არავის დაუდვია...

გაბადრულმა, ჭერ ისევ ხანგაუხუნარმა ბებია  
ბუნჩულა, სპეც საფენსაცვალში დაშარტული  
შვილიშვილი შემოიყვანა და ჰაერში შეათამაშა.  
ოთახში მსუყე რძის თეთრი სუნი დაიდვარა.

— გაგზარდოს!

— გიბედნიეროს!

— გიმრავლოს! — შემოსძახეს აქეთ-იქიდან  
და ზოგი ფეხზე ადგა, ზოგმა ტაში შემოკრა,  
ზოგმა სავსე ჭიქა მალლა ასწია.

ხელიხელ საგოგამნებისადმი განსაკუთრებით  
ქალები იჩენდნენ დიდ ინტერესს — ნიკაპზე  
სალო თოს აქერდნენ და სულ „აღუ-აღუა“  
და „მწუ-მწუს“ ეძაღდნენ.

ბავშვი მთელი ტანით ტოკავდა, თეთრეუ-  
ლის დაფხრქვას და ხელფეხის განთავისუფლე-  
ბას ლამობდა.

ბებია შვილიშვილს წამდაუწუმ გულში იკ-  
რავდა და ხმამალლა დაღადებდა:

— პირწავარდნილი პაპამისია, — ისეთივე  
ბუხუნა ხმა, ისეთივე მონუსხული მწერა  
ისეთივე დარდიმანდული ჩაღიმება...

ზაირა და ზურაბი მაგიდასთან არ დამსხდარ-  
რან, უხმოდ, თვალებით სჯა-ზაასობდნენ, ფეხ  
ჩაუხრელად ტრაილებდნენ და სტუმრებს მას-  
პინძლობდნენ.

ღვინოს მაინცდამაინც არ ვტკანებოდით და  
არც ბოლოლოვსავით დავმბაღვართ, მაგრამ  
ცოტ-ცოტა მაინც შეგვიყოლია დალოცვილმა  
სითხემ და ლაპარაკის სადერდელი აგვიშალა.  
სოფლის ავანჩავანიო, ასავალ-დასავალიო, ამ  
მთისა და იმ ბარისაო...

ერთი სიტყვით ის, რაც ასე თუ ისე, რო-  
გორც შევცეით, ზევით მოგანსენით...

სოლო, შემდეგ დატრაილებული ამბავი ბო-  
ლო სათქმელად შემოვიანახე:

...მოადგილე რომ გამგეობიდან გამოუბანდუ-  
რებიათ, უკანალზე ხელეშემოწყობილი, სამსა-  
ხურიდან დათხოვილ მეორე ცოლსაც ვასცი-  
ლებია: მისი პენსიის 120 მანეთი მე ვჭამო თუ  
მან ყლაპოსო?! ახლა სოფელ-სოფელ დადის.  
ჩივიან ღერღვს დაძებებს, ფრთა უნდა შეარჩი-  
ოს და წერად დაჭდესო...

...ნაპოს ფორმის ტანსაცმელისათვის მაღაზია-  
ში ფული გადაურიცხავს, იქიდან საქონლის მა-  
გივრად ნაღდი გამოუტანია... ამას მოჰყოლია  
სხვადასხვა ეგოო, სხვადასხვა იგოო, და, შენ  
ხარ ჩემი ბატონი, ვირის აბანოში მიუბრძანე-  
ბიათ.

...კალოს გამგე-მეცნიერს რა ბედი ეწია, ზუს-  
ტად არავინ იცის, — ლაპარაკით კი ასე ლაპა-  
რაკობენ: ქალაქისაკენ გასწია სამეცნიერო საქ-  
მეების საქნელადო...

...ზონის კორექტორდენტი პენსიაზე გასულია, რომელიდაც არტელში ვანტერად მიუღიათ, მაგრამ პროფინისათვის, ნურას უკაცრავად, არ უღალატნია: კედლის გაწეობის რედაქციის წევრად მოწყობილია...

...ფორესათვის კვლავ ბრიგადირობა შეუთავაზებიათ, მაგრამ არ დაყაბულდებულა — დროული კაცი ვარ, თავრობნობის ყაველი გამივიდაო და, სარქლად გამწესებულა...

...რეპეტიტორს ერთ მშვენიერ დღეს, სხვის პურმარილზე, ჩვეულებისამებრ, მსუცელი გადმოუბრუნებია, შინ ძლივს წაბანცალდებულა, ლოგინზე გაუხდელი გაშლართულა და ყალიონი მიუყუდებია... საწოლთან იმპორტული საღებავით შედებილი კედელი სულ დაუფხაქნია... ექიმებს ვაგამი ასე უტრიალებიათ, ისე უტრიალებიათ, შუბლზე თითი მიუღვიათ და, ეგრე უთქვამთ: ერთი ვინმე სულეიერი რომ ჰყოლოდა და გადაებრუნებინა, გადარჩებოდა... მიცვალბულის დამარხვა საყოფაცხოვრებო მომხასურების კანტორისათვის დაუფალებიათ. მეზარედ, დამტირებლად და გამპატოონებლად კი ერთადერთი შოასანი ადამიანი მიჰყვებოდა, — აი ის ქალი, მთელი სიცოცხლე მასზე უიღბლოდ შეყვარებული რომ იყო...

...რეპეტიტორისათვის რაიონში პირველი მეცვარეობის კომპლექსის მშენებლობა ჩაუბარებიათ და დღითა და ღამით ერთ გაწამაწაიში ყოფილა; აქეთ კიდევ, შედონებული დედამისი კულში დასდევს და ლამისაა ხატზე გადასცესო: დაოჯანდი, შე კაი ადამიანო, რა ჩემი გულის განთქვასა და მეორედ მოსვლას უცდი, მავან და მავან ქალიშვილებს, ავ თვალს რომ არ დანახებთან, ძილი გაუტყდათ და ცვილივით დნებთან...

...ფარგასავით სიფრიფანა მდივანი ქალი — საკვებმომპოვებელთა ბრიგადის ბრიგადირად დაუნიშნავთ, ბრენენტის კურტაკი და ქრიზის ჩექმები მოურგია, მინდვრის სუფთა ჰაერი მოხდენია, სიცოცხლის ფერი დადებია და, ახლა აღერებულ მექანიზატორებს ქიშობა ჰქონიათ, — არა ჩემი სადელაკაცოა და არა ჩემიო.

...ზაირა ახალ გამგეობას შესჩენია, — მეკურდღლეობის ფერმა შეუქმნიათ, იქ ბრიგადირად უმუშავანია. ამბობენ ფერმა რენტაბელურია და დღითი დღე ფართოდებაო.

...ზურაბი... თუმცა ზურაბის შესახებ რა უნდა დავუმატო, — ეს გაწეთიო, ეს რადიოო, ეს ტელევიზორიო...

...„მის მშობლებთან“ ვინ არ მისულა, ვის არ

უთხოვია, თავად ზაირაც და ზურაბიც რამდენჯერღ სლებიათ, მაგრამ ამაოდ, გაჭიქებულან: ჯერ ერთი, სიძის გვარი არ უღერს კეთილშობილურადო, მეორე — დიპლომები სადაო? მესამე, მეორედან გამომდინარე, მაგათ პურს სულ მიწის გემო და ოვლის სუნი ექნება და ასეთ სიძებატონსა და დედისერთა ქალიშვილს ვინ რა თავში იხლისო...

ზაირას მოთმინების ფილა ავსებია და ამდენი ხვეწნა-მოდარის შემდეგ რომ არაფერი გამოსულა, ხელი ჩაუქნევია. მაგრამ აი, ვაჟიშვილი შექენია და დადონებულა: ეს რა ტანჯვა და სიხარული ყოფილა შვილიო... სულში იძვრენდა მკერდზე მიტმანნილ პირმშოს, — დარილი რომ პირში ჩადო, ფაფუკი ხელებით ძუძუს რომ ჩაფრენოდა და ფეხებს რომ უღარდელად ასმარტალებდა... სულში იძვრენდა პირმშოს, დედა და თვისი ჩვილობა წარმოუდგებოდა თვალწინ და ყელში ცრემლი ებჭინებოდა... უყურებდა დედამთილი რძალს, იწვოდა მისი საცოდაობით და აიძვებდა: — ნუ შვილო, დარდს ნუ ჩაიბუდებ გულში, მოსწყინდებიათ იმ ეშმაკის ცხენზე ჯდომა და ჩამოქვეითდებიან, აი ნახე თუ არ ჩამოქვეითდნენო...

...დიმიტრი წყალობიჩი თავმჯდომარეობიდან გადაურჩევიათ, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ჩამოურთმევიათ და საქმე პროკურატურისათვის გადაუციათ. ყუმბარასავით გავარდნილა ეს ამბავი და მაშინვე ჩამოცილებია მტერი, მოყვარე, მომაგრებული, რევიზორი და, ასე გასინჯეთ, აქვეელი ქალაქელებიც.

...თავმჯდომარედ, მიუხედავად ათასი ცივი უარისა და მიასლოებით ამდენივე ხელების გასავსავებისა, მაინც ნათელა აურჩევიათ. წყალობიჩის საქმეები გადაუბარებია, უჭრიდან თავისი და დემნა დანიელოვიჩის პორტრეტი ამოუღია, პორტრეტში ჩაუღვია და ილიაში ამოურჩია... თავი აუწევია, ნათელასათვის ცერად გადაუხედავს, ხელი დაბლიდან გაუწოდებია და უთქვამს:

— აბა შენ იცი, ნათელა, რაც ჩვენ შევტოპეთ — თქვენ უნდა... აბა შენ იცი!..

ქული შუბლზე ჩამოუფხატავს, კაბინეტი აცაბაცად გაუვლია, კარის ზღურბლზე ფეხი წამოუკრავს, ვესტიბიულში კინალამ წაქცეულა, კიბის მოაჩირზე სული მოუბრუნებია და საფეხურებს აჩრდილივით ჩუმად ჩაჰყოლია...

ნათელას შუბლი დღადრგია და ღიად, დაუნახამებლად, დარჩენილი თვალები დანამებია...



კ ი თ ი ა

გოთხრობა

თითქოსდა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ მაინც ისეთი, ყველგან და ყოველ დროს რომ შეიძლებოდა მომხდარიყო. და თუ ასეა, რა გასაკვირია, რომ მსგავსი რამ დღესაც დამართოდა ერთ უენო მესაათეს.

ხმაურიანი, ფართო ქუჩის გადასახვევთან, იმ ერთ-ერთი ხუთსართულიანი, ცემენტისფერი შენობის ქვეშ, არავითარ შეღებვასა და აღამიანურ შეღამაზებებს რომ არ ემორჩილება, გაბზარულ ვიტრინაში, ძველი და თითქოს ახალი მოდის ჭრელ-ჭრელი ქუდეები გამოეფინათ. იქვე, მარჯვნივ, ამ მომაჯადოებელ ასორტიმენტის გვერდით, ათასგვარი ფირმის მაჯისა თუ ჯიბის საათები ეკიდა წვრილ თოკზე. ვიტრინას ამშვენებდა უზარმაზარ ოთხკუთხა ხის ქოთანში ჩარგული გამხმარი ლიმონი. ცემენტისფერ, უსახურ ხუთსართულიან შენობას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მინის კარები, რომლის წყალობითაც ქუჩიდან კარგად მოჩანდა ისიც კი, თუ როგორ თავაზიანად ისროდა სიგარეტის ნამწვს ნახერხმოყრილ პარკეტზე ხან ერთი, ხან მეორე ხელოსანი. გამვლელს, ან კლიენტს, ვიტრინაში გამოეფინილ ქუდეებს რომ შეათვალიერებდა, ტყუილუბრალოდ ზედმეტი ნაბიჯის გადადგმაც კი არ სჭირდებოდა გამჭვირვალე შესასვლელისკენ: მინის კარები შენობას ხომ ალბათ იმ მიზნით შეაბეს, რომ აღამიანმა უკეთ დაინახოთ საით მიიბიჯებს

და რისთვის. ალბათ ამის გამო იყო, რომ გამჭვირვალე შესასვლელში იშვიათად თუ შედიოდა ვინმე. ქუჩიდან ისიც კარგად მოჩანდა რომ სახელოსნოში მუშაობდა ორი მექუდე, ერთი მესაათე და ერთი პარიკმახერი. თუმცა, თავიდან სულ სამი იყვნენ, მეოთხე კი არც თუ დიდი ხნის წინათ შეემატათ. და ეს მეოთხე გახლდათ სწორედ ის უენო მესაათე, რომელსაც თავს დიდი უბედურება დაატყდა.

უცნაურობითა და ახირებულობით არც ერთი ხელოსანი არ გამოირჩეოდა. ოღონდ ეს იყო, მესაათეს ჩუმად ყოფნა უყვარდა: იჯდა მთელი დღე თავის პატარა მაგიდასთან, ჩაპკირკიტებდა მექანიზმებს და ისე მოსაღამოვდებოდა, კრინტსაც არ დასძრავდა. ძალზე იშვიათად ხდებოდა სასწაული: ამოიდგამდა ენას, მოყვებოდა აუცილებლად სასიამოვნო ან სასაცილო ამბავს, ჩარგავდა მერე თავს და გამჭვირვალე კარებზე ბოქლომის დადებამდე საათს ჩაპკირკიტებდა. დანარჩენები (თუ ამას უცნაურობად ჩავთვლით), ათსგვარ ჭორს, საზარელ თუ გულის შემაწუხებელ ამბებს ყვებოდნენ მონაცვლეობით; ის კი არადა, ზოგჯერ კიდევ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მეტი და უარესი შემთხვევებისა და ისტორიების თხრობაში. მესაათე კი ისმენდა ყოველივეს (თუმცა, ისმენდა თუ არა, ღმერთმა უწყოდა), იჯდა თავჩარგული თავის პატარა, საათებით

ახორავებულ მაგიდასთან და არავითარ ინტერესს არ იჩენდა გულის მომკვლელ თუ სამარცხვინო ამბებისადმი.

ყველაზე ხნიერი მათ შორის იყო ნოე, სამოც წელს გადაცილებული აყლახუდა მექუდე. იგი იმით გამოირჩეოდა დაწარჩენებისაგან, რომ უყვარდა უსულო საგნებთან გამოლაბარაკება და ზოგჯერ დავაც კი: თუ ღმერთი გაწყრებოდა და ნახევარმეტრიანი მაკრატელი მათდგაფარებულ მაგიდიდან იატაკზე დაუვარდებოდა, მშვიდად იტყოდა: კი მარა, მე აქ დაგდები და შენ სხვაგან წახვედი? ძირს დაგდებულ მაკრატელს დასწვდებოდა, მაგიდაზე დადებდა და ხელით ისე მაგრად დააწვებოდა თითქოს გასრესა სურდა. თუ სიგარეტი ჩაუქრებოდა, ნამწვს გესლიანი ღიმილით დახედავდა, შორს მოისროდა და მიაძახებდა: კი მარა, ერთხელ მოვიკიდე მე და ახლა ვერ გადაგყვები ზედ. ხდებოდა ისეც, რომ ზოგჯერ საკუთარ ჭაღარა თმასაც ესაყვედურებოდა, თუ უკან გადატკეპნილი უზარმაზარი ქოჩორი შუბლზე ჩამოეშლებოდა: კი მარა, მე ისე დაგვარცხენ და შენ ასე მოდიხარ? მაგრამ მთავარი მაინც მის ბუნებაში ის კი არ იყო, რომ უყვარდა ქაქანი დაწარჩენებით (რა თქმა უნდა, მესაათეს გამოკლებით), არამედ ის, რომ სხვებისთვის დაესწრო და პირველს მოეთხრო ყურმოკრული გულმოსაკლავი ამბავი. თუ ვინმე ვაბედავდა და მისდა უნებართვოდ მოყვებოდა რასმე, არ სიამოვნებდა, ნაამბობს არ იჯერებდა და მოსაუბრეს იჭვის თვალთ უმშერდა.

მეორე მექუდეს, სულ მთლად მელოტს, სათვლიანს, ტანდაბალსა და უსაშველოდ მსუქანს, იმდენად მსუქანს, რომ სუნთქვის დროსაც კი ხროტივებდა, იაშა ერქვა; უზომოდ უყვარდა წყლის სმა და დომინოს თამაში; ამას იგი იოლად აღწევდა და ალბათ ამიტომ დასთამაშებდა დაჟღაჟა სახეზე მუდამ კმაყოფილი ღიმილი.

დალაქი კიტა სამუალო ტანის პირხმელი კაცი იყო — გვერდზე გადაწყო-

ბილი შეღებილი თმით. გარდა იმისა, რომ უყვარდა ჩურჩულით მოეთხრო ათასგვარი ჭორი, იგი იმით გამოირჩეოდა მეგობარ ხელოსნებისაგან, რომ დაამთავრებდა თუ არა თხრობას, პირს დააღებდა, თვალებს დაშტიმავდა, ენას გადმოაგდებდა და ასე გაქვავდებოდა რამდენიმე წამით. და ამას აკეთებდა ალბათ იმიტომ, რომ ხაზი გაესვა დაუჯერებელი ამბის მნიშვნელობისთვის.

მესაათე დანიელაც ასევე სამუალო ტანის კაცი იყო, ქერა თხელი თმით და უღვაშით. ერთი შეხედვით სუსტი აღნაგობის ჩანდა, რადგან ფერმკრთალი სახე ჰქონდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა დაკუნთულ მკლავებს. ჩუმი კაცი იყო, უნო, მაგრამ დილიდან საღამომდე თავისთვის ღიღინებდა, ოღონდ იმდენად ხმადაბლა, რომ ღიღინი მხოლოდ მას თუ ესმოდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას სახელოსნოს გამჭვირვალე კარები ზუსტად თავის დროზე გაიღო და ყველა თავ-თავიანთ საქმეს შეუდგა დალაქის გარდა, რადგან წვერგაბურძენილი კლიენტები კიტას ოღნავ მოგვიანებით ეცხადებოდნენ.

— პირდაპირ შეგჯავრდება ქუჩაში გავლა, — ჩვეულებისამებრ დაიწყო თავისი დღე ნოემ და საქუდე მასალის გამოჭრას შეუდგა უზარმაზარი მაკრატლით, — არადა, მიყვარს ფეხით სიარული, სასარგებლოცაა, მაგრამ რად გინდა, ყოველ ნაბიჯზე ლოთი და გათახსირებული გადაგყვრება.

— აბა, აბა! — კვერი დაუკრა სამართების ლესვით გართულმა კიტამ.

— მარტო ლოთი რომ გადაგყვრებოდეს, რა გიჭირს, — საკერავი მანქანიდან მელოტი თავი ასწია იაშამ და გვერდით მჯდომ ნოეს გადახედა სათვალეებს ზემოდან. — მაინც რა მიწაო, იმ მართლა გათახსირებულმა.

დანიელი თავჩარგული იჯდა ზედ ვიტრინასთან, ლუპით საათს ჩასცქეროდა

ლევან მაღაზონია  
პითია

და ხმადაბლა, ძალზე ხმადაბლა თავის-  
თვის ღიღინებდა.

— ჩემგან რა უნდა სდომებოდა, ეს-  
ლა მაკლია ახლა, მიბანცალობდა თავის-  
თვის; მერე უცებ საიდანღაც ქალი გა-  
მოვარდა ორი შენი სისქის, — თავი მი-  
აბრუნა ნოემ იაშასკენ, — ეცა იმ ნაგავს  
და ცხვირი გაუტეხა ერთი დარტყმით.

— რაო? — გაიოცა კიტამ და დანიე-  
ლი შეათვალღერა იმ იმედით, რომ იქ-  
ნებ ხათრით მანც აიღოს თავი და მომ-  
ხდარი ამბით დაინტერესდესო, მაგრამ  
იმწამსვე ხელი ჩაიქნია და ისევ ნოეს  
მიუბრუნდა: — ქალმა გაუხეთქა ცხვი-  
რი ერთი დარტყმით?

— კი. მერე წიხლებიც მიაყოლა. ბო-  
ლოს, ქმარია ჩემიო, ყვიროდა და იმი-  
ტომ ვცემ, პენსია შემიჭამაო.

— ეჰ, — ღრმად ამოიოხრა იაშამ და  
ლურჯი ფერის საქუდე ნაჭერზე ცარ-  
ცით წრე შემოხაზა, — რა უნდა გიკ-  
ვირდეს იმის შემდეგ, რაც წუხელ მოხ-  
და ჩემს ეზოში. პირდაპირ ქალს შეგა-  
ჯავრებს ზოგიერთი, გეუბნებით მე  
თქვენ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, არა-  
ვის არაფერი უკითხავს, ამან გააღიზია-  
ნა იაშა და გულმოსულმა ხმამალა  
თქვა:

— ღვიძლმა დამ ფულისთვის ღვიძლ  
ძმას უთო ჩაარტყა თავში!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— უჰ! — დაგვიანებით შეიცხადა  
კიტამ.

— და ბიჭი გადარჩა თუ არა, კარ-  
გად არ ვიცი, — თქვა მეტი დამაჯერებ-  
ლობისთვის იაშამ.

დანიელმა შეკეთებული მაჯის საათი  
შუშაზე დადო და სახელონოში წკარუ-  
ნი გაისმა, მერე თვალებიდან ლუბა მო-  
იძრო და რაღაცის ძებნას შეუდგა თავის  
პატარა მაგიდის უჯრაში.

ახლა ჯერი კიტასი იყო და მანაც არ  
დააყოვნა:

— ასეა, ასე, ერთმანეთს ჭამს ხალხი,  
ჩემმა ნათესავმა ჭკუაზე კინაღამ შემ-  
შალა, ისეთი ამბავი მომიყვა.

უცნაური ის იყო, რომ, მესაათის  
გარდა, ყველას ერთმანეთის შურდა:  
ვაითუ რომელიმეს უფრო შემზარავი  
ისტორია მოეთხრო. და ნოეც და იაშაც  
გაისუსნენ და გაქვავდნენ.

— ჩემს მტერს, ქალი თუ გაბოროტ-  
და, — წამოიწყო კიტამ, ხელები გაქათ-  
ქათებული ხალათის ჯიბეებში ჩაიწყო  
და ნახერხმოყრილ პარკეტზე ბოლოს  
ცემას შეუდგა. — ერთი დედაბერი ყო-  
ფილა გადაყრუებული, ჰოდა, ათვალ-  
წუნა თურმე იმ მიხრწნილმა თავისი სი-  
ძე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ  
ოჯახურ საქმეებში ჩარევის უფლებას  
არ აძლევდა, დღე და ღამე თურმე იმას  
ცდილობდა, როგორმე ცოლი ქმარს  
მოეცილებია, ხან რას უგონებდაო და  
ხან რას, მაგრამ ვერაფერს გამხდარა.  
ბოლოს, მთვრალ, მძინარე სიძეს მიეპა-  
რა თურმე, დააფარა ბალიში პირზე,  
დააჯდა ზედ და დაახრჩო!

— უჰ, — გულწრფელად წამოიძახა  
იაშამ, მაგრამ იმწამსვე მშვიდად იკი-  
თხა, — კი მარა, იქ ხომ მაშინ არავინ  
იქნებოდა და როგორ დაამტკიცეს, რომ  
სიძე დედაბერმა დაახრჩო!

— ვის რა დაუშალავს, ან, ვის რა შე-  
რჩენია, — დინჯად წარმოსთქვა კიტამ,  
ვიტრინასთან შეჩერდა და დანიელს ზე-  
მოდან დააცქერდა.

არგუმენტი იმდენად ძლიერი და და-  
მარწმუნებელი იყო, რომ პარიკმახერს  
არავინ შედაგებია.

და აგორდა თოვლის გუნდა...

თემატიკა იმ დღესაც ფრიალ სერი-  
ოზული და ამოუწურავი იყო და სჯა-  
ბასი საღამომდე არ შეწყვეტილა.

დანიელი კი იჯდა თავჩარგული პა-  
ტარა მგიდასთან, მუშაობდა და ხმადა-  
ბლა, ძლიერ ხმადაბლა თავისთვის ღი-  
ღინებდა. მხოლოდ ერთადერთხელ ამო-  
იღვა ენა, ისიც მაშინ, როცა ნოემ თი-  
თქმის დაცინვით ჰკითხა, ხომ არ შეი-  
სვენებდიო.

— რას არ გაიგონებს კაცი, — თქვა  
მოულოდნელად დანიელმა ისე რომ  
არც თავი აუღია და არც ლუბა მოუ-



ძგრია თვალდან. — რამდენნაირ ცხოველს არ ნახავ ამ ქვეყანაზე.

ამ სასწაულმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა იქ მყოფთა შორის, რომ სამარისებური სიჩუმე კარგახანს იდგა სახელოსნოში. კიტამ ეს მოვლენა იმით გამოხატა, რომ სასწრაფოდ პირი დაადლო, თვალეზი გადმოკარკლა, ენა გადმოაგდო და ასე იყო გაქვავებული, ვიდრე მელოტი მექუდე შოკს თავს დააღწევდა:

— აბა, აბა! — კვერი დაუკრა იაშამ დანიელს იმით დაიმედებულმა, რომ როგორც იქნა ავიყოლიეთო.

ნოეს მაინცდამაინც არ სჯეროდა მომხდარი სასწაულის და წარბშეჭმუნხილი ქუჩაში იცქირებოდა.

— ასეა, კი, — გააგრძელა იაშამ. — ცხოველს და პირუტყვს ვინ დათვლის ჩვენში.

— საოცარი ისაა, რომ ყველას თავისი ჩვევა აქვს და ბუნება, — ღიმილით თქვა დანიელმა, წამით ცალი თვალით მის გვერდით მდგომ კიტას გახედა და ისევ საათს მიუბრუნდა ლუპით. — წუხელ ერთი მოგზაურის წიგნს ვკითხულობდი და სიცილით კინაღამ მოგვკვი. თეთრი დათვი ნადირობისას, სანამ სხვირს ჩაყოფდეს წყალში, იმის შიშით, თევზმა შავი დრუნჩი არ დამინახოსო და არ გამექცესო, თათს იფარებს თურმე პირზე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კიტამ, ნოემ და იაშამ ერთმანეთს ვადახედეს; ყველა შეურაცხყოფილად გრძობდა თავს. ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ამ დროს ორ წვერმოშვებულს არ შემოელო გამჭვირვალე კარი.

— რაო, რაო?! — იკითხა ბრაზისგან წამოჭარხლებულმა ნოემ და დანიელისკენ შებრუნდა.

— თათს იფარებს თურმე თეთრი დათვი დრუნჩზე, იმის შიშით, თევზმა შავი ცხვირი არ დამინახოს და არ გამექცესო, — ღიმილით გაიმეორა დანიელმა ისე რომ თავი არ აუღია.

— ხედავ შენ? — სხვა სათქმელი რომ

ვერ მოიფიქრა, დაცინვით წამოიძახა იაშამ და საქუდეს გამოჭრას შეუდგა.

კიტამ ხელი ჩაიჭნია და სადალაქოში შევიდა, სადაც უკვე ელოდებოდა კლინტი.

— რა საინტერესოა, არა? — თითქოს თავისთვის იკითხა დანიელმა და მერე ხმამაღლა თქვა: — ზოგიერთები კი ამბობენ, ცხოველები არ აზროვნებენო.

ეს იყო და ამის შემდეგ ნოემ ლაპარაკის ხალისი დაკარგა, მაგრამ თითქოსდა ჯიბრზე, ერთი-ორი გულისშემამაწუხებელი ამბავი მაინც მოყვა მანდილოსანთა პიკანტური ცხოვრებიდან (იმ დღეს ხომ ამ თემას უტრიალებდნენ), მას კიტაც წაეშველა უგულოდ, შესვენებაზე იაშაც და ისე მოსალამოვდა, რომ დანიელს თავის თავისთვის არ უღალატნია, ის კი არადა, ერთხელ ჩუმიად წამოუსტვინა კიდევ რომელიღაც აკვიატებული მელოდია.

ასე მეორდებოდა ყოველ დღე; იცვლებოდა მხოლოდ სალაპარაკო თემა და სახელოსნოში ხან ბანდიტებს უსწორებდნენ ანგარიშს, ხან ქურდებს, ხან ნარკომანებს. უსახელო წერილების ავტორებსაც არ იგიწყებდნენ ხშირად. მიწასთან ასწორებდნენ შოფრებს, ვაჭრებს, მილიციელებს, მსახიობებსა თუ პროფესორ-მასწავლებლებს, უყურადღებოდ არ ტოვებდნენ არც ერთ ინსტიტუტს, განსაკუთრებით ეხალისებოდათ სტუდენტების გაქიაქება. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ პენსიონერებსაც არ ზოგავდნენ. ლანძღავდნენ და დასცინოდნენ ყველას, აბუჩად იგდებდნენ და ამა-სხარავედნენ ყველაფერს. დანიელი კი იჯდა თავის პატარა მაგიდასთან და თავაუღებლივ მუშაობდა უხმოდ, უენოდ. ერთი სიტყვით, ლაპარაკს ბედავდნენ სამნი, მუნჯად ყოფნას — ერთადერთი. ამან, რა თქმა უნდა, გააბოროტა უმრავლესობა და თავგასული ეგოცენტრიკის მტრად აქცია. მესაათის დუმილი აღ-

---

ლევან მაღაჟონია

პიტიია

იზიანებდა ყველას და ბოლოს და ბოლოს აუტანელიც კი შეიქმნა იქ მყოფთათვის. ის კი არადა, იჭვის თვალითაც დაუწყეს ცქერა და მალე შეიზიზღეს კიდევ. „ან თავს არ გვიყადრებს, ან მოგზავნილია ნამდვილად“, — ამბობდა ნოე მესაათის იქ არ ყოფნის დროს და დანარჩენებიც კვერს უკრავდნენ.

დანიელის მსგავს ადამიანს რომ არავინ მოასვენებს და სასიკეთოდ არაფერი ელის, ამას არც მარჩიელ ბოშა ქალთან მისვლა სჭირდება და არც დელფოში გამგზავრება წინასწარმეტყველ პითიასთან. მოხდა კი პირიქით: ტოვაში მორთული მისანი თავად გამოცხადდა ერთ მშვენიერ დღეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, დადგა გამქვირვალე, თუ უხილავ კარებში, ხელეზი ჯვარდინად გულზე დაიკრიფა და მზერა ირიბად ჩამოკონწიალებულ მწვანე პლასტმასის აბაჟურს მიაპყრო. დიდხანს იდგა ასე პითია იმ იმედით, რომ ოდნავ ყურადღებას მაინც მიაქცევდნენ, მაგრამ მისთვის ზედაც არავის შეუხედავს და განაწყენებულმა ხელოსნები მწყურალად შეათვალღერა. ნოე, კიოტა და იაშა იმქამად კონდუქტორებს ებრძოდნენ სახელოსნოში და ისე ვაცხარებით ყვებოდნენ ენით აუწყერელ ამბებს, რომ დელფოდან მოსულ მისანს კი არა, ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. ითმინა პითიამ, დიდხანს ითმინა მისთვის ყოვლად წარმოუდგენელი შეურაცხყოფა, მერე ხელები ზეადმართა, მზერა ისევ აბაჟურს მიაპყრო და მშვიდად თქვა:

— ჯერ ერთი, ამ ქვეყნის ინჩი-ბინჩი რომ მაინც გესმოდეთ, თქვენ უნდა მოსულიყავით ჩემთან და არა მე თქვენთან. ამას გარდა, თუ ლაქლაქს თავს გაანებებთ და ამ მესაათეს შეეშვებით, ხომ კაი, თუ არადა, ორშაბათობით მაინც ნუ იქაჟანებთ, თორემ იცოდეთ, უბედურებას ვერ ასცდებით. თუმცა, მეტი არაა ჩემი ბტერი დამიჯგროთ და რაზე შეიგნოთ.

თქვა თუ არა ეს პითიამ, ხელი მოწ-

ყვეტით ჩაიქნია და თვალსა და ხელს შუა ისე გაჭრა, რომ არც მისი მოსვლა დაუნახავს ვინმეს და არც წასვლა, მით უმეტეს დანიელს, რადგან იგი წინასწარმეტყველის გამოცხადების დროსაც თავჩარგული იჯდა და უხმოდ მუშობდა.

ამის შემდეგ მესაათის მიმართ გამოუმყავნებელი ზიზღი თანდათანობით აშკარა და დაუფარავ დაცივნაში გადაიზარდა. დანიელის ყოველ ყესტს, მოძრაობასა თუ მიხრა-მოხრას მასხრად ივლებდნენ. ის კი არადა, მის ჩვეულებრივ სალაშქრედაც უტიფრად ხითხითებდნენ. ამანაც არ გაჭრა: დანიელი დაცივნასაც დუმილით პასუხობდა და ამით კიდევ უფრო აღიზიანებდა მათ. ბოლოს და ბოლოს, მესაათის თავდაპირამ და ტაქტმა გაბოროტებამდე მიიყვანა ყველანი.

ერთხელ, როცა სახელოსნოში ჩვეულებრივი წუწუნი და კორაობა გაჩაღდა (ამჯერად ინკუბატორის ნამცეცა კვერცხების თაობაზე), დანიელმა უცებ ლუბა მოიხსნა, თავი აიღო, ქუჩას თვალი მოავლო და სიცილი დაიწყო.

ყველანი სახტად დარჩნენ. ერთმანეთს გადახედეს და მერე გაოგნებულები მესაათეს უყურებდნენ დიდხანს. ვერ გაეგოთ, რას ნიშნავდა მისი სიცილი, მათ წრეში ჩათრევას თუ ამაზრზენი ფაქტისადმი (ნამცეცა კვერცხისადმი) გამოხატულ პროტესტს.

— რას არ გაიგონებს კაცი, — წამოიწყო ღიმილით დანიელმა, ლუბა მოიშარჯვა, საათს ჩააცქერდა და მშვიდად განაგრძო, — რა რჯულის ხალხი არ ცხოვრობს ქვეყნად.

გატრუნულები უსმენდნენ.

— სადღაც კუნძული ყოფილა წყნარ ოკეანეში ნახევრად ველურებით დასახლებული, — ყვებოდა დანიელი და თან საათს ჩაჰკირკიტებდა. — ჰოდა, იმ ტომის ხალხში იშვიათად ჩხუბობენ თურმე, მაგრამ როცა წაკინკლავდებიან, ერთმანეთს მაშინვე დუელში იწვევენ,

დ-; იარაღად იცით რას ხმარობენ? ფარშავანგის კუდს! მშვილდ-ისარს და შუბს მხოლოდ ნადირობისას იყენებენ. წაჩხუბების მერე ჩადგებიან თურმე მოწინააღმდეგეები ხალხით გარშემორტყმულ წრეში და ფარშავანგის გრძელ კუდებს ერთმანეთს იღლიაში ულიტინებენ მანამ, სანამ რომელიმეს სიცილი არ წასკდება. ჰოდა, გამარჯვებული თურმე ის რჩება, ვინც მოღუშულ სახეს შეინარჩუნებს. არავითარი სისხლის ღვრა და მკვლელობა იმ ტომში არ ხდება. არაა საინტერესო? — დაამთავრა თხოვრა დანიელმა და ჩუმი ღიღინი წამოიწყო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

ნერვებდაწყვეტილ და ამღვრეულ ნოეს იმ დღეს სახელოსნოში არ დარჩენია არც ერთი უსულო საგანი გამოუღანძლავი და შეუგინებელი, ნემსი იყო ეს, სკამი, უთო თუ კედლის კალენდარი. იაშამ ცივი წყლის სმით გადაწყვიტა თავის დამშვიდება და გრაფინს გრაფინზე სცილიდა, ამანაც ვერ უშველა, მელოტ თავზე წამდატუწმ იწმენდა ოფლს უშველებელი თეთრი ცხვირსახოცით და ხროტინით ისე სუნთქავდა, როგორც მატარებლის კუბეში წოლისას სჩვეოდა გულაღმა გამხვართულს. მერე ნერვებმა ისე უმტყუნეს, რომ შეკერილი და გამზადებული ქუდი დაეწვა უთოობისას. კიტას კი ხელი ისე უკანკალებდა, რომ ორ-სამ კლიენტს პარსვისას სამართებით ყელი კინაღამ გამოლადრა.

სამივენი, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, შეთქმულებივით პარკისკენ მიმავალ გზას ერთად გაუდგნენ. ბევრი ფიქრისა, ჩურჩულისა და შესლა-შემოხლის შემდეგ გადაწყვიტეს შური ეძიათ დანიელზე იმით, რომ ვინმე მოესყიდათ და მესაათისათვის შარი აეტეხა, თითქოსდა ცუდი ხელობისთვის. ასეც მოიქცნენ: მეორე დღესვე გამოძებნეს იმ უბნელი ერთი წითური სახის შუახნის უსაქმური და ლოთი, ზამთარ-ზაფხულ გაცრეცილი და ფერდაკარგული პლამჩით რომ დადიოდა, შეპირდნენ ყოველ-

დღითურად მუქთად პარსვას და სეზონურად მოდურ ქუდს იმ პირობით, თუ დანიელს წონასწორობიდან გამოიყვანდა და ლანძღვა-გინებას დააწყებინებდა. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა, ლოთს რა ენაღვლებოდა და მანაც თანხმობა განაცხადა კონტრაქტში მცირეოდენი შესწორებით: წვერის პარსვის ნაცვლად იგი დილაობით ას გრამ არაყს თხოულობდა ყოველგვარი საუზმის გარეშე.

ერთი სიტყვით, გარიგება შედგა.

— მე მაგას ვუჩვენებ ფარშავანგებს და დათვებს და ოფოფებსაც მალე დავანახებ, — წარამარა იმეორებდა ნოე და ტუჩებს იკვნეტდა.

დილით, გაიღო თუ არა კომბინატის გამჭვირვალე კარები, დანიელს მოსყიდული ლოთი დაადგა თავზე. კიტასგან ნათხოვარი შუშაგატეხილი ჯიბის ძეწკვიანი საათი გადასცა და თან სთხოვა სასწრაფოდ შეეკეთებია. ნოემ, საგანგებოდ, მაგრამ უგულოდ ამჯერად ცუდი გზების ძაგება დაიწყო, თავი რომ ბუნებრივად და ლაღად ეგრძნო და დანარჩენებიც აყვინენ. დანიელმა მაშინვე გამოუცვალა შუშა საათს, გაწმინდა, გააღუფთავა, დაქოქა და პატრონს დაუბრუნა. ლოთმა ფული გადაუხადა, მადლობა უთხრა, ყველას სათითაოდ თავზიანად გამოესალმა და წავიდა. ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ დაბრუნდა და დანიელს ამრეზილმა ისევ ის საათი მიუტანა შესაკეთებლად და ისევ შუშაგატეხილი, არავითარი მიზეზი არ უთქვამს და არც ახსნა-განმარტება დაუწყია; საკმაოდ უხეშად დაუდგო საათი მაგიდაზე და ამით, მისი აზრით, ყველაფერი გააგებინა: ისიც, რომ შუშა სხვა ზომის გამოდგა და ისიც, რომ ცუდად იყო ჩამული. ორივე მექუდე და პარიკმახერი ისევ უგზობობას უჩიოდნენ და მესაათისკენ არც კი იხედებოდნენ. დანიელმა იმავე წუთში საათს შუშა გამოუცვალა, მოიბოდიშა და პატრონს გადასცა; თან

ლევან მაღაზონია  
პითია

უთხრა, რომ გასამრჯელოს გადახდა აღ-  
არ იყო საჭირო. მოღუშულ ლოთს მად-  
ლობაც არ უთქვამს, ისე გავიდა სახე-  
ლოსნოდან. არ გასულა ათი წუთიც, ის-  
ევ დაბრუნდა და შუშაგატეხილი საათი  
დანიელს პირდაპირ ცხვირზე მიადო.  
ნოე, კიტა და იაშა ამყამად მოუწესრი-  
გებელი პარკებისა და სკვერების თაო-  
ბაზე წუწუნებდნენ. დანიელმა ისევ ჩა-  
სვა საათში ახალი შუშა, ისევ მოიბო-  
დიშა და კლიენტს თავაზიანად დაუბრუ-  
ნა, ისევ უფასოდ. ლოთმა თითქოსდა  
რაღაც გაახსენდაო, უმისამართოდ შეი-  
კურთხა და დანიელს დააცქერდა. მე-  
საათე მშვიდად იჯდა და ქუჩას გასცქე-  
როდა; ერთი კი შეავლო თვალი უხემ  
კლიენტს და მერე ისევ სამუშაოს მიუ-  
ბრუნდა. ლოთმა ნახელავს უნდოდ და-  
ხედა და სახელოსნო ჩქარი ნაბიჯით და-  
ტოვა. — რაღა თქმა უნდა, სულ მალე  
დაბრუნდა, მაგრამ ახლა ხმადალი ლა-  
ნძღვით მივარდა დანიელს, უწოდა „ფი-  
ნაჩიც“ და „აფერისტიც“ და ვატეხილი  
საათი მაგიდაზე დაუგდო. ნოე ახლა  
თითქოს შეწუხდა და კლიენტის დამშვი-  
დებას შეეცადა, ლოთი ამან უფრო გაა-  
გულისა და გააყოყოჩა. იმდენად ბუ-  
ნებრივი იყო იგი შეკვეთილ როლში,  
რომ კიტას და იაშას შეეშინდათ კიდევ  
მისი და ყოველგვარი თამაშის გარეშე  
აწყნარებდნენ, მაგრამ ვერაფერს გახ-  
დნენ. დანიელმა საათი უხმოდ შეაკეთა,  
პატრონს გადასცა ისევ უფასოდ და რა-  
მდენჯერმე მოკრძალებით ბოდიში მოუ-  
ხადა. ლოთი არ ელოდა ამას, გამრა და  
აბნეული სახელოსნოდან გავიდა. ორივე  
მექედე და პარიკმახერი სახტად დარ-  
ჩნენ. ამის შემდეგ კიდევ მიუვარდა ლო-  
თი ვატეხილი საათით დანიელს, ავინა  
უკანასკნელი სიტყვებით, მაგრამ მესაა-  
თეს მისთვის სიტყვაც არ შეუბრუნებია.  
ნოე, იაშა და კიტა თვალებს არ უჯერე-  
ბდნენ. ლოთს ალბათ მოხეზრდა ამდენი  
წასვლა-წამოსვლა და როცა მას და-  
ნიელმა მშვიდად და თავაზიანად ისევ  
მოუბოდიშა, მოთმინებიდან გამოვიდა,  
მექედეებს და პარიკმახერს ბოროტად

გადახედა, სამივეს მაგრად შეუკურთხა,  
ხელახლა შეკეთებული საათი კედელს  
მიანარცხა და გინებ-გინებით გარეთ გა-  
ვარდა. სახელოსნოში დიდხანს კრინტი  
არავის დაუძრავს. ბოლოს, დანიელი წა-  
მოდგა, ნოეს, იაშას და კიტას დამშვი-  
დება დაუწყო და თხოვა ყურადღება არ  
მიექციათ „შეშლილისთვის“. შემდეგ  
დამსხვრეულ საათს დასწვდა, ყურად-  
ღებით შეათვალიერა, მაგიდის უჯრაში  
ჩადო, დაჯდა და მუშაობა განაგრძო. კი-  
ტამ თვალები გადმოკარკლა, პირი დაა-  
ლო, ენა გადმოაგდო და დანიელის  
ზურგს მიაჩერდა. ნირწამხდარი და გა-  
ოგნებული ნოე ბოლოს სცემდა. ოფლ-  
ში გახვითქული იაშა გაუნძრევლად იჯ-  
და სკამზე და ხროტინებდა. მუშაობის  
თავი დანიელის გარდა აღარავის ჰქონ-  
და. მთელი საათი ისე გავიდა, რომ კრი-  
ნტი არ დაუძრავთ. მხოლოდ ეს იყო,  
კიტამ ერთადერთი კლიენტი გაპარსა,  
ისიც უგულოდ და უხმოდ. სამარისებურ  
სიჩუმეში, ყველასთვის მოულოდნე-  
ლად, დანიელმა ამოიღო ხმა და თით-  
ქოსდა აქ არაფერი მომხდარაო, დაიწყო  
თხრობა ერთი უცხოელი მეცნიერი-ბი-  
ოლოგის შესახებ, რომლის განსაცვიფ-  
რებელი ექსპერიმენტების შედეგად და-  
სტურდებოდა, რომ მცენარეს მუსიკის  
მოსმენის უნარი ჰქონდა.

— ამის შემდეგ რა უნდა გაგიკვირ-  
დეს ამქვეყნად, — ღიმილით თქვა და-  
ნიელმა და თავი გააქნია. — ვინ იცის,  
იქნებ სიმინდს ჯაზი მოსწონს და პურის  
თავთავს — სიმფონია. სასწაული თუ  
გინდათ, ესაა...

სამივე შეთქმული სამუშაოს დამთავ-  
რების შემდეგ პარკისკენ მიმავალ გზას  
დაადგა. იჩურჩულეს, იქაქანეს, იდავეს  
და გადაწყვიტეს, რომ მოეძებნათ ვინმე  
თავზეხელაღებული დანიელის საცემ-  
რად. თუ ასეთს მიაგნებდნენ, იგი უნდა  
დახვედროდა მესაათეს ქუჩაში, რაღაცა-  
ზე მისთვის შარი მოედო და დაუნდო-  
ბლად ეცემა. მალე გამონახეს კიდევ  
ერთი მკლავმაგარი მუტრუკი, იოლადაც

მოისყიდეს და ნანატრ დღეს სულმოუ-  
თქმელად ელოდნენ.

პითიას წინასწარმეტყველება ზუს-  
ტად ახდა.

ორშაბათს, როცა დანიელი შინ ბრუ-  
ნდებოდა მიყრუებული ქუჩით, მას წინ  
გადაუდგა უზარმაზარი აღნაგობის უც-  
ნობი და სიგარეტი თხოვა. ირგვლივ კა-  
ცის ჭაჭანება არ იყო. დანიელი საერ-  
თოდ არ ეწეოდა სიგარეტს და უცნო-  
ბსაც მოკრძალებულად ეს უთხრა.

— მაშინ, მითხარი, რამდენი კბილი  
გაკლია, — მუქარით ჰკითხა მუტრუქ-  
მა და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— უკაცრავად ვარ და არ მახსოვს,  
— მშვიდად უპასუხა დანიელმა ოდნავ  
დაყოვნებით.

— ხახვი რა ღირს ფრუნზეში დაახ-  
ლოებით!..

დანიელმა ყურადღებით ახედა უც-  
ნობს ზემოდან რომ ქორივით დასცქე-  
როდა და დუმილით უპასუხა.

— არც ეს იცი?! — დაიდრიალა მუ-  
ტრუქმა და უზარმაზარი მუშტი ნიკაპს  
ქვემოდან ამოჰკრა.

დანიელი მოცელილივით დავარდა მი-  
წაზე გულაღმა და რამდენიმე წამს გაუ-  
ნძრევლად ეგდო. გონს რომ მოეგო, წა-  
მოდგომა დააპირა, მაგრამ დამხდურმა  
წიხლი ჩაარტყა მუცელში. დანიელმა  
დაიგმინა, ტკივილისაგან მოიკუნტა და  
მიწაზე წამოჯდა. უცნობმა ახლა მუშ-  
ტები დაუშინა კეფაში. დანიელი მოკუნ-  
ტული დავარდა მიწაზე და ხელები თავ-  
ზე წაიფარა. მაშინ უცნობმა გვერდში  
ჩააზილა წიხლი. შორიდან ქალის კვი-  
ლი მოისმა; ეტყობოდა ვიღაცამ დაინა-  
ხა ის, რაც ქუჩაში ხდებოდა, მაგრამ  
მშველელი არსად ჩანდა. დანიელი კი-  
დეგ უფრო მოიკუნტა და ცდილობდა  
მუცლის მუხლებით დაფარვას. უცნობი  
არ ეშვებოდა და ახლა წიხლებს ზურ-  
გში უშენდა. ისევ იკვილა შორს ვიღაც  
ქალმა და მერე ყვირილი მორთო. „კა-  
ცი მოკლეს, კაცი მოკლეს“, გულშემზა-  
რავად გაიძახოდა იგი და მშველელს მო-  
უხმობდა. დამხდური წამით შეჩერდა

და იმ მხარეს მიიხედა, საიდანაც კვი-  
ლი მოესმა, მერე გაუნძრევლად მოკ-  
რუნჩხულ დანიელს დახედა აქლოში-  
ნებულმა და ისევ წიხლები ჩასცხო ფერ-  
დში. „მოკლეს, მოკლეს“, გაისმა ახლა  
ქალის ისტერიული კვილი ახლოდან,  
მაგრამ ქუჩაში არავინ გამოდიოდა. დამ-  
ხდური დაიხარა, დანიელს ორივე ხელი  
მხრებში ჩაავლო, წამოაჯინა და სისხ-  
ლით მოთხვრილ სახეს დააცქერდა. მე-  
რე, თითქოსდა უკმაყოფილომ თავისი  
ნასიკეთარით, ხელი უშვა და მთელი ძა-  
ლით წიხლი კეფაში ჩაარტყა. დანიელი  
მოკუნტული ცალ გვერდზე დავარდა  
კუნძივით. მაშინვე მის თავთან სისხლის  
გუბე დადგა. უცნობმა ნავეკმ სხეულს  
ფეხი ამოსდო მუცელში ფრთხილად და  
გადააბრუნა. დანიელი არ სუნთქავდა,  
იგი ახლა გულაღმა ეგდო, ხელებით მუ-  
ცელი ჩაებლუჯა და ოდნავ მოხრილი  
ფეხები გარდიგარდმო გადაეშალა. შო-  
რიახლო მოზრდილი ქვა დავარდა და  
ვიღაცამ ბოხი შეძახილით სცადა დამხ-  
ვდურის დაშინება. უცნობმა ირგვლივ  
მიმოიხედა, მერე ერთხელ კიდეც დაც-  
ქერდა სისხლში მცურავ მესაათეს, შარ-  
ვალი ჩაიფერთხა, შებრუნდა და არც  
თუ ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას. თვალს  
მოეფარა თუ არა დამხვდური, დანიელს  
ზღვა ხალხი დაადგა თავზე. გამოჩნდნენ  
მშველელნიც, ქომაგნიც, თანამგრძო-  
ბნიც, მოსრიალდა მანქანაც და უენო  
მესაათე საავადმყოფოსკენ გააქანეს...

მოსყიდული მუტრუქი დილაადრიან  
შეხვდა ხელოსნებს დათქმულ ადგილას,  
ორიოდე სიტყვით ამცნო მათ თუ რო-  
გორ მიიყვანა სიკვდილის პირას დანიე-  
ლი, შეპირებული გასამრჯელო ჩაიჯიბა  
და თვალის დახამხამებაში გაქრა.

შეთქმულნი დაშინდნენ: ოთხი დღე  
გავიდა და დანიელის არაფერი ისმოდა.  
დამფრხალნი გამუდმებით ჩურჩულებ-  
დნენ და ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამ-  
დნენ. რაც დრო გადიოდა, შიში უფრო  
და უფრო იპყრობდა მათ და მოსვენე-

ლევან გალაჭონია

პითია

ზან კარგადენენ. ბოლოს გადაწყვიტეს საავადმყოფოები დაეკლათ და ფრთხილად დაეწვერათ. თავდაპირველად აპირებდნენ მილიციაში განეცხადებინათ „მეგობარი ხელოსნის დაკარგვის ამბავი“, მაგრამ ვერ გაბედეს. ზოგჯერ ჩუმად ყოფნას და უმოქმედობას ურჩევდნენ ერთმანეთს და თუ ვინმე დანიელს მოიკითხავდა, ეტყოდნენ, რომ ავადაა, რახან არ ჩანს, ან, რომ, მათაც ძლიერ აინტერესებთ მისი სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზი. ამ გვეგმაზე შეთანხმდნენ თითქოს და ჩურჩულიც შეწყვიტეს. აღარავის ახსოვდა არც ცუდი გზები, არც ბანდიტები, არც ლოთები, არც ინკუბატორის კვერცხები; სახელოსნოში იდეალური სიწყნარე გამეფდა და თუ რომელიმე ხმას ამოიღებდა, მოყვებოდა უთუოდ დამაიმედებელ ამბავს. თავაზიანნი და გულისხმიერნი გახდნენ ახლა ისინი კლიენტების მიმართ და განსაკუთრებით ერთმანეთის მიმართ. მაგრამ ამ მოჩვენებითი უდარდებლობის დროს შიში უფრო მეტად უღრღნიდა მათ გონებას. გაურკვეველ მდგომარეობაში ლოდინი აუტანელი გახდა და საავადმყოფოების დავლა გადაწყვიტეს.

თეთრხალათიანებით მოფუსფუსე ჩაბნელებულ, ვიწრო დერეფანში საშუალო სიმაღლის ჭარბავი წითური, პირშიშველი კაცი იდგა გაქათათებულ ხალათში და ბუბლიკს ილოღნებოდა. მის წინ შავებით მოსილი დედაბერი მოკუნტულიყო და ხვეწნა-მუდარით რალაცაზე ელაპარაკებოდა. ექიმი წამდაუწუმ თავს უქნევდა, მაგრამ ეტყობოდა, არ უსმენდა და ყოველ გამვლელს ისე ათვალიერებდა, თითქოს ვინმეს დაეძებდა. დერეფანში ნოე, იაშა, და კიტა შემოიძურწნენ, გასასვლელ კართან დადგნენ, მხრებზე მოსხმული გაჭუჭყიანებული ხალათები შეისწორეს და პირველსავე შემხვედრ ექთანს ჩურჩულით რალაც ჰკითხეს; თითოეულ მათგანს სახეზე უკიდურესი მოკრძალება და თავაზიანობა აღბეჭდოდა. ექთანმა იმ წითურისკენ გაიშვირა ხელი, ბუბლიკს რომ ილოღნებო-

და. სამივე მაშინვე ექიმისკენ გაემართა და მისგან შორიანლო დადგნენ დარცხენილებივით.

— როგორც დვიძლ შვილს ისე გეხვეწები, — ემუდარებოდა წითურ ექიმს დედაბერი და თან მუშუტს გულში იცემდა. — მაგისთანა ადამიანი სამეზობლოში კი არა, მთელ ქვეყნიერებაზე მეორე არ მოიძებნება. მუდამ იმას ცდილობდა — ვის რაში დავეხმარო და ვის რა ვასიამოვნო. მაგისგან ნაწყენ კაცს ერთს ვერ ნახავ დუნიაზე. სხვას თავზე ევლებოდა მაშინ, როცა თვითონ სჭირდებოდა დახმარება. ოთხი შვილი ჰყავს დამარხული და ოთხივე ჩვილი, საცოდავს, ცოლი — ლოგინად ჩავარდნილი, თვითონ ასმევს, თვითონ აჭმევს და თვითონ ურეცხავს, მაგრამ გაბორბლებული ჯერ არავის უნახავს. უკეთესი ხელოსანი მეორე არ მოიძებნება ჩვენში, ზრდილი, კეთილი და მოსიყვარულე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ უფასოდ შეუკეთებია საათი სულ უცხო ხალხისთვის. მაგის ადგილას სხვას რომ ოთხი შვილი მოკვდენოდა, ღმერთსაც შეიჯავრებდა და ადამიანსაც. და ასეთი კაცი ვილაც ბანდიტმა და ხულიგანმა კინაღამ მოკლა უმიზეზოდ. ცოლმა არაფერი იცის, იმ უბედურმა, და, ვერც ვუმხელთ ჯერ. მოვუგონეთ, ვითომ ბრმა ნაწლავის შეტევა მოუვიდა და დავაწვინეთო. რომ შეიტყოს, რაც მოხდა, ნამდვილად ვერ გადაიტანს, საცოდავი. ჰოდა, როგორც დვიძლ შვილს გეხვეწები, რახან მოიხედა და სიკვდილს გადარჩა თქვენი წყალობით, ახლა არაფერი დააკლო შენ შემოგველე და პატივისცემას მთელი ჩვენი მეზობლობა არ დაგაკლებს.

— კი, დედა, კი, ნურაფრის შეგეშინდება, — უთხრა დედაბერს ექიმმა, გაუღიმა, მხარზე ხელი მოუთათუნა, მერე პირი გააწლაკუნა, მარდად შებრუნდა და კოორიდორს გაუყვა. მიაბიჯებდა სტვენით, არაბუნებრივი, დასწავლილი სიკოხტავით და ყოველ შემხვედრ მდპერსონალს გადაჭარბებული თავაზიანობით ესალმებოდა.

კედელთან ატუზული მეჭუდეები და პარიკმახერი, გაქვავებულებივით იდგნენ კორიდორში და მონუსხულებივით მისჩერებოდნენ დედაბერს. ის კი არა-და, კიტა იმდენად გააშეშა მოსმენილმა სიტყვებმა, რომ ახლა ვერც პირი და-ალო, როგორც სჩვეოდა გაცეცხის გამოსახატავად, ვერც ენა გადმოაგდო და ვერც თვალეზი გადმოკარკლა. დედაბერი ერთხანს იდგა შუა დერეფანში ზე-აღმართული ხელებით, უცნაურად მიმავალ ექიმს გაჰყურებდა და ჩიფჩიფით ლოცულობდა; მერე პირვარი გადაისახა, შემობრუნდა და გასასვლელისკენ წაჩანჩალდა გულში მუშტის ცემით.

...ხელოსნები უხმოდ მიუყვებოდნენ ქუჩას. დიდხანს იარეს ისე, რომ სიტყვაც არ დასცდენიათ. ნირწამხდრებს თავი მხრებში ჩაერგოთ და მობუზულე-ბივით მიაბიჯებდნენ. გაცეცხა თუ გაქვავება აღბეჭდოდათ სახეზე და დრო-დადრო გზააბნეულებივით აქეთ-იქით იცქირებოდნენ. მერე ისევ ჩარგავდნენ თავს მხრებში და ფიქრებში იძირებოდნენ. რალაცაზე წუნდნენ, მაგრამ რაზე, თავადაც არ ესმოდათ. მხოლოდ პითიამ იცოდა ალბათ მიზეზი მათი ფიქრის და დარდის...

დელფოში მისვლა მისანთან კი საჭი-რო იყო: იმ დღის შემდეგ სახელოსნო-ში წუწუნს რატომღაც გადაეჩვივნენ.



# აპბაპი რაპი ნინაპრისა...

## მოთხრობა

აშოთან მუხრანბატონი თბილისიდან ნაშუადღევს გამობრძანდა. მზე თითქოს ჩასვლას არ აპირებო, ისე იყო მიმდნარი ცაზე და კიდევ უფრო წვავდა ისედაც გადახრუკულ ბაღასს, ჰაერში მწერების გაბმული ბზუილი იდგა. მას ცხენთა ფლოკების დაგუდული ხმაც ერთვოდა. აშოთანმა მსლტებლებს უბრძანა, ჩამორჩენოდნენ და ჩუმად ელაპარაკათ, თვითონ კი დაწინაურდა და კვლავ ფიქრებს მიეცა.

მეხუთე დღეა აშოთანი თბილისში, ვახტანგ მეხუთის, შაჰნავაზის მიწვევით იმყოფება. მუხრანბატონმა ვერასგზით ვერ გამოიცნო, რისთვის დასჭირდა იგი მეფეს. როგორც მის წოდებასა და ბრწყინვალე გვარს შეეფერებოდა, თან დიდი ამაღა იახლა. აწნაურებიდან ყველაზე ახოვანი, წარმოსადგევი ყმაწვილები შეარჩია. უბრძანა, შავ ტაიქებზე ამხედრებულიყვნენ, თვითონ კი ქათქათა ულაყი შეაკაზმინა.

მიპატყების მიწეში აშოთანისათვის ბოლო დღემდე გაურკვეველი იყო. ვახტანგ მეფე არ ჩქარობდა გულისხნადების გამუდუნებას. ნადიმს ნადიმი სცვლიდა, აშოთანი კი ცნობისმოყვარეობას იოკებდა და მეფეს არაფერს ეკითხებოდა, როგორც იქნა, გუშინ საღამოს, ნადიმის წინ, ვახტანგ შაჰნავაზი სასახლის ბაღში ჩაუძლვა სტუმარს, უზარმაზარი მუხის ქვეშ, სავარძელში ჩასხდნენ და მეფემ ჭიჭურ დაიწყო:

— აშოთან ჩემო, ძმაო ჩემო და მოკეთეო...

და აი, თურმე რა ჰქონია მეფეს გულში. აი, რისი გამხელა სურდა...

საუბარი აშოთანის ასულის დარეჯანისა და ვახტანგ ორბელიანის ძის, სულხანის დაწინდვას ეხებოდა.

... მცხეთას რომ გასცდნენ მხედრები, სიცხემ თითქოს იკლო. გაქვავებული აშოთანი უაზროდ გაჰყურებდა გზას.

სულხან ორბელიანი მას წამოსვლის დღეს ანახეს. ყმაწვილი თხოუმეტოვად წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ უკვე ეტყობოდა, ბრგე, ძვალმსხვილი კაცი დადგებოდა. სულხანმა მორცხვად დახარა თავი და სასიამაროს თვალეში არ შეხედა. მერე, ნადიმზე, სუფრის ბოლოში იჯდა

და არ გამოუხატავს სურვილი იმის გაგებისა, თუ რაზე საუბრობდნენ მეფე, მუხრანბატონი და მამამისი ვახტანგი.

აშოთან ბაგრატიონ მუხრანბატონს მეფის წინადადებაზე (რომელიც ბრძანებას უფრო ჰგავდა) დიდი თავპატივი არ გაუღია. ეს კი შეჰკადრა მეფეს — თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც გაუსვია ხაზი ქალიშვილის წარმოსობას:

— ჩემი ასული, დარეჯან ბაგრატიონი, ჯერ თორმეტოვად წლისა თუ იქნება, მეფეზე ბატონო, ბავშვია ჯერად... თან აგებულებითაც სუსტია, დღენიადაგ ავადმყოფობს...

— ვეუო! — გადაიხარხარა მეფემ. — ბავშვია და დაქალდება, ორი-სამიოვად წელი დანიშნულეები იყვნენ, მერე კი საყდარში შეეძოდვეთ ორთავეს.

...სულხან ორბელიანი, დიდი ყაფლანის შვილიშვილი... იცნობდა, როგორ არ იცნობდა აშოთანი ყაფლან ორბელიანს — ამაყს, ცბიერს, გულჩათხრობილ მდივანბეგს. ბევრი თავადი ვერ შეედრებოდა ყაფლანს მწიგნობრობაში, მეფეზე განუხსავლდრედი გავლენით სარგებლობდა. მართალია, ორბელიანთა გვარი ახლოს ვერ მივა ბაგრატიონთა შტოს ბრწყინვალეობასთან, მაგრამ საქართველოს თავადიშვილობაში ერთ-ერთი გამოჩენილი გვართაგანია. ვერც იმას ჩამოავლებდ არჩევანის სასწორიდან, რომ მეფე ვახტანგს მისი სახიძოს, სულხანის მამიდა როდამი ჰყავს ცოლად. ყაფლანზე არანაკლები წონა ჰქონდა მის ვაჟს, ვახტანგს „დიდს ორბელს“, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ ხოლმე.

აშოთანმა შუბლი შეიჭმუნა, დაფიქრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „საქართველოს მოსამართლე, ქართლისა და კახეთის ხელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმაი“... სულხანის დედა თამარიც ძლიერი ფეოდალის, ჯაღ არაგვის ერისთავის ასული იყო. ქალი განსწავლული, სათნო, ხუთი ვაჟისა და სამი ქალის დედა... რა თქმა უნდა, ორბელიანები და ერისთავები ვერ გაუტოლდებიან ბაგრატიონთა გვარს, მაგრამ... აშოთანმა უკან მიიხედა, თითქოს მისი ფიქრები-



სათვის შეეძლოთ ყური მოეკრათ, — მაგრამ... არც თუ ისე შორს არიან თვით ბაგრატიონები-საგან.

იმ წელს სასტიკი ზამთარი დადგა.

ქსნის ხეობიდან მოვარდნილი ქარი გაშმაგებული ასკდებოდა ვეება ალვის ხეებს, შხუილით ჩაიქროლებდა მათ შორის, გაივაცებდა და რა მოიკრებდა ძალას, მუხრან ბატონის მყარად ნაგებ სასახლის კედლებს გამეტებულად ეძგერებოდა...

თვეზე მეტი გავიდა, რაც სულხანი სასიამაოროს სასახლეში ცხოვრობდა. ჩამოვიდა თუ არა, გადაწყვიტა — ერთ კვირაზე მეტს არ დავრჩებიო, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ ისეთი ქარი ამოვარდა, თოვლმა იმ სიმაღლეზე დაჭვარა მიწა, რომ თბილისში, და მით უმეტეს, ტანძიაში წასვლა ფიქრადაც არავის მოუვიდოდა. იძულებული გახდა, დარჩენილიყო. დიდად არც ნაღვლობდა წაუსვლელობას. აშოთან ბაგრატიონის სასახლის ბოლო სართულზე საუცხოო წიგნთსაცავი ჰქონდა.

სულხანს ამ ოთახში ყოფნა ყველაფერს ერიოდა. აქ სიძველისა და წიგნის მტერის თავისებური სუნი ტრიალებდა. ჩუმიად ტკაცუნობდა ბუხარი, გარეთ კი ხტიქია ბობოქრობდა. ხშირად წიგნთსაცავში მუხრან-ბატონის აზნაური — გიორგი იაშვილი შემოდებოდა ხოლმე. წიგნებში ჩაფლულ სულხანს რომ დაინახავდა, იქვე, ბუხართან, სავარძელში ჩაჯდებოდა და იულიუს კეისრის ლათინურ „კომენტარებს“ უკრიკებდა.

აშოთან მუხრანბატონმა, ვახტანგ ორბელიანისა და მეფის დასტურით, შუახანს მიტანებული გიორგი მიუჩინა ყმაწვილს აღმზრდელად. იაშვილი დიდად განათლებული, მრავალი ენის მცოდნე და ცხოვრებისაგან საკმაოდ ნაცვემი კაცი იყო. თითქოს აღარაფერი არ უნდა გაჰკვირვებოდა მრავალ ჭირნახულ აზნაურს, მაგრამ მაინც აოცებდა, სულხანი ასაკისათვის შეუფერებელ ცოდნას რომ იჩენდა, ისიც უკვირდა გიორგის — ყმაწვილი კაცი ასე მოწყურებული რომ იყო ცოდნას...

..., ქ: მე ბარათიან დიდის ორბელის შვილის ყაფლანის ძის, საქართველოს ბრჭედ მთავრისა და მოსამართლედ უხუცესის პატრონის ორბელ ვახტანგის პირმშობა-ძემან, ჭერეთ ყმა კაცმა სულხან დავიწყე ძლის პირთა და გლობათა სწავლა წადინითა იესოსითა და ბრძანებითა მის უსწუროსა მამისა ჩემისათა... მწვრთიდა მცხეთელი ზედგინიქეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწრთიდა იაშვილი გიორგი“.

კარგად იცოდა გიორგი იაშვილმა, რა ოჯახის შვილი იყო სულხანი. ისიც კარგად იცოდა, რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ვახტანგ წ

ყრმის აღზრდას და რომ მეფე თვითონაც მონაწილეობდა ახალგაზრდა ნათესავის წვრთნაში.

სწავლისა და რუღუნების წლებს უქმად არ ჩაუვლია. სულხანმა უკვე იმდენი იცოდა, რომ ბევრ მოწიფულ მწიგნობარსაც შეშურდებოდა მისი ცოდნისა. ბოლო ხანებში შეუჩნდა ყმაწვილი აღმზრდელს — ლათინური უნდა მასწავლოო. გიორგის სქელ წვერულვაშში ეციენებოდა — ადრეა, სულხან ჩემო, ადრეა, ლათინურის სწავლამდე კიდევ ბევრი გიკლიაო. ერთხელ შეგირდი რომ აღარ მოეშვა, იაშვილი ჩაუჭირდა და დუმილის შემდეგ ღიმილით დაიწყო:

— ხალხში გამოგონია ერთი იგავი. დაიმახსოვრე, გამოგადგება. ერთი კატა დაიარებოდა. ნახა, ერთი ძუ ლომი მომეკდარა და ერთი ლეკვი დარჩმოდა. წაიყვანა და ზრდა დაუწყყო. რა გაიზარდა და დიდი შეიქმნა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა.

დღესა ერთსა ნადირი ვეღარ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა შესაქმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაექცა და ხეზე აძვრა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო დამარჩენელო გამზრდელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო?

კატამ უპასუხა: ეს ჩემთვის შევინახე, რა ასრე გამოიჭირებოდა, მომხმარებოდაო.

რა იცოდა სულხანმა მამინ, ცხოვრების ბოლოს სად დასცემდა თავზარს ეს მწარე იგავი.

აშოთან, ბაგრატიონი, მუხრანბატონი, სულხანს ღვიძლი შვილივით უყურებდა. უკვირდათ აზნაურებს — ფიცხი, თავნება, ჭიუტი და ამპარტყვანი, საქრთველოს მეფეებსაც კი, ბაგრატიონთა მეორე შტოს. ზოგჯერ, შინაურებთან საუბარში, ტოლს არ უდებდა — ეშმაკურად მოჭუტავდა ცალ თვალს და რაიმე საქილიკოს იტყოდა ხოლმე. მაგრამ თუ ვინმე აშკვებოდა და მეფის გვარზე რაიმეს იტყოდა — სასტიკად სჯიდა.

სულხანის მუხრანში ჩამოსვლამ თითქოს ერთიანად გამოცვალა აშოთანი. თითქოს მოღობა, თითქოს მოტყუა, თითქოს სადღა, სულის კუნჭულებში ღრმად ჩამარხული სიკეთე ძუნწად, მაგრამ მაინც გამოიჩინა, თითქოს... მოკლედ, მუხრანბატონი ასე გაგულკეთილებული არავის უნახავს. იმდენად დატკბა, რომ გიორგიმ ამის თქმაც კი შეჰკარდა:

— ბატონო! დიდო ბატონო! ნუ განმირისხნდები და... გეტყვი სათქმელს, თუ ნებას დამართავ...

აშოთანმა მძიმედ დახარა თავი.

გურამ სარაძე

ამბავი ჩემი წინაპრისა...

— დიდო ბატონო! უჭირს დარეჯანს... ძალზე უჭირს...

აშოთანი აზნაურისკენ ჩიქურ მოტრიალდა:

— რაებს როშავ, უბედურო, რა უჭირს ჩემს ასულს?

— უჭირს, დიდო ბატონო! ძალზე უჭირს! ვერ მისდევს ბატონ სულხანს სწავლაში... თავს არ ვიწოგავ, იცი ჩემი ამბავი, მაგრამ... მავათი ერთად მეცადინეობა შეუძლებელია...

აშოთანი სავარძელში გადაწვა და გულიანად გადაიხარხარა.

— დაგწყევლოს ღმერთმა, რას არ აფიქრებინებ კაცს... უჭირს და შენც რას ატან ძალას. ქალია და ქალის სამყოფი ასწავლე, თორემ, მორნი სულხანისოდენა შენც არ იცი, არა, გიორგი ჩემო?!

მეორე დღიდან სულხანი და დარეჯანი სხვადასხვა ოთახებში გადიოდნენ წვრთნას.

დარეჯანი ქერთაშიანი, სიფრიფანა ქალწული იყო. მუსრანბატონის ერთადერთ მემკვიდრეს, კეთილსა და სათნო დარეჯანს სასიცოცხლო რომელიღაც ძარღვი აკლიაო, იფიქრებდა კაცი. კვირა არ გავიძლოდა, ორჭერ-სამჭერ არ შედო-ნიბოდა გული. ცისფერი თვალები ისე ნაღვლიანად გიმშრდნენ, გეგონებოდა, უკანასკნელად ვხედავ ამ უმანკო ანგელოზს და უსიტყვოდ მემშვიდობებო.

ექიმები — მამა-შვილი თურმანიძეები მისი ოთახის გვერდით ცხოვრობდნენ. ნაღვლიანად იღიმებოდა დარეჯანი და დღითიღვე იფერფლებოდა. იქნებ ეს იყო გულშვიალი მუსრან ბატონის სასიათის შეცვლის მიზეზი და სულხანში ხედავდა შველას?! ვინ იცის... მთელი ზამთრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაიხარა გულით დარეჯანმა. მამამ თავზე გადაუსვა ხელი, მოუღერსა და ამცნო:

— ჩემო გოგონა, ჩვენს სულხანს რაღაც იგავები შეუთხზავს და გიორგისთან ერთად დიდ დარბაზში ბერიკაობას აპირებს... შენთვის აწყობენ, შვილო... თავს ხომ კარგად გრძნობ?..

დიდ დარბაზში, ოჯახის წევრებს გარდა, სასაღლეში და ახლომასლო მცხოვრები თავად-აზნაურობაც შეიკრება. დარბაზის ნაწილი სახელდახელოდ გადაეტიხრათ მძიმე ფარდაგებით. იქიდან ჩუმნი საუბარი და ფუსფუსი ისმოდა. მერე წარმოდგენა დაიწყო.

„... ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა, საქებნელად წავიდა. ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურმე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურმე ებოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა: ვირი თუ შენია, საპოვნელა მონიკ მომეცი! ერთმანეთსა ვერა შეატყობინეს რა.

ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას უჯდა. მივიდნენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურმე ის უფრო ყრუ იყო. ეგონა: დიაცს მართმევენო. ფიცი

თქვა: ცოლი მომიკვდა და ეს მისი მოახლე არისო, სხვისას ნუ გგონებთო! ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა, ყაღთან წავიდნენ, ყველამ თავისი საჩივარი თქვეს. ყადი თურმე სიბერით დაყრუბულიყო, რამაზანი იყო. ეს მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მოამბენი ეგონა, თქვა: რადგან მოვარე უნახვან, ნალარას კართოთ: ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა...“

... დარბაზში სიცილი ატყდა. დარეჯანი ადგილზე ვეღარ ისვენებდა, სიცილისგან ცრემლები სდიოდა, უნდოდა გაეგო, ვინ — ვინ იყო. ვირის მოვინელი შეიცნო. დანარჩენები კი ვერა. ისე ოსტატურად შეეცვალათ სახეცა და იერიც. წარმოდგენა კი გარკვევითა...

„... მეფე ვინმე იყო და ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა, რომე მისის პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდეს. მეფე ხუთის წლის საეაღს ლაშქრად მივიდოდა და ავსიტყვას უთხრა: ერთი კარგი სიტყვა სთქვი და მუნით მოვალ, კაბას მოგცემი!

ავსიტყვამ უთხრა: რომ ვეღარ მოხვიდე, ვინა მომცემს და კარგი სიტყვაც დავკარგო!

წავიდა მეფე, ორი წელი გამოხდა ავსიტყვამ მეფის უნახაობა ვეღარ ვასძლო ჭა წავიდა მათად ნახვად. რა მივიდა, მეფემ უწინარეს ნახა და ვაზირს უბრძანა: აჰა, ყამყარალი მოვა და ნურას ამბავს ჰკითხავთ, ავს იტყვის. შენ ჩემი გომის ამბავი ჰკითხეო: მოვიდა და მეფის წინ მიწას აკოცა. ვაზირმან ჰკითხა: კაცთაწყინარო, მეფის გომია რასა იქმსო? მან უთხრა: მოკვდაო.

ვაზირმან ჰკითხა: რა სჭირდაო!

მან უთხრა: მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, მისი მძორი ჭამა და მით მოკვდაო.

— აქლემი რამ მოკლაო?

მან უთხრა: მეფის დედა ამ სოფლის ვარდა-იცვალა და იგი ავკიდეთ საფლავამდის და მან მოკლაო.

მეფეს გულთა ცეცხლი მოედვა და ჰკითხა: იგი რამ მოკლაო, რა დაესენაო?

მან მოახსენა ტირილით: პირიშე დედოფალმან საწუთრო დასცალაო და მისმა ნაღველმან მოკლაო.

მეფემ წვერგლეჯით ჰკითხა: მას რა დაესენაო!

— მან მოახსენა:

— თქვენი ძენი და ასულნი ყვავილმან გაწყვიტნა და სიმწარეს ვეღარ გაუძლოო.

მეფემ ჰკითხა თავში ცემით: მამ, შენობა აღარა დარჩებოდა რაო?

მოახსენა: მე რომ იქ ვიყავ, თქვენს სასახლეში ბზესა ჰყრიდნო და აწ აღარა ვიციო.

თურმე მისი სიტყვა ყველა ტყუილი იყო და კაცთა საწყენად მოიგონეს...“

„... ერთი მეპატრონე შევიდა მარანსა თვისსა ნახვად ღვინისა. ნახა ქვევრის პირსა ერთი ჯამი იღვა. ჰკითხა მემარნესა

— რად ღვას ჯამი ესე აქა?  
მან მოახსენა: რაოდენჯერ შემოვალ თითოს  
ამით ღვინოს შეესვამო.

ეწყინა მეპატრონესა და ეგრე თქვა: ჩემი  
ღვინო ამა კაცსა აუხორბობი.

და ერთი კაცი სხვა დაუყენა თავსა, რომე  
მაგოდენს ღვინოს თუ ასმევო.

მეორეზე რა შევიდა მარნად, ნახა ორი ჯამი  
იღგა ქვევართან.

ჰკითხა მეპარნესა: ეს რა უნდა იყოსო?

მან მოახსენა: ერთი ჩემია, რომლითაც ესვე-  
მდი და მეორე მაგ ჩემს ამხანაგს მოუძღვება,  
ახლა რომე დამიყენო...“

გადაწყდა — ქორწილი თბილისში გადაეხა-  
დათ და მესამე დღეს ახალგაზრდაწერილები  
სულხანის სამშობლოში, ტანძიაში გამგზავრე-  
ბულიყვენ. დაბტვირთა მუხრანბატონის ურმე-  
ბი საკლავითა და ფრინველით, კუპრით შავი  
ღვინითა და ნაირნაირი ხილით. ასევე დაბტვირ-  
თული ქარავანი ტანძიდანაც მოემართებოდა  
თბილისს. ერთი რამ იყო ზედმიწევნით საწყუ-  
ნი — მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი ქორწილს ვერ  
ესწრებოდა.

ისპაჰანში დიდი ხანია უკმაყოფილონი იყ-  
ვნენ შაჰნავაზის ხელმწიფობით. საქართველოს  
მეფეს ქვეყნის გაერთიანება მოენდომებინა.  
მან ჰერ იმერეთში, ხოლო შემდეგ კახეთში და-  
სვა მეფედ თავისი უფროსი ძე თეიმურაზი. მა-  
გრამ ყოველ ნაბიჯზე თავადების თვითნებობას  
აწყდებოდნენ. მეფე ვახტანგი სასწრაფოდ გა-  
მოიძახეს ისპაჰანში, ტახტზე კი მისი მეორე  
ვაჟი, გიორგი XI ავიდა.

ახალი მეფე მეტად დადარღიანებული იყო  
მამის ისპაჰანს გამგზავრებით, მაგრამ არ ინ-  
დომა გული დაეწყვიტა მამიდაშვილისათვის და  
ქორწილს მაინც დაესწრო. ზღვა ხალხი მოაწ-  
ყდა სიონის ტაძარს. სულხან ორბელიანსა და  
დარეჯან ბაგრატიონს მუხრანბატონს ჰვარს თვით  
კათალიკოსი სწერდა. სანთლების ლიცილიცში  
მრავალხმიანი გალობით დაადგეს მათ გვირგვი-  
ნი.

უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ტა-  
ძრის შემოსასვლელთან ხალხის ზღვა გაიპო,  
ქუჩიდან ქვითინი მოისმა. სულხანმა უკან მოი-  
ხედა, კარიბჭეში მანდატურთუხუცესი იღგა-  
ხელში ვადაში გადატეხილი ხმალი ეჭირა. აღ-  
შფოთებულმა კათალიკოსმა წარბები ზეაწია.  
ასეთი რამ ტაძარში, ჰვარის წერის დროს, თით-  
ქმის მკრეხელობა იყო.

მანდატურთუხუცესი კი პირდაპირ მეფისაკენ  
მოემართებოდა. ისეთი მტკიცე და მძიმე ნაბი-  
ჯით, თითქოს ქუსლებით ლურსმენებს აქედებ-  
სო...

— ისპაჰანს მიმავალი მეფე ვახტანგ V შაჰნა-  
ვაზი გზაში უეტრად გარდაიცვალა!!!

ის ზამთარი დარეჯანმა და სულხანმა თბილი-  
სში გაატარეს. დარეჯანი იშვიათად თუ დგებო-  
და სარეცილიდან. დამნაშავესავით მიაპყრობდა  
მეუღლეს დიდროს ცისფერ თვალებს. სულხანს  
გულს უტლავდა ცოლის ავადმყოფობა. ის უფ-  
რო ახლებდა, რომ დარეჯანს ვერაფრით შვე-  
ლოდნენ ექიმები — ქალი დღითიდღე სუსტდებო-  
და.

გასკდა თუ არა ხეზე პირველი კვირტი, თურ-  
მანიძემ ურჩია — ტანძიაში აიყვანეთ, იქნებ  
მთის ჰაერმა და ადგილის გამოცვლამ ცოტა  
ხნით მაინც მოაბრუნოს ქალბატონი საამქვეყ-  
ნოსო.

ჩარდახიანი ურემი ტაჩით დაადგა ტანძი-  
ისაკენ მიმავალ გზას. ჰერ თელეთში შეისვენეს.  
მერე მარაბღის ახლოს. ღამე მარნეულში გა-  
ატარეს და დღითი, პირველ კვიონზე დაად-  
გნენ გზას. ბოლნისამდე არ შეჩერებულან.

სულხანი მალიმალ ჩამოხტებოდა ცხენიდან,  
გადასწევდა ფარდაგს და დარეჯანს გვერდით  
მოუჭდებოდა. მოახლე ქალს ავადმყოფის თავი  
ხელისგულელებში ეკავა. დარეჯანი ტანჯული სა-  
ხით კვლავ დამნაშავესავით უდიმოდა სულხანს.

— ცოტაც მოითმინე, ჩემო სიცოცხლევე, ცო-  
ტაც და მალე შინ ავალთ... ნახავ, ერთ კვირაში  
ფეხზე წამოგაყენებენ ჩვენი ექიმები...

ბოლნისიდან გზა აღმართს მთის სოფლისაკენ  
მიუყვებოდა. აქ გაზაფხულის მხოლოდ ოდნავი  
სურნელი იღგა. ეს სურნელი ბარიდან ნელა  
ამოდიოდა, თითქოს უჭირდა ამ აღმართზე შე-  
უსვენებლად ამოსვლა.

„ცოტაც მოითმინე, ჩემო სიცოცხლევე, ცო-  
ტაც, გენაცვალე... ნახავ, ერთ კვირაში ფეხზე  
წამოგაყენებენ ჩვენი ექიმები...“

დარეჯანმა ტანძიაში ერთი კვირაც ვერ იცო-  
ცხლა. მეხუთე დღეს დალია ტანჯული სული.  
ამბობენ, მოგონებას დრო სჭირდებაო. იგი  
წამიერად ამოტივტივდება, გაკრთება გონებაში.  
მოგონებებს ხედავენ, შეიგრძნობენ, იგი ესმით.  
მოგონებები სურნელსაც კი აფრქვევენ...

სულხანი იღგა და თვალს ავლებდა ოთახს იმ  
მტრული შეგრძნებით, იმ მტანჯველი გაურ-  
კვევლობით, რასაც ყოველი სიკვდილის შემდეგ  
იწვევს ჩვენში საგანთა უტყვი ცხოველმყოფე-  
ლობა. ამ ოთახში მას ყოველი წვრილმანი ახ-  
სოვდა, მაგრამ დარეჯანის სახე მთლიანობაში  
ვერასგზით ვერ აღიღვინა. ახსოვდა მისი თმა,  
თვალეები, შუბლი, დაწვეები, ტუჩები. ახსოვდა  
მისი ხმა და მისი სურნელი. ერთიანად სახე კი  
ვერ იქნა და ვერ დაინახა — სახის ნაცვლად  
თვალწინ გაუფლვებდა ცოლის მორცხვი, თით-

გურამ ხარაბიძე

ამბავი ჩემი წინაპრისა.

ქალა და მინაშვე ღიმილი და ისიც უმაღლე ქრებოდა.

დარეჯანის სიკვდილი სულხანისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. დიდი ხანია შეეგუა იმ აზრს, რომ ქალი საიმკვეყნოდ იყო განწირული. მაგრამ ასეთი თუ იყო სიკვდილი, არ ეგონა — ცივი, მუნჯი, უცხო. დარეჯანი ერთბაშად გახდა უცხო. ოდნავ შესამჩნევად ღიმილი შეჩინებოდა გაფერმკრთალებულ ტუჩებზე. არ ჰგავდა მიცვალებულს და თან ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ იგი ოდესმე დაიძლია, ლაბარაკობდა, მორცხვად ეფერებოდა სულხანს. უჭირდა სულხანს ამ ოთახში შემოსვლა, მაგრამ გული მაინც აქეთ უწევდა. თითქოს დარეჯანი ისევ ელოდებოდა, ელოდებოდა დრმა სავარჯულში გადაწოლილი. დღე დღეს შისიდევდა, თვე თვეს. სულხანი მთვარეუღივით დაიარებოდა, არავის ეკარებოდა. მარტოდმარტო დაეხეტებოდა ტანძის ახლოს გორაკებზე და მუსრანში. ორჯერ მიიბატეა გორაკი მეფემ თბილისში — საქმე მაქვს და ჩემს ირგვლივ კაცს ვერ ვხედავ მის შემხრულბებელს. სულხანმა ორჯერვე მოიბოდიშა. — შეუძლოდ ვარ, ვერც მგზავრობას ვიტან და ჭრჭერობით ვერაფრის მაქნისი ვერა ვარ, ძალზე სუსტად და გონებაარეულად ვგრძნობ თავსო.

ბერუკა ზედგინიძე ლანდივით, შორიახლო დაჰყვებოდა. ესმოდა ყრმის მდგომარეობა და მიაჩნდა, ვერავითარი წამალი და შეგონება ვერ უშველიდა მგლოვიარებს. მხოლოდ დრო იყო მისი მკურნალი, გიორგი იაშვილი კი დარეჯანის სიკვდილის შემდეგ უღევს დაემსგავსა. თბა აბურძნებოდა, თვალის უბეები ჩამოხიებოდა და დღეში სამჯერ თვრებოდა და ფხიზლდებოდა. სულხანმა რამდენჯერმე მოჰკრა თვალი გიორგის — სიფლისის ბოლოს, მინდორში გაეყვანა ათიოდე გლეხი და რაღაცას უქადაგებდა. გლეხები იცინოდნენ. სულხანს რომ მოჰკრავდნენ თვალს, ფხიზე წამოიჭრებოდნენ, მღაბლად დაუკრავდნენ თავს და სოფლისაკენ გაემართებოდნენ. იაშვილი კი საწინააღმდეგო მხარეს, მთებისაკენ იღებდა გეჯს. რაზე საუბრობდნენ, სულხანმა არ იცოდა და არც აინტერესებდა.

ერთხელ კი გაიგო, იაშვილი ბერებს უმოწყალოდ უტყემათ და მესამე დღეა, ოთახიდან ვერ გამოდის, ზედგინიძე უზიდავს საქმელსასმელსო.

სულხანისათვის ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო. ჯერ კიდევ მუსრანში მთვრალმა იაშვილმა ისე უშვერად მოიხსენია ქრისტეს რჯული, სულხანის ხათრი რომ არ ჰქონოდა, შვედღეს დააყრიდა აწნაურს მუსრანბატონი, სწორად უთქვამს ზედგინიძეს სულხანისათვის — გიორგისთანა განათლებული კაცი ბერის არ დადის საქართველოში, მაგრამ აზრები აქვს საშში, ცოდვილი, არაფერი არ სწამს ამკვეყნად — არც ღმერთი და არც ეშმაკიო. სულხან-

თან საუბარშიც სწორად გააღწერავს გესლიანი სიტყვა იაშვილს ხადვთო სჭულზე. ცდილა კიდევაც, თავისი ურწმუნოება შთაგონებინა მოწაფისათვის, მაგრამ სულხანი კლდესავით დახვედრია და იაშვილსაც ცბიერი ღიმილით იმდღეს აღარ უცდია ყრმის გადაყვანა ეშმაკის კაღზე. საკვირველი ის იყო, რომ იაშვილი ბერი იყო, ტარტაროზისეული აზრები თითქოს ხელს არ უშლიდა გულმხურვალედ ელოცა და ქრისტიანული ყველა წესი შეესრულებინა. ლოცვის შემდეგ კი კვლავ შეეძლო ლანდივით მოეხსენებია ის ღმერთი, რომელსაც ახლანან სანთელს უნთებდა.

...იმ დღეს სულხანი თავის სენაკში იჯდა და უაზროდ გაჰყურებდა ბოლნისისაკენ მიმავალ გზას. შუადღე იყო. გლეხები შორს, მთის ძირას, თავს ზვინავდნენ. მარცხნივ, სამკედლოში, გამაღებით სცემდნენ უროს — ზაირი არ იძვროდა. ქრიტიონბელებს ყურთასმენა მიჰქონდათ. სიცხისაგან დაოხებული ძალი კაკლის ძირას მივადებულყო. გზაზე ტენოსნები გამოჩნდნენ. ორბელიანების სასახლეს რომ მოუახლოვდნენ, სულხანმა ბოლნისელი მღვდლები შეიცნო და სარკმელს მოსცილდა — გული უგრძნობდა, კარგი ამბისათვის არ ამოვიდოდნენ ამ გაჯანია სიცხეში შავოსნები და ცუდი ამბის მოსმენა კი არასდიდებით არ უნდოდა.

ვერ მოახერხა დამალვა და უსიამოვნო საუბრის თავიდან აცილება. დიდი ბატონი ტანძიაში არ იმყოფებოდა და ერთადერთი ადამიანი, ვისი ნახვაც მათ სურდათ, სულხანი იყო. საქმე გიორგი იაშვილს ეხებოდა, მის მიერ ამას წინათ მონასტერში ატენილ აყალბაყალბას: შუადღის ლოცვისას ბერებს მთვრალი იაშვილი გამოეცხადებოდა. ჯერ მათთან ერთად ულოცია, მერე ყველა მეგობრულად მოუყითხავს და, მიუხედავად სიმთვრალისა, დარბაისლურად სკერია თავი. შემდეგ რა ბუზმა უქბინა, არავინ იცის და კამათში გამოუწევია ბერები. ქაღალად დავარდნილა და ურცხვი სიტყვებით შეუბილწავს წმინდა სამყოფელი. ამბობდა თურმე: ქრისტიანული რელიგია ვირების მოძღვრებააო. გაიძვერებისა და უმეცარი ვირებისაო. ეკლესიებს პატრიმოყვარე, გაბოროტებული, ურწმუნო სუცები მართავენ და ვირებს თავის ჭკუაზე ატარებენო. ისლამი კი ქვეციანი აქლემების მოძღვრებააო — ქრისტიანობაზე უფრო ბნელი და აყროლებული. არ არსებობს არავითარი მარადიული ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამებაო. ქრისტე თვით იყო უდიდესი ცოდვილი — სადაც გაუფიქროდა, სცოდავდა და რას არ სჩადიოდა თავის განდიდებისთვისო. გავისხნოთ თუნდაც მისი ბოლო დღეები გამოუსწორებელი ცოდვა, როცა მიიწოდებოდა, წინ აღდგომოდა მამადმერთის ნებას და დასჯას გაქცეოდა, რისთვისაც, ბოლოს და ბოლოს, იყო ამკვეყნად მოვლენილიო. ქართველები თვალთმაქცობენ,

ღმერთი გვწამს. სინამდვილეში კი თვითეულ მათგანს პატივმოყვარეობის გველემებაში უზის სულში და არც ერთი ჩვენგანი უარს არ იტყოდა, ღმერთად რომ გამოგვეცხადებინაო. ეს გველემება, ერთმანეთს რომ ახოციებებს ქართველებსო. ასე იყო, ასე არის და ასეც იქნებაო. შემოსეულ მტერს იმდენი ქართველი არ გაუწყვეტია, რამდენიც ამ პატივმოყვარე გველემებას შეეწირაო. ღმერთი გვწამსო? ტყუილიაო. დღემდე კერპთაყვანისმცემლები ვართ, მხოლოდ სხვადასხვა კერპს ვეთაყვანებითო. ერთი კერპი კი გვყავს საერთო — არაფრის არაფრად ჩაგდება, ჭილიკი, დაცინვა, ოხუნჯობა და მოყვასისათვის ორმოს თხრაო.

და ბოლოს, იაშვილს ბერებისათვის კიდეც ერთხელ უწოდებია ვირები და გაიძვირები. რისთვისაც უგვემიათ კიდეც.

შავოსნები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცილებდნენ, აღელვებულნი და აღშფოთებულნი მოითხოვდნენ იაშვილის დაუყოვნებლივ განდევნას, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით შევლა-დადებთ მამა კათალიკოსს, მოგვაცილოს ეს უღირსი ბერი და დიდ ბატონსაც დაუყოვნებლივ შევატყობინებთ მისი მემკვიდრის მასწავლებლის ბნელეთით მოსილი სულის ნაღებსო. კიდეც კარგანას იქოთქოთეს ღვთის მსახურებმა, საღილი მიირთვეს, შესხდნენ ჯორებზე და დაიმედებულნი გზას გაუდგნენ.

ერთი პირობა იფიქრა სულხანმა — მოველაპარაკებო გიორგის, ნუ სტეხს შფოთს და ავს ნუ აუტეხავს თავსო, მაგრამ გადაიფიქრა და სიჩუმე ირჩია. იაშვილი შენიშვნას ვერ იტანდა და პატარა ბაღლივით გაბუტვა იცოდა. თავისას კი არ დაიშლიდა. უცნაურად ჰქონდა ტვინი მოწყობილი. ვინც კარგად არ იცნობდა, შლეგი და ბორბოტი კაცი ეგონებოდა იაშვილი...

კიდეც რამდენიმე დღე დარჩა ორბელიანი ტანშიაში. მოურავს დარიგებას აძლევდა. დაიარა, ბავშვობიდანვე შესისხლბორცებული საყვარელი ადგილები, კიდეც ერთხელ მოინახულა საგვარეულო სასაფლაო, ეკალ-ბარდებიდან გააშენდინა წინაპართა საფლავები და მათი სულის სახსენებლად სანთლები დანათო კარის ეკლესიაში. მერე ხურჩინში ჩაალაგა წიგნები, ფრთხილად დაღო შემოდან თავისი ივავ-არაკების ხელნაწერი. გამოემშვიდობა ახლობლებს და ხისხამ დილით თბილისისაკენ დააღდა გზას. თან გიორგი იაშვილისა და უმცროსი ძმის, ზოსიმეს გარდა არავინ წაუყვანია.

ბოლნისისაკენ თავქვე ისე დაეშენენ. ხმა არც ერთს არ ამოუღია. გიორგი უკან რჩებოდათ, ლოთობისაგან დახისხლოანებულ თვალებს აბრიალებდა.

სულხანის ცხენი წინადლით დაექედით და ჯერ უტირდა ჩქარი სიარული. ბოლნისს რომ გასცდნენ, კუნტარუში დაიწყო. ლაგამს ღრღნი-

და და დოღის ცხენივით ქენება სურდა. ნებაზე მიუშვა ტაიჭი ორბელიანმა. ქარი ჩაუღდა ყურებში. ცხენის მწითური ფაფარი ახლადმოშვებულ წვერზე წვრილ-წვრილ მათრახბევით სცემდა. ცეცხლი ჩაუღდა ძარღვებში იაშვილსაც. გამოენთო სულხანს, სულ ფეხდაფეხს სდია, ვიდრე აღმართზე, ხევის პირას არ წამოეწია. დასჭყვილა ჯერ კიდეც ახალგაზრდა მასწავლებელმა და შეგირდი შეაგულაანა. ზოსიმეც ცდილობდა, წამოსწეოდა უფროსებს, მაგრამ წიგნებით დატენილი ძმის ხურჩინები აფერხებდა მის ფერფლისფერ ულაყს.

ცხენები მიძიმედ სუნთქავდნენ, დუჟი მოსდებოდათ ლაშვებზე. პირველმა სულხანმა მოწიდა აღვირი — დანებდა ჯიუტ იაშვილს. შემდეგ გიორგის ცხენმაც უტოლო სვლას. ცოტა ხანში ზოსიმეც წამოეწიათ. მხედრები გახურებულ იყვნენ და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე. ერთხანს კიდეც იარეს და მერე მუავე წყლებთან ჩამოქვეითდნენ. ისაუშმეს. კიდეც ერთხელ დაიბანეს ხელ-პირი მოვარდისფრო წყლით და ამხედრდნენ. ახლა გიორგი კვლავ უკან მოჩანჩალებდა და გუნებაგამოსწორებულ ი, თავისთვის რაღაცას ღლინებდა. „სანამდღეს — გაიღმა სულხანმა და მასწავლებელს მოუტრიალდა. შორს, მუავე წყლებთან მტვრის კორიანტელი იდგა. „მხედრებია“, — გაიფიქრა სულხანმა და ქუსლი ჰკრა ტაიჭს. ერთი-ორჯერ კვლავ მოიხედა უკან. მხედრები უკვე ნათლად ჩანდნენ — ხუთამდე იქნებოდნენ. შემდეგ სადღაც გაქრნენ და მარნეულამდე აღარც გამოჩენილან.

იალღუჯის მთის ქიმიდან ორი მხედარი დაეშვა მათ შესახვედრად. იაშვილი ზოსიმეს ცხენზე გადადებულ ხურჩინს სწვდა და თავის ტაიჭს გავაზე გადაჰქიდა.

— თათრებია, მავათი... — ჩაისისხნა და კვლავ ზოსიმეს მოუბრუნდა: — სატევარი იძრე, შვილო, და ნურაფრის გეშინია...

სულხანს მკვდრის ფერი დაედო. ურყოლამ დაუარა ტანში. თავის ძალის იმედი ჰქონდა ორბელიანს — ამას წინათ ტალანში ჩაფლობილ დატვირთულ ურემს გოლიათური მხარი შეუდგა და სამშვიდობოს გაათრევინა ხარებს. არც გიორგისა ედარდებოდა — კენჭივით მავარი და შეკრული იყო იაშვილი, შმაგი და სწრაფი.

ზოსიმეს შიში იყო, ფარვანასავით რომ დაუარა ურუნტელად ტანში...

ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა. თათრები ვეება სატევრებს იქნევდნენ — დაუჭრელად უნდოდათ ჩაეგდოთ ტყვეები. ერთხელ ქამანდიც კი მოსდეს კისერზე გიორგის და ცხენიდან ძირს გადადინეს ზღარათანი. იმარჯვა ზოსიმემ —

გურამ ხარბიძე  
ამბაპი ჩემი წინაპრისა...

ხმლის წვერით მისწვდა ტყავის დაჭიმულ ყულფს და გადაქრა. გიორგი ცოფიანივით ზეწამოიჭრა და თათრის ისეთ ძალით აძგერა ხმალი მუცელში, რომ მან უმაღვე დაიწყო მიწაზე კრუნჩხვა. სულხანიც გამეტებულად იქნევდა სატევარს. ზოსიმეს ახლოს ტრიალებდა და ხრინწიანი შეძახილით ამხნევებდა ძმას. გიორგის ცალი ხელით მოკლული თათრის ცხენის ადვირი ჩაებღუჭა და კვლავ განაგრძობდა ვაშმაგებულ ბრძოლას...

...უჩაღები ისევე სწრაფად გაუჩინარდნენ, როგორც გაჩნდნენ. მინდორზე ორი გვამი დარჩა. გადარჩენილი სამი მომხვედური კი იაღლუჯის სერს გადაევლო. ადვილი მოსალოდნელი იყო, ეს სამი თათარი მავშელი რაჟმის მოსაყვანად წასულიყო. ასე იოლად არ დათმობდნენ ისინი თავადიშვილებისა და მათი მსხლებლის ხელში ჩაგდების შესაძლებლობას.

ორბელიანმა ცხენი შემოატრიალა — მომყევითო. დაიძახა და მარნეულისაკენ გაბრუნდა. ნათელი იყო — მხლებლების ტყერეშე ისინი თბილისს ვერ მიაღწევდნენ და ტყვეებით მოვაჭრეთა ხელში აღმოჩნდებოდნენ.

ცა მოიქუფრა. ჰაერში მოახლოებული წვიმის სუნი დატრიალდა. სადღაც იქვე, მათ თავზე-მოთ, დაიქექა. ერთბაშად ღვარად გადმოიონხა კოკისპირული წვიმა და წაშში ამოლუმბა ცხენკაცი...

— მე დათა მქვიან, შენი კვენსამე, თავადო, დათა გონგლიაშვილი. აბა რას მოვიფიქრებდი, ჩემ ქოხს თუ იკადრებდი და მესტუმრებოდი... დედაკაციც შინ არა მყავს... ნათილდედანთ არის წასული ბაღდებიანად. შვილიშვილები წაახსა მანგლისს... ორ კვირას იქ დარჩებიან... შეძლებული ოჯახს აქვს ნათილდედას, ღმერთი უშველის იმასა...

...ბუხარში ცეცხლი გიზგივებდა. წვიმა ვაღაღებდას არ აპირებდა. ქოხში სველი ძაღლის სუნი ტრიალებდა. ბუხრის წინ, ტაბლაზე, მოსხუც გლეხს სახელდახელოდ ვაეშალა სუფრა — ბური, გუღის ყველი, მწვანელი, მონარშული კვერცხები, პარკი ლობიო და ხელაღიო ღვინო.

მგზავრებს ბუხრის სითბოსაგან ჩოხებზე ორთქლი ასლიოდათ. დაწუნარებულიყვენენ. ზოსიმესათვის მასპინძელს კუთხეში ნაბადი ვაეშალა და ყმაწვილს მშვიდად ეძინა. გიორგის ღვინის სმის დაწყებამდე სამი პატარა ყანწი არაყი გამოეცალა და მხიარულ ხასიათზე ღამდგარიყო. ღღევანდელი შემთხვევა არც თუ ისე საშინლად ეჩვენებოდა.

სულხანი მღუმარედ ჩასცქეროდა ცეცხლს. ბევრი სმენია ყმებით ვაჭრობაზე. ბევრ მის ახლობელს მოსტაცეს და გაუყიდეს ყმები, გლეხები, მაგრამ ამ საშინელებას პირისპირ მხოლოდ დღეს შეეყარა. თავზარდამცემი და სამარცხვინო ის იყო, რომ მარტო თათრები კი არ იტა-

ცებდნენ მოსახლეებს, ადგილობრივი თავად-აზნაურობაც ითობდა ხელს ამ საქმით და თითქოს მისი ფიქრების პასუხად კვლავ აღუდუნდა დათა:

— მიიმე დრო დავიდეგა, შენი კვენსამე, მიიმე... თათრს როგორღაც დავაღწევთ თავს — მარტონი არ დავიარებთ და დავლანდავთ თუ არა მტერს — ვებრძვით, აბა რა ჩარა გვაქვს. შინაურისა უფრო გვეშინია, შენი კვენსამე, შინაურისა... ნახევარი სოფელი მონობაშია გაყიდული... ნახევარი კი, აბა მიყურე, შენი კვენსამე, მიყურე, — დათამ გრძელი ჭაღარა თმა გადაიწია და... ყურების ნაცვლად ორი მიმჭკნარი ხორცმები გამოაჩინა. — ჩემი ხელით დავიქერ ყურები... აბა, მახინჯი მონა ვილას რად უნდა. ზოგმა ცხვირი მოიჭრა, ზოგმა ცალი თვალი ამოიხხარა, ზოგმაც მარცხენა ხელზე თითები წაიხსიხა, შენი კვენსამე... თათრს გაუმკლავდებით-მეთქი, თავადო, ბატონების გულსაც როგორმე მოვიგებთ, აი, გზირებს კი ვერცერთი ჩვენგანი ვერ გადავურჩებთ, ალბათ დევით შეჩვენებული ასპიტები არიან, ადამიანის კაბაში მოვლინებული. ვერ გააძღებ გლეხიკაცის ცრემლითა და სისხლითა... მოჰყვა და მოჰყვა გზირების კრულვასა და გინებას.

...შუაღამე გადასული იქნებოდა, სულხანი რომ წამოდგა, ბუხართან სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. სტუმარ-მასპინძელს გულიანად ეძინა. ხურჩინიდან ის რვეული ამოიღო, რომელსაც უღაზე „სიბრძნე-სიცრუისა“ ეწერა. ნაღვერდალი გაქექა, ფიჩხი შეუკეთა და წერა დაიწყო: „კლარჯეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანხსლი და მტერი სოფლისა მის. შეაწუხა იგი სოფელი და სრულად ააოხრა. მოიგონეს მიწეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვერცხლი წაართმევიონს. მოვიდა დღე გზირის სიკვდილისა. მოიხმო სოფლის კაცნი და ეგრე უთხრა:

— მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია და, რადგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მობაბთ, გამათრიეთ და ხეზე ჩამოკიდეთ! რა მოკვდა სტონენ კაცნი, იგი და, რა უთხრა, ყველა ჰყვეს. ნახა ვინმე თათარმან გზირი ხეზედ კიდებული, წავიდა, ყადს უთხრა ჩვენი გზირი დაურჩვითო. გამოუსივს კაცი სოფელსა მას. ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა: ცოცხალმან მოვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!“

სულხანი ისევ ცეცხლს მიაჩერდა. წვიმას გადაეღო და სოფელში ძაღლების გაბმული, ყრუ ყმული ისმოდა...

●  
თბილისში შედარებით მშვიდი ცხოვრება დამდგარიყო. ერის კეთილდღეობისათვის თავდადებულმა გიორგი მეთერთმეტემ ისლამი მიიღო

და ამ ნაბიჯით ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მისცა. კარგა ხნით შეწყდა თაბართა შემოსევები — გიორგი მეფე მათ ერთგულ ვასალად მიაჩნდათ.

კვლავ აიყარა ვაჟმა ტანი, წამოიჩინა ტანი და ბაღში ახალი ნარგავები. აქა-იქ სიმღერაც გაისმა. ქალაქად ხელოვნები უშინობად მიჰყვებოდნენ საქმეს. ვაჭრები, აქლემთა ქარავნები დაუბრკოლებლად შემოდოდნენ გორს, მცხეთას, თბილისს. დღის წესრიგში სრულიად საქართველოს ერთიანი ტახტის ქვეშ შეერთების საკითხი დგებოდა...

ოცდაშვიდი წლის სულხანი მეფის მარჯვენა ხელი იყო. გამჭირავსი გონების, განათლებული და ვაჟკაცური შემართების ქაბუკი სახელმწიფო საქმეებში თამამად ერეოდა, უმალ სჭვრეტდა თავადთა მოსალოდნელ მუხანათობას, გულფიცს კედელივით ედგა გვერდით და გონივრული რჩევით დინჯდა, აუჩქარებლად გადაწყვეტინებდა ხოლმე შინაურ თუ საგარეო საკითხებს...

სასახლეში, სასახლის ბაღში, პატარა ვახტანგ ბაგრატიონი დარბოდა. წუთს არ ისვენებდა. დღენიადგ სათამაშო ხმალი ერთჯერა წელზე, მშვილდ-ისარი ხელთ ეყრა და ტოლებთან ერთად ხან ვის ესხმოდა თავს, ხან ვის.

ზღაბრულ უფლისწულს ჰგავდა პატარა ვახტანგი. მუქი წაბლისფერი კულულები ბეჭებზე სცემდა. ცისფერ თვლებში ჭინკები დაუხტოდნენ. გადიები ბაღსა და სასახლეში გულგახეტოიანი დასდევდნენ, ემუდარებოდნენ, ხიდან ჩამოსულიყო და საუზმე მიერთვა. კარის მოძღვარი აღმფოთებას ვერ ფარავდა — ყრმა უფლისწული საღვთო სჯულს არ ისმენდა, ჭამის წინაც სზირად ლოცვა ავიწყლებოდა.

ერთადერთი მასწავლებელი, ვისი რიდიც ვახტანგს ჰქონდა, სულხან ორბელიანი იყო. იგი ჯალდოსავით მოქმედებდა ბავშვზე. ეს უზარმაზარი შავწვერა კაცი კეთილ თვალბს მოწყურავდა, თავზე ხელს გადაუსვამდა პატარას, მხრებზე შეისვამდა და თავისი ოთახისაკენ მიეშურებოდა. იცოდა ვახტანგმა — სულხან-ბატონს ცოტა დრო ჰქონდა, სულ რაღაცას წერდა ან მეფესთან მიეჩქარებოდა. არ ჯიუტობდა, სიხარულით მიჰყვებოდა მასწავლებელს. ძალიან მოსწონდა მისი იგავ-არაკები. ბევრი უკვე შეპირდაც იცოდა. იგავებით გულს რომ იჭერებდა, მერე ნამდვილი მეცადინეობა იწყებოდა. ვახტანგის სული და გონება ახლად მოხუნულ ნოყიერ ნიადაგს ჰგავდა. ყოველივე ახალი, ცოდნის ყოველი მარცვალი აღმოცენებას არ აყვავებდა.

ერთიორჯერ გიორგი იაშვილიც დაესწრო ყრმის წვრთნას. გიორგი ჩუმად იჯდა მაგიდასთან და ეტყობოდა, მოსწონდა სულხანის უნარიცა და ნიჭიერი შეგირდიც. შეპირდა ვახტანგს, ცოტას რომ წამოიხრებდები, თუ ღმერ-

თმა ჰქნა და ყველაფერი კარგად იქნება, უცოდლოდ გასწავლი ლათინურ და რუსულ წერა-კითხვას.

სულხანი დროულად ამჩნევდა ვახტანგს დაღლას, კვლავ წაბლისფერ კულულებზე მოუთათუნებდა ხელს და ბაღში ისტუმრებდა.

ათასში ერთხელ თუ გამოერეოდა თავისუფალი საღამო და სულხანს ქალაქში გასვლა დღესასწაულად მიაჩნდა. ვიწრო, მოკირწყლული ქუჩებით მიჰყვებოდა თბილის-ქალაქს, ყურს უგდებდა მის გაურკვეველ, მოზღბუნე ხმაურს. უცნაურად შერწყმოდა ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნების ხალხი. ყურს სწვდებოდა ქართული, თათრული, სომხური, ებრაული, არაბული, ქურთული თუ ლეკური ლაპარაკი. ჩოხიანის გვერდით ფესკიანს დინახავდით, ჩისტკიოპიანი მანდილოსანი ქრელა-ჭრულაში გამოწყობად დედაკაცს ემასლათებოდა. ქართული ეკლესიების გვერდით სომხური იდგა, იქვე სინაგოგა და მიჩეიო.

მიდიოდა სულხანი თბილისის ქუჩებში და თავის საფიქრალს ფიქრობდა. თითქმის ყოველ ნაბიჯზე მოქალაქეები მოწიწებით ესალმებოდნენ. სულხანი ჩერდებოდა, ემასლათებოდა, ოჯახის ამბებს ეკითხებოდა და მოკითხვას აბარებდა შინ.

ადამიანებს, დიდბუნებოვანია იგი თუ არა, უყვართ, როცა ახსოვთ მათი სახელები, სიამოვნებთ, როცა ბრბოდან გამოარჩევენ. სულხან ორბელიანის სახელი დიდი ხანია გასცდენოდა თბილისის ფარგლებს. დიდი და პატარა მის იგავ-არაკებს ყვებოდა. იცოდნენ მისი განსწავლულობა და მეფის კარზე კეთილისმყოფელი გავლენა. ყურს უგდებდა ორბელიანი მოქალაქეთა საუბარს და ხშირად, თავისდაუნებურად, ყრუ გმინვა აღმოხდებოდა ხოლმე.

გაბინძურებულიყო, წარყვნილიყო მისი სალოცავი, ქართული დედაენა. მტრის მრავალსაუკუნოვან თარეშს უქმდა არ ჩაველო. შეპარვით, შემოვლით, ჭიქურ თუ იძულებით გამჭირალიყო საოცარი ქართული და საქართველო რაღაც ნარევე ენაზე იწყებდა ლაპარაკს. ამ წარყვანს დიდად უწყობდა ხელს თავად-აზნაურთა მეტოჩრობა და კოკობზიკობა. ხმარებაში შემოდიოდა თათრული ადათ-წესები, სამოსელი და ზენჩეულეზანი.

ერი გამოუსწორებელი და საშინელი გადაგვარების წინაშე იდგა...

„მე, სულხან საბა ორბელიანსა, ჰაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცეს ამა წიგნსა ზედა. რამე თუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ ებოებოდა, რამე თუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“

გურამ ხარაბიძე

აბზავი ჩემი წინაპრისა...

უწოდა. ვინაიდან პატიოსანი ესე წიგნი დაპ-  
კარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გა-  
ერყვნათ... ერთბაშად. რეტი დაესხა. თვალთ  
დაუბნელდა და კედელს მიეყრდნო. ურუანტე-  
ლმა დაუარა. ლექსიკონი! ვინ გახდავს მის თა-  
ვიდან შედგენას? ვის ძალუძს განწიროს დე-  
დის სასიკვდილო სარეცლოდან მსწრაფლ წამო-  
ყენება ისე რომ ავადმყოფობა ხელის ერთი მო-  
სმით უკუაგდოს? მხოლოდ ღმერთს!

აღამიანს?

... დიდი ხანია, გიორგი იაშვილს ეკლესიაში  
ფეხი არ დაუდგამს. იმ საღამოს, სულხანთან  
საუბრის შემდეგ კი სიონისაკენ გაემართა.

გულმსურვალედ ლოცულობდა ბერყოფილი.  
მუხლ-მოღრტკილი, თვალტრემილიანი ევედრებ-  
ოდა ღვთისმშობელს გადარჩინა ქართული ენა,  
ძალა მიეცა მისი აღზრდისათვის ამ გოლგოთაზე  
ასასვლელად, მოსწრებოდა მშობლიური ენის,  
ლექსიკონის ხილვას.

ლოცვას ბუტბუტებდა ერთი მამულიშვიდი.  
მეორე კი გიორგი მეფეს თავის გულისნადებს  
უძღვავდა... უძილო ღამეები მოუშრავლდა  
სულხანს. შიში და შფოთვა მოეჭადა, ღელვა და  
ძიება, პოვნა და დაკარგვა ავსებდა ამ უძილო  
ღამეებს... ვინ იცის, რამდენი წულა დასცვეთია  
მარტო ერთი სიტყვის შესადარებლად. ვინ იც-  
ის, რამდენ ვინმესთან უსაუბრია, მათ მეტყვე-  
ლებასი რაიმე სიტყვისა თუ მისი შესატყვისის  
პოვნისათვის...

მის ხელთ უკვე მრავალი უცხო ტომთა ლექ-  
სიკონი იყო. აღარებდა ერთმანეთს. წერდა,  
შლიდა, ხედავ, კვლავ წერდა. შიში მოხვეიე-  
ბას არ აძლევდა. ტვირთი ასაწევად მძიმეზე  
მძიმე ერგებოდა. როდის ჭამდა, როდის იძი-  
ნებდა, ძნელი სათქმელი იყო.

უძილო ღამეებში გადიოდა წლები...

სულხანი თავის მძიმე ჭვარს მიათრევდა.



მეფე გიორგი საუბრის დაწყებას არა ჩქარო-  
ბდა. ქაღალდებს ათვალიერებდა, ხელს აწერდა,  
გვერდზე გადადებდა და კვლავ ახალ გრაფილს  
ხსნიდა.

სულხანი მოთმინებით ელოდა, როდის გაუმ-  
ხლავნებდა ხელმწიფე გამოძახების მიზეზს. იმ-  
სახაც ატყობდა, რომ უჭირდა გიორგის სათქმე-  
ლის დაწყება და რაღაც ავისმომასწავებელი ამ-  
ბის მოლოდინში გული მტკიცნულად ეკუმშე-  
ბოდა. იჭდა და უმწერდა, როგორ გაჰყავდა მე-  
ფის დრო უმნიშვნელო საბუთების კითხვით.

მძიმედ წამოღვა მეფე გიორგი. სარ-  
კმელისაკენ დაიძრა. კარგა ხანს ქალაქს გას-  
ცქეროდა. მეფე ჩაახველა და დაიწყო. საუბარი  
ერთ საათს გაგრძელდა. საუბარი-თქო, მაგრამ  
ორბედიანი თითქმის სულ დამუნჯებული იყო.  
დრო და დრო თუ ჩაურთავდა:

— დიახ, მეფეო... გასაგებია, მეფეო... თქვე-

ნი სიტყვა კანონია, მეფეო... მზად ვარ, მე-  
ფეო...

მტკიცე ნაბიჯით დატოვა სასახლე და თავის  
სადგომისაკენ გზას დააღვა. თვალწინ ედგა მე-  
ფის ნაღვლიანი სახე და ნაძალადევად მხნე ხმა  
კვლავ უტოროს ედგა...

... შიშითა და გაკვირვებით შესცქეროდა ია-  
შვილი სულხანის ფაფითრებულ სახეს და ვეღარ  
გაუძლო ლოდინს: რაო, რა მინდაო, რა საქმე-  
აო!

... მეცამეტე საუკუნისათვის ქართველ დიდ-  
ბულთა შორის ყველაზე გავლენიან პირე-  
ბად სამცხის მთავრები ითვლებოდნენ. ჭაყელ-  
ცისისჯვრელები განუზომელი უფლებებით სარ-  
გებლობდნენ მეფის კარსა და ქვეყნის მართვა-  
გამგებლობაში. მონღოლთა მიერ საქართველოს  
დაპყრობის დროს მტერს ბოლომდე უწევდა  
წინააღმდეგობას მხოლოდ სამცხის მთავარი ყვა-  
რვეარე ივანე ჭაყელ-ციხისჯვრელი. მონღოლ-  
თა ბატონობისას საგრძნობლად დასუსტდა მე-  
ფის ხელისუფლება, ხოლო მთავრებმა დიდი ძა-  
ლა მოიპოვეს. დამპყრობლები, როგორც ყოველ  
დამპყრობს სწევია, ყოველმხრივ უწყობდნენ  
ხელს განდგომისაკენ მთავართა მისწრაფებას.

ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო სამცხის  
სამთავროს გამოხვლა საქართველოს მეფის კო-  
ნტროლიდან და ცალკე სამთავროდ ჩამოყალი-  
ბება. მონღოლებმა შეძლეს, უთანხმოება ჩამო-  
ეგდოთ მეფე დავით ულუსა და მისი უერთ-  
გულესი ყმის, სარგის ჭაყელს შორის. სამც-  
ხის სამთავრო 1266 წლიდან სასინჯულ იქცა  
(უშუალოდ ყანის ემორჩილებოდა). გიორგი მე-  
ხუთემ კვლავ აღადგინა ქვეყნის ერთიანობა და  
1333 წელს სამცხე კვლავ შემოიმატოცა, მაგრამ  
გაბზარულის გამთელება შეუძლებელი გახდა.  
სამცხის მთავრები კვლავ დამოუკიდებლობისა-  
კენ მიისწრაფოდნენ. მეთხუთმეტე საუკუნეში  
როდესაც საქართველო საბოლოოდ დაიშალა  
დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად, ერთ-  
ერთი პირველთაგანი, რომელიც დამოუკი ერთ-  
იან საქართველოს, სამცხე-საათაბაგო იყო.

სწორედ ამ დროს გაძლიერდა თურქ-ოსმალ-  
თა სახელმწიფო, რომელმაც შთანთქა ბიზან-  
ტიის იმპერია, დაიმორჩილა საქართველოს მი-  
ერ შექმნილი ტრაპიზონის საკეისრო და უშუა-  
ლოდ საქართველოს დაუმეზობლდა. ქართული  
სამეფო-სამთავროებიდან იგი პირველ რიგში  
სამცხე-საათაბაგოს დაემუქრა, ხოლო მეთხუთმე-  
ტე საუკუნის მიწურულისათვის შეძლო ურჩი  
გურჯების გატაცება და თავის მოხარკეებად  
ქცევა. მეთექვსმეტე საუკუნეში თურქთა მოძა-  
ლების შეჩერება ცცადა იმერეთის მეფემ ბაგ-  
რატ მესამემ და ამ მიზნით შემოიერთა სამცხე.  
მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო და მძი-  
მე ბრძოლების შემდეგ იძულებული იყო ჯარი  
იმერეთს დაებრუნებინა.

მაღლ თურქებმა სამცხის მთლიანი ოკუპაცია



მოახერხეს, აღწერეს ქვეყანა, შემოიღეს თავი-  
ანთი გადასახადები, მმართველობის სისტემა და  
ეს ძველთაძველი ქართული მიწა თავიანთ საფა-  
შოდ აქციეს. ფაშებად, ანუ ბეილდარბებად ის-  
ინი კვლავ გამაჰმადიანებულ ჯაყულებს სვამდ-  
ნენ. დაიწყო ისლამის იძულებით გავრცელება.  
თავადლა ნაწილი საქართველოში გაიხიზნა, ნა-  
წილი კი შეეფუა ოსმალთა ბატონობას.

მომდევნო საუკუნეებში ახალციხის საფაშო  
იყო თურქ-ოსმალთა საქართველოს წინააღმდეგ  
შემოტყვის ფორპოსტი. სულთანის ბრძანებით  
ახალციხის ფაშები ხშირად ერეოდნენ მეზობე-  
ლი სამეფო-სამთავროების საქმეებში.

ამიტომ გიორგი მეფისათვის ახალციხის ფა-  
შასთან დანათესავებას დიდი პოლიტიკური აზ-  
რი ჰქონდა. წინასწარი მოლაპარაკების შედეგად  
გამოირკვა, რომ გურამ ჯაყუელიც არ იყო წინა-  
აღმდეგი, დამოყვრებოდა საქართველოს მეფეს  
და აღედგინა მასთან კეთილმეზობლური დამო-  
კიდებულება.

„მსხვერპლად“ სულხან ორბელიანი იქნა ამო-  
ჩრეული. ჯაყულის ასული თამარი რამდენჯერმე  
იყო თბილისში. დიდი აშლით ჩამოდიოდა სო-  
ლმე და მისი წასვლის შემდეგ დიდხანს ჰქონ-  
დათ თბილისელებს საქილაკოდ ახალციხელი  
თავადის ქალის გარეგნობა.

დუნიაზე იშვიათად თუ მოიძებნებოდა მასზე  
მანინჯი არსება. ტანდაბალი, ბეჭებგანიერი, ოკ-  
რობოკროდ დაატარებდა უფორმო თქმობებს და  
ელამი თვალებით ამყადა, გამომწვევად ავღალი-  
ერებდა მის სახატევცემულად გამართულ წვე-  
ულებაზე მოსულ თავად-აზნაურებს. ღერუმა-  
რილის სქელი ფენაც ვერ უფარავდა ღერებსა  
და საულვამეზე ამოყრდელ მუქ დინდლს.

მაგრამ ყველაზე თვალშისაცემი მისი ამპარ-  
ტანობა და უტიფარი, ყოველგვარ კდემას მო-  
კლებული საუბარი იყო. საქართველოს დედო-  
ფალიც კი თავის ტოლად არ მიიჩნდა და დი-  
დებულებს ხომ სულ აბუჩად იღებდა. — ხა,  
ხა, ხა, ხა, ხა. ამხელა კაცი იგავ-არაკებხა  
წერს? — თითი ვაიშვირა თამარმა ორბელია-  
ნისაკენ, — ჩემქენ მოიწი, თავადო-მეზღაბრევი!  
და, ხა, ხა, ხა, ხა! — გულთანად კისკისებდა ქალი  
და ყურადღებას არ აქცევდა დარბაზში ერთბა-  
შად ჩამოვარდნილ უხერხულ სინუშებს. სულ-  
ხანს ურუანტელმა დაუარა ტანში. ზიზღის ტა-  
ლდამ გადაუარა გაფერმკრთლებულ სახეზე,  
მაგრამ შეძლო გრძნობების ალაგმვა, წყნარად  
გაუღიმა ასულს:

— იგავ-არაკებხაცა ვწერ, ჩემო ბატონო!

— წინდების ქსოვა თუ იცი, ვუჟაცო! — არ  
ცხრებოდა თამარი და კოტიტი, ოქრო — თვლებ-  
ით მორთული თითებით იწმენდდა თვალეზე  
მომდგარ ცრემლს, — რაღა უქირს ქვეყანას...  
რაღა უქირს შუშს დიაცს...

დარბაზში მეფის შემოსვლამ, როგორც იქნა,  
დააშოშმინა თამარ ჯაყული...

... იცნობდა, როგორ არ იცნობდა ორბელიანი  
გუარამის ასულს. მერცე ერთი ორჯერ ჰყავდა  
ნანახი...

ახლა კი...

თბილისში მცირე ქორწილი გადაიხადეს. ახ-  
ალციხეში კი ქიფი ერთ კვირას გაგრძელდა.  
სიხარულს ვერ ფარავდა ახალციხის ფაშა — ძა-  
ლზე მოსწონდა სიძე-ბატონი... უღიმღამოდ მი-  
ედინებოდნენ დღეები. ქორწინებამ თამარს და-  
დი ვერ დასვა. ყველა სიკეთესთან ერთად, ქა-  
ლი ანჩხლი და უხასიათო გამოდგა.

სულხანი შედარებით ბედნიერად გრძნობდა  
თავს. თამარი სიყვარულით თავს არ აბეზ-  
რებდა. აბეზრებდა კი არა, გაურბოდა კიდევ  
მწიგნობარ ქმარს და, როგორც ჩანს, მასაც უხ-  
აროდა, სულხანი თავს თითქმის რომ არ ახსე-  
ნებდა.

ორი კვირა ახალციხეში გაატარეს. მერე თბი-  
ლისს გადმოზარდნენ. ცოლ-ქმარი ერთმანეთს  
ვერ ამჩნევდა, თავიანთი საქმით იყვნენ გართუ-  
ლნი და ეს უსიტყუო ხელშეკრულება ორივეს-  
თვის ხელსაყრელი იყო. ბოლოს თამარმა რაღაც  
მოიმიზეზა და ახალციხეში წასვლა მოიწადინა.  
კვლავ დიდი აშლით გაუყვა ქალი გზას, ირო-  
ნიულად ჩაიციხა: — საყვარელო, მალე დაგიბ-  
რუნდებიო. ორბელიანი კი მეფის ნებართვით,  
თბილისს დარჩა.



რაც უფრო ხანგრძლივია სიმშვიდე, მით უფ-  
რო მოულოდნელი და ვერაგული შეიძლება  
გამოდგეს მომავალი. კვლავ აირია ამინდი  
საქართველოში. კვლავ ატყდა ომი და უბედუ-  
რება. კვლავ გამოჩნდა ტახტის მამიებელი. ის-  
ევ დაიწყო მოუთავებელი სისხლის დვრა და  
მტრობა. ეს იყო საქართველოს ბედი, ასე მო-  
დიოდა მამა-პაპათაგან, ასე იყო აღრეც. შინა-  
ომები აუძლურებდა ქვეყანას. ნიჭიერი ჭაბუ-  
კები კარის პოეტები და მეხოტბენი ხდებოდნენ.  
საშუალო ნიჭისა და უნარის ადამიანებს სიბე-  
რემდე ვერ გამოერკვიათ, რომელი თავადისა  
თუ მეფის ბანაკში გადასულიყვნენ, ან თვითონ  
რისი ვაკეთება შეეძლოთ. თავიანთ შესაძლებ-  
ლობებს ვერა ხედავდნენ, მათთვის გაუგებარი  
მიზეზით ატეხილი ომების მსხვერპლნი ხდებო-  
დნენ, ან უძლურდებოდნენ და მონასტრებისა-  
კენ იღებდნენ გეზს. ზოგი მათგანი კი ბანაკი-  
დან ბანაკში გადადიოდა და ბოლოს გაქნილ,  
ყველაფერზე და ყველაზე გულგატეხილ და  
გულღვარძლიან კაცად ბერდებოდა, თუ ანეთი-  
კვ, მასავით გზაანუული არ მოუღებდა ბოლოს.

გლეხი კი ომობდა. სხვა გზა არ იყო. გინდა  
საკუთარ თავადს მოუკლავხარ, გინდა — ურჯუ-

ბურბმ ხარბიმ

ამბავი ჩემი წინაპრისა...

ლოს, ვერანდებოდა მაჰმადიანისაგან ძლივს გადარჩენილი ვენახი, შინაოძებს ეწირებოდნენ ტალიკი ბიჭები, ნახირი, ყანები...

... დაბოლოს, იგი მეფე გახდა. ერეკლე პირველი, „ნაზარალი ხანი“ იყო მისი სახელი. პაპამისმა, თეიმურაზ პირველმა, იგი რუსეთში გაგზავნა. ალექსი მიხეილისძის კარზე ძალიან კარგად მიიღეს და ოჯახის ახლობლადაც ითვლებოდა. მის იქ ყოფნაში შეეძინა მეფის ოჯახის ვაჟი, პეტრე, და ერეკლემ, ქართული წესის თანახმად უთამადა საბედნიერო მაგიდას. ბევრი ქათინაურიც უთხრა ახალშობილის მოხუც მამას...

ერეკლეს რუსეთში გამგზავრების მიზანი ერთი იყო — ამ ვეება, თვალწუვდენელ ქვეყანას უნდა ეგრძნო მეტი პასუხისმგებლობა საქართველოს მიმართ და შემდგომში ეზრუნა ერეკლეს საქართველოში გამეფებისათვის.

რეალური დახმარების იმედი ჰქონდა თვით თეიმურაზ პირველს; როდესაც 1658 წელს მოსკოვის ესტუმრა, საქართველო უკვე ემზადებოდა სპარსეთის წინააღმდეგ ასაჯანყებლად და რუსები თუ პირობას არ დაარღვევდნენ, თეიმურაზი ჯარით დაუბრუნდებოდა საქართველოს. მაგრამ რუსეთს საკუთარი თავი უჭირდა და ერთმორწმუნე მეზობელი ამჭერად ვერ გამოადგა საქართველოს.

თეიმურაზმა ძლივს იცნო შვილიშვილი. წარმოუდგენლად გამაღლებულიყო. დიდრონი თვალები გამოწვევდა უცქერდნენ მოსაუბრეს. უღვავები კატასავით განწე გაუბრბოდა და ნერვიულობისას მარცხენა ღოყა უთამაშებდა. გაუხეშებულიყო, შესიტყვებას არავის აპატიებდა და არყის სმას მიჩვეოდა. თავის ტოლ რუსს და ქართველ თავადებთან გაუთავებლად დრეობდა და თითქოს სამშობლო აღარც ენატრებოდა.

... გავიდა წლები და ერეკლე შაჰის კარზე აღმოჩნდა: საქართველოს მომავალ მეფეს ჯიუტად არ უნდოდა გამაჰმადიანება. მაგრამ ბოლოს ტახტის ხელში ჩაგდებას სურვილმა სძლია და საქართველოსაკენ დაიძრა.

გზადაგზა, გიორგი მეფეზე განაწყენებული თავად-წინააღმართთა და მათი ხალხით ივსებოდა ერეკლე ნაზარალისხანის ჯარი...

... და ისევ აირია საქართველოში ამინდი. ძმა ძმის სისხლს ღვრიდა, იცლებოდა ძლივს მოკრებილი ერის ძალა. და ბოლოს იგი გამეფდა. მაგრამ მეფობა მარტო მბრძანებლობისათვის როდი უნდოდა. მას დაუოკებელი სასურველი ჰქონდა — ექადაგა, ხალხის წინაშე ორატორობით დაქანცულიყო. ლაპარაკს, როგორც წესი, იწყებდა ვითომდა უცოდინარი, დაბნეულ მოწაფესავით. ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ შეისვენებდა და უკვე წარმოთქმული წინადადების უკანასკნელ სიტყვას გაიმეორებდა. კვლავ ღიწკად იწყებდა მომდევნო ფრაზას. თანდათან აღეჯანყებოდა, ინთებოდა და უცოდინარს მოწაფისაგან მქალაგებლად, ჭკუის დამრიგებლად იქცეოდა. ისე წარმოადგენდა საქმეს, თითქოს ამარცხებდა მოწინააღმდეგეს. სინამდვილეში კი თავის მიერ მოგონილ, არარსებულ ქიშკრებს ებრძოდა. გულღვარძლიანს, ვერავინ გააწყვეტინებდა სიტყვას. უნდოდა ყველას ერწმუნა, რომ მისი მოსვლით ხალხს, ერს ეშველებოდა. თავიდან მან მართლაც შეძლო ერის ამაში დარწმუნება. გუნება-განწყობილების მონა იყო. მხიარულება უქრებოდა ისევე სწრაფად, როგორც უჩინდებოდა. ხშირად კი შელანქოლიაში ვარდებოდა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ კვლავ აფეთქდებოდა, დაქლაქებდა და მორიგ მსხვერპლს დააცხრებოდა თავზე.

შაერი ერთბაშად გაიფიქრა დაძაბულობითა და პირფერობით. ატყდა გიორგი მეფის მომხრეების გაუთავებელი ლანძვლა, დევნა და დასჯა. იმდენად დანაშაულისათვის როდი სჯიდნენ, რამდენადაც უუნარობისათვის, დამალათ ეს დანაშაული და არ განხმაურებინათ. მეფეს შესწევდა უნარი არ შეეშინა იმ აღმაშენებელ ნაქლი, რომლებიც მოსწონდა. ის ხშირად ჩქმალავდა კიდეც თავისი რჩეულების ცალკეულ წარუმატებლობას. მაგრამ ამავე დროს, შეიძლო წასულიყო ყველაფერზე, თუ კი სურდა მისთვის არასასიამოვნო პიროვნების არსებობა აუტანელი გაეხდა. მედროგებებსაც კი ვერ გაერკვიათ — ბედნიერი იყო მეფე თუ უბედური...

სულხან ორბელიანი ერეკლეს რისხვად ელოდა. განა იმიტომ, რომ რაიმე ჰქონდა დასუკვებული ტახტის, ერის ან დღისის წინაშე, არა იგი გიორგი მეთერთმეტის ახლობელი იყო, მისი მოღვაწეობის ხელშემწყობი და ერთგული. რისთვისათვის კი ეს სასესებით საკმარისი იყო.

ორბელიანის თავს რისხვა და მეხი რომ გავარდებოდა, ბევრმა თავადმა გაიხურა და დროზე ჩამოსცილდა ერეკლეს მომავალ, მორიგ მსხვერპლს. პირველად მამინ იქუნა, როცა მეფის ბრძანებით სულხანს მამულები ჩამოართვეს...

ყველასაგან მიტოვებულ და გაკიცხულ მწერალს ერთ ღრუბლიან შუადღეს გიორგი იაშვილი ესტუმრა. ისე მხნედ, ჩამოხტა ცხენიდან, ვერავინ იტყოდა, სულხანზე თხუთმეტი წლით უფროსიაო. ისე კი წვერში ჭაღარა მოჭარბებოდა და კეფა გამელოტებოდა.

ყოველთვის დინჯი და თავშეკავებული ორბელიანი ბავშვივით აცქმუტდა, ბღუჯა და კოცნა ნამასწავლებლად, ოთახში შეუძღვა, სუფრის გასაშლელად დატრიალდა.

ოხუნჯობდა იაშვილი:

— ეს რა გიყვეს, თავადო! დევგმირი მეგონე და ვირთხებმა წაგაქციეს? ხი-ხი-ხი! აბა რა გეგონა? შეგარჩებოდა შენი წერა-კითხვა? აწი, შვილო ჩემო, მეტი დრო გექნება საწერად! აჰა, ორიოდე წიგნიც ჩამოგიტანე და რამდენიმე

ყურმოკრული ამბავიც — დაქვე და იგნად აქ-  
ციე კიდეც გამოგვადგება შენაინებსა და ხალხს,  
ხი-ხი-ხი!

... გულთ გაიხარეს ერთმანეთის ნახვით მო-  
წაფემ და მასწავლებელმა. განშორება ხომ ნა-  
წილობრივ სიკვდილსა ჰგავს.

ამჯერად აჰყვა სმაში სულხანი გიორგის. ისუ-  
მრეს, გულზე ვარამი გადაიყარეს, მაგრამ ბოლ-  
ოს საუბარი მანაც დაუძინდა.

— უნდა გაერიდო მეფეს. უნდა გაეცალო  
აქურობას. ნუ მოხვდები თვალში. წადი, გადა-  
იხვეწე. საქმე ბევრი გაქვს, სათქმელაც ბევრი.  
უკვე იმ ასაკში ხარ, შენ უნდა ასწავლო მოზარ-  
დებს. ღვთის მადლით, ნიჭი გაქვს და კალამი  
გერჩის...

სულხანმა ნაღვლიანად შეხედა გიორგის.

— სად წაიდე, ჩემო ბატონო, სახლი აღარ  
გამაჩნია და კარი... ვის მივეცედილო.

გიორგიმ კვლავ ეშმაკურად მოჰუტა ცალი  
თვალი.

— სულხან ჩემო, რასაც ახლა გეტყვი, ხუმი-  
რობა არ გეგონოს... დიდი ხნის ნაფიქრალი  
მაქვს... ბერად უნდა აღიკვეციო... ჰო, ჰო, რას  
მიუტრებ ეგრე გაცობული? ბერად-მეთქი, გე-  
უბნებდი და თანაც შორს აქედან...

— იაშვილო, შე უღმერთო, შენ მეუბნები  
ბერად აღიკვეციო, შენ, ბერყოფილი?

გიორგიმ გულიანად გადაიხარხარა.

— ხო, მე გეუბნები. წადი მონასტერში და  
იმუშავე ხალხის საკეთილდღეოდ. შენ ისეთი  
ასწავლებლის შეგირდი ხარ, რომ ანაფორა  
ბერად ვერ გაქცევს... ასე გჭირდება ამჟამად...  
ასე სჭირდება ქვეყანას. ჩვენს საქართველოს.  
საქართველო და ქრისტი, ჩემო სულხან, ჩვენ  
ხალხს ერთად აქვს წარმოდგენილი. საქართვე-  
ლო და ქრისტი, თუ ის არსებობდა, ერთია, ის-  
კარიოტელი იუდა, გამყიდველი და მოღალა-  
ტე — ბევრი. აბა ნახე, წმინდანებად ჩვენში ვის  
რაცხავენ? იმათ, ვინც საქართველოს შეეწირა.  
ეგრობაში კი წმინდანებად იმათ თვლიან, ვინც  
ამქვეყნიურზე, ხალხსა და მზის სინათლეზე აი-  
ლო ხელი, ვინც სხეული დაისწეულა, სიძაბუ-  
ნეში ჩაღმა და თითის სიმსხლე მატლები მოამ-  
რავლა იარებში. აბა ასეთმა „წმინდანმა“ რა უნ-  
და არგოს ან უფალს, ან ერს? ხომ ხედავ ამ  
წმინდანებს შორის განსხვავებას?

აკი გეუბნებოდი, ქართველ კაცს ქრისტიანო-  
ბა თავისებურად ესმის და ისე მოიარგო ეს  
რჩული, როგორც მის ქვეყანას ესაჭიროებოდა.  
ახე, ჩემო სულხან, გიმეორებ, ჩემი რჩევა ამ-  
ქვეყნიური ცხოვრებიდან სრულ განდგომად  
არ მიიღო. ანაფორა ბერად ვერ გაქცევს.

განშორება მართლაც რომ სიკვდილსა ჰგავ-  
და...

ისე მოულოდნელი იყო იაშვილის რჩევა, რომ  
ორბელისანი დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა.  
გიორგი რომ წირფელი გულთ ურჩევდა ამას,

ეკვი არ ეპარებოდა. მაგრამ რატომ? ნუთუ  
სხვა გამოსავალი არ იყო? ნუთუ ძალ-ღონით,  
ცოდნით ანდა გამოცდილებით დამძიმებულ  
კაცს ბერის სვედრი უნდა რგებოდა?

ბერი! ამ სიტყვაში სულხანისათვის თავს  
იყრიდა გაჭირვება, სულით მოტეხილობა, ვაჟ-  
კაცობის დაკარგვა, ბედს შეგუება, გონებრივი  
სილატაკე...

მამლებმა აღიონზე ატენეს ყუინა. მერე ძა-  
ლები აუეფდნენ. პირველი მლოცველების გა-  
ღვთებამდე მუშემინმა იყივლა მინარეთიდან.  
მოგვიანებით შემოკრეს ზარს ქრისტიანულ ეკ-  
ლესიებშიც...



ვერ შეეგუა გიორგი მეფე დამარცხებას. არ  
დაიჭერეს ბედის ჩარხის საბოლოო შემობრუ-  
ნება მისმა ერთგულებმა. იღვრებოდა ძმათა სი-  
ხლი. ბოხოქრობდა მეფე ერეკლე. დღენიდავ  
მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგის თანამზარს-  
ველით.

სულხანი და მისი ძმები გიორგის ბანაკში,  
კლდეკარზე იყვნენ, სამწუხარო ამბავი რომ შე-  
იტყვის — ერეკლემ და ქალბაღისანმა „შე-  
ვლეს სომხეთი და დმანისის ხევი“. აეოხრებიათ  
დმანის-ქალაქი. გადაეწვათ ტანძია და ახლო-  
მახლო სოფლები. ორბელიანების მამულებიდან  
ერეკლეს საფრთხე ემოქრებოდა და თავის ერთ-  
ერთ დაუძინებელ მტრად სულხან ორბელიანი  
მიაჩნდა.

ქართლში სოფლები იწვოდა. ხალხის კვნესა  
და გოდება ზეცას სწვდებოდა. ბრძოლას ბრძო-  
ლა მოსდევდა, გამარჯვებას — დამარცხება. ხან  
ერთი მეფე სძლევდა, ხან მეორე. ერთხელ კა-  
რგა ხნით გაიმარჯვა მეფე გიორგიმ. თითქოს  
დაიბრუნა კიდეც სამიოდე წლით ქართლის ტა-  
ხტი, მაგრამ ვაი ამ გამეფებას — ერეკლესა და  
მამადიანთა ჯარი მოსვენებას არ აძლევდა.  
სულ ახალ-ახალი მავშელი რაშემები ჩამოდიო-  
დნენ ირანიდან. მეფეთა ჭიდილს ეწირებოდა  
სისხლდამშრალი ქვეყანა. დღითიდე აკლდე-  
ბოდა გიორგის მომხრეები — ზოგი ბრძოლის  
ველზე დარჩენილიყო სამუდამოდ, ზოგი კი ერ-  
ეკლეს მიმხრობოდა.

დიდ გასაჭირში ჩავარდა გიორგი XI. ატყო-  
ბდა, ვეღარ გაუმკლავდებოდა შემოჭარულ  
მტერს და კვლავ გაცლა ამჯობინა.

სულხან ორბელიანი ამჯერად ახალციხეს შე-  
ეფარა. მცირე ამაღის თანხლებით დაადგა გზას;  
გადამწვარი ნასოფლარებითა და სისხლით გაჟ-  
ღენთილი ბილიკებით შეუყვა სამცხის აღმარ-  
თებს.

სიამამი ცბიერი, გულჩათხრობილი და გულ-  
ღვარძლიანი კაცი იყო. არაფრად ჩააგდებდა

გშრამ სარამიმ

ამბაბი ჩემი წინაპრისა..

სიძის თხოვნას, შეეფარებინა ლტოლვილები, გიორგი მეფე საბოლოოდ დამარცხებულად რომ ჩაეთვალა. მაშინ აწირი არ ჰქონდა მეფის აქ ამოსვლას — იგი ტყვეობაში აღმოჩნდებოდა. მაშინ კვლავ ჩაქრებოდა ეს ერთადერთი, თითქმის არაფრის მომტანი იმედის ნაპერწკალი. მაშინ კვლავ დაენგრეოდა სულხანს ოჯახი...

ეს იყო ორბელიანის პირველი ელჩობა. მასზე, მის უნარზე იყო დამოკიდებული ბევრი რამ. იმედგატეხილი, დამარცხებული მეფე მისგან პასუხს ელოდა... და სულხანამაც ერთი თვის შემდეგ აუწყა:

„ესე მტკიცე საფიცარისა წიგნი მოგვიცით ჩვენ, ათაბაგმა, ბატონმა ხალიფაშამ, თქვენ ჩვენსა სიძესა ორბელიშვილსა, ბატონს სულხანს, ბიძასა თქვენსა, ბატონ თამაზს სარდალსა და თქვენს ძმებსა, ასე და ამა პირსა ზედან, რომ ბატონის მეფის ბრძანებით ჩვენთან მობრძანდით და ჩვენ და ბატონი მეფე საფიცრითა და მოყვრობით მოგვარიგეთ. და ჩვენც საფიცარი მოგვეცით და ჩვენ ესე საფიცარი მოგვიცია, რომ ვიყენეთ თქვენთვის კაი და კაის მდომნი, რომელიც მეზობლობაში გაგვიწყობოდეს და ხელი გაგვიწვდებოდეს, ხელი მოგვიმართოთ, ავი არავის ვაქნევინოთ, არ დავზარდეთ...“

...სხვა გზა არ იყო, უნდა შეგუებოდა გიორგი თავის ზვედრს. ახალციხის ფაშამ კი შეიფარა, მაგრამ დახმარებაზე თავს იკავებდა. გიორგი მეფის სტუმრობა საპატიო ტყვეობას ჰგავდა. ნადიმს ნადიმი სცვლიდა. ნადირობას — ნადირობა. ცბიერი ათაბაგი თითქმის სცნობდა გიორგის მეფობას, მაგრამ თავის საფაშოში ერთადერთი მბრძანებელი ის იყო და თავიც მეფესავით ეჭირა.

ავეკიატა გიორგის ერთი აწირი — ირანის შაჰს, ჰუსეინის ვეახლები, მორჩილებას აღვუთქვამ, ვეყმობიო... ამ ერთადერთ გამოსავალს ხედავდა მეფე.

...ხშირად, ღრმა მოხუცებულობაშიც კი, ნათლად მოჰგონებია სულხანს გიორგისთან განშორების დღე, მისი სასოწარკვეთილი, ნაღვლიანი ღიმილი:

— ასეა, ჩემო სულხან! საქართველოს იღბალი როდის ჰქონია, დღეს რომ ჰქონდეს. ასე იყო მუდამაჲმ: გეგონება, დამშვიდდა ქვეყანა, ხელს მოგვიდებთ ვაჭრობასა და შრომას, ქალაქებს ავაგებთ, გლეხს შევებას მივცემთ; ქალებს დავათხოვებთ, ვაჟებს დავაქორწილებთ; შვილიშვილებს მივიხუტებთ მოხუც მკერდზე... მტერს რა გამოუღვევს გულუბრყვილო და კეთილ ქართველს. რომელ მეფეს უმეფია მშვიდად, რომ მე ვიმეფო...

სულხანს თვალბეჭედი ცრემლი ედგა, თითქოს

შორიდან ესმოდა მეფის ნაღვლიანი ხმა. ძლივს დაატანა თავს ძალა:

— ნუ, ნუ უჩივი ბედს, მეფევ ბატონო! მისინე შენს აღზრდილსა — შენვე არ ჩამინერგე დიდი შოთას სიტყვები: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტიკისაო“.

— ზო, ვით ქვიტიკისა. ვით ქვიტიკისა... მაგრამ, ჩემო სულხან, ქვიტიკიც იმსხვრევა, მტერად იქცევა. ჩვენ კი აღამიანები ვართ...

მეფევ ბატონო! კიდევ ერთხელ მუხლმოდრეკილი გვაჯები, მიახლე თან... ჩემზე ერთგულს ვის წაიყვან, მეფევ. ხმლის ხმარებაც ვიცი და თავზეც ქუელი მხურავს. რა იცი, რა გელის შაჰის კარზე...

— არა, ჩემო სულხან! შენ ომისათვის არა ხარ დაბადებული. სისხლის ღვრა შენი საქმე არ არის. ცუდი მეფე ვიქნებოდი, მწიგნობარი ბრძოლაში გამეყვანა და ფალავანი წიგნზე მიმეჭაჭა... შენ ჩემზე უფრო მძიმე ბრძოლა ვიძევს წინ... რას ჩაქინდრე თავი, აკი ვაჟკაცი ვარო? ოღონდ ვთხოვ, რუდუნება არ მოაკლო სიტყვის კონას. ეგ წიგნი მეფეზე უფრო სჭირდება ერს. შენი კალმით სამსახურს ნუ მოაკლებ ხალხს... ქვეყანაცა და ღმერთიც დავიფასებ...

...კიდევ დიდხანს იდგა მტერის კორიანტელი პატარა რაზმი თავქვე, მტკვრის ხეობისაკენ მიემართებოდა.

სულხანი კი იდგა კლდის ნაპირას და გასცქეროდა მიმავალთ. დამთავრდა მისი სიჭაბუკე გაწყდა კიდევ ერთი სიმი. თმაში პირველი ჭაღარა გაჩნდა. მხედრები ასწლოვანმა ფიჭვის ხეებმა დაჭფარა...

განშორება აქ მოლიანად სიკვდილსა ჰგავდა.

„აბაია“ ერეკლე პირველმა სულხან ორბელიანს ვანდგომა. ახალციხიდან თბილისს ჩამოსვლის ნება დართო. ეშმაკობდა მეფე. იცოდა ორბელიანმა, გიორგი მეფის თხოვნით შაჰმა უბრძანა ერეკლეს — შეუნდე გიორგის მომხრეებს, შემოირიგეო. ძალა აღმართის ხნავსო. — კბილების ღრვიანით დამორჩილდა ერეკლე შაჰის სიტყვას და საძულველი მტრები თავისთან იხმო.

იმ ხანებში მიიღო სულხანის დედამ, თამარმა, ერეკლე ნაზარაღისანის უსტარი:

„ესე წყალობის წიგნი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ორბელიშვილი მდივანბეგის ვახტანგის ცოლყოფილს, ზაად ერისთავის ქალს, ბატონ თამარს, ესრეთ, რომე ამოწყვეტილი სააკაძის მკვიდრი მამული, ჯალდამი და ღორისთავი, როსტომ მეფეს ბარათაშვილს თამაზიშვილებისათვის ებოძა და გიორგი მეფის ბრძანების შენის ნაშთითვის სამკაულით გეყიდათ. მერე გიორგი მეფე ჩამოვიდა, შენი შვილები იმას შერჩინნ და გარდაყენნ. ჩვენ გაუწყებოთ და

ესე მამული გაუეციო. მარა გავესწეო და ნას-  
ყიდი მამული არ წაირთმეოდა. მერმე თქვენი  
შვილები სულხან და მისნი ძმანი შემოვირივეთ.  
შეუწდევით და შენი ნასყიდი სოფლები ჯალ-  
დამი სრულებით და ღორისთავი სრულებით  
წყალობა გიყავით მისის სამართლიანის სამ-  
ხდრით. ზურაბისშვილს რევანს ამ მამულებიან  
ჩვენგან ნაბოძები სიგელი ჰქონდა და ის ამ  
სიგელით გაგვიცუდებია. მტკიცე არს, დაიწერა  
ბრძანება ესე 1700 წ.“

ლაუბრუნდა სულხანი თბილისს, მაგრამ ის  
სულხანი აღარ იყო. გიორგი იაშვილის რჩევამ  
მოსვენება დაუქარგა.

თბილისიდან არც ისე შორსაა დავით-გარეჯის  
უდაბნო. სართიჭალიდან მარჯვნივ გადაუხვევ  
თუ არა, კვდება ბუნება — ვენახებს ეკლიანი  
ქვიშარი სცდის, ხეხილის ბაღებს — უმწეოდ  
გატიტვლებული ბარდი, ნოყიერ მიწას —  
საუკუნეებით გამოფიტული, აღაშინის ხელს  
მოკლებული უწყლო ქვიშარი. ყოველ ნაბიჯ-  
ზე, მტკაღრე ზაფხულის უამს, შეიძლება უდა-  
ბნოს საშინელ ბინადარს, გიურზას წააწყდეს.

არც ისე შორსაა თბილისიდან დავით-გარე-  
ჯის უდაბნო, მაგრამ მთელ ამ არემარეში არა-  
ვინ სახლობს. არავინ, გარდა დაყუდებული ბე-  
რებისა.

„...არა არს აქა წყალი, არამედ იბყრობენ  
წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას; არა  
არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშავენ და აცხო-  
ბენ.“

ვასუშტი ბატონიშვილი.

...ანაფორამ იგი ბერად ვერ აქცია. წვერმო-  
შვებული შავოსანი, მორჩილად თავდახრილი,  
დავით გარეჯის მონასტერში განმარტოვდა, პირ-  
ქმუ, ერთფეროვან, სიცხისაგან გაღამწვარ უდა-  
ბნოში. დღეიდან მას სულხანი აღარ ერქვა.  
საბად იწოდებოდა ახალი ბერი. მაგრამ სულ  
მუდამ რომ ხსომებოდა თავისი მოვალეობა  
ქვეყნის, ხალხის წინაშე და ისიც, რომ ბერად  
ყოფნას, ამქვეყნიურ ბრძოლაზე უარს დიდხანს  
არ აპირებდა, ნათლობის სახელიც შეინარჩუნა.

სულხან-საბა ორბელიანი...

დავით-გარეჯის მონასტერი შემთხვევითი არ-  
ჩევანი არ იყო მისთვის — მთელ აღმოსავლეთ  
საქართველოში გარეჯა იყო მწიგნობრობის ერთ-  
ადერთი ცენტრი, რომელიც კრებად და ინა-  
ხავდა სასულიერო საქართულ მონასტრებში  
შექმნილ ნაწარმოებებს? საბამ იცოდა, რომ  
აქ ემართებოდა ხელი ქართული საეკლესიო  
მწერლობის მდიდარი, კულტურულ ტრადიციებს.  
ამავე დროს იგი ქართლ-კახეთის მეფეთა დასა-  
ყრდენიც იყო. ორბელიანი აქ უკეთესად იგ-  
ნობდა თავს, რადგან იცოდა, რომ საუკუნე-

ბის განმავლობაში დავით გარეჯა თავგანწირუ-  
ლად იბრძოდა საქართველოს ერთიანობისა და  
სიმშვიდისათვის.

ისეთი ბრწყინვალე ბერის შემომატება, რო-  
გორიც იყო საქვეყნოდ განთქმული მწიგნობარი  
და მოაზროვნე ორბელიანი, მონასტრის ავტო-  
რიტეტს უთუოდ უფრო მეტად აღაწევებდა.  
სულხან-საბა კარგად იცნობდა მეუღლებოეთა  
კეთილსმყოფელ საქმიანობას. მათ მიერ შექ-  
მნილი ბევრი წიგნიც წაეკითხა და ამიტომ არც  
გაპკვირებია, განსწავლულ და ერისთვის თავ-  
დადებულ ბერებს რომ გაუხარდათ მისი აქ ჩა-  
მოსვლა. მასაც კარგად იცნობდნენ აქაურები.  
ესიამოვნა ახალბედა ბერს ესოდენ თბილი მი-  
ღება.

ნელა, ღოცვასა და შრომაში გადიოდნენ  
ღღებები, თვეები. ბერები მალე მიხვდნენ, რომ  
ორბელიანის აქ მოსვლა და ბერად აღკვეცა გა-  
ქცევა კი არა, შექმნილ ვითარებაში კანონო-  
მიერი, მისთვის ერთადერთი სწორი და ბუნებ-  
რივი გამოსავალი იყო. კალმით ხელში იგი კვლავ  
საქართველოს მსახურად რჩებოდა. მას სწამდა  
მომავლისა და როგორც მათთვის, ორბელიანი-  
სთვისაც ეს იყო ერთადერთი ღმერთი.

ღმერთი?!

ღმერთი როგორ არ სწამდათ. მაგრამ სწამ-  
დათ არა გლახაკებისა და შემგუებლების ღმერ-  
თი.

ზვირად უფიქრია სულხან-საბას: ნუთუ ამ  
ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია, რწმენას  
მანაცდამანიც. სავალალო აუცილებლობამდე —  
მორჩილებამდე მიყვარათ? ძნელი, თითქმის  
აუტანელი იყო ცხოვრების ბოლოქარი ტალღე-  
ბიდან უეცრად ამ მყუდრო სავანეში ვანდგო-  
მა, მიწიერი ცხოვრების შორიდან ცქერა და  
ყურბოკრული ამბებით დაკამყოფილება.

ველარ დაწყნარდა ერეკლე მეფე. მართალია,  
ჩამოიცილა გიორგი მეფის ერთგულები და „თა-  
ვისი“ ხალხი აღაწევა, მაგრამ მოქმედებისა და  
ლაყბობის ჭინს ვერაფერი მოუხერხა. კვლავ  
უხილავ „მტრებს“ ებრძოდა, ყოველ მოხელეში  
მოლაღატე ელანდებოდა.

თავად მაშმადიანური წესის მოყვარულს, უნ-  
დოდა ქვეშევრდომებიც მასავით რენეგატები  
და რჯულის ბოლომდე გამყიდველები ყოფილი-  
ყვნენ.

...ესე ერეკლე, ყენისსაგან წოდებული ნაზარ-  
ალხან მოვიდა და დაჯდა ტფილისს მეფედ  
1688 წ. არამედ იყო ქართლისა და წესთა საქა-  
რთველოსათა უცნობელი და მეფობისა გამო-  
შცდელი, ლირწთა და უშუერთა მოუბარი,  
სმისა და შუება-ლხინთა მოყუარე...“ ქართველ  
მეფეთა კარი ყენის სამყოფელს დაემგვანა.  
იშვიათად თუ შეგვხვდებოდათ აქ ჩოხა-ახალუ-

ბეზრამ სარაძემ

ამბაში ჩემი წინასწარობა.

ხიანი ქართველი მოხელე. ქცევაც, იერთან ერთად, მაჰმადიანურ წესზე გადადიოდა. ქართული კერძებიც კი გაქრა.

მარტო ერთი და ორი მეფე არ ჰყოლია საქართველოს გამაჰმადიანებელი, მაგრამ ქართველი მეფე არ ცდილა, ქვეშევრდომებიც თავის გზაზე დაეყენებინა — პირიქით, ყენიდან სამშობლოში დაბრუნებული, ყველაფერს ქართულს აღვივებდა, ამტკიცებდა, გზას უხსნიდა. თათართა თვალის ასახვევად მიღებულ ახალ სარწმუნოებას ერის სასარგებლოდ იყენებდა და მათ ნამდვილ წმინდანად, თავდადებულ წამებულად ნათლავდა ხალხს. ერეკლეზე კი ამის თქმა არ შეიძლებოდა. გაუტუბა მეფეს ახალი რჯული და მისი პირველი ქომავი გახდა. მართალია, დროდადრო იტყოდა ხოლმე, ყოველივე ამას ჩემი ტანჯული ხალხისათვის ვაკეთებო, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი იყო. თავადებმაც მის მაგალითს მიჰბაძეს.

ბევრმა მათგანმა გამოიცვალა რჯული, მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებებს ეთავყანა, თუმცა ამის აუცილებლობა სრულებითაც არ იყო.

...იქდა სულხან-საბა თავის ქვის სამყოფელში და გულისტკივილით წერდა ქადაგებას — „სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის“.

...ერთი ვინმე უარს-მყოფელთაგანი მეღიზნებოდა და მე ვარქუ განმეზორე, შვილო ჯოჯოხეთისაო მეტიქი. ხოლო მან მომიგო და მრქვა: არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველისაო. მე ვკითხე: ვითარ? მან მომიგო: ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსვლას, უკეთუ იგი არს ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით მირონისა მისისაითა და, უკეთუ მოჰმადი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსე მისსა წინდაცვეთილებისასა. და ანუ ერთი აღმიყვანს ზეცად და ანუ მეორეო“...

გარეჯში ხვატი იდგა. იწვოდა უდაბნო, გარკარებულ ქვებს ბუდი ასდიოდა. ისხდნენ ქვებულეებში ბერები და ჩუმად, უხმაურად აკეთებდნენ ერის საქმეს.

დიდ-დიდი რუხი ჯოჯოები დახოხავდნენ ქვის სენაკის კედლებსა და ჭერზე, მტკვრელი ადამიანით ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდნენ წელში მოხრილ ვეება კაცს და მერე გაქვავებულნი წვიროდ ენას ასავსავებდნენ წითელ ხახში... სიცხეს ქარბუქი ცვლიდა, ქარბუქს — სიცხე. ივსებოდა „სიტყვის კონა“ და ქადაგებებზე აგებული ახალი ნაშრომი „სწავლანი“.



...გვან შემოდგომაზე ზოსიმე ჩამოვიდა დავით-გარეჯს. უდაბნოს მტკერი სქლად ეფინა ბეჭებსა და ქულზე. ცხენი მონასტრის შესას-

ვლელთან დატოვა და მძიმე ნაბიჯით აუყვა კობებს ძმის საკანისაკენ.

გახსრა სულხან-საბამ. როგორც პატარა ბავშვს, ისე ეფერებოდა უმცროს ძმას, შეშფოთებულმა ჩამოუსვა ხელი შევერცხლილ საფეთქლებზე, მსრბზე უთათუნებდა, მუხლებზე, ხუჭუჭა თავზე ეფერებოდა. ვერ ისვენებდა. თვითონაც პატარა ბაღლივით მალმალ გამოდიოდა საკნიდან, ხელ-პირის დასაბანი წყალი მოჰქონდა, მერე მოსარშული წაბლი და კუნელი ამოუტანა. ჩოხა გახალა. თავისი ხელით გაბერტყა და ძვირფასი განძივით ფრთხილად გადაიწია კილობანზე. სანთელი ანთო, თუმცა ჭერ საქმარისად შემოდოდა სინათლე.

როგორც იქნა, დაშოშმინდა და ძმას გვერდით მიუჯდა. გამოჰკითხა ახლომდებლის ამბავი. მათი ცხოვრების ყოველი წვრილმანი ანტერესებდა — ვინ დაქორწინდა, ვის შვილი შეეძინა, ვინ გააძვევს მეფის კარიდან, ვინ ალაზევს. განზრახ ერიდებოდა ერეკლე მეფის სახელის ხსენებას. არ სიამოვნებდა გადაგვარებული ხელმწიფის ამბის გაგება ამ სასიამოვნო დღეს.

აკანკალებული ხელით გამოართვა ზოსიმეს თავისი აღწერილის, უფლისწულ ვახტანგის წერილი. გულდასმით გადაიკითხა, სიხარულის ცრემლი მოიწმინდა. ვაჟკაცდებოდა ვახტანგი. ვაჟკაცდებოდა და სიბრძნე ემატებოდა. მასწავლებლის წყალობით სწორ გზაზე დაყენებული, გადახვევას არ აპირებდა. როგორც ჩანდა ბევრს კითხულობდა და საკმაოდ ღრმა მწიგნობარიც უნდა დამდგარიყო. უამრავ გეგმებს უზიარებდა ყრმა უფლისწული ორბელიანს.

ახალი სახის ქართული სკოლის დაარსება ეწადა. ქვეყანაში მიმობნეული წიგნების ერთ დიდ წიგნთსაცავში თავმოყრას აპირებდა. უცხო ქვეყნებიდან უნდოდა ქართველ მოღვაწეთა ნაშრომების შემოტანა. მაგრამ უმთავრესი მისი ჩანაფიქრი თბილისში სტამბის ჩამოყალიბება იყო. სტამბისა, რომელიც სასულიერო წიგნებთან ერთად, საერო თხზულებათა საუკეთესო ნიმუშებს დაბეჭდავდა.

ბოდიშს უხდიდა ვახტანგი სულხან-საბას — შენს დაუკითხავად წერილი მივწერე ვალახეთს ჩვენს თანამემამულეს, ანთიზომ იბერიელს, დამხმარებოდა ამ ძნელი საქმის მოგვარებაშიო. ვთხოვე, ვრცლად მოეწერა, როგორი სტამბა დაარსა მან იქ, შორეულ ქვეყანაში და თუ შეძლებდა, კაცი გამოეგზავნა. ვინც ქართველებს სტამბის გამართვაში დაეხმარებოდა. ჭრჭერობით ანთიზომ იბერიელი სავან პასუხს არ მიმიღია, მაგრამ ვიმედოვნებ, ესოლენ განსწავლული და სახელგანთქმული კაცი უყურადღებოდ არ დატოვებს თავისი ქვეყნის შვილის თხოვნასო. სიხარულისა და სიამოვნებისაგან უბრწყინავდა თვალები ორბელიანს, ხელების ფშვნიტით ბოლთასა სცემდა საკანში. იღიმებოდა და, როგორც ჩანს,

სტამბის ჩამოყალიბებით ანთებულს, მრავალი აზრი უტრიალებდა ფართო შუბლის ქვეშ.

მონასტერში ბერებს უკვე ეძინათ. ძმები კი ისევ მასლათობდნენ. რას არ გადასწვდა მათი საუბარი. ირიურაჟა. იყვილა პირველმა მამალმა. მალე მონასტრის ეზოში ნამძინარევი ბერის ფლოსტები აფლატუნდა. აგრილდა და ორბელიანმა ძმას ჩოხა მოასურა.

— ზოსიმე, თუ ღმერთი გწამს, გიორგი იაშვილისა გეცოდინება რაიმე. სად არის, რასა იქმს. ის დალოცვილი, ნუთუ ისე დაკავებულია, რომ მეორე წელი გადის, ერთი ფარატინა ბართიც ვერ გამომიგზავნა. ნაწყენი ხომ არ არის ჩემზე?

დღის სინათლემ გააფერმკრთალა სანთლის შუქი და ძმები ერთმანეთის სახეებს ძლივს არჩევდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეამჩნევდა ბერი, როგორ ეცვალა ფერი ზოსიმეს, როგორ იკბინა მწარედ ტუჩზე.

— რა იყო, ძმაო, რას გაჩუმებულხარ. ცუდი რამ ხომ არ შემთხვა იაშვილს!

ზოსიმე კვლავ სდუმდა. ცუდმა წინათგარძობით შეპყრობილმა ორბელიანმა მხარზე დაალო ძმას ხელი და თვალეში ჩახედა.

ზოსიმე ჩუმად ტიროდა, დაბალუბით ჩამოსდიოდა თვალთაგან ცრემლი. ორბელიანმა ვედარ გაუძლო სიჩუმეს, ზე წამოიჭრა და ერთბაშად ჩახლეჩილი ხმით კვლავ იკითხა:

— ზოსიმე ბიჭო, ნუ დამტანჯე მე უბედური, თქვი, რა მოხდა, რა გატირებს? მოკვდა იაშვილი? მოკლეს? ამოიღე ხმა, რას მიშალავ, ზოსიმე, ბიჭო, იწამე ღმერთი...

ზოსიმემ ღრმად ამოისუნთქა და ქვითინი აუვარდა. სახე ხელებში ჩარგო და პასუხს აგვიანებდა. პირგამენებული, ქანდაკებად ქცეული ორბელიანი თავს დასდგომოდა და გამშრალი ტუჩებით უხმოდ რაღაცას ჩურჩულებდა.

— ზოსიმე!... — ძლივს გასაგონად წარმოთქვა ბერმა. ზოსიმემ თავი ასწია და ძმას ახედა.

— სულხან... აღარა გვყავს გიორგი... აღარა გვყავს... დაატყვევეს და უღმრთოდ გაჰყიდეს... საქონელივით... მერე მისი მნახველი ვერავინ შემხვედრია... წელიწადზე მეტია, იაშვილის ასავალ-დასავალი არავინ იცის... ან ვინ შეიწუხებს თავს, „მკრეხელი“ ბერყოფილისათვის, ვინ დაუწყებს ძებნასა და გამოსყიდვას... „მკრეხელი“ და თან შენი მასწავლებელი...

იდეგა ორბელიანი და ხმას არ იღებდა.

„გარეშე მტერს როგორმე დაეძლევა, ჩემო სულხან, შინაურია საშიში. ამოსაძირკვად ვერ იმეტებ, ის კი უგნურებასა და ბოროტებას არ იშლის. ოცდაათ ვერცხლადაა გაყიდული ეს უბედური, გულუბრყვილო ქვეყანა“ — ყურში ჩაესმა მასწავლებლის ნაღვლიანი ხმა ორბელიანს. უცებ მოაგონდა მისი თვალეები — ხან დამცინავად და კამათის ცეცხლით ანთებული, ხან სევდითა დკაშენით გატენილი, ხან „მკრეხელი“ ემპაყუნების მფრქვეველი.

განევებულიყო ორბელიანი. ტირილი უნდოდა, მაგრამ ცრემლი გაშრობოდა...

...მონასტრის სამრეკლოში ზარების გლოვა გაისმა.

დასასრული იქნება



**დილა არაგვზე**

ჩემი ბინაა სხივთა ჩქერალი,  
ჭრელი მინდვრები,  
ჭრელი ფერდები,  
მზე ასე რიგად გადმომცქერალი —  
არ შემხვედრია,  
ისე ვებრდები!  
ვდგევარ ციცაბოს დაჭიდებული,  
რიხით, რწმენით და  
ალავერდებით...  
მიწა ამგვარად აკივლებული...  
არ მომსწრებია,  
კაცი ვებრდები!

მზის თვალი მადგას, — ცა მოწმენდილა,  
ლადი სუნთქვაა,  
სადაც ვჩერდები,  
და მე მამულის ასეთი დილა,  
არ მომსწრებია,  
კაცი ვებრდები!  
უფრო წინ, ლაღო დილის ცისკართ  
ვინ გაიტანა  
ლულო ვედრებით?  
თუ დღე წამია, უნდა ვიჩქაროთ, —  
არ გაგვიხსენონ  
წლებმა ყვედრებით!

**ი მ ე ლ ი**

მუდამ ერთი ფიქრი დამდეგს,  
არც იორა, არც ისამა, —  
ოლონდ შენმა შუქმა მათბოს,  
ცვარმა მნამოს მაგ ცისამა.  
უშენობას ვით გაიძლებს  
თუ კი გული არი სამა!  
მკვიდრი ეშხმა დაგისახლა  
მთისამა და ბარისამა,  
ციხე-კოშკი გაგებინა  
ჩეხობელმა კარისამა,

ლტოლვამ კარი გაბმევიანა  
მზისამა და მთვარისამა;  
თუ გაცდუნა — მხოლოდ ხედვამ  
სიყვარულის თვალისამა,  
თუ გატკინა მტერზე მეტად —  
მგონი ისევ თავისამა...  
ბევრჯერ დაგიოთოვა ყანა  
მლოლინმა დარისამა!  
თუ აქამდე მოგიყვანა, —  
სულ იმედმა ხვალისამა!

**გურამ გიორგობიანი**

მოსდა ამბავი:

აღმოცენდი როგორც ბალახი, შთამომავალთა შთამომავალი,  
არა განგებით, ისე — უბრალოდ მე ვიფიქრე ქვეყნად,  
ჩემშიც იყო როგორც ზრდის,  
ისე ზრდილის ნიშნები და უფრო მეტიც აღმოვაჩინე, —  
სწრაფვის და ფრენის უნარსა ვგრძნობდი,  
ჩანასახი ჩემში შევნიშნე, —  
მგზნებარება არ დაიფერფლოს... და გადავწყვიტე გაღვივება,  
ის ამიტაცებს, მიმოავლენს გონების სივრცეს...  
და ერთ ნათვლ დღეს შევეგებე სიმშვენიერეს,



სიმებს შევეხე, ზეცის სიმებს, ფრენა შევეძელი.

ფრენა რა არის? განზომილების ერთი ნამატი და კიდევ მეტი, —  
თვით სივრცეში ცოცვა არ არის; მხოლოდ და მხოლოდ სრბოლას  
შევიცნობთ

და ამ სრბოლაში, როგორ გგონიათ, მე დავივიწყე ჩემიანები?  
მე ხომ მიწის სურნელი ამდის, ჩემი ერის, ჩვენი წარსულის, —  
და გულფენებით ჩვენ სხვებს ვანცვიფრებთ, მაგრამ ბევრია სხვებშიც  
ისეთი,

რომელიც გინდა შენს ერში იყოს მიმოფანტული.

სილაღე მინდა ჩემი ხალხის და სურვილი მაქვს ამ ქვეყანაზე  
სიჯანსაღეს წარმოვადგენდეთ, —  
მაღალ აზრებში ფრენდეს და ფრენდეს ყველა ქართველი.



გადასხვაფერდა,

კაკაფონიის ხანგრძლივი სმენით ნათელი ხე გადასხვაფერდა.

გადასხვაფერდა, არ მოგეჩვენოთ — გამოიძერწა, გადასხვაფერდა.

ძლიერი ყრმაც ამ ხის მსგავსად გადასხვაფერდა,

დახეთ, ლიფსიტა გადასხვაფერდა და ყმაწვილმა შერაცხა

თავად ლიფსიტა იმდენად ძლიერად, რომ დელფინი, —

ეს ევპატორი, ამოიგლიჯა მყარი მკერდიდან....

დამრჩა ვედრება,

ო, ნეტავ მეყოს იმდენი ძალა, შეძახილი შეისმინონ

დიდმა ღმერთებმა,

მაგრამ თუ ღმერთიც გადასხვაფერდა?!



დავფიქრდი, ვფიქრობ და გადავწყვიტე კვლავაც ვიფიქრო,

ფიქრია თავი, თავი და თავი, — მზესავით გაეხდე, —

უბრწყინვალესი.

დიადნი ფესვნი განირთხმევინ მიწასა შიგან და ხილვანი დასრიალებენ  
თვალთაკიდებან,

მეც უნდა ვშობო რამ სახიერი, —

უმხურვალესი.

დიახ, მე შევძლებ წარმოვაჩინო და მას გასწვდება ჩემი გონება,

ეს იმიტომ, რომ ჩემში ღვივის თვითონ საწყისი, —

უღიადესი.

და რა შევმოსავ სათნო რაინდს ღმერთების მსგავსად,

მასში იქნება თქვენივე სახის განზოგადება, —

უსპეტაკესი.

და თუ შევიგრძნობ ჩემს ნააზრევს ყველას კუთვნილად,  
მაშინდა ვიტყვი: ფიქრს ჰქონია საკუთარზე მეტი სიმაღლე, —  
უმწვერვალესი.

ო, მოგზაურნო, მომიტევეთ სიპატარავე,  
რადგან პლანეტა — მუზეუმი მე არ მიხილავს,  
არ შევსწრებივარ უკუნი დამით ვულკანის ფრქვევას,  
როცა ზვავდება სულში რომანტიკა,  
არც გეიზერის აჩუხჩუხება სადმე მინახავს  
(წარმოდგენაში თუ შემიტობავს),  
არც უდაბნო გამივლია ვინმე ბრძენ კაცთან,  
მომლანდებოდა მოვერცხლილი ნიაგარის გადმოკიდება.  
ესესაა მტკაველ ფერდობზე გამიშლია მე ჩემი ფრთები  
და თუ გამოჩნდა ვინმე მეტყველი,  
გობელენებად განვეფინები.

ო, მოგზაურნო, რაც ვარსებობ მე დავცქერი  
ერთ ჭალა-ბაღნარს

და ეს წალკოტი ფერადოვნებს,  
ყველაზე მეტად შემოდგომით, მზის შემოსწრებით,  
და გადაყურებ ან ნეტარ ჭალას,  
რომ ნათელვჰყო ნატიფი ფერი.

ო, მოგზაურნო, მაინც შევცოდე,  
ორი დღეა მაქვს შეღონება, ღრმა შეღონება,  
ვითარც ფერმწერმა გარდავსახე წმინდა ალაგი,  
სურვილს გავსდიე, უფრო მეტი სრულყოფისათვის  
რა მოგხატე ქალწულებრივი ყვავილებით სავსე ლარნაკი,  
უცებ თრთოლვით შევფიქრიანიდი,  
ყვავილებმა ერთმანეთი თვითონ აკვნესეს.

ო, მოგზაურნო,  
შეუსაბამოს წესაბამისს ნურასდროს გახდით, —  
ფერი ჩვენს თავში როდი არის მუდამ მართალი.

დაივანე ჩემში, ო, დედამიწავ,  
დიაღზე დიდნი შვილნი შენნი მომანატრე,  
მე მათ ვერ ვხედავ, მაგრამ მესმის  
ვალტორნის ხმის ყრუ შეძახილი,  
სირთულე რა მარტოობს ჩემში,  
მე ვხვდები ყოველს, —  
აი ის, ლოდი, გაქვავებული,  
მონუსხული ადამიანი,  
ბიოგალაქტიკა დაფიქრებული, —  
იგი ჩემსავით ელევგიაა, ვინაც ხმიანობს:

სასიცოცხლოდ ვარ გამურული,  
სასიკვდილოდ კი — მშვენიერი.  
რატომ მომდის ასეთი აზრი?  
განა ვნებვივრობ,  
ყოველი ქვა მე მაგონებს  
წარსულთა შვილთა, ვინაც ვერ სთქვა  
თვისი სათქმელი  
და ვით ძველები საკუთარ თავის —  
დგანან და დგანან.  
დაივანე ჩემში, ო, დედამიწავ,  
მეც დავივანებ შენში.

მურთაზ ჩახავა

### წ ა ღ ი ლ ი

პოი და რა,  
იორით დარია,  
ხმალი ნუ გადამიტყდება ვადაში.  
პოი და რა,  
იორით დარია,  
ბებერ ძვლებში ნუ ჩადგება,  
დამჭკნარ გულში ნუ ჩადგება,  
მქრქალ თვალეში ნუ ჩადგება  
სამარცხვინო სიცივე.  
დარიავ რა, რიორა,  
რაი გითხრა —  
სიცოცხლეა უსირცხვილო სიკვდილი,  
შენ მარგუნე,  
შენ მარგუნე, დარია!  
... ახლა მინდა ჯეელკაცის მუხლები!!!

### მწყემსის სიძღვრა

პეი მწყემსო!

კომბალი დაჰკარი მიწას და თვალეები გაახილე ფართოდ,  
შენ მწყემსი ხარ, ოკრო-ბოკროდ ნუ ივლი.

პეი, მწყემსო!

შენს წოწოლა ქუდს და ნაბდის კალთას  
ყინვის ბეწვი გადაჰკვრია  
კალთებქვეშ კი ცხვრის ბატკნები კიკინებენ.

პეი, მწყემსო!

მთის კალთებზე შეფენილი მუქი-ლურჯი ღრუბლები  
სეტყვის კბილებს ბრაზით აკაწაწებენ.

მწყემსო ჰეი!..

და ჰეი!..

და ჰეი!..

ცხვარი წაფორხილდა? მალამოა საჭირო!  
მგელი ხახას აფრენს? კომბალია საჭირო!  
მწყურვალს — წყალი!  
მშიერს — ლუკმა!  
მწყემსო, მწყემსო საჩინოვ!

და ჰეი!..

და ჰეი!..

გული შენი ააძვერე მათი გულის ფართხალით!  
შენი სისხლით ჭრილობები მოჰბანე!  
სუნთქვით შენით გათოშილი,  
ერთიანად წაყინული,  
ლილისფერი ნესტოები დაუთბე!  
და ამგვარად საკუთარი დაივიწყე სახელი!  
მათ იციან!

მათ იციან!

მათ იციან თუ ვინა ხარ შენ!

შენ ხარ მწყემსი ყინვის ბეწვებიანი,  
და ჰეი მწყემსო!

მიწას დაჰკარ კომბალი!

შორეთს მოსჩანს ჩახერგილი ქედები.

## სიღონია გულისაზვილი

### ფ ი ს ქ ვ ი ლ ი

ვუძღვნი ლევან გოთუას ხსოვნას

ცივ კედლებს შორის

წიოდა ქარი,

წიოდა, სტვენდა

ძველი საკვამლე

და იღვრებოდა ქვებზე მარცვალი,  
და გრიალებდა ქარცეცხლის ღშე.

ღელავდა წყალი,

ბორბავდა ღარი,

ეძალეზოდა ქართლის ცას ღილა,

თუმც ტყვიისფერი ჩანდა რიჟრაჟი,

მაინც ცისფერი ღგებოდა ღილა.

და მოგონებით გაბრწყინებული

იდგა ბუხარი...

განა თუ რამე, —

შე მახსენდება მისი სიძველე,  
როცა წისქვილში შემოდის ღამე.



## ამაო გარჯა სიყვარულისა

სიყვარულის უპირატეო პიესა

„ამაო გარჯა სიყვარულისა“ ერთი იმ თხუთმეტ პიესათაგანია, შექსპირის სიცოცხლეშივე რომ გამოქვეყნდა (1598 წ.). თანახმად ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდისა, ნაწარმოები 1592-93 წლებში უნდა იყოს დაწერილი, როცა მასში აღწერილი თუ ნაგულისხმევი ამბები ახალი მომხდარი იყო.

პიესაში მკაფიოდ არის გამოვლენილი შექსპირის ახალგაზრდული მანერა (მითოლოგიურ სახელებზე სშირი მინიშნება, ისტორიულ პირთა სიჭარბე); გართიმვისკენ განსაკუთრებული მიდრეკილება — ხალხური პოეზიის მსგავსად, ბოლოში დასკვნად მოწოდებული სენტენციების გართიმვა, რაც კომპოზიციურად კრავს ამათუიმ მონაკვეთს, ერთგვარად თავს უყრის სათქმელს, მთავარზე ამასვილებს ყურადღებას. ამ ნაწარმოებს ძალზე ბევრი აქვს საერთო შექსპირის სონეტების რთულ მეტაფორულ ენასა და განწყობილებებთან. ასევე ენათესავენ იგი შექსპირის ადრინდელ პიესებს („ორი ვერონელი“, „შეცდომათა კომედია“). აქ ჯერ კიდევ მძლავრობს მაღალფარდოვანი გამოთქმებით, სინთიმებითა და ეპითეტებით, მითოლოგიური პასაჟებით დამძიმებული ე. წ. „ეგვიპტური სტილი“, ინგლისელი რომანისტი და დრამატურგის ჯონ ლილის (1553-1606 წწ.) სახელს რომ უკავშირდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, ამავე კომედიაში შექსპირი აშკარად დასცინის აღნიშნულ სტილს, ხოლო „ჰენრი IV-ის“ I ნაწილში ეგვიპტის პაროდირება მომავლიდნებელი ხდება.

მკვლევარებმა თავიდანვე აღნიშნეს, რომ კომედიას „ამაო გარჯა სიყვარულისა“ გამოკვეთილი სიუჟეტი, რამდენადმე ხელმისაწიდი ფაბულა არ გააჩნია და ძირითადი ყურადღება მასვილონიერ შეხიტიკებზე, აზრის გამოთქმის ფილიგრანულ ხერხებზეა გადატანილი. იმასაც მიუთითებენ (ი. ტენი), რომ ლაპარაკის ამგვარი მანერა, ეს სიტყვიერი ფიგურეკები სრულიადაც არ ემყარება მწიგნობრულ ენას; აქ ჩანს ეპოქის ხასიათი — ასე მეტყველებდნენ შექსპირისდროინდელი ახალგაზრდა არისტოკრატები, მოსალენად ლონდონის სასეულანთქმულ ტავერნა „სირინოზში“ რომ უყვარდათ თავშეყრა.

შექსპირის შემოქმედებაზე და კერძოდ ამ პიესაზე, როგორც ცნობილია, სხვადასხვა დროს გამოთქმულა პარადოქსული, ურთიერთსაწინააღმდეგო შესვლეულებანი. მაგალითად შეიძლება თუნდაც ჰეგელის დამოკიდებულება დაეასახლოთ. ერთ სტატიაში ჰეგელი მიმოიხილავს გერმანელი ესთეტიკოსის კარლ ზოლგერის ნააზრევს, შედარებით მკაცრად აკრიტიკებს მის გამონათქვამს შექსპირის სხენებულ კომედიაზე და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები „იმდენადვე სუსტია მთლიანობაში, რამდენადაც ბანალურობითაა აღსაუხე მისი ცალკეული ნაწილები“. ჰეგელი სადავოდ ხდის ზოლგერის აზრს, რომ ამ პიესის კომიკურ ფორმაში გამოვლინდა შექსპირის პოეტური სიწიფე, „ვინაიდან პიესას ყველაზე ნაკლებად გააჩნია რაიმე საგანგებო მიმართულება და იგი სუფთა ირონიას ემყარება“. ჰეგელი არ უარყოფს ნაწარმოების ირონიულ ხასიათს და იქვე სარკასტულად შენიშნავს: „პიესა სუფთა ირონიას, მიმართული იმთ წინააღმდეგ, ვინც რაიმე ღირსებას ეძიებს მასში, რამეთუ ასეთი იმედების გაცრუება მართლაც შეიძლება ამ ნაწარმოების იუმორად მივიჩნიოთ“.

ჰეგელის დიდი ავტორიტეტი ვერ გახდის საცილობლად იმ ფაქტს, რომ აქ სიწართლე ზოლგერის მხარესაა და რომ „ამაო გარჯა სიყვარულისა“ ასეთ ნიჭილისტურ შეფასებას სრულებითაც არ იმსახურებს.

საგულისხმო ფაქტია: „დოქტორ ფაუსტუსში“ ადრიან ლევერკიუნის ოპერას საფუძვლად უდევს შექსპირის სწორედ ეს კომედია. რომანის მთავარ გმირს, მის მიერ შემუშავებული ახალი მუსიკალური პრინციპების გამო, ჭარბად უნდა შეეტანა ოპერაში გროტესკისა და პაროდის ელემენტები, ხოლო საამისოდ ახალგაზრდა შექსპირის კომედია — თავბრუდამხვევი კალამბურებით გაწყობილი პროზაული

დიალოგები და მონოლოგები, მუსიკისათვის ესოდენ საჭირო „ირავალმნიშვნელოვანი განმეორებები“ — უხვ მასალას აძლევდა.

თომას მანის შემოქმედების მცოდნენი მიუთითებენ, რომ შექსპირის აღნიშნულ კომედიაზე შემოსვებით არ გაუმსახვრებია „დოქტორ ფაუსტუსის“ ავტორს ყურადღება; აქ გარკვეული როლი ითამაშა ვაგნერის ბიოგრაფიამ, კერძოდ, შექსპირის ამავე კომედიის მოტივებზე დაწერილმა მისმა ოპერამ. მკვლევარები გამართლებულად, კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევენ ამ არჩევანს, ვინაიდან ჰუმანურ საწყისებს, მაცოცხლებელ ნიდაგს მოწყვეტილი ადრიან ლევერკიუნი თავად მოკლებულია ბუნებრივი, უშუალო გრძნობის გამოვლენას და იძულებულია ფორმის უკიდურეს დახვეწილობას, „არსებულის პაროდირებას“ მიმართოს.

სპეკილისტებს არავრთავს აღუნიშნავთ და თომას მანიც საგანგებოდ მიუთითებს, რომ ბერონის დაუღვრომელ ხასიათში (ამ სახელით ცნობილია რეალურად არსებული პიროვნება, მარშალი ბერონი, საფრანგეთში მიმდინარე რელიგიური ომების დროს, 1602 წელს, სიკვდილით დასჯილი) შექსპირმა ავტობიოგრაფიული შტრისები შეიტანა, ხოლო საფრანგეთის პრინცესას სეფექალის, როზალანის ვარგნობაში აღვიდა იცნობა ახალგაზრდა შექსპირის უსაზღვრო ტრფიალების საგანი, სონეტების ერთ-ერთ ციკლში გაღმერთებული შავგვრემანი მშვენიერება, თანაგრძნობა რომ არ აღირსა მის უკვდავყოფებს.

საერთოდ, შექსპირლოგთა მიერ კარგა ხანია დაძებნილია კომედიის პერსონაჟთა პროტოტიპები; მეფე ფერდინანდს აიგივებენ საფრანგეთის მეფე ჰენრი IV ნავარიელთან; საფრანგეთის პრინცესას დიპლომატიური მისია საეჭვოდ წააგავს ჰენრი ნავარიელის ცოლის, მარგარიტა ვალუას მოქმედებას, 1578 წელს ნიერაჟში ვითომდა შესარიგებლად რომ ეწვია „ბართლომეს დამის“ შემდეგ (1572 წ.). მასთან დაცილებულ მეუღლეს, იმასაც აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ჭკვიანი, მომხიბლავი და მოსაზრებელი პრინცესა შექსპირმა შეგნებულად მიამსგავსა ინგლისის დედოფალ ელისაბედს. როგორც ცნობილია, კომედია ელისაბედის სამეფო კარზე იქნა წარმოდგენილი 1597 წელს, შობის დღესასწაულის აღსანიშნავად.

ასევე რეალური პიროვნება იყო პიესაში გამოყვანილი უცნაური ესპანელი არისტოკრატის დონ აურიანო დე არმადოს პროტოტიპი — ვინმე ანტონიო პერესი, რომელიც ხან ფილიპე II-ის, ხან ჰენრი IV-ის, ხანაც ელისაბედის კარზე იმყოფებოდა. იგი ცნობილია, როგორც მოხეტიალე ავანტიურისტი და პოლიტიკური აგენტი. ამ პერსონაჟის გვარში („არმადო“) შექსპირს გათამაშებელი აქვს ინგლისის ფლოტის მიერ ესპანელთა „უძლეველი არმადის“ განადგურების ფაქტი (1588 წ.). არმადო, ძირითადად, სატირული სახეა, შექსპირი დასცინის მის ყოვლად ბუნდოვან, ჩახვეულ-ჩახლართულ მეტყველებას, აზრის განითქმის უკიდურესად არაპირდაპირ მანერას, ესპანური ბაროკოს ლიტერატურას რომ ახასიათებდა. საბოლოოდ არმადო, მისი სიტყვა-პასუხი და საქციელი უფრო სიმბოლურს იწვევს, ვიდრე ზიზღს.

ჩვენა არ შევედგებით ცალკეულ პერსონაჟთა დახასიათებას; ამისათვის სასვებით საკმარისია თვით კომედიის ტექსტი. მკვლევარებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ამ ნაწარმოების არაჩვეულებრივი სიმეტრიულობა, დიალოგთა თანმიმდევრობასა და პერსონაჟთა განლაგებაში რომ გამოიხატება. აქ ერთხელ კიდევ გვახსენდება გოეთეს აზრი, რომ შექსპირს ყველაფერი სიუჟეტში აქვს მოქცეული და უმცირესი ნაწილის ამოკლებაც კი მთლიანის დანგრევის საშიშროებას იწვევს.

ამ კომედიაში შეიტყუება ითქვას, უმაღლეს ხარისხამდე აყვანილი შექსპირის ერთ-ერთი უსაყვარლესი ხერხი — ბგერათა ერთგვაროვნებაზე დამყარებული სიტყვების თამაში, საგანგებოდ მიზნით გამოყენებული ალიტერაციები, რომელთა გადმოცემასაც მეტ-ნაკლები სისუსტით ვცდილობდით. თარგმანს ძალზე აძნელებდა მინიშნებებით აღსავსე გადაკრული ფრაზები, მოჩვენებით გაუგებრობაზე დამყარებული კალამბურები, რომელთა შესატყვისების პოვნა სხვა ენაზე უზირად არც ხერხდება. შექსპირის გმირებს უყვართ ფრთიანი გამოთქმების ბუკვალური მნიშვნელობით ხმარება; რაც მუდამ კომიკურ ეფექტს იწვევს. ამის არაერთი ნიმუში წინამდებარე კომედიაშიც გვაქვს (მაგ. ზოიეტისა და მარიას შესუმრებულ გააპექრებაში).

თავისი ხასიათით „ამაო გარჯა სიყვარულისა“ ე. წ. „ნიღბების წარმოდგენებს“ განეკუთვნება, კეთილად რომ ბოლოვდება და, ჩვეულებისამებრ, მეფისა და სხვა დიდგვაროვანთა გასართობად სასახლის სცენაზე დგამდნენ. უბრალო ჩაქითხვაც კმარა იმის გასაგებად, რომ აღნიშნული კომედია ასეთ ვიწრო ჩარჩოებში ვერ თავსდება და იგი მხოლოდ ამა ქვეყნის ძლიერთა საამებლად და თავშესაქცევადა არ დაწერილა. ეს არის სიყვარულის უჭკნობი და სიყვარულივით უბერებელი პიში, ქება ქებათა ოქროსფრთებიანი პატარა ღვთაებისა, ვინც დასაბამი, სახე და აზრი მისცა ქაოსში ჩაძირულ სამყაროს. ამ ყოვლისწამლევაც ვნებას ვერასოდეს დათრგუნავს მტვრიან ფოლიანტებზე დახრილი სქოლასტიკოსების ასკეტური გულმოდიგნება; არ არსებობს ჯებირი, ეროტის ოქროს ისრებით აფორიაქებული სისხელი რომ შეამაგროს...

ცალკე უნდა ითქვას კომედიის უადრესად ორიგინალურ, ძალზე ეფექტურ ფინალზე, სადაც ყოველგვარი გრძნობისგან დაწრეტილ, ბუტაფორიულ ხელოვნურობას დღის სინათლესავით უპირისპირ-

დება სოფლური ყოფის საოცრად ცოცხალი, მეტყველი სურათები; უნაზესი ფერებისა და მელოდის ჭეშმარიტად შექსპირული შესამება.

ანტონიო მაჩადო საგანგებოდ აღნიშნავს შექსპირის თარგმნის არაჩვეულებრივ სიძნელეს და ამის უმთავრეს მიზეზად მიაჩნია ლექსიკის განსაცვიფრებელი სიმდიდრე, თავისუფლება შექსპირის სინტაქსისა; შეფარული დუმილითა და მინიმუმებით სავსე ხატოვანი მეტყველება, სადაც მუდამ „მეტი იგულისხმება, ვიდრე ნათქვამია“.

ყოველ წამს მოსალოდნელია, ცოცხლად დაგმარხოს, სუნთქვა შეეკრას გენიის გახვლებული რიტმით აგორებულმა სიტყვა-თქმათა ზვაგმა თუ კალაპოტი ვერ მოუძებნე მის თავაწყვეტილ, მაგრამ საოცარი შინაგანი კანონზომიერებით აღბეჭდილ მოძრაობას. შექსპირის მიმართ მართლაც ზედამოჭრილია გამოთქმა „თარგმანის ცდა“.

ამდენად, ამ კომედიის მთარგმნელი კმაყოფილი უნდა დარჩეს, მისმა ნამუშევარმა ოდნავ მაინც თუ აგრძნობინა მკითხველს დედნის სიღამაზე და მომხიბვლელობა.

დასასრულ, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ცნობილ ქართველ შექსპიროლოგს პროფ. ნიკო ყიასაშვილს, რომელმაც თარგმანზე მუშაობისას არაერთი სასარგებლო რჩევა მოგვცა.

მეზარ კვიციანი

### მოქმედი პირები:

ფერდინანდი, მეფე ნავარიისა.

ბერონი

ლონგვილი

დიუმენი

ბოიე

მარკადი

ლონ ადრიანო დე არმადო, ფანტასტიური ესპანელი

ნათანიელი, დიაკვანი.

ჰოლოფერნი, სკოლის მასწავლებელი.

რეგენი, პოლიციელი.

გოგრა, მასხარა.

ფარვანა, არმადოს პატი.

მეტყვე.

საფრანგეთის პრინცესა.

როზალაინი

მარია

კეთრინი

უკნეტა, სოფლელი გოგო, დიდებულები, მსახურები და სხვ.

მოქმედების ადგილი: ნავარა.

### მოქმედება პირველი

სცენა I. ნავარა. სამეფო პარკი.

შემოდინ მეფე, ბერონი, ლონგვილი და დიუნენი.

მეფე

დაე, დიდება, სიცოცხლეში რასაც ელტვიან სხვანი და სხვანი, დარჩეს ჩვენი საფლავის ფილებს, უსახურობას სიკვდილისას გვიმოკბდეს იგი; ამუამინდელი შემართება, წადილი ჩვენი დროს გაუმძღარს აიძულებს დაგვდოს პატივი,

რომაც ბლაგვდება ცელი მისი, ფხალესილი  
და ვხდებით ასე მემკვიდრენი მარადისობის.  
სწორედ ამიტომ, მეომარნი — ასე მოგმართავთ,  
რადგან უშიშრად ეომებით საკუთარ ვნებებს,  
უკუაქციეთ სურვილები ამქვეყნიური —  
ძალაში დარჩეს ჩვენი ბოლო ბრძანებულება:  
მთელი მსოფლიოს საოცრებად იქცეს ნავარა,  
სასახლის კარი იქცეს მცირე აკადემიად,  
იქ მივეცემით ხელოვნებას უღრტვინველ ჭვრეტის.  
ბერონ, დიუმენ და შენ ლონგვილ, სწორედ თქვენ სამმა  
ფიცი მომეცით, რომ სამი წლით ერთად შევბმოდით  
მეცნიერებას, უყოყმანოდ დაგვეცვა ყველას  
წესდება ჩვენი, აღბეჭდილი ამა გრანდიოზულზე.  
ამგვარად, ფიცი ნათქვამია. ხელის მოწერა  
გაკლიათ მხოლოდ. საკუთარი ხელით მოაშთოხს  
საკუთარ პატივს, ვინც ეცდება სიტყვის გატეხას.  
თუ გასურთ ბოლომდე მიიყვანოთ განზრახვა მტკიცე,  
ხელმოწერებით დაამშვენეთ უღრმესი ფიცი.

#### ლონგვილი

მზად ვარ მივიღო ეს პირობა: სამი წლის მარხვა.  
სულის ზეობას მოასწავებს გვემა სხეულის.  
ვინც ჭამას მისდევს და მუცელზე ედება ქონი,  
ვინც ხორცს ალაღებს, უკნინდება აზრი და გონი.

#### დიუმენი

ჩემო ხელმწიფევ, დიუმენიც მორჩილი გახდა,  
ქვენა გრძნობები, სიამენი ამა სოფლისა  
მლაბალ სურვილთა ერთგულ მონებს გადაულოცა;  
ტრფობის, განცხრომის მიტოვება დროზე ჯობია,  
ამიერიდან მივენდობი ფილოსოფიას.

#### ბერონი

დადებულ აღთქმას მე იმდენად გავიზიარებ,  
მეფევ ბატონო, რამდენადაც ფიცი მოგვცით —  
თქვენთან დავყოფდი სამ წელიწადს და ვისწავლიდი.  
აქ კი მრავალი პირობაა უდემეტად მკაცრი,  
თუნდაც ასეთი: სამ წელიწადს ქალს არ შევხედო.  
არა მგონია, წესდებაში ასე ეწეროს;  
მერე: ღამეში უფლება გვაქვს — სამი საათი  
გვეძინოს მხოლოდ. არ მოვხუჭოთ მთელი დღე თვალი—  
მე კი გემრიელ, უშფოთველ ძილს ვერ შეველევი.  
მზადა ვარ, ღამეს ნახევარი დღეც მივაყოლო —  
არა მგონია წესდებაში ასე ეწეროს.  
გამიძნელებდა გადატანა ამდენ წვალების,  
მარხვა და სწავლა, აღარც ძილი, აღარც ქალები.

#### მეფე

თქვენ ხომ თვითონვე შემომფიცეთ პირობის დაცვა.

#### ბერონი

ნება მიბოძეთ, ხელმწიფეო, არ დაგეთანხმოთ:  
მე აქ დარჩენა რომ შეგვიცეთ, ეს მახსოვს ცხადად,  
დათქმული იყო სწავლისათვის სამი წლის ვადა.

#### ლონგვილი

ერთ პირობაზე დაფიცებას თან მოსდევს სხვებიც.



თუკი ასეა, მაშ ხუმრობით დამიფიცნია.  
სწავლის მიზანი საბოლოო გამაგებინეთ.

მეფე

რაიც ჭერ კიდევ უცნობია, იმის შეცნობა.

ბერონი

და რაც მოკვდავთა გონებისთვის დაფარულია?

მეფე

ღიას, ეს გახლავთ ღვთაებრივი ნაყოფი სწავლის.

ბერონი

რახან ასეა, ვფიცავ აღარ დავზოგო ძალა,  
ვისწავლო იგი, რასაც ჩვენი წესდება კრძალავს, —  
ვთქვათ: მოვიღვინო, გემირიელად დავნაყრდე, როცა  
ტაბუ ედება ღვთისა და ხალისს;  
ან როგორ უნდა მოვახერხო ღამაზის კოცნა,  
როცა ხსენებაც არ არის ქალის,  
მკაცრი პირობის როგორ შევძლო შენარჩუნება,  
ფიცი გავტებო, სიტყვა — არა, აი ცთუნება.  
თუ ამდენს შემძენს თქვენთან ყოფნა, სწავლა, მზადება,  
თუკი ამ ცოდნით სარგებელი მომემატება,  
არ ვაძნელდება ერთგულების ფიცის დადება.

მეფე

ეს უშლის სწავლას, არ ჭირდება ამას ცილობა,  
გონებას გვართმევს, მოაქვს ფუჭი სიამტკბილობა.

ბერონი

მე გეთანხმებით, ამოა სიამე ყველა,  
ნიადაგ შრომა — უარესი, არ მოაქვს შველა,  
ჭეშმარიტების შუქს დაეძებს, წვალობს მავანი,  
წიგნებს ამოდ ჩაკირკიტებს, ღამეებს ათევს,  
შუქით ბრმავდება მზერა მათი ამპარტავანი.  
ნათელი, ნათლის მამებარი, თვით პარავს ნათელს;  
ასე რომ, ვიდრე ამ წყევლიადში ნათელს მოძებნი,  
თვით წაგერთმევა თვალის ჩინი ღვთის ნაბოძები.  
მეცნიერება მზეა ღიდი, მნათობი ცათა  
და ვერ შესწვდება თავხელური თვალეზი მათი;  
წიგნებში ქექვა წამებაა, კითხულობს ცოტა,  
ვინც უფროთხილდება მწიგნობართა ღირსებას, პატივს.  
ან რა შერჩებათ, ღამეების ბრწყინვაზე მეტი  
ვარსკვლავთმრიცხველებს, ვარსკვლავებს რომ ნათლავენ ცაში,  
ასევე უმზერს ცას ათასი ბრიყვი და ყბელი,  
რომ დადის ქვეყნად და არაფრის არ იცის ფასი.  
არაფერს ნიშნავს ბერის ცოდნა, არც რა მადლია  
და რასაც უნდა, სახელს არქმევს ყველა ნათლია.

მეფე

გონების ძალით წინ აღუდგა გონიერებას!

დიუმენი

იქცევა, როგორც სიკეთის მტერს შეეფერება!

ლონგვილი

პურეულს მარგლავს, სარეველას ტოვებს უკლებლივ.

ბერონი

გაზაფხულდება თუ ღაჩკა ბარტყმა ჭუკები.

დიუმენი

საით უმიზნებ?

ბერონი

ღროზე უნდა ყოველ ხილს ქება.

დიუმენი

რა პასუხია?

ბერონი

სიტყვა ჩემი სიტყვაში ჯდება.

მეფე

ბერონ, ყოფილხარ გაზაფხულის ყინვა მზაკვარი, ნერგებს რომ აზრობს, ბოროტება მისი მავარი.

ბერონი

ასედაც იყოს. არ დადგება ზაფხული ისე, სანამ ჩიტები არ იგრძნობენ ჭიკჭიკის მიზეზს. რად მინაროდეს ნადრევი მშობიარობა? აყვავებული არ უნდება შობადღეს ვარდი, მისის თვეში რად ვინატრო ქარბუქი მარდი, დანიშნულ ღროზე დამწიფდება ნაყოფი მზარდი. რა გვესწავლება, სწავლა ჩვენთვის გვიანი არი, არ ღირს ფანჯრიდან გადაძრომა, ღიაა კარი.

მეფე

შენ გასული ხარ თამაშიდან, მშვიდობით, ბერონ!

ბერონი

ვერ ვუღალატებ, ო მეფეო, ფიცხა და მირონს. თავაშვებული სიველურე როგორაც ვაქე, არა მგონია, ისე სათნო შეამკოთ ცოდნა, მჯერა ის ფიცი, იმ პირობას წარმოთქვამს ბაგე — სამი წლის მარხვას არ დავარღვევ, იცოდეთ, ოდნავ. კარგი იქნება თუ გრაგნილის წაკითხვას მაცლით, ხელის მოწერით განვამტკიცო კანონი მკაცრი.

მეფე

შენ ამ დათმობით დაიცავი ღირსება კაცის.

ბერონი

(კითხულობს)

„Item, თუ რომელიმე ქალი გაბედავს მიუახლოვდეს ჩემს სასახ-  
ლეს თუნდაც ერთი მილის მანძილზე“...  
ეს გამოქვეყნდა?

ლონგვილი

ოთხი დღის წინათ.

ბერონი

ვნახოთ სასჯელიც. (კითხულობს) „მას ენის ამოღებჯა არ ას-  
ცდება“. ვისი მუხლია?

ლონგვილი

ვისი და ჩემი.

ბერონი

რამ გაიძულათ ამის შეტანა?

ლონგვილი

რათა სასჯელი უმკაცრესი ახსოვდეთ მუდამ.

ბერონი

ძალზე მძიმეა, რაინდობას, კაცობას ზღუდავს.

(კითხულობს)

„Item თუ რომელიმე კაცთაგანი, ამ სამი წლის მანძილზე დაინახეს ქალთან მოლაპარაკე, მას მოუწევს იმგვარი საჭარო შერცხვენის ატანა, როგორის მოფიქრებაც კი დანარჩენ კარის-კაცებს შეეძლებათ“.

თავად დაარღვევთ ამ პირობას, რადგანაც ელჩად მოდის ასული ფრანგთა მეფის, მოგეხსენებათ; თვით გეტყვით სათქმელს, უურადლებას ინებებს თქვენსას — ზნესრული, სათნო, დიდებული, თავად მშვენება — რომ შეიწყალოთ, დაუბრუნოთ აქვიტანია, მოითხოვს მისი ავადმყოფი, უძლური მამა. მეფევ, ეს მუხლი სულ ამაოდ შეგვიტანია, ან თქვენთან არა ესაქმება პრინცესას ლამაზს.

მეფე

მგონი ავჩქარდით, საეჭვოა ჩვენი ქმედება.

ბერონი

ახეა მუდამ, სწავლას მოსდევს გადამეტება. გამარჯვებამდე, ცოდნა, ვიდრე თავისას იზამს, ადრე დასახულს ივიწყებს მიზანს. ვისრულდებოდა წადილს და რა გვჩრება მოგების ნაცვლად, ეს იგივეა — აღებული ქალაქი დაწვა.

მეფე

ამ პირობაზე უარი უნდა ითქვას დროებით, უკანდახევა აიხსნება საჭიროებით.

ბერონი

სამ წელიწადში ხამასამდე შემთხვევას დათვლი — საჭიროება გაიძულებს გატეხო ფიცი, თანდაყოლილი ვნებებისგან ღვთიური მადლი გვიხსნის მოკვდავებს, უსაზღვროა წყალობა მისი. სიტყვის გატეხას უყოყმანოდ დაიწყებს ყველა, საჭიროება გამოდგება მიზეზად, მხსნელად. მეც უყოყმანოდ გადავწყვიტე მოწერა ხელის; (ხელს აწერს). მოთმენა გვმართებს, ცთუნებანი მართლაც დიდია, ფიცის გამტეხელს შერცხვენა და მოკვითა ელის. ვნებათა ცეცხლი სხვაზე ნაკლებ არ მიკიდია. რაც აქ წერია თუმცა ბოღვა მგონია მხოლოდ, სიტყვას გადავალ, ფიცს გავტეხავ ყველაზე ბოლოს. თუ გვეღირსება სასახლეში, ნეტა, გართობა?

მეფე

რატომაც არა. ეს ამბავი ნუ გედარდებათ; იცით — გვეწვია ესპანელი ჩვენ მოგზაური, კეთილშობილი ვაჟაკია, ამყოლი მოდის, ტვინი კი არა, თავში უდევს აზრების ზოდი.

იმათგანია, თავისი ხმის რომ ხიბლავს უღერა,  
მუსიკად ესმის საკუთარი ენის ქარტალი,  
მსაჭულად ირჩევს ამ ოქროპირს ბრუნდი, მართალი,  
როცა ჩხუბობენ, მისი სიტყვა სუყველას სჭერა.  
ოცნების პირმშო. არმადოა სახელი მისი.  
გვიამბობს ხოლმე, როცა სწავლით მოვიცელებით —  
როგორ იბრძოდნენ რაინდები დიდების ღირსი,  
ომში მოკლული შავგვრემანი ესპანელები.  
არ ვიცი, აზრი როგორია, ლორდებო, თქვენნი,  
მე კი, პირადად. მიუვარს მისი აზრების სმენა,  
კარის პოეტი იქნებოდა, მოგეცათ ლხენა.

ბერონი

ვიცნობ არმადოს, ცნობილია მისი წოდება,  
მიღებ-მოღება და მოღებზე თავგამოდება.

ლონგვილი

ისა და გოგრა გამართობებად თუ გვეუბლება,  
ჩაივლის სწავლა, როგორც სამი წლის გაქროლება.

შემოდის რეგვენი — პოლიციელი — ხელში წერილი  
უჭირავს, შემოყვება გოგრა.  
რეგვენი

სად ბრძანდება მისი ბრწყინვალეობა, ჰერცოგი?

ბერონი

აქ გახლავთ, ძმობილო. რა გნებავდათ?

რეგვენი

მე თავად წარმოვადგენ მის ბრწყინვალეობას, როგორც მისი  
უდიდებულესობის კონსტებლი; მაგრამ მინდოდა პირადად მენახა  
იგი.

ბერონი

სწორედ ეს გახლავთ.

რეგვენი

სენიორ არმე-არმე — მოწინააღმდეგე გესალმებათ. მოხდა საშინე-  
ლება. ეს წერილი გამცნობთ დანარჩენს.

გოგრა

თქვენო უდიდებულესობავ, აქ ჩემზეც ეწერება.

მეფე

სახელოვანი არმადოს წერილი.

ბერონი

რაგინდ მდაბიური იყოს აზრი, მაღალი ღმერთია მოწამე, წე-  
რილს არ აკლია ზეშთაგონება.

ლონგვილი

მაღალი ღმერთი და დაბალი ცა. ღმერთო, მოთმინება გვიწყა-  
ლობე.

ბერონი

მოვისმინოთ თუ სიცილისგან ვიკავოთ თავი?

ლონგვილი

მოვისმინოთ მორჩილად და ზომიერად ვიცინოთ. ან ნურცერთს  
ნუ გავაკეთებთ.

ბერონი

კეთილი და პატიოსანი. დაე თვით წერილის სტილმა მოგვცეს მხიარულების საბაზი.

გოგრა

საბაზი მე გახლავართ, სერ, ვინაიდან უაკნეტაა გარეული საქმე-ში. მე წამასწრეს.

ბერონი

რაზე წაგასწრეს?

გოგრა

ჩემს საქციელზე ანუ მოქცევაზე; სულ სამია: დამინახეს კოშკში, მასთან ერთად; დამინახეს მის გვერდით მჭდომარე, დამინახეს — როგორ მივდევი პარკში. ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი, თანახმად წესდებისა, შეადგენს საქმეს. ამგვარად, ჩემი საქციელი არის საქციელი კაცისა, რომელიც ქალს ელაპარაკებოდა. მოკლედ — როგორც არის.

ბერონი

მერედა რა უნდა მოყვეს ამას?

გოგრა

გაანია, რა სასჯელს მოაყოლებენ. ღმერთო, შენ უშველე მართალ კაცს.

მეფე

დაუგდებთ ყურს წერილს?

ბერონი

ისე მოვუსმენთ, როგორც ქადაგს.

გოგრა

ისე უბრალოდ, როგორც ხორციელს უსმენენ წადილს.

მეფე

(კითხულობს)

„დიდო ხელმწიფევე, თვით ცის თალის ნაცვლო და ერთმმართველო ნავარისა, სულის ჩემის მფარველო და სხეულის მასაზრდობელო“...

გოგრა

გოგრაზე სიტყვაც არ თქმულა ჭერ.

მეფე

(კითხულობს)

„მოხდა ისე, რომ“...

გოგრა

მოხდენით ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ ის თუ ამბობს მოხდაო, მართალი რომ ითქვას, თავად არაა ღირსი, რაიმე შეემთხვას.

მეფე

სიჩუმე!

გოგრა

მე მუდამ ჩუმადა ვარ, როგორც ყველა, ჩსუბში ჩარევას ვინც ვერ ბედავს.

მეფე

სმა, კრინტი!

გოგრა

სხვათა საიღუმლოზე, გემუდარებით.

მეფე

(კითხულობს)

„მონდა ისე, რომ შავი მელანქოლით შეპყრობილმა, გადავწყვიტე ჩემი შეჭირვებული გუნება გამოეკეთებინა შენს მაცოცხლებელ, სიჯანსაღის მომმადლებელ ჰაერს, ანუ როგორც ჭენტიმენები იტყვიან, გასეირნება ვინებე. რა დრო იყო? დაახლოებით ექვსი საათი, უამი, ოდეს ზვასტაგი ძალუმად ძოვს, ფრთოსნები მეტის ფაფაციციებით იკენკებიან, ხოლო კაცნი უსხედან შეჭამანდს, რომელსაც ვაზშამს უხმობენ. სულ ეს იყო, რაიც დროის თაობაზე შემეძლო მეთქვა. მიწაზედაც მოვახსენებთ — სად, ვგულისხმობ მიწას, რომელზედაც გავისეირნე. ეს გახლავს ეგრეთწოდებული შენი პარკი. ახლა ადგილი? ვგულისხმობ ადგილს, სადაც შევესწარი ურცხვ, ყოვლად უმსგავსო შემთხვევას, რომელიც იწოვს ჩემი ქათქათა კალმის წვერიდან ებონისფერ მელანს, რასაც აშუამად ზედავ, ჭვრტბ, უმზერ თუ აკვირდები. რაც შეეხება ადგილს, იგი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასავლეთ კუთხეში. შენი სასწაულად მისწვეულ-მოხვეული ბაღის აღმოსავლეთისა. სწორედ იქ დავინახე ეს სულმდაბალი მეჭოგე, პირწმინდა არარაობა. შენი წვერილფენა გამართობი...“

გოგრა

მეე?

მეფე

(კითხულობს)

„ეს ტლუ, გაუთლელი ხებრე“...

გოგრა

მეე?

მეფე

„ეს თავცარიელი მონა“...

გოგრა

ისევ ჩემზეა?

მეფე

„რომელსაც, რამდენადაც მახსოვს, გოგრას ეძახიან“...

გოგრა

ო, მე ვარ.

მეფე

„ურთიერთთან და ურთიერთობაში, საწინააღმდეგოდ დადგენილი, გამოკვეყნებული ელიქტისა და ძალმოსილი კანონისა; ვისთან, ო, ვისთან — არა, არ ძალმიძს თქმა, ვისთან ერთად...“

გოგრა

ღიაცთან.

მეფე

„ჩვენი ღიდეღის, ევას ნაშიერთან, მდეღრთან; ანუ, უფრო გასაგებად ვატყვი შენი უღიდეღუღესობის მისახვედრად, ქალთან.

სამუდამო პატივისცემითა და მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული გიგზავნით მას, რათა მიაგოთ დამსახურებული სასჯელი, მან-თანვე გაახლებთ თქვენი უდიდებულესობის მსახურს ენტონი რეგვენს. — საუკეთესო რეპუტაციის, ზნეობისა და თავდაჭერის ადამიანს“.

რეგვენსი

ეს კი, ნება მიბოძეთ, აღვნიშნო, მე ვარ.

მეფე

„რაც შეეხება შაკნეტას — ასე ეძახიან იმ უსუსტეს ჭურჭელს, ზემოხსენებულ გლენსუქასთან რომ წავასწარი, მე იგი წავიჭირე, ვითარცა ჭურჭელი, შენთა კანონთა მრისხანებისა; თქვენი უდიდებულესობის მცირედი მითითებაც კმარა, რათა სამსჯავროზე წარმოგიდგინო. დავშთები შენი ერთგული მაქებარი, მსურვალე აღმსრულებელი მოვალეობისა,

დონ ადრიანო დე არმადო“.

ბერონი

ეს არც იმდენად გადასარევაა, როგორსაც მოველოდი, მაგრამ უკეთესი, რაც კი ოდესმე მსმენია.

მეფე

საუკეთესოა უარესთა შორის. აბა, გეთაყვა, თქვენ რაღას იტყვით ამაზე?

გოგრა

ქალის ამბავს ვაღიარებ, სერ.

მეფე

ბრძანება არ მოგისმენიათ?

გოგრა

უნდა გამოვტყდე, ისე გაფაციცებით ვუსმენდი, რომ ყველაფერი გამომეპარა.

მეფე

გამოცხადებული იყო, ერთი წლის პატიმრობა უწევდა, ვისაც ქალთან წაასწრებდნენ.

გოგრა

ქალთან არავის დავუნახივარ, სერ, ქალიშვილთან ვიყავი,

მეფე

ის ბრძანება ხომ ქალიშვილებსაც ეხებოდა?

გოგრა

რისი ქალიშვილი, მეფეც ბატონო, ქალწული იყო.

მეფე

ეს არ ცვლის საქმის ვითარებას, ბრძანება ქალწულებზეც ვრცელდება.

გოგრა

რახან ასეა, მე უარვყოფ მის ქალწულობას, გოგოსთან ვიყავი.

მეფე

ვეჭვობ, ეს „გოგო“ რამეში წაგადგეთ.

გოგრა

ეს გოგო რაღაცაში წამადგება, სერ.

მეფე

ახლა, ჩემო კარგო, განაჩენი უნდა გამოგიცხადოთ: ერთი კვირა ქატოსა და წყალზე უნდა დაგსვან.

გოგრა

მე კი ვამჯობინებდი, ერთი თვე ცხვრის მწვადზე და ფლავზე შელოცნა.

მეფე

თქვენი გუშაგი დონ არმადო იქნება თავად.  
ბერონ, მიგვარეთ მას პატიმარი,  
ახლა წავიდეთ და აღვასრულოთ,  
ერთად რომ დავდეთ, ის მტკიცე ფიცი.

(მეფე, ლონგეილი და დიუმენი გადიან.)

ბერონი

მე, თავს მოვიჭირი, პატიოსანს ვიძლევი სიტყვას,  
მასხრად აგდება არ ასცდება ამ ფიცს და კანონს.  
წამოდი, ვაჟბატონო.

გოგრა

პატიოსნებისთვის ვიტანჯები, სერ. პატიოსნებას გეფიცები, ჟაკ-ნეტასთან ვიყავი, პატიოსან გოგოსთან. ამიტომაც სიამტკბილობით დაგცლი, მწარე თასო კეთილდღეობისა. ერთი დღე იქნება და კვლავ გამიღიმებს ნაღველი. მანამდე კი აქ უნდა იჯდე, მწუხარებავ.

(გადიან.)

ინგლისურიდან თარგმნა ემზარ კვინტანიუვილიმა.

გაგრძელება იქნება.





## ყარაყუმის მბრძანებელი

მოგითხრობთ დიდი საბჭოთა ინჟინრის, ლენინური პრემიის ლაურეატის, თურქმენეთის სსრ დამსახურებული მშენებლის კონსტანტინე წერეთლის (1909-1973) შესახებ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოძმე თურქმენი ხალხის საუკეთესო ნატვრის აღსრულებას შესწირა. საქართველოში მასზე ჯერ კიდევ ცოტაა დაწერილი...

თვითმფრინავიდან ყარაყუმის უდაბნო მთავრის ზედაპირის ასოციაციას იწვევს. აქაური ქვეშა ზაფხულის პაპანაქება სიცხეში 80 გრადუსამდე ხურდება. ეს საკმარისია, რომ კვერცხი შეიწვას. დამლამობით უდაბნოს სიცივეში კი წყალს იყინება.

ყარაყუმში ზამთარიც სუსხიანია: ტემპერატურა მინუს ოცდაათ გრადუსამდე ეცემა. დღე-ღამის და ზამთარ-ზაფხულის ტემპერატურის ცვალებადობითაც გვაგონებს ყარაყუმს მთვარეს.

თურქმენულად ყარაყუმი შავ ქვიშას ნიშნავს. სინამდვილეში იქ ქვიშა უფრო ოქროსფერია. შავი კი ეწოდა არა ფერის, არამედ იმ უდიდესი უბედურებისა და მსხვერპლის გამო, თურქმენ ხალხს საუკუნეების მანძილზე რომ მოუტანა. იქ ახლაც ბოულობენ ქვიშით დაფარულ ნაქალაქარებს.

ყარაყუმის უდაბნოს თურქმენეთის სსრ-ის ფართობის 90 პროცენტი, ანუ 40 მილიონი ჰექტარი უჭირავს. ამ უდაბნოს მეზობლად ბუნებამ გააჩინა მისი მოწინააღმდეგე მძლავრი სტიქია, ვოლგასავით დიდი მდინარე ამუ-დარია, რომელსაც თურქმენები ჯეინუნს — ცოფიანს ეძახიან.

ქვეყნიერების მთავარი სასწაულია წყალი: იგი სიმწვანეა, სიცოცხლეა. ამ ქვეყნის ისტორიაშიც ყველაზე დიდი ბრძოლები სწორედ წყლის გამო ატეხილა. თურქმენები მას მიწის სისხლს უწოდებენ.

ამუ-დარიას შეუძლია ყარაყუმის გაცოცხლება, მაგრამ როგორ ვინ შეუშვებს ამ სისხლს უდაბნოს ძარღვებში?

დავიწყეთ ამ აღწერებითა და შედარებებით, რომ მკითხველმა ზოგადად მაინც წარმოიდგინოს წინააღმდეგობათა მთელი სირთულე და მასშტაბები, რომელიც წამოიჭრა აქ ადამიანსა და ბუნებას შორის.

უსიციოცხლო ყარაყუმში ამუ-დარიის შემოყვანა ჯერ კიდევ 1714 წელს უცდიათ: იმ დროის განათლებული თურქმენი ხოჯა ნეფესი ამ მიზნით თვით პეტრე დიდს სწვევია.

„ამუ-დარია გაშმაგდა, დიდო ხელმწიფევე, კასპია მიატოვა და არალისაყენ გაიქცა. მისი შემობრუნება მხოლოდ რუსეთის ძლიერებას ძალუძს. ჯვენთვის წყალი იქნება იგი, თქვენთვის გზა და ხიდი, რომლითაც აღმოსავლეთს მისწვდებით...“

პეტრემ ბრძანა: „მოაბრუნეთ მდინარე ძველ კალაპოტში!“ მაგრამ ბრძანებას შესრულება არ ეწერა: აღზევებულმა ხივის სამეფომ ამოწყვეტა რუსეთის საიმპერატორო ექსპედიცია...

ისევ უწყლობაში გადიოდა წლები, ათწლეულები, საუკუნეები, ისევ და ისევ იმედით ცხოვრობდა თურქმენი კაცი — ალაჰს ევედრებოდა.

და აი, ამ საუკუნის დამდეგს ამერიკელებმა მოიფიქრეს ამ უძნელესი საქმის გადაწყვეტა: რუსეთს შესთავაზეს კონცესია 99 წლის ვადით ყარაყუმში არხის გასაყვანად. მეფე დათანხმდა.

მერე ის იყო, ცნობილმა ამერიკელმა ჰიდროინჟინერმა დევისმა მოიარა ყარაყუმი, ნახა ამუ-დარია და თქვა:

„არ აშენდება აქ არხი — ყარაყუმი ისეთი გაუმადარია, წყნარ ოკეანესაც მოინელმს...“

კვლავ გაუცრუვდათ იმედი თურქმენებს, კვლავ შეფერხდა ქვეყნის განვითარება, მაგრამ უკვე მცირე ხნით: გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს შუა აზიის რესპუბლიკებში სარწყავი სისტემების მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყებაზე.

და დღეს თურქმენეთის მრავალჭირნანახ მიწაზე მოედინება მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური მდინარე, 1.500 კილომეტრიანი ყარაყუმის არხი, ვ. ი. ლენინის სახელობისა.

ყარაყუმის არხი სიგრძით 9-ჯერ აღემატება სუეცის არხს. ჰიდრომშენებლობის მსოფლიო პრაქტიკას მსგავსი მაგალითი არ ახსოვს. მისი ხორცშესხმა თავისი სირთულით არქტიკის ათვისების ან, თუ გნებავთ, კოსმოსის დაპყრობის რაგში განიხილება.

ოღდესაც აქლემს, ერთადერთ აქაურ ტრანსპორტს „უღაბნოს ხომალდს“ ეძახდნენ. ახლა ყარაყუმში დაკურავენ ნამდვილი ხომალდები. არხი სანაოსნოა. ყარაყუმს აქვს თავისი პორტები — ზახმატი და ნიჩკა.

სულ მალე არხი კასპიის ზღვასთან მივა. მაშინ აღსრულდება ხოვა ნეფესის და პეტრე დიდის ოცნება: ხომალდებს გაეხსნებათ გზა ლენინგრადიდან შუა აზიისაკენ. ეს იქნება მოგზაურთათვის ერთ-ერთი წარმტაცი მარშრუტი.

თურქმენმა ბავშვებმა, რომლებსაც მხოლოდ კინოში და ნახატებში ენახათ მდინარე, ისწავლეს ცურვა და თევზაობა. უღაბნოში გაჩნდა მანამდე უცნობი ფრინველი — თოლია.

სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა: მოვიდა ამუღარი და გაჩნდა სიცოცხლე. აყვავდა სოფლები და ქალაქები. ასეულ ათასობით ჰექტარზე გადაიჭმა ბამბა, ბაღჩეული, ვენახი; უღაბნოში გაშლილი ბაღები კაცს მირაჟი ჰგონია, მაგრამ ეს სინამდვილეა, კესმარტებაა.

არხი მოწოდებულია მთლიანად გარდაქმნას რესპუბლიკის სახე, მისი მეურნეობა, ჰავა, ყოფა და წესები, პროფესია და ცხოვრების დონე.

ბიბლისის მიხედვით ღმერთმა არარაობისაგან შექმნა ყველაფერი. ყარაყუმშიც ყველაფერი დაიწყო ნულიდან, მაგრამ აქ შემოქმედი უკვე აღამაინი იყო.

ყარაყუმის არხის პროექტის ავტორები და მშენებლები ჩვენი დროის ყველაზე მამაცი მეცნიერები და ინჟინრები არიან. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ჩვენი თანამემამულე კონსტანტინე წერეთელი გახლავთ.

კ. წერეთელი დაიბადა ქალაქ ჭიათურის მეზობელ სოფელ პერევისაში, ცნობილი ექიმი-ეპიდემიოლოგის ევგენი (საველ) წერეთლის ოჯახში.

სწავლობდა ქუთაისის №3 შრომის სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

არავინ იცის ამ მეოცნებე ყმაწვილს მამონა რა წივნი მოხვდა ხელთ, მაგრამ მუდამ აღმო-

სავლეთისაკენ რომ იცქირებოდა, ფაქტია: „უნდა წავიდე, კარგი საქმეები გავაკეთო!“ იტყობდა თურმე, ხოლო ახლობლები ამას ბავშვურ ახირებად თვლიდნენ.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც დაიკარვა წერეთლიანთ ვაჟი. ვერავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. მხოლოდ დედამ — ანტონინა ელზაროვნა პოდრუჟნიამ, ყოველთვის შვილის მესაიდუმლე რომ იყო, აგრეთვე ერთმა ახლო ნათესავმა, კაკოს ბავშვობის მეგობარმა, იცოდნენ სინამდვილე. სხვებმა „კარგი საქმის გასაკეთებლად“ წასული კაცის ამბავი მხოლოდ 10 წლის შემდეგ, მოსკოვური გაზეთებიდან შეიტყეს.

ქართველი ჭაბუკი დედუღეთის — ხარკოვის გავლით ჩავიდა ყარაყუმში. როცა თურქმენეთის სსრ მხოლოდ ხუთი წლისა იყო, და მისთვის სრულიად უცნობი ხალხის საუკუნო ნატურის აღსრულება გადაწყვიტა.

ყარაყუმის შემსწავლელი ექსპედიციის უფროსი, ტრესტ „ყარაყუმჰიდრომშენის“ უცვლელი მთავარი ინჟინერი, თურქმენეთის სსრ დამსახურებული მშენებელი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ყველაფერი ეს იყო გვიან, ხოლო თავიდან დაიწყო ისე, როგორც იწყება ყოველი დიდი საქმე: ცხრაშეტი წლის კ. წერეთელი ამზაბადის სამელორიაციო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ცოდნით ლექტორებს აკვირებდა, იცოდა უცხო ენები და კიდევ, მრავალი გამორჩენილი საბჭოთა თუ უცხოელი ინჟინრის ცხარე კამათის მომსწრე ყოფილა მშობლიურ ჭიათურაში — მანგანუმის სახელგანთქმულ ქალაქში. ყოველივე ამან სასარგებლო ნაყოფი გამოიღო.

„უღაბნოს ადვილად ვერ დამოორჩილებ, საჭირია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა შეერთებული ძალით შევისწავლოთ იგი“, აცხადებს კ. წერეთელი და აყალიბებს ორას-კაციან კომპლექსურ ექსპედიციას, რომელსაც წილად ხვდა ყარაყუმის აღმოჩენა.

დაიხ, აღმოჩენა: რუკაზე ამ უზარმაზარ ტერიტორიას ეწერა ქვიშები, რაც არ ყოფილა სწორი. უღაბნოში ქვიშა მხოლოდ შვიდი პროცენტია, დანარჩენი ფარითობი ბალახით და უღაბნოს მცენარეულობითაა დაფარული.

რუკაზე არც ჭებია სწორად დატანილი. რაც არის, ისიც ქვიშით ამოუყვიათ ბასმაჩებს. კ. წერეთლის ექსპედიციამ მიაკვლია 10.000 ჰას, მანვე დაადგინა, რომ ყარაყუმის უღაბნოს შეუძლია გამოკვებოს 6-7 მილიონი ცხვარი და რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობას მიუჩინა თავისი საძოვარი.

აი, როდის ისწავლა კ. წერეთელმა მწველი მზისა და წყურვილის ატანა, ფალანგისა და გველებისაგან თავდაცვა, აი, როდის გადვივდა და მომწიფდა მასში ყარაყუმის მორწყვის გრანდიოზული იდეა, რომლის ხორცშესხმამდე კიდევ ბევრი გზა და ბილიკი უნდა დავძლია.

კ. წერეთლის ექსპედიციამ სამ წელიწადში მარტო ფეხით, თეოდორიტურის სკვებით განვლო 14.000 კილომეტრი. ნახა და მოიძია მისი ყოველი კუთხე-კუნჭული. ყარაყუმზე — ჯერ კიდევ პეროლტეს დროიდან წერდნენ, მაგრამ მისი ნამდვილი სახე გამოჩნდა მხოლოდ ახლა, ხოლო მერე მის დეტალურად შესწავლას დასჭირდა წლები: ჯერ კიდევ თამაღვ კ. წერეთელი მრავალგზის ეწვია მოსკოვს. მისი ექსპედიცია საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის უცვლელი მონაწილე იყო. 29 წლის ინჟინერი ყარაყუმის ათვისების პრობლემებზე ესაუბრა ი. სტალინს...

ამ ექსპედიციის მონაბრუნებელი კ. წერეთელმა შეაჯამა 1940 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში, რომელსაც ჰქვია „ყარაყუმი და მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისება“...

კ. წერეთელს ყარაყუმში მუშაობა დიდი სამამულო ომის წლებშიც არ შეუწყვეტია: ეს ვასაგებიც არის: ფრონტის სჭირდებოდა მატყლი, ბამბა, ხორცი, უფრო მეტიც, მაშინ კრასნოვოდსკ-ტაშკენტის რკინიგზას დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა.

აქ მოძრავი ქვიშაა, რომელმაც არაერთხელ დაფარა რკინიგზა. რა არ იღონეს, ვერაფერმა გაჭრა. საქმეში ჩაერია „უღაბნოს კაცი“ და... ქვიშა გაჩერდა!

აი როგორ: ადრე გზის დასაცავად მრავალი სახეობის მცენარე შემოეტანათ საპარიდან და ჩინეთიდან, მაგრამ ქვიშამ ყველას გადაუარა. ხოლო კ. წერეთელმა ადგილობრივი კუჩრდელი ადგილობრივი მწევარის დაპყრობა: ქვიშისმოყვარე მცენარეები და ბალახი შეაჩია, და ქარის საპირისპიროდ გააშენებინა...

აელანეთის საზღვრიდან თითქმის ყოველგანაფხულზე ხანძარი შემოდიოდა. ცეცხლისაგან იღუბებოდა მილიონობით ჰექტარი საძოვარი, საშველი თითქოს არსაიდან იყო. დახმარებისათვის ისევ კ. წერეთელს მიმართეს. ხოლო მან: სამხედროები მოიშველია და საზღვრიდან მოყოლებული პარალელური ხნულეები გაავლებინა. და ცეცხლიც გაჩერდა.

ტელეფონის თუ ელექტრონის გადამცემი ხაზები უღაბნოსაც გაივლის. და დღე ისე არ გავა, ისინი ქარმა არ წააქციოს. ამ საქმესაც კ. წერეთელი შევლის. ათეული წლების შემდეგ ამ გამოცდილებას სპეციალურად სწავლობენ და იყენებენ გაზისა და ნავთობსადენების — შუაზია — ცენტრის მშენებლებში...

ახალი ჭების მშენებლობა ძვირი ჯდება. მათი სიღრმე ხომ 30-250 მეტრია. რკინა-ბეტონი საკმარისი არ არის. სხვა გამოსავალი თითქოს არსაიდანაა. ისევ კ. წერეთელს მიმართეს. და მან შექმნა ახალი ტიპის ჭა, რომელსაც დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ კ. წერეთლის ჭის სახელით იცნობენ.

კრასნოვოდსკი ერთადერთი ქალაქია ჩვენს ქვეყანაში საკუთარი წყალი რომ არა აქვს. ხოლო დიდი მნიშვნელობის კომბინატს, რომელიც აქ არის, ათასობით კუბური მეტრი წყალი სჭირდება. ბაქოდან გემებით შემოტანა ძვირია. კ. წერეთელი ამბობს: „მე ვიბოვი მტყნარ წყალს!“

ომია. მტერი სტალინგრადისაკენ მოიწევს. „ახლა თვითეული კაბიცი ოქროა. ის კი ფულს ფლანგავს — ეს ადგილები ათასჯერ არის გაბურღული. აქ არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს მტყნარი წყალი“, — ჩივიან სხვები.

„არა“, — გაიუტდა კ. წერეთელი, — „მე ვიბოვი წყალს“. და იბოვა კიდევ!

როგორც იტყვიან, ამ მოძმე რესპუბლიკის ცხოვრებაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თუ სახალხო მეურნეობრივი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის აქტიური მონაწილე არ გამხდარიყოს კ. წერეთელი.

და იყო მონაწილე არა მხოლოდ შენების, ლხინის და წარმატებების, არამედ აქაური ჭირისა და მწუხარების: — 1948 წლის 5 ოქტომბერს აშხაბადს თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა — კ. წერეთელმა დაკარგა უფროსი შვილი თამარი...

აშხაბადის ალგენის შემდეგ დაიწყო ყარაყუმის არხის მშენებლობა და კ. წერეთლის ახალი ცხოვრება. იგი სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს უფროსია, აღმოსავლეთიდან მოდის და მოაქვს ამუღ-ღარია.

კ. წერეთლის მამაცურ საქმეებზე ბევრს წერენ პოეტები, მწერლები, ყურნალისტები. საკმარისია ითქვას, მარტო მისი სიცოცხლის უკანასკნელ ექვს თვეში სამმა საკავშირო სოლიდურმა ყურნალმა უძღვნა ნარკვევები (იხილეთ 1972 წლის „ავტორა“ №7, „ზნამია“ №10, და „კოკოდილი“ №25). უფრო მეტიც, რუსმა საბჭოთა მწერალმა იური ტრიფონოვმა ვრცლად და საინტერესოდ ასახა არხის მშენებლობა რომანში — „წყურვილის მოკვლა“. „ამ წიგნის მთავარი მოქმედი გმირის მრავალი ნიშანთვისება ჩვენთვის, მშენებლებისათვის უკვე ნაცნობი იყო, — ამბობს ტრესტ „ყარაყუმპილრომშენის“ უფროსი ათა ჩარეივი...

ამ დაუღალავმა შემოქმედმა-ენჟინერმა არხის გაყვანის ისეთი ხერხები გამოიგონა და დანერგა, ისტორიას რომ არ ახსოვს. აი, თუნდაც დღეს საქვეყნოდ გახმაურებული ჰიდროგადარეცხვის ხერხი: კ. წერეთლის ბრძანებით დააგუბეს მდინარე და ბუღლოზერების მიერ გახაზულ ტრასაზე გაუშვეს, წყალმა სა-

**გვანჯი მანია**  
ჰარაჰუმის მბრძანებელი

**ხწაული ჰქმნა:** გაიყოლია ქვეშა და 36 საათში 5½ კილომეტრზე გაკრა არხი! „დროა წყალი თვითმომსახურებაზე გადავიყვანოთ“, — უტყობრია მაშინ კ. წერეთელს.

ახლა მეორე, არანაკლებ ცნობილი ამბავი: ყარაყუმის არხის მშენებლობაზე ბულდოზერი სკრეპერისა და ექსკავატორის შემდეგ მნიშვნელოვან მესამე მანქანა იყო, მაგრამ კ. წერეთელმა ის არხის მშენებელ პირველ ტექნიკად აქცია. ამის კვალობაზე შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცნობარი შესწორდა.

ეს ასე მოხდა: ზოზინა სკრეპერს ფართო დანები მოხსნეს და ადვილად სამართ და მძლავრ ბულდოზერებს დაუყენეს. ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა ტექნიკის დარგში, რომელმაც ოცჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ეს ორი მძლავრი წერეთლისეული ხერხი რომ არა, ყარაყუმის არხის მშენებლობას, ალბათ, ამერიკელების კონცესიის დრო 99 წელი თუ არა, მესამედი მიანც დასჭირდებოდა. სინამდვილეში არხის პირველი და მეორე რაგა ანუ 800 კილომეტრი ხუთ წელიწადში გაიყვანეს!

ნურგინ იფიქრებს, რომ ყოველივე ეს ადვილად კეთდებოდა, კ. წერეთელმა ბიუროკრატებთან და კონსტრუქტორებთან მრავალი ომი გადაიტანა. მის პირად საქმეში 13 სასტიკი საყვედურია: საყვედურები ზემოთქმული თუ მსგავსი იდეებისათვის, ვინცთბაა ცუდი შედეგისას პასუხი მხოლოდ წერეთელს რომ ევა.

თვით კ. წერეთელი თანახმა იყო, იგი არასდროს ცდილა აეცდინა საყვედურები. ამბობდა: მშობრების მიერ გამოტანილი საყვედურები არაფერია, მთავარია საქმეო. საქმით კი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია კ. წერეთლის საინჟინრო პრაქტიკიდან. რამდენიმე რადგან მისი და ყარაყუმის ორმოცდასამწლიანი ომის ერთ ნარკვევში ჩატევა შეუძლებელია (ფიქრობთ, დაეწეროთ წიგნი, შევქმნათ კინოსცენარი).

ამ ორმოცდასამ წელიწადში მან ხორცი შეასხა ოთქების ყველაფერს, რაც მოიფიქრა და გადაწყვიტა — (ის ყარაყუმის ჭეშმარიტი მბრძანებელი იყო) და მიანცო, ამბობენ მისი კოლეგები და მოწაფეები, ეს ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რაც წინ ელოდა, რაზედაც ოცნებობდაო; ოთხმოციანი წლებისათვის მეორე დიდი არხის გაყვანა თურქმენეთის ჩრდილო-დასავლეთით მიწების მოსარწყავად. ოთხმოცდაათიანი წლებისათვის ციმბირის მდინარეების ყაზახეთის გავლით კასპიისკენ შემობრუნება. მისთვის უფრო შორეული პერსპექტივებიც ნათელი იყო.

სიცოცხლის ბოლო წლებში დაამუშავა და დანერგა ღრუნავის ორგანიზალური სისტემა, ქვებისაგან ჯებირის აგებისა და იაფფასი-

ნი ბეტონის დამზადების ხერხები, რომლებიც დღეს წერეთლისეულად იწოდება. ხოლო სიკვილის წინ ამხანაგებს უკარნახა, თუ როგორ დაეცვათ ნაპირები მდინარის და ზღვის დამანგრეველი ძალისაგან, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას შუა აზიის სინამდვილეში მზისა და ქარის ქარბი ენერჯია...

ასეთია მოკლედ კ. წერეთელის მოღვაწეობა იმ წყაროების მიხედვით, რომელსაც ჩვენ გავეცანით; ასეთი დავინახეთ ის 1968 წლის ივნისში, როცა მასთან ერთად ვიარეთ, ვიცუროთ და ვიფრინეთ ყარაყუმში.

დიდი მასშტაბის საქმეების ხორცეუმსხმელი კ. წერეთელი დიდი იყო აგრეთვე, როგორც პიროვნება. გულკეთილი, თავაზიანი, ყველას მოჭირნახული, განსაკუთრებით უყვარდათ ის მუშებს, რომლებთანაც აღამებდა და ათენებდა. ცნობილი ფაქტია, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა შეძლო თავისი თანამოსამეგებისათვის დაენიშნა ხელფასი სამუშაოს საბოლოო შედეგების მიხედვით; საერთო საქმე, საერთო ანაზღაურება კი დიდ პასუხისმგებლობასა და შემართებას იწვევდა. მან მშენებელთა მთელი არმია გამოზარდა!

ადამიანის გულს კ. წერეთლის გარეგნობაც ინადირებდა, საშუალოზე მაღალი, კლარა, ცისფერთვალება, ფართომუხლიანი, იგი მაგნიტივით იზიდავდა კაცს საცქერლად, ხოლო როცა მისი ბაგეები ამეტყველდებოდნენ, უნდა გესმინათ მთელი ყურადღებით, რამეთუ მხოლოდ ახლის, ჭეშმარიტად საინტერესოს სათქმელად თუ მოიცდიდა ეს ფიქრბანი ბრძენკაცო.

**რესპუბლიკური და ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე ჟურნალისტებს ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ უწერიათ:** დროა კ. წერეთელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭოსო, მაგრამ საქმე იქით არ წასულა. მოგვხსენებათ, ხარისხისათვის საჭიროა გამოგონებების წერილობითი გაფორმება და მრავალჯისი წასვლა-წამოხვლა მის დასაცავად, რაც კ. წერეთლის ხახათის სრულებით არ ეგუებოდა. მასსოვს, ჩვენთან საუბარში თქვა: ლენინური პრემიის ლაურეატი ვარ, რესპუბლიკის დამსახურებული მშენებლის წოდება მაქვს, ვანა ეს საკმარისი არ არის?! ხოლო შრომები წერონ და დიაცვან იმათ, რომელთაც ეს სჭირდებათ. ჩვენ, პრაქტიკოსები, ამისათვის არ უნდა მოვცდეთო.

მას ჰქონდა საოცარი უნარი რთული საინჟინრო პრობლემები მეტად მარტივად და გასაგებად აეხსნა სხვებისათვის, და რა გასაკვირია, ამის შემდეგ, რომ მისგან მიწოდებული აზრი თუ იდეა ბევრს აუტაცია, დაუმუშავებია და სახელიც მოუხვეჭია: ამბობენ, კოსტანტინე წერეთლის იდეები და რჩევა-დარიგებანი თავის დისერტაციაში ამ კაცმა გამოიყენაო...

რუნ წაკითხული გვქონდა გაზეთში, რომ კ. წერეთელი წერს წიგნს, ამიტომ გავებდეთ და გვითხეთ: უთუოდ საინტერესო იქნება ეს წიგნი, რადგან ყველაფერი თქვენი უშუალო მონაწილეობით მოხდა?

— წიგნი თითქმის დასრულებული მაქვს, — თქვა მან, — ის ორნაწილიანია, პირველი, ვრცელი ჩვენი მამაცი მშენებლების თავგადასავალია და ფართო მკითხველისთვისაა. მეორე, მცირე — საინჟინრო-ტექნიკურ საქმეებს შეეხება და მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა.

ახლახან წიგნის ბედმაც დამაინტერესა, გვითხრეს: ლურჯი საქალაღე, სადაც ხელნაწერები იდო, კ. წერეთლის ავადმყოფობის დროს დაიკარგაო. ეტყობა ერთი მახინჯი ამ დიდ მშენებლობასაც გამორევია. ვიცი, აშხაბადის მიწისძვრის დროს საყვარელი შვილის დაღუპვის დარი დარტყმა იქნებოდა ეს ამბავი მისთვის.

კ. წერეთლის პიროვნებაში თავს იყრის ქარ-

თველი კაცისათვის დამახასიათებელი, მით უფრო, წერეთლიანთ გვარში გამჭდარი სიღიადე და ალერსიანობა. ქართული მუსიკის ჰანგები ყარაყუმის ქვიშებში ჩამჭდარ მის კარავს მშობლიურ ადგილებთან აახლოებდა, ქართული წიგნებით თითქმის ახლობლებსა და საქართველოში დარჩენილ მეგობრებს ემუსიციფებოდა...

ასეთია მოკლედ ცხოვრება ერთი სახელოვანი მამულიშვილისა, რომელმაც ქართველი კაცის სახელი შორეულ ყარაყუმში ახალი შარავანდედით შემოსა და კაცური კაცობის სინონიმად აქცია.

კონსტანტინე წერეთელი 1973 წლის 3 იანვარს გარდაიცვალა. აღასრულეს მოხუცი დედის სურვილი: შვილის ცხედარი ჩამოსვენეს და ქართულ მიწას მიაბარეს. ხოლო შორეულ ყარაყუმში მისი ცხოვრების ლეგენდა და ხომალდი „კონსტანტინე წერეთელი“ დადის.



არჩილ ბარამიძე

## ივანე ჯავახიშვილი და ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური საკითხები

### 1. გვაროვნული წყობილება

ივ. ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო მუშაობის გაიერაჟიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს შინაგანი (სოციალურ-ეკონომიური) ისტორიის საკითხების შესწავლას. 1905 წელს მან გამოაქვეყნა დიდი მონოგრაფია: «Государственный строй Древней Грузии и древней Армении» (СПБ), რომელმაც საფუძველი დაუდო ჩვენში სოციალური საკითხების მეცნიერული შესწავლის საქმეს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ძველი საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხების შესწავლას სათანადო სისრულით ყურადღებას არ აქცევდა XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფია. პირიქით, ჩვენ ხელთ არსებული მრავალრიცხოვანი მასალები დაბეჯითებით მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხთა კვლევა-ძიებამ ბევრი მკვლევარი მიიზიდა XIX ს-ში. ამ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს და გამოიჩინეს დავით და თეიმურაზ ბაგრატიონმა, პლატონ იოსელიანმა, დიმიტრი ბაქრაძემ და ალექსანდრე ხახანაშვილმა. მათ ნაშრომთა შესწავლის შედეგად გაიჩვენა, რომ ამ უკანასკნელთა კვლევა-ძიების სფეროში მოექცა ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ისეთი რთული და მრავალმხრივი საკითხები, როგორცაა გვაროვნული წყობილება და სახელმწიფოს წარმოშობა. არსებითად ქართულ მასალათა შედარებითი ანალიზის გზით მათ უდაოდ ცხადყვეს ჩვენ სინამდვილეში პირველყოფილ-თემური წყობილების, მისი რღვევისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის რეალურად არსებობის ფაქტები. ამასთან, გაიჩვენა ისიც, რომ გვაროვნული წყობილება ქრონოლოგიურად სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობა პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენდა. სამ-

წუხაროდ, მათი ძირითადი დებულებები ემყარებოდნენ მარტოოდენ „ქართლის ცხოვრების“ მწიერ ცნობათა მონაცემებს და განმარტავდებოდა ხასიათის დასკვნათაგან თავს იკავებდნენ. ამიტომ მათი თვალსაზრისი შეზღუდული და არაღამაჯერებელი იყო, თუმცა ისტორიულად გამართლებული.

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს, იგი ქართულ ნარატიულ წყაროთა გარდა, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ საკითხთა კვლევა-ძიების დროს, ამოდიოდა ანტიკური ხანის მწერალთა თხზულებებში დაცული ცნობებიდან, განსაკუთრებით კი ბერძენი ისტორიკოს-გეოგრაფოსის სტრაბონის წყაროში შემონახული მასალებიდან იბერიის სახელმწიფო წყობილების შესახებ. სტრაბონის ცნობები ძალზე უხვ მასალებს შეიცავენ იბერიაში სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ივ. ჯავახიშვილის მახვილმა თვალმა იმათივე მართებულად შენიშნა სტრაბონის ცნობათა მეცნიერულად მნიშვნელობა საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობის, მისი რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე და თავისი სისტემა სწორედ მის მონაცემთა ანალიზზე ააგო. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 1905 წელს გამოცემულ ნაშრომში მიღებული დასკვნები თავისთავად აირეკლნენ ავტორის „ქართველი ერის ისტორიისა“ (ტ. I) და „ქართული სამართლის ისტორიის“ (ტ. I-II) სახელმძღვანელოებში. ამიტომ ჩვენ საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ ხოლმე ამ ნაშრომთა სათანადო ადგილებზეც.

სტრაბონი თავისი „გეოგრაფიის“ XI წიგნის, 3 თავის, 6 პარაგრაფში, გადმოგვცემს შემდეგს: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგა-

ნაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მუზობლბთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს (ნათესაობას, თ. ყ.) უხუცესი, ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა<sup>1</sup>.

ემყარება რა სტრაბონის ამ ცნობას ივ. ჯავახიშვილი ანეითარებს იმ აზრს, რომ ახალი წელთაღრიცხვის — I ს-ის საქართველოში გვაროვნული წყობილება არსებობდა სახელმწიფოებრივი წყობილების სახით. ბერძენი გეოგრაფოსის ცნობის ანალოგიური ჩანს მკვლევარის აზრით „ქართლის ცხოვრების“ დაწყებითი ნაწილის ავტორის, ლეონტი მროველის ჩვენება, რომლის მიხედვით უძველესი ხანის ქართველ ტომებში სრული თანასწორობა არსებობდა: „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელლოვანეს“-ო<sup>2</sup>. მაგრამ ქართველი ისტორიკოსის ცნობა მეტად ზოგადია, რასაც ვერ ვიტყვით სტრაბონის წყაროზე, რომელიც კონკრეტულობის გარდა, შედარებით დიდიცაა და სანდოც<sup>3</sup>. «Из описания Страбона ясно видно, — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი — во-первых, что в начале первого века нашей эры в Грузии частная собственность еще не существовала, имения составляли общую родовую собственность; более того, автор указывает также на одну черту, лучше уясняющую положение дела, — он говорит «управляет же и распоряжается имуществом (каждого рода) старейший (член рода)», следовательно, у них не только именование, но и способ эксплуатации и пользования имуществом был общинно-родовым; таким образом, род представлял из себя основу социального строя тогдашнего грузинского общества; управление и власть принадлежали старейшему члену рода... Царская власть в Грузии была организована на подобие власти старейшего в любом отдельном роде; разница заключалась только в том, что царь был в то же время главой рода, пользовавшегося привилегией выставлять из своей среды суверенов грузинского народа. Отсюда мы заключаем, что род и родовой строй должны считаться основой не только социальной жизни, но и царской власти в Грузии» (33. 9).

როგორც ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილი გვაროვნულ წყობილებას საფუძვლად უდებდა იმეამინდელი საქართველოს სოციალურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. მკვლევარის დამსახურება ამ საკითხში ისაა, რომ მან ახალ, უცხო მასალათა გამოყენებით, ცხადყო და გაიზიარა XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული დებულება, — ქართველი ტომების საზოგადოებრივი წყობილების — პირველი ფორმის თემურ-გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის ამ თვალსაზრისში მთავარი ისაა, რომ მის მართებულად ესმოდა ისტორიული პროცესი და გვაროვნული წყობილების არსებობას რეალურ-ისტორიულ ფაქტად აღიარებდა. ესაა ერთ-ერთი არსებითი დასკვნა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევისა, რომელზედაც იგი პირდაპირ წერს: „ამრიგად, ჩვენ მივედით იმ საერთო მთავარ დასკვნამდე, რომ გვაროვნული წყობილება საქართველოს არა მარტო სოციალური, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველს წარმოადგენდა“ (გვ. 16). ამგვარ დასკვნას თან ახლავს ახალი, შედარებით დაწვრილებითი სურათის ჩვენება საქართველოს სინამდვილეში გვაროვნული წყობილების არსებობაზე.

გვაროვნული წყობილების რღვევის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იბერიაში მონათა გარკვეული კატეგორიის ე. წ. „ლაოების“ დადასტურება, რომლებიც იმდენად მცირერიცხოვანი ყოფილან, რომ მხოლოდ მეფეებს ჰყავდათ „Судя по краткому описанию Страбона, — рабство еще не составляло общего явления: ни земледельцы-воины, и ни жрецы не владели ими; к началу первого века нашей эры в Грузии рабы имелись еще только у царского рода... Таким образом, за исключением царских рабов, вероятно немногочисленных, все население в Грузии было свободно само и не владело со своей стороны несвободными; указаний на существование при этом словных или иных различий в населении у Страбона совершенно не имеется. Это свободное население Грузии занималось земледелием, а когда того требовали обстоятельства и военным делом» (33. 55—56).

თითქმის იგივეს იმეორებს მკვლევარი „ქართული სამართლის ისტორიაშიც“: „სტრაბონის აღწერილობითგანა ჩანს, რომ I ს. ქ. წ.

#### არჩილ ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური საბითუმები

სოციალური უთანასწორობის მხოლოდ მცირე ჩანასახი იყო. მარტო მეფესა ჰყოლია მონები, რომლებიც მას ემსახურებოდნენ ყველაფრით, რაც ცხოვრებისათვის საჭირო იყო. ამ უკანასკნელი ცნობის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეფის მონები (ბასილიკოი დულოი) მეფეს სასოფლო და სხვა გვარი მეურნეობის ყველა იმ ნაწარმებს აწვდიდნენ ხოლმე, რომელიც ადამიანის არსებობისათვის საჭიროა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი მიწაზე ისხდნენ და მიწათმოქმედებასა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებსაც მისდევდნენ. მოსავლის გარკვეულ გადასახადს იხდიდნენ მეფის სასარგებლოდ, თუ სხვანაირად იყო საქმე მოწყობილი, არა ვიცით რა. ცხადია, რომ რაკი მარტო მეფეს ჰყოლია მონები და დანარჩენი მთელი მოსახლეობისაგან მონათამფლობელობის შესახებ სტრაბონი არაფერს ამბობს, მონები მაშინ აღმოესკვლეთ, ა. ბ.) საქართველოში მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამგვარად, სოციალური უთანასწორობის მხოლოდ ჩანასახი ყოფილა და მთელი იბერიის მოსახლეობა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ყოფილა“ (წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 190).

აღწერილი რუსულ-ქართული ტექსტებიდან ჩანს, რომ მკვლევარისათვის ცნობილია მონათა არსებობა გვაროვნული წყობილების ხანაში, თუმცა მათი გაჩენის წყაროზე არაფერს არ გვაუწყებს, რაკი სტრაბონს არ შემოუწინახავს მათზე ცნობები. ნიშანდობლივია, რომ ფ. ენგელსს შეწყნარებულად მიაჩნდა გვაროვნული წყობილების განვითარების მაღალ საფეხურზე მის წიაღში მონათა დადასტურება საშხედრო ტყვეთა სახით, მაგრამ მისივე სიტყვით, საშხედრო ტყვეებზე გავრცელებული მონობა „უკვე იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ დამონებინათ საკუთარი თანამეტომენი და თანამოგვარენიც კი“ (გვ. 147). აქ, როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილის შეხედულება საოცრად ემთხვევა მარქსიზმის კლასიკოსის ჩვენებასთან, რაც მიგვანიშნებს ქართველი მკვლევარის სწორ მეთოდოლოგიურ დაკვირვებაზე. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იბერიის მეფეთა მონები, რაკი უზენაესი ხელისუფლების მიერ ექსპლოატრებულნი იყვნენ, ისინი პატრიარქალური, „სამონიო მონობის“ (საოჯახო) ინსტიტუტს ქმნიდნენ. ამასთან, იბერიის მეფეთა მონები მცირე ოდენობისანი იყვნენ. მაგრამ, თუნდაც ამგვარა, საგრძნობ საწარმოო მნიშვნელობას მოკლებულმა მონობის ფორმებმა, ხელი შეუწყვეს და გავლენა იქონიეს საზოგადოებრივი დიფერენციაციის შემდგომ განვითარებაზე და იბერიაში კლასთაწარმოქმნის პროცესის დაქარბამდე მოიყვანეს. „სოციალური უთანასწორობის... ჩანასახი“ სახეზე ყოფილა.

ამრიგად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს გვაროვნული

წყობილების უმაღლეს საფეხურთან, როდესაც უკვე მომზადებულია ნიადაგი მისი დაშლარდევისათვის; თემური წყობილება საგრძნობლად და მნიშვნელოვნადაა შერყეული. აკად. ს. ჯანაშიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, ივ. ჯავახიშვილი „ამ ცნობაში გვაროვნული წყობილების რდევების ნიშნებს“ (ხედავდა)“. თუ „სახელმწიფო წყობილებაში“ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნისათვის მკვლევარი ამჩნევს იბერიაში გარკვეულ ცვლილებებს სოციალური უთანასწორობის ჩანასახობრივი განვითარების შესახებ, „ქართული სამართლის ისტორიაში“, რომელიც თითქმის მეთხედი საუკუნის (23 წ.) შემდეგაა დაწერილი, აქ უკვე ეს ქრონოლოგიური თარიღი ერთი საუკუნითაა სიღრმეში გადატანილი და საზოგადოებრივი უთანასწორობა ძვ. წ-ის I საუკუნისათვისაა მიჩნეული. ამ თარიღს ჩვენთვის ერთ-ერთ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, სამეფო ხელისუფლებისა და მონათა გვერდით, არიან აგრეთვე „თავისუფალნი“, ანუ თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, „რიგითი თავისუფალნი“, „რიგითი მეთემენი“, რაც დამახასიათებელია როგორც გვაროვნული, ისე ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის.

ბუნებრივად იბადება კითხვა — როდის უნდა აღმოლიყო საბოლოოდ ეს წყობილება და აღმოცენებულიყო კლასები? როგორ და რა ისტორიულ პირობებში უნდა მომხდარიყო თემური წყობილების დაშლა, საზოგადოების ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ანტიგონისტურ, დაპირისპირებულ წრეებად დაყოფა, ორ კლასად ჩამოყალიბება? როგორ გამოეყო ქართულ საზოგადოებას „აზნაურთა“ წოდება და მოექცა მათ სათავეში? ივ. ჯავახიშვილი თავის „სახელმწიფო წყობილებაში“ არ ლაპარაკობს საქართველოში კლასობრივი (ფეოდალური) საზოგადოების აღმოცენებისა და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ. მართალია, იგი თავის გამოკვლევას თითქმის ჩვენი წელთაღრიცხვის V-ე საუკუნეზე წყვეტს, მაგრამ ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის აღმოცენებისა და მის ნიშანდობლივ თარიღზე, არაფერს არ ამბობს. ეს მით უფრო საოცარია, რომ 1902 წლის 18 ნოემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაკითხულ თავის შესავალ ლექციის ტექსტში ივ. ჯავახიშვილს ერთ-ერთი არსებითი თეზისის სახით წარმოვლიდნელი აქვს საქართველოს შინაპოლიტიკური და სოციალური წყობილების სურათი სტრაბონის ცნობათა სინთეზზე და მოცემული აქვს ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების ქრონოლოგია. „საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების აღწერილობა, სტრაბონის მიერ მოცემული ქრ. შემდეგ პირველი საუკუნის დასაწყისში — აღნიშნავდა იგი, — გვიჩვენებს, რომ იბერიის მთელი სოციალური ცხოვრება მაშინ ჯერ ისევ დაფუძნებული იყო საფემო-



გვაროვნულ წყობილებაზე. ეს ქვეყანა ჯერ არ იცნობდა ჩამოყალიბებულ წოდებებს, არ არსებობდა მიწის კერძო საკუთრება, ადგილმამულები საზიარო იყო გვარების მიხედვით და ყველა საქმეს განაგებდა თითოეული გვარის უფროსი კაცი. ასე იყო ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნეში. იმ სიტყვათა ლინგვისტური ანალიზის გზით, რომელიც აღნიშნავენ ნათესაურსა ან საზოგადოებრივ ურთიერთობას, არის შესაძლებლობა აღვადგინოთ სურათი უფრო ძველი, ადრინდელი წყობილებისა. VI საუკუნის დამდევისათვის მკვლევარს საქარველოში საქმე აქვს ფეოდალურ წყობილებასთან, იგი უკვე მკვეთრად არის ცხოვრებაში ასახული და მას გარკვეულ იერს აძლევს. რაღაც ოთხი, ხუთი საუკუნის მანძილზე მოხდა საქართველოს სოციალური წყობილების ასეთი რთული ევოლუცია, მერვე საუკუნისათვის ფეოდალიზაცია უკვე საესებით მომთავრებულია. ამჟამად დროს გამოდის და განმტკიცება იწყებს მეფის ხელისუფლება, თვითონ იგიც ფეოდალურ პრინციპზეა დაფუძნებული<sup>8</sup>.

მასასადაამე, შესავალი ლექციის ტექსტში თეზისების სახით უკვე ჩამოყალიბებულია ავტორის მომავალი კონცეფციის ძირითადი დებულებები. აქვეა განმარტებული, რომ VI-ე ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა დამყარებული, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა სამეფო ხელისუფლება. თემურ-გვაროვნულ წყობილებას ფეოდალიზმი ცვლის. აქვეა გაზიარებული იმჟამინდელი ისტორიოგრაფიისათვის ესოდენ ცნობილი ორი პოლიტიკური წყობილების არსებობის ფაქტი, რომელიც ისტორიულ-ლოგიკური აუცილებლობით ენაცვლება ერთიმეორეს. ამგვარ იდებზეა დაფუძნებული ივ. ჯავახიშვილის ერთობლივი კონცეფცია საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილებისა და ურთიერთობის ევოლუციის, მისი აღნაგობის, შედგენილობისა და სტრუქტურის ძირითადი საკითხები სტრაბონის ცნობათა მიხედვით. მასში არსებითად გვაროვნული წყობილების ისტორიული ვითარებაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება „ქართული სამართლის ისტორია“-ში მოცემულ პერიოდიზაციას ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პროცესის შესახებ, ივ. ჯავახიშვილს საკმაოდ თავისებურად აქვს იგი წარმოდგენილი. მისი სიტყვით, იბერიის საზოგადოება ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში გვაროვნულ იყო; I ს-დან ვიდრე VII ს-დე მხოლოდ მონობას ჰქონდა ადგილი; VII-IX საუკუნეები ბატონყმობის ანუ ფეოდალიზმის წინა პერიოდი, ე. წ. გარდამავალი საფეხურია; X-XV საუკუნეებში ბატონყმობაა გაბატონებულ-დომინირებული; XV ს-დან კი მას ბატონყმობა ენაცვლება (წ. პირველი, გვ. 192).

ამგვარად ჰქონდა გააზრებული ჩვენ მკვლევარს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პერიოდიზაცია. ასე ესახებოდა მას ეს ისტორიული პროცესი 1928 წლის ჩათვლით, ვიდრე მის კონცეფციაში არ მოხდა ერთიანად არსებითი ხასიათის გარდატეხა და მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე გადასვლა. უკვე ორი წლის გასვლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი არსებითად იცვლის თავის ძველ თვალსაზრისს (თუმცა 1928 წლის „ქართული სამართლის ისტორიაში“ ჩანასახობრივი ელემენტებია დაცული ამ ახალი კონცეფციისა) და 1930 წელს „БСЭ“-ის XIX-ე ტომში ახალ და საკმაოდ დამაფიქრებელ პერიოდიზაციას გვთავაზობს. მაგრამ გარკვეული მინიშნება იმის თაობაზე, რომ „აზნაურობა“ და მისგან გამომდინარე ქართული ფეოდალიზმის ადრეული ჩანასახების საწყისი ეტაპი ახალი წელთაღრიცხვის II ს-ისათვის ჩვენ უკვე სახეზე უნდა გვექონდეს, ივ. ჯავახიშვილს გაკვრით შეუნიშნავს თავის „ქართული სამართლის ისტორიაშიც“ (წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 195). ლაპარაკობს რა „აზნაურობის“ როგორც სოციალური უთანასწორობის ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ, მკვლევარს მოაქვს ცნობა რომელიც ისტორიკოსის დიონ კასიოსისა, იბერიის მეფის ფარსმანის სტუმრობაზე აღრიანე იმპერატორთან (II-ის 30-60 წ.), რომელსაც ცოლ-შვილის გარდა, თან ახლდნენ „სხვა პირველ იბერნი“. სწორედ ისინი ჰყავდა მხედველობაში ივ. ჯავახიშვილს, როდესაც წერდა: „იბადება საკითხი, დიონ კასიოსის შემომოყვანილ ცნობაშიც იბერიის პირველთა შესახებ ხომ აზნაურნი არ იგულისხმებიან“-ო (გვ. 195). „მაგრამ საკითხი საქართველოში წოდებრივობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ I-VII სს-ში მომავალი კვლევა-ძიების საქმეა“-ო(ჩვეუ)<sup>9</sup>. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ფაქტობრივმა მონაცემებმა მისცა ბიძგი და შეუქმნა პრეცედენტი ივ. ჯავახიშვილს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე მეტის წარმატებით ელაპარაკა ახალი წელთაღრიცხვის II ს-ში საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის თაობაზე. იგი წერს: «В первом веке до хр. эры Иберия и Колхида были вовлечены в борьбу, которую вели римляне с основателем Понтийского царства Митридатом из-за гегемонии в Малой Азии и Греции, причем эти государства выступали в качестве союзников Митридата. После уничтожения Понтийского царства римский полководец

#### პრიმილ ბარბიძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი

საქართველოს სოციალურ-მაცონომიური საკითხები

Помпей в 65 г. до хр. эры принудил Иберию и Колхиду признать верховенство Рима. Подавляющее большинство населения (Грузии) той поры занималось в мирное время сельским хозяйством, а в военное — составляло народное ополчение. Правителем всей страны являлся царь («мамасахлиси»), получивший власть по праву старшинства в роде и по близости к умершему предшественнику. Второму лицу после царя принадлежала власть над ополчением во время войны, в мирное время же оно отправляло обязанности верховного судьи. В области социальных отношений в эту эпоху заметны лишь зачатки неравенства: рабы имелись только у представителей царского рода, и вся остальная масса племени состояла из свободных. — К началу II в. хр. эры процесс социально-экономической дифференциации делает значительные успехи и приводит к возникновению частной собственности на землю. Племя уже распалось на две большие социальные группы: свободных («азнаури») и несвободных («уазно»), из коих первые подразделялись на «простых свободных», составляющих большинство племени, и «больших свободных» («азнауридид-диди»), составляющих его меньшинство. Несвободное население состояло из служилых людей («мсахури») и из рабов и рабынь («нона», sic, «мона», ა. ბ.) и («мхевали»)¹⁰.

ამრიგად, საქართველოს ამ პერიოდშია ცხადი მიხედვით, საცხებით ცხადი ხდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის II ს-ის დასაწყისი მოასწავებს ახალ ხანას ქართველი ხალხის ისტორიაში. აქედან იწყება ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია. მაგრამ, თუ რა ბუნებისა იყო ეს ახალი საზოგადოება, ამას პირდაპირ არ მიუთითებს ჩვენი ავტორი, თუმცა შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი იმისა, რომ ეს კლასობრივი ორგანიზაცია ფეოდალური თვისებისაა. მთავარი მაინც ისაა, რომ ივ. ჯავახიშვილი აქ უკვე მკვეთრად განასხვავებს უკლასო და კლასობრივ საზოგადოებათა შორის არსებულ წინააღმდეგობებს. საქართველოში ფეოდალიზმის გამარჯვების ეს ახალი თვალსაზრისი ძალზე მშრალია და არა ჰგავს ივ. ჯავახიშვილისათვის ესოდენ დამახასიათებელ მდიდარსა და ფართო ხასიათის მსჯელობებსა და მტკიცებებს ამა თუ იმ საკითხზე. ეს გასაჯებიცაა, რადგან სტატია «ენციკლოპედიისათვის» დაწერილი და ამიტომ მოკლე, თუმცა მკვეთრად ჩამოყალიბებულ დებულებებს შეიცავს.

მაშასადამე, საკითხი ეხება ფეოდალური წყობილების წარმოშობის ავტორისეული კონცეფციის გამოკვლევას.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შესახებ მასალები საისტორიო წყაროებში არ შემონახულა. ამიტომ რჩება ერთადერთი გზა პირდაპირი ცნობების მაგიერ გამოყენებულ იქნას არაპირდაპირი წყაროები ანდა ის მცირეოდენი მონაცემები («ქართული სამართლის ისტორია», წ. პირველი, გვ. 148), რომელნიც მკვლევარის განკარგულებაშია და რომლებსაც შესწევთ სათანადო უნარი გარკვეული მნიშვნელობით მაინც ნათელი მოფინონ დასმულ კითხვას. ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამგვარად იქცევა. იგი წოდებათა აღმნიშვნელი ტერმინების სკრუპულოზური ანალიზის გზით ცდილობს ახსნას საქართველოში კლასთა წარმოშობა. მკვლევარი ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტერმინ „აზნაურს“, რომელსთვისაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აკად. მ. ბროსეს მიუქცევია ყურადღება და ეს უკანასკნელი სომხური სიტყვის „აზნ“—ისათვის შეუდარებია. „აზნ“ კი სომხურში გვარს აღნიშნავს. „აზნაური“ — დასაკენის ივ. ჯავახიშვილი — უნდა ნიშნავდეს საკუთრივ „გვარის შვილს“, „გვარიანს“ («Гос. стр.» გვ. 57). „უაზნო“ კი უგვაროს გულისხმობს. „თუ ტერმინოლოგიის აზრს ჩავწვდებით — განაგრძობს ავტორი, — მაშინ უძველესი ეპოქის საქართველოში ძირითადი და არსებითი მნიშვნელობა წოდებრივ უპირატესობაში ჰქონდა გვაროვნულ ღირსებასა და თვისებას; ის, ვინც მრავალრიცხოვანი, ძლევადასილი გვარის წევრს წარმოადგენდა, სარგებლობდა აგრეთვე დიდი პატივითა და გავლენით იმ პირთა შორის, რომელნიც ეკუთვნოდნენ ჩვეულებრივად არა დიდ გვარს, რომელთაც „გვარიანი“, ან „აზნაური“ ეწოდებოდათ და რომელნიც სარგებლობდნენ დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით. ხალხი კი „უგვარონი“, „უაზნონი“ არ სარგებლობდნენ არავითარი უპირატესობით, და, რაკი მოკლებულნი იყვნენ მოყვარეთა მხრივ დაცვას, ითვლებოდნენ არათავისუფლებად. ამ უფლებრივ ნორმათა თანახმად, ცხადია, ძველ საქართველოში პატივის ცნებაც, დამყარებულ იყო გვარისეულ, და სრულიადც არა ინდივიდუალურ თვისებებზე» (გვ. 69). „უძველესი ეპოქის საქართველოში, როგორც გვარი, ისე ცალკეული მისი წევრი მაღლა დგას იმდენად, მით უფრო გავლენიანი იყო, რამდენადც მრავალრიცხოვანი, დიდი იყო გვარი. ეს გასაგებიცაა, ძალა ხომ ყოველთვის მის მხარეს იყო“ (გვ. 58).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის გაჩენის საინტერესო და დასაბუთებულ წარმოდგენას იძლევა. საზოგადოებრი-

ვი უთანასწორობა გვაროვნულ თვისებაზე ყოფილა დამყარებული; რამდენადაც მეტია გვარი რიცხობრივად, რაოდენობის თვალსაზრისით, იმდენად მას მეტი ძალა-უფლება აქვს, რის შედეგადაც მისი ცალკეული წევრი მადლა დგას დანარჩენ, რიცხობრივად ნაკლებ, გვართა წევრებზე. სრულიად უგვარო აღამიანს კი, ე. ი. ისეთ პიროვნებას, რომელსაც მოგვარებები არ გააჩნია და ძალაც არა აქვს, „გვარიანები“ იმორჩილებენ და ყმად აქცევენ მას. აქ უკვე თქმის დამლის აშკარა და პირდაპირი ნიშნებია მოცემული და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის ნათელი სურათია წარმოდგენილი.

ეს თვალსაზრისი ივ. ჯავახიშვილს გატარებული აქვს თავის გამოკვლევაში: „Государственный строй древней Грузии и древне Аримелии“-ში თუშცა „ქართული სამართლის ისტორიაში“<sup>11</sup>, იგი ერთგვარად თავდაჭერილად გამოთქვამს ამავე დებულებას. იგი წერს: „ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ისიც დიდი იქნება, თუ შეეძელით და გამოვარკვიეთ, რადა-რა წოდება და რამდენი და რომელი სოციალური ჯგუფები არსებობდნენ მაშინდელ საქართველოში. მათი წარმოშობის ისტორიის გამოკვლევა მხოლოდ მომავალში იქმნება შესაძლებელი, როდესაც საამისო ცნობები აღმოჩნდება“-ო (გვ. 25). აქ თითქოს ლაპარაკია იმაზე, რომ ქართველ ტომებში საზოგადოებრივი უთანასწორობის წარმოშობის მიზეზების გამოკვლევა ნაადრევია, მაგრამ „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ისეთი საბუთები და მასალები, რომლებიც არ უარყოფენ მის შეხედულებას ამ საკითხზე. პირიქით, ეს თვალსაზრისი არსებითად იგივეა, რაც „სახელმწიფო წყობილების“ გამოკვლევაშია გამოთქმული. მოგვყავს მისი სიტყვები: „ჯერ კიდევ აჯად. მ. ბროსემ აღნიშნა, რომ ქართულ ტერმინს „აზნაური“ უნდა „აზნ“-თან კავშირი ჰქონდეს. პროფ. ნ. მარმა — კი ეს ტერმინი სომხური აზნ-ისა, რომელიც გვარსა ნიშნავდა, „ურ“, ან „ვერ“ — ისაგან წარმომდგარად მიიჩნია. — ური ან ვერი შვილსა ჰნიშნავსო. ამგვარად, აზნაურის პირველადი მნიშვნელობა გვარისშვილი, გვარიანი უნდა ყოფილიყო“<sup>12</sup>.

მოტანილი ციტატიდან ცხადი ხდება, რომ „აზნაურის“ თავდაპირველი და უძველესი მნიშვნელობაა გვართა კავშირი, ერის შვილი, გვარის შვილი, რაც თავისი ეტიმოლოგიითა და წარმომავლობით თავისუფლების მცნებასთანაა დაკავშირებული.

იმეამად „თავისუფალი მხოლოდ ის იყო, — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — რომელიც რომელიმე საგვარეულოს შვილად, ან წევრად ითვლებოდა. ხოლო, შინც უაზნო, ე. ი. უგვართ იყო, უცხო ქვეყნიდან შემოსიხნული, თუ ტყვედ წამოყვანილი, ის თავისუფალი არა ყო-

ფილა. მაშასადამე, თავისუფლებისა და უთანასწორობის შესახები ცნება მთლიანად გვაროვნული წესწყობილების ცნებათა ნიღაგზეა დამყარებული და თვით ტერმინიც „აზნაური“ და „უაზნო“ იმავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს. იმ დროს უაზნოთა წრეს ალბათ ის მეფის მონები ეკუთვნოდნენ, რომელთა შესახებაც სტრაბონსა აქვს ცნობა“<sup>13</sup>. იგივე აზრი გამოვრებული აქვს ავტორს „ქართული ერის ისტორიაშიც“: „მაგრამ გვარიც არის და გვარიც! ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენაც ჰქონდა თავისი კუთხის დანარჩენ გვარებზე“<sup>14</sup>.

აქედან ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი, რომელიც „ქართული სამართლის ისტორია“-შია წარმოდგენილი, არსებითად უბასუხებს იმ შეხედულებას „სახელმწიფო წყობილებაზე“, რომელიც მას აქვს განვითარებული, კერძოდ, ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობისა და კლასების წარმოშობის ევოლუციის შესახებ.

## 2. სახელმწიფოს საკითხი

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“, როგორც სათაურიდან ჩანს, ეძღვნება იბერია-არმენიის უძველესი ხანების შინაგანსახელმწიფოებრივი სტრუქტურის საკითხების შესწავლას. ხოლო ის ნაწილი, რომელიც, კერძოდ, საქართველოს შეეხება, იკვლევს „სახელმწიფო წყობილების, მეფის უფლების წარმოშობის, ტერიტორიულ დანაყოფთა და წოდებათა განსხვავების საფუძვლებს“ (გვ. 5). საკუთარივე ტერმინი „სახელმწიფოს წარმოშობა“ ივ. ჯავახიშვილთან იშვიათადაა ნახვარი, ან თუ გვხვდება სადმე გამოკვლევაში, იგი ჩასმულია ბრჭყალებში: «Вопрос о происхождении государства». (გვ. 146). მაგრამ გამოკვლევის მე-19 გვერდზე მკვლევარ პირდაპირ ამბობს, რომ მისი კვლევა-ძიების საგანია საქართველოს „სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და მეფის ხელისუფლების წარმოშობის საკითხის გამოკვლევა («Вот то немалое, что можно было выяснить на основании греческих и грузинских данных о происхождении царской власти и государственной организации Грузии» გვ. 19).

ივ. ჯავახიშვილი თავისი გამოკვლევის მთელ სიგრძეზე განსაკუთრებით უსჯამს ხაზს იმ

---

### ბარჩილ ბარბაქიძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი  
საპარტიზანოს სოციალურ-მეცნიერული  
საბამისები

გარემოებას, რომ ქართველ ტომებში გვარო-  
ვნული წყობილება ჩვენი წელთაღრიცხვის  
I ს-ში უმაღლეს დონეზეა ასული, რომ მან  
თავისი განვითარების უკიდურეს საფეხურს  
მიღწია, რომ სოციალური უთანასწორო-  
ბის ჩანასახი ჯერ კიდევ ძვ. წ-ის I ს-შია და-  
დასტურებული, რომ ამიტომ ნიადაგი მისი  
დაშლა-რღვევისათვის მომზადებულია და სხვ.  
მამასადამე, ჩვენ აქ, ქართულ სინამდვილეში  
გვაროვნული წყობილების თავისებურ სახეო-  
ბასთან გვაქვს საქმე, რომელიც ახლო მომ-  
ავალში რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით,  
ძველი იბერიული საზოგადოება ჩვენი წელთ-  
აღრიცხვის მიჯნაზე გვაროვნული საზოგადოება  
იყო, მაგრამ, ამასთან, იგი იმავე დროს სახელ-  
მწიფოსაც წარმოადგენდა და მას მეფე —  
მამასახლისები განაგებდნენ. ამგვარი, გვა-  
როვნულ წყობილებაზე დაფუძნებული და  
ავებული სახელმწიფოებრიობა, საქართველოში  
არსებობდა ახალი წელთაღრიცხვის II ს-ის  
დასაწყისამდე, როდესაც ვითარდება მონობა,  
ჩნდება მიწაზე კერძო საკუთრება და საზოგა-  
დოება მიიმართება ფეოდალიზაციისაკენ. ეს  
საზოგადოება თანამედროვე ენაზე გადატანით  
„ფეოდალურამდელია“, „პროტოფეოდალურია“,  
„ადრეკლასობრივია“<sup>15</sup>, რომელსაც აქვს განვი-  
თარების ტენდენცია ფეოდალიზაციისაკენ.  
მართალია, აღნიშნული დასკვნა საკმაოდ გან-  
სხვავდება მველევარის ძველი შეხედულებები-  
საგან, იბერიაში მიმდინარე პოლიტიკური და  
სოციალური პროცესების მთელი კომპლექსი-  
საგან, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის ახალი თვალ-  
საზრისი ჩვენთვის, ისტორიკოსებისათვის, უნ-  
და იქცეს ამოსავალ ქვაკუთხედად მისი ისტო-  
რული კონცეფციის განხილვის დროს სახელ-  
მწიფო წყობილების შესახებ. წინააღმდეგ შემ-  
თხვევაში ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას  
შესაძლებელია სამუდამოდ დაეკარგოს მისი  
ავტორის ნამდვილი ვინაობა და საგნებით და-  
უმსახურებლად მიეწეროს იგი სხვა, შემთხვე-  
ვით პიროვნებას, მაგალითად, პროფ. გ. სოსე-  
ლიას, რომელმაც „მთელი ეპოქა“ შექმნა ივ.  
ჯავახიშვილის კონცეფციის წინააღმდეგ საქა-  
რთველს ძველი ისტორიის სოციალურ-ეკონო-  
მიური გაგებისა და ქრონოლოგიის საქმეში.

ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევას იწყებს  
სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ცნობების ანა-  
ლიზის გზით აღმოსავლეთ საქართველოზე ანუ  
ანტიკურ იბერიაზე. ბერძენი ისტორიკოსის მიერ  
დახატული სურათი, ავტორის სიტყვით, „საქარ-  
თველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ყვე-  
ლაზე საუკეთესო აღწერილობაა, რომელიც შე-  
იძლება დასაყრდენ პუნქტად, ბაზისად გადაიქ-  
ცეს ამა თუ იმ მეცნიერული შეხედულებებისა

და დასკვნებისათვის“ (გვ. 7). სტრაბონის ცნო-  
ბათა განხილვის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა  
წარმოადგინა თავისი თვალსაზრისი საქართვე-  
ლის უძველეს ხანაზე სოციალური და პოლი-  
ტიკური ისტორიის ხაზით:

პირველი საუკუნის საქართველოში გვარო-  
ვნული წყობილება არსებობდა. „იმეამინდელი  
ქართველი საზოგადოების სოციალური წყობი-  
ლების საფუძველს გვარი წარმოადგენდა“. „გვა-  
როვნული წყობილება საქართველოში იყო სა-  
ფუძველი არა მარტო სოციალური, არამედ სა-  
ხელმწიფოებრივი წყობილებისა“. ამავე ხანაში  
(I ს-ში) სოციალური უთანასწორობის ჩანა-  
სახი არსებობდა, მონები მცირერიცხოვანი  
იყვნენ და მხოლოდ მეფეებს ჰყავდათ. იბერიის  
მთელი მოსახლეობა თავისუფალი მეთემეებისა-  
გან და თანასწორუფლებიანთაგან შედგებოდა. I  
ს-ში საქართველოში კერძო საკუთრებას ადგი-  
ლი არა ჰქონია და მთელი ქონება გვარს ეკუ-  
თვნოდა. მმართველობა და ხელისუფლება გვა-  
რში უხუცესის ხელობას შეადგენდა. ცალ-  
კულ გვართა მმართველობაშიც და სამეფო  
საგვარეულოშიც მოქმედებდა ერთი პრინციპი  
უხუცესობისა. გვაროვნული წყობილების ნია-  
დაზე აღმოცენებულ სახელმწიფოს სათავეში  
მეფე იდგა, რომელსაც „მამასახლისი“ ეწოდე-  
ბოდა. მეფე საქართველოს სახელმწიფოებ-  
რივი ცხოვრების პირველ პერიოდში „მამასა-  
ხლისად“ იწოდებოდა, ე. ი. „ოჯახის“, „სახლის  
მამად“ გვევლინება. ეგვევ სახელწოდება სხვა  
ქართული გვარების უფროსებსაც გააჩნდათ.  
მეფობა მემკვიდრეობითი უფლებისა არა ყო-  
ფილა, იგი გადადიოდა გვარში „უხუცესობის“  
პრინციპის დაცვით. ყველაზე ხანში შესული  
მამაკაცი მეფედ ხდებოდა. „განსვენებული  
მეფის შემდგომ ვინც სამეფო საგვარეულოში  
უფროსი იყო ხნოვანობით და ყველაზე მაჯ-  
ლობლად ითვლებოდა, იმას ეკუთვნებოდა კიდევ  
იბერიის სამეფო ტახტი“. მეფის შემდგომ  
მეორე პირი სამხედრო და მართლმსაჯულების  
საქმეებს განაგებდა. მეფე-მამასახლისების  
გარდა, იყვნენ აგრეთვე სხვა მამასახლისებიც,  
როგორც ადგილობრივი, ფეოდალური ხელის-  
უფლების წარმომადგენელი.

აქ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი ინსტი-  
ტუტების შესახებ ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ  
გვაქვს საუბარი, და შედარებით დაწვრილებით  
განვიხილავთ მათ; ახლა კი უნდა აღვნიშნოთ,  
რომ წარმოდგენილი სურათი, მართალია, განე-  
კუთვნება პირველყოფილ-თემურ წყობილების  
რღვევის ხანას, მისი განვითარების უკანას-  
კნელ საფეხურზე, მაგრამ კლასობრივი ფორმა-  
ციისათვის დამახასიათებელ მრავალ ელემენტს  
შეიცავს, თუმცა მისი პოლიტიკური სტრუქ-  
ტურა მნიშვნელოვანი ელემენტარულობით გა-

მოიჩინება, და საკმაოდ განუვითარებელ და არადიფერენცირებულ ფორმებს ატარებს. ამ მხრივ ფრიალ ნიშანდობლივია საქართველოში სამეფო ხელისუფლების ფუნქციონირება ავტორიტეტული დახასიათება: მეფობა მემკვიდროებითი უფლება არა ყოფილა, და გვარში უხუცესობის პრინციპს ქვემდებარებულია. ახლად აღმოცენებული სამეფო ხელისუფლება ჯერ კიდევ გამოხატავდა იბერიის მთელი მოსახლეობის პოლიტიკურ ინტერესებს და არა მარტო საგვარეულო არისტოკრატისა, რაც, ცხადია, მეფობის ინსტიტუტის სისუსტეზე ლაპარაკობს.

„ამრიგად, — ასკვნიდა ივ. ჯავახიშვილი, — ჩვენ ვხედავთ, რომ მეფის სახელწოდებად უძველეს ეპოქაში იგივე სიტყვა, იხმარებოდა, რომელიც გვარის უფროსს აღნიშნავდა. მეფისა და გვარის უფროსის (მეთაურის, ა. ბ.) სახელწოდებათა ასეთი იგივობა ნათელყოფს ჩვენთვის „მეფის ხელისუფლების წარმოშობის ხასიათს, მის ორგანიზაციას ცალკეულ გვარებში... და გვაროვნული წყობილების როგორც ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლის, მნიშვნელობას“ (გვ. 13-14). ეს დასკვნა ემყარება ავტორის შემდგომ მტკიცებას: „საქართველოში მეფის ხელისუფლება ჩამოყალიბებული იყო ყოველ ცალკეულ გვარში უხუცესის ხელისუფლების მსგავსად“—ო (გვ. 9). „აქედან ჩვენ ვასკვნი — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — რომ გვარი და გვაროვნული წყობილება უნდა ჩაითვალოს საფუძვლად არა მარტო სოციალური ცხოვრების, არამედ აგრეთვე საქართველოში მეფის ხელისუფლების საფუძვლად“—ო (გვ. 9). სამეფო ხელისუფლება და მთელი ადმინისტრაციული იერარქია „გაიზარდა სამეფო-საგვარეულო ინსტიტუტებისაგან“ (გვ. 36). ქართული ადმინისტრაციული სისტემა დაფუძნებული იყო („заисджилась“) იმავე საფუძველზე, როგორც ჩვეულებრივი გვარისა“ (გვ. 146). ამასთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (სოფელი, ქალაქი, ოლქი, სახელმწიფო) „სახლის“ ზოგად, კრებით სახელს ატარებდა.

ამ თვალსაზრისის ანვითარებს ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში ქართველი ერისა და ქართული სამართლის ისტორიებში. ასე, მაგალითად, მისი სიტყვით გამოჩენილი ბერძენთა გეოგრაფის აღწერილობა და ქართული წყაროებისა და ტერმინების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული. 417

„გვარი და საგვარეულო წყობილება მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძი იყო“ (გვ. 167). „იბერიის უზენაესი მმართველობის უფლება ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მამასადაჲ, მამასახლისი,

იმავე დროს ქვეყნის მეფედ ითვლებოდა“ (გვ. 168). იგივეს იმეორებს ავტორი „ქართული სამართლის ისტორიაში“. „I-VII სს-ში (საქართველოს, ა.—ბ.) სამეფოს მთელი წესწყობილება და მეფისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნული წესწყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლობლითაგან წარმოიშვა და განვითარდა“—ო<sup>18</sup>.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილს უდავოდ მიაჩნდა, რომ ახალი წელთაღრიცხვის I ს-ში ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოებრივობა გვაროვნული წყობილების წიაღში აღმოცენდა და განვითარდა და ტრანსფორმირებული სახით წარმოადგა ჩვენს წინაშე. ამ სახელმწიფოს აღქმავატურია აგრეთვე პოლიტიკური ორგანიზაცია დასაყვლეთ საქართველოშიც. „უფლება გვაქვს დაეასკვნათ, — აღნიშნავდა იგი, — რომ დასავლეთ საქართველოშიც მეფის ხელისუფლება საგვარეულო წესწყობილების ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული“—ო<sup>19</sup>. მაგრამ, როგორც მისი „ქართული ერის ისტორიიდან“ ჩანს, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია შორეულ წყვიდადში იკარგება და თავისი წარმომავლობით ძველი წ-ის II ათასწლეულის დასასრულის მცირე აზიის უკავშირდება, სადაც იმხანად ქართველი ტომები სახლობდნენ. ჰვ. წ-ის XII ს-ში ქართველთა ერთ-ერთი — ტომი — მუშქები (მესხები) იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ წინა აზიაში უძლიერეს ასურეთის სახელმწიფოსაც კი ეცილებოდნენ პირველობას და მისი სრული მოსპობა სურდათ. ასურეთის მეფეს ტიგლათფილესერ I-ს მუშქებთან ომიც ჰქონია და ისინი თავისი ზუთი მუფითურთ დაუმარცხებია<sup>20</sup>. ასევე ასურეთის მეფეთა მატრიანებში მოხსენებულნი არიან ქართველ ტომთა სხვა პოლიტიკური გაერთიანებაც, რომელიც დაუპყრიათ ასურელებს (თაბლის 24 მეფე). ქართველებს და მათ მეფეებს იხსენიებენ აგრეთვე ანტიკური ხანის ისტორიკოსებიც. ამგვარი ტრადიცია სახეზეა ძველი და ახალი წ-ის I საუკუნისათვისაც, კერძოდ, სტრაბონის ხანისათვისაც. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს, რომ იბერიაში ოთხგვარი მოსახლეობიდან პირველ გვარს შეადგენდა ის, რომლისგანაც მეფეებს სვამდნენო, ქართველთა ამა თუ იმ მეფეებს იხსენიებენ შემდგომი რომაელი მწერლებიც, ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ახალი წ-ის დასაწყისში და მასზე გაცილებით უადრეს ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და მის სამხრეთით მდებარე ოლქებში არსებულან სახელმწიფოებრივი ერთეულები მეფის ხელისუფ-

**არჩილ ბარამიძე**  
ივანე ჯავახიშვილი და ძველი  
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური  
საპრობლემატიკა

ლებითა და მთელი ადმინისტრაციული პერსონალით, რაც დადასტურებას პოულობს ანტიკურ წყაროებში არაერთგზის დამოწმებული ბასილევების, რექსთა და ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაცული მეფეთა საკუთარი სახელწოდების მიხედვით. მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის I ს-ე ივ. ჯავახიშვილისთვის მაინც განსაკუთრებული ხანაა, რადიკალური გარდატეხის ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში. იმჟამად საქართველოში რომაელები შემოჭრილან და თავიანთი პოლიტიკური გავლენა თავს მოუხვევიათ ქართველებისათვის. „რასაკვირველია, — აღნიშნავს მკვლევარი, — მას შემდეგ, რაც რომაელებმა საქართველოს თავისი მეგობრობა ძალად დააკისრეს, ადგილობრივი სახელმწიფო წესწყობილება დაუბატიებელი სტუმრების ძლიერი გავლენის ქვეშ (ხაზი ჩვენია, ა. ბ.) შეიძლება შელახულიყო... მაგრამ ძველი წესი მაინც ძლიერი იყო“-ო<sup>21</sup>.

ცხადია, ივ. ჯავახიშვილის ამ ცნობაშიც გვაჩვენებული წყობილების რღვევის აშკარა ნიშნებია უკვე გამოხატული. ეგვევ აზრს იმეორებს ავტორი „ქართული სამართლის ისტორიაშიც“<sup>22</sup>. იქ, კერძოდ ნათქვამია, რომ სტრაბონის ცნობა უძველესი ხანის საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ ლონგინოს მროველის კონცეფციასთან შედარებით წინ ვადგამული ნაბიჯია და გვარგონელი წყობილების რღვევის სურათის პროცესს ასახავს.

რომაელებთან დაკავშირებით, უნებლიედ გვაგონდება ფ. ენგელსის ნაშრომში: „ბრუნო ბაუერი და აღრინდელი ქრისტიანობა“-ში დაცული ერთი ფრიალ ნიშანდობლივი ცნობა. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ «Римское завоевание во всех покоренных странах прежде всего прямо разрушило прежние политические порядки, а затем косвенным образом и старые общественные условия жизни... Общественные отношения в провинциях все больше и больше приближались к общественным отношениям в столице и Италии»<sup>23</sup>.

ფ. ენგელსის ამ ცნობიდან ჩანს, რომ რომი მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში სპობდა ძველი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების პირობებს და თანდათან უახლოვებდა იმპერიისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიური წყობილების ფორმებს. ე. ი. თუ ნებისმიერი ქვეყანა რომაელთა დაპყრობამდე ძველი პოლიტიკური ცხოვრების პირობებში იმყოფებოდა, დაპყრობის შედეგად მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა იმპერიისას, რაც ხელს უწყობდა ობიექტურად მათში სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის განვითარებას, თითქმის ასევე აქვს ახსნილი რომაელთა დაპყრობითი პოლიტიკის მნიშვნელობა საქართველოს მიმართ ივ. ჯავახიშვილსაც. თუ რომაელთა მოსვლამდე

აქ გვარგონელი წყობილება თავის სტადიაზე იდგა, დამპყრობლებმა ეს საზოგადოებრივი ურთიერთობა მნიშვნელოვნად შელახეს და მოინდომეს წყობილების შეცვლა. როგორც ჩანს, მკვლევარი ინტუიციით მივიდა იმავე დასკვნამდე, რომელზედაც ლაპარაკობდა ფ. ენგელსი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ახალი წ-ის I ს-ში საქართველოში იმსხვრევა გვარგონელი წყობილება და მის ნანგრევებზე თანდათან აღმოცენებას იწყებს კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო. მისი წარმოქმნისათვის ნიადაგის შემზადება იწყება საკუთრივ გვარგონულ წყობილებაში, „სახელმწიფო აღმართება ამ გვარგონული წყობილების ნანგრევებზე, ბარბაროსობის მესამე საფეხურის შემდეგ, „ცივილიზაციის დამყარებასთან ერთად“ (ფ. ენგელსი). სახელმწიფოს აღმოცენებაში გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე უცხო, გარეშე ძალა რომის იმპერიის სახით. იგი ხელს უწყობს ქართველ ტომთა კონსოლიდაციის პროცესს და იქმნება რეალური პირობები სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის.

სტრაბონის ცნობიდანვე ჩანს, რომ მის დროს იბერია კარგადაა დასახლებული ქალაქებითა და დაბეებით, სავაჭრო მოედნებითა და ხიდებით, განვითარებული იყო ვაჭრობა და აღებმციეობა<sup>24</sup>, რაც ხელს უწყობს სოციალური დიფერენციაციის პროცესს, მის წიაღში მდიდარი ფენების წარმოშობას, ვაჭრობასთან ერთად ვითარდებოდა მიწათმოქმედება (მიწის დამუშავების ტექნიკა), მესაქონლეობა და ხელოსნობა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდნენ გვარგონული წყობილების ეკონომიური წინსვლის საქმეს. მათ მოყვებოდა გვარში ქონების დაგროვება და შრომის საზოგადოებრივი განაწილება. საზოგადოებრივი სტრუქტურის მხრივ იბერიის ძირითადი მოსახლეობა მხედრებისა და მიწათმოქმედი გლეხებისგან შედგებოდა. ერთი სიტყვით, სტრაბონის ცნობიდან ჩანს, რომ იბერიის საზოგადოება წინ მიიწეოს და გვარგონული წყობილების თავისებურ სახეს წარმოადგენს. ეს თავისებურება ისაა, რომ იგი თანდათან სახელმწიფო ორგანიზაციად ფორმდება. ხოლო, ახალი წ-ის II ს-ის დასაწყისში ჩნდება კერძო საკუთრება მიწაზე, რაც შედეგია გვარგონული წყობილების ინტენსიური დაშლისა და იბერიის საზოგადოების დიდი ხნით აღრე დაწყებული დიფერენციაციისა, უთანასწორობის წარმოშობისა და სხვა, რაც ნიადაგ პირველ ხანებში მიწის კერძო საკუთრებაში პოულობს თავის გამოხატულებას. სიტყვის სიმოკლისათვის ვიტყვით, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილ გვარგონულ წყობილებაში თავს იყრის ყველა ის დამახასიათებელი და ძირითადი კომპონენტი, რომელიც სოციალურად თავსდება „სამხედრო დემოკრატის“ ტერმინის მცენებაში, როგორც განსა-

კუთრებული, სპეციფიკური ფორმა მმართველობის ორგანიზაციის საქმეში, როგორც გარდამავალი ტიპის პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელშიც წარმოიქმნება მომავალი ფორმაციის წინამძღვრები, შუამავალი წინაქალაქობრივ და კლასობრივ საზოგადოებათა შორის. ამჟამად სახელმწიფო ხელისუფლების გენეზისის საკითხში ჩვეულებრივზე უფრო მეტად ექცევა ყურადღება „სამხედრო დემოკრატია“, რომელშიც ფ. ენგელსი ხედავდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ინსტიტუტს კლასთა წარმოქმნის ეპოქიდან რომ მომდინარეობდა.

მართალია, საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიული პროცესი ივ. ჯავახიშვილთან შედარებით მკრთალადაა ნაჩვენები იმჟამინდელი კონკრეტული მასალის სიმცირის გამო, მაგრამ მას კარგად ჰქონდა შეგნებული ის გარემოება, რომ გვაროვნული წყობილების ინტენსიური დამლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც საზოგადოება აღწევს საკმაოდ მაღალ დონეს საწარმოო ძალთა განვითარებაში. სწორედ ასეთი იყო ქართული სახელმწიფოებრიობა ახალი წ-ის I ს-ში, თუ უფრო ადრე არა, ივ. ჯავახიშვილის ინტენსიური მისთვის სახელმწიფოა ის, რაც გამოიხატება მეფის (სუვერენის) ხელისუფლების რეალობაში, რომელსაც ჰყავს მონები და მიწა კერძო საკუთრებაში.

1973 წელს „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა ვ. მ. ხმელინსკის. წერილი: „სამხედრო დემოკრატიის გაგებისათვის“<sup>21</sup>, წერილის ავტორი სრულიად ახალ თვალსაზრისს გვთავაზობს ამ პოლიტიკური ორგანიზაციის გაგების საკითხში. მისი აზრით, „სამხედრო დემოკრატია“ მცნებაში უნდა იგულისხმებოდეს სახელმწიფოებრივი წყობილება დემოკრატიული მმართველობის ფორმის სახით კერძოდ, სტატიის ავტორის არსებითი დებულება ისაა, რომ დაამტკიცოს — ფ. ენგელსს „სამხედრო დემოკრატია“ ესმოდა როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, მმართველობის დემოკრატიული ფორმა. მსგავსად იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებობდნენ და არსებობენ პროლეტარული დემოკრატია, ბურჟუაზიული დემოკრატია, ფეოდალური დემოკრატია, მონათმფლობელური დემოკრატია, როგორც სახელმწიფოთა ფორმები, ასევე უნდა გვესმოდეს ჩვენ „სამხედრო დემოკრატია“ და არ უნდა გამოვირიცხოთ იგი ამ საერთო წესიდან.

ამ ზოგად დებულებას წინ უძღვის ვ. ხმელინსკის შემდეგი მტკიცება: მისი აზრით, ფ. ენგელსისათვის „სამხედრო დემოკრატია“ თავისი სტრუქტურის მიხედვით, გვაროვნული საზოგადოებაა, რომელიც აგებულია გვართა, ფრატრიათა და ტომთა ძველ ტრადიციულ საფუძველზე, მაგრამ უკვე სახელმწიფოს წარმო-

ადგენს მისი ბუნებრივი განვითარების შედეგის გამო, თემური თვითმმართველობიდან დემოკრატიული ფორმის მიმართულებით. „სამხედრო დემოკრატია“ განვითარების პირველი, ემბრიონალური ფაზისაა, იგი ის ეტაპია, როდესაც სახელმწიფო ჯერ კიდევ არ დაპირისპირება საზოგადოებას და მისი ინტერესების დამცველად გვევლინება. ამ სახელმწიფოს მმართველობის ფორმები შესაბამისად მტკიცე არაა, მაგრამ არსებითად თავისი სოციალური ფუნქციების მიხედვით, უკვე სახელმწიფო ორგანიზაციაა (გვ. 71-74).

ვ. ხმელინსკის თვალსაზრისით ფ. ენგელსის საერთო კონცეფციაზე „სამხედრო დემოკრატია“ გაგების საკითხში, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი და ანგარიშსასაწივეი ჩანს. სადღესოდ არსებულ შეხედულებათა შორის „სამხედრო დემოკრატია“ ავტორისეული გაგება თითქოს უფრო შესაბამეა გარდამავალი ხანის საზოგადოებათა ბუნების თავისებურებას. „სამხედრო დემოკრატია“ დროს საქმე გვაქვს გვაროვნულ არისტოკრატიათა, რომლის ხელთაა კერძო საკუთრება, ჰყავთ მონები და ბასილეგები, რითაც იგი ტიპოლოგიურად ემსგავსება ადრეკლასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას, სახელმწიფოს ერთგვარი ფორმით. ამიტომ გვაროვნული წყობილების რღვევის სტადიაზე მოსალოდნელია გარკვეული სახის დემოკრატიული ფორმის სახელმწიფოს არსებობის დაშვება. თუ ვ. ხმელინსკის შეხედულება „სამხედრო დემოკრატია“ ენგელსისეული გაგების შესახებ მართებული და დამაჯერებელია, მაშინ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, საქართველოში გვაროვნული წყობილების რღვევისა და დაცემის პერიოდში აქ სახელმწიფოს არსებობა რეალურ-ისტორიულ ფაქტად გვეცნო.

მაგრამ რა ბუნებისა იყო ეს სახელმწიფო? რა საზოგადოებრივი კლასები წარმართავდნენ პირველ ქართულ სახელმწიფოებრიობას? ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ პირველი ქართული სახელმწიფოებრიობა არა ყოფილა მყარი, საფუძვლიანი. პროფ. ა. ი. ნუუსიხინის სიტყვით რომ ვთქვათ, პირვანდელი სახელმწიფო „იყო რა თავის საფუძველში თემური, მაგრამ პირველყოფილობას დაცლებული, და ამასთან, ატარებდა რა სოციალური უთანასწორობის ელემენტებს, ეს საზოგადოებრივი წყობილება უნდა ყოფილიყო „ფეოდალურამდელი“<sup>26</sup> პოლიტიკური გვართიანება, ანდა აკად. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, „პროტოფეოდალუ-

#### არჩილ ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური საპირობები

რი<sup>27</sup> ამ ვითარებაში ფრიად ნიშანდობლივი ჩანს ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების გაზიარება განვითარებული მის ბრწყინვალე ნაშრომში „სახელმწიფო წყობილება“, რომლის მიხედვით იბერია-კოლხეთის საზოგადოებები განიხილებიან როგორც თემურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, ანუ თანამედროვე სიტყვით, „პროტოფეოდალური“.

ცხადია, ჩვენ ამით სრულიადაც არ უარვყოფთ სტრაბონის ცნობათა საფუძვლიანობას საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნისათვის ძლიერი სახელმწიფოს არსებობის აღიარების შესახებ. პირიქით, საესებით დამაჯერებლად მივაჩინა ქართულ სამჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისის სისწორე, ჩვენში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შედარებით ადრეული ქრონოლოგიური ჩარჩოების თაობაზე<sup>28</sup>. ჩვენ მიზანს შეადგენდა ივ. ჯავახიშვილის კონცეფ-

ციის — გვაროვნული წყობილების წიაღში სახელმწიფოს არსებობის ფაქტის ახსნის შესაძლებლობის ვარიანტის წარმოდგენა ამჟამად თავმოყრილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების ძველთან შეჯერების საფუძველზე. ესაა ტიპოლოგიურად გარდამავალი სახის ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მეფეთა პოლიტიკური ძალაუფლებით. ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებსა და ახალი ერის დასაწყისში ეს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი „პროტოფეოდალური“ ბუნებისა ჩანს და აქვს სრული ტენდენცია ფეოდალიზაციის განვითარებისაკენ, რასაც შედეგად მოჰყვება II ს-ის დასაწყისში ფეოდალური სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ჩამოყალიბება. თუ ჩვენი ახსნა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება, იგი დიდი პირობა იქნება გამოჩენილი მეცნიერის ისტორიული კონცეფციის ასლებურად გააზრების საპატიო საქმეში.

### შენიშვნები

1. თ. ყუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 129-130.

2. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 171.

3. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 171.

4. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. სახელგამო, 1953, გვ. 147, 221.

5 ტერმინ „საშინაო მონობას“ («Домашнее рабство») ჩვენ ვხვდებით XIX ს-ის დასავლეთევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, მას ხმარობს გ. ელინეკი რუსულ ენაზე ნათარგმნ ნაშრომში: «Общее учение о государстве» (СПБ., 1903, გვ. 172).

6 საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამჟამად „ლაოის“ კატეგორიის ხალხთა სოციალური ბუნების საკითხი სხვაგვარადაა ახსნილი და ვადაწყვეტილი. იგი აბსოლუტურად უპირისპირდება ძველ ტრადიციულ შეხედულებას მათი მონებად მიჩნევის თაობაზე. ელინისტური აღმოსავლეთის სახელმწიფოებში (ეგვიპტე, სელევკიდებში) „ლაოები“ განიხილებიან როგორც ადგილობრივი თავისუფალი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომელნიც თავისუფალი მოსახლეობის უშუალო მწარმოებელთა შირითად მასას, გლეხობას (ხალხი, მეფეებზე) შეადგენენ და რომელნიც სამეფო მიწას (ხორა) ამუშავებდნენ. იხ. А. Б. Ранович. Эллинизм и его историческая роль. М.-Л., 1950, გვ. 151—157; 195, 223. Н. Н. Пикус. Царские земледельцы (непосредственные производители) и ремесленники в Египте III в до н. э., М., 1972, გვ. 110—168, 217—223, 228. გ. მეღვივილი, ძველი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ზეითონი, „მაცნე“, № 1, 1966, გვ. 52-90. ით. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968, გვ. 31, 40, 41.

7. ს. ჯანაშია. შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 137.

8. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. მეხუთე გამოცემა, თბ., 1960, გვ. 392.

9. ოღნაე განსხვავებულ თარგმანს იძლევა პროფ. ნ. ლომოური. იხ. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა. თბ., 1966, გვ. 83, „სხვა წარჩინებულ იბერთა“.

10. И. Джавахишвили. Грузия. Исторический очерк. «БСЭ», т. 19, М., 1930, гв. 558—559.

11. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. მეორე, ნაკვეთი პირველი, თბ., 1928, გვ. 26.

12. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. მეორე, ნაკვეთი პირველი, თბ., 1928, გვ. 191.

13. ივ. ჯავახიშვილი. იქვე, გვ. 192-193.

14. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. პირველი, თბ., 1951, გვ. 168.

15. А. И. Неусыхин. Дофеодальный период как переходная стадия развития от родоплеменного строя к раннефеодальному (По материалам истории Западной Европы раннего средневековья). «вопросы истории», № 1, 1967, гв. 76, 82, 87.



<sup>16</sup> Г. К. Соселия. Существовала ли рабовладельческая формация в Грузии. «Вопросы истории», № 10, 1956, გვ. 72-84. ამ სტატიაში თავისი მოძველებული და მცდარი შეხედულებების „საწინააღმდეგოდ“, სადაც ივ. ჯავახიშვილია განქიქებული (გ. ქ. სოსელია, სახელმწიფოს წარმომობის საკითხისათვის. თბ., 1934, გვ. 62: „5 ს-ში... უკვე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა. საგვარეულო წყობილებაც ამ დროს, ცხადია, უკვე დაშლილია...“) მას დასაშვებად მიიჩნია ახალი წ-ის II-III საუკუნეებიდან საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა ცნოს... «Со II—III вв. мы допускаем возможность существования в Грузии классового общества и государства (хотя и не вполне развитого)», გვ. 77. ანდა: «Повторяем, в это время (II—III с-ში, а. ბ.) в Грузии и мы допускаем возможность существования еще слабо развитой государственной власти... феодальной» (გვ. 76) და სხვ., გვ. 84.

<sup>17</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტო-

რია. წ. პირველი, გამოცემა მეოთხე, თბ., 1951, გვ. 167.

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 183.

<sup>19</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 182.

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. პირველი, გამოცემა მეოთხე, თბ., 1951, გვ. 434.

<sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 168.

<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 147-148.

<sup>23</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. О религии. М., 1955, გვ. 153—154.

<sup>24</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. პირველი, თბ., 1928, გვ. 138.

<sup>25</sup> В. М. Хмелинский. О понятии «Военная демократия», «Советская этнография», № 4, 1973, стр. 66—75.

<sup>26</sup> А. И. Неусыхин. დას. ნაშრ., გვ. 76, 82.

<sup>27</sup> გ. მელიქიშვილი. ძველი საქართველოს... გვ. 85.

<sup>28</sup> საქართველოს ისტორის ნარკვევები. ტ. I, თბ., 1970, გვ. 400-467.



## ივანე ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა

**ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის აღსანიშნავად; ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური მეცნიერული ნაშრომის „ქართული დამწერლობათმცოდნეობის გამოქვეყნების 50 წლისთავის გამო“.**

ქართულმა დამწერლობამ განვითარების ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. დროთა მანძილზე გრაფიკული ტრანსფორმაციის შედეგად ქართული დამწერლობის სამი სახეობა შეიქმნა: ასომთავრული ანუ მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული.

მე-19 საუკუნის დამდეგამდე ხმარებაში იყო ქართული დამწერლობის სამივე სახეობა. თანდათანობით, ბეჭდური საქმის დამკვიდრებისა და განვითარების შედეგად ქართულმა მხედრულმა დამწერლობამ უპირატესობა მოიპოვა და ერთადერთ ქართულ დამწერლობად იქცა.

I. მხედრული დამწერლობა თანდათანობით იქმნებოდა ქართული დამწერლობის უფრო ადრეული ნუსხური დამწერლობის საფუძველზე. მხედრული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ძეგლები მე-11 საუკუნიდან გვაქვს. მე-11 საუკუნის მხედრული დამწერლობის ძეგლები უკვე იმდენად სრულყოფილი და დასახვეწილია, რომ ცხადია, იგი გაცილებით ადრე შექმნილი. სამწუხაროდ, რა დროიდან უნდა დაიწყოს მხედრული დამწერლობის არსებობის ისტორია, ჯერჯერობით არ ვიცით. მხედრულ დამწერლობას მე-11 საუკუნიდან ბეჭდური ხელოვნების დამკვიდრებამდე განვითარების საკუთარი გზა აქვს, როცა მან თავის სრულქმნილებას მიაღწია.

II. ქართული ნუსხური დამწერლობა თანდათანობით იქმნებოდა უფრო ადრეული ასომთავრული ანუ მრგლოვანი დამწერლობის საფუძველზე. ნუსხური დამწერლობის უძველესი ძეგლები IX ს.-დან გვაქვს. ამ დროიდან ნუსხური იმდენად სრულყოფილი და დასრულებულია, რომ ცხადია იგი გაცილებით ადრე გამოეყო ასომთავრულ დამწერლობას. მაგრამ რა დროიდან უნდა დაიწყოს ნუსხური დამწერ-

ლობის არსებობის ისტორია, სამწუხაროდ ჯერჯერობით არ ვიცით.

ნუსხური დამწერლობით საქართველოში სარგებლობდნენ დიდხანს; საეკლესიო ხასიათის თხზულებანი უპირატესად ამ დამწერლობით სრულდებოდა. საკუთრივ ნუსხურ დამწერლობას, დროთა მანძილზე, განსაკუთრებული გრაფიკული ტრანსფორმაცია არ განუცდია.

III. ქართული ასომთავრული ანუ მრგლოვანი — ქართული დამწერლობის უძველესი სახეობა და ერთ-ერთი არქაული ანბანური დამწერლობა მსოფლიოში. ასომთავრული ანბანის შექმნისა და შემოღების საკითხს მიეძღვნა ჩვენი გამოკვლევა „ქართული ასომთავრული“. ასომთავრულით იწერებოდა ძველი ქართული წერილობითი ძეგლები, უძველესი დროიდან, დაახლოებით XI საუკუნემდე. X—XI საუკუნეებიდან უპირატესობა ნუსხურმა მოიპოვა. მაგრამ ასომთავრულ ასო-ნიშნებს იყენებდნენ საზედაო ასოებად ნუსხურ დამწერლობაში; მონუმენტური ხასიათის წარწერები ქვაზე ბოლო ხანებამდე (მხედრულის გაბატონებამდე) ასომთავრულით სრულდებოდა.

ამგვარად, როგორც უკვე ითქვა, ქართული დამწერლობის სამი სახეობა არსებობს. გრაფიკული თვალსაზრისით ამ დამწერლობათა შორის დიდი სხვაობაა, მათი გრაფიკული სტრუქტურა სხვადასხვაა.

I. ქართული ასომთავრული დამწერლობა — მონუმენტური ანუ კაპიტალური დამწერლობაა, მსგავსად ბერძნული კაპიტალური დამწერლობისა და ლათინური მონუმენტური დამწერლობისა. ასეთი დამწერლობის დამახასიათებელი თვისებაა ასო-ნიშნების გეომეტრიული სწორხაზოვნობა, სიმეტრიულობა; ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიმაღლისა და ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება.

ივ. ჯავახიშვილი წერს:

„ასომთავრული დამწერლობის ასოები ყოველთვის ორ ხაზს შუა არის ხოლმე მოქცეული და მათი სიგრძე მუდამ ერთნაირია“. <sup>2</sup> ე. ი. ქართული ასომთავრული ორხაზოვანი სისტემის დამწერლობაა. ვრცლად ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურის შესახებ სხვაგან ვიტყვი.

**II. ნუსხური დამწერლობა** გრაფიკული სტრუქტურის თვალსაზრისით ძირეულად განსხვავდება ასომთავრული დამწერლობისაგან. ნუსხური ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა და ასო-ნიშნების ტოლმეტობის პრინციპზეა დაფუძნებული. ივ. ჯავახიშვილი ქართულ პალეოგრაფიაში წერს:

„ნუსხური დამწერლობა, რომელიც ოთხხაზოვან ბადეზეა დამყარებული და გრძელ და მოკლე, ტოლმეტ ასოთა სისტემის წარმოადგენს... დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასოთა ტოლობა და ერთგვარობა მათ ვარჩევას აძნელებს, მათი ტოლმეტობა კი, პირიქით, ადამიანს ძალიან უადვილებს კითხვას... ასოთა ურთიერთშორისი განსხვავება სიდიდით, განსაკუთრებით კი თავიანთ ზედა თუ ქვედა ტანის სიგრძე-სამოკლითა და მოყვანილობით თითოეულ მათგანს უფრო მეტ ნიშნადობლივობას და მკაფიობას ანიჭებს“. <sup>3</sup>

ამგვარად, ასომთავრულსა და ნუსხურს შორის გრაფიკული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდი სხვაობაა. გარდა ამისა, ასომთავრული არქაული ხანის დამწერლობაა, ნუსხური კი უფრო გვიანდელი ეპოქის ძეგლია.

**III. მხედრული დამწერლობა** მსგავსად ნუსხურისა ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა, მაგრამ თავისი გრაფიკული აღნაგობით დიდად განსხვავდება ნუსხურისაგან. ე. ი. თუ ასომთავრულსა და ნუსხურს ურთიერთმსგავსება რამდენადმე შესაძრწევია, გრაფიკული მსგავსება ნუსხურსა და მხედრულს შორის კიდევ უფრო ნაკლებია.

მხედრული სახეობა დამწერლობისა ყველაზე გვიან შემოდებული დამწერლობაა, რომელიც დღეს შესანიშნავად ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

ქართულ დამწერლობათა აღმნიშვნელი ტერმინები გარკვეული აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის ქართულ პალეოგრაფიაში. ამის გამო მე მხოლოდ მოკლედ ვიტყვი.

ასომთავრული დამწერლობას სინონიმად ძველ ქართულ ხელნაწერებში ტერმინი „**მრგლოვანიც**“ იხმარება. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„XII საუკუნის ტბეთის სახარების ანდერძში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „საყდარსა ტბეთისასა ისხნეს ძუელნი წიგნი მრავალნი“, რომელნიც „**მრგულოვანისა**“ ანბანით ყოფილან **ნაწერი**“. <sup>4</sup>

სულხან-საბა ორბელიანი მრგლოვანი დამწერლობის შესახებ ამბობს:

„მრგლოვანი ლათინთ წიგნთ მსგავსად ასომთავრული ნაწერი არისო“.

იგივე მრგლოვანი ტერმინის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს:

„როგორც ქართული ტერმინის „მრგლოვანი“-ს მნიშვნელობიდან ჩანს, ამ დამწერლობის დამახასიათებელი თვისება მის ასოთა მრგვალი მოყვანილობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რაკი ძველად V—XII სს-ში მრგვალი მოყვანილობის ასოები მომეტებულად ასომთავრულში გვხვდებოდა, ამიტომ ძველი საქართველოსათვის „მრგვლოვანი“ დროთა განმავლობაში ასომთავრულის სინონიმად იქცა“. <sup>6</sup>

ასომთავრულისა და ნუსხურის სინონიმად იხმარება აგრეთვე ტერმინი „**ხუცური**“. ე. ი. ითქმის **ნუსხა-ხუცური** და **ასომთავრული ხუცური** დამწერლობა, ტერმინი „**ხუცური**“ ამ დამწერლობათა ზოგადი სახელია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს ტერმინი გვიან შემოდებულია, მხედრული დამწერლობის არსებობის ხანაში, ე. ი. მხედრული ანუ საერო დამწერლობას ხუცური ანუ საეკლესიო დამწერლობა უპირისპირდება. ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხის შესახებ წერს:

„ჩვენი თანამედროვე ჩვეულებრივი წარმოდგენით მთელი ქართული დამწერლობა ორ მთავარ დარგად განიყოფება: ხუცურ და მხედრულ დამწერლობებად... მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა... როგორც ჩანს, ტერმინები „**ხუცური**“ და „**მხედრული**“ XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკ. დამდეგს უნდა იყოს შემოსული... ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული დამწერლობის ხუცურად და მხედრულად დაყოფა მერმინდელია და უძველეს ხანისათვის და XIII საუკ. დასასრულამდე ქართული დამწერლობისათვის არც დამახასიათებელია და არც შესაფერისი“. <sup>7</sup> მე ვფიქრობ, გასარკვევია „**ხუცური**“ ტერმინის რაობა, რაკი ამ ტერმინის ქვეშ შეიძლება ასომთავრული დამწერლობაც იგულისხმებოდეს და ნუსხური დამწერლობაც. ამ დამწერლობებს შორის კი, როგორც უკვე ითქვა, დიდი სხვაობაა.

ქართული დამწერლობის კლასიფიკაციის გამო კ. კეკელიძე წერს:

„ჩვენ ორგვარი ანბანი გვაქვს: ხუცური და მხედრული; ამ ორი ანბანით არის წარმოდგენილი ყველა ძველი ლიტერატურული ძეგლი. ხუცური ანბანი თავის მხრივ ორნაირია: ასომთავრული და ნუსხური...“ <sup>8</sup> ქართული დამწერლობის ასეთი კლასიფიკაცია დღეს უარსაყოფია. პრაქტიკულად კლასიფიკაციის ასეთი

**რამაზ პატარიაშვილი**

**ივანე ჯავახიშვილი და ქართული**

**დამწერლობა**

პრინციპი უარყოფილია კიდევ, რადგან ჩვენ ორგვარი ანბანი კი არა გვაქვს, არამედ ქართული დამწერლობის სამი სახეობა არსებობს. ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. კლასიფიკაციის ეს პრინციპი განხორციელებულია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, რომლის ინსტრუქცია შემუშავებულია თვით ივანე ჯავახიშვილის მიერ.

ქართული დამწერლობის კლასიფიკაციის შესახებ უფრო ადრე სწორი თვალსაზრისი გამოთქვა დავით კარიჭაშვილმა. იგი წერდა:

ჩვენ გვაქვს ორნაირი ანბანი — ხუცური და მხედრული. ხუცურიც, თავის მხრივ, ორნაირია: ასომთავრული და ნუსხური. ასე რომ დღეს ნამდვილად გვაქვს სამნაირი ანბანი: ასომთავრული, ნუსხახუცური და მხედრული. სამივე ეს ანბანი ერთი და იგივე ანბანია, მხოლოდ დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახე და ხსიათი აქვს მიღებული თვითიულის მათგანს. ასომთავრულისაგან წარმოსდგა ნუსხახუცურიც, ხოლო ნუსხახუცურისაგან მხედრული.<sup>9</sup>

დღესდღეობით ქართულ დამწერლობათა ურთიერთ მიმართების საკითხი უკვე გარკვეულია. აღარ არის დავა იმის შესახებ, თუ ქართული დამწერლობის რომელი სახეობაა უფრო ძველი: ასომთავრული, ნუსხური თუ მხედრული.

აღსანიშნავია, რომ ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები, მათი თანამიმდევრობა, მეცნიერულ საფუძველზე პირველმა გაარკვია ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ (1826—1890). ეს იყო პირველი დიდი წარმატება ქართული დამწერლობათმცოდნეობის მეცნიერულ დარგში.

ამის შესახებ პროფ. მამია დუმბაძე წერს:

„და ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ისტორიის დამხმარე დისციპლინას — ქართულ პალეოგრაფიას... მართალია დ. ბაქრაძის ქართული პალეოგრაფია სათანადო მეცნიერულ სიმძლავრეზე არ აუყვანია, ეს მხოლოდ აკად. ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, მაგრამ დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებულმა მასალამ და მისმა პირველმა დაკვირვებებმა ეს საგანი თავისებურად გააფორმეს.

1881 წ. რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობაზე დ. ბაქრაძე გამოვიდა მოხსენებით — «Грузинская палеография», რომელიც ყრილობისავე მასალებში გამოქვეყნდა... აღნიშნულ წერილში და შემდეგ ისტორიის წიგნში (იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე“, ნაწ. 1, 1889 წ. თბილისი, შენიშვნა ჩემია რ. პ.) და ბაქრაძემ პირველმა შეიტანა გარკვეულობა ქართული ანბანის თანდათანობით განვითარებას საკითხში.. ბაქრაძემ გაარკვია ქართული ანბანის გან-

ვითარების საფეხურები. მან მართებულად დაასკვნა, რომ ქართულმა ანბანმა თავისი განვითარების კრძელი და მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო, რომ ასომთავრული ხუცური ანბანი ჩვენთვის ცნობილი პირველი საფეხურია, ხოლო ხუცური (იგულისხმება ნუსხური რ. პ.) — მისი განვითარების შემდგომი ფორმა, რომ მხედრული ანბანი, როგორც ხუცურიდან (იგულისხმება ნუსხური. რ. პ.) განვითარებულ, წარმოადგენს უმაღლეს დახვეწილ ფორმას. თავისი დებულება ბაქრაძემ გაამაგრა პალეოგრაფიული ანალიზით. მან დაამტკიცა, თუ როგორ თანდათანობით დაიხვეწა ასომთავრულიდან და შემდეგ ნუსხა-ხუცურიდან მხედრული...<sup>10</sup>

ბაქრაძის ნაშრომებში გამოქვეყნებული მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა სათანადოდ გამოყენებულ იქნა აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომში — „ქართული პალეოგრაფია“.<sup>10</sup>

ამგვარად ქართული დამწერლობის კვლევას, უთუოდ, დიმიტრი ბაქრაძემ ჩაუყარა საფუძველი. ქართული ანბანის შემდგომი კვლევის თვალსაზრისით დიმიტრი ბაქრაძის შრომას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

კერძოდ, ამ ვითარების შესახებ კ. კეკელიძე წერს:

„ჩვენს ისტორიულ მწერლობაში დიდი კამათი იყო იმის შესახებ, თუ რომელი ანბანი უფრო ადრინდელია: ხუცური თუ მხედრული. ერთი ჯგუფი მეცნიერთა, ილ. ოქროშქელიშვილის მეთაურობით, ამტკიცებდა, რომ მხედრული ანბანი უფრო ძველია, ის შემოდგომულია ფარნაოზ მეფის დროს, რომლის შესახებ მემკვიდრე ამბობს, რომ მან შექმნა მწიგნობრობა ქართული; ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი შეიქმნა ანდა გადმოკეთდა მხედრულიდან ხუცური ანბანი. მეორე ჯგუფი მეცნიერთა, დ. ბაქრაძის მეთაურობით, ამტკიცებს, რომ თავდაპირველი ანბანი არის ასომთავრული ხუცური, რომლისაგან, ევოლუციის გზით, ჯერ გამოვიდა ნუსხახუცური, ხოლო შემდეგ, X—XI ს., მხედრული. თავისთავად ცხადია, ასეთი კამათი შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც ქართული პალეოგრაფია არ არსებობდა, დღეს კი, როდესაც მისი შესწავლის საფუძველები უკვე ჩაყარლია, ყველასათვის უცილობელია, რომ თავდაპირველი ანბანი არის ასომთავრული ხუცური, მისგან განვითარდა ნუსხური, ხოლო უკანასკნელისაგან მხედრული. საკითხი ისმის მხოლოდ იმის შესახებ, — როდის გაჩნდა ასომთავრული ხუცური?...<sup>11</sup>

ამგვარად საკითხი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, იმას ნიშნავს, რომ გაირკვეს როდის შეიქმნა და როგორ შეიქმნა ქართული ასომთავრული დამწერლობა.

ქართული დამწერლობის წარმოშობის შე-

სახებ დაცულია ცნობები როგორც ქართულ აგრეთვე სომხურ ისტორიულ წყაროებში. დიდად მნიშვნელოვანია XI საუკუნის ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველი წერს:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან გავნაცრო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ე. ი. ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ანბანი შემოღებულია ფარნავაზ მეფის დროს ანუ IV—III საუკუნეთა მიჯნაზე ძველი წელთაღრიცხვით.

ლეონტი მროველის ისტორიული ცნობის რაობა დაწვრილებით სხვაგან იქნება განხილული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულია კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის სადაურობა-წარმოშობის შესახებ. ეს ცნობა დაცულია ყოფილა კათალიკოს ანტონ — II-ის კუთვნილ წიგნში „მატიანე შემეცნებათა“. 1822 წელს, ანტონ კათალიკოსის პეტერბურგში ყოფნის დროს, თეიმურაზ ბაგრატიონს ამოუწერია ეს ცნობა ანტონ კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან, ხოლო 1836 წელს მარი ბროსემ, თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, სადაც ეს ცნობაც მოიპოვება, გამოაქვეყნა ფრანგულად. სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი, ქართული ტრადიციული ცნობა ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის შესახებ უსამართლოდ იყო მივიწყებული და მას ხელმეორედ მიაკვლია გურამ შარაძემ. 12

ეს ცნობა გვაუწყებს: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამათა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილთა ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთა უხუცესთა და ქვეის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლნი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი. ფარნავაზმან წერილთა მათთაგან განჰყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ კელით წერილი განყოფილი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არ წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“.

ამ ტრადიციული ცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა ფარნავაზ მეფის დრომდე არსებულა. ეს დამწერლობა ქართველ ქურუმთა მიერ ყოფილა შემოღებული და ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე შექმნილა.

ქართული ასომთავრული ანბანის ანალოგში უნდა ცხადყოს რამდენად სამართლიანია ეს ტრადიციული ცნობა ქართული ანბანის წარმოშობა — სადაურობის შესახებ.

რაც შეეხება ცნობას ფარნავაზის მიერ მხედრული დამწერლობის შემოღების შესახებ, თუ კი ტრადიციულ ცნობაში ასეთი რამ იგულისხმება, სწორად არ არის, ანაქრონიზმია. რაკი ქართული დამწერლობა, ტრადიციული ცნობის მიხედვით, ფარნავაზამდე არსებულა, ამიტომ, საფუძრებელია, ტრადიციული ცნობა ცდილობს გაარკვიოს ფარნავაზის დამსახურება ქართული დამწერლობის შემოღების საქმეში და ამით მოსპოს წინააღმდეგობა ლეონტი მროველის ცნობასა და ტრადიციულ ცნობას შორის.

რადგან მხედრული დამწერლობა ფარნავაზის დროს არ შექმნილა, ამიტომ ტრადიციული ცნობა, ერთის შეხედვით, ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ცნობას; ორიდან ერთი: ქართული დამწერლობა ან ფარნავაზის შემოღებულია ან ფარნავაზამდე არსებობდა.

მიუხედავად ამ შეუსაბამობისა, სხვაგან შევეცდებით გავარკვიო, რომ ტრადიციული ცნობა არ ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ცნობას. მთავარი ის არის, ისტორიული ხასიათის რა მოვლენებია ასახული ამ ცნობებში და რა ხასიათის ფაქტებია ნაგულისხმევი ამ ცნობებში.

ერთი რამ ცხადია. ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცულია ცნობები ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ; ქართულ ისტორიულ ტრადიციას მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია არა ქრისტიანულ ეპოქაში, არამედ წარმართულ ხანაში, რომ იგი შემოღებულია ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოქმნის ხანაში.

ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ ცნობები დაცულია აგრეთვე სომხურ ისტორიულ წყაროებში.

საგულისხმოა, რომ სომხურ წყაროებში დაცულია ორი სხვადასხვა, ურთიერთ საწინააღმდეგო ცნობა ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ.

ერთი, ნაკლებ სარწმუნო ცნობით, ქართული დამწერლობის შექმნა მიეწერება ახ. წ. მე-4-5 საუკუნეების სომეხ საზოგადო მოღვაწეს — მესროპ-მამსტოცს.

სომხური ანბანის შემქმნელის მამსტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერილი აქვს მამსტოცის მოწაფესა და მის თანამედროვეს — კორიუნს.

კორიუნის თხზულება მამსტოცის ცხოვრების

რამაზ კატარძიძე

ივანი ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა

შესახებ დაწერილი უნდა იყოს დაახლოვებით 443—444 წლებში.<sup>13</sup>

კორიუნის თხზულებაში აღწერილია, თუ რაოდენ ხანგრძლივი რუდუნების შედეგად შეიქმნა სომხური ანბანი; ამ სასიქადულო საქმის შესრულებაში მამუტოცი მარტო არ იყო, მას სხვებიც ეხმარებოდნენ. რაც შეეხება ქართულ და ალბანურ ანბანებს მამუტოცმა ორივე დამწერლობა უცხად და სახელდახელოთ შექმნა. კერძოდ ქართული ანბანის შექმნის შესახებ კორიუნის თხზულებაში წერია:

«...Затем спустя некоторое время любилец христа (Маштоц) позаботился также и о варварских странах. И принялся он составлять письменна иверского языка, согласно милости, дарованной ему богом. Начертил он, расположил и наладил как надлежало и взяв с собою кое-кого из лучших учеников своих, пустился в путь и прибыл в края иверов. Тут он представился царю иверов, по имени Бакур, и епископу страны Мовсесу. Царь и воинство вместе со всеми областями по божьему велению покорно слушались его<sup>14</sup>»...

კორიუნის თხზულების ამ ნაწილიდან ირკვევა, რომ ქართული ენის არმცოდნე მამუტოცს ქართული ანბანი, ლეთის წყალობით, იქვე სომხეთში შეუქმნია და ამის შემდგომ გამოგზავნებულა საქართველოში, სადაც მას სახელმწიფოს მესვეურნი მოწიწებით შეხვედრიან.

ქართული ანბანის შექმნის ესოდენ გულუბრყვილო ვერსია თავისთავად დაუკრებელია, მითუმეტეს, როგორც უკვე გამოჩვენულია, ცნობა ქართულ-ალბანური ანბანების შექმნის შესახებ კორიუნის თავდაპირველ ტექსტში არ ყოფილა და ასეთი ცნობები გვიან შეუტანიათ კორიუნის თხზულებაში.

ივანე ჯავახიშვილმა „ქართულ პალეოგრაფია“-სა და „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობა“-ში ცხადყო, რომ კორიუნს მამუტოცი მხოლოდ სომხური ანბანის გამოგონებლად ჰყოლია მიჩნეული. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ცნობა მამუტოცისაგან აგრეთვე ალბანურისა და ქართული დამწერლობის გამოგონებლობაზე მერმინდელ ჩანართს წარმოადგენს და კორიუნის თხზულების მერმინდელი რედაქტორის დამატებული და შეტანილი უნდა იყოს“. 15

ცნობა მამუტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ დასტურდება აგრეთვე „ეპისტოლეთა წიგნში“, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი მიმართულ მესამე წერილში. ამ ეპისტოლეში ვკითხულობთ:

„...მაგრამ ესლა ნუ დავიზარებთ, რომ განვახლოთ სულეირი სიყვარული, რომელიც ორივე ხალხს შორის იყო. მას მოძღვრება, რომელიც ერთი წყაროდან მივიღეთ. ჯერ თვითონ მოიღეს ცხოვრების ნათელი, როგორც

გვასწავლეს წინასწარმეტყველება და მოციქულებმა, და შემდეგ ჩვენცა და თქვენც საერთო ღმრთისმსახურება დაგვიბრუნეს ჯერ ნეტარმა წმინდა გრიგოლმა და შემდეგ მამუტოცმა, და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“. 16

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეს ეპისტოლე 607 წელს არის დაწერილი. მაგრამ, როგორც ეს ზაზა ალექსიძემ გამოარკვია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციებში ანუ ეპისტოლეთა თავდაპირველ ტექსტში, ცნობა მამუტოცის მიერ სომხური და ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ არ ყოფილა და იგი გვიან ჩაურთავთ ეპისტოლეში.

ამგვარად, კორიუნის თხზულებისა და ეპისტოლეთა წიგნის ცნობა მამუტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ჩანართი ანუ გვიანდელი ინტერპოლაცია ყოფილა. ამდენად ეს ცნობები ყალბისმქნელთა ნახელავია და ამდენად სათანადო ნდობას აღარ იმსახურებენ.

საკითხავია მხოლოდ, როდის უნდა შეთხზულიყო ასეთი ვერსია, კერძოდ, ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ?

ამ საკითხს უკვე ივანე ჯავახიშვილი არკვევდა. ივანე ჯავახიშვილის მიერ დასმული საკითხი საბოლოოდ ზაზა ალექსიძემ გაარკვია. პატივცემული მეცნიერი წერს:

„სომხური ლეგენდა მამუტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ ცნობილი არ ყოფილა ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში:

მე-5 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპელის ნაშრომის პირველ წიგნში (ხაზი ჩემია. რ. ჰ.) ვრცლად არის საუბარი მამუტოცის ცხოვრების შესახებ და ერთადერთ წყაროდ კორიუნის თხზულებაა დასახელებული. მიუხედავად იმისა, რომ ლაზარე ფარპელი უხვად სარგებლობს კორიუნით, მან არაფერი იცის მამუტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების შესახებ. ცხადია ასეთი რამ არ ეწერა მის წყაროშიც. (ე. ი. კორიუნის „მამუტოცის ცხოვრებაში“ რ. ჰ.).

ლაზარე ფარპელის თხზულების პირველი წიგნის საკითხით დაინტერესებული იყო ცნობილი სომეხი ფილოლოგი ნ. აკინიანი. მისი დასკვნით, იგი არ ეკუთვნის ლაზარე ფარპელის კალამს და შეთხზულია VIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნ. აკინიანის ეს ვარაუდი უაღრესად ანგარიშგასაწევია. ირკვევა, რომ მანუკერტის 726 წლის კრებამდე (რომელზედ და საბოლოოდ გაიმიჯნა ქართლისა და სომხეთის ეკლესიები) არ ყოფილა ისეთი რედაქცია კორიუნის თხზულებისა, სადაც ქართული და ალბანური დამწერლობის გამოგონების შესახებ იქნებოდა საუბარი“. 17

ამგვარად, ცნობა მამუტოცის მიერ ქართულ

ანბანის შექმნის შესახებ არ ყოფილა კორიუნის თხზულებაში ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში. ეს რაც შეეხება კორიუნის თხზულებას.

რაც შეეხება აბრაამ კათალიკოზის ეპისტოლეს, ამის შესახებ ზაზა ალექსიძე წერს:

„ცნობა მამუტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ „ეპისტოლეთა წიგნში“ შეტანილია X საუკუნის შემდეგ“.18 უნდა დავასკვნათ: ნატყუარ სომხურ ცნობებს ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ მეცნიერული მნიშვნელობა აღარა აქვთ. სხვა საკითხია, რა ვითარებამ გამოიწვია გვიან შეთხზული ცნობების ჩართვა ადრინდელ ავტორების თხზულებებში.

მაგრამ, სომხურ საისტორიო მწერლობაში, ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, დასტურდება სხვა რიგის ცნობაც. კერძოდ, XIII საუკუნის სომეხი მემატიანე მხითარ აირივანეცი ავტორია „ქრონოგრაფიული ისტორიისა“. მისი ისტორიული ფაქტები ნასესხებია წინამორბედი ავტორებისაგან. კერძოდ, მხითარ აირივანეცი იცნობს სომეხ ავტორებს: სამუელ ანეცის, ვარდან აღმოსავლელს, კირაკოს განაქეცის და სხვათ.

მხითარ აირივანეცი თავისი ქრონოგრაფიის მესამე ნაწილში (ქრონოლოგიურად დალაგებულია ფაქტები აღამიდან ვიდრე ახ. წ. 1289 წლამდე) 4580—4636 წ. წ. ქრონოლოგიური პერიოდის ქვეშ აღნიშნავს:

„პირველმა ქართველმა მეფემ ფარნავაზმა ექვსი ენისაგან შექმნა ქართული ენა, მანვე შეუქმნა დამწერლობა ამ ხალხს“.

მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიული ისტორიის“ რუსული ტექსტი გამოსცა. ქ. პატკანოვმა. რუსული თარგმანი ამ ციტატისა ასეთია:

«Первый царь грузинский Фарнаваз из шести языков составил грузинский язык, и изобрел письмена для этого народа»<sup>19</sup>.

რამდენადაც მხითარ აირივანეცის „ისტორია“ ორიგინალური ნაწარმოები არ არის, არამედ კომპილაციური კრებულია სხვადასხვა ისტორიული ფაქტებისა, ამდენად, როგორც ქ. პატკანოვი აღნიშნავს, მხითარ აირივანეცი კარგად იცნობს წინამორბედ ისტორიკოსებსა თუ მემატიანეთ.

ცხადია, მხითარ აირივანეცმა კარგად იცის ე. წ. „მამუტოცის“ ვერსია ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მხითარ აირივანეცი უცილოდ უპირატესობას ანიჭებს იმ ისტორიულ ცნობას, რომელიც ქართული ანბანის შექმნას ფარნავაზ მეფეს მიაწერს.<sup>20</sup>

რაც შეეხება სომხური დამწერლობის წარმოშობის საკითხს, იგივე ქართული ტრადიციული ცნობა ამის შესახებ გვაუწყებს:

„რადეთვის ეყვის მწიგნობრობასა, არა იყო მათ (სომეხთა) შორის ძველთა შინა საუკუნეთა... იგინი (სომეხები) სარგებლობდეს პირველ ბერძულითა წიგნითა და ქართულითა. ქრისტეს მოსვლითგან მრავალთა წელთა განვლეს, მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რომელსაცა იტყვიან მოძღვრისა მათისა მესროფისათვის, ვითარმედ მან განაწესა და ქმნა ასონი მათნი, მსგავსნი ქართულის ხუცურის წერილისა.

წერილს ქართულსა სომხური რომელნიმე ასონი ჰგვანან და არა ყოველნი. სომეხნი ვიეთნიმე იტყვიან, რომ სომხური წიგნის ასოები და ქართულის წიგნის ასოები ხუცურით მესროფმა გააკეთათ. მაგრამ ქართული ხუცური ასოები მესროფს არ გაუკეთებია, დიდი ტყუილი არის. მანამ მესროფ დაიბადებოდა და ამ სოფელში შემოვიდოდა, ადრევე ქართული ხუცური წიგნი იყო და მესროფზედ უწინ, საღმრთოს წერილის მთარგმნელნი ჩვენთა წმიდათა ქართველთა მამათაგანი მრავალნი იყვნეს, რომელნიც ებრაულისაგან და ბერძულისა და ასურულისაგან ქართულად სთარგმნიდნენ.

და ოდეს სრულებით არა აქენდათ ჯერეთ სომეხთა წერილნი თვისთა ზედა ენათა, სარგებლობდეს და ხმარობდეს იგინი ქართულითა წიგნითა და წერილითა“.<sup>21</sup>

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით, ქართული დამწერლობა შექმნილია წარმართულ ხანაში და შემოდებულია ქართველთა პირველი მეფის ფარნავაზის მიერ.

სხვა ვერსია ქართული დამწერლობის წარმოშობისა ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ არ იცის. უფრო მეტიც, საუკუნეების მანძილზე, ქართველ მოღვაწეებს ეს ტრადიცია უცილობელ კემპარტიტებად მიაჩნდათ: მე-17 საუკუნეში სულხან-საბა ორბელიანი ქართული მწიგნობრობის წარმოშობის შესახებ წერს:

„ენა ქართული, შესრულებული და გავრცელებული და განრკეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“.<sup>22</sup> მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ წერდა:

„ესე ფარნაოზ იყო პირველი მეფე ქართლისა: მან აღაშენა და განაგესნა ქუეყანა თვისი, მოზღუდნა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, და შექმნა წიგნი ქართული და განავრცელა ენა ქართული...“<sup>23</sup>

#### რამაჟ პატარნიძე

ივანე ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა

თეიმურაზ ბაგრატიონი ამ საკითხს უფრო ვრცლად ეხება. თავის ისტორიაში იგი წერს:

„ამან ფარნავაზ მეფემან... განაგრცო და შექმნა ანზანს მხედრული ქართულისა წერილისა... და რომელნიმე მებისტორიენი ჩვენნი გულის-მისიტყველობენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისადა, არამედ მხედრულისა წერილისა ჩვენისა, ყოველი მომთხრობელნი ჩვენნი დაამტკიცებენ, რომელ ფარნავაზ პირველისა მეფისა მიერ არს შექმნილი.“<sup>24</sup>

როგორ უნდა გავიგოთ თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვები: „... და რომელიმე მებისტორიენი ჩვენნი გულის-მისიტყველობენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისადა...?“

ვფიქრობ, თეიმურაზ ბატონიშვილს მხედველობაში აქვს ტრადიციული ქართული გადმოცემა იმის შესახებ, რომ ხუცური (იგულისხმება ასომთავრული) დამწერლობა ფარნავაზამდე არსებობდა, ხოლო რაც შეეხება მხედრულ ანზანს იგი ფარნავაზ მეფის შემოღებული უნდა იყოსო: „არამედ მხედრულისა წერილისა ჩვენისა, ყოველი მომთხრობელნი ჩვენნი დაამტკიცებენ, რომელ ფარნავაზ პირველისა მეფისა მიერ არს შექმნილი.“

ასეთი იყო ქართული ტრადიციული გადმოცემაში ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. მაგრამ დროთა ვითარებაში ქართული ტრადიციული გადმოცემების რწმენა თანდათან ქრებოდა და დავიწყებას ეძლეოდა.

საგულისხმოა, რომ მესხი იოანე გვარამაძის თვალსაზრისით ქართული ანზანი შექმნილია ქალდეურ და ებრაულ დამწერლობათა საფუძველზე, მხედრული დამწერლობა კი ფარნავაზის შემოღებულია. ასე სწერდა გვარამაძე 1882 წელს. როგორც ჩანს მესხი იოანე გვარამაძისათვის ცნობილი იყო ქართული ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის წარმოშობა-სადაურობის შესახებ.<sup>25</sup>

თუმცა აკად. მარი ბროსე, ქართული ტრადიციის თანახმად, მხედრული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზ მეფეს მიაწერდა, ხუცური ანზანის გამოგონება უკვე მამუტოცის დამსახურებად მიაჩნია.<sup>26</sup> ეს იყო ქართულ-სომხური ვერსიების ერთგვარი მორიგების ცდა. რამდენადმე მსგავსი თვალსაზრისისა იყო სულხან ბარათაშვილიც, ოღონდ მამუტოცის მონაწილეობას ქართული ანზანის შექმნაში იგი უარყოფდა. იგი წერდა:

„ქართველი ხალხი ფარნავაზის მადლიერი ყველაზე უფრო ვგონებ, წერა-კითხვის შემოღებისა და საკუთარი ეროვნული ანზანის, ე. წ. „მხედრული“-ს მოგონებისათვის უნდა იყოს... მეოთხე საუკუნის სასულიერო წოდებაში შეადგინა ახალი ანზანი, ხუცური, ალბათ იმისათვის, რომ ამით უნდოდა აეშორებინა ხალხი ძველი წიგნების კითხვას.“<sup>27</sup>

ილია ოტომჰელიძის მხატვრული ანზანის შემოღებად ფარნავაზი მიაჩნდა, ხოლო

მამუტოცი ქართული ანზანის შესაძლებელ რეფორმატორად.<sup>28</sup>

სარგის კაკაბაძეს მამუტოცი ჯერ არსებული ქართული დამწერლობის რეფორმატორად მიაჩნდა.<sup>29</sup>

ნიკო მარი მხედრულ დამწერლობას წარმართული კულტურის ძეგლად თვლიდა, ხუცურს კი ქრისტიანული ეპოქის ძეგლად აცხადებდა.<sup>30</sup>

ასეთივე თვალსაზრისი აქვს გამოქმული ინგლისელ მეცნიერს ალენს. მისი აზრით მხედრული ფარნავაზის დროსაა შექმნილი, ხუცური კი შექმნილია მამუტოცის მონაწილეობის შედეგად.<sup>31</sup>

ამრიგად, მიუხედავად დიმიტრი ბაქრაძის პოლიგრაფიული გამოკვლევებისა, რის შედეგად ცხადი გახდა, რომ მხედრული დამწერლობა არ შეიძლებოდა ფარნავაზ მეფის შემოღებული ყოფილიყო, კიდევ დიდხანს, დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ, მეცნიერები ცდილობდნენ როგორმე მოერიგებინათ სომხურ-ქართული ტრადიციული ცნობები. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი წერს:

„კოტიუნის ცნობა არა ერთს მკვლევარსა და მეცნიერს სრულ ქეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული და ამის დამამტკიცებელი საბუთის მოძებნა-მოყვანაც უცლიათ. ამასთანავე მესრობის მოგონები ანზანად მათ ქართული ხუცური ასომთავრული დამწერლობა მიაჩნდათ, რომელშიაც სომხური დამწერლობის იერსა ხედავდნენ. მაგრამ ზოგს მათგანს მხედრული ხუცურისაგან განსხვავებულ და დამოუკიდებელ დამწერლობად ეხატებოდათ, რომელიც ხუცურზე უძველესადაც იყო მიჩნეული. ამ აზრს აკად. ნ. მარი იცავს თავის უკანასკნელს, 1925 წ. გამოსულ ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკაშიც; ხუცური აქ ქრისტიანობის დამწერლობად მიაჩნია, მხედრული კი — წარმართული დროის ქართული დამწერლობის ნაშთად ეხატება.“

აქ, უეჭველია, ორივე, სომხურ-ქართული, კოტიუნ — ლ. მროველის ცნობის ერთგვარი გამართლების ცდა. თუმცა ნ. მარს ამ თავის უკანასკნელ ნაშრომში ნათქვამი აქვს, რომ ხუცური დამწერლობის დასაწყისის ხანა ჯერ გამორკვეული არ არისო, მაგრამ აქ ალბათ ზედმიწევნითი განსაზღვრა იგულისხმება, თორემ ისე მასვე აღნიშნული. აქვს, რომ ხუცური ქრისტიანობის ხანის დამწერლობაა. ვგონებ აღარავითარი ლაპარაკი საჭირო არ არის, თუ რამდენად შეუწყნარებელია ნ. მარის აზრი, ვითომც მხედრული ხუცურზე უძველესი იყოს...<sup>32</sup>

რაც შეეხება ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისი გამოქმულია. რომელი დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა ქართული ანზა-



ნი? ეს საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა.

ზოგიერთის, დღეს უკვე მოძველებული თვალსაზრისით, ქართული ანბანი (მხედრული) შექმნილია ჰინდური დევანაგარი დამწერლობის საფუძველზე (კლაპროტი);<sup>33</sup> მარი ბროსე წერდა: „ფარნაოზის მეფობაში ქართული ენა, — როგორც მაშინ ყველა ენაზე უფრო გავრცელებული ქართლში — წარმატებაში შევიდა. მაშინ შეადგინეს ესრედ წოდებული მხედრული ქართული ანბანი, რომელიც აქამოდღე ხმარებაშია, ეს ანბანი შეთხზულია მიმსგავსებით ზენდურ ასოებისა, რომელთაც ჩრდილოეთ სპარსეთში ხმარობდნენ. თვით სახელწოდება ახალ შეთხზულ ალფაბეტისა სრულიად უდრის ფხლურს ე. ი. საგმირო ენას, რომლიდანაც, იგი წარმომდინარეობს და რომელსაც ძლიერ დაახლოვებული მნიშვნელობა აქვს ქართულს მხედრულთან“.<sup>34</sup>

რაც შეეხება ქართულ ასომთავრულ დამწერლობას, მ. ბროსეს თვალსაზრისით მათოცი ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს თითქმის ინდურ დამწერლობებს უნდა დასესხებოდა.<sup>35</sup>

3. იუნკერის თვალსაზრისით ქართული ანბანის საფუძველია ახ. წ. მე-4 საუკუნის ფალაურიდან მომდინარე ავესტა ანბანი.<sup>36</sup> ილია ოქრომჭედლიშვილის თვალსაზრისით:

„ფარნაოზმა საქართველოში შემოიღო ზენდური (ფვჰლურის) ანბანი სპარსელებისაგან. ამას გვიმოტივებს საოცარი მსგავსება ქართულ-ზენდურ ანბანებისა. მაგალითებზე, 25 ზენდური ასო სრულიად მიაგვანან ქართულსა-ო.<sup>37</sup> ილია ოქრომჭედლიშვილს მხედველობაში აქვს ქართული მხედრული ანბანი.

ქართული ანბანის წარმოშობის ამ უცნაური თეორიების გამო ივანე ჯავახიშვილის სიტყვები უნდა გავიხსენოთ. დიდი მეცნიერი წერდა:

„როგორც სწორად სხვაგანაც მომხდარა, საქართველოშიაც საზოგადო და ფრთო საკითხების გადაწყვეტას უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე პალეოგრაფიის ძირითადი საკითხების კვლევა-ძიებას: ჯერ ისიც კი გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი ანბანია უძველესი, ზუტური თუ მხედრული, ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათან განვითარება შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტას ლაშობდნენ, როგორც ქართული ანბანის სადაურთობაა“.<sup>38</sup>

ქართული დამწერლობის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ამ თეორიებს მეცნიერული მნიშვნელობა აღარა აქვთ. ივანე ჯავახიშვილი ამ თეორიების გამო ამბობდა:

„ვისაც ქართული ანბანის წარმოშობისა და სადაურთობის საკითხი სავანებოდ განხილული ჰქონდა, ამ საკითხის გადასაწყვეტად ან შესა-

ფერისად აღმურვილი არ იყო არც ქართული-სა და არც სხვა ერთა დამწერლობის გრაფიკული განვითარების საფუძვლების ცოდნით, ან ქართული დამწერლობის სადაურთობის საკითხს, სხვათა შორის, ვაკვრით შეხება და მხოლოდ სომხური დამწერლობის წარმოშობის საკითხის გარჩევის დროს განუხილავს“.<sup>39</sup>

არსებობს ქართული ანბანის წარმოშობის „ძველ-სპარსული“ თეორიაც.

ვ. ტელიორის აზრით ქართული ანბანი შექმნილია ფალაურის საფუძველზე.<sup>40</sup> ჩვენში ამავე აზრისა იყო სარგის კაკაბაძე.<sup>41</sup>

ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურთობის „ბერძნულ-სომხური“ თეორია ჩვენში საბოლოოდ კორნელი კეკელიძემ ჩამოაყალიბა. თავისი თვალსაზრისით ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ მეცნიერს გამოთქმული აქვს ორგზის, პირველად ძველი ქართული ლიტერატურის I ტომში (ტფილისი, 1923 წ.). ხოლო მეორედ უფრო ახალ „მნათობის“ 1929 წლის მე-5-6 და მე-7 ნომრებში, წერილში „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“, ძღვნად: ქართული მწერლობის 1500 და ქართული სტამბის 300 წლისთავს.

კორნელი კეკელიძის წერილებში ასახულია კრიტიკული დამოკიდებულება ქართული ისტორიული წყაროების მიმართ. მეცნიერმა საერთოდ უარყო ლეონტი მროველისეული ცნობის მნიშვნელობა ქართული დამწერლობის კვლევის საკითხში. ეს ცნობა მან ნდობის ღირსად არ სცნო. კ. კეკელიძე წერს:

„ცნობა ვითომც ვარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული, ეკუთვნის მე-II საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს და უძველესი ქრონიკა იმას არ იცნობს. სურათი ფარნაოზის დროის საქართველოსა, რომელიც დაუხატავს ლეონტი მროველს, უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული სინამდვილისა. საეჭვო და ლეგენდარულია თვით ფარნაოზ მეფის არსებობა და პიროვნება Н. Март, «Боги языческой Грузии». (გვერდები — 5-6), მას „რეალური პიროვნების თვისებები აკლია“ (ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 135)“.<sup>42</sup> „მამასადამე, ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ვერც მატთანის ცნობას ფარნავაზ მეფის შესახებ, რომელმაც ვითომცა შექმნა მწიგნობრობა ქართული, ვერც იმ მოსაზრებებს, რომლითაც სურთ დაამტკიცონ, რომ ქართული მწერლობა არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოდგამად ჩვენში“.<sup>43</sup>

უარყო რა ლეონტი მროველის ქართული ისტორიული ცნობა დამწერლობის შემოღების შესახებ, კორნელი კეკელიძე ვარაუდობდა:

#### რამაზ პატარიაძე

ივანე ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა

„ქართველ ტომებში ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის საჭირო პირობები ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულ ეპოქამდე... არ არსებობდა.“<sup>41</sup>

უფრო მეტიც, მეცნიერი მტკიცედ აცხადებდა:

„ყოველივე ცდა დამტკიცებულ იქნეს მწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს.“<sup>45</sup>

ამ თვალსაზრისის საფუძველზე კ. კეკელიძე დასკვნის სახით ამბობდა: „ქრისტიანობის მიღებამდე ქართველებს მწერლობა არ ჰქონიათ და მაშასადამე ქართული ანბანიც არ ყოფილა... ქართველებს არამც თუ გაქრისტიანებამდის, გაქრისტიანების შემდეგაც ერთი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ჰქონიათ“<sup>46</sup>... ის მხოლოდ მეხუთე საუკუნეში დაწყებულა აქ“.<sup>47</sup>

ქართული დამწერლობის წარმოშობას კ. კეკელიძე მამთოცის მოღვაწეობას უკავშირებს და სომხურ წყაროებს ეყრდნობა. მისი აზრით, „ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან... სომეხთა ისტორიკოსები კორიუნი და მისე ხორენელი“.<sup>48</sup>

კორნელი კეკელიძეს, ცნობა მამთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ ჰეშმარტებად მიაჩნია, ოღონდ იძლევა ამ ცნობის რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას. მისი აზრით, საქართველოში მეფისა და ეკლესიის მეთაურის ინიციატივით იქმნება ანბანის შემქმნელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის სომხური და ბერძნული ენების მცოდნე ვინმე ჯალი. ამ კომისიას ინსტრუქტორად სომხეთიდან მოუწვევია მამთოცი, რომელიც მხოლოდ მრჩეველია. კომისიის წევრებს ბერძნული ანბანის გარდა წინ უდევთ სომხური ანბანიც საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ. ამიტომ ქართული ანბანის პროტოტიპია ბერძნული, ხლო ზოგიერთ შემთხვევაში სომხური ანბანი.

ასეთი იყო კ. კეკელიძის თვალსაზრისი 1923 წელს. ივანე ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიის“ გამოქვეყნების შედეგად, როცა სომხურ-ქართულ დამწერლობათა ურთიერთ — მიმართება გაირკვა და როცა კორიუნის თხზულებაში მამთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია გვიანდელი ჩანართი აღმოჩნდა, კორნელი კეკელიძის თვალსაზრისი საფუძველი გამოეცალა. მიუხედავად ამისა, 1929 წელს „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაშრომში, კორნელი კეკელიძეს თავისი კონცეფცია არ უარუყვია.

ივანე ჯავახიშვილის საბასუხოდ „მნათობის“ ფურცლებზე კ. კეკელიძე წერდა:

„დავუთხოვ, რომ კორიუნის შრომაში მართლაც არ ყოფილა თავდაპირველად ეს ცნობა (ცნობა ქართული ანბანის მამთოცის მიერ შექმნის შესახებ რ. პ.), სამაგიეროდ მისი გამოძა-

ხილი გვესმის მეშვიდე საუკუნის დამდეგს აბრაამ კათალიკოზის მესამე ეპისტოლეში, რომელშიაც ის ქართლის კათალიკოზს კირიონს ავლინებს **მამტოცის** სახელსა და „წიგნთა ვაცნობის“ მნიშვნელობას. ჩანს ეს ცნობა მეშვიდე საუკუნეზე გაცილებით ადრე ყოფილა სომხურს მწერლობაში განმტკიცებული და, თუ კორიუნიდან არა, რაღაც სხვა წყაროებიდან მომდინარეობდა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს უფრო ცნობას, ვიდრე იმას, კორიუნიდან მომდინარეობს ის უშუალოდ, თუ სხვა წყაროდან.“<sup>49</sup>

როგორც ზაზა ალექსიძემ გაარკვია, აბრაამ კათალიკოზის მესამე ეპისტოლეს ცნობაც, მამთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ, გვიანდელი ჩანართი აღმოჩნდა. ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა.

ქართული დამწერლობის შემოღების თარიღის გამო, 1923 წელს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ წიგნში კ. კეკელიძე წერდა:

„ქართული ანბანის გამოგონება ჩვენ უნდა დავდვათ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში, არა უადრეს 412 წლისა, როდესაც სომხური ანბანი იქნა შემოღებული, და არა უგვიანეს 429 წლისა, როდესაც არჩილ მეფე ჩანს იბერიის ტახტზე...“<sup>50</sup>

1929 წელს ჟურნალ „მნათობში“ კ. კეკელიძემ კიდევ უფრო დაახუსტა ქართული ანბანის შექმნის თარიღი:

„მაშასადამე, — წერს კ. კეკელიძე — ქართული ანბანის შემოღებას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით **420—442 წლებში ახ. წ.**“

ახლად შემოღებული ანბანი არჩილის მეფობაშივე (422—432 წ.) გამოუყენებიათ, პირველ ყოვლისა, სახარების გადმოღების საქმეში. მაშასადამე, ქართული ანბანი შემოღებული უნდა იყოს ბაკურის მეფობის უკანასკნელ წლებში.“<sup>51</sup>

კ. კეკელიძის „ბერძნულ-სომხურმა“ თეორიამ და ქართული დამწერლობის წარმოშობის მისეულმა კონცეფციამ დროს ვერ გაუძლო. ეს თეორია დღეს მხარდაჭერას ვეღარ ჰპოულობს. კ. კეკელიძის კონცეფცია ამჟამად ფაქტიურად უარყოფილია.

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე, ქართულ-სომხურ დამწერლობათა ურთიერთ-მიმართების საკითხის გამო, ივანე ჯავახიშვილს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

„სემურ-ბერძნულ-ქართულისა და სომხური ანბანის შედარებითი შესწავლა სრული უეჭველობით ცხადყოფს, რომ არამცთუ სომხური ანბანის შედგენა გინდაც ერთი ათეული წლით არ შეიძლება ქართულისას წინ უსწერებდეს, პირიქით, ქართული ანბანი სომხურზე გაცილებით უფრო აქველი უნდა იყოს. საფიქრებელია რომ მათ ერთმანეთისაგან საუკუნეთა მანძილად უნდა ჰყოფდეს.“<sup>52</sup>

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე ივანე ჯავახიშვილს დასკვნის სახით სრული უფლება ჰქონდა ეთქვა,

„ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს. არამედ თუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის.“<sup>53</sup>

ქრისტიანული თუ წარმართული ეპოქის ძეგლია ქართული დამწერლობა? კმათს ამ საკითხზე, მეცნიერულ საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილმა მოუღო ბოლო. დიდი მეცნიერი წერდა.

„ეხლაღ უკვე საკმაოდ გამორკვეულია, მაგრამ შემდეგში ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით გამოავსარადება, რომ ქართული ანბანის V საუკუნის დამდეგს ახ. წ. შედგენაზე ლაბარაკი გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს.“<sup>54</sup>

რაც შეეხება კორნელი კეკელიძის მცდელობას ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები ბერძნული და სომხური ასო-ნიშნებისაგან გამოიყვანოს, მეცნიერული პალეოგრაფიის კანონებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ასეთ გრაფიკულ მეთოდს ვამართლებთ არა აქვს.

ბერძნული დამწერლობის კრაფიკული სისტემა ძვ. წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ამ გრაფიკული სისტემის შეცვლა-გადასხვაფერება არცერთ დამწერლობაში არ მომხდარა, ბერძნული დამწერლობის მკაცრი, მონუმენტური კრაფიკული სისტემა, საერთო, ზოგადი გრაფიკული სისტემა მთელ დასავლურ ანბანურ სამყაროში და მისი ხელყოფა არ შეიძლება.

ქართული დამწერლობის წარმომავლობის კვლევის დღევანდელ ეტაპზე, ფაქტურად, ორი თეორია უპირისპირდება ერთმანეთს „სემური“ და „ბერძნული“.

ქართული ანბანის წარმომავლობის სემური თეორიის მომხრე იყო გერმანელი მეცნიერი ფრ. მიულერის<sup>55</sup>

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„მიულერის აზრით, სომხურ-ქართული დამწერლობა არამეულ-სპარსული ანბანიდან უნდა იყოს წარმომდგარი, საიდანაც ფაქტური დამწერლობაც არის წარმოშობილი. მაგრამ მისთვისაც მესრობია ის პირი, რომელმაც ქართულ-სომხური ანბანი საბოლოოდ ჩამოაყალიბა და, ბერძნულის მსგავსად, ხმოვანთა ჩართვით სრულ ანბანად აქცია.“<sup>56</sup>

ოლონდ ფრ. მიულერის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა მიაკვლია ქართულ ანბანში სემურ-ბერძნულ ანბანურ ჯგუფებს. ივანე ჯავახიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს:

„საუკეთესოს ამ ჯგუფის მეცნიერთაგან ფრ. მიულერს თავის წერილში კარგად აქვს აღნიშნული, რომ სომხურ-ქართული დამწერლობის „ან“-იდან ტარ-ამდის ასოები სემური შთა-

მომავლობისა უნდა იყოს, „უ“-ეთვან „ქან“-ამდის ბერძნულს უდგება... მის დაკვირვებას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ქართულ ანბანს ასოთა პირვანდელი სემური რიგი დაურღვევლად აქვს დაცული, სომხურში კი დანართი ასოების სხვადასხვა ადგილას ჩართულობით დარღვეულია.“<sup>57</sup>

ჩვენში „სემური“ თეორიის მომხრე იყო მოსკოვიანელი. მისი აზრით ქართული ანბანი შექმნილია სემური დამწერლობის საფუძველზე არა უგვიანეს ძვ. წ. მე-5 საუკუნისა.<sup>58</sup>

სემურ-არამეული თეორიის თვალსაზრისისა იყო ს. გორგაძე.<sup>59</sup> მისი თვალსაზრისით ქართული ანბანის „პირველწყაროა: უმოთვრესად არამეული ანბანი ასურულ-სპარსული პერიოდისა მე—VII—VI საუკუნეში ქრისტეს წინ“.<sup>60</sup>

რაც შეეხება ფარნავაზ მეფის დამსახურებას ამის შესახებ ს. გორგაძე წერს:

„ანბანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს, ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა... შესაძლოა ფარნავაზს შეეცვოს იგი ახალი ასოებით. შესაძლოა, აგრეთვე, ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიაც გაეგრძელებოდა... და ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა ქართული მწიგნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დაწყება მწიგნობრობისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და არა ანბანის შემოღება.“<sup>61</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ მეცნიერთა „სემური“ თეორია ვარაუდებისა და თვალსაზრისის სფეროს არ ვაცილებია. ქართული ანბანის წარმოშობის „სემური“ თეორია მეცნიერულ საფუძველზე ჩამოაყალიბა ივანე ჯავახიშვილმა.

„სემური“ თეორიის მომხრე იყო გიორგი წერეთელი. მან რამდენიმე გზის გამოთქვა თავისი შეხედულება ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ.<sup>62</sup> ბოლო თავისი თვალსაზრისი გამოაქვეყნა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. სტატიაში „ქართული დამწერლობა“ მეცნიერი წერს:

«По новейшим исследованиям Груз. письмо генетически связано с разновидностью восточноарамейского письма (эллипстического периода), от которого происходит ряд письмен народов Востока. В дальнейшем, в результате христианизации Грузии арамейская основа подвергалась трансформации под влиянием греческого письма (менялись направление письма, порядок букв в алфавите), вводились знаки для обозначения гласных, которые частично были заимствованы из греческого языка»<sup>63</sup>.

ე. ი. გ. წერეთლის ვარაუდით ელინისტურ ხანაში სემურ საფუძველზე წარმოშობილ ქარ-

**რამაზ ბატარიძე**

ივანე ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა

თულ დამწერლობას ქრისტიანულ ხანაში რამდენიმე გზის განუტვია რეფორმა ბერძნული დამწერლობის გავლენით.

უფრო ადრე, 1960 წელს, გ. წერეთელი ქართული დამწერლობის გენეზისის შესახებ წერდა:

„არმაზული დამწერლობის აღმოჩენასთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისას. არმაზულმა დამწერლობამ საშუალება მოგვცა დაგვეჩინა მთელი რიგი მოგვლენა ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიაში, რომელიც მანამდე უცნობი ან ძნელად ასახსნელი იყო. არმაზულის საშუალებით აღმოჩნდა აგრეთვე შუამავალი, რომლის მეოხებით ქართული ანბანი უშუალოდ დაუკავშირდა არამეულს“. 64

ქართული ანბანის წარმოშობის „სემიური“ თვალსაზრისისა გ. დეეტერსი. ამის შესახებ გიორგი წერეთელი წერდა:

„ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ თვალსაზრისის ქართული ანბანის სადაურობის შესახებ, როგორც ჩანს, მთლიანად იზიარებს ქართული ენისა და კულტურის გამოჩენალი მკვლევარი გ. დეეტერსი, რომლის დასკვნები დეტალურად კი ემთხვევა ჩვენს დებულებებს. ამავე დროს არსებობს განსხვავება ქართული ანბანის ასაკის საკითხში. გ. დეეტერსს ჩვენგან განსხვავებით, როგორც ჩანს, საეჭვოდ მიაჩნია, რომ ქართული ანბანი V საუკუნეზე ადრე არსებელიყო“. 65

ამგვარად, სხვადასხვა დროს, მეცნიერთა მიერ გამოთქმული იყო სხვადასხვა თვალსაზრისი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. დღეს, როცა უკვე 50 წელიწადია რაც ქართული პალეოგრაფიული მეცნიერება არსებობს, უსაფუძვლო ვარაუდების გამოთქმას გამართლება აღარა აქვს. ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელია დიდი ივანე ჯავახიშვილი. ფუნდამენტალური ნაშრომში ივანე ჯავახიშვილმა პალეოგრაფიული კვლევის სახელმძღვანელო მეთოდები და პრინციპები შეიმუშავა. დასაბა ის გვზი, თუ როგორ და რა გზით უნდა წარიმართოს ქართული დამწერლობის შემდგომი კვლევა.

მართებულად აღნიშნა აკად. გიორგი წერეთელი:

„ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების კვლევა ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც მრავალი დამწერლობის (და არა მარტო ქართულის ან ბერძნულის) დრამა ცოდნის საფუძველზე პირველმა უჩვენა სწორი გზა ამ პრობლემის შესწავლისათვის“. 66

ქართული ანბანის წარმოშობის „ბერძნული“ თეორიის ფუძემდებლად ვ. გარდტაუზენი უნდა ჩაითვალოს. თავისი თვალსაზრისი

მან პირველად 1876 წელს გამოთქვა.<sup>67</sup> იგივე თვალსაზრისი გაიმეორა 1913 წელს თავის წიგნში „ბერძნული პალეოგრაფია“, ხოლო 1921 წელს მესამედ განიხილა იგივე საკითხი. 68

ვ. გარდტაუზენის თვალსაზრისით ასო-ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობა ქართულ ანბანში — ბერძნულია; ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა ქართულ ანბანში — ბერძნულია. აგრძობს ვ. გარდტაუზენი წერს:

„იმ დროს, როცა სომხებმა თავისი ახლადგამოგონილი ასოები ბერძენებისაგან გადმოღებული ანბანში ჩართეს და ამის გამო ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა შეუტევეს, ქართველებმა თავისი ახალი ასოები ანბანს ბოლოში დაუერთეს, ისე, რომ ძველმა ასოებმა იგივე რიცხვითი მნიშვნელობა შეინარჩუნეს, რაც მათ ბერძნულ ანბანში ჰქონდათ“. 69

ამგვარად ვ. გარდტაუზენისთვის ქართული ანბანი ბერძნული წარმომავლისაა იმის გამო, რომ ასო-ნიშნების თანამიმდევრობა (რიგი) ქართულ ანბანში, საკუთრივ ქართულ ფონეტიკურ ასო-ნიშნებამდე, ბერძნული ასო-ნიშნების რიგს მისდევს. გარდა ამისა ქართულ ასო-ნიშნებს იგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ რაც ბერძნულ ასო-ნიშნებს ბერძნულ ანბანში. ვ. გარდტაუზენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ვარაუდებს, რომ „ვინი“-ი ქართულ ანბანში, მსგავსად ბერძნულისა, მე-6 ადგილზე ზის და ექვსის რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორია ჩვენში დიმიტრი ბაქრაძემ წამოაყენა. ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხში დ. ბაქრაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვარდტაუზენის მსგავსად ფონეტიკურ პრინციპს ანიჭებს. მეცნიერი წერს:

„თუ ჩვენ ჩვენის ანბანის ანუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგა ქართული ასოები თავის ფორმებით მიგვაგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა“. 70

დ. ბაქრაძის თვალსაზრისით ქართული ანბანის ასო-ნიშნების რიგი ძველი ბერძნულის ასო-ნიშნების რიგს მისდევს; ამიტომ დიმიტრი ბაქრაძე თვლიდა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნული კულტურის გავლენით, ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში, ე. ი. ბევრად უფრო ადრე ფარნავაზამდე. კერძოდ დ. ბაქრაძე წერს: „ჩვენი ალფაბეტი... ჩემი მოაზრებით დაარსებულია ბერძნული კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი-ზღვის ნაპირზე“. 71

ქართული დამწერლობის წარმომავლობის ფონეტიკური პრინციპის თვალსაზრისისა იყო დავით კარიჭავჭილი. იგი წერდა:

„გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ რომელის

ანბანიდან წარმოსდგა ქართული, ბერძნული-საგან თუ არამეულისაგან, იმდენად მსგავსება არ არის, რამდენადაც სხვა მოსაზრებანი. საქმე ის არის, რომ არამეულსა და ბერძნულს ანბანში ასოები ერთნაირ. რიგზე არიან დალაგებულნი, მაგრამ მნიშვნელობა კი ყველას ერთნაირი არა აქვთ. ეს იმით ახსნება, რომ ბერძნებმა ებრაულ-ფინიკიურის ანბანის ვადმოღების დროს ზოგიერთს ასოს მიათვისეს სხვა ხმა. მაგალითად მე-8 ასო არამეულში რომ გამოხატავდა ხმას ხ, ბერძნებმა მიიღეს ასანიშნავად ხმისა ც, მე-II ასო, რომელიც არამეულში გამოხატავდა ხმას ქ, ბერძნებმა მიიღეს ასანიშნავად ხმისა კ, აგრეთვე მე-15 ასო არამეულში აღნიშნავდა ხმას ხ, ბერძნულში კი მას მიათვისეს ხმა ქს. მე-17 ასო არამეულში გამოხატავდა. ხმას ფ ან ძ, ბერძნულში კი ხმას პ, მე-18 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას ყ ხოლო ბერძნულში ისევ ხმას კ, რისთვისაც ბოლოს დროს აღარ იხმარებოდა და დარჩა ანბანში მხოლოდ რიცხვის გამოსახატავად, მე-20 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას შ, ხოლო ბერძნულში ხმას ს.

ქართულის ასოების რიგი ანბანში მისდევს ბერძნულის ასოების რიგს ისე, როგორც ისინი დალაგებულნი არიან რიცხვების აღსანიშნავად. იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ასო გამოხატავს ქართულში არ არსებულს ხმას, ქართულს ანბანში მითვისებული აქვს სხვა რომელიმე წმინდა ქართული ხმა. ასეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ბერძნული ასო იმეორებს წინად აღნიშნულ ხმას. ხმას უ ბერძნულს ანბანში არა აქვს თავის გამომხატველი განსაკუთრებული ასო. იგი გამოიხატებოდა ორის ასოთი. აგრეთვე იყო ძველს ქართულს ასომთავრულს ანბანშიც. — ოჲ. რიცხვითი მნიშვნელობა ქართულის ასოებისა ისეთივეა, როგორც ბერძნულში. იმ ქართულის ხმების აღსანიშნავად, რომელთა მსგავსები ბერძნულში არ მოიპოვებინან, ასოები საგანგებოდ არიან შედგენილნი ბერძნულის ასოებიდან და მოქცეულნი ბოლოში.

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ანბანი წარმოებულია ბერძნულიდან არამეულის ანბანიდან რომ ყოფილიყო წარმოებული, უმკველია ქართული ხმები იმ რიგით იქნებოდნენ აღნიშნული, როგორც არამეულშია. მაგ. მე-8 ასოს ექნებოდა ხმა ხ და არა ც, მე-II ასოს ქ და არა კ, მე-15 ასოს ს და არა ა, მე-17-ის ფ და არა პ, მე-18 ყ და არა ფ, მე-20 შ და არა ს, 27-ე ასოს ეჭირებოდა მე-18 ადგილი და ექნებოდა მნიშვნელობა ხმისა ც ან ფ.<sup>72</sup>

დავით კარტიცაშვილის ფონეტიკური პრინციპი უფრო ზუსტად და მოკლედ ჩამოაყალიბა აქაი შანიძემ. მეცნიერი წერს:

„საჭიროა ვიცოდეთ ის რიგი (ქართული ანბანისა. რ. პ.), რომელიც საუკუნეებით არის გამტკიცებული და რომელიც ცოტაოდენი

ცვლილებებით იმ რიგს მისდევს, რომელიც ძველ ბერძნულშია დაცული. ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ

1. იქ, სადაც ქართულში არ მოიპოვება ბერძნული ასოს შესაფერისი ბგერა, ჩასმულია ისეთი ასო, რომლის ბგერა თავის მხრივ ბერძნულს აკლავ. ესენია: ა, ე.

2. სხვა დამატებითი ასოები კი, რომლებიც ქართულის დამახასიათებელ ბგერებს ვადმოგვეცემენ, ყველა მოქცეულია უკანასკნელი ასოს წინ (შ-ს წინ), სადაც ბერძნულს მხოლოდ ერთი თავისებური ბგერის ასო აქვს...

ძველი ასოებიანად ასოთა რიგი ასეთი იქნება: ა ბ გ დ ე ვ ზ ჟ თ ი კ ლ მ ნ (ნ) ო პ (ყ) რ ს ტ უ ე ქ (ღ ყ მ რ ც ძ შ ჭ ხ ც ქ ჯ) შ ფრჩხილებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც ძველ ბერძნულს აკლავ.<sup>73</sup>

ძველ ბერძნულში როგორც ჩანს, აქაი შანიძე არა კლასიკურ ბერძნულს, არამედ არქაულ ბერძნულს გულისხმობს. ამდენად აკ. შანიძის აზრით ქართული ანბანის რიგი არქაული ბერძნული ანბანის რიგს მისდევს.

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის მომხრეა პავლე ინგოროყვა. 1939 წელს მეცნიერი წერდა:

„ქართული ანბანი გამოუმუშავებულა მცირე აზიამ, არქაული ბერძნულის ალფაბეტის საფუძველზე, VIII—VII საუკუნეთა მიჯნაზე, 700-იანი წლების ახლო ჩვენს ერამდე...<sup>74</sup>

1970 წელს, 30 წლის შემდეგ პ. ინგოროყვა წერს:

„ქართული მწერლობის დიდა სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც თავისი ტიპით წარმოადგენს ფინიკურ-ბერძნულ ოჯახის ალფაბეტის ადრინდელ სახეობას. ქართული ანბანი არის განშტოება ბერძნულისა, მაგრამ არა კლასიკური ბერძნულისა, არამედ არქაული ბერძნულისა. რომ ქართული ანბანი მომდინარეობს არქაულ ბერძნული ალფაბეტიდან, ამას ცხადყოფს ქართული და არქაული ბერძნულის შედარებითი ზალეოგრაფიული ანალიზი (ქართულ ანბანში შერჩენილია არქაული ბერძნულიდან ასოთა მოხაზულობის თავისებურებანი, შერჩენილია აგრეთვე ასოთა რიგი, შერჩენილია გარკვეულ ადგილებში ის ასოები, რომლებიც გვიან ხანაში გამოაკლდა ბერძნულ ალფაბეტს; ამას გარდა ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულისაგვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონული“ წერა).

აღნიშნულის მიხედვით ქართული ანბანის წარმოშობა არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვიან დროს ვიდრე VII საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა...

რამაზუ კატარნიძე

ივანე ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა

ფარნავაზის დროს, ჩანს, ჩატარდა რეფორმა ქართული ანბანისა, დართვა ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიური ქართული ბგერებისათვის (რაც არქაულ პერიოდში ჩანს, ნიშანთა შეერთებული დაწერილობით გადმოცემოდა<sup>4</sup>).<sup>75</sup>

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის გამო ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად წერდა:

„მეცნიერთა მთელი რიგი, მათ შორის ბერძნული პალეოგრაფიის კარგი მცოდნე პროფ. გარდტჰაუზენიც, ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი ბერძნული ანბანისაგან არის წარმომდგარი. ამ აზრის სიმართლისათვის შესაძლებელია ის ვარკომოვბაც იყოს გამოყენებული, რომ ქართული ანბანის წესრიგი თავიდან ოცდამეექვსე ასომდე, ორი გამოჩაყლისის გარდა (იგულისხმება ჯ და უ. რ. პ) გასაოცრად უდგება ბერძნულისას“.<sup>76</sup>

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ქართული ანბანის ასოთა რიგი თავიდან მოცოლებული 3 ანუ უ-მდის, ორი გამოჩაყლისის გარდა (იგულისხმება ჯ და უ. რ. პ.) 23 ასოსათვის იგივეა რაც ბერძნულ ანბანშია და მხოლოდ ამის შემდგომ ქართული ენის ბგეროვანი შედგენილობისათვის დამახასიათებელი ზედმეტი ასოებიც მისდევს. ეს ვარკომოვბაც ცხადყოფს, რომ ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნულის რიგს მისდევს“.<sup>77</sup>

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა... ქართული ანბანის ასოთა რიგი ანბანში „ჰე“ და თვით „ქან“-მდის, ორი გამოჩაყლისის გარდა (იგულისხმება ჯ და უ. რ. პ.), სწორედ ბერძნულის მსგავსია. შემდეგ კი განსჯავება იწყება და ქართულ ანბანში „ქანს“ უკვე ნამდვილი ქართულისათვის დამახასიათებელი II ბგერის აღმნიშვნელ ასო მისდევს (იგულისხმება: დ ყ შ ჩ ც ქ ზ კ ჯ.—რ. პ.)<sup>78</sup>.

დასკვნის სახით ივანე ჯავახიშვილი წერს:

„თუ ქართული ანბანი მართლაც ბერძნულიდან წარმოდგა... იგი მხოლოდ შეიძლება წარმომდგარი იყოს VIII—VII სს-ში ძვ. წ.“<sup>79</sup>

„ბერძნული“ თეორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ასო „ქან“-ს.

ივანე ჯავახიშვილი ამის გამო წერს:

„განსაკუთრებით საყურადღებო გარემოებაა, რომ ქართულ ანბანში „პარ“-ის შემდგომ, თავიდან მე-18 ადგილი „ქან“-ს უკავია... ფინიკიურსა და მისგან წარმომდგარ დამწერლობებში კი „ფე“-ს შემდგომ და „რემ“-ის წინ იმგვარადვე როგორც ქართულში „ქან“-ია, ზის ერთი ასო, რომელსაც ევროპელები და ესლა თვით სემიანტიც „სსადე“-ს უწოდებენ... აღსანიშნავია რომ ბერძნებმა, თავდაპირველად თავიანთ ანბანში ეს ასოც გადმოიღეს და შეითვისეს, მაგრამ შემდეგში და მილეტში უკვე VII ს-ში ქ. წ. ეს ასო ბერძნულისათვის გამოუდგებობის გა-

მო, აღარ იხმარებოდა. ქართული ანბანი რომ ბერძნულისაგან ყოფილიყო წარმომდგარი, ეს გარემოებაც რასაკვირველია, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ქართული დამწერლობა VII ს-ზე უწინარეს უნდა ყოფილიყო „შექმნილი“.<sup>80</sup>

„ბერძნულ“ თეორიას აქვს თავისი სუსტი მხარეები: რაკი ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნული ანბანის რიგს მიადევს, როგორც აიხსნას ბერძნული ანბანური ჯგუფის (ჰ ფ ქ) არსებობა ქართულ ანბანში, რომელიც მხოლოდ აღმოსავლურ-ბერძნულ განშტოებასა და კლასიკურ ბერძნულ ანბანში დასტურდება და არქაულმა ბერძნულმა ეს ასოები არ იცის. გარდა ამისა, როგორც აიხსნას ჯ და უ? მხოლოდ ფონეტიკური პრინციპი საქმეს არ შველის.

გარდა ამისა, როგორც აიხსნას ქართული დამწერლობის თავისთავადი გრაფიკული სისტემა? როგორც აიხსნას ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის (დ ყ შ ჩ ც ქ ზ კ ჯ) ფონეტიკური და გრაფიკული რაობა?

რაკი ქართული ანბანის რიგი „ან“-იდან „ჰე“-მდე (ორი გამოჩაყლისის გარდა) არქაულ ბერძნულ რიგს მისდევს, როგორდა მიაჩნით ქართული ანბანი ქრისტიანული ეპოქის ძველად? ასეთი ალოგიკური თვალსაზრისიც გამოთქმულა.

ამგვარად, „ბერძნული“ თეორიის ფონეტიკური პრინციპი ჩიხში ექცევა, საიდანაც გამოსავალი არ არის. ანბანის კვლევისას აუცილებლად საჭიროა მივმართოთ კომპლექსურ მეთოდს, ე. ი. გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ფონეტიკური და გრაფიკული პრინციპი, აგრეთვე ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა, ასო-ნიშნების იდეოგრაფიულ პროფონიული პრინციპი და ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი.

ივანე ჯავახიშვილი ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის გამო სამართლიანად წერდა:

„ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მარტო ბერძნული და ქართული ანბანთა წესრიგის შედარებით. აქ უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, თვით ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობას აქვს“.<sup>81</sup>

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე, ბერძნულ-ქართულ დამწერლობათა ურთიერთ-მიმართების საკითხის გამო, ივანე ჯავახიშვილს დასკვნის სახით სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

„ქართული უძველესი ანბანის ბერძნულისაგან წარმომავლობის აზრი უსაფუძვლოდ და შეუძლებლად გვეჩვენება“.<sup>82</sup>

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა ცხადჰყო, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძველია და რომ იგი შექმნილია ფინიკურ-სემურ დამწერ-

ლობის საფუძველზე. დასკვნის სახით ივანე ჯავახიშვილმა თქვა:

„სამუდემოდ უყოვადებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V ს-ში გამოგონების შესახებ ახალი წელთაღრიცხვით და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ

წარსულში და მცირე აზიაში და არა-საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“.<sup>83</sup>

ქართულ პალეოგრაფიულ მეცნიერებას ამ 50 წლის წინათ ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ქართული დამწერლობის შემდგომი კვლევა ივანე ჯავახიშვილის მიერ ნაჩვენებია გზით უნდა წარიმართოს.

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი :

1. ივანე ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. თბილისი, 1949 წ. გვ. 187.

2. ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია გვ. 106.

3. იქვე, გვ. 113.

4. იქვე, გვ. 118

5. იქვე, გვ. 118.

6. იქვე, გვ. 118-119.

7. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია გვ. 115-116.

8. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1969 წ. გვ. 6.

9. დ. კარიჭაშვილი, ხუცუბრი ანბანი. მეორე გამოცემა ტფილისი, 1914 წ. გვ. 29.

10. მამია დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) ბათუმი. 1950 წ. გვ. 147-149.

11. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I ტომი, ტფილისი, 1923 წ. გვ. 23.

12. გურამ შარაძე. თეიმურაზ ბაგრატიონი. ცხოვრება. თბილისი, 1972 წ. გვ. 122-127.

13. Корюн — Жизнь Мештоца. Ереван. 1962 г. стр. 49.

14. Корюн-Жизнь Маштоца, გვ. 100-101.

15. ივ. ჯავახიშვილი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935 წ. გვ. 181.

16. ეპისტოლევა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბილისი, 1968 წ. გვ. 037.

17. ზაზა ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 035, 042, 046.

18. ზაზა ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 046.

19. Хронографическая история составленная Отцом Мхитаром. Варданетом Аириванским, перевод К. Патканова. СПб, 1869, გვ. 384.

20. მხითარ აირივანეცის შესახებ ცნობები მოამწოდა საკითხის სპეციალისტმა ლიანა დავლიანიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

21. გურამ შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება. თბილისი 1972 წ. გვ. 123-126.

22. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, თბ. 1965, გვ. 32.

23. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა საამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1973 წ. გვ. 57.

24. თეიმურაზი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე. ი. გიორგისა სპ. 1848 წ. გვ. 16.

25. ქართლის ცხოვრება სასწავლებელში მყოფ მოწაფეთა და ყოველთა ქართველთა საკითხავად. მოკლედ შედგენილი მესხი იოანე მღვდელმ გვარამიძისაგან. თბ. 1882. გვ. 53, 155.

26. მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ. 1895, თარგმანი დოლობერიძისა. გვ. 65-67.

27. საქართველოს ისტორია თავადის ს. ბარათაშვილისა. ნთარგმნი ს. ხუნდაძის მიერ. რეუელი, I, ქუთაისი, 1895 წ. გვ. 52, 53.

28. ილ. ოქრომქედლიშვილი. Об изобретении грузинского алфавита (Труды из Археологического съезда в Тифлисе, 1881 წ. გვ. 222-225).

29. ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. გვ. 82-83. „საისტორიო კრებული“ I, ტფილისი, 1928 წ.

30. Н. Марр. Грамматика древне-литературного грузинского языка, Л., 1925. გვ. 1, 2.

31. Allen. A. History of the Georgian People. London, 1932 წ., გვ. 309, 310.

32. ივ. ჯავახიშვილი — ქართული პალეოგრაფია, გვ. 195.

33. კლაპროტი. Aper de l'origine des diverses ecritures. გვ. 73. პარიზი. 1832 წ. პროფ. კორნ. კეკელიძე — ქართული კულტურის ორი დღესასწაული. ეურნ. „მნათობი“ 5-6, ტფილისი. 1929 წ.

34. მარი ბროსე. საქართველოს ისტორია. ნაწ. I, თბილისი, 1895 წ. გვ. 26.

35. მარი ბროსე. Elements de la langue Georgienne. პარიზი, 1837 წ. 6-8. მარი ბროსე. საქართველოს ისტორია. ნაწ. 1, ტფ. 1895 წ. გვ. 65-67.

36. H. Junker, Das Awesta-Alphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift. Caucasia, II. 1925 წ. და III. 1926 წ.

37. ილ. ოქრომქედლიშვილი, „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“. „ივერი“ № 10, 1881 წ.

### რამაზ პატარიძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი დამწერლობა

- 28 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 18.
- 39 ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 236.
- 40 W. Taylor. The Alphabet, II. გვ. 268.
- 41 ს. კავთახიძე, საისტორიო ძიებანი. „საისტორიო კრებული“. I, ტფილისი, 1928 წ. გვ. 82-83.
- 42 პროფ. კონ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული. ჟურნ. „მნათობი“. 1929 წ. № 5-6 გვ. 161.
- 43 იქვე, გვ. 160.
- 44 იქვე.
- 45 იქვე, გვ. 161.
- 46 კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი. ტფილისი, 1923 წ. გვ. 25, 26.
47. ქართული კულტურის ორი დღესასწაული. გვ. 165.
48. იქვე, გვ. 165.
49. პროფ. კონ. კეკელიძე. ქართული კულტურის ორი დღესასწაული. ჟურნ. „მნათობი“ № 5/6, ტფილისი, 1929 წ. გვ. 167.
50. კონ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 31.
51. პროფ. კონ. კეკელიძე. ქართული კულტურის ორი დღესასწაული. ჟურნ. „მნათობი“ 1929 წ. № 7, გვ. 149.
52. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. გვ. 202.
53. სერგო ჯორბენაძე. ივანე ჯავახიშვილის უცნობი სიტყვა. „მნათობი“ № 2, 1974 წ.
- 54 ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 202—203.
- 55 ფრ. მიულერი. Über den Ursprung der armenischen Schrift, Sitzungsberichte d. wiener Akademie, 48, 1864 წ., გვ. 431—438.
- ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 237.
- 56 იქვე.
- 57 იქვე, გვ. 236, 237.
58. მოსე ჯანაშვილი. რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი. „ივერია“. 1887 წ. №№ 115, 116, 117, 118, 121, 122, 123, 126, 127, 128.
59. ს. გორგაძე. წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, ტფილისი, 1906, წ. გვ. 64-75.
60. იქვე, გვ. 73
61. იქვე, გვ. 74
- 62 Г. В. Церетели. Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита — Эпиграфика Востока. წიგნი 2 და 3. 1948—1949 წ.წ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბილისი, 1960 წ.
- 63 БСЭ მე-3 გამოცემა. წ. ტ. 13 გვ. 395.
64. გიორგი წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან თბილისი. 1960 წ. გვ. 51. სქოლიო.
65. გ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 51. სქოლიო.
- 66 გ. წერეთელი. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან თბილისი. 1960 წ. გვ. 50. სქოლიო.
- 67 V. Gardthausen. Über den griechischen Ursprung der armenischen Schrift. ZDMG. 1876 წ., 30 გვ.
68. შოთა ძიძიგური. ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. ქართული ანბანის წარმოშობა. თბილისი. 1974 წ. გვ. 264.
69. ვ. გარდტაუზენი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.
70. დ. ზ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოს უძველესი დროიდან მე-X საუკ. დახასრულამდე, ტფილისი. 1889 წ. გვ. 83.
71. დ. ზ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი. გვ. 83.
72. დ. კარიბაშვილი. ხუცური ანბანი. მე-2 გამოცემა, ტფილისი. 1914 წ. გვ. 30-32.
73. აკაკი შანიძე. თხზულებანი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. 1 მორფოლოგია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1973 წ. გვ. 19, 20.
74. პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ. № 1. გვ. 167—168.
- 75 პავლე ინგოროყვა. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. წიგნი პირველი, თბილისი, 1970 წ. გვ. 25, 26.
76. ივანე ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 203.
- 77 იქვე, გვ. 199.
- 78 იქვე.
- 79 იქვე, გვ. 203.
80. ივანე ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 224.
- 81 იქვე.
- 82 იქვე, გვ. 233.
- 83 ივანე ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 236.





## მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი (1876-1940) ზოგიერთების მოგონებებში კოლექტივის გარეშეა წარმოდგენილი, — თითქოს, ეს მეცნიერი მხოლოდ იმათ იახლოებდა, რომლებიც მას სჭირდებოდა. ამის მიზეზად მის ფიზიკურ სისუსტესა და სმენის ნაკლებობაზე მიანიშნებენ. ჩვენ მას, უმთავრესად, ადამიანებთან ურთიერთობებში წარმოვადგენთ.

ზემოხსენებული მოგონებებიდან სწორია მხოლოდ ის, რომ ივანე ჯავახიშვილი ურთიერთობებში მართლაც იჭერდა მანძილს; იგი ყველას არ იახლოებდა, მას საამისოდ არც ეცალა. იგი უფრო ისეთებს იახლოებდა, რომლებიც საქმეს სჭირდებოდა. მაგრამ ეს ურთიერთობები მაინც ფართო იყო როგორც მეცნიერის თანამდებობების, ისე კვლევა-ძიებითი სამუშაოებების, ლექციებისა და საზოგადო მოღვაწეობის გამო.

სწორია, ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილი ფიზიკურად სუსტად გამოიყურებოდა. იგი 1899 წელის ზაფხულს თბილისში მოწამლულიყო<sup>1</sup> და შემდეგ მუდამ მკაცრ დიეტას იცავდა. ბოლოს სმენის ნაკლებობასაც უჩიოდა, მაგრამ მაინც იშვიათია მეორე თუნდაც სრულიად ჯანმრთელი მეცნიერი, რომელსაც იმდენი სისტემატური, დამაბული შემოქმედებითი შრომა, სამეცნიერო-ორგანიზაციული და პედაგოგიური საქმიანობაც ეწარმოებინოს. რამდენიც ივანე ჯავახიშვილმა შეძლო ცხოვრების შედარებით ხანმოკლე (64 წ.) მანძილზე.

ავტორის ნაშრომები დიდი ნიჭის, მტკიცე ნებისყოფის, ცოდნის შეუნელებელი გარემოებების, სისტემატური კვლევა-ძიებისა და ყოველდღიურად გადატვირთული, კუმშვარტად ტიტანური შრომის შედეგია.

ერის ამ სასახელო მეცნიერის სახელი ჯერ კიდევ მოწაფეს მესმოდა უმთავრესად რაიონში მცხოვრები მშობელი პედაგოგების ოჯახში

და მით უფრო — თბილისში, როცა აქ ჩამომიყვანდნენ, სადაც ბ-ნი ივანეს მახლობლების მეზობლად ვჩერდებოდით.

პირადად იგი 1927 წლის ბოლოს ვაიციანი მწერლისა და გამომცემის — სილ. თავართქილაძის (ფსევდონიმით — რემონიძე, 1880-1936 წ.) წიგნის მალაზია „განათლებაში“. აქ სრულდებოდა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომის 1928 წლას გამომცემა. ს. თავართქილაძე მე დედნის სტრიქონებს მაკითხებდა თითის გაყოლებით და თვითონ კი შესაფერის ადგილებს ამოწმებდა საკორექტურო კაზადონებში.

შემოვიდა საშუალო ტანის, სათნო, დსხვეწილი ინტელიგენტი. წიგნის გამომცემელი მიეგება და როგორც კი წარმოთქვა: „ბატონო ივანე!“ მე მიეხვდი, ეს ივანე ჯავახიშვილი იყო. მასპინძელმა სტუმარს გამაცნო.

ავტორმა რამდენიმე თაბახი მოიტაქა, ვასინჯვაში ნოქარიც ჩარიეს. შემდეგ ჯანასკნელი სტამბაში გავზავნეს, მის ადგილას დაბლში მე გამაჩერეს; იქით გამომცემელი და ავტორი საკორექტურო ფურცლებს სინჯავდნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. მეცნიერს თვალს ვერ ვაშორებდი...

შემოვიდა იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც უკვე ვიცნობდი (იხ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972 წ. № 10, გვ. 72-75).

მალაზია გამოცოცხლდა. მოკლე საუბრის შემდეგ პოეტმა იკითხა: „რა ტირაჟით იბეჭდება ბატონი ივანეს ისტორია?“

— ხუთი (ათასი), — უპასუხა გამომცემელმა.

პოეტმა მეცნიერს მიმართა: „გაადიდებინეთ ტირაჟი, ხუთი ჩემი ბოჰემაც („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, თბილისი, 1927, ი. მ.) კი დაიბეჭდა, ცალს ველარ ვაოულობ, წიგნი გაშრობამდე გაიყიდა“..

მეცნიერმა უპასუხა: „რა გაეწყობა, მე ხუთისთვისაც მაღლიერი გახლავართ გამომცემლისა“...

ივ. ჯავახიშვილის პრინციპულობის მლა-

<sup>1</sup> ა. შანიძის მოგონება იხ. „ენიმკის მოამბე“, 1943, ტ. III, გვ. 267.

დადებელი ფაქტია და საკითხს რომ აღარ და-  
ვუბრუნდეთ, აქვე აღვნიშნავთ: სილ. თავართ-  
ქილაძემ ჯერ კიდევ 1923 წელს დაიწყო ჰო-  
ლა ლომთათიძის ორტომეულის გამოცემა.  
შემდეგ კი იგი სახელგამს გადასცა. ივ. ჯა-  
ვახიშვილის წიგნის ბეჭდვა რომ მთავრდებო-  
და, გამომცემელმა ავტორს უთხრა: თქვენი  
პროზარისა და გამოცემის გავრცელებისათვის  
ხომ არ აჯობებს, თქვენი წიგნი სახელგამს  
გადავსცეთ?!...

ავტორმა კატეგორიული უარი განაცხადა:  
— მე მას აღრვევ შევთავაზებ ჩემი ესა და სხვა  
ნაშრომიც, არ ისურვებ, მასთან აღარაფერი  
საერთო არ მინდა მქონდესო...

გამოვიდა წიგნი; ნელა იყიდებოდა. 100  
ცალი მე გავავრცელე სტუდენტებს შორის;  
ასიც მამაჩემს გავვრცელებინა აჭარაში. ამისი  
ფულიც გამომცემელს მე მივუტანე. მასპინძელ-  
მა თაროდან ვადმოიღო „დაბადება“ („ბიბ-  
ლია“) სლაფურ ენაზე და წააწერა: „სოსოს  
სილიასგან, დედაქალაქი, 11. IV. 29 წ.“ და  
მომცა. ეს იყო მამა-შვილის შრომის ერთგვა-  
რი ანაზღაურება (წიგნი შელახული იყო, ფ-  
სი 5 მ. ეწერა).

მე მაშინ სიძველეთა დაცვის საქმეშიც ვიყა-  
ვი ჩაბმული, რომელიც მუხუშუმში წარმოებ-  
და. მევედი, ბ-ნი ივანე კორიდორის დადიო-  
და. შეხედა დიდ წიგნს ჩემს ხელში და კაბი-  
ნეტში შემეყვანა; ეს „დაბადება“ ვადაშალა,  
მოძღვნა წაიკითხა. ვუთხარი: თქვენი „საქა-  
რთველოს ისტორიის გავრცელებისათვის“ მი-  
ვიღე ჯილდოდ-მეთქი. მან „დაბადების“ წიგნის  
თაობაზე ისეთი საუბარი გამიმართა, რომ ვე-  
რასოდეს დავივიწყებ. ბოლოს სინანული გა-  
მოთქვა ნ. მარის მიერ პეტერბურგში 1910  
წელს წამოწყებული „დაბადების“ ქართული  
ხელნაწერის გამოცემა ვერ განხორციელდა.  
მაშინ მარს შემხილდებიც ვყავდი (ჯავახიშვი-  
ლი, ყიფშიძე, შანიძე). ახლა ვისლა სცალია  
ამისათვის და ისედაც მარისებრ ამ საქმეს ვე-  
ლარავინ დაძლევეს; ეს კი გვჭირდება ჩვენ და  
მსოფლიო მეცნიერებასაც.

უნივერსიტეტში რომ მისაღები გამოცდები  
ჩავაბარე (1928 წ.), ყოფილი რექტორის —  
ივანე ჯავახიშვილისადმი საერთო მოკრძალება  
ჯერ კიდევ ძლიერ იგრძნობოდა. შეიძლება  
ესეც ვახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ  
1930-1933 წლებში ზოგაერთებმა ივ. ჯავახიშ-  
ვილისადმი ჩრდილის მიყენება სცადეს. (იხ.  
ქვემოთ).

ტრამავა აღრე მხოლოდ ვერის ბაზრამდე  
აღწევდა; შემდეგ მას გზა უნივერსიტეტამდეც  
გაუგრძელდა. ივ. ჯავახიშვილი ორივე შემთხ-  
ვევაში აჩქარებული ნაბიჯით დადიოდა უნი-  
ვერსიტეტის კარებამდე, მაგრამ მას ქუდმო-  
ხტილი სალამს შორეული ნაცნობებიც კი ვერ  
ასწრებდნენ და ამიტომ მისი ზოგი პატივისმ-

ცემელი და მით უფრო სტუდენტები გზის  
მეორე მხარეზე გადადიოდნენ, — არ შევაწუ-  
ხოთო.

იგივე მეცნიერი, მიღწევდა თუ არა უნივე-  
რსიტეტის კარებამდე, ქუდს იხდიდა, ნაბიჯს  
უკლებლად, უსალმოდ დარაჯ მოსესაც კი არ  
დატოვებდა და საპროფესოროში (ახლანდელი  
რექტორის კაბინეტი, კარები კორიდორიდან  
ჰქონდა) შებრძანდებოდა.

უნივერსიტეტში მაშინ ფიზიკა-მათემატიკის,  
სახუნებისმეტყველო, სამკურნალო, აგრონომი-  
ული და სხვა ისეთი დარგების სტუდენტებიც  
იყვნენ, რომელთაც ბ-ნი ივანეს ლექციების მო-  
სმენა არ ევალდებოდათ, მაგრამ მას მაინც  
ყველა იცნობდა და მის გამოჩენისას კორი-  
დორში ხმაურობა იკლებდა. ეს იმ დროს,  
როდესაც 1928 წელს გუქმდა თბილისის პე-  
დაგოგიური ინსტიტუტი, უცხო ენათა ინსტი-  
ტუტი (ლიცეუმი), სამხატვრო აკადემია და  
ყველა ამათი სტუდენტებიც პედაგოგიურ ფა-  
კულტეტს შემოუერთდა; საგრძნობლად გაიზა-  
რდა აგრონომიული და სამკურნალო ფაკულ-  
ტეტებიც და უნივერსიტეტის კედლები  
სტუდენტობას ვეღარ იტევდა...

საპროფესოროში შეუსვენებლად და ზარის-  
თანავე ლექციაზე ბ-ნი ივანე არასდროს არ  
შემოსულა. მის გაერთიანებულ ლექციებს  
1928-1930 წლებში ვუსმენდი მაშინდელი  
პედაგოგიური ფაკულტეტის, ისტორიის, ენი-  
სა და ლიტერატურის, პედაგოგიურ-პედაგო-  
გიური (მაშინ ასეთიც არსებობდა) განხრები-  
სა და სხვა დარგებიდანაც „შემოპარული“  
100-მდე სტუდენტი. ეს ლექციები მაშინ  
პირველ სართულზე — ახლანდელ მეცნიერ  
მუშაკთა სამკითხველო დარბაზში ტარდებო-  
და. (მაშინ სამკითხველო ამის ქვეშ, სარდაფში  
იყო მოთავსებული). ზარის შემდეგ ივ. ჯავა-  
ხიშვილი საპროფესოროდან აღჩქარებულად მო-  
დიოდა კორიდორის ბოლომდე. სართულის მო-  
რიგე ქალი შემოიხედავდა სალექციო დარბაზ-  
ში, — „მობრძანდება!“.. — შემოგვძახებდა,  
გაბრუნდებოდა და პროფესორს დაწყნარე-  
ბულ აუდიტორიამდე მოაცილებდა.

ბ-ნი ივანე ავიღოდა კათედრაზე, უმეკველად  
თავს დავვიკრავდა, დაბრძანდებოდა, პატარა  
პორტფელს გახსნიდა, ე. წ. განცხადების ქა-  
ლადებს ნახევარ-ნახევარ გვერდზე ნაწერ ფუ-  
ტლებს სპორთულობდა ან თვალს ადევნებდა  
ისე დინჯად, ხმის დაუძაბავად, მკაფიოდ  
და გასაგებად, საუბრისებრ მეტყველებდა, რომ  
მისი ყოველი სიტყვის ჩაწერა შეიძლებოდა,  
მაგრამ ეს არ იყო კარნახით წერა. წინასწარ  
კარგად მომზადებული ლექციიდან პროფესო-  
რი ზოგჯერ ზოგიერთ ეპიზოდს და უფრო  
ხშირად ციტატებსა და თარიღებს შეპირად ამ-  
ბობდა. დროადროს ისედაც, ჩვეულებრივ კი  
ზეპირად მეტყველებისას, პროფესორი თვალს

მსმენელებს მიმოაგებდა, წყნარი აუდიტორია კიდევ უფრო ინაზებოდა, მხოლოდ კონსპექტის ჩაწერა, ხელის მოძრაობა გრძელდებოდა. როცა იგივე პროფესორი რომელიმე ომში ქართველი ჯარის წარუმატებლობაზე ლაპარაკობდა, ხმა უსუსტდებოდა, თვლები უეწროვდებოდა, სახეზე კმუნვა ედებოდა; როცა კი იმავე ჯარის წარმატებებზე განაგრძობდა, ხმა უმაღლდებოდა, თვლები გაუბრწყინდებოდა ხოლმე, ხელიც აუმოძრავდებოდა, თავი ამაყად ეჭირა, თავისუფლად სუნთქავდა. თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალეს და ასეთთა შესახებ ისე ლაპარაკობდა, როგორც ღირსეული და მადლიერი შვილი დედ-მამაზე ან სატრფოსა და უსაყვარლეს არსებაზე...

ზარი დაირეკებოდა, პროფესორი ისევ დინჯად, აუჩქარებლად დახურავდა პორტფელს... შესვენების შემდეგ მეორე საათიც ასეთივე იყო. გახლდათ შემთხვევები, მეორე საათის ან სხვა დღის ლექციის დაწყებამდე პროფესორს წერილობით შეკითხვას დავუღებდით კათედრაზე. იგი მას მოკლედ, მაგრამ ამომწურავად უპასუხებდა ან გვეტყოდა: დაწვრილებით დოცენტ თამარ ლომოურს გამოჰკითხეთ. (ქ-ნი თამარი ფილოლოგებს ქართულ პალეოგრაფიას გვიკითხავდა...)

ცნობილია, რომ დისციპლინა სწავლის უპირველესი პირობაა. ამ აზრის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება ივ. ჯავახიშვილის ლექციები და მოხსენებები გახლდათ.

ისევ ხსენებულ გაერთიანებულ მსმენელებთან კითხულობდნენ ლექციებს: უკვე რექტორი, დინჯი მალაქია ტოროშელიძე, ისტორიულ მატერიალიზმში, მჭერგმეტყველი შალვა ნუცუბიძე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში, იშვიათი დეკანი სიმონ ხუნდაძე სოციალიზმის ისტორიაში, დიდი მეცნიერი და თავისებური ლექტორი ივანე ბერიტაშვილი რევლუქსიოლოგიაში. ნამდვილად მიმზიდველი იყო ეს ლექციებიც, მაგრამ არც ერთ მათგანზე ისეთი სიწყნარე არ სუფევდა, როგორც — ივანე ჯავახიშვილისაზე.

ისტორიისა და ფილოლოგიის განხრებების ზოგი სტუდენტი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და საენათმეცნიერო საზოგადოებების სხდომებსაც ვესწრებოდი, რომლებიც სისტემატურად ტარდებოდა საქართველოს მუზეუმის დარბაზში. მათ. ივ. ჯავახიშვილი (ზოგჯერ გ. ახვლედიანი) თავმჯდომარეობდა და აჯამებდა... არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას უმკაცრესი კრიტიკის დროსაც კი, ხმა ემაღლებინოს. ჩანდა, იგი როგორც ლექციების, ისე კამათში მონაწილეობისათვის საფუძვლანად ემზადდებოდა, მისი მოქმედება და სიტყვა პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული.

ბრძენს უთქვამს: ერის ისტორია მეღნით კი

არა, საკუთარი სისხლით უნდა წეროს მამულიშვილმაო. აგრეთვე შექმნილი ივანე ჯავახიშვილის ბრწყინვალე ნაშრომები. პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვებია: ივანე ჯავახიშვილი თავისი სულიერი სიმშვიდითა და კეთილშობილებით ძველ ბერძნულ ქანდაკებას მაგონებს, რომელიც ვააცოცხლა და გრძნობით აღავსო სამშობლოს სიყვარულმაო. ამას ცნობილი ფატი გიციელმა დასძინა: ივანე ჯავახიშვილის გამოხედვაში ერთდროულად გამოსჭვიროდა უწყინარობა მტრედისა და სიმძლავრე ზევისისაო...

მოახლოვდა სასწავლო წლის ბოლო, — 1928 წლის ივნისში პროფესორის საგანი უნდა ჩავაბაროთ. უნივერსიტეტში საერთო აზრი იყო გავრცელებული, რომ ივანე ჯავახიშვილისათვის საგნის ჩაბარება ძნელი საქმეაო. პროფ. მ. პოლივექტოვმა (1872-1943 წ.) გამაფრთხილა: საქართველოს ისტორიაში დღეიდანვე და სისტემატურად ემზადეთ, თორემ ივ. ჯავახიშვილი იმოდენა მეცნიერი რომაა, მას პროფესორად ევროპის ყველა დიდი უნივერსიტეტი ისურვებდა, გამოცდაც მკაცრი იცისო!

აქვე უნდა შევნიშნოთ, ზემოხსენებული აკადემიური ლექციების მოსმენა და ინდივიდუალური გამოცდის სიმკაცრეზე ეს ლაპარაკი ხდებოდა იმ დროს, როცა იმავე უნივერსიტეტში, ე. წ. ლაბორატორიული მეთოდი მკვიდრდებოდა და საგანთა ბრიგადული ჩაბარება დაიწყო, ინდივიდუალურ ცოდნის შემოწმებას ზოგი გამომცდელი აღარც აწარმოებდა, აგრე მოითხოვს ახალი წესისაო...

ზემოდევსხენებული გაერთიანებულ ლექციების ლექტორების მაგიერ საგნებს ძირითადად მათი ასისტენტები იბარებდნენ. ხმა გაავრცელეს, ჯავახიშვილიც აგრე მოიქცევაო.

ვკითხეთ თ. ლომოურს, — არაო, — გვიპასუხა, — თვითონვე ჩაიბარებს და კარგად მოემზადეთო.

ივ. ჯავახიშვილმა იცოდა და გეწონებდა კიდევ, რომ მე და ჯემალ ნოღაიდელი, ლიტერატურის გარდა, ენათმეცნიერების განხრებზეც ვირიყვებოდი, და განსხვავებული საგნებზე უნდა ჩავეგებარებინა აგრეთვე მკაცრი გამოცდელი გრიგოლ წერეთლისა და ერეკლე ტატიშვილისათვის; კლასიკური ენების ლექტორებთანაც გვექონდა გამოცდები.

მაინც დიდი დრო დავუთმეთ წიგნებს და კონსპექტებზე გამოვიყენეთ. მივედი გამოცდაზე, ეხედავთ: ფილოლოგებისაგან გამოცდას თ. ლომოური იბარებს, ისტორიკოსებისაგან — ს. ჯანაშია! ეს ბევრს გაუხარდა, გაადვილდა ჩაბარებაო. რამდენიმე სტუდენტმა კი ვთქვით: ჩვენ ჯავახიშვილის ხელისმოწერა გვინდა მატ-

იოსებ გვარამია

მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე

წიკულშიო და მას საპროფესოროში მივაკითხეთ. ასეთებმა გამომცდელთან ოჯახურად დაკავშირებული რუსუდან გიორგის ასული ჩუბინაშვილი და მე შეგვაგზავნეს. პროფესორი დავითანხმეთ, სია შეგვადგენინა. წამოვიდა და გამოცდა სხვა კაბინეტში დაიწყო. პირველ სამქალთავან რუსუდანი და ქეთევან ირემაძე ნიშნები გამოვიდნენ. გამომცდელს მათთვის სამ-სამი კითხვა დავსვა. მეორე სამეფულიდან ერთმა ჩააბარა. ბოლოს ჯემალ ნოღაიდელი და მე შევედით. ჯერ თითო კითხვა დავვისვა. ჯემალმა ჭალაღედინზე კარგად დაიწყო; ბათო ყანისა და ულუ დავითის შესახებ ერთი თარიღის ხსენებისას კი გამომცდელმა ხელის ნები ყურთან მიიღო და ჯემალს თარიღი გაამეორებინა. პროფესორს არ მოეწონა: მე მანიშნა, მიწვევით... „ორ ვეც დმანისის შესახებ გვეკითხა ამ ომში; მე ანისზე ველაპარაკებულვარ! პროფესორმა შემაჩერა, ჯემალს ანიშნა, გაუსწორეთო! გამომცდელი ჯემალის პასუხზე ვერ დააკმაყოფილა და მიიღუშა. წინ დაწყობილი მატრიკულები ჩვენვე იმ კონსპექტებში შევაცურეთ, მხოლოდ მათ წამოკითხვებმა რომ სხვებთან ნიშნები მიიღეს.

— თქვენგან მეტს მოვიტხოვ, ამ ცოდნით მაღალ ნიშნებს ვერ დაგიწერთო, — გვიოხრა პროფესორმა და გამოგვისტუმრა... მოგვიანებით კი მასვე ორივემ ისე ჩავაბარეთ საჯანი, რომ მაღლობა გვიოხრა, თანაც გვირჩია: ზაფხულში სოფლად გეოგრაფიული სახელები და სათანადო თქმულებები ჩაიწერეთ, წესებზე გეოგრაფიის კაბინეტში გეტყვიანო...

ამ კაბინეტში ვადაგვიშალეს ხუთვერსიანი რუკა, ამოგავწერინეს ადგილთა სახელები და დავვაჯალეს: შეამოწმეთ, ადგილზე როგორ წარმოითქმება და სხვა სახელებიც ჩაიწერეთო...

შემოდგომაზე უნივერსიტეტში დაბრუნდით; პროფესორს გეოგრაფიულ სახელთა მთელი რვეული და მოზრდილი ნაშრომი — „გურიის ყოფა-ცხოვრებიდან, ეთნოგრაფიული მასალები“<sup>1</sup> — მივართვი. მან რვეული გეოგრაფ ალექსანდრე ჯავახიშვილთან გამატანა, ნაშრომი კი თვითონ დაიტოვა.

გამოებრუნდი, კორიდორში სიმონ ხუნდაძემ შემაჩერა. გამოკითხა: რაზე გესაუბრებოდა ავრე ხანგრძლივ პროფესორიო და დამარბავ: მისი მითითებების მიხედვით იმუშავეთო...

შემდეგი მნიშვნელოვანი პირადი შეხვედრა

<sup>1</sup> აქედანაა ამობეჭდილი ის თავი ყვავილ ბატონებზე, რომელიც იხსენიერა წიგნში „ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა“, თბ; 1976, გვ. 305 № 2049; იხ. აგრეთვე ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნეობის ისტორიიდან, თბ., 1941, გვ. 34 და სხვა.

ივ. ჯავახიშვილთან აღნიშნული მაქვს-მოგონებებში „დემიტრი გულია“.<sup>2</sup>

მუხუელში გამაცნო ივ. ჯავახიშვილმა დ. გულია და მაშინვე გამობრუნებას რომ ვაპირებდი, პროფესორმა შემაჩერა, ასენა ჩემ მიერ მასთან დატოვებული ნაშრომი და დასძინა: „თქვენ ძვირფასი მასალა მოგიპოვებიათ. მისი დაბეჭდვა შეიძლება, მაგრამ სჯობს შეავსოთ; თქვენი ხელნაწერი ავრე ბატონ გიორგის (ჩიტაია) გადაეცე, დაგეხმარებათ!“...

საუბარი ხარის შესახებ განაგრძეს... ბატონი ივანე მე შემეკითხა: „თქვენ აღწერილი გაქვთ ბოხლობა, ხომ არ იტყვიან ბოხვლობა?“

არა-მეთქი, — ვუპასუხე და შემდეგ დ. გულიამ თქვა: „ბოხლობა სამეგრელოშიც იცოდა, ბოხობა ეწოდება; ეს აფხაზურად აბორა არის“ და სხვა (იხ. იქვე). პროფესორი ამ ცნობამაც დააინტერესა.

ეს საუბარიც იკმარებდა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ დიდი ყურადღებით ეპყრობოდა მეცნიერი სტუდენტის წამოწყებას, მაგრამ კიდევ უფრო მრავალსმეტყველი ფაქტაც გვაგონდება, ჩემ შემდეგ ჯ. ნოღაიდელმაც ვადასცა ივ. ჯავახიშვილს მასალები აჭარის ყოფა-ცხოვრებიდან. ასეთი რამ დაბეჭდილი არ იყო; პროფესორმა იგი სტუდენტს მოხსენებად წაიკითხა საესტრონი და საეთნოგრაფიო ს.წოგალოების სწდომაზე და მუშაობაში ჩააბა (1929 წ.)...

ივ. ჯავახიშვილი ხსენებულ ყოფილ სტუდენტს 1935 წელს სწერდა: გვაროვნულ წესწყობილების ნაშთს, ზემო აჭარის ვარცა, ქვემო აჭარაშიც იპოვეთ, ოღონდ საკუთარი სიტყვებით კი არ უნდა მოგვითხროთ, არამედ „აუცილებლად საქირთა, რომ ვიცოდეთ, თუ თვითონ ხალხი“ რა სიტყვებსა ხმარობს; მოხუცების „მონათხრობები სიტყვა-სიტყვით უნდა ჩასწეროთ“.

ავტორი განაგრძობს: „შინა-მრეწველობის და წვრილ ხელოსნობის ისტორიის მასალების შეგროვებაზეც“ ჩვენი პროგრამითა და ინსტრუქციით უნდა იხელმძღვანელოთ. ქალთა შორის სამუშაოდ თამარ ანდლულაძეს ვგზავნით, რომელსაც „აჭარაში უმოგზაურია და იქ ნაცნობებიც ჰყავს“. ხარჯებისათვის „თქვენთვის სარეწაო კავშირის მანდაურ განყოფილებას უნდა 2000 მან. გადმოეცა. მიიღეთ, თუ არა ეს ფული?“

1930 წლის დასაწყისიდანვე უნივერსიტეტში პოლიტიკური დისკუსიები გამაძვრდა; გასაქანი

<sup>2</sup> ვაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1975 წ. 18 აპრილი, № 75, გვ. 3-4. უტრნ. „ალაშარა“, სოხუმი, 1974 წ. № 4, გვ. 67-70.

<sup>3</sup> იხ. ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წ. II, ბათუმი, 1972, გვ. 12-13; ხაზი ყველგან ივ. ჯავახიშვილისაა.

მიეცა ზოგიერთ ნეგატიურ მოვლენას, უნივერსიტეტის ბაზაზე ოთხი სპეციალური ინსტიტუტი შეიქმნა და არც ერთ მათგანში ივ. ჯავახიშვილი არ დატოვეს! იგი მხოლოდ მუხუჟუმში მუშაობდა 1931 წლიდან მეცნიერ-კონსულტანტად...

ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი 1902 წელს სინას მთაზე იყვნენ და იქაურ მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები აღწერეს. მუშაობის საერთო ანგარიში ნ. მარმა გამოაქვეყნა (1903 წ.), მაგრამ ორივეს მიერ ცალ-ცალკე შესრულებული აღწერები გამოუქვეყნებელი დარჩა. მათი დაბეჭდვა, ერთ-ერთი პოლიტიკური ვითარების გამო, ფრიალ საჭირო და ს. მ. კიროვის ჩარევით, შესაძლებელი გახდა, ოღონდ გამოცემაზე რევოლუციამდელი რუსეთის პალესტინის საზოგადოება (დაარსდა 1882 წელს) უნდა აღნიშნულიყო. ნ. მარმა ამის თაობაზე აცნობა ივ. ჯავახიშვილს: გამოვგზავნი და ორავე ნაწილი თქვენ დასტამბეით თბილისში, გინდა ფქვენი ნაწილი გამოვგზავნეთ და ორივეს ერთად გამოვეცემ ლენინგრადშიო. ნ. მარმა ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი ვერ მიიღო... ნ. მარის ნაშრომის გამოქვეყნება მე დამეველა. მისი ბეჭდვა 1932 წელს დაიწყო და 1934 წელს ძირითადად დასრულებულიც იყო, მაგრამ გამოცემის ბეჭდვა გაიანურდა, — ივ. ჯავახიშვილიდან რვა წლის (1932 — 1940 წ.) შემდეგ გამოვიდა, მაგრამ არა როგორც დაიწყო (რუსეთის პალესტინის საზოგადოების გამოცემა), არამედ — მეცნიერებათა აკადემიის მარკით.<sup>1</sup>

ნ. მარის გარდაცვალების (1934 წ.) შემდეგ ამ გამოცემის შესახებ რამოდენიმეჯერ მომახსენა საუბარი ივ. ჯავახიშვილიან. იგი წუხდა: მარის წინადადება ნაშრომის ერთად გამოცემის თაობაზე ვერ შეეასრულე იმის გამო, რომ ხელნაწერი, ჩემი მამისდელი (1931 წ.) გართულებული მდგომარეობის გამო, მუხუჟუმისათვის მქონდა დათმობილი... დასძენდა: ისედაც, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მამინ ჩემში ბიბლიური წიგნების აღწერილობას გამოსცემდნენო. (ეს ჩანს იმ რეცენზია-დასკვნიდანაც, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა გამოცემლობის დავალებით დაწერა 1937 წელს), და სინანულს გამოთქვამდა: ვინდა იცის, როდის გამოიცემა ნაშ-

რომის ჩემი ნაწილი, ვერ გამოვიყენე კარგი შემთხვევაო!..

პირველმა წიგნმა მეორესაც გაუხსნა გზა — „ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ — 1947 წელს გამოიცა თბილისში.

მართალია, ყოფილი ხასიათისა, მაგრამ ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის სინას მთაზე ყოფნასთან დაკავშირებული ზოგიერთი ეპიზოდი შეიძლება არ დავკარგოთ. ისინი აღექსანდრიიდან სინასკენ აქლემებით უნდა წასულიყვნენ. ბ-ნ ივანეს ეთქვა: ბერცა ხომ არა ვარ, აქლემზე შეეჯდომ! მარს უბასუხნია: აბა, ახლა ჭობორტიდან (სოფელია ღუშეთთან) გამოგიწერთ ქართლურ ურემსო!..

სინას მთაზე საჭმლის ნაკლებობა ყოფილიყო. ბერებმა სტუმრებს აქლემის რძე მიართვეს. მასწავლებელს დაუღვია იგი, მოწადეს კი არა, — უთქვამს: კოხაყის კერძიაო!..

სინას მთაზე სტუმრების ერთ-ერთ სადილს მუხუჟუმის ბერი დასწრებია, რომ ნ. მარს ღვინო დაუღვია, ივ. ჯავახიშვილს — კი არა. ბერს პირჯვარი გადაუწერია და მარზე მიუთითებია: — თქვენ ეს ხართ, — ქრისტიანო. შემდეგ პაერში მთავარ მოეხსნა და ხელი ბ-ნი ივანისკენ გაეშვირა, — ეს მამამდინი ყოფილაო!..

მარი უპრეტენზიო იყო ჭამასა და ცხოვრების პირობებზე, დასვენებაც კი არ იცოდა! ივანე ჯავახიშვილი კი ფრიალ ფაქიზი მჭამელი და ყველაფერში რეჟიმის კაცი გახლდათ...

ნ. მარის გარდაცვალების წინა ხანებში და შემდეგ რომ ივ. ჯავახიშვილი ენახე, მან დაწვრილებით მაამბობინა, როგორ მიმდინარეობდა ავადმყოფობა, როგორ განიცდიდა თავის მდგომარეობას თვითონ მარი, ძალიან იტანჯა თუ არა აგონიასს და მიცვალებული რამდენად შეცვლილი იყო სახეზე. მარის გარდაცვალების თითქმის წლისთავზე რომ იფრა ნიკოს ძე მარი გარდაიცვალა (1935. XII. I), კიდევ უფრო დამწუხრებული იყო ივ. ჯავახიშვილი და იგი ორივე დანაკლისის გამო დიდ სინანულს გამოთქვამდა.

მასწავლებლის სიკვდილი რომ მოწადემ მტკივნეულად განიცადა, ეს იგრძნობა ავტორის მიერ იმავე დღეებში დასტამბულ წერილში („ბოლშევიკური კადრებისათვის“, 1934 წ. № 21) და ეს მწუხარება გაგრძელდა. იგი კიდევ უფრო გრძნობიერად გამოიხატა ნ. მარისავე გარდაცვალების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ სიტყვაში, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა წარმოთქვა სათანადო სხდომაზე მუხუჟუმში (1939 წ.). მოსაუბრე თითონაც ვეღარ იკავებდა ცრემლს და მანვე არაერთ მსმენელსაც აუჩუყა

<sup>1</sup> Н. Я. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Ленинград, 1940. დამატებით იხ. ი. მეგრელიძე, რუსთაველოლოგიები (თბ., 1970, გვ. 212—213; შენიშვნა). ფოტოსურათი „ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი სინას მთაზე (1902)“ პირველად გამოაქვეყნეთ ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებისას (იხ. გვ. „კომუნისტი“, 1940 წ. 22 ნოემბერი, № 271, გვ. 2) და შემდეგ სხვათა მიერაც მრავალჯერ გადაიბეჭდა.

იოსებ მეგრელიძე  
მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე

გული. დასანანია, რომ ეს სიტყვა სქემის სახით დარჩა და მისი მთლიანი ტექსტი არ არსებობს.

ნ. მარის დამსახურების შესახებ ბ-ნი ივანე ძირითადად იმეორებდა იმას, რაც ბექტურადაც გამოთქვა, — ნ. მარმა მანამ დაბალ დონეზე მდგარი ქართული და სომხური ფილოლოგია „ერთბაშად იმ სიმამლეზე აიყვანა, რომელზეც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“—ო, ხაზს უსვამდა მარის სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას და კადრების აღზრდაში დამსახურებას.

სწორად აღნიშნა ვ. დონდუამ: „საერთოდ ივ. ჯავახიშვილი მწვავედ განიცდიდა ნ. მარის გარდაცვალებას“.

ნ. მარის აუტს. ბ-ნ ივანეს ვერას დროს წამოაცდენდით.

რაც შეეხება ნ. მარს, აბა, მას ვინ გაუბედავდა ივ. ჯავახიშვილზე ძვირს. თქმა იცოდა და დაბეჭდილია ნ. მარის სიტყვები: „ჯავახიშვილის გინება არავის პატივს არ სძლებს, მეცნიერულა კრიტიკა კი საქირია“.

ყალბია ერთი პრეტენზიული ავტორის დაუინებოთი მტკიცება, ივ. ჯავახიშვილმა ნ. მართან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტაო და ისეთ სურათს რომ ხატავს, თითქოს ისინი ერთმანეთს მტრობდნენ!...

ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან ლენინგრადში წიგნებს მიგზავნიდა. თბილისში მათ იროდ. სონდულაშვილის გზით ივ. ჯავახიშვილსაც ვაცნობდი. მაგალითად, უცხოეთთან ურთიერთობის გართულებულ 1937-1938 წლებში მივიღე ექვთ. თაყაიშვილის წიგნები: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლენჩხუშ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937) და „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში 1907 წელს“ (პარიზი, 1938). ამ წიგნებით ივ. ჯავახიშვილს ვასარგებლე. მეცნიერი გამოემგებმა აღაფროთვანა და ადლობით აღმავსო<sup>1</sup>.

1938 წლის ზაფხულს დიდოურ ენაზე ვმუშაობდი დალესტანში. დიდოეთის მთა ქიდილაშანზე შემთხვევით და შემდეგ სპეციალური გათხრების შედეგად, ბრინჯაოს 51 (ქალის, კაცის, ცხენის, ირმისა და სხვა ფიგურები) აღმოვაჩინე<sup>2</sup> თბილისში. კოლექცია ივ. ჯავახიშვილს ვუჩვენე. მან ბ. კულტინის კაბინეტში შემიყვანა, ნიეთები ძალიან მნიშვნელოვნად აღიარეს და აღმოჩენა მომილოცეს (კულტინმა გადა-

1 შდრ. ჟურნ. „მნათობი“, 1974 წ. № 10, გვ. 184.

2 გამოვამკვეყნეთ კიდეც, მაგრამ დაგვიანებით. იხ. «Советская археология», 1951 წ., ტ. V, გვ. 281—291, გვ. 295-ზე თარიღში 14—27—VII—1939 უნდა იყოს 1938 წელი.

კოცნა კიდეც). ბ-მა ივანემ მითხრა: მოახერხეთ, ეს კოლექცია ჩვენს მუზეუმს გადასცეთო!..

ცნობა ამ აღმოჩენის თაობაზე მოსკოვის გაზეთებში დაიბეჭდა. ერთი დალესტნელი მედავეზოდა: ნიეთები დალესტანშია აღმოჩენილი და მახაჩყალის მუზეუმს უნდა ჩაბარდესო. ლენინგრადში კი, სადაც კოლექცია ძვ. წ. V საუკუნით დაათარიღეს, მისი „ერმიტაჟისათვის“ გადაცემა დააპირეს. — მაცალეთ. ამ ნიეთებზე გამოკვლევას ვწერ-მეთქი, — ვუთხარი „ერმიტაჟის“ დირექტორ ი. ორბელს და დავითანხმე კიდეც. 1939 წელს მომავონა ივ. ჯავახიშვილი: ბრინჯაოს ნიეთების თქვენი კოლექცია საქართველოს არ დუქარგოთო... შემდეგ ერმიტაჟმაც მთხოვა ნიეთები; მე იგი ქალაქ გორის ახალგაზსნილ მუზეუმს გადავეცი; გორის მაშინდელი მდგომარეობის გამო, ვერავინ ველარაფერი ვერ თქვა. კოლექცია საქართველოში დარჩა.

დავუბრუნდეთ ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და იმედის კაცობას. იგი ერთგან წერს: „იმაზე მეტი ვეღარაფერი გადახდება, რაც მინახავს, და ოდესმე სიმართლე მანც გაიმარჯვებს“ (ჟურნ. „მთანობი“, 1968 წ. № 8, გვ. 143; ხაზი ჩვენია; ი. შ.), და აი, 1934 წელს რუსთაველის იუბილესათვის მზადება იწყებოდა. ცნობილმა ალექსანდრე სვანიძემ (1884 — 1942) სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილის მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

მეცნიერის ცხოვრება ერთბაშად შეიცვალა: მისცეს უკეთესი თანამდებობა, დაუნიშნეს ავტომანქანა, უშოვეს სმენის გამაძლიერებელი აპარატიც, 1938 წ. დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, მაშინვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და 1939 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრადაც აირჩიეს. დამსახურება დაფასდა...<sup>3</sup>

ივ. ჯავახიშვილის დიდი პროდუქტულობა მუდამ გაოცებას იწვევდა. იგი კიდეც უფრო გაძლიერდა, როდესაც ხსენებულ მოკლე ხანში მეცნიერის კიდეც რამდენიმე ახალი ნაშრომი გამოქვეყნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის ჯანმრთელობამ უღალატა. 1940 წლის 18 ნოემბერს, 21 საათზე, საჯარო ლექციის კითხვისას და მრავალი მსმენელის წინაშე, შეწყდა მისი მაცისცემა, ვის სახელსაც მშობელი ერთი არასდროს არ დაივიწყებს.

3 იხ. ჩვენი „რუსთველოლოგები“, თბ., 1970, თავი — „ივანე ჯავახიშვილი“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ახლახან გამოსულ ბიბლიოგრაფიაში არ იხსენიება.



## დიდი მემკვიდრეობა

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აკად. ნ. ბერძენიშვილი ფიზიკურად დავეჯვორდა. ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ ამ ხნის მანძილზე განსვენებული აკადემიკოსის მრავალრიცხოვანი მოწაფეების ერთობლივი შრომით უდავოდ წინ გადადგა ნაბიჯი. თითქო დადგა დრო მეცნიერების ამ ახალი საფეხურიდან უკან მოვიხედოთ და მასწავლებლის დავწლი მშობლიური ისტორიის კვლევის საქმეში ღირსეულად შეგაფასოთ, მაგრამ ნ. ბერძენიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ისტორიის კუთვნილებად არ ქცეულა, რომ მთელი ეს ნამუშავევი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან და მაინც უკვე განვიღო ეტაბად განვიხილოთ. უკანასკნელ წლებში ქართული საისტორიო მეცნიერების უმთავრეს მიღწევად ისევ და ისევ განსვენებული მეცნიერის შრომების VII-VIII წიგნები უნდა ჩაითვალოს, რომელთაც დაიწყო ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცული ნაშრომების გამოცემის საშეილიშვილო საქმე.

ამ უზარმაზარი მეცნიერული არქივის დამუშავებას და გამოქვეყნებას კიდევ არა ერთი და ორი წელიწადი დასჭირდება, ხოლო მის მეცნიერულ ათვისებას და მომავლის მეცნიერული შენობის საშენ მასალად გადაქცევას არა ერთი ათეული წელიწადი. ნ. ბერძენიშვილმა დიდად გაუსწრო დროს.

ჩვეულებრივ ყველა ჰუმანიტ მეცნიერს რჩება პირადი არქივი, მეცნიერული კვლევა-ძიების საკუთარი ლაბორატორია, რომელიც დასრულებულ წარმოდგენას იძლევა მისი სამეცნიერო ინტერესების წრეზე და მუშაობის მეთოდებზე, ავსებს და აცნობელებს მოწაფეებისა და კოლეგების თვალში მის შემოქმედებით პორტრეტს.

როცა დიდი მეცნიერი გემორდება, რომელმაც ათეული წლები მეცნიერების სამსახურს შეაღია, მისი არქივი მარტო შინაურებისა და ახ-

ლობლების მოწიწების საგანი როდია, არამედ ერის და სამეცნიერო საზოგადოების კუთვნილი ძვირფასი განძია და ასე გადაეცემა შთამომავლობას.

აკად. ნ. ბერძენიშვილის მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესების სამყაროს მაჩვენებელია მისი პირადი არქივი, რომელიც ამ საქმით დაინტერესებულ პირთა დიდ ინტერესს იწვევს და ეს ბუნებრივია. ვისაც ჰქონია ბედნიერება ნ. ბერძენიშვილის მოწაფე ყოფილიყო, ვისაც მისი გამოსვლები და სიტყვები მოუხსენია, ის შეუძლებელია არ მოხიბლულიყო მისი ორატორული მგზნებარებით, გაოცებული არ დარჩენილიყო ყველაფრის მომცველი მისი ცოდნის მასშტაბით და საკვირველი მეხსიერებით, აზროვნების სიღრმითა და სიმახვილით. ნ. ბერძენიშვილისათვის არ არსებობდა მშობლიური ისტორიის რომელიმე გამორჩეული უბანი, რომელიმე პრობლემა და საკითხი, სხვებზე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი. არ იყო ცოტა თუ ჰევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კი იდგა ამ დროს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე და მას სავანებოდ არ შეესწავლა და საკუთარი აზრი არ გამოეთქვა.

ნ. ბერძენიშვილს თავის სიცოცხლეშიც ბევრი ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ ის მაინც მცირე იყო მის ბიოგრაფიასთან შედარებით. ამიტომ, როცა ის ჩვენგან სამუდამოდ წავიდა, ქართული საისტორიო მეცნიერების ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს აძლიერებდა იმის გულისტკივილიც, რომ მას ძალზე ბევრი დარჩა ბოლომდე გამოუთქმელი. მაგრამ საბედნიეროდ, მალე გამოირკვა, რომ ეს ასე არ ყოფილა, ნ. ბერძენიშვილს ფიქრი და აზროვნება წერის გარეშე არ შეეძლო და როცა შინ იყო, წერდა განუწყვეტლივ, საწერ მაგიდასთან თუ საყვარელ სავარძელში ღრმად ჩამჯდარი. არაერთხელ უბრუნდებოდა წყაროებსა და ცალკეულ ფაქტებს, ხშირად ზე-

პირად უტრიალებდა და სინჯავდა მათ გონებაში, რადგან მისი აქტიური ცოდნისა და მეხსიერების მარაგი წარმოუდგენელი იყო. მას ჰქონდა როგორც ფაქტებში ჩაწვდომის, ისე მათი სინთეზირების არაჩვეულებრივი მადლის მშვენიერი წერილობით გამოხატვის უნარი.

ბოლო დროს მძიმე სენით შეპყრობილსა და ფიზიკურად დაუძლურებულს მას არ შენელება მუშაობით გატაცება და მაღალი აზროვნების უნარი, რომელსაც, თითქო, სიმკვითრე ემატებოდა. სიკვდილმა მოუსწრო მისი უკანასკნელი წლების გრანდიოზულ მეცნიერულ ჩანაფიქრთან გოლიათურ ჭიდილში. აუნახლურებელია დღემდე ეს დანაკლისი, მაგრამ დარჩა როგორც მეცნიერი მნიშვნელოვანწილად თავის ნაწერებში, რომელთაგან გამოუქვეყნებელთ ორიოდ სიტყვით შეეხებოთ.

ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო არქივი სრულიად თავისებური და განსაკუთრებულია. აქ ავტორის გამოქვეყნებული შრომების დედნები და მათ შესახებ თავმოყრილი მასალები როდია უმთავრესად დაცული (ესეც არის, რა თქმა უნდა), არამედ უფრო მეტად მისი დაუმთავრებელი შრომები, ან ცალკეული მოსაზრებები, შენიშვნები და დაკვირვებები ჩაწერილ სხვადასხვა ზომის ათასობით ფურცელზე, თავმოყრილი ათობით და ასობით აპქალადეში. ცხადია, ამ მასალების ერთი ნაწილი ამა თუ იმ სახით შესულია განსვენებული მეცნიერის ბეჭდურ პრინციპში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ აქვთ თავისთავადი და დამოუკიდებელი მნიშვნელობაც, რადგან არაიშვიათად ავსებენ და ამაგრებენ ავტორის იმ დებულებებსა და შეხედულებებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში სათანადო აპარატი არ უძღოდა. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებებისა და დაკვირვებების არამცირედი ნაწილი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე აქამდე საერთოდ არ ყოფილა ასახული ლიტერატურაში და აქედან გამომდინარე თაყსისაყვად გასაგებია ამ მასალების ფასი.

ნ. ბერძენიშვილის პირადი არქივის ამგვარი ზუსიით, ერთ მხრით, განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ავტორი დრო და დრო და ხშირად პარალელურად ამუშავებდა მთელ რიგ საკითხებს მონოგრაფიული გამოკვლევებისათვის, შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა მათ და ახალი მასალებითა და დაკვირვებებით ავსებდა. ასეთი დაუმთავრებელი ნაშრომები დიდო საფუძვლად, მაგალითად, განსვ. აკადემიკოსის შრომების VII და VIII წიგნებს. მეორე მხრით, ავტორი დიდი გატაცებით ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ პერიოდზე, არაერთგზის უბრუნდებოდა წყაროებს, სულ სხვადასხვა კუთხით განიხილავდა მათ და ახალ-ახალ

ჩანაწერებს აკეთებდა ფურცლებზე. ამის გამო ამ უკანასკნელთ დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვთ და ამა თუ იმ სათანადო საკითხების გარშემოც შეიძლება, რა თქმა უნდა, ვერტიანდნენ.

ნ. ბერძენიშვილის საარქივო მასალებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „შენაშვნები „ქართლის ცხოვრების“ კითხვისას,“ რომლის საფუძველზე გამოსაცემად მზადდება მისი შრომების IX წიგნი. ეს სათაური ავტორს თვითონ მიეცა გაზეთში გახვეული ფურცლების მთელი გროვისათვის. აღნიშნულ მასალებში „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ამა თუ იმ ტექსტის განმარტება და სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ანალიზი მოცემულია სათანადო აღვლებების ჩვენებით. აქვე გამოთქმულია მოსაზრებები „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობაზე, მისი გამოცემის საკითხებზე და ცალკეული ისტორიკოსების შესახებ.

ამ შენიშვნებს ავტორი წლების მანძილზე აკეთებდა და „ქართლის ცხოვრების“ შესახებ საგანგებო გამოკვლევისათვის აგროვებდა სამწუხაროდ, მეცნიერმა ეს დიდი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ რისი გაკეთებაც მოასწრო, ძველი ქართველი ისტორიკოსებითა და მათი ცნობებით დაინტერესებული მკვლევარი იქ მრავალს საყურადღებოს და საგულისხმოს იპოვის.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია სიცოცხლეში ნ. ბერძენიშვილმა მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე. ამ ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგები ამა თუ იმ დებულებისა და შეხედულების სახით. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად შესულია მის გამოქვეყნებულ შრომებში, მაგრამ ჭარბი ისტორიოგრაფიის ეს დიდმნიშვნელოვანი და ურთულესი პრობლემა მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მასშტაბურობით მხოლოდ ამ მასალებშია დასმული და აურაცხელი სათანადო წყაროებით გაშუქებული.

ავტორისათვის ჩვეული სიღრმითა და პიანხებით მოცემულია აქ დაკვირვებანი ერის და პეროვანის, წერხილი ერის, მდაბიორის, მსახურის, ყმის, მოლაშქრის, მკვირცხლის, მუშაკის, მონის, გლეხის, მოქმედის, მესხფეს, მხადილეს, მოყლნეს, მოჯალაბეს, ბოგანოს, ახატის სამასპინძლოს, ხარკის, ხარჯის, ძღვენის, ბეგარის, დალის, ყალანის, ხადილის, სურსათის, ხარჯის, ხლების, სამსახურის და სხვა უამრავის შესახებ. ამ დაკვირვებათაგან ბევრი მოცემულია სხვადასხვა ვარიანტებისა ან ზოგჯერ განსხვავებული მოსაზრებების სახით. მაგალითად, ტერმინ „გლეხისა“ და მიწის მუშაობა ამ ფენის წარმოშობის შესახებ ავტორს სხვადასხვა დროს გამოუთქვამს სხვადასხვა



მოსაზრება, რაც ამ საკითხის დიდ სირთულესაც მოწმობს და მეცნიერის ჭეშმარიტების დაუღალავი ძიების ნიმუშსაც მკაფიოდ გვიჩვენებს. აღნიშნული მასალების სათანადოდ დამუშავებისა და გამოცემის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის საუნჯეში შევა. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომების ეს მორიგი წიგნიც.

ნ. ბერძენიშვილის საარქივო მასალებს შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე სამი სავსე საქაღალდე, რომელსაც ავტორის ხელით აწერია „თავადი“. ესაა მასალა მონოგრაფიული გამოკვლევისათვის, რომელიც მას სათავადოს ანუ ქართული სენიორიის პრობლემის შესახებ ჰქონდა განზრახული. აღნიშნული პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნ. ბერძენიშვილმა დააყენა და მანვე ჩამოაყალიბა მის შესახებ ზოგადი სახელმძღვანელო დებულებები, რომლითაც ცალკეული სათავადოებმა შესწავლისას შემდეგში წარმატებით იხელმძღვანელეს და, თავის მხრით, კონკრეტული მასალებით ნათელყვეს მისმა მოწაფეებმა.

ნ. ბერძენიშვილის მასალებში სათავადოს შესახებ ზოგად მოსაზრებებთან ერთად ამ საკითხის გარშემო არსებული წყაროების უმუშალო კვლევის შედეგებთან გვაქვს უმთავრესად საქმე. „თავადის“ წარმოშობაზე, „თავადისა“ და „მოთავრის“ ურთიერთმიმართებაზე, სათავადო სახლისა და ქვეყნის რაობაზე, სათავადოს ადგილზე და როლზე ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ ცხოვრებაში და კიდევ სხვათა შესახებ მას სრულიად ახალი მომენტები აქვს მისთვის ჩვეული მახვილგონივრულობით შენიშნული. ასე რომ, აღნიშნული მასალების გამოქვეყნების შემდეგ ჩვენს ცოდნა ამ საკითხზე, უმჯობესია, შეიზუსტება და გაფართოვდება.

ძალზე ბევრი აქვს ნამუშევარი განსვენებულ აკადემიკოსს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. ბევრი რამ ამის შესახებ, როგორც ცნობილია, დაიბეჭდა ავტორის სიცოცხლეშივე, ხოლო ზოგი რამ მისი გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ დარჩა კიდევ ისეთი, რომელიც ელის დროს გამოსაქვეყნებლად. ჩვეულებრივ ესაა ცალკეული დაკვირვებები, შენიშვნები და ხშირად საქმაოდ გაბმული ტექსტებიც სათანადო მასალებზე მუშაობით მიღებული. მართალია ყველა ამათი განზოგადებისა და გათვლისწინების შედეგად ავტორმა შექმნა არაერთი გამოქვეყნებული ნაშრომი, მაგრამ ყველაფერი, ბუნებრივია, იქ ვერ შევიდოდა. ნ. ბერძენიშვილის აღნიშნული მასალები დაწერილია დიდი მეცნიერული ობიექტურობით და ამასთან მგზნებარე ქართველ პატრიოტ-მეცნიერის პოზიციებიდან.

იოდი და მნიშვნელოვანი მასალა ინახება ნ. ბერძენიშვილის არქივში გიორგი სააკაძის შესახებ. ამ საკითხს ავტორი მე-17 ს. პირველი

ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ისტორიის ფონზე განიხილავდა და ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა. ერთი სიგანგებო საქაღალდეს გარდა. ამ თემაზე მოიპოვება აგრეთვე სხვა ცალკეული შენიშვნებიც.

განსაკუთრებით ბევრი მასალა ამ არქივში დაცული ბატონყმობის შესახებ. არის ამ საკითხზე ავტორის ხელით თავმოყრილი ამონაწერები, შენიშვნები და მოსაზრებებიც და სხვა საქაღალდეებში მრავლად გაბნეული მასალებიც. ასე, რომ, წინასწარ დიდი მუშაობის ჩატარება იქნება საჭირო მთელი ამ მასალების გამოსავლენებლად, ვიდრე ქართული ბატონყმობის საკითხებზე სპეციალური წიგნი მომზადდებოდეს.

სამი საქაღალდეა არქივში დაცული, რომელსაც განსვ. აკადემიკოსის ხელით აწერია „ნასყიდი“ და მიწის ნასყიდობის ინსტიტუტს შეეხება. არის ამის შესახებ მასალები აგრეთვე სხვა საქაღალდეებში. როგორც ნ. ბერძენიშვილის გამოქვეყნებული წერილიდან „ერთი ფურცელი ისტორიოგრაფიული დღიურიდან“ ჩანს, ავტორი ამ საკითხზე მუშაობას გარდაცვალებამდე 25 წლის წინათ შედგომია და შემდგომ მხოლოდ დრო და დრო შეუწყვიტავს. ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორი ამ ინსტიტუტის შესწავლას, რომელმაც, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მას ჯერ „ქელი“ დააწერინა, ხოლო მეორე მხრით, მეზღვობა-მევენახეობის საკითხთან მიიყვანა, რომელიც აღმ. საქართველოში მორწყვის საქმეს უკავშირდება. მართალია, „ნასყიდთან“ დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილის არაერთი საყურადღებო მოსაზრება მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, მაგრამ ის უფრო ამ ინსტიტუტის ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების, ან მის წინა ხანას შეეხება, როცა, გამოუქვეყნებელ მასალებში მიწის ნასყიდობის ინსტიტუტი დიდძალ სათანადო დოკუმენტების საფუძველზე ფეოდალში მთელ სიგრძეზეა განხილული.

ამ მსხვილ პრობლემურ საკითხებზე დაცული მასალებით არ ამოიწურება, რა თქმა უნდა, განსვენებული მეცნიერის არქივი. ბევრია აქ მეტ-ნაკლებად გაბმული ტექსტები და ცალკეული ჩანაწერები სრულყოფილ სხვადასხვა საკითხებზე, რაც სრულ წარმოდგენას იძლევა ნ. ბერძენიშვილის მეცნიერული ინტერესების სამყაროზე, მაგრამ აქ მათი უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. მკითხველს რომ ასე თუ ისე წარმოდგენა ჰქონდეს ამთ შესახებ, ზოგ მათგანს მინც დაეხსახელებთ:

ანრი ზოგვერაძე  
დიდი მემკვიდრეობა

შენიშვნები საქართველოში გვაროვნული წყობილებისა და პატრიარქალური მონობის საკითხებზე, კოლხეთ-იბერიის „ვერობისა“ თუ „აზიისადმი“ კუთვნილების შესახებ, მოსახრებები ჯვარის როგორც იურიდიული ძეგლის შესახებ, თემის მნიშვნელობის შესახებ, წოდებათა უფლების ჩამოყალიბება ფეოდალურ საქართველოში, ფეოდალური გვარებისა და სავაჭარეულობის შესახებ ერისთავის და საერისთავოების შესახებ, შეუვალობის შესახებ, დივანბეგთა ინსტიტუტის შესახებ, კახეთის თავისებურების შესახებ, კახეთის სოციალური სტრუქტურის შესახებ, საქართველოში ფეოდალიზმის შესახებ, ალექსანდრე I (მოსაზრებები უფლისწულების, საერისთავოების, სათავადოების შესახებ და ალექსანდრე I-ის როლი ამ მოვლენათა გადაჭრის საქმეში), მხარგრძელების საკითხისათვის, სტანგაციის საფუძვლები ჩვენში, ქართული მონასტრები და ქართული ფეოდალიზმი, საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი, ქართველი ერის ისტორიული ჩამოყალიბება-განვითარების შესახებ და სხვა მოსაზრებები და ანალიზი ტერმინებისა: ხელმწიფე, მეფე, სეფეწული, მამფალი, უფალი, უფლისწული, პატრონი, დედოფალი, დიდუფალი, მთავარი, წარჩინებულა, ათაბაგი, დიდება და დიდებულა, აზნაური, ტაძრული, ფეოდალური დარბაზი, დარბაზის ერი, ეკლესიის შვილი, მცხეთისშვილი, ხატისშვილი, ეკლესიის საგადასახადო შეუვალობის შესახებ, ბეთალმანი და პარტახტი, სასახლის მეურნეობის შესახებ, ბაყების შესახებ; შენიშვნები მამულზე, ზეარზე, ხოდაბუნზე, ნაქონებზე, საქონელზე, ავარაკზე, მონაგებზე; მასალა ლექსიკონისათვის და სხვა მრავალი. ცხადია, აქ ვეღარ ვასახელებთ იმ მასალებს, რომელთა საფუძველზე მომზადდა ნ. ბერძენიშვილის შრომების VII და VIII წიგნები.

დიდძალი მასალა შენიშვნებითა და მოსაზრებებით ინახება არქივში ნ. ბერძენიშვილის ამა თუ იმ გამოცემული ნაშრომისათვის, რომელთაგან ბევრი რამ იქ აღარ შესულა, მაგრამ აქთა, ცხადია, მეცნიერული მნიშვნელობა. საამისოდ შეიძლება დავასახელოთ ვრცელი მასალები ქართული დიპლომატიკის ის-

ტორიისათვის, რომელთაგან „პელი“, „დაწერილი“, „სიგელი“, „წიგნი“ თავის დროზე გამოქვეყნდა, მაგრამ დარჩა კიდევ „სიმტიცე“, „ნიშანი“, „ჯვარი“, „სამანი“ და სხვა გამოსაქვეყნებლად, თუმცა არა გაბმული ტექსტების სახით.

არის ამ არქივში აგრეთვე გამოუქვეყნებელი წერილები ივ. ჯავახიშვილის დეაწლის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში, სიმონ ჯანაშიას ხსოვნისადმი (გარდაცვალების 15 წლისთავთან დაკავშირებით), „ილია“ — წერილი ილ. ჭავჭავაძის შესახებ, ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, შენიშვნები ქართულ ისტორიოგრაფიაზე, რეცენზიები სხვადასხვა ნაშრომებზე, დისერტაციებზე და სხვ.

ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცულია ასევე მეცნიერის მიერ გამოსაცემად მომზადებული რიგი საისტორიო ძეგლები ვრცელი კომენტარებით, რომლებიც რაღაც მიზეზით (შესასწავლია) შემდეგ აღარ დაუბეჭდავს. ზანტებს მიეკუთვნება ათონის ქართველთა მონასტრის აღაპები, ახალციხური ქრონიკა, გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადება და სხვადასხვა ხასიათის საისტორიო დოკუმენტები. სულ აკად. ნ. ბერძენიშვილის პირად არქივში მისი მოწაფეებისაგან შექმნილი კომისიის მიერ განცენებულის ბინაზე აღრიცხულია და აღწერილი 322 საქაღალდე. ამჟამად მთელი ეს მასალა დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც მიმდინარეობს მისი შემდგომი დამუშავება და გამოსაცემად მომზადება.

ასეთია მოკლე მიმოხილვით აკად. ნ. ბერძენიშვილის პირადი არქივი, რომელიც ერთი შეხედვითაც კი გაცივებს მნახველში, ნუთუ ყოველივე ეს ერთმა კაცმა შესძლო და მოასწრო სიცოცხლეში? სჯობდა ბევრად, რა თქმა უნდა, ეს ზღვა მასალა თვით ავტორს ამოეწურა ბოლომდე, სამწუხაროდ სიცოცხლე არ ეყო საამისოდ. ნ. ბერძენიშვილის მოწაფეების ვალია მასწავლებლის ამ დიდ მემკვიდრეობას ბოლომდე უპატრონონ და ღირსეულად დამუშავებული მიაწოდონ საზოგადოებას, რომელსაც მეცნიერული მნიშვნელობაც აქვს და მომავალ ისტორიკოსთა ზრდისა და წრთობის დანიშნულება.



## ბიოგრაფიული მონაცემები

იარომირ იედლიჩკა (1901-1965)

ა. წ. 9 ოქტომბერს შესრულდა გამომჩენილი ჩეხი ენათმეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მსოფლიოს ქართველოლოგთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის პროფ. იარომირ იედლიჩკას დაბადებიდან 75-ე წლისთავი.

ქართველი ხალხის დიდ მგობარი ი. იედლიჩკა თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტწილ დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლასა და პოპულარიზაციას ევროპაში. ოცდათორმეტი წლის ასაკში ეზიარა იგი ქართულ ენას და მას, შემდეგ მოყოლებული ვიდრე გარდაცვალებამდე (1965 წ. 15 აგვისტო) არაერთი ბრწყინვალე სამეცნიერო ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორი გახდა. იგი იკვლევდა ძველსა და ახალ ქართულ ენას, ეწეოდა ქართული კულტურის და ჩეხი თანამედროვე ცხოვრების მიღწევების პროპაგანდას მსოფლიოს მასშტაბით გერმანულ, ფრანგულ, ჩეხურ, ინგლისურ, რუსულ, სლოვაკურ, უნგრულ, ესპანურ და სხვა ენებზე. ი. იედლიჩკა ერთ-ერთი პირველთაგანია ევროპაში, ვისი თაოსნობითაც 1947 წელს პრადის კარლოვის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის კათედრა ჩამოყალიბდა და ათობით შესახიშნავი სპეციალისტი აღიზარდა ქართული ენის დარგში.

იგი ავტორია ისეთი ფუნდამენტალური შრომებისა, როგორცაა „ქართველ მოღვაწეთა ენციკლოპედია“, „სიტყვყარმოება და ბრუნება ძველ ქართულში“, „ძველი ქართული ენის სტრუქტურის შესახებ“, „მოსაზრებანი ქართული და სომხური სიმღერის შესახებ“, ბრუნვის სუფიქსების ნიშნები ქართულ ენაში“, „ძველი ქართული ენის სწავლება საქართველოში“, „კომპოზიტები (რუსული სიტყვები) „ვეფხისტყაოსანში“, „ნაწარმოების ბრუნება ქართულში“ და სხვა. ასევე აღსანიშნავია მრავალი რეცენზია უცხოელ მეცნიერთა შრომებსა და გამოკვლევებზე ქართული ენისა და ლიტერატურის სფეროში.

პროფ. ი. იედლიჩკა, ჩვენის აზრით, იყო ყველა ქართველოლოგთა შორის ევროპაში პირველთაგანი, ვინც მსოფლიო ენებზე თარგმნა ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშები, როგორცაა მაგალითად, აკად. კ. კვიციანიძის „ქართული მწერლობის ისტორიის“ ჩეხური და გერმანურ-

ლი თარგმანი, „ქართული ხალხური ანთოლოგია“, აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“, არნ. ჩიქობავას, ე. თოფურისა, ქ. ლომთათიძის, გ. ჩიტაიას და სხვათა ნაშრომები. რაც შეეხება ქართული ლიტერატურის ნიმუშების გამომუშეურებას ჩეხურ ენაზე, უპირველესად ყოვლისა უნდა მოვისხენიოთ შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დიდი ტირაჟით გამოსცა პრადში 1958 წელს. ჩვენს მკითხველს კარგად ემასსოვრება მრავალი რეცენზია და გამოსმაურება ქართველი მეცნიერების და მწერლებისა ამ თარგმანის შესახებ. იგი უნდა ჩათვალოს ი. იედლიჩკას შემოქმედების ბრწყინვალე გამარჯვებად. „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ თარგმანს მხარს უმშვენივლად მისივე თაოსნობით თარგმნილი დ. გურამიშვილის „ქაცვია მწვემის“, ი. ჭაგჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ალ. ყაზბეგის „ხვეისბერი გონა“ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, გიორგი ლეონიძის „ერთთომეული“, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების, გიორგი ნატროშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგველიას და სხვათა ნაწარმოებები.

იარომირ იედლიჩკა არაერთხელ გვეწვია საქართველოში. ლექციების დიდი კურსი წაიკითხა შან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, მრავალ საერთაშორისო და საკავშირო სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და სესიებზე. ყველგან ი. იედლიჩკა იყო ქართული კულტურის აღმავლობისა და უძველესი ისტორიის უკვდავების მქადაგებელი.

დღეს, ქართველი ხალხი მადლიერების გრძნობით, საზეიმოდ აღნიშნავს დიდი ჩეხი მეცნიერის დაბადებიდან 75-ე წლისთავს და გარდაცვალებიდან მე-10 წლისთავს და კიდევ ერთხელ მხოვეწებით თავს სრის მის წინაშე და ვფიქრობთ, არ იქნებოდა ურიგო რომ იედლიჩკას ნაშრომების გამოწვეურდეს ქართულ ენაზე.

ალექსო კაკულია

ჩვენ შვიტხველებს ამას წინათ მივაწოდეთ ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი ბრწყინვალე პოეტის შესანიშნავი კრებული.

გიროგი ლეონიძე გალაკტიონ ტაბიძესა და იოსებ გრიშაშვილთან ერთად ითვლება თანამედროვე ქართული პოეზიის ტიტანად.

ქართული ლიტერატურა ჩვენში დღემდე ძალზე ნაკლებადაა ცნობილი. გარდა შემთხვევითი ლექსებისა, გამოქვეყნებული ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე მდიდარი ქართული პოეზიიდან, ჯერ კიდევ წიგნად არც ერთი მათგანი არ გამოცემულა.

ქართული კულტურა გამოირჩევა თავისებური სირთულით, რაიც ჩვენგან მოითხოვს ხანგრძლივ, ნაყოფიერ და შრომატევად კვლევას, მისი მცნების ღრმად ჩაწვდომას და შესწავლას, ვიდრე არ ავითვისებთ მის საფუძვლებს, რომელიც ესოდენ უცნობია ჩვენთვის.

ქართული კულტურის სირთულე შექმნილია თვით საქართველოს მდგომარეობით, ქვეყნისა, რომელიც მოქცეულია ევროპასა და აზიას შორის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მისი ევროპასთან სიახლოვე დაკავშირებულია ქრისტიანობის სარწმუნოების მიღებით ჯერ კიდევ IV საუკუნეში, XII და XIII ს. ფეოდალურ საქართველოში ლიტერატურის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისას, თუ ქართველი პოეტები როგორ დამოუკიდებლად, თავისებურად და თანამედროვე ფორმებით ძლივდნენ კლასიკის დამორჩილებას, როგორ ახერხებდნენ გადაემუშავებინათ და დაეფუძნებინათ მასალები, რომელთა დიდი რაოდენობის წარმოშობის დადგენა დღესაც კი ასე თუ ისე შეუძლებელია. XIV, XV საუკუნეებში უცხოელი ურდოების შემოსევების შედეგად გამოწვეული ქვეყნის დაცემა გახდა მიზეზი ქართული ლიტერატურის აღმავლობის შეფერხებისა, რომელსაც დაემატა საქართველოს მერყევი პოლიტიკური მდგომარეობა და სპარსეთის თვითმპყრობელური მონარქიის ვაბატონება. ქართული ლიტერატურის ასეთი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ XIX საუკუნის რომანტიკოსების და რეალისტების საშუალებით, რომელთათვისაც უცხო როდი გახლდათ უდიდესი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მიმდინარეობა ევროპაში, განსაკუთრებით კი რუსეთისა და მისი პროგრესული ლიტერატურის.

მშობლიური ტრადიციებისადმი განუზომელმა სიყვარულმა და პატივისცემამ. განუწყვეტელმა მიმართვამ ხალხური თვითმყოფადობისადმი, რაითაც აღინიშნება და უსასიათდება ქართული კულტურა, შეიძლება ერთი შეხედვით, ეროვნული პოეზიისა და მისი განვითარე-

ბის კვალობაზე გარკვეული დალი დააჩნია. და სხვათა შორის, თუმცა ეს ტრადიცია მუდმივად სახეზეა, მაგრამ ქართულ პოეზიაში მიმდინარეობს შეუდრეკელი ბრძოლა ფორმებისა და იდეების სიახლისადმი.

ოდესღაც უთქვამთ ბრძენთ, რომ ქართული პოეზია რუსთაველია. ეს სიტყვები სამართლიანია იმ მიმართებით, რომ ყოველი ქართველი პოეტი სულიერად და ხორციელად შეიგრძნობს და მიმართავს თავის გენიალურ წინამორბედს XII საუკუნისა, რომ სასიქადელო ქართველი პოეტის შემოქმედება მათთვის სულსცვეთების წყაროსა და მარადეხამს ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ მთელს ქართულ პოეზიაში, გარდა ქართული ფსევდოკლასიციზმის დაცემის ეპოქისა, არ მოიძებნებოდა პოეტი არც მაშინ და არც ახლა, რომელიც დიდი მგონისადმი მიმბაძველობით არ ყოფილიყო შემოფარგლული, გატაცებული და ამიტომაც მათი გამოგონება შეიძლება ჩაითვალოს უადრესად გამოცეითილი. მტკიცე ნებისყოფის დახასიათებით, როგორც პროტესტი იმეუამინდელი სპარსული პოეზიის „ოფიციალური“ გავლენისადმი.

მეორე განსაკუთრებულ მოვლენად ქართულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს პოეზიისა და პროზის ურთიერთკავშირი. მე შემიძლია ხატონვად ვთქვა, რომ ქართული პროზის დიდი ნაწილი ეს არის საკუთრივ პოეტური სულისცვეთების პროზაში განსახიერების უბადლო ნიმუში. ის ფაქტი რომ XII საუკუნის დიდებული საერო ეპოქა პროზაში უფრო ადრე გამოქვდა, ვიდრე პოეზიაში, შეიძლება უბრალოდ შემთხვევითობად მიიჩნიონ. ჩვენ, უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მასში მოცემული ადრინდელი მასალების პოეტურად დამუშავებული მაგალითები საუკუნეთა ქარცეცხლმა შთანთქმა, განსაკუთრებით კი მონღოლთა ურდოების შემოსევების, შემდეგ, როცა კულტურის ძეგლების უმეტესობა განადგურდა საქართველოში.

გარდა ამისა, ვგრძნობთ, რომ ოფიციალურ დამწერლობით პოეზიის მიღმა იმალება ზეპირიტყვიერი ხალხური პოეზიის უმნიშვნელო მიმდინარეობა, რომელშიც ეპიური მასალები წარმოიშვნენ შედარებით ადრინდელ პერიოდში. პოეზიისა და პროზის მჭიდრო ურთიერთკავშირის დამაჯერებელი მაგალითია სპარსული პოეტური ქმნილების „ვისრამიანის“ მაღალ ოსტატურად შესრულებული პროზაული თარგმანი. აგრეთვე, განსაკუთრებით დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთი დიდი ქართველი პოეტი ამავე დროს იყო დიდი პროზაიკოსიც (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.).

ამრიგად, ქართულ პოეზიას ეპიკური ბიო-  
თვი გააჩნია. მისი ეპიკურობა გაუღწეოლია  
ლორიზმით და ლირიულ-ეპიკური ფორმების  
ნარევს ჰქმნის.

ისეთ ალიარებულ ეპიკოსებს, როგორც გახ-  
ლდათ ვაჟა ფშაველა, ისეთებს ვისშიც ეპი-  
კურობა იმდენად სჭარბობს, რომ ლირიკას  
ჩრდილში მოიქცევს, ებადებათ წმიდა ეპიკური  
პოეტური ფორმები. ლირიკულ-ეპიკური ნა-  
წარმოების ბრწყინვალე ნიმუშია თვით რუს-  
თაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ეპიკური  
მასალა გარდაისახება ოთხტაპიანი ლექსის  
ლირიულ ფორმაში, მისი გმირები სიყვარულ-  
ში ერთგულნი არიან და ზრძოლანი მამაცინი,  
თავის ლირიულ სევდასა და მწუხარებაში —  
მუდამ მშვენიერნი, ისევე როგორც გმირობის  
გამომჟღავნებისას. მიუხედავად სიუჟეტების  
მრავალფეროვნებისა და მოქმედი პირების ნა-  
ირსახეობისა, ქართული პოეზია ძირითადად  
პატრიოტულ სახედ უნდა ჩათვალოს. შოთა  
რუსთაველმა თავისი ეპოსის მოქმედებას ფარ-  
თო ჰორიზონტი დაუსახა და მოიცვა მთელი  
არაბეთი და ინდოეთი. ამასთანავე ეგზოტიკუ-  
რი საფარველის ქვეშ სამშობლო ქვეყნის პი-  
რობების წარმოსახვა, ხოლო ბუნება, რომელ-  
საც გარს შემოხვევია მისი ხალხი, მიუხედავად  
უცხოური ამქვეყნიური ელფერისა, წარმოად-  
გენს ქართული მიწის ნათელ სურათს. ქართვე-  
ლი პოეტი მეფენი თემურაზი, არჩილი და ვახ-  
ტანგი — ადამიანები, რომელთაც თავის დიდი  
საქმედ დრმა პატრიოტიზმის სული აირჩიეს,  
ასევე ეზიარნენ შთაგონებულნი ლიტერატუ-  
რულ შემოქმედებასაც. XVIII საუკუნის გე-  
ნიალური პოეტი დავით გურამიშვილი უკრაი-  
ნაში განდევნილი და გარდახვეწილი წერს „წა-  
მება საქართველოსი“, ძველი ქართული ლი-  
ტერატურის უკანასკნელი პოეტი; რთული  
პოეტური ფორმების მოყვარული მგოსანი  
ჰქმნის ოღას ასპინძის ბრძოლის შესახებ, ვანა-  
დიდებს და ხოტბას ასხამს მთიელ ქართველთა  
გამარჯვებას თურქ დამპყრობლებზე. ახალი  
ქართული ლიტერატურის პირველი ბრწყინვალე  
პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ფილო-  
სოფიურ ნაწარმოებში „ბედი ქართლისა“  
სწევტებს მისი სამშობლოს მომავლის საკითხს.

ქართული პოეზია თავის არსებობის ორივე  
ეპოქაში, ძველსა და ახალს, მდიდარია რო-  
მანტიული ელემენტებით. უძველესი პერიო-  
დის უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი —  
სამეფო კარის შემოქმედი პოეტია და პოეზიაც  
მის თავისებურ ჩარჩოებში წარმოადგენს სა-  
მეფო კარის, რაინდულ პოეზიას. მისი გმირები  
რაინდული საქმენის მათწყებელნი არიან და  
მათი რაინდული სიყვარული, რომელთაც გა-  
აჩნია თავის საკუთარი, მკაცრად განსაკუთრე-  
ბული წესდება, მონიჭებული თვით ზეციური  
სამყაროდან, შთაგონებენ და აღმაფრენას

ჰმატებენ მათ უმაღლესი ერთუზიანობისა და მა-  
ციობის გამოსავლინებლად. მაგრამ რაინდულ  
ერთგულებას ერთ შემთხვევაში მაინც უჩნდება  
სერიოზული ბზარი: ეს არის ფატმანთან ავ-  
თანდილის თავგადასავალი. აქ რაინდულ-რო-  
მანტიულ ცნებაში შეადგენს რეალისტური  
ელემენტი. ფატმანის წარმოსახვა სრულიად  
დამახასიათებელია ვაჟართა წრის ეპოქისათ-  
ვის და მთავარ გასაღებს მოქმედებათა საფუძ-  
ვლისა წარმოადგენს გაბედული რეალისტური  
განზრახვანი მისი შემოქმედლისა.

დამაკვიდებულება რომანტიზმსა და რეალიზმს  
შორის ქართულ ლიტერატურაში არაერთი თა-  
ვისებურებით ხასიათდება. რომანტიზმი ახალი  
ეპოქისა აქ არ გვევლინება როგორც კლასი-  
ციზმის წინააღმდეგ მებრძოლი, რომელსაც  
ჩვეულებრივი გაგებით, კაცმა რომ თქვას, აქ  
ადგილიც კი არ ჰქონია, მაგრამ აბა, რითია იგი  
გამორჩეული? რითი და იგი გვესახება ყოველ-  
გვარი უცხოური, მაჰმადიანური აღმოსავლ-  
ეთის გულენისადმი მებრძოლ იდეალად. ქარ-  
თული რომანტიზმი თავის ფესვებშივეც კი არ  
წარმოგვიდგენს არავითარ ბუნდოვნობას. იგი  
წარმოადგენს კონკრეტულს, დიდი უმრავლე-  
სობით დადებით განძს. ხანმოკლე, მაგრამ ნა-  
ყოფიერი, სასარგებლო ეპოქა ქართული რო-  
მანტიზმისა ამსჯერებს ყველაფერს იმას, რაიც  
იყო ქართულ კულტურაში არათრგანული და  
აფუძნებელი XIX ს. მეორე ნახევრის რეალიზ-  
მის საფუძვლებს, ურომლისოდაც სრულიად  
წარმოუდგენელი იქნებოდა იგი.

ქართული რეალიზმის რომანტიული ელემენ-  
ტების სიძლიერე ჩანს იმაშიც, რომ ქართული  
რეალიზმის შუა ხანებში ქართულ მიწაზე მთა-  
ში იშვა და გაიზარდა ორი მწერალი, რომელ-  
თაც დასაწყისში ნეორომანტიკოსებს უწოდებ-  
დნენ, მაგრამ რომელთაც სინამდვილეში წმინ-  
და წყლის რომანტიკოსები იყვნენ, რომელთაც  
არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ბევრად თუ  
ნაკლებად უმიმედო ნეორომანტიზმის დაცემას-  
თან, რისი ისტორიაც, ჩვენ საკმაოდ კარგად  
მოგვესწავება... ესენი არიან პროზაიკოსი  
ალექსანდრე ყაზბეგი და პოეტი ვაჟა ფშაველა,  
მთელი თავისი სულით მთიელნი, რომელნიც  
გეინატავენ მშობლიური კუთხის რეალურ სუ-  
რათებს, რომელსაც წარმოადგენს სახით გვე-  
რად ფიქრებსა და ოცნებებში, როგორც სა-  
მართლიანობის უზუნუნეს სფეროში.

ქართველ პოეტებს უყვართ არა მარტო თა-  
ვისი ქვეყანა, თავისი მიწა, არამედ არაჩვეუ-  
ლებრივ დონემდე თვით ინსტრუმენტი თავისი  
პოეზიისა — მშობლიური ენა. ისინი ზრუნავენ  
მასზე, ხეწავენ და წმენდენ ენას არასწორი,  
მცდარი ფორმებისაგან, მაგრამ ამავე დროს

**იპროზირ ივლიჩკა**  
ბიორბი ლეონიძე

ამდირებენ, ავსებენ ახალი ფორმებით და ახალი გამოთქმებით. ისინი ისევ და ისევ დაჭინებით მიმართავენ ხალხურ ენას, მეტყველებას, მაგრამ იმათ მიმართ, ვინაც ცდილობს ლიტერატურულ ენაში ძალზედ ბევრი დიალექტიკური ელემენტები შეიტანოს, აკრიტიკებენ მათ. მხედველობაში გვაქვს ვაჟა ფშაველას მაგალითი, რომლის შემოქმედებაშიც თავისი საკუთრივ კუთხური თავისებურება განისმკვალა ერთ მთლიანსა და ძლიერ გამომსახველობაში. თუმცა ასეთი მიზანსწრაფვა და მოქმედება ქართულ პოეზიაში უნდა ჩაითვალოს გამოწვევად, ცალკეულ შემთხვევად.

ქართული ენა განსაკუთრებით პლასტიკურია, რთულია, მოხერხებულია თავისი ნიუანსებით, რომელიც ძალზედ ბევრ შემთხვევაში წარმოუდგენელია ჩვენთვის, სლავებისათვის, უღრადი და სასიამოვნოა იგი, მიუხედავად იმისა, რომ მისი სილამაზე ხელიდან გვეპარება საერთო ზომიერების საწყისის ფონზე.

ქართული ლიტერატურის საწყისებიდან მოყოლებული, იგი ჩვენს წინაშე მოგვედგინა როგორც ჩამოყალიბებული, მომწიფებული ენა, რომელსაც არა მარტო ვატოლებთ, არამედ შეგვიბრძნავს კი შეედლო ისეთ სრულყოფილ ენასთან, როგორცაა კლასიკური ბერძნული ენა, შემოხიზნული საქართველოში ბიზანტიური კულტურიდან. ქართული ენის ბერძნულთან ბრძოლამ გააბედინა მე-10 საუკუნის დიდებულ, განსწავლულ ჰიმნოგრაფს იოანე ზოსიმეს ეწინააღმდეგებულ ქართული ენის გამარჯვება ყველა დანარჩენ ენებზედაც: სამსჯავროს უკანასკნელ დღეს ღმერთი განსჯის კაცობრიობას ქართულ ენაზედაც.

არა მარტო ხალხური ენა, არამედ ასევე ხალხური პოეტური ფორმები ისევ და ისევ ზღვება ქართველი პოეტების უცილობელი იარაღი. ოთხტეაზიანობა, რომელსაც გზა მისცა აღმავალი, როგორც ფორმას ქართული ენისა, სავარაუდოა და ვგონებ, ვიდრე ამ დრომდე გამოიყენებოდა ხალხურ პოეზიაში. დავით გურამიშვილი თავის ფორმებს კრებდა და ეძიებდა არა მარტო ქართული, არამედ რუსული ხალხური სიმღერებიდანაც, რომელთა ჰანგები ხშირად გვხვდებიან მისი ლექსების ქვესათაურებში. ქართული პოეტები თავისივე ხალხის ენით მიმართავენ ხალხთა გულებს. ყველას სურვილია დაუოკებელი, რომ ხალხმა შეიყვაროს ისინი ისე, როგორც შოთა რუსთაველი, ვისი ლექსებიც დღესაც ჩაუქრობელ საკმეველივით ანთია და იკითხება ყოველგვარ ვითარებისა მიხედვით და რომელიც უყვართ ზებუნებრივად თავისი სილამაზის და სიბრძნის გამო. „პოეზია სიბრძნისა ერთი დარგია“ ამბობს რუსთაველი; ე. ი. სწორედ ის, რასაც ხალხი ეძიებს პოეზიაში. ქართველ ხალხს კი შეუძლია თავისი პოეტების სიყვარუ-

ლი, შეუძლია და ისე რომ არა მგონია ვისმეს უნარი შესწევდეს მომეტებულად ამ სამყაროზე. საქართველოში განსაკუთრებულია ყველასაგან დედამიწაზე ის, რომ საქართველოში საყვარელ პოეტებს მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ. საკმარისია თქვა შოთა, ავაკი, ვაჟა და ყოველთაგანისთვის გასაგებია, რომ ლაპარაკია შოთა რუსთაველზე, ავაკი წერეთელზე, ვაჟა ფშაველაზე. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებანი უფრო დიდი და უხადო დამოკიდებულებისა, უშუალოდით განმსჭვალული, ხალხისა მწერლისადმი.

სწორედ ამასთანა დაკავშირებული ქართული პოეზიის მიდრეკილება ზომიერებისაკენ, გამოთქმათა თავისებური სისადავე და სილამაზე, თუნდაც მელოდიური ხმოვანწყობით, სასიმღერო ფორმით, რომელიც წარუშლელი და დაუვიწყარია გონების არედან. ქართული ლექსი მოწოდებულია ძირითადად დეკლამირებისათვის.

ამ ჩემს არახანგრძლივ თუ წუთიერ მიმოხილვაში ვანზრახ შემოვიფარგლე კლასიკურ, საბჭოთა პერიოდამდე არსებული პოეზიით, რათა ჩვენთვის კიდევ ერთხელ ნათელი ყოფილიყო კავშირი ჩვენი პოეტისა (იგულისხმება გ. ლეონიძე — ა. კ.) იმასთან რაიც ტრადიციულად, შთამომავლობით რჩება და ვითარდება ქართულ პოეზიაში, როგორც თავისებური ერთეული გერბი. იმიტომ რომ დამოკიდებულება გიორგი ლეონიძისა ახალ, საბჭოთა პოეზიასთან ნათელია: აქ საჭირო იქნებოდა უფრო სწორად პირუტყვ დაგვესვა საკითხი და შეგვემცნო არსი დედააზრისა — თუ რა აკავშირებს ქართულ საბჭოთა პოეზიას გიორგი ლეონიძესთან, ვიდრე პირიქით. სახელდობრ გიორგი ლეონიძე არს ერთ-ერთი მისი დამფუძნებელი.

გ. ლეონიძე საბჭოთა ეპოქის ქართველ პოეტთა უფროს თაობას ეკუთვნის. იგი მიეკუთვნება საბჭოთა პოეზიის პოეტთა იმ დიდ სამეულს რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. სამივე მოთვანი დასაწყისში\* შეპყრობილი გახლდათ დეკლანტური მიმართულების იდეალებით, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილებამდე გადათელვასა და წალეკვას უქადა ქართულ ლიტერატურას, ამასთანავე არ დაიშურებდა ადამიანთა სულის მოწამელსაც თავისი უსაშველობით გულზვიადობით და კოსმოპოლიტიზმით.

გ. ლეონიძე, როგორც ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი პოეტთა სამეულისა, ამ პოეზიის გავლენის ქვეშ შედარებით მცირე დროით მოექცა. თუმც მართალია, რომ გალაკტიონი თავის მხრივ შორს იდგა ავადმყოფური თავდასხმებისაგან ქართველი სიმბოლისტების პოეზიისა, გავრთიანებული ე. წ. «ცისფერყანწულთა» ლიტერატურულ ჯგუფში, ხოლო მისი პირველი პოეტური კრებული აღსაყვან გახლდათ იფიომპყრობლობისა და ჩავგრის წინააღმდეგ

ბრძოლის სულისკვეთებით. იოსებ გრიშაშვილი, წარმომადგენელი ე. წ. კონსერვატორთა „აკადემიური“ ჯგუფისა, ერთგული დარჩა იმ დროისათვის განსაკუთრებული სიყვარულით შეპყრობილი აღმოსავლეთის ქანრის პოეზიისადმი. გ. ლეონიძეს საბჭოთა წყობილების შექმნამდე ერთი პოეტური კრებულები კი არ გამოუცია. მაგრამ უარყოფის პოეზიამ თავისებური გამოძახილი მინც ჰპოვა ცოტად თუ ბევრად ყველა იმ სამივე მოწინავე პოეტების შემოქმედებაში.

და თუ ვალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი იყვნენ აღიარებული პოეტები ჯერ კიდევ ადრინდელ პერიოდში, მაშინ გიორგი ლეონიძე, პირიქით, დასტურია, რომ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილემ მისცა მას საშუალება განვითარებულიყო და დამშვენებულიყო ტალანტი მისი.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ საკმაოდ მოზრდილ სოფელ პატარძელს 1899 წლის 27 დეკემბერს მოევლინა ბატარა გოგლა ლეონიძე, შვილი სოფლის მასწავლებლისა. წერას ადრევე მოჰკიდა ხელი. თერთმეტი წლის ასაკში პირველი ლექსის ავტორი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა მისი პირველი პოემა. გოგლას ჰაბუკურთ გამოცდილება მოხდა იმდროისთვის ესთეტიკის ტყვეობაში და ამიტომაც პოეტმა ისინი არ შეიტანა თავის თხზულებათა ერთთომულში. ჰაბუკობიდანვე გოგლა დაინტერესდა სარედაქციო და საგამომცემლო შემოქმედებით-მა საქმიანობამ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხელი მოჰკიდა წმიდა შემოქმედებითსა და ორგანიზატორულ მუშაობას. ჩამოაყალიბა ლიტერატურული აღმანახების, ჟურნალების, მიმოხილვათა კრებულების გამოცემანი. ამასთანავე, ადრევე, როგორც პოეტურმა და სარედაქციო შემოქმედებამ, ლეონიძე ასევე მიიზიდა ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიებამ. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იგი აქვეყნებს რამდენიმე მოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიან გამოკვლევას ქართული დამწერლობის ისტორიიდან. წერდა მის პირველყოფითობაზე, ქართული წიგნის ისტორიაზე, უძველესი ხალხური მუსიკალური საკრავების შესახებ, აგროვებდა მდიდარ ფოლკლორულ მასალებს. მოგვიანებით თვითონვე ჩაუდგა სათავეში კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემის საქმეს და თვითონვე შეასრულა რედაქტირება მათი. იგი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და დირექტორი ლიტერატურული მუზეუმისა.

გ. ლეონიძემ გამოსცა რამდენიმე ლირიული კრებული. 1947 წელს თბილისში გამოიცა მისი სქელტანიანი წიგნი „ერთთომეული“, სადაც მოთავსებულია გოგლას ახალგაზრდობისდროინდელი შემოქმედების ნიმუშები, ლირიული და ეპიკური თვისებებით დამშვენებული სტრიქონები,

ნები, ძირითადად 1926 წლიდან 1946 წლამდე შექმნილი. ეს კრებული საფუძველი გახლდათ ჩვენი თარგმანებისა, რომელთაც პერიოდულად ვაქვეყნებდით ჩეხოსლოვაკიის პრესის ფურცლებზე. ერთთომეულის შემდეგ, 1950 წელს მიუთხველი იღებს ლირიულ კრებულს „ლექსები“, სადაც პოეტმა წარმოგვიდგინა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სახალხო დემოკრატიის ქვეყანაში — უნგრეთში. იმავე წელს ცხედავთ გოგლას გმირულ ეპოპეას „სამგორი“ დაწერილს 1947 წელს და მიძღვნილს თბილისის 1500 წლის იუბილესადმი.

ერთთომეულით პოეტმა გადაგვიშალა თავისი ნაწარმოებების კომპაქტური კრედი. თუ ვიტყვიყით მასალების განლაგების შესახებ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პოეტმა პოლიტიკური და ისტორიული ლექსები პირველ პლანზე დააყენა, ხოლო ინტიმური ლირიკა, რამდენადაც იგი აქ მოცემული, კრებულის ბოლო ფურცლებზე მოათავსა. ჩვენს მიერ ჩეხურ ენაზე თარგმნილ კრებულში კი უპირატესობა მივანიჭეთ მიხალგობით ქრონოლოგიურ მიმდევრობასა და განწყობილებას, რომელიც ჩეხ მიუთხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს ლეონიძის პირველ ნაბიჯებს პოეზიაში, ხოლო შემდგომ — მის აღმავლობით ევოლუციას.

თავის ადრინდელ შემოქმედებაში გიორგი ლეონიძე ეტმანება აშუღების სიყვარულით გაყდენილ ეგზოტიკურ პოეზიას, ასევე ხალხური მომღერლების სიმებს, რომელნიც თავგამოდებით იცავენ ძველსა და ადვილობრივ პოეტურ ტრადიციებს, დაფუძნებულს სპარსული გავლენის შედეგად. ამ პოეზიაში ფანტასტიკური გამომსახველობა შაბლონად იქცა, ხოლო აღორძინებისა და ყვავილობის სახე გაითონა უბრალო აბსტრაქციულს სიმბოლოდ. მაგრამ, პოეტი ადრევე და დროულად ეთხოვება ასეთ სიმბტომებს, გავლენას. ბრძოლა ამგვარი პოეზიასთან გამოსჭვივის რამდენიმე ადგილას: სამაგიეროს გადახდა და ანგარიშის გასწორება ნათლადაა გამოხატული პოემაში „ძველი ადირა“.

ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი შალვა რადიანი თავის „ლიტერატურულ პორტრეტებში“<sup>1</sup> საზგასმით აღნიშნავს, რომ პოეტის შემოქმედებაში 1930 წელი უნდა ჩაითვალოს გადამწყვეტ და მნიშვნელოვან ე. წ. შემოქმედებითი გარდატეხის ხანად. რასაკვირველია, თუმცა ძველი ესთეტიკური შეხედულებების გადადასება გ. ლეონიძის ნაწარმოებებში შეიმჩნევა ჯერ კიდევ ადრინდელ პერიოდში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თვალი ვაღვენოთ მას,

<sup>1</sup> შალვა რადიანი, „ლიტერატურული პორტრეტები“, თბილისი, 1953 წ.

ვიდრე პოეტის სრული გარდასახვის ზუსტ თარიღამდე. წარსულ დღითა ნაკვალევსადმი სევდის, აწ გაფრენილი ახალგაზრდობის წლებსადმი ამოიხვარის შემდეგ ადვილი ეთმობა მის შემოქმედებაში სილამაზის, ბრძოლისა და შრომის განდევნას. პოეტი გონებასახვილურად ეძიებს და ჰპოვებს ეპოქისადმი შესატყვის დადებით დამოკიდებულებას. იგი შეიგნებს, რომ წარსული გზით ცხოვრება შეუძლებელია. იგი უბრუნდება ცხოვრებას. და ასე რაც წარმოიქმნება პოეტის ნაწარმოებებში ახალი თემატიკა, ახალი სინამდვილე, ახალი გმირები.

მომწიფებული პოეზია გიორგი ლეონიძის გამოირჩევა მამაცობით, გმირობით და მძალადი იდეური შინაარსით. და თუ შევადარებთ, განსვლით ამ არსებით ზღვარს ლეონიძის ადრინდელ და უგვიანეს პოეზიას შორის, ჩვენ დაგრწმუნდებით, რომ რატომ გაუსვა ხაზი პოეტმა თავის საკუთარ არჩევანში პატრიოტულ პოეზიას და რატომ შესწირა მას სხვა დანარჩენი საყვარელი მრავალსახეობა შემოქმედებისა. ლექსები, გაღმოცემული შინაგანი წვის ანდერძით ვით მოვლინებული უდიდესი სტიქიური ძალით ხასიათდება და პოეტური სახეების დაუმრეტელი სიმდიდრით განისაზღვრება. პოეტის ობიექტურ თვალთახედვას, თუმც ზიანს აყენებს დისავლეთისა და აღმოსავლეთის უცხოური გავლენა, მაგრამ აქვე იბადება მისი მიზანსწრაფვის საბირისპიროდ რაც შეიძლება ახლოს მიიტანოს მკითხველთან ის, რაიც მის პოეზიაში მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნულ ტრადიციებთან. ამას ახერხებს იგი და მშობლიურ ფესვებზე ამყარებს კიდევ.

გ. ლეონიძე ყურადღებას ამახვილებს წარსულ საუკუნეთა ჟამთა სიაცის უკუღმართობაზე; რომელიც განვლო თავის სამშობლომ ქედმოუხრელად, მთელსა თავის ისტორიის მანძილზედ. მგონის ისტორიული რემინისცენკები შორსაა მის ტრადიციულ სულის მოთქმასთან. სიამაყე და შეგნება საკუთარი ღირსებისა თან სდევს მას ისტორიის მცნებისადმი განსწავლულ ღირსებად, ისტორიისა, რომელმაც ქართველ ერს უზომო ჭირვარაში აბგუნა, მაგრამ თავის წინ უდიდესი გამარჯვებები მოუტანა. ეს ყველაფერი კარგი და ძვირფასია, მაგრამ ლეონიძე როდი შემოიფარგლება ამ დროს მხოლოდ მოგონებებითა და თავგადასავლებით. მისი პოეტური შემოქმედების მეოთხედს წარმოადგენს კონტრასტებისადმი მიმართვა. მშფოთვარე, გატანჯულ და პირქუშ წარსულს იგი ყოველთვის, პირდაპირი სიტყვებით თუ არა, ყოველნაირად უპირისპირებს ბედნიერ აწმყოს. თანამედროვეობის ასეთი პოეტური ხერხის გამომსახველობა განსაკუთრებით გამოკვეთილია მის პოემაში „ფორთოხალა“.

ლეონიძის ლირიკულ კრებულში იგი მომ-

წიფებულად და აღფრთოვანებულად წარმოვიდგენს პოეტური საქართველოს საყვარელ სახეს. ლეონიძე ქართულ პეიზაჟებს გვიხატავს ნახტოვან ფერებში და მისი გამომსახველობა მართოდ მნათობს პათოსი როდია. ხშირად იგი მიმართავს თავის მშობლიურ კახეთს, მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ღვინოების სამშობლოს. გარკვეულად გვიმძიმს გოგლას შთაბეჭდილებების კითხვა თბილისზე, რომელსაც წარსულის სურათებით ასახავს. იმიტომ გვიმძიმს, რომ ახლა წარმოუდგენელია ჩვენთვის ოდეს დანგრეული თბილისის აღქმა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლეონიძის დამოკიდებულება ხალხურ პოეზიასთან. ქართული საბჭოთა პოეზია მყარადაა დაკავშირებული მშობლიურ პროგრესულ ტრადიციებზე და წმიდა ხალხურ მარგალიტებს მოიკრებს. მისი დამოკიდებულება ხალხურ პოეზიასთან განისაზღვრება ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხური შემოქმედების ელემენტების გამოყენება და გაკეთილშობილება მიმდინარეობს სოციალისტური რეალიზმის საფუძვლებზე. ქართული საბჭოთა პოეტები აცოცხლებენ თავის შემოქმედებაში ფოლკლორის დადებით მხარეებს — სახეების სიტყვადს და კონკრეტულობას, სიტყვის ძალას და კეთილშობიანების თავისებურებას.

ხალხური პოეზიის ელემენტების გამოყენება მქვანდება ლეონიძის ნაწარმოებებში როგორც თემატიკურ, ფაბულურ და გამომსახველობითობის მხრივ მეტყველების თავისებურებასა, მორფოლოგიურ, სინტაქსურსა, ლექსის თხრობის რითმს და რიტმის შემთხვევაში ხალხური პოეზიის სტიქიურობა ორგანიზალად ერწყმის მის იდეურ მიმართულებას. საქირაო კატეგორიულად ხაზი გაესვას, რომ ლეონიძის დამოკიდებულებას ხალხურ პოეზიასთან არავითარი საერთო არ გააჩნია უბრალო სტილიზაციასთან. ლეონიძე როდი ეფლობა ფოლკლორის ტყვეობაში. შედარებით სრულყოფილი გარჩევა თვალნათლივ წარმოგვიდგენდა, თუ როგორ რთულ გზას განვლის პოეტის შემოქმედებით პროცესში ხალხური ორიგინალი. ლეონიძის უბადლო უნარი შესწევს პოეტურად გააშუქოს, განაზოგადოს, მოვიფიქროს და გააღრმავოს ძირითადი იდეა ხალხური სიმღერისა და აიყვანოს იგი პოეტური შთაგონების სიხალმედ. ჩვენ მკითხველს, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს ქართული ხალხური პოეზიის ინდივიდუალურ ხასიათს, რასაკვირველია, გაუძნელება ჰპოვოს მისი კვალი პოეტის ნაწარმოებებში. ქართული ხალხური სიმღერა, წარმოადგენს დრამას, ოდას თუ ელეგიას, უმეტეს შემთხვევაში, შორს დავს იდეოლოგიური უბრალოებისაგან, რომელსაც ჩვეულებისამებრ ვუკავშირებთ ხოლმე ხალხური შემოქმედებისადმი წარმოდგენას.



ლეონიძის მიერ ხალხური პოეზიის შესწავლა უშუალოდ დაკავშირებულია ასევე მის გაბედულ ძალისხმევებში ახალი გამოქმენდების მიმართულებით. ლეონიძე სიტყვის დიდი ოსტატია. მიუღს მის შემოქმედებაში ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ დაუღალავი ძიება და აღმოჩენა სიტყვის სამაგიერო ძალისა. მან შესძლო ხალხური სიტყვიერებისა და ენის სიმდიდრის, მრავალფეროვნებისა და გამოქმენდების გახსნა. მაგრამ ხალხური ენა მისთვის როდია რაიმედ ეგზოტიკური. იგი არს სილამაზისა და სიბრძნის დაუშრეტელი წყარო, საიდანაც ჰქმნის და ძერწავს ერთ მილიან სახეს. ახლებური სიტყვების შექმნისას, განსაკუთრებით ეპიტეტების შემოხვევაში, მას აღფრთოვანებს რთული სიტყვები. ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად, იქამდეც კი, რომ ზოგიერთი მისი სიტყვათმეწყობა თანამედროვე კრიტიკის უთანხმოებას და კამათს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ მეორეს მხრივ არ უარყოფენ ენისა და სტილისტური ძიების ლეონიძისეულ აღმოჩენათა და სიხალეთა უდიდეს მნიშვნელობას ქართული სოციალისტური რეალიზმის შემდგომი განვითარების გზაზე.

ლეონიძის ლექსი მოხდენილი, განსხვიოსნებული და ძლიერია, გატყვევებს თავის მეტაფორებითა და სახეებით. თავის რთულსახოვან ძიებაში პოეტს საზღვარი არ გააჩნია.

ჩვენს მიერ თარგმნილ ლეონიძის ლექსების ერთთმემულში მისი დიდი ნაწარმოებები განსაკუთრებული მოსაზრებით განსზრახ მოვათავსეთ წიგნის ბოლოში. ამ კრებულში გამოქვივის ლირიკული სახე პოეტისა. თუმცა, ლეონიძე ასევე დიდი ეპიკოსია. მან ეპიკურ საფუძველზე მოგვცა უმშვენიერესი თავიული თავის მომწიფებული პოეზიისა. ესენია „ბავშვობა და ყრობა“, „ქართლის ბაღი“, „გორის ციხე“, „ფორთხისა“ და სხე.

ლეონიძისეული ინდივიდუალობის დახასიათება იქნებოდა არასრული, თუ არ ვილაპარაკებთ მის ლიტერატურულ-ისტორიულ შრომებზე. გიორგი ლეონიძე თავის ლიტერატურულ კვლევა-ძიებაში ძირითადად შემოისახზვრება XVII-XVIII საუკუნეების განზოგადებით. გ. ლეონიძის „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ სამ კრებულადაა დაყოფილი, რომელთა შორის გერჯერობით პირველთაგანი გვაქვს ხელზე, გამოცემული 1949 წელს რომელიც ფუნდამენტალური გამოკვლევაა დიდებული ქართველი მწერლის, დიპლომატის და ლექსიკოგრაფის სულხან საბა ორბელიანის შესახებ, ხალხურ მომღერალ საიათნოვაზე და რუსთაველის ეპოსის ხელნაწერებზე (ოცდაათიან წლებში ახლად აღმოჩენილ მასალების მიხედვით). ამასთანავე იგი რედაქტორობს XVII საუკუნის ორწ უდიდესი ძეგლის „დიდმოუერაგიანის“ და „შაჰნავაზიანის“ კრებულებს.

დამსახურებული ლეონიძის აღიარება ლიტერატურულ შემოქმედებაში. იგი დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით. ორმოცდაათი წლის იუბილზე ქართველ პოეტს უწოდეს „საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი წარმომადგენელი მისი“.

1950 წლის შემოდგომაზე გ. ლეონიძე როგორც საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დღეეგაციის წარმომადგენელი პრალას გვეწვია. ვოგლამ რამდენიმე კვირა დაჰყო ჩვენში და ამ ხნის განმავლობაში გულითადი და ცხოველყოფელი ინტერესი გამოიჩინა ჩეხური ხელოვნებისადმი, ჩეხეთის აწმყოსა და წარსულისადმი. აი, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი გიორგი ლეონიძის ნაწარმოებების ჩეხურ ენაზე ამტყვევების საქმეს, რომელიც დიდი სიყვარულით შეეასრულეთ.

გიორგი ლეონიძის ლექსების თარგმანზე მუშაობისას რამდენიმე სახის სირთულეს წაეაწყდით. ჩვეულებრივ პრობლემებს, რომელზედაც დაყრდნობილია ძირითადად ჩვენი პოეტური თარგმანი, ქართული პოეზიის სფეროში კიდევ სხვა მრავალი სახეობანი უკავშირდება.

ქართული პოეზია დგას ევროპულისა და აღმოსავლეთის საზღვრებს შორის — თუ შეიძლება ასე ითქვას თავისებური ფართო მცენების გაკებით. მისი გამოქმენდობითი მექანიზმი მუშაობს სიმბოლური სახეების დახმარებით, რომელნიც თუმცა დღეისათვის ნაწილობრივ ცნობილია ჩვენში აღმოსავლური პოეზიის ჩვენს მთარგმნელ პიონერთა დახმარებით და ზოგიერთ შემთხვევაში ევროპული პოეზიის სახეობის გარკვეულ ნაწილად გარდაიქმნა (როგორც მაგალითად „ბულბული და ვარდი“ — სიმბოლო სიყვარულისა), მაგრამ ბევრჯერ ვერ ჰპოვა აქ შესატყვისი აზრი მისი. თუმცა ქართულ პოეზიაში ეს სიმბოლური ფაქტორები და სახეები მოიტანება ისეთივე ეთელსახისით მათი ტრადიციული მნიშვნელობისა, როგორც ყველგან მოელს აღმოსავლეთში, მაგრამ ყველა ისინი არს უბრალო ანარქონიზმები. ქართველი პოეტი მიმართავს მათ ძალდაუტანებლად, თავისუფლად და განავითარებს მას შემდგომ. მთარგმნელი მერყეობს, როგორ აუაროს გვერდი სახეებს, რომელიც უცხოა ჩვენთვის, რათა არ დაირღვეს პოეტური სიტყვის ძალა და ზემოქმედება.

დღემდე კი უფრო ნაკლებად შეეძლოთ გადმოეცათ ჩეხურ ენაზე აღმოსავლური პოეზიის ხმოვანთა წყობის რთული მხარე, რომელიც სწორედ რომ ქართულ პოეზიაშია შერწყმული ოდიოვანვე და საკმაოდ განვითარებული.

აქვე; აღსანიშნავია და მისაღები, რომ ქართულ პოეზიაში, თუმცა ხმოვანთა წყობა წარ-

მოადგენს მის ძვირფას და გარდუვალ თვისებას ბრუნვისა, მაგრამ როდი ვარდება უსასრულობაში, რომლითაც გამოირჩევა ახლო აღმოსავლეთის თანაზიარი და მოქმე მხარეთა პრეზიდა, ე. ი. იგი არასოდეს ავითარებს ხმოვანთა წყობას მისი შინაარსობრივი მხარის საჭირობოტოდ. თითოეულ ლექსს თავისი მნიშვნელობა აქვს, რის საკეთილდღეობაც იგი მყარადაა ჩართული დანარჩენ ნაკადში ლექსებისა. ქართული პოეზია მდიდარია თავისი სიტყვაკაზმულობით. ასეთივე მნიშვნელობას, როგორც ფორმას, აძლევენ გამომსახველობა და სახეები სიტყვის ფუნქციებისა.

ყველა ამ მხრივ გ. ლეონიძე სამამულო პოეტური სკოლის ტიპური წარმომადგენელია. იგი ახერხებს ტრადიციული სახეები ახლებურად წარმოგვიდგინოს, ევფონიის სიმებზე ეძიებს ახალ ფერებს, ხალხური პოეზიიდან იძენს გამომსახველობის მრავალფეროვნებას და სიძლიერეს. თითოეული ლექსი მისი სინთეზია იდეების სახეებისა და ტკბილზმოვანებისა. მთარგმნელის ამოცანაა საერთო მნიშვნელობის ქიება ცალკეულ ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირისა, დადგენა იმისა, თუ რა არის მასში დაფუძნებული მშობლიური ტრადიციებიდან, ენის მოთხოვნილებებისა და პოეტის ინდივიდუალობიდან, მიხვედრა ფართული ჩანაფიქრისა, ლოგიკური კავშირებით პოეტური გამოთქმების შევსება და მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ, შეგიძლია ერთ მთლიანობაში მოაქციოთ იგი, დაპყო ჯგუფებად და მკითხველს ისე მიაწოდო როგორც შეესიტყვება ჩეხური ენისა და სტილის მოთხოვნილებებს.

რასაკვირველია, ასეთი მიმართულების დაცვა მოითხოვს დაუღალავ და შრომატევად მუშაობას, ასევე დიდ მთარგმნელობით ოსტატობასა და გამოცდილებას. მაგრამ არავითარ დავიანებულ და გაძლიერებულ შრომას არ შეუძლია მთლიანად ამოწუროს თუ ვადასწყვიტოს ყველა ის პრობლემები იმისათვის, რომ პოეტის პოეტური ინდივიდუალობასა და მთარგმნელს შორის არსებული განსხვავების ხიდი გასდოს. ქართველი პოეტი შემტევი და პათეტიურია, და როცა ჩვენ ძირფესვიანად ვწვდებით და გვემის ყველა მისი ისტორიული და შინაგანი ასოციაციები, ზედმიწევნით კარგად ვარჩევთ მის თავისებურ შემოქმედებით პოზიციას, ყველაზე გულისხმიერი ჩეხი ლირიკოსისათვის, რომელიც ცდილობს უშეცდომოდ მიაგვავსოს დაახლოვოს მისი ლექსების ფორმებსა და შინაარსს, წარმოიდგინეთ, რომ მაშინაც კი ღიად რჩება რამდენიმე პრობლემა, როგორ ამდლდე, როგორ გაუტოლდე ლეონიძის პოეზიის დონეს, სადაც იგი კონტრასტებთან დრამატული შეპირისპირების დიდოსტატად გვევლინება. ამრი-

გად, ბოლოს და ბოლოს საჭიროა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ მთარგმნელთა დიდი ჯგუფი ყოველთვის რჩებიან მოვალენი პოეტის წინაშე სხვადასხვა მიზეზების გამო, და რომ ჩეხური თარგმანიც არაა დაზღვეული ხარვეზებისაგან, რომ იგი არა ნაკლებად ხასიათდება გამარტივებული ნიშანდობლივობით პოეტური თრიგინალისა და მისი ქმედითობისადმი.

თუმცა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამარტივება, რომელსაც ჩეხმა მთარგმნელმა მიადწია, განისაზღვრება მხოლოდ მის პოეტური ინდივიდუალობაში. პირიქით, ეს განსხვავება, რომელიც როგორც ჩანს, ყოველთვის თანსდევს ყველა თარგმნელ ნაწარმოებს ქართული ორიგინალიდან ჩეხურ ენაზე, ხასიათდება დიდი თავისებურებით და შედარებით ღრმა ფესვები ვაჩნია. ვგონებ, იგი დამოკიდებულია ძირითადი განსხვავებისა გამო რაიც არსებობს ჩეხურ და ქართულ პოეზიას შორის.

ჩეხური პოეზია მიიღტვის გამომსახველობის უბრალოებისაკენ და ტრადიციულად გაუტრბის სახეთა ყოველგვარ სირთულეს. ესაა მისი დამახასიათებელი ნიშანი და დასაყრდენი ძალა ჩეხურ ხალხურ პოეზიაში. თანამედროვე ქართულ პოეზიაში მდგომარეობა განსხვავებულია. თუმც იგი საკმაოდ შორდება გარშემოკრებულ სახეთა კლასიკურ მონატანს, შედარებით უცხო წარმოშობის სიტყვათა კონას. ქართული კლასიკის ტრადიციისათვის დამახასიათებელი ღრმა აზროვნება ხელს უწყობს იმას, რომ ქართული პოეზიის ახლებურ გზაზე გვხვდება ჩვენთვის მოულოდნელი სახეები და განსაზღვრული ოდენობით პათეტიური მოვლენები.

სწორედ ამისთვის იყო გამიზნული ჩემი გადაწყვეტილება პირველს მეთარგმნა ჩეხურ ენაზე თანამედროვე ქართული პოეზიის დიდებულნი წარმომადგენლის — გიორგი ლეონიძის მარგალიტებით ძვირფასი ნაწარმოებები, ამით მსურდა ჩეხი მიმოხველი დამახასიათებელი პოეზიასთან, რომელსაც ამ წიგნის გამოსვლამდე არ იცნობდა და არც შეზხვედრა, ზოგან მაინც განსჯიდნენ და აფასებდნენ მას მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების თარგმანებით და უფრო სწორედ ამ მხრივ შესრულებული სამუშაოების საერთო მდგომარეობით. ჩვენ გვეგონია, რომ გოგლა ლეონიძის წიგნმა კი უდიდესი ბოძგი მისცა ამ ნაკლოვანების სრულებით თუ არა ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას და დღეს აღფრთოვანებული ამ შედეგით ჩეხურ ენაზე ვხვდებით მრავალთა მრავალთაგანს ქართველი პოეტებისა, რომელიც არაერთხელ გამოიყა ჩეხურ ენაზე; ანთოლოგიითაც კი დაგვირგვინდა და ჩეხი მკითხველის სასუკვარი ლიტერატურა გახდა. ასე რივ ძლიერი და შთამბეჭდავია მდიდარი ქართული საბჭოთა პოეზია.

ჩეხურიდან თარგმნა ალექსო კაპულიაძე.

## სსოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ალექსანდრე ჭავჭავაძის მემლოზა  
გრიგოლ ორბელიანის საფოზოლოში  
დასაბარუნებლად

პეტერბურგში ჩასული ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი საქმის მოგვარებასთან ერთად გადასახლებული თანამოკალმის, გრიგოლ ორბელიანის სამშობლოში დაბრუნებასაც ცდილობდა თურმე.

როგორც ირკვევა ეს ამბავი გრ. ორბელიანისთვის ძმას, ზაქარიას უცნობებია.

ზაქარია ორბელიანი თბილისიდან 1834 წლის 9 დეკემბერს გრიგოლისადმი გაგზავნილ ბარათში სწერდა: „შენ გაზდას ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიჰსწერე წიგნი, მაგრამ ვგონებ ეს საჭირო არ იყოს, ის მე ვიცი რასაც ცდილობს იქა. მუხრანის ბატონი იყო პეტერბურგს по случаю возвышения монумента Александра I-го და ისევ მოვიდა აქა“.

ცხადია რომ ა. ჭავჭავაძის ცდილობის ამბავი თბილისში „მუხრანის ბატონს“ ჩამოუტანია.

ამ ცნობით გახარებული გრიგოლ ორბელიანი 1835 წლის 23 მარტს ქ. ბირჟიდან თბილისში სწერდა ძმას, ზაქარიას: „მწერ ჭავჭავაძესთან მიწერას და არა მწერ აღრესსა. მეც დიდად მსურს, მაგრამ არ ვიცი სად მივწერო. პეტერბურგში ხომ იცი, ზღვაც აქვს“.

იმავ 1835 წლის 23 მარტს გრ. ორბელიანი ბირჟიდან ა. ჭავჭავაძის მეუღლე სალომეს თბილისში სწერდა: „შევიტყვე კნიაზი (ა. ჭავჭავაძე-ი. ბ.) ჩემთვის თურმე ჰსცდილობს პეტერბურგში. ღმერთმა მიჰსცეს ნაცვლადი სიკეთისათვის და მე მადლობის მეტი რა შემიძლია სხუა“.

\* გავრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

სწორედ ამ ხანებში გრიგოლ ორბელიანს რიგაში უნახავს გენერალ ლეიტენანტი, ბარონ რომან თევდორეს ძე როზენი, რომელიც ერთ დროს 21-ე ქვეითი დივიზიის უფროსად იყო კავკასიაში. მას უამბნია ორბელიანისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძესთან პეტერბურგში შეხვედრის შესახებ.

1835 წლის 25 ივლისს გრ. ორბელიანი რიგის ჰოსპიტლიდან საქართველოში-ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომეს სწერდა:

„ამას წინათ ენახე ლენერალ ლეიტენანტი ბარონ როზენი, რომელიც იყო დივიზიონის კამანდირად საქართველოში, დიახ კარგათ მიმილო, გაუხარდა ჩემი მასთან მისვლა.“

მიაზბო თქვენი ამბავი, კნიაზისა (ა. ჭავჭავაძისა — ი. ბ.) რომელიცა ენახა პეტერბურგში და ბატონიშვილის თეკლას მოსვლა საქართველოში.

მე შეეიტყვე, ვითომც საქართველოში უნდა იყოს სენატი, და არიან დანიშნულნი სენატორად სხვათა შორის კნიაზი ერისთავი (ინფანტერიის გენერალი გიორგი იასესძე ერისთავი — ი. ბ.) და თქვენი კნიაზი. მომწერეთ ვეთაყვანე სალომე ეს მართალია თუ არა. ეს კი ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგად არის მიღებული პეტერბურგში“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს აიძულებდნენ: ხელმწიფე დღე-დღეზე ნებას დაგართავს საქართველოში დაბრუნდყო. პოეტიც თავისიანებს სწერდა მალე ჩამოვალო.

1835 წლის 30 სექტემბერს ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე გახარებული ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „ვიცი ვიამება მამას წიგნი მოგვივიდა ...Папенка скоро придет“.

სამწუხაროდ, ეს ნაადრევი სიხარული გამო-

დგა, ალექსანდრე კვდევ კარგა ხანს არ გამოუ-  
შვეს სამშობლოში.

### ივანე მუხრან-ბატონი პეტერბურგში ალექსანდრე ჰავაშავაძისთან

1835 წლის დამდეგისათვის ივანე კონსტან-  
ტინეს ძე მუხრან-ბატონს ეკატერინე ალექსან-  
დრეს ასული ჰავაშავაძე უყვარს და ეკატერინე  
თანუგრძნობს ამ ტრფობას.

ეკატერინე ჰავაშავაძის დედამ, სალომემ როცა  
ამ მიჯნურობის ამბავი გაიგო, ძლიერ გაჯავრე-  
ბულა.

მანანა ორბელიანი საქართველოდან სწერდა  
გადასახლებულ გრიგოლ ორბელიანს:

„ივანე კი კვდება კატინასათვის, რომ აღარა  
აქვს სიცოცხლე, მუხრანის ბატონიშვილი. კატ-  
ინას კი არა მისწერო რა ივანეზედ გამოცხადე-  
ბით. ჩემი მული (სალომე ივანეს ასული ორ-  
ბელიანი-ჰავაშავაძისა — ი. ბ.) ჯავრობს ძალი-  
ან“.

ზაქარია ორბელიანიც იმასვე სწერდა უფ-  
როს ძმას, გრიგოლს: „ივანე მუხრანსკი კვდე-  
ბა კატინასათვის. И не на шутку. ცოლად  
ჰსურს“.

ივანე მუხრან-ბატონს ეკატერინე დაუთანხმე-  
ბია და ნიშნობაც შეემდგარა.

„ჩემს მაგიერ, — სწერდა გრიგოლ ორბელი-  
ანი რივიდან ძმას, ზაქარიას, — სალომეს და  
ნინოს მიულოცე კატუსა დანიშვნა. რა გამოვი-  
და ერთხელ ვერავის ქორწილში ვერ დავეს-  
წარ“.

ჯვრისწერისათვის იმხანად პეტერბურგში  
მყოფ ალექსანდრე ჰავაშავაძის ნებართვა იყო  
საჭირო. ივანე მუხრან-ბატონი მაშინვე პეტერ-  
ბურგს გამგზავრებულა ნებართვის ასაღებად  
და ქორწილის დღის დასანიშნავედ.

ზაქარია ორბელიანი თბილისიდან ატყობინე-  
ბდა ძმას, გრიგოლს: „ივანე მუხრანსკი პეტერ-  
ბურგს წავიდა ალექსანდრესთან ნების ასაღებ-  
ად ჯვრისწერისა კატინაზე“.

მაგრამ ალექსანდრე ჰავაშავაძე წინაღულდა  
დანიშნულთა შეუღლებას, უარი უთხრა ივანე  
მუხრან-ბატონს, ქორწილი ჩაშალა. ქეთევან  
ორბელიანი ირწმუნება: „ივანეს ქალი არ მის-  
ცა, თუმცა ეკატერინესაც უყვარდა“.

უარმიღებული ივანე მუხრან-ბატონი გულ-  
დათუთქული დაბრუნდა პეტერბურგიდან.

### პლუშარის „ლექსიკონი“

1834 წელს პეტერბურგელმა გამომცემელმა  
ა. ა. პლუშარმა გადასწყვიტა გამოეშვა მრავალ-  
ტომიანი „ენციკლოპედიური ლექსიკონი“. ამ

პირველი რუსული ენციკლოპედიის შესად-  
გენად ნავარაუდები იყო მოეწვიათ რუსეთის  
საუკეთესო მეცნიერული და ლიტერატურული  
ძალები.

თანამშრომელთა საერთო კრებაზე „ლექსი-  
კონის“ მთავარ რედაქტორად ნიკოლოზ ნიკო-  
ლოზის ძე გრუჩი აირჩიეს.

„ენციკლოპედიის“ პირველი ტომი გამო-  
ვიდა 1835 წელს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა „ლექ-  
სიკონის“ რუსულ ნაწილს. წერილებს რუსე-  
თის სიტყვიერებაზე, რუსეთის ისტორიაზე,  
რუსეთის სამართლის ისტორიაზე, რუსეთის  
გეოგრაფიაზე. დიდი ადგილი ეთმობოდა ნარ-  
კვეებს რუსეთის ყოფა-ცხოვრებაზე.

რეკომენდაციას უკეთებდა რა „ლექსიკონის“  
გეოგრაფიულ ნაწილს, რედაქცია აცხადებდა:

«Каждая часть России обработана в  
сем отношении сотрудниками бывшими  
на местах, ими описываемых».

გეოგრაფიულ-ენციკლოპედიური წერილები კა-  
ვკასიაზე ჩვენთვის ნაცნობი ავტორების —  
ვ. ნ. გრიგორივისა და ვ. ს. ლუხვიტიოვის  
მიერ ყოფილა შედგენილი. „ლექსიკონის“ წინა-  
სიტყვაობაში ვეთხულობთ:

«Статьи о Кавказе сообщены В. Н.  
Григориевым и В. С. Лехкобытовим, за-  
нимавшимся исследованием и описани-  
ем Кавказа по поручению начальства».

„ენციკლოპედიაში“ მონაწილეობა უნდა მი-  
ეღო დ. ე. ზუბარეესაც.

„ენციკლოპედიის“ ხელისმომწერი ყოფილა  
ა. ჰავაშავაძეც.

მკვლევარი ირაკლი ანდრონიკაშვილი წერს:

«А если заглянуть в перечень подпис-  
чиков на «Энциклопедический лекси-  
кон, то мы без труда обнаружим еще  
одно знакомое имя. Генерал-майор князь  
А. Г. Чавчавадзе».

Статьи о Кавказе для «Лексикона»  
Плюшара пишутся в те годы, когда  
А. Г. Чавчавадзе знаток Кавказа, вы-  
сокообразованный человек, владеющий  
языками грузинским, русским, иност-  
ранными языками, живет в Петербурге  
общим хозяйством с В. С. Легкобыто-  
вым, когда они вместе читают газеты,  
обсуждают все новости.

И естественно, говорят о статьях  
предназначенных для печати. Может  
ли быть сомнение в том, что Чавчава-  
дзе просматривает эти статьи, подает  
советы друзьям?»

ი. ანდრონიკაშვილის ვარაუდში ეჭვის შეტა-  
ბა შეუძლებელია.

## ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ხაზინიდან

პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძეს 1835 წელს ხაზინიდან 26 წლის ვადით, უძრავი და მოძრავი ქონების გირაუნობით, სესხად გამოუთხოვია 300 ათასი მანეთი ასიგნაციებით.

„მას დაუფორავებია თავისი მამული ყმებითურთ, რომელნიც მამონ 1137 „მამრობითი სქესის სულად“ ირიცხებოდნენ; პეტერბურგში ყოფნის დროს, 1835 წელს, ეს სესხი დაუმტკიცებია მინისტრთა კაბინეტს იმავე წლის 30 მაისის და 27 აგვისტოს სხდომებზე“.

როგორც ეკატერინე ჭავჭავაძის ერთი გამოუქვეყნებული ბარათიდან ჩანს, ეს სასიხარულო ამბავი პოეტს მამინვე საქართველოში თავისი სახლობისათვის უცნობებია.

## 1835 წლის ზაფხული ლენინოვი

1835 წლის ზაფხულისათვის მიხეილ დემიანის ძე ზავილეისკიმ პეტერბურგის მახლობლად ლენინოვი დაიქირავა აგარაკი.

ვასილ ზავილეისკისთან მცხოვრებნი: ა. ჭავჭავაძე, ვ. ლხვიტიანი და ი. კალინოვსკი თითქმის ყოველდღე აქ სადილობდნენ.

იგივე ვასილ ზავილეისკი გადმოგვცემს, რომ ლენინოვი მოდიოდა ხოლმე ვიშესლავცევიც. მკვლევარი ირაკლი ანდრონიკაშვილი განმარტავს:

«Вышеславцев Павел Сергеевич — чиновник Грузинской казенной экспедиции... Он составляет описание уезда Тифлисского и Тифлиса. Это тоже один из авторов «Обозрения Российских владений за Кавказом», еще один из петербургского окружения Чавчавадзе».

ვასილ ზავილეისკი იმ ზაფხულს, ბიძასთან აგარაკზე ორჯერ შეხვედრია სახელოვანი დეკაბრისტების ალექსანდრე, ნიკოლოზ, პეტრე და მიხეილ ბესტუჟეევის ძმას, მწერალსა და გამომგონებელს, პავლე ბესტუჟეევს, რომელიც დეკაბრისტული ლიტერატურის შენახვისათვის დაპატიმრებული და შემდეგ საქართველოში გადმოსახლებული იყო.

პავლე ბესტუჟეევა გამოიგონა „ზარბაზნის სამიზნე“, რომელსაც შემდეგ „ბესტუჟეევის სამიზნე“ დერჟავა და მოელ არტილერიში იქნა შემოღებული. ამისათვის მას პორუჩიკის წოდება მისცეს, ორდენი უბოძეს და ნება დართეს პეტერბურგში დაბრუნებულიყო.

მიუხედავად ამისა, მეფის განკარგულებით მასზე უსასტიკესი საპოლიციო მეთვალყურეობა იქნა დაწესებული.

სწორედ იმ ხანებში პავლე ბესტუჟეევი ითვლებოდა ფაქტურ რედაქტორად:

«Журналы для чтения воспитанников военно-учебных заведений».

ვასილ ზავილეისკი გვიამბობს:

«Павел был молодой человек, высокий, тонкий, красивый собою и большой остряк; мы валялись (от смеха) по коврам, постланным в саду, где почти всегда обедали; его остроты были очень милы, никого не кололи, но заставляли хотеть до слез».

Он был тогда возвращен по просьбе своей матери из-за Кавказа, где он служил юнкером Куринского, Егерского полка. Кажется он был сослан туда вместе с декабристами. Помню, что во время этих обедов иногда пели и плясали цыганки. Веселое было время!».

არ შემიძლია არ მოვიყვანო ირაკლი ანდრონიკაშვილის სრულიად უსათუო კომენტარი:

«Факт, отмеченный Василием Завелейским, важен. Он служит подтверждением тех коротких дружеских отношений, которые установились с декабристами и, прежде всего, с Бестужевым, Чавчавадзе и у этих русских людей еще тогда, в Тифлисе...»

Интересы и взгляды «Кавказцев», собиравшихся у Петра и Михаила Демьяновичей, отвечали интересам и взглядам самого Чавчавадзе. Иначе не стал бы он с ними так неразлучно дружить. Более того: близкие отношения его с сотрудниками Петра Завелейского могут только служить оттестацией их прогрессивных взглядов».

ზაფხული დამთავრდა. შეკრებანი პეტრე ზავილეისკისთან და იაკოვლევის ბინაზე მცხოვრებ „კავკასიელებთან“ განახლდა.

## ალექსანდრე ჭავჭავაძის ბარათი პეტერბურგში

1836 წლის 19 მაისს წინადაღში გარდაიცვალა ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა — მარიამ (მაია) ივანეს ასული ავალიშვილი.

ის დაკრძალეს შუამთის მონასტერში. საფლავის ქვაზე წარწერილია: «ეკლესიასა ამასა შინა მღებარებს მარიამ თავადის გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ასული ავალიშვილის თავადის იოანესი. შობილი აპრილის I წელსა 1758 და გარდაცვლილი 19 მაისს 1836 წ. ეკალთაზედა ამის სოფლისათა აღსრულებული, ყვაილთა შორის სასუფევლისა შენისათა ღირს მყავ მე განღვიძებდა უფალო!».

## იაკობ ბალახაშვილი

ცნობრივად ალექსანდრე ჭავჭავაძის

1836 წლის 2 ივლისს, მანანა ორბელიანი წინანდლიდან გადასახლებაში მყოფ პოეტს, გრიგოლ ორბელიანს სწერდა:

„მე ახლა ვარ წინანდალს. ამ წიგნს იქი-  
დამ გწერ. ამათი ამბავი რა მოგწერო, შე-  
წუხებულნი არიან დიდათ. თავიანთი უძვი-  
რფასესი ბებია დეკარგეს და იფიქრე ამთ-  
განი მისი სიყვარული, როგორი მწუხარნი  
იქნებოან.

ნამეტნავად ამათი სამწუხარო ეს არის, რომ  
კნიაზის (ა. ჭავჭავაძის — ი. ბ.) ნახვა არ ელი-  
რსა. უკანასკნელ აღმოსუენთქვამდის კნიაზის  
ხსოვნაში იყო, მეც იქ დავესწარ იმ უბედუ-  
რების შემთხვევაში“.

1836 წლის 21 ივლისს, პრასკოვია ახვერდო-  
ვას ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის დედის გარ-  
დაცვალება უცნობებია და ნიკოლოზ ფალა-  
ნდიშვილის სამძიმრის ბარათი ვადაუცია.

თქმულის დამადასტურებელია, ჩემს მიერ  
1939 წელს მიკვლეული, ა. ჭავჭავაძის მიერ,  
1836 წლის 21 ივლისს პეტერბურგიდან თბი-  
ლისის სამოქალაქო გუბერნატორ — ნიკოლოზ  
ფალავანდიშვილისადმი გაგზავნილი საპასუხო  
ბარათი.

მომყავს იგი მთლიანად:

„მოწყალე ხელმწიფე!

პრასკოვია ნიკოლაევნასავან ვცან გუშინ,  
ჩემზედ მოწვენილი უბედურება, რომლის  
გაგონებას ყოველდღე მოველოდი; და თქვენი  
წიგნი ამისგანვე მივიღე.

რასაც ხანში დედაჩემი იყო, იმ წელიწადში  
მყოფი რა ერთხელ სნეულეებისაგან დასუსტ-  
დება, მობრუნება ძნელიდაა. ვჰმადლობ ყო-  
ვლის შემოქმედს, — კაცისათვის სიკვდილი  
რა გასაკვირველია!

ეს არის ჩემთვის სანამეტნაოდ სამწუხარო,  
რომ უკანასკნელ დღეებში დედაჩემის მოვლა  
და სამსახური არ მელირსა და ვერც პირდა-  
პირ კურთხევა და მიტყევა მივიღე იმისაგან,  
რომლისაც წინაშე რა გზა მაქვს მრავალი  
ბრალი არა მქონდეს. ზოგჯერ ნებსით და  
უნამეტნავის გზის უნებლიეთად მწუხარების  
მიყენებით.

სხვები თქვენმა მონაწილეობამ და მართე-  
ბულების სიყვარულმა უჩემობა არ დაატ-  
ყო. მირწმუნეთ, არ ვიცი რა მადლობა მო-  
გახსენოთ გარდაცვალებულის დამარხვაზე  
თქვენგან მიღებულის შრომის და მზრუნვე-  
ლობისათვის; მაგრამ კეთილი არასდროს დაი-  
კარგვის.

მანანას წინანდალში ყოფნა დიდად მიხ-  
რიან. დარწმუნებული ვარ, რომ დიდს ნუგეშ-  
ად ექნებათ სალომესაც და ქალბსაც.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ეულითადი აღმსა-  
რებულება და ჰემმარტი პატივისცემა თქვე-

ნის ბრწყინვალეების უმორჩილესის მსახურის,  
თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის.

22 ივნისს, 1836 წ.

ს. პ.“.

იმავე ხანებში ა. ჭავჭავაძეს კვლავ დაპირე-  
ბიან: სამშობლოში დაბრუნების ნება მოგეცე-  
მაო.

1836 წლის 13 აგვისტოს ზაქარია ორბე-  
ლიანი თბილისიდან სწერდა თავის ძმას,  
გრიგოლს: „ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოელიან,  
მაგრამ თავის დედას ვედარ ნახავს, რომელიც  
გარდაიცვალა ამ ზაფხულს“.

ესეც ცრუ დაპირება გამოდგა. ა. ჭავჭავაძე  
ისევ პეტერბურგში იმყოფებოდა.

### ლერმონტოვისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის გაცნობა კემბრუჯში

ამჟამად დადგენილია, რომ პრასკოვია ნიკო-  
ლოზის ასული ახვერდოვა, ქალიშვილობაში  
არსენიევა მიხეილ იურის ძე ლერმონტოვის  
დედის ბიძაშვილი იყო, ისე, რომ პოეტს დეი-  
დად ეკუთვნოდა.

არსებობს იმის უტყუარი ცნობები, რომ  
პრასკოვია ახვერდოვასა და ლერმონტოვების  
ოჯახს შორის კავშირი განახლდა მას შემ-  
დეგ, რაც 1830 წელს ახვერდოვა პეტერბურ-  
გში დაბრუნდა და ხან დედაქალაქში ცხოვ-  
რობდა, ხან კი ცარსკოე სელოში.

ასე მაგალითად: ლერმონტოვის ბებია ელი-  
საბედ ალექსანდრეს ასული სტოლიპინა-არსე-  
ნიევა პეტერბურგიდან თავის ნათესავ ქალს,  
პრასკოვია ალექსანდრეს ასულ კრიუკოვას  
სწერდა: „მე ხშირად ვხვდები დარია ნიკოლო-  
ზის ასულსა და პრასკოვია ნიკოლოზის ასულს  
და ყოველთვის თქვენზე ვლაპარაკობ“.

ამ ცნობაში იხსენიება დარია ნიკოლოზის  
ასული ხვისტოვა და მისი და პრასკოვია ნიკო-  
ლოზის ასული ახვერდოვა.

მაგრამ არსებობს უფრო ზუსტი საბუთიც.  
ი. ანდრონიკაშვილის მიერ 1948 წელს მიკ-  
ვლეული ლერმონტოვის ბარათი ბებიისადმი  
საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ თვითონ  
მიხეილ ლერმონტოვისა და პრასკოვია ახვე-  
რდოვას ურთიერთობაზე.

1836 წლის მეორე ნახევარში ცარსკოე სე-  
ლოში ლეიბ-ჰუსარად მომსახურე მ. ლერმო-  
ნტოვი ბებიას სწერდა: „ძვირფასო ბებია,  
რადგან თქვენი ჩამოსვლის დრო ახლოვდება,  
მე უკვე ბინას დავემქმ, კარტატე შევათვარი-  
ერე, მაგრამ მაღალია. პრასკოვია ნიკოლოზის  
ასული ახვერდოვა მისიში აქირავენს თავის  
ბინას, ვგონებ გამოგვადგეს, ეს კია, რომ შო-  
რსაა“.

მაღე მ. ლერმონტოვმა უფრო ხელსაყრელი  
ბინა იშოვა სადგოეიას ქუჩაზე, შახოვკის  
სახლში, დაიქირავა და კარტატე შეიძინა.

1836 წლის შემოდგომაზე ლერმონტოვის ბეზია პეტერბურგში ჩამოვიდა. პოეტი უმეტესად მასთან ცხოვრობდა საღვთისაჲს ქუჩაზე, სამსახურში — ცარსკოე სელოში საკუთარი კარტით დადიოდა.

ამგვარად მოყვანილი ცხოვრებით გვიხატავს შემდეგ სურათს: მ. ი. ლერმონტოვი და მისი ბეზია პეტერბურგში ხვდებიან პრასკოვია ნიკოლოზის ასულ არსენიევა-ახვერდოვას — მამინ, როცა პეტერბურგში მყოფი ალექსანდრე ჭავჭავაძე ხშირად დადის ახვერდოვასთან.

იმის კითხვა, პრასკოვია ახვერდოვას მეშვეობით ხომ არ გაეცნენ ერთმანეთს პეტერბურგში ლერმონტოვი და ჭავჭავაძე?

ჩვენ გვეჩვენა, რომ ეს ნაცნობობა სწორედ პრასკოვია ახვერდოვას მეშვეობით მოხდა.

მაგრამ ჭავჭავაძე არა თუ პირადად გაეცნო მამინ ახალგაზრდა, უკვე პოეტური რეპუტაციის მქონე ლერმონტოვს, არამედ მეტად გულახდილი საუბარით უნდა ჰქონოდა საქართველოს.

მკითხველს თავდაპირველად მინდა მოვავონო, რომს წორედ იმ ხანებში, ლერმონტოვმა დაასრულა თავისი დრამა „მასკარადი“ რომელშიაც გამოიყვანა საქართველოში ნამყოფი გიძვერა ტრუშკოვი.

ტრუშკოვის ტიპის შესახებ ი. ანდრონიკაშვილი წერს:

„საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ჩაქარხიველოში ჩამოსვლამდის 1835-1836 წლებში ლერმონტოვმა — მოუშაობდა რა „მასკარადზე“, — არამდინე სტრეიქონში ნიღაბი ახადა ერთ იმ მსუნჯე საქმოსათავანს, რომელნიც იოლი გამდიდრებისათვის საქართველოში მოისწრაფოდნენ...“

მე არ ვაპირებ ვამტკიცო, რომ ლერმონტოვი ამ თემაზე საუბრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, მაგრამ საჭიროა ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ ლერმონტოვს სრულიად სწორი წარმოდგენა ჰქონია მეფის მოხელეთა თვითნებურ და თავაშვებულ მოქმედებაზე საქართველოში...

შესაძლებელია, რომ საქართველოს შესახებ ლერმონტოვის უყვებოდა პ. ნ. ახვერდოვა, — ყოველ შემთხვევაში, აღვნიშნავთ მის ინტერესს საქართველოს საქმეებისადმი ხსენებულ წლებში.

როცა ლერმონტოვი, 1835-1836 წლებში, პეტერბურგში „მასკარადს“ წერდა, იქვე მყოფ ა. ჭავჭავაძეს ხელმწიფისადმი წარსადგინი მოხსენება ჰქონდა შემუშავებული, რომელსაც პოეტმა უწოდა: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“.

ხსენებული „ნარკვევი“ ნიკოლოზ პირველს მან პეტერბურგში, 1237 წლის 10 მაისს, მიარ-თვა.

რუსულად დაწერილი ა. ჭავჭავაძის ეს „ნარკვევი“ ნიკოლოზ მეფის შენიშვნებით ინახება ლენინგრადის სალტიკოე-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, ხელნაწერი — IV № 299.

აღნიშნულ „ნარკვევში“ ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მაგრამ ამასთანავე კრიტიკის დაუნდობელ ქარ-ცეცხლში ატარებს საქართველოში იოლი გამდიდრებისათვის ჩასულ, ხალხის ძარცვა-გლეჯაზე გადაგებულ ზოგიერთ მოხელეს. მოხსენებაში მოყვანილია თქმულის დამადასტურებელი არა ერთი ფაქტი.

რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები ი. ანდრონიკაშვილის მოსაზრება, რომ ლერმონტოვს საქართველოს შესახებ უყვებოდა პრასკოვია ახვერდოვა, მაგრამ ტრუშკოვის ტიპაჲ შექმნილია ა. ჭავჭავაძესთან საქართველოს მდგომარეობაზე საუბრისას და მის „ნარკვევთან“ გაცნობისას.

მაგრამ ჭავჭავაძეს არა მარტო საქართველოზე უსაუბრია ლერმონტოვთან, იგი ლერმონტოვების საოჯახო ალბომებსაც გასცნობია და... თუმცა სჯობს ამის შესახებ შემდეგ თავში გიამბოთ.

### „მე უნა არ ზებჰვი“ იური ლერმონტოვის პაუთხისი

ჩვენამდე ლერმონტოვების ორმა საოჯახო ალბომმა მოაღწია.

ერთი ინახება ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ისტიტუტის არქივში, მეორე — ლენინგრადშივე, სალტიკოე-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ეს ალბომები შეიცავენ ლერმონტოვის ბეზიის ჩანაწერებს, სხვადასხვა პირების მიერ პოეტის დედისადმი მიძღვნილ ლექსებს, ლერმონტოვის მშობელთა ლექსებით მიმოწერას და სხვა მასალას.

ამ ალბომების პირველი მფლობელი პოეტის დედა მარიამ მიხეილის ასული იყო; რომელიც სრულიად თავისუფლად წერდა საალბომო ლექსებს რუსულ და ფრანგულ ენებზე. ვამა — იური პეტრეს ძე ლერმონტოვი აგრეთვე წერდა ლექსებს და საკმაოდ კარგ ლექსებს.

ამჟამად შევჩერდებით პოეტის მშობელთა ლექსებით ერთ მიმოწერაზე.

ლერმონტოვის დედას, რომელიც ქმრის მოშორებას ვერ იტანდა და ეჭვიანობდა, სოფელ კროპოტოვოში წასული მეუღლისათვის მიუძღვნია შემდეგი სტრეიქონები:

### იაკობ ბალახაშვილი

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

«Кто сердцу может быть милее,  
Бесценный друг тебя?  
Без воздуха могу скорее  
Прожить, чем без тебя!  
Всю радость в жизни, утешение  
Имею от тебя,  
С тобой повсюду наслажденные,  
И мрачно без тебя».

კროპოტოვოში მყოფმა იური ლერმონტოვმა, 1816 წლის 26 აგვისტოს, ლექსითვე უპასუხა ცოლის მიძღვნას და არწმუნებდა მას ერთ-გულებაში:

«Я не скажу тебе люблю,  
Всеобщей моде подражая:  
Как часто говорят — люблю,  
Совсем о том не помышляя,  
И слово ли одно — люблю —  
В себе всю нежность заключает,  
Нет, мало говорить люблю.  
Коль сердце тож не повторяет,  
Кто часто говорит люблю,  
Тот редко и любить умеет,  
Иной не вымолвить люблю,  
А чувством только пламенеет  
Так я не говорю люблю,  
Храня молчанье осторожно,  
Но верно так тебя люблю,  
Как только мне любить возможно».

ლერმონტოვის დედის ალბომში ჩაწერილი ეს ლექსი, პოეტის დედას ფრანგულად უთარგმნია და ჩაუწერია თავის მეორე ალბომში, რომელიც ლენინგრადის სალტიკოვ-შიჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

პოეტის მშობელთა ლექსებით ეს მიმოწერა, როგორც ვხედავთ, ოჯახური დრამის შემთხვევაზეა შექმნილი. ლერმონტოვის დედამამა შორის ურთიერთობა თანდათან გამწვავდა და მათი დაშორებით დამთავრდა. პოეტის დედას ქლეჟმა დარია ხელი და ბოლო მოუღო. ხსენებული ალბომები დარჩა ბებიას, რომელიც დედობას უწევდა; პატარა მიხეილს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლერმონტოვის ბებია 1836 წლის შემოდგომიდან პეტერბურგში გადმოსახლდა პოეტის მიერ სარდოვიას ქუჩაზე, შახოვსკის სახლში ნაქირავებ ბინაში, ჩანს, მას სხვა ბარგთან ერთად, თან ჩამოუტანია უდროოდ გარდაცვლილი ერთადერთი შვილის ნაქონი ალბომიც, რომლებსაც როგორ რელიქვიას აღარ იშორებდა და თან დაჰქონდა, სადაც კი წავიდოდა.

პოეტის დედის სიკვდილის შემდეგ, ამ ალბომებში გვხვდება ლექსები მიძღვნილი ლერმონტოვის ბებიისადმი. ეს ალბომები მას თან ჰქონდა მინერალურ წყლებზე ყოფნისას. ლექსებზე მიწერილი თარგმანი და მიძღვნებზე

გაკეთებული ადგილის აღმნიშვნელი მინაწერები ამის მდასტურებელია.

იმვე ალბომებში გვხვდება თვითონ მ. ი. ლერმონტოვის ჩანაწერები და ჩანახატებიც 1825, 1829 და 1836 წლებისა, რომლებიც ხელმოწერილი არიან ამგვარად „М. Л.—В“.

ზემოდ მოყვანილ მასალების შემდეგ ვფიქრობთ ცხადია, რომ პოეტის ბებიას ქალიშვილის ალბომები თან ჩამოუტანია პეტერბურგში 1836 წელს.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლერმონტოვის დედის ალბომები მხოლოდ და მხოლოდ პოეტის ოჯახში შეეძლო ენახა და ისიც მას შემდეგ რაც ელისაბედ ალექსანდრეს ასული სტოლოპინა-არსენიევა მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა პეტერბურგში. ჩანს, ჭავჭავაძე სტუმრად სწევდოდა ლერმონტოვებს, უნახავს მათი საოჯახო ალბომები, მოსწრებია პოეტის მამის, იური ლერმონტოვის ზემოთ მოყვანილი ლექსი «Я, не скажу» და ქართულად უთარგმნია იგი:

მე შენ არ გეტყვი: გეტრფი!  
ვითა სხვანი გეტრფიან.  
ბერი გარწმუნებს — გეტრფი;  
გულით კი სხვაგან რბიან.  
მხოლოდ ეს ლექსი: გეტრფი!  
ნეტა რას ძალსა მქონობს?  
ცუდ არს: გეტრფი და გეტრფი,  
თუ გულიც არ მიმყოლობს.  
ასეთი გეტყვის: გეტრფი,  
რომ ტრფობა არ იცოდეს:  
სხვამ ნუთუ ვერ გრქვას: გეტრფი  
და გულში კი იწოდეს.  
ნუ ელი მეც გრქვა: გეტრფი!  
დუმილს ვრაცხ უმჯობესად,  
მაგრამ მერწმუნე გეტრფი  
საზომის უადრესად!

„მე შენ არ გეტყვის“ ჭავჭავაძისეულ ავტორგრაფს რომ მოედწია ჩვენამდე, იქ, რა თქმა უნდა, აღნიშნული იქნებოდა, რომ იგი იური ლერმონტოვის ლექსიდანაა თარგმნილი.

ბოდიში უნდა მოვიხადო ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური შარაგანდედის წინაშე, რომ ავტორობის რიდე ჩამოეცაოლე მისი სახელით გაეცდებოდა ლექსს, მაგრამ ამ მიმოხილვამ ლერმონტოვის ოჯახში ჭავჭავაძის სტუმრობის ფაქტი გამოგვიძღვნა და თუ მაინც საპატიებელი ვარ, მეპატიოს...

ალექსანდრე ჭავჭავაძის მისვლა  
კუჩინის ცხენდარობან  
გამოხანგვიღობებულად

ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტერბურგში იყო, როცა რუსული პოეზის მზის — პუშკინის თავზე საავდრო ღრუბლები შეგროვდნენ.



ა. ს. პუშკინი მაშინ ცხოვრობდა მოიკა-  
ზე, პოლკონსკაის სახლში, «Состояшем  
2-й Адмиралтейской части 1-го квартала  
под № 7».

პოეტის სადად მოწყობილ სამუშაო კაბი-  
ნეტში, ორიოდ სურათთან ერთად, თურმე  
ვიკიდა პასკევიჩის მიერ 1829 წელს საქართვე-  
ლოში მყოფი პუშკინისათვის ნაჩუქარი  
ხმალი და ჩერნეცოვის მიერ ზეთის საღებავ-  
ებებით შესრულებული სურათი „ღარიალის  
ხეობა“.

1837 წლის 28 იანვარს, დილით, პეტერბუ-  
რგში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა წი-  
ნდამით უცხო ქვეყნელ დანტესთან პუშკინის  
ორთაბრძოლის შესახებ.

ორთაბრძოლაში დაჭრილი პოეტი თავის სა-  
მუშაო ოთახში დივანზე დააწვინეს. მკურნა-  
ლობას ზედამხედველობდა პეტერბურგის  
ცნობილი ექიმი ნიკოლოზ არენდტი.

პუშკინის ბინასთან გამოთლევად უამრავი  
ხალხი ტრიალებდა. ა. ნიკიტენკოს ჩაუწერია  
თავის დღიურში: „მის მისაღებ ოთახს დილი-  
დან საღამომდე პოეტის ჭანმრთელობის მდგო-  
მარეობის გავების იმდენი მოსურნე აწყდებო-  
და, რომ იძულებულნი გახდნენ ბიულეტენ-  
ები გამოეკიდებინათ“.

დაჭრილის მდგომარეობა თანდათან უარეს-  
დებოდა და უნუგეშო ხდებოდა. 29 იანვარს  
დღის 2 საათსა და ორმოცდახუთ წუთზე პუ-  
შკინი მიიცვალა.

როგორც კი გარეთ ხმა გავიდა, პუშკინი  
მოკვდაო, მთელი პეტერბურგი ფეხზე დად-  
გა. ყველანი პოეტის ბინისაკენ მისწრაფოდ-  
ნენ. ივ. პანაევი წერდა:

„პუშკინის ტრადიკულმა სიკვდილმა გამოა-  
ღვიძა და შეარყია მთელი პეტერბურგი. ქა-  
ლაქში არაჩვეულებრივი მოძრაობა შეიქმნა.  
მოიკასთან, პაეჩესკის ხილთან გასასვლელი  
აღარ იყო.“

ხალხი და ეკიპაჟები დილიდან საღამომდე  
გარს ერტყნენ სახლს. ეტლების დაჭირავე-  
ბისას მხოლოდ ამობდნენ: „პუშკინთან“, —  
და მიეტლევებოდა პირდაპირ იქ მიჰყავდათ.

პეტერბურგის მცხოვრებთა ყველა კლასი,  
წერა-კითხვის უცოდინარნიც კი, თავს ვალ-  
დებულად თვლიდნენ მისუღიყენენ და  
თაყვანი ეცათ პოეტის ცხედრისათვის“.

პრუსიელი ელჩის ცნობით: პუშკინის სიკ-  
ვდილის დღიდან მისი ნეშტის ეკლესიაში გა-  
დასვენებამდე პოეტის სახლში იყო 50000  
სხვადასხვა წოდების პირი.

ი. ნევეროვი სწერდა ტ. გრანოცკის, რომ  
მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში პუშკინის  
კუბოსთან გაიარა 32000 სულმა.

განა იმას მტკიცება სჭირდება, რომ პუშკი-  
ნის ცხედართან გამოსამწვიდობებლად მი-  
სულ მრავალათასიან ხალხს შორის ალექსა-  
ნდრე ქავჭავაძეც იქნებოდა.

რა თქმა უნდა, რომ იქნებოდა..

გავრძელება იქნება



ნახატები დიმიტრი ერისთავისა და ვლადიმერ რუსეცკისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

---

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მღვიანი-მემანქანე — 99-53-35. პ. მგ.  
მღვიანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერა-  
ტურული თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 99-17-63. საკორექტორო —  
99-85-28.

---

გადაეცა ასაწყობად 19. 8. 76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 10. 76 წ., ქაღალდის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.  
თაბახი 14,35. შეკვეთა № 2855. უე 00860. ტირაჟი 28.000.

---

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

89/01

3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236